ვიოლა ფურცელაძე

ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება

მეორე შევსებული გამოცემა



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

ანოტაცია

მონოგრაფია პირველი ქართულენოვანი ნაშრომია, რომელიც ეძღვნება ენათმეცნიერული გერმანისტიკის პოზიციებიდან დანახულ ტექსტის პრობლემებს. წიგნი შედგება ორი – თეორიული პირველი და ანალიზური – მეორე ნაწილისაგან. იგი განკუთვნილია ზოგადად ფილოლოგიური პროფილის, პირველ რიგში კი გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრების, დოქტორანტების, ისევე როგორც ტექსტის ლინგვისტიკით დაინტერესებული ყველა პირთათვის. ის შეიძება აგრეთვე საფუძვლად დაედოს ლექციების თეორიულ კურსს ტექსტის ლინგვისტიკაში და გამოყენებულ იქნას დამხმარე სახელმძღვანელოდ ტექსტის ინტერპრეტაციის სემინარებზე.

რედაქტორ-გამომცემელი: პროფ. დოქტორი ნინო ქიმერიძე

რეცენზენტები: პროფ. დოქტორი ნუნუ კაპანაძე
პროფ. დოქტორი მარიამ ზარამიძე

© ვ.ფურცელაძე, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-261-0

ვუძღვნი ჩემი შვილის

კახა კაციტაძის ნათელ ხსოვნას

წინათქმა

Der berufene Leser

Welchen Leser ich wünsche?
den unbefangensten, der mich,
Sich und die Welt vergißt und
in dem Buche nur lebt.

Friedrich Schiller (1984:184)

მოწოდებით მკითხველი

რომელ მკითხველს ვისურვებ?
ყველაზე პირუთვნელს, რომ
დამივიწყებს მე, დათვიწყებს თავის
თავს, ამჭკუნებულ ყველაფერს და
მხოლოდ წიგნში იცოცხლებს.

ფრიდრიხ შილერი (1984:184)

ტექსტის კვლევისა და ინტერპრეტაციის პრობლემებს მონოგრაფიაში საფუძვლად უდევს მიმართება ტექსტი ⇔ მკითხველი. ჩვენი პოზიციის მკაფიოდ გამოსახატავად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ძირითადი დებულებები, რომელთა ექსპლიცირებაც ხდება ნაშრომში:

1. ტექსტი ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადებაა. მას შეისწავლის თვითმყოფი დისციპლინა, რომელსაც ენათმეცნიერული დისციპლინების იერარქიაში ადგილი მიეკუთვნა სისტემური დონეებისა და სტილისტიკის ზემოთ. ტექსტი წარმოადგენს კომუნიკაციის ძირითად/უმაღლეს ერთეულს, რომლის მიღმა მხოლოდ ეპოქის მთლიანი ენობრივი სივრცეღა მოიაზრება.
2. ტექსტის ცნების ჩამოყალიბება და ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ტექსტის ცნების სპეციფიკის გაუთვალისწინებლად ტექსტი განიხილება, როგორც ამბივალენტური, ზეპირ-მეტყველებით-წერილობითი წარმონაქმნი, ხოლო ტექსტის ცნების სპეციფიკაცია გულისხმობს განმასხვავებელი ნიშნების დადგენის, კომუნიკაციის ორი ძირითადი ერთეულის – ტექსტისა და დისკურსის – გამიჯვნას, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსის ანალიზის დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარებას.

3. თავისი ონტიური არსის შესაბამისად ტექსტი წარმოიდგენა ხდება როგორც სივრცეში განფენილი ენობრივი წარმონაქმნისა. მისი სტრუქტურა აბსტრაჰირდება ინტერნული მოდელის – ბათიზმატური ველის – სახით, რომლის ხუთი კომპონენტი (ტოპოლოგიური ჩარჩო, გრაფემულ-გრაფიკული სუბსტრატი, არქიტექტონიკული, საკუთრივ ენობრივი და სემანტიკური ფენები) სხვადასხვა ინტენსივობით ფუნქციონირებს და ტექსტის მრავალფეროვანი ნიმუშის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.
4. ტექსტის ექსტერნული მოდელი გამოხატავს მიმართებას ინდივიდსა და რეალურ სამყაროს შორის:

   კომუნიკატორი-ტექსტი-რეალური სამყარო (ინდივიდი)

   ინტერნული მოდელი გამოხატავს მიმართებას ტექსტსა და კომუნიკანტს შორის:

   ტექსტი – საზრისი – კომუნიკანტი (მკითხველი/ინტერპრეტატორი)

   ტექსტის ინტერპრეტაციის ძირითადი ორიენტირია საზრისი. ის ჩაქსოვილია ბათიზმატური ველის ფენებში, მენტალური ფენომენია, მაგრამ მისი აჩრდილი თავს დასტრიალებს ველს, მის ზედაპირზე ქანაობს. ინტერპრეტატორმა უნდა მოიხელთოს იგი, გაიცნობიეროს და განასიტყვოს.
5. კვლევისა და ინტერპრეტაციის ფოკუსის გადატანა ავტორიდან ტექსტზე ავტორის „სიკვდილს" მოასწავებს (BARTHEL, 1983:391) და იმ პრობლემას ხდის აქტუალურს, რომელსაც ჰქვია „ტექსტი-მკითხველი". ტექსტით ავტორის ჩანაცვლების საფუძველია ტექსტის არსებობის წესი – ალიენაცია, რომელიც თავის მხრივ ხორციელდება ტექსტის სუბსტანციური, ფიზიკალური თვისებების წყალობით. ტექსტის აღზევება კომუნიკატორის რანგში, ზოგჯერ რადიკალურ სახეს იღებს და მეტისმეტად აკნინებს მოწიწებას ავტორისადმი, რომელსაც მკითხველი აღარ ეკითხება როგორ მოექცეს ტექსტს. მას შეუძლია ტექსტი დაჩეხოს, დაკუწოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს ავტორის ნება (იქვე, 419-420). ავტორის როლის ასეთი ნიველირება რამდენადმე გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ გასაგებია, რადგანაც, ერთი მხრივ, ავტორის (კომუნიკატორის), ტექსტისა და მკითხველის (ინტერპრეტატორის), ხოლო მეორე მხრივ, ტექსტისა და მკითხველის (ინტერპრეტატორის, კომუნიკანტის) ურთიერთმიმართების პარადიგმა არსებითად შეიცვალა, ტექსტი და მკითხველი ახლა ერთიანდება ენობრივი მოღვაწეობის მთლიან პროცესში.
6. კომუნიკაციის პროცესს ტექსტი ორად ყოფს. პირველ ფაზაში, რომელშიც კომუნიკატორი ინფორმაციას დებს, ტექსტი რამდენადმე პასიური ობიექტია, მეორეში კი კომუნიკატორის მონაცვლე, რომელიც პირდაპირ კავშირს აბამს კომუნიკანტთან და ინფორმაციის უშუალო მიმწოდებლად გადაიქცევა.
7. ტექსტის შესწავლისა და ინტერპრეტაციის ძრითადი თეორია და მეთოდოლოგია არის ჰერმენევტიკა. რამდენადაც ტექსტის ლინგვისტიკა „საზრისის ლინგვისტიკაა", ჰერმენევტიკა ყველაზე უკეთ ესადაგება ტექ-

სტის სპეციფიკას. ენათმეცნიერული ჰერმენევტიკა განსხვავდება ჰერმენევტიკის სხვა სახეებისგან, მას თავისი მეცნიერული საფუძვლები, საზღვრები, კვლევის ობიექტი და ხერხები აქვს.

8. ტექსტი უნივერსალური ენობრივი ფენომენია. ეს პოსტულატი ქმნის შესაძლებლობას ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემების განხილვისას მკვლევარმა/ინტერპრეტატორმა თავისი ვარაუდების ვერიფიკაცია მოახდინოს სხვადასხვა ენის მასალაზე.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვ. ფურცელაძე

შინაარსი

შესავალი 13

ნაწილი პირველი

ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტის ცნების სპეციფიკაციამდე

თავი I

ტექსტის ლინგვისტიკა როგორც თვითმყოფი ენათმეცნიერული დისციპლინა 31

1.0. ტექსტის ლინგვისტიკის წინამორბედი ინტერპრეტაციული მიმართულებები და დისციპლინები 31

1.1. რიტორიკა 31

1.2. მოკლე ექსკურსი ქართული რიტორიკის ისტორიაში 37

1.3. სტილისტიკა 39

1.4. ინტერპრეტაციული სკოლა 42

1.5. ჰერმენევტიკა 45

პირველი ქვეთავის დასკვნები 50

2.0. ტექსტის ლინგვისტიკის ადგილი ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში 52

2.1. ენის სტრატიფიკაციული მოდელი და დონის ცნება 54

2.1.1. ლინგვისტიკური დისციპლინებისა და სამაზისო ერთეულების თანაფარდობა 56

2.1.2. ლანგის, პაროლისა და ლანგაჟის ურთიერთმიმართება 57

2.1.3. დონეების რაოდენობა და მათი განლაგების პრინციპი 60

2.1.4. ენობრივი ნიშნისა და ენობრივი ერთეულის თანაფარდობა 63

2.2. სტრატიფიკაციული მოდელის ძირითადი პარამეტრები 65

2.3. ტექსტის ლინგვისტიკისა და მისი საკვლევი ობიექტის სხვადასხვაგვარი გაგება 67

მეორე ქვეთავის დასკვნები 71

3.0. ტექსტის ლინგვისტიკის დისციპლინათშორისი მიმართებები 72

3.1. ტექსტის ლინგვისტიკა და გრამატიკა 73

3.2. ტექსტის ლინგვისტიკა და ლექსიკოლოგია 75

3.3. ტექსტის ლინგვისტიკა და სტილისტიკა 75
3.4. ტექსტის ლინგვისტიკა და ტექსტოლოგია 76
3.5. ტექსტის ლინგვისტიკა და გრამატოლოგია 78
3.6. ტექსტის ლინგვისტიკა და გრაფიკული ლინგვისტიკა 80
მესამე ქვეთავის დასკვნები 82

თავი II

ტექსტი როგორც ლინგვისტიკური კვლევის საგანი
კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭრილში 83
4.0. კომუნიკაციის ზეპირი და წერილობითი ფორმები 83
4.1. ტექსტის ფართო და ვიწრო გაგება 84
4.2. ტექსტის დეფინიცია 86
4.3. ენისა და ტექსტის ფუნქციების თანაშეწონილობა 86
4.4. ალიენაცია – ტექსტის არსებობის წესი 89
მეოთხე ქვეთავის დასკვნები 93
5.0. ტექსტის კვლევის და ანალიზის ძრითადი პრინციპები 94
5.1. ტექსტის კვლევისა და ანალიზის ძრითადი პრინციპების
მოკლე მიმოხილვა 95
5.2. ტექსტის ლინგვისტიკა – „საზრისის ლინგვისტიკა“
(ო. კოსერიუ). საზრისის კონსტრუირების
ევრისტიკული პრინციპი. ტრანსფრასტული გრამატიკა –
საზრისის კონსტრუირების საშუალება 96
5.3. კომუნიკაციური კომპეტენცია როგორც ტექსტის
ინტეგრალური გაგების საფუძველი (კ. ბრინკერი) 98
მეხუთე ქვეთავის დასკვნები 101
6.0. ტექსტის პოზიცია კომუნიკაციურ მოდელში 101
6.1. ტექსტი სამეტყველო აქტების თეორიის განასერში.
კომუნიკაციური ხდომილების ცნება 102
6.2. წერილობითი კომუნიკაციის ჩარჩო. დეიქტიკური
ველის მთლიანობის დარღვევა 104
6.3. ზეპირი კომუნიკაციის ჩარჩო. დეიქტიკური ველის მთლიანობა 106
6.4. კომუნიკაციური სიტუაციის ცნება 108
6.4.1. სიტუაცია – ზეპირი კომუნიკაციის აუცილებელი
კომპონენტი 108

6.4.2. კომუნიკაციური სიტუაციის მთლიანობის დარღვევა და კომუნიკაციის პარტნიორების დისტანცირება – წერილობითი სიტუაციის აუცილებელი პირობა 110
6.4.3. ბათოსის ცნება 110
მეექვსე ქვეთავის დასკვნები 111
7.0. ტექსტის კლასიფიკაციის მცდელობა 112
7.1. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე ორიენტირებული ტიპოლოგია. კრიტერიუმის შერჩევისა და ტაქსონომიური ერთეულების გამოყოფის განსხვავებული პრინციპები (მ. გვენცაძე, კ.-ე.ზომერფელდტი, მ. პფიუცე და დ. ბლაი, ბ. ზანდიგი, ჰ. იზენბერგი, ვ. მოჩი) 113
7.2. წერისმცოდნეობის ახალი პარადიგმა (გ. ანთოსი) 122
7.3. კომუნიკაციის მედიუმის სპეციფიკა და კომუნიკაციური დისტანციის პრაგმატიკა როგორც ტექსტების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი 125
მეშვიდე ქვეთავის დასკვნები 127

თავი III

ტექსტის მოდელირების მცდელობა 129
8.0. ბათიზმატური ველი როგორც ტექსტის ინტერნული მოდელი 129
8.1. ტექსტემისა და ენგრამის ცნებები 130
8.2. ტექსტი სემიოტიკური მოდელების შუქზე 132
8.3. ბათიზმატური ველის სტრუქტურა 135
მერვე ქვეთავის დასკვნები 138
9.0. ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ძრითადი მიმართულება და ორიენტირები 138
9.1. ფ. შლაიერმახერი. ჰერმენევტიკული მეთოდი. დივინაციის ცნება 139
9.2. ჰ. შტაინთალი. ინტერპრეტაციის საფეხურები 141
9.3. ბ. ულ. ბირე. ინტერპრეტაციის მიზანი – ტექსტის გაგება-გაგებინება. ინფერენციის ცნება 144
9.4. ორდინარული და პუანტირებული ტექსტები 148
მეცხე ქვეთავის დასკვნები 149

ნაწილი მეორე

ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტის ცნების სპეციფიკაციის შემდეგ

თავი IV

ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ასპექტები 153
10.0. ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაცია 153
10.1. ორდინარული ტექსტები 154
10.2. სინტაქსურად პუანტირებული ტექსტები 160
10.3. მორფოლოგიურად პუანტირებული ტექსტები 170
10.4. სიტყვაწარმოებითი საშუალებებით პუანტირებული ტექსტები 173
მეათე ქვეთავის დასკვნები 179
11.0. ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია 180
11.1. ლექსიკურად პუანტირებული ტექსტები 181
11.2. სემანტიკურად პუანტირებული ნარატიული ტექსტები 188
მეთერთმე ქვეთავის დასკვნები 202
12.0. ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაცია 203
12.1. სტილისტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი კრიტერიუმები 205
12.2. პაროდიული ტექსტები 206
12.3. მოკლე ექსკურსი ქართული პაროდიის სამყაროში 212
მეთორმეტე ქვეთავის დასკვნები 214

თავი V

ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ინტერპრეტაცია 215
13.0. წერილობითი ენის სტატუსი 215
13.1. გრაფემისა და ფონემის ურთიერთმიმართება 217
13.2. ასო-ნიშანი თუ გრაფემა? 221
13.3. ბათიზმატური ველის გრაფემულ-გრაფიკული სუბსტრატი 224
მეცამეტე ქვეთავის დასკვნები 228
14.0. ასო-ნიშნების (გრაფემების) გამოყენების სპეციფიკური კონტექსტები 228
14.1. ასო-ნიშანი (გრაფემა) – ენობრივი გამონათქვამის დომინანტი 230
14.2. ორთოგრაფია და ტექსტი 232
14.3. მოკლე ექსკურსი ქართული ტექსტის სამყაროში ანბანთან მიმართებით 237

მეთოთხმეტე ქვეთავის დასკვნები 240
15.0. გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაცია 241
15.1. არამხატვრული პროზაული ტექსტები 242
15.1.1. იურიდიული ტექსტები 242
15.1.2. საგაზეთო რეკლამები 245
15.1.3. საცნობარო ინფორმაციის შემცველი ტექსტები 248
15.2. მხატვრული ტექსტები 255
15.2.1. პროზაული ტექსტები 255
15.2.2. პოეტური ტექსტები 261
15.2.2.1. კონკრეტული პოეზიის ნიმუშები 266
15.2.2.2. აბსურდისტული პოეზიის ნიმუშები 280
15.2.2.3. მოკლე ექსკურისი ქართული პოეტური ტექსტის სამყაროში 282
მეთხუთმეტე ქვეთავის დასკვნები 299
16.0. ტექსტის სხვა შესაძლო ინტერპრეტაციები 305
16.1. ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია 305
16.2. ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაცია 308
16.3. ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ფენისა და ტოპოლოგიური ჩარჩოს უკიდურესი სიმბოლიზაცია 311
16.4. ტექსტის ინტეგრაციული ინტერპრეტაცია 314
მეთექვსმეტე ქვეთავის დასკვნები 333
რეზიუმე 335
Kurzfassung (მოკლე ვერსია) 342
ბიბლიოგრაფია 375
გოლოთქმა 389

შესავალი

ტრიადა ადამიანი – ყოფიერება – ენა გამოხატავს მიმართებას, რომელიც დროს არ ემორჩილება და არც აქტუალობას კარგავს. მარტინ ჰაიდეგერის გამონათქვამი „Haus des Seins ist die Sprache" (HEIDEGGER, 1986:267) – „ყოფიერების სახლი არის ენა" აფორიზმად იქცა და იმდენად ცნობილია, რომ ციტატის სახით თითქმის აღარც მოიხსენიება და ავტორის მითითებასაც არავინ თვლის საჭიროდ. ამ ტრიადის გაშლა ასე შეიძლება: თუ ყოფიერების სახლი არის ენა, მაშინ ენის სახლი არის ტექსტი.

ენა განასიტყვებს ყოფიერებას, არის აზრისა და გრძნობის გამოხატვის საშუალება, ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე. სწორედ ის ხდის ამ ბიოლოგიურ არსებას ადამიანად. ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ მაკროკოსმოსად, რომელიც ყოფიერებას ასახავს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ხოლო ტექსტი, შესაბამისად, მიკროკოსმოსად, რომელშიც სათანადო ენობრივი ფორმით გამოხატული ყოფიერების ცალკეული ფრაგმენტია დაფიქსირებული. მიკროკოსმოსი მცირე მასშტაბით არეკლავს მაკროკოსმოსის მრავალსახეობას და თავადაც მრავალსახაა. ენა უთვალავ ტექსტად განსხეულდება კომუნიკაციის პროცესში და ტექსტები ენის სისტემის აქტუალიზებული ელემენტების ერთობა, ენის ობიექტური არსებობის წესია.

ტექსტი (ლათ. textum გერმ. Gewebe) ნიშნავს „ნაქსოვს". იგი იქმნება სემიოტიკური ნიშნების გამოყენებით, წარმოადგენს რთულ კონსტრუქციას და იმდენ ნიმუშად შეიძლება მოგვევლინოს, რამდენი კომუნიკაციური აქტიც შეიძლება შედგეს.

ტექსტის მრავალსახეობა და მრავალმხრივობა განაპირობებს იმას, რომ იგი რამდენიმე, ხშირად ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული, მეცნიერული დარგის კვლევის არეალში ექცევა. მკვლევრები ტექსტში ეძებენ მათთვის საინტერესო ობიექტს, რომლის შეცნობა ვერბალური გამონათქვამის მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგრამ, ბუნებრივია, მათ არ აინტერესებთ ტექსტის ონტიური მხარე. ლიტერატურათმცოდნისათვის ტექსტი მხატვრული ნაწარმოებია, ფოლკლორისტისათვის – ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში, კომპოზიტორისათვის – ლიბრეტო, ჟურნალისტისათვის – რეპორტაჟი, პოეტისათვის – ლექსი... ყოველი მათგანი ადამიანის მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს განეკუთვნება და იმავდროულად ენობრივ წარმონაქმნს წარმოადგენს.

ტექსტისადმი მიმართება უფრო ჰომოგენურია ენათმეცნიერული დისციპლინების მხრივ. ისინი ხომ ენის სისტემისა და სტრუქტურის ელემენტებს ადგენენ ტექსტის მეშვეობით: გრამატიკა – მორფოლოგიურ და სინტაქსურ კატეგორიებს, ლექსიკოლოგია – სიტყვების სემანტიკურ მიმართებებს, ფონოლოგია – სოციალურად ღირებული ბგერების ფუნქციონირების კანონზომიერებებს და ა.შ. ტექსტში მოძიებულ მონაცემებს მკვლევრები სწავლობენ თავისი კერძო მეცნიერული მიზნების შესაბამისად, ახდენენ მათ განზოგადებას და

კლასიფიკაციას, განიხილავენ ენის სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, ანიჭებენ მათ სტატუსს. ამრიგად, ენის სისტემურ-სტრუქტურული ელემენტების მეცნიერული შესწავლის ძირითადი საშუალება არის მათზე დაკვირვება ტექსტში, მაგრამ რას წარმოადგენს თავად ტექსტი? რომელი მეცნიერული დისციპლინის კომპეტენციაში შედის მისი ონტიური არსის გახსნა და სტატუსის დადგენა?

1. ჰაინრიხ ფ. პლეტის წიგნს *„Textwissenschaft und Textanalyse"* ქვესათაურად აქვს „სემიოტიკა, ლინგვისტიკა, რიტორიკა", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტექსტის შემსწავლელი მეცნიერება ავტორს წარმოუდგენია როგორც ინტერდისციპლინური დარგი. *სემიოტიკური* თვალსაზრისით ტექსტში სამმაგი მიმართებაა გამოხატული: ნიშანსა და ნიშანს შორის (სინტაქტიკა), ნიშანსა და მის გამოყენებას შორის (პრაგმატიკა), ნიშანსა და რეალურ სამყაროს შორის (სემანტიკა). როგორც კი ენობრივი ასპექტი წამოიწევა წინა პლანზე, სემიოტიკა ადგილს უთმობს *ლინგვისტიკას*, რომელიც მხოლოდ მრავალთაგან ერთ-ერთი შესაძლებლობაა სემიოტიკის მიერ დადგენილი ჩარჩოს შევსებისა და დაკონკრეტებისა. *რიტორიკა*, როგორც ტექსტმცოდნეობის შემადგენელი ნაწილი, შემოიფარგლება მჭევრმეტყველებითი ფიგურების (elokutio-Stil) სფეროთი. მისი ფუნქცია მდგომარეობს ტექსტოლინგვისტიკურ ბაზაზე დაყრდნობით ენობრივი ესთეტიზირების პრობლემის გადაჭრაში (PLETT, 1979:5).

ტოინ ვან დეიკის *„ტექსტმცოდნეობის"* ქვესათაური „Eine interdisziplinäre Einführung" ხაზს უსვამს მეცნიერების ამ დარგის დისციპლინათაშორის ხასიათს. ავტორის აზრით, ტექსტთან მიმართება მრავალ მეცნიერულ დისციპლინას აქვს და ყოველ მათგანს თავისი მიზანი ამოძრავებს. ტექსტმცოდნეობა განვითარების პროცესში იმყოფება, ამიტომ მისი პროგრამა შეიძლება წარმოდგენილ იქნას მხოლოდ ფრაგმენტულად და არა ყოვლისმომცველი მასშტაბით. ტექსტის სტრუქტურის აღწერაში თავისი წვლილი შეუძლია შეიტანოს ენათმეცნიერებამ, ლიტერატურათმცოდნეობამ, რიტორიკამ, არგუმენტაციის თეორიამ, ნარატოლოგიამ და სტილისტიკამ. ამჟამად მსჯელობა შეიძლება ტექსტმცოდნეობაზე ვიწრო გაგებით. განვითარების შემდგომ საფეხურზე მოსალოდნელია მასთან სოციალური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, ისტორიული მეცნიერებების და ფსიქიატრიის ინტეგრირება. მაშინ შესაძლებელი გახდება ტექსტმცოდნეობის ცნების გაფართოვება.

ცნება „ტექსტთმცოდნეობა" არც თუ ისე ბევლია, მან სულ რამდენიმე წლის წინ მოიკიდა ფეხი. ეს დისციპლინა ფრანგულად იწოდება „science du texte", ინგლისურად „discourse analysis", თუმცაღა ბევრად ადრე ცნობილი იყო როგორც „Textanalyse" და „Textinterpretation", რომლებიც უპირატესად ლიტერატურული ტექსტების კონკრეტულ აღწერაზე იყო ორიენტირებული. ტექსტთმცოდნეობის მიზნები კი უფრო ზოგადი და მრავალმხრივია. მას აინტერესებს როგორც ტექსტის ტიპები და კონტექსტები, ასევე მისი შესწავლის თე-

ორიული, დესკრიფციული და გამოყენებითი მხარე. ის თავის ამოცანას ხედავს ენის გამოყენებისა და კომუნიკაციის ფორმების სხვადასხვა ასპექტით აღწერასა და ახსნაში. ამ ამოცანას ნაწილობრივ ასრულებს ენათმეცნიერება, მაგრამ იგი იფარგლება წინადადების სტრუქტურისა და ფუნქციონირების აღწერით. რამდენადაც ენის გამოყენება და კომუნიკაცია უპირველეს ყოვლისა ტექსტების მეშვეობით ხორციელდება, მიზანშეწონილია, მათი ტიპები, სტრუქტურები და ფუნქციონირების პირობები გაანალიზდეს ისეთ დისციპლინათშორის მეცნიერებაში, როგორიცაა ტექსტთმცოდნეობა. ანალიზის ობიექტი შეიძლება იყოს: ყოველდღიური დიალოგი, თერაპევტული საუბარი, საგაზეთო სტატია, მოთხრობა, რომანი, ლექსი, სარეკლამო ტექსტი, წარმოთქმული სიტყვა, ინსტრუქცია, წარწერა და ა.შ. (VAN DIJK, 1980:VII-IX, 1-17).

ტექსტის შემსწავლელი მეცნიერებისათვის ძირითად ნიშნად დისციპლინათშორისი ხასიათის მიწერას მხოლოდ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი იზიარებს. როგორც ჩანს, მეორე ნაწილი ადეკვატურად არ თვლის ტერმინს „ტექსტთმცოდნეობა“, უპირატესობას ანიჭებს „ტექსტის ლინგვისტიკას“, მას ამოცანად უსახავს, ერთი მხრივ, ტექსტის განსაზღვრას და მისი ტიპების დადგენას, მეორე მხრივ, კი ერთმანეთთან სისტემურად დაკავშირებული ენობრივი ელემენტების აღწერას, რომელთა მეშვეობითაც კომუნიკაციის ძირითადი ერთეული იქმნება.

რაც შეეხება სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან კავშირს, ტექსტის ლინგვისტიკა მას სათანადო ადგილს უთმობს. არ ივიწყებს არც რიტორიკას და სტილისტიკას, რომლებიც ტრადიციულად წინადადებაზე უფრო დიდ ერთეულებს იკვლევენ, არც ფილოლოგიურ დისციპლინებს, როგორიცაა ენის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა და ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურული ჟანრების თეორია და სხვა (LINKE u.a., 1994:212-213). მათი რეფლექსები ცოცხლობენ და ახალ სახეს იძენენ ამ შედარებით ახალ, მაგრამ უკვე თვითმყოფ ენათმეცნიერულ დისციპლინაში და მათთან კავშირის გარეშე მას გაუჭირდებოდა არსებობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ტექსტის ლინგვისტიკის ქორონიკონი ოფიციალურად თარიღდება XX საუკუნის 60-იანი წლებით, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი პრობლემაა გადასაწყვეტი მის ასე თუ ისე საბოლოო ჩამოყალიბებამდე, რამდენი ცნება/ტერმინია დასაზუსტებელი და დასახვეწი, რამდენი მეთოდი და ანალიზის ხერხი დასამკვიდრებელი.

2. ტექსტის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა გადის ენობრივი კომუნიკაციის თეორიაზე, რომელიც თავის მხრივ თავსდება უფრო მაღალ იერარქიულ მიმართებაში ენა – მოღვაწეობა. მოღვაწეობა (Tätigkeit, деятельность) ჩვეულებრივ განიმარტება როგორც სინამდვილისადმი ადამიანის აქტიური მიმართების ფორმა. მის არსებით ნიშნად მიჩნეულია შეგნებული და მიზანმიმართული დამოკიდებულება ობიექტისადმი, რაც გულისხმობს მოქმედების მოტივისა და მიზნის წინასწარ განსაზღვრას, ობიექტისა და მედიუმის თავისებურებების გათვალისწინებას. სუბიექტიდან მომდინარე ზემოქმე-

დება მხოლოდ სუბიექტზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც ობიექტი ურთიერთობის პროცესში არ შეიძლება იყოს სავსებით პასიური, ინერტული. მოლვაწეობა ეფუძნება მიმართებას S⇔O და ორმხრივია.

ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობა ადამიანის არსებობის უმნიშვნელოვანესი სფეროა. მისი მონაწილეები, კომუნიკატორი და კომუნიკანტი, ცნობიერების მქონე არსებებია. კომუნიკატორი სუბიექტია, რომელიც იწყებს კომუნიკაციას, კომუნიკანტი ობიექტია, რომელზედაც მიმართულია სუბიექტის ინტენცია. მაგრამ, როლების ასეთი განაწილება შეფარდებითია, რადგანაც კომუნიკაციის პროცესში როლები განუწყვეტლივ იცვლება.

ენობრივი კომუნიკაციის მოდელი გარდა კომუნიკატორისა და კომუნიკანტისა, შეიცავს აგრეთვე მედიუმის კომპონენტს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაცია. მედიუმის უმარტივესი ერთეული ან აკუსტიკურია (ფონემა), ან ვიზუალური (გრაფემა). ისინი წარმოადგენენ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის რელევანტურ ერთეულებს, რომელთა კომბინაციები და კონსტრუქციები ურთიერთობის პროცესში იძენენ ზეპირი გამონათქვამის (დისკურსის) ან წერილობითი წარმონაქმნის (ტექსტის) სახეს. ადამიანები კომუნიკაციას ახორციელებენ სწორედ ამ ძირითადი ერთეულების მეშვეობით და არა წინადადებებით, მით უფრო, ფონემებითა და გრაფემებით. დისკურსისა და ტექსტის კვლევა აუცილებლად მოითხოვს კომუნიკაციური გარემოსა და კოგნიტიური მიმართებების გათვალისწინებას, რადგან ეს ექსტრალინგვისტური ფაქტორები გვეხმარებიან მედიუმის დანიშნულების, სუბიექტის ინტენციის, ენისა და ცნობიერების (იდეალური) შინაარსების ურთიერთმიმართების გარკვევაში.

3. საკამათო რჩება ტექსტისა და დისკურსის, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსული ლინგვისტიკის/ანალიზის გამიჯვნის საკითხი. როგორც ტერმინების პირველი, ისევე მეორე წყვილი სინონიმურად მოიხმარება. მათი დეფინიციები სიზუსტეს მოკლებული, ხშირად ბუნდოვანი და ტერმინოლოგიური სიტყვისთვის არასასურველი მრავალმნიშვნელიანობით ხასიათდება. მათ დამკვიდრებას ხშირად იმით ხსნიან, რომ „...ზოგიერთ ევროპულ ენაში, რომელსაც არ გააჩნია ანგლო-ფრანკული „დისკურსის" შესატყვისი ტერმინი, იძულებული გახდნენ შეეცვალათ იგი ტერმინით „ტექსტი" და, ამრიგად, ელაპარაკათ ტექსტის ლინგვისტიკაზე" (СТЕПАНОВ, 1983:488).

ამ პრობლემის გადაჭრა უშუალოდ უკავშირდება წერილობითი ენისა და ზეპირი მეტყველების ურთიერთმიმართებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინის შერჩევის დროს მხოლოდ თეორიული კრიტერიუმები არ არის გასათვალისწინებელი, არამედ ამოსავალი ლექსემის სემანტიკური სტრუქტურა, შინაფორმა და უზუსიც. ასე, მაგალითად, ქართველისათვის არსებობს „დედაენა", რუსისათვის „родная речь", გერმანელისათვის „Muttersprache" (ქართულსა და გერმანულში მოტივაცია ერთმანეთს ემთხვევა). რუსულ ენაში მოიხმარება როგორც „письменный язык", „письменная речь", „письменная

форма языка", ასევე „устный язык", „устная речь", „устная форма языка" (АМИРОВА, 1972:152-156). გერმანულში გვხვდება „mündliche Rede" და „schriftliche Rede", „Sprechsprache" და „Schreibsprache", „gesprochene Sprache" და „geschriebene Sprache" (RAHNENFÜHRER, 1986:65-68). ქართველისთვის უჩვეულოა „წარმოთქმული ენა" და „დაწერილი ენა", „ზეპირი ენა" და „წერითი ენა". ბევრ ადგილას, იქ, სადაც რუსი „речь"-ს ხმარობს, ქართველი და გერმანელი არჩევს „ენას" და „Sprache"-ს.

გერმანულენოვან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, როცა ის არ განიცდის ანგლო-ფრანკულის ძლიერ გავლენას, უპირატესობა ენიჭება ტერმინს „ტექსტის ლინგვისტიკა". „ტექსტი" უმეტეს შემთხვევაში იხმარება წერილობითი წარმონაქმნის, ხოლო „დისკურსი" ზეპირი, დიალოგური მეტყველების („Gespräch", „Verhandlung") აღსანიშნავად (HELBIG, 1969:872). „ტექსტის" გამოცალკევება უმეტესად „ზეპირი-წერილობითი" ოპოზიციის ფონზე ხდება, მაგრამ ზოგჯერ იგი იღებს „მენტალურ-მატერიალიზებული მიმართულების" სახეს. ასეთ შემთხვევაში „დისკურსი" განიმარტება როგორც ენობრივი გამონათქვამის აქტი, „ტექსტი" როგორც მატერალიზებული (ვერბალური) „დისკურსი". „ლიტერატურული დისკურსი" ნიშნავს არა მატერიალიზებულ წარმონაქმნს, არამედ მის მენტალურ სტრუქტურას (ЯКОБСОН, 1975:441).

ბოლო წლების გერმანულენოვან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში სულ უფრო იკვეთება ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსული ანალიზის გამიჯვნის აუცილებლობა. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ანგელიკა ლინკეს, მარკუს ნუსბაუმერის, და პაულ ლ. პორტმანის „Studienbuch Linguistik", რომლის მეორე ნაწილი შეიცავს ხუთ მონაკვეთს: 6.Textlinguistik, 7. Gesprächanalyse, 8. Soziolinguistik, 9.Psycholinguistik, 10.Historiolinguistik. ამ ნაწილის შესავალში ვკითხულობთ: „ In der Gesprächanalyse und in der Textlinguistik werden die zwei wohl wichtigsten konkreten Erscheinungsformen der Sprache betrachtet, in denen Sprache soziale Funktion bekommt, d.h. intersubjektiv wirksam wird: Gespräche und (geschriebene) Texte. In beiden Disziplinen geht es um die Analyse der besonderen Bedingungen, unter denen Sprache in Gesprächen bzw. Texten gebraucht wird, und um die Regularitäten, die hier zu beobachten sind" (LINKE u.a., 1994:205-206).

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ საჭიროა ტექსტის ლინგვისტიკის გამიჯვნა დისკურსულისგან და ეს განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როდესაც წინა პლანზე წამოიწევა წერილობითი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულის, ტექსტის სპეციფიკის დადგენა, მისი სტრუქტურის აღწერა და სტატუსის განსაზღვრა.

4. ტექსტის გაგება არაერთგვაროვანია. იგი მერყეობს ძალზე ფართო გაგებიდან, როდესაც ტექსტად მიიჩნევა ნახატი და ადამიანის მთელი ცხოვრება, ძალიან ვიწრო გაგებამდე, როდესაც ტექსტად ითვლება შორისდებული. ორივე შემთხვევაში ტერმინ „ტექსტს" ვერბალური გაშიფვრა ესაჭიროება.

ტექსტის კვლევაში პირობითად მკვლევართა ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. პირველის წარმომადგენლები ახდენენ ტექსტის როგორც კომუნიკაციის ძირითადი (უმაღლესი) ერთეულის პოსტულირებას და დეფინიციის ჩამოყალიბებას აღარ თვლიან საჭიროდ, არც მისი სუბსტანციური არსის გახსნას ცდილობენ. მათთვის არა აქვს მნიშვნელობა ეს ენობრივი ფენომენი წერილობითი წარმონაქმნია, თუ ზეპირი გამონათქვამი, თუმცა ანალიზის ობიექტად უპირატესად წერილობითს იღებენ. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ტექსტი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ წერილობით წარმონაქმნს, მაგრამ ანალიზის პროცესში და კვლევის შედეგებში არა ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექსტის ამ მახასიათებელს.

ტექსტის როგორც წერილობითი წარმონაქმნის კვალიფიცირებას ზოგიერთი მეცნიერი ვიწრო გაგებად და წინარემეცნიერულად თვლის. ეს მოძველებული, პრიმიტიული გაგებაა, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკას ვერაფერს შემატებსო. ჩვენი აზრით, ეს საყვედური არ იქნება მართებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცნება „ტექსტი" ახალი სემანტიკური კომპონენტებით უნდა გაფართოვდეს, ხაზი გაესვას იმას, რომ ტექსტი არის არა მარტო **წერითი** (თუმცა არც ეს არის უმნიშვნელო), არამედ პირველ რიგში **წერილობითი** წარმონაქმნი და საქმე არსებითად ეხება არა იმას, იგი წერის თუ წარმოთქმის გზით არის პროდუცირებული, არამედ იმას, რომ ის აზროვნების და შემეცნების პროცესის გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით განხორციელების, ისევე როგორც ცნობიერების შინაარსების სემიოტიკური ნიშნებით გადმოცემის შედეგია. **ტექსტი არის ადამიანის ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი მანიფესტაცია**, რაც მას არსებითად განასხვავებს ზეპირი გამონათქვამისგან. ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ პრობლემად რჩება სწორედ ამ განსხვავებების გამოკვეთა, თანამედროვე მეთოდებით ემპირიული მასალის გაანალიზება, განზოგადება და სათანადო დასკვნების გამოყვანა.

გავრცელებულია ზეპირი მეტყველების პრიმატის აღიარება და მოსაზრება, რომ ჯერ იყო მეტყველება, შემდეგ – წერა. არსებობს ამ მტკიცების კრიტიკის ცდა, როცა არ არის გამორიცხული იმის დაშვებაც, რომ ადამიანმა განსაზღვრულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, როდესაც მას აუცილებლობით დაჭირდა კომუნიკაციის განხორციელება, ჯერ შექმნა (დახატა, დაწერა) რაღაც ნიშანი და შემდეგ წარმოთქვა.

ამასთან დაკავშირებით, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ერთი ადგილი **ჟაკ დერიდას** წიგნიდან „გრამატოლოგია": „Wie man weiß, betonten beispieelweise Metschnaninow" (დაწერილობა დაცულია – ვ. ფ.), Marr und später Lukotka, daß die Schrift der phonetischen Sprache vorangeht" (DERRIDA, 1983:18). ეს მოსაზრება შეიძლება სადავო და ძნელად დასამტკიცებელი იყოს, მაგრამ ცხადია და უდავო, რომ დამწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარებაში ძალზე დიდია. და ეს ასეა ისტორიული თვალსაზრისით, თანამედროვე ვითარების და მომავლის მიხედვითაც. მიუხედავად აუდიო-ვიზუალური ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარებისა, ისევ განუზომლად დიდია წე-

რილობითი კომუნიკაციის როლი. შეიძლება ითქვას, დღეს წერილობითი კომუნიკაცია ისევე (ან უფრო) მნიშვნელოვანია, როგორც (ვიდრე) ზეპირი.

ჰანს გლინცის ჰიპოთეზა წერილობითი კომუნიკაციის პრიმატის შესახებ საინტერესო და აქტუალური ჩანს (GLINZ, 1986:31). ამ ჰიპოთეზის მეცნიერული დასაბუთებისათვის აუცილებელია თეორიული დებულებების ჩამოყალიბება, ემპირიული მასალის მრავალმხრივი ანალიზი, ტექსტის როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი მანიფესტაციის სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების დადგენა.

5. ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის სტატუსის დადგენის პრობლემა უკავშირდება ენის სტრატიფიკაციული მოდელის გაგებას. ენობრივი დონის ცნება მოიაზრება როგორც ენის სისტემის ქვესისტემა, რომლის საბაზისო ერთეულებისთვის დამახასიათებელია მიმართებების ერთგვაროვნება (შდრ. მორფემა და მორფემების, ლექსემა და ლექსემების უერთიერთმიმართება). სისტემის ნაწილს ენიჭება დონის სტატუსი, თუ მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საბაზისო ერთეული. გამოიყოფა ფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური დონეები, რომლებიც, ისევე როგორც მათი საბაზისო ერთეულები, ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში არიან. ამასთან, დონეები თავსდება ენის სისტემის (ლანგის) ფარგლებში. თუ დონის ამ ვიწრო გაგებიდან ამოვალთ, ტექსტემა ვერ ჩაითვლება საბაზისო ერთეულად და ტექსტის ლინგვისტიკა ვერ მოიპოვებს თავის ადგილს ენათმეცნიერული დისციპლინების სტრატიფიკაციულ მოდელში.

მაგრამ არსებობს აგრეთვე ენობრივი დონის ფართო გაგება, რომელიც არ იფარგლება ლანგით და განავრცობს მის საზღვრებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით საბაზისო ერთეულებად მიიჩნევა ფონემა, მორფემა, ლექსემა, სიტყვა, სინტაქსემა, ტექსტემა. შესაბამისად, გამოიყოფა ენათმეცნიერული დისციპლინები: ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, სინტაქსი, ტექსტის ლინგვისტიკა. დაშვებულია შუალედური დონის ცნებაც, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვაწარმოება (თავსდება გრამატიკასა და ლექსიკოლოგიას შორის). ფართო გაგებით დონეებად ითვლება აგრეთვე ე.წ. გამოხატულებისა და შინაარსის პლანები.

დონის სტატუსთან დაკავშირებით დავას იწვევს ისეთი საკითხები, როგორიცაა დონისა და საბაზისო ერთეულის მიმართება, დონისა გამოყოფის კრიტერიუმები, მათი რაოდენობა, არსი. რას წარმოადგენს იგი, ენის ონტიურ ფენას, თუ ლინგვისტიკური აღწერის ფაზას? დასაშვებია თუ არა ტექსტემის ჩათვლა საბაზისო ერთეულად და ტექსტის ლინგვისტიკის დონედ? მონოგრაფიაში კვლევის ამოსავალ პუნქტად პოსტულირებულია დონისა და საბაზისო ერთეულის ფართო გაგება, რომელიც არ იფარგლება სისტემით (ლანგით). საბაზისო ერთეული შეიძლება იყოს მონოლატერალური, ბილატერალური ან მულტილატერალური (კონსტრუქცია, სუპერნიშანი). დონე არის ლინგვისტიკური აღწერის ფაზა, რომელიც ასახავს (თუმცა არა შეფარდებით 1:1) ენის ონტიურ მდგომარეობას და წარმოადგენს ოპერაციული კვლევის საფეხურს. ტექსტის

ლინგვისტიკა მიჩნეულია თვითმყოფ ენათმეცნიერულ დისციპლინად, ხოლო ტექსტემა მის საბაზისო ერთეულად.

6. ტექსტის ლინგვისტიკაში გამოიყოფა კვლევის ორი მთავარი მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია ენის სისტემისა და მისი აქტუალიზების ცნებებთან. პირველი იწოდება პროპოზიციულ (სტატიკურ), მეორე – კომუნიკაციურ (დინამიკურ) მიდგომად. პროპოზიციული მიმართულება ამოდის წინადადებიდან და მიემართება ტექსტისკენ (წინადადება⇒ტექსტი). იგი მოიცავს ტექსტის შიდასტრუქტურული მიმართებების, მინიმალური ერთეულების გადაჯაჭვის საშუალებებს, სემანტიკური და ფუნქციური თავისებურებების კვლევას, ტექსტის დისკრეტაციას, ტექსტის კატეგორიების დადგენას და ა.შ. კომუნიკაციური მიმართულება ამოდის ტექსტიდან და დადის წინადადებამდე (ტექსტი⇒წინადადება). იგი ტექსტს თვლის კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად და განიხილავს ისეთი ფაქტორების კონტექსტში, როგორიცაა კომუნიკაციის გარემო, მიზანი, საგანი, მონაწილეების ურთიერთმიმართება.

სტატიკური და დინამიკური ასპექტების გამოყოფა სავსებით გამართლებულია საკვლევი ობიექტის ორი რაკურსით განხილვის პოზიციიდან. მაგრამ მათი სავსებით იზოლირება ერთმანეთისაგან მიზანშეწონილი არ არის და შეუძლებელიც კია. აქ შეიძლება მხოლოდ ერთის ან მეორის პრიორიტეტულობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, თუ რაზე შეაჩერებს მკვლევარი თავის ყურადღებას.

დინამიკურობა და სტატიკურობა ერთი მოცემულობის ორი მდგომარეობაა. დინამიკურობა მიიღწევა სტატიკური ფაზების მონაცვლეობით, სტატიკურობა დინამიკური პროცესის შედეგია. ტექსტი იქმნება ცალკეული ფაზების გადაბმით და საბოლოო ჯამში წარმოადგენს სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ წარმონაქმნს, რომელზედაც აღბეჭდილია ცალკეული ფაზების განვითარების დინამიკა. აქედან გამომდინარე, საჭირო არის არა ამ ორი ასპექტის გაცალკევება, არამედ მათი ინტეგრირება, სისტემურ-ფუნქციონალური მიდგომა. ტექსტი წარმოადგენს ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობის წერილობით მანიფესტაციას. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ იგი არის წერილობით დაფიქსირებული, წარმოადგენს ენობრივი მოღვაწეობის შედეგს და როგორც ასეთი, სტატიკურ მდგომარეობაში შეჩერებული წარმონაქმნია. მკვლევარს უნდა აინტერესებდეს, თუ როგორია მისი ინტერნული სტრუქტურა, კომპონენტების ურთიერთმიმართება, მისი სუბსტანციური არსი, რას წარმოადგენს იგი მთლიანობაში, შესაძლებელია თუ არა მისი მოდელის კონსტრუირება, რომელიც იმ უამრავი კონკრეტული ნიმუშის აბსტრაქცია იქნება, კომუნიკაციის მონაწილეებს რომ ეძლევა გამოცდილებაში. ეს ძირითადი ინტერესი კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს ტექსტის განხილვას დინამიკაში, რომელიც ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული: როგორც ტექსტის ჩართვა კომუნიკაციის პროცესში (1) და ტექსტის შექმნის პროცესის აღწერა, რომლის შედეგია დასრულებული ტექსტი (2).

7. ტექსტი მისი ონტიური არსისა და ფუნქციების შესაბამისად მონოგრაფიაში განიხილება რამდენიმე ასპექტით, რომელთაგან განსაკუთრებული

ადგილი მიეკუთვნება მის სუბსტანციურ მახასიათებლებს (იმას, რაც ტექსტს ტექსტად აქცევს). ტექსტის ინტერპრეტაცია ხდება როგორც ხუთფენიანი ბათიზმატური ველის მქონე კონსტრუქციისა. ამასთანავე შეიძლება ხუთივე ფენა ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს და ტექსტს ორდინარული სახე ჰქონდეს, ან ბათიზმატური ველი განიცდიდეს დესტრუქციას და პუანტირებული იყოს. დესტრუქცია და პუანტირება არის ის დევიაციური მოვლენები, რომლებიც ძირითადად გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით მიიღწევა, ვიზუალურად აღიქმება, ტექსტის მრავალი ნიმუშის, მათ შორის ფიგურულის, შექმნის საშუალებას იძლევა და ესთეტიკურ ეფექტს აღწევს.

ტექსტის სუბსტანციური განსაზღვრულობიდან გამომდინარეობს მისი არსებობის ძირითადი წესი **ალიენაცია**, რომლის საფუძველია ანბანის ემანსიპაცია. ანბანის შექმნამ და დამწერლობის განვითარებამ ტექსტი გადააქცია უნივერსალურ კომუნიკაციურ საშუალებად, რომელიც არ არის შეზღუდული არც სივრცით, არც დროით, იქვემდებარებს აწმყოს, წარსულს და მომავალს, განურჩევლად ემსახურება ყველა დროისა და რანგის ადამიანს, თავადაც ექვემდებარება ისტორიის მსვლელობას, ვითარდება და იხვეწება აზროვნების განვითარების კვალდაკვალ, ესადაგება ყოველი საზოგადოების გონებრივ და სულიერ მოთხოვნებს, მის გემოვნებას. ტექსტი არის ენის არსებობის ექსპლიციტური ფორმა, ენის საცხოვრისი. მასში – უსულო არსებაში – აისახება ადამიანის როგორც გონიერი სულიერი არსების ენობრივი მოღვაწეობა. იგი ამ მოღვაწეობის საშუალება და შედეგია, ადამიანის ცხოვრების გასაგნებული ანაბეჭდია. როგორც დამოუკიდებელი უსულო არსება იგი თავის თავში იტოვებს ადამიანის გონებრივი შემოქმედებისა და სულიერი მდგომარეობის კვალს. ტექსტი ადამიანს ადამიანივით ესიტყვება. იგი კომუნიკაციის მონაწილის უსულო ფუნქციური სუბსტიტუცია, რომლის მეშვეობითაც კომუნიკანტი თავის წარმოსახვაში აცოცხლებს კომუნიკატორის ნააზრევს, იღებს მის მიერ გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით ტექსტში ჩადებულ ინფორმაციას.

თუ ტექსტის სუბსტანციურ განსაზღვრებებს სიღრმეში ჩავწვდებით, აღმოჩნდება, რომ მას ფუნქციურ საფუძველს დამოუკიდებელი არსებობა უქმნის. ტექსტის არსებობის ამ წესის აღსანიშნავად მონოგრაფიაში შემოთავაზებულია ტერმინი ალიენცია (ლათ. alienatio გერმ. Alienation, Entfremdung რუს. отчуждение), რომელიც ნიშნავს „გაუცხოებას“, „მოწყვეტას“, „გაწყვეტას“, „გადასვლას“. „ალიენაცია“ მრავალმნიშვნელობიანი ტერმინია. ენციკლოპედიურ და სპეციალურ ლექსიკონებში იგი განიმარტება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგიის ველის ფარგლებში. ლინგვისტიკურ ლექსიკონებში იგი არ არის დაფიქსირებული, თუმცა ენათმეცნიერულ შრომებში გვხვდება. **ალიენაცია მონოგრაფიაში მოიაზრება, როგორც ტექსტის მოწყვეტა ავტორისაგან (ალიენატორისაგან), როდესაც ის დამოუკიდებელ არსებობას იწყებს, ყველას შეიძლება ეკუთვნოდეს განურჩევლად სივრცისა თუ დროისა და არავისი არც იყოს.** ამასთანავე, ალიენატორი რჩება მის ნომინალურ პატრონად, რომლის ძალა და ნება მასზე აღარ ვრცელდება. რაც ტექსტში წერია,

იმას გაქრობა არ უწერია. ავტორმა შეიძლება შეცვალოს მიმართება საკუთარი ტექსტისადმი, უარყოს იგი ან გადააკეთოს, მაგრამ თუ პირველს „გაასხვისებს“, უკან ვეღარ დაიბრუნებს. ახალი ან შეცვლილი პოზიცია ახალი ტექსტით უნდა გამოხატოს. ტექსტის არსებობის ამ წესის წინა პლანზე წამოწევით შესაძლებელი ხდება ტექსტის ბევრი არსებითი ნიშნის გაცნობიერება, ახალი თვალით დანახვა და განზოგადება.

ალიენაციის როგორც ენობრივი ფენომენის გავლენა ტექსტის ვიზუალურ-ესთეტიკურ მხარესა და ფუნქციონირებაზე, შეიძლება ითქვას, არ დამდგარა ენათმეცნიერული კვლევის ცენტრში. ამ ხარვეზის შესავსებად აუცილებელია გრაფიკული ლინგვისტიკის მონაპოვრის გათვალისწინება, ტექსტის კვლევაში გრაფემულ-გრაფიკული პარამეტრის შემოტანა და თვალის გადევნება, რა რეფლექსიებს იძლევა იგი განტექსტებულ ენობრივ წარმონაქმნში.

8. ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი მწვავე საკითხია მეთოდის შერჩევა. არის აზრი, თითქოს შეუძლებელი იყოს ერთი ზოგადი მეთოდის გამოყენება, რომელიც ყოველგვარი ტექსტის ინტერპრეტაციას უზრუნველყოფს და ყველა მკვლევრის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ მკვლევრები სხვადასხვა მეთოდებს ირჩევენ იმის მიხედვით, თუ რა პოზიციიდან უდგებიან ტექსტს, რა აინტერესებთ მასში და რას თვლიან ყველაზე უფრო რაციონალურ მეთოდად. მონოგრაფიაში შესაძლებლად არის მიჩნეული ტექსტისადმი მიდგომის ზოგადი პრინციპის შერჩევა, რომელზედაც დაფუძნებული იქნება ნებისმიერი ტექსტის ინტერპრეტაცია. თავისთავად ცხადია, რომ შეუძლებელია ტექსტების უთვალავი რაოდენობის ერთ თარგზე აჭრა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა ისეთი კერძო მეთოდის გამოყენება, რომელიც ესადაგება კონკრეტულ საანალიზო მასალას. მაგრამ ტექსტისადმი კომუნიკაციური მიდგომა მკვლევარს კარნახობს ყველანაირი ანალიზის მიზნად პირველ რიგში დაისახოს **გაგება**. კომუნიკაციის პროცესი შედეგს ვერ გამოიღებს, თუ არ იარსებებს ურთიერთგაგება კომუნიკატორსა და კომუნიკანტს შორის, თუ კომუნიკატორი ისე არ ააგებს ტექსტს ან ზეპირ გამონათქვამს, რომ მისი განზრახვა გაიგოს კომუნიკანტმა. ამიტომ კომუნიკატორი სავსებით შეგნებულად უდგება კომუნიკაციის პროცესს, მხედველობაში იღებს ტექსტის პრაგმატიკულ ასპექტს, ენობრივ შესატყვისობას გამოსახატავ აზრთან, კომუნიკაციის არხის სუბსტანციურ მახასიათებელს (ფონემურსა და გრაფემულს). ეს სწორედ ის წინარე კომუნიკაციური პირობებია, რომელთა ცოდნა სამართლიანად სავალდებულოა კომუნიკაციის პარტნიორთათვის, და ცნობილია **კომუნიკაციური კომპეტენციის** სახელით. ეს არის ენის გამოყენების უნარი, რომელიც მოიცავს არა მარტო ენის სისტემის ცოდნას, არამედ აგრეთვე ამ ცოდნის რეალიზაციის წესებს განსაზღვრულ სოციოკულტურულ ჩარჩოებში. იგი ერთნაირად სავარაუდოა როგორც კომუნიკატორის, ისე კომუნიკანტისთვის, *ჯერ ერთი* – კომუნიკაცია ვერ შედგება, თუ ერთის დაწერილს, ნათქვამს მეორე ვერ წაიკითხავს, მოსმენით ვერ გაიგებს; მეორეც, კომუნიკაციის პარტნიორები განუწყვეტლივ იცვლიან როლებს და დაუფლებული უნდა იყვნენ როგორც კომუნიკატორის, ისე კომუნიკანტის კომპეტენციას.

უნივერსალური თეორია და მეთოდი, რომელმაც ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს ტექსტოლინგვისტიკურ კვლევაში, არის ჰერმენევტიკა. ჩვეულებრივ იგი განიმარტება როგორც ტექსტის განმარტების თეორია და ხელოვნება. მან გაიარა განვითარების გრძელი გზა, სადაც მისი გამოყენების სფეროები მოიცავდა და დღესაც მოიცავს ძველბერძნულ ფილოსოფიასა და ფილოლოგიას, ადრეულ გერმანულ რომანტიზმს, თანამედროვე ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, ლიტერატურამცოდნეობას, ლინგვისტიკას, თეოლოგიას და ა.შ.

ჰერმენევტიკულ მეთოდს მატერიალისტური მსოფლმხედველობის დამცველები აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი თითქოს ახდენს სუბიექტური აზრის აბსოლუტიზაციას და უგულებელყოფს მატერიალისტური მეთოდოლოგიის პრინციპს, რომელიც მოითხოვს გარესამყაროში არსებული რეალური მატერიალისტური მიმართებების გათვალისწინებას. მათი აზრით, ჰერმენევტიკა არის რედუცირებული მეთოდი, რომელიც სუბიექტივისტური და იდეალისტურია, და ამის გამო მიუღებელიც (NEUMANN, 1981:98). ეს კრიტიკა უსაფუძვლოა, რამდენადაც ენათმეცნიერებას და, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკას თავისი პრობლემების გადასაჭრელად არ ესაჭიროება საწარმოო ძალების განვითარების მატერიალისტური თეორიიდან ამოსვლა და კონკრეტული ენობრივი საკითხების განხილვის საფუძვლად მისი მიღება, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც იდეალიზმია ხელაღებით ვინმეს საგინებელი. ჰერმენევტიკულ მეთოდს შეიძლება ზოგი რამ ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ეს ნაკლი მომდინარეობს არა იმდენად თვით მეთოდიდან, რამდენადაც ადამიანის ცხოვრებისეული სამყაროდან, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების დინამიკიდან, გნოსეოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან. ადამიანი ე.წ. ჰერმენევტიკული წრის გარეშე ვერ შეიმეცნებს სამყაროს, წრიულობა გარდაუვალია. ეს ნაკლი მინიმუმამდე დავა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წრიულობა განიხილება არა როგორც ერთ სიბრტყეზე ტრიალი, არამედ როგორც სპირალური აღმასვლა, რომელიც იწყება დაბალი საფეხურიდან და სულ მაღლა ადის.

ჰერმენევტიკული პრინციპი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ზოგადად ამ თეორიასა და მეთოდს, შეიცავს რამდენიმე მომენტს, რომელსაც ტექსტის მეცნიერული შესწავლისა და ინტერპრეტაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს მომენტებია: 1. კომუნიკაციის პროცესის პარტნიორები გონიერი არსებებია, ამდენად ტექსტის შექმნა, გაგება და ინტერპრეტაცია სუბიექტურია; 2. კომუნიკაციის პარტნიორებს აქვთ სათანადო კომპეტენცია, რათა მოახდინონ ყოფიერების ფრაგმენტების შესაბამისად გამოსათქმელი აზრის განტექსტება, წაკითხვა და გაგება; 3. ტექსტის მკვლევარი ერთსა და იმავე დროს არის რეციპიენტი და ინტერპრეტატორი; 4. წინასწარდასახული მიზნის განხორციელებისთვის მკვლევარი ქმნის სათანადო კონსტრუქციულ მოდელს, რომელიც წარმოადგენს ტექსტის სტრუქტურის არსებითი კომპონენტებისა და ფუნქციების თვალსაჩინოდ წარმოდგენილ, გამარტივებულ ასახვას; 5. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება ამოსავალი დებულებების ვერიფიკაცია, მთლიანად ან ნაწილობრივ დადასტურება თუ უარყოფა; 6. ტექსტის გაგების პროცესი მიმდინარეობს სპირალურად, თანდათან აღრმავებს ინტერ-

პრეტატორის ცოდნას, ამდიდრებს მის გამოცდილებას. ინტერპრეტაციის დასაწყისი და შედეგი არ არის ერთმანეთის ტოლი, მეორე პირველზე ბევრად უფრო ღრმაა, ჰეშმარიტებასთან მიახლოებული (და არა აბსულუტური) და ძევს ჰერმენევტიკული სპირალის მწვერვალზე.

თუ როგორ გამოიყენებს მკვლევარი/ინტერპრეტატორი ჰერმენევტიკული მიდგომის წინაპირობებს და რამდენად პოზიტიურ შედეგს მიიღებს იგი, ეს უკვე დამოკიდებულია მის პიროვნულ თვისებებზე, გამოცდილებაზე, წინარეცოდნაზე, უნარზე, იმაზე, თუ რამდენად ფლობს იგი ჰერმენევტიკულ და ლინგვისტიკურ კომპეტენციას.

9. რამდენადაც წერილობითი კომუნიკაცია ადამიანის მოღვაწეობის უნივერსალური სფეროა და დამწერლობის მქონე ყველა ხალხისათვის არის დამახასიათებელი, იმდენად ტექსტი როგორც წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების საშუალება და შედეგი ასევე უნივერსალურ მოვლენად ითვლება. განსაკუთრებით უახლოვდება ერთმანეთს იმ ტექსტების ტიპები და ფუნქციები, რომლებიც საკომუნიკაციოდ იყენებენ ერთმანეთთან კონტაქტში მყოფი და ერთნაირ სოციოკულტურულ არეალში მცხოვრები ხალხები. ტექსტის უნივერსალურობის განმაპირობებელი ფაქტორებია: ა) მასალა, რომელიც ქმნის ტექსტის სუბსტრატს (გრაფემულ-გრაფიკული ელემენტები); ბ) დამწერლობის სპეციფიკა (დამწერლობის სახეობა, წერის მიმართულება, ტექსტის შედგენის ტრადიცია და მისთ.). იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტორები ტიპოლოგიური თვალსაზრისით ემთხვევა ერთმანეთს, არსებობს უნივერსალური მსგავსების მეტი ალბათობა. მონოგრაფიაში არის გერმანულენოვანი ტექსტების გვერდით ქართულენოვანი ტექსტების ინტერპრეტაციის მცდელობა, მაგრამ არა შეპირისპირებით პლანში, არამედ როგორც ორივე ენაში არსებული უნივერსალური ფენომენებისა. თავისთავად ცხადია, რომ მონოგრაფიის მიზნების და პროფილის შესაბამისად ქართულენოვანი მასალის ინტერპრეტაციას არა აქვს სისტემური ხასიათი და იგი მხოლოდ გერმანულენოვანი ტექსტების პარალელურად მოკლე ექსკურსების სახით მეორე პლანზე ხორციელდება: ჩვენი მიზანია ქართულენოვანი ტექსტების მკვლევრებისა და ინტერპრეტატორების ყურადღება გავამახვილოთ ქართული დამწერლობის უძველეს ტრადიციებზე, უნიკალურ ქართულ ანბანზე, მათი გამოყენებისა და აღორძინების შესაძლებლობებზე ქართული ენის განვითარების თანამედროვე საფეხურზე. ვინც დედაენად ქართულს თვლის, მისთვის უდიდესი სიამოვნება უნდა იყოს საოცრად მშვენიერი ქართული ტექსტების ვიზუალური აღქმა და თავისთვის კიდევ ერთხელ იმის აღმოჩენა, რომ ქართულენოვანი ტექსტი ზოგადად ევროპული ცივილიზაციის ჩარჩოებში ჯდება და ვითარდება. დასავლური ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების დონე სტიმულს აძლევს ქართველ ენათმეცნიერებს თანამედროვე მეთოდებით აღწერონ ქართულენოვანი ტექსტების ინტერნული სტრუქტურა და ფუნქციების სფეროები, ამასთანავე სათანადო ყურადღება მიაქციონ რიტორიკისა და გრაფოესთეტიკის უძველეს ტრადიციებს და მათ რეფლექსიებს თანამედროვე ფიგურულ ტექსტებში, აღწერონ ქართულ ენაში არსებული გრაფემულ-გრაფიკული პო-

ტენციები, რომელთა კონსტელაცია მრავალი ესთეტიკური ღირებულების მქონე ტექსტების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია (სერგია 1983), თუმცა საერთოდ არსებული ქართულენოვანი ტექსტების სასურველი ინტერპრეტაცია და შეფასება ბევრად ჩამორჩება მათ რაოდენობასა და ხარისხს.

10. მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა თეორიული დებულებების ვერიფიკაციას და შერჩეული მეთოდის გამოყენებას სხვადასხვა ტიპის ტექსტების ინტერპრეტაციაში. მიმართულება, რომლის განხორციელების მცდელობაც არის აქ წარმოდგენილი, საწყისს იღებს ფრიდრიხ შლაიერმახერის ნააზრევში, გაივლის ჰაიმან შტაინთალის ინტერპრეტაციის საფეხურებს და პირობითად სრულდება ერნსტ ულრიხ ბირეს გაგება-გაგებინების თეორიით.

ინტერპრეტაციის ემპირიულ მასალად გამოყენებულია გერმანულენოვანი პროზაული, პოეტური, მეცნიერული, საგაზეთო, სარეკლამო, საქმიანი და სიტყვების თამაშზე აგებული ტექსტები, აგრეთვე ქართულენოვანი პოეტური ტექსტები.

განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებული ტექსტები და, შეიძლება ითქვას, რომ ამ რაკურსით ინტერპრეტაცია მონოგრაფიის ყველაზე უფრო ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს. ტექსტის ინტერნული სტრუქტურის წარმოსახვა ხუთფენიანი ბათიზმატური ველის სახით ბევრ უპირატესობას შეიცავს სხვა მოდელებთან შედარებით, მაგრამ მას არ შეიძლება ჰქონდეს, და არცა აქვს, ერთადერთობისა და აბსოლუტურობის პრეტენზია. ამიტომაც არის, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ ინტერპრეტაციის სხვა შესაძლო ვარიანტებს და მონოგრაფიის ერთ პარაგრაფს სპეციალურად ვუთმობთ ზოგიერთ მათგანს, ამასთანავე ყველა შემთხვევაში ჰერმენევტიკული თეორიისა და მეთოდის ერთგული ვრჩებით.

11. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ისტორიული გარდაუვალობა იყო, რომ საქართველოში არ არსებობდა არც სათანადო საკვალიფიკაციო საბჭო ე.წ. „ვაკი", ქართველი გერმანისტები ან მოსკოვში იცავდნენ დისერტაციებს ან თბილისში მოსკოვიდან სპეციალური ნებართვის გამოთხოვისა და მიღების შემდეგ. ქართულ ენაზე დისერტაციისა და, საერთოდ, სტატიის დაწერა, გმირობის ტოლი ჩანდა, იმდენი წინააღმდეგობა იყო გადასალახი. ქართველ გერმანისტებს თანდათან მოსწყინდათ ქართულად წერა, რადგანაც მთელი დოკუმენტაცია მაინც რუსულად უნდა თარგმნილიყო „ВАК[1]"-ში გასაგზავნად, ოპონენტებიც რუსეთიდან უდნა მოეწვიათ, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ დისერტაციის ტექსტი რუსულად ყოფილიყო შესრულებული. ასე არჩიეს ქართველმა გერმანისტებმა ცუდი რუსულით წერა კარგი ქართულით წერას (ახლა იგივე საფრთხე არსებობს გერმანული გრამატიკის და გერმანული ენის „კარგი" ცოდნის გამო). ამასობაში ენათმეცნიერული ცნებები და მათი რუსული თუ გერმანული ტერმინები ისე გავითავისეთ და შევისის-

[1] ВАК – Высшая аттестационная комиссия – უმაღლესი საატესტაციო კომისია.

ხლხორცეთ ქართველმა გერმანისტებმა, რომ დღემდე გვიჭირს მათი გადმოქართულება და გამოყენება. რა თქმა უნდა, ყველა ლინგვისტიკური ტერმინის გადმოქართულება შეუძლებელია და არც არის საჭირო, რამდენადაც ამა თუ იმ ეროვნული დარგის ტერმინოლოგიაში აუცილებლად უნდა დარჩეს ინტერნაციონალიზმები, რომლებიც ყველა ენაში აღიარებულია და მეცნიერულ ურთიერთობებს აიოლებს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოცემული ენის კანონების მიხედვით ასიმილირებული და კოდიფიცირებულია. ხოლო თუ ახალი, უცხო ტერმინი ჩნდება, რომელიც ჯერ არ არის ასიმილირებული და კოდიფიცირებული და ამასთანავე მასში ისეთი მნიშვნელოვანი სემანტიკური კომპონენტია, რომელიც მისი არატერმინოლოგიური სიტყვით შეცვლისას იკარგება, ჯობია ის იმავე სახით დარჩეს, როგორც ბევრ სხვა ენაში იხმარება იმ პირობით, რომ სათანადო განმარტება ექნება დართული.

მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში ჩვენც ვიდექით ამა თუ იმ ტერმინის მიზანშეწონილობის პრობლემის წინაშე, ძალიან ვცდილობდით შეძლებისდაგვარად ქართულად გვეწერა, ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ხმარებული ტერმინები გადმოგვექართულებინა, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ მოვახერხეთ. მკითხველს და ოპონენტებს ვთხოვთ მონოგრაფიის მეტაენობრივი შეფასებისას ხუთი მომენტი მიიღონ მხედველობაში: ა) გერმანულ გრამატიკას ქართულად ქართველი გერმანისტი ისე ვერ დაწერს, როგორც ქართველი ქართველოლოგი ქართულად წერს. გერმანისტის სტილს დაღს ასვამს გერმანულენოვან სამყაროში ათეული წლების მანძილზე ცხოვრება და მოღვაწეობა, თვით პროფესიის სპეციფიკა. უცხოური ენებიდან ქართულზე თარგმნილ ლიტერატურასაც უცხოური ენის ელფერი დაჰკრავს, რაც განპირობებულია იმ უცხოური, საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელებით, ცხოვრების წესითა და რეალიებით, ორიგინალის ტექსტში, რომ გვხვდება და ქართულად ვერ ითარგმნება. ბ) იგივე ითქმის ქართველი გერმანისტის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ენათმეცნიერული სტატიის თუ მონოგრაფიის შესახებ, რომელიც გერმანული ენის განვითარების თუ გამოყენების აქტუალურ პრობლემებს ეხება. ეს ქართული გერმანისტიკის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს, თუმცა აუცილებელია მკვლევარი გონივრულ ზღვარს არ გასცდეს. გერმანული ენის ლინგვისტიკური კვლევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ლათინურ თუ საერთაშორისო ტერმინებს, რომლებიც დამკვიდრებულია საერთოდ ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში და ქართველ გერმანისტებისთვისაც ცნობილია, ან იმ კატეგორიების აღმნიშვნელ ტერმინებს, რომლებიც გერმანულისთვის სპეციფიკურია, ხოლო ქართულში არ არსებობს (ასეთებია მაგალითად, პრეტერიტუმი, პლუსქვამპერფექტი, ფუტურუმ I და II, აქციონალობა, არტიკლი, კონდიციონალისი და მრავალი სხვა); გ) ბევრი ლინგვისტიკური ტერმინი ახალი შემოსულია ხმარებაში, ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დამკვიდრებული და ლექსიკონებში შეტანილი, მაგრამ ქართულ ენაზე წერისას მკვლევარს აუცილებლად სჭირდება მისი გამოყენება. ის იძულებულია ინტუიციურად იხმაროს იგი ქართულ ყაიდაზე ან გერმანულად მოიყვანოს და ქართულად განმარტოს; დ) არსებობს ტერმინების არასასურველი მრავალმნიშ-

ვნელიანობა, რომელსაც ალბათ ვერც ერთი მეცნიერული დარგი ვერ აიცილებს თავიდან. ასეთი ტერმინები აუცილებლად უნდა დაზუსტდეს და მიეთითოს, რა მნიშვნელობით არის ნახმარი (მაგ., ტექსტი, დისკურსი, დივინაცია, ინფერენცი); ე) მკვლევარი უნდა მოერიდოს ახალი ტერმინების ხმარებას, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ასიმილირებული მოცემულ ენაში. მაგრამ თუ ამ ტერმინებს პრინციპული მნიშვნელობა აქვთ კვლევის მიმართულებისთვის, დასაშვებია მათი გამოყენება სათანადო დასაბუთებითა და განმარტებით (მაგ., ალიენაცია, ბათიზმატური განზომილება, ბათიზმატური ველი, ორდინარული ტექსტი, პუანტირებული ტექსტი და მისთ.).

მიუხედავად ყოველივე ამისა ქართველმა გერმანისტებმა პირველ რიგში კარგი ქართულით უნდა ვწეროთ.

12. მონოგრაფიაში ტექსტი განიხილება როგორც:

რთული ენობრივი კონსტრუქცია, სემიოტიკური ნიშნების ერთობა („სუპერნიშანი“). ტექსტი ასახავს ყოფიერების რომელსამე ფრაგმენტს (ამბავს) სუბიექტის პრიზმაში გარდატეხილი შინაარსის სახით. ნიშანი რაიმე შინაარსის გამოხატვას ემსახურება და, როგორც სემიოტიკოსები და ფილოსოფოსები ამბობენ, ამ შინაარსის დაფიქსირებისათვის საჭიროა სივრცე. ტექსტის საზრისის ადგილად მოიაზრება არც სემიოტიკური ნიშნების ერთობა, არც ყოფიერების ფრაგმენტი, არამედ მათ შორის არსებული სივრცე, რომელიც საწყისისეულად თავისუფალია და შეიძლება ნებისმიერი შინაარსით შეივსოს. ამ სივრცეში სუბიექტის თავისუფალი მოძრაობა არის საფუძველი ცნობიერების შინაარსების ინსტიტუციონალური თუ ინდივიდუალური განტექსტებისა, ტექსტების მრავალფეროვნებისა და პოლიფუნქციონალობისა. ამ თავისუფლებას განსაკუთრებული ინდივიდუალობით იყენებენ მხატვრული სიტყვის ოსტატები, ამიტომაც არის, რომ პოეტური ტექსტი ყოფიერების განსიტყვების ყველაზე სრულყოფილ, მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე ნიმუშად ითვლება.

ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. ენობრივი კომუნიკაცია განიხილება როგორც ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე, რომელიც მანიფესტირდება ზეპირი მეტყველებით და წერილობით. ზეპირი კომუნიკაციის ძირითადი, უმაღლესი ერთეულია დისკურსი, წერილობითისა – ტექსტი. ტექსტის ლინგვისტიკა გააზრებულია როგორც ინტერპრეტაციული მიმართულების დისციპლინა. ტექსტის ლინგვისტიკას ენათმეცნიერული დისციპლინების იერარქიაში მიეკუთვნება ადგილი სისტემური დონეებისა და სტილისტიკის ზევით, მისი საბაზისო ერთეულია ტექსტემა. ეს არის ტექსტის ლინგვისტიკის ვიწრო გაგება, რომელიც სათანადო ყურადღებას უთმობს მის ისტორიულ ფესვებს და დისციპლინათშორის კავშირებს. ის არ გამორიცხავს უფრო ფართო პროფილის ზოგადი ტექსტის ლინგვისტიკის, თუ გნებავთ, **ტექსტმცოდნეობის** არსებობას, რომელიც ტექსტის ცნებაში აერთიანებს როგორც ზეპირ გამონათქვამს, ისე წერილობით

წარმონაქმნს, ენობრივ მოღვაწეობას განიხილავს ერთიან პროცესად და კვლევის შესაბამის პროცედურას ირჩევს.

რთული კონსტრუქცია. ა) პროპოზიციონალური (სისტემური) მიდგომა ტექსტისადმი მიზნად ისახავს მისი ენობრივი სტრუქტურის აღწერას; ბ) კომუნიკაციური (ფუნქციონალური) მიდგომა ტექსტისადმი საშუალებას იძლევა ტექსტი ჩაირთოს ენობრივი ურთიერთობის პროცესში, აღიწეროს მისი ფუნქციონირების ექსტრალინგვისტური გარემო, მიუჩინოს მას ადგილი კომუნიკაციურ მოდელში.

გაგება-გაგებინების ძირითადი ერთეული. ტექსტის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის ზოგადი თეორია და მეთოდი არის ჰერმენევტიკა. ამ უძველესი, ამჟამად აღორძინებული, ფართო პროფილის მქონე მეცნიერული დარგის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს ენათმეცნიერული ჰერმენევტიკა. ის იძლევა საშუალებას კვლევის პროცესი განთავისუფლდეს ყოველგვარი იდეოლოგიური თუ მეთოდოლოგიური არტახებისგან. ინტერპრეტატორს შეუძლია ჩასწვდეს ტექსტში განსიტყვებულ სულს და გონს ავტორისას, თვითონ გაიგოს და სხვასაც გააგებინოს ტექსტის საზრისი. ამასთან მას არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ მისი ინტერპრეტაცია იქნება აბსოლუტური, ის შეიძლება იყოს მხოლოდ მიახლოებული (approximativ). გაგების ძირითადი ეტაპებია დივინაცია და ინფერენცი.

სტრუქტურირებული წერილობითი წარმონაქმნი. ტექსტი აღიწერება როგორც ბათიზმატური ველი, რომელიც ხუთი ფენის სახით განფენილია ენობრივი სუბსტრატის სივრცეზე. ამასთანავე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა თავად ტექსტის სტრუქტურაში გამოკვეთილი პუანტირებული კომპონენტების წინა პლანზე წამოწევას. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ვიზუალურად აღქმადი გრაფემულ-გრაფიკული ფენის დესტრუქციას და ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაციას, დეფიციციის საფუძველზე შექმნილ ფიგურულ ტექსტებს და მათ გრაფოესთეტიკურ შეფასებას. არის ცდა განტექსტების გრაფემულ-გრაფიკული საშუალებების იდენტიფიკაციისა.

უნივერსალური ფენომენი. მონოგრაფიის კვლევის საგანია მაღალგანვითარებული სამწერლო ენისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის გრაფემულ-გრაფიკული, ძირითადად გერმანულენოვანი ტექსტები, მოკლე ექსკურსების სახით ინტერპრეტირებულია აგრეთვე ქართული ვიზუალური პოეზიის ნიმუშები.

დაბოლოს, ტექსტისა და ტექსტის ლინგვისტიკის გაგებას, რომელიც გაზიარებულია და განვითარებული მონოგრაფიაში, არა აქვს ერთადერთობის პრეტენზია. ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს და ვაღიარებთ, რომ არსებობს სხვა მიდგომები და მეთოდები, რომლებიც საფუძვლად უდევს ტექსტის არანაკლებ საინტერესო, სარწმუნო და მაქსიმალურად მიახლოებულ გაგებას.

ნაწილი პირველი

ტექსტის ლინგვისტიკა
ტექსტის ცნების სპეციფიკაციამდე

თავი I

ტექსტის ლინგვისტიკა როგორც თვითმყოფი ენათმეცნიერული დისციპლინა

1.0. ტექსტის ლნგვისტიკის წინამორბედი ინტერპრეტაციული მიმართულებები და დისციპლინები

ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემების განხილვა ჩვეულებრივ იწყება იმის ხაზგასმით, რომ იგი ენათმეცნიერების ახალი დარგია. ასე წერდნენ მკვლევრები რამდენიმე ათეული წლის წინ, როდესაც ეს დისციპლინა ის-ის იყო ჩაისახა; ასევე განსაზღვრავდნენ მის ასაკს მაშინაც, როდესაც იგი უკვე აღმავლობის გზაზე იდგა და ძირეული საკითხების ინტენსიური კვლევა მიმდინარეობდა; ეს შეხედულება რჩება დღესაც, როდესაც ტექსტის ლინგვისტიკამ გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, მისი როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის კონტურები უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა და კვლევის მიმართებები ასე თუ ისე მყარ კალაპოტში ჩადგა. ამასობაში არც თუ ისე ცოტა დრომ განვლო, ბევრ რამეს თავისი სახელი დაერქვა, ბევრი რამ უკეთ გაირკვა, შემდგომი კვლევის პერსპექტივა საიმედო ჩანს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასარკვევი და დასადგენი კიდევ ბევრი რამ დარჩა. ისე რომ, უფრო სწორი იქნებოდა მისი განსაზღვრა როგორც შედარებით ახალი ენათმეცნიერული დისციპლინისა.

ტექსტის ლინგვისტიკა მოულოდნელად არ აღმოცენებულა. მას ჰქონდა თავისი მასაზრდოებელი წყარო, რომლის წიაღშიც ჩაისახა. ასეთ წყაროდ მიჩნეულია რამდენიმე მეცნიერული დარგი, ზოგი შორეული, ზოგიც მახლობელი, რომელთაგან ჩვეულებრივ ასახელებენ რიტორიკას და ზოგიერთ ინტერპრეტაციული მიმართულების დისციპლინას.

1.1. რიტორიკა

რიტორიკა (*ბერძ.* **rhetorike techne: Redekunst**) მეცნიერების უძველესი დარგი და განათლების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მის შესახებ ზოგად ცნობებს ვხვდებით, როგორც ძველ ისე ახალ ენციკლოპედიურ და დარგობრივ ლექსიკონებში (LEWANDOWSKI 1984-1985; CONRAD 1985; BROCKHAUS 1895; HERDERS... 1907; WB der Literaturwissenschaft 1986; Lexikon

der Antike 1986; ქსე 1984; БСЭ 1975; ჭილაია 1971), აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურაში (АВЕЛИЧЕВ, 1986:7-12; ГИНДИН, 1986:356-362). მისი წარმოშობა თარიღდება V ს-ით ქრისტ. დაბ.-მდე, ხოლო სისტემად ჩამოყალიბება – საბერძნეთში III-II ს-ით და რომში I ს-ით ქრისტ. დაბ.-მდე. იგი შედიოდა იმ საგნების რიცხვში, რომელთა სწავლება დაკანონებული იყო უმაღლესი განათლების სისტემაში. ეს საგნებია: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა (ე.წ. **artes liberales, Freie Künste**). განსაკუთრებული ადგილი ამ საგნებს შორის მიეკუთვნებოდა რიტორიკას და გრამატიკას. შემდგომში რიტორიკა გამოეყო სხვა სასწავლო საგნებს და დამოუკიდებელ საგნად ჩამოყალიბდა, ხოლო გრამატიკიდან ამოიზარდა ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინები (ამასთანავე გრამატიკის ავტორიტეტი იმდენად ამაღლდა, რომ სხვა საგნები მის ფარგლებში ისწავლებოდა). გვიანანტიკურ ეპოქაში არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა გამოეყო ერთ ციკლად კვადრიუმის სახელწოდებით (**Quadrivium, Vierweg**), ხოლო IX ს-ის შემდეგ ქრისტ. დაბ.-დან გრამატიკა, დიალექტიკა და რიტორიკა ცნობილია ტრივიუმის (**Trivium, Dreiweg**) სახელწოდებით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რიტორიკისა და გრამატიკის ურთიერთმიმართება, რადგანაც ამ მიმართებაში უკვე გამოკვეთილია ის ჩანასახი, რომელიც დღეს გრამატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად ითვლება. ეს არის სიტუაციურობის ცნება. გრამატიკა არასიტუაციური იყო. აქ კატეგორიები (დრო, კილო, ბრუნება და ა.შ.) განიხილებოდა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პარადიგმატიკულ ჭრილში, რაც გულისხმობს სისტემურ-ასოციაციურ კავშირებს და გამორიცხავს სიტუაციურობას. ამის საპირისპიროდ რიტორიკა უშუალოდ ასახავს სიტუაციურ მიმართებებს, რომლის ძირითადი კომპონენტებია: ადრესანტი, ადრესატი, კომუნიკაციური გარემო და კომუნიკაციის საგანი (COSERIU, 1980:10-11).

კლასიკურ რიტორიკაში გამოიყო რამდენიმე საფეხური, რომელთა გავლა აუცილებელი იყო მეტყველების ხელოვნების დასაუფლებლად. ეს საფეხურები აისახებოდა ხუთ ოპერაციაში. პირველი (**inventio, Auffindung des Stoffes**) გულისხმობს თემის მოაზრებას, მეორე (**dispositio, Anordnung des Stoffes**) – თემატური მასალის დაყოფა-დალაგებას, მესამე (**elokutio, slilistische Gestaltung**) – თემატური მასალისათვის სათანადო ენობრივი საშუალებების მისადაგებას, მეოთხე (**memorio, Einprägen der Rede**) – მნემოტექნიკური ხერხებით მასალის დამახსოვრებას, მეხუთე (**pronuntiatio, gepflegte wirkungsbedachte Vortragsweise**) – სიტყვის წარმოთქმას შთამბეჭდავად. ზოგჯერ მეხუთე ოპერაცია ცალკე არ გამოიყოფოდა და მეექვსესთან იყო გაერთიანებული (BEAUGRANDE/DRESSLER, 1981:15-16; COSERIU, 1980:19-22).

რიტორიკამ, რომლის ძირითადი მიზანი ანტიკურ ხანაში სამოსამართლო და საზეიმო სიტყვების წარმოთქმაში დაოსტატება იყო, შუა საუკუნეებში მოიცვა ქადაგებებისა და წერილების სფეროც. კერძოდ, იგი ამ სახის ტექსტების შედგენის ხერხებს სთავაზობდა დაინტერესებულთ (ე.ი. ნორმატიული ანუ პრესკრიფციული დისციპლინა იყო). ხოლო აღორძინებისა და კლასიციზმის ეპო-

ქაში მისი ინტერესების სფეროში პოეზია და მხატვრული პროზაც მოექცა. გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში პოეტური ხელოვნება მოიცავდა განსაზღვრულ წესებს, რომელთა შესწავლა და ათვისება, ისევე როგორც მუსიკალური ხელოვნება, შესაძლებლად იყო მიჩნეული.

გერმანიაში რიტორიკას უძველესი დროიდან იცნობდნენ. შუა საუკუნეებში იგი განაგრძობდა არსებობას როგორც თავისუფალი ხელოვნების ციკლის ერთერთი კომპონენტი. ასე მაგალითად, ცნობილია ფ. მელანხტონის, გ. ფოსის და ი.ა. ერნესტის სახელმძღვანელოები (შესაბამისად, XVII, XVIII, XIX ს.ს). ერნესტიმ დაიწყო ძველი მწერლობის ნიმუშებისა და ლათინური ენის სტილისტიკური თავისებურებების ანალიზის პარალელურად (გერმანულ) დედაენაზე დაწერილი ტექსტების განხილვა. დედაენის თავისებურებებს ითვალისწინებდნენ (ნაწილობრივ მაინც) შემდეგდროინდელი რიტორიკის სახელმძღვანელოები, როგორიცაა ფალკმანის „პრაქტიკული რიტორიკა „ (1835), გოკელის „გერმანული სამწერლო ენის სახელმძღვანელო“ (1866), ვაკერნაგელის „პოეტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა“(1888) და სხვა.

კლასიკური რიტორიკის განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით წავიდა. ერთი მხრივ, იგი განვითარდა როგორც მოძღვრება მეტყველების ხელოვნებაზე (მჭევრმეტყველებაზე) და გახდა საფუძველი თანამედროვე რიტორიკული დისციპლინებისა, როგორიცაა, სარეკლამო, სამქადაგებლო, სამოსამართლო და სხვა, მეორე მხრივ, მას გამოეყო სტილისტიკა, რომელმაც განვითარების შემდგომ ეტაპზე სპეციალიზაცია განიცადა (ლიტერატურული სტილისტიკა, ლინგვოსტილისტიკა, ფუნქციონალური სტილისტიკა, გრამატიკული სტილისტიკა და ა. შ).

რიტორიკა ზოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც მეტყველების ხელოვნების (**Redekunst**) თეორია და ტექნიკა, ან მჭევრმეტყველების (**Beredsamkeit**) შესავალი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებათა მიზანია უზრუნველყოს ადრესანტის გავლენა ადრესატზე. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე რიტორიკამ მრავალგზის იცვალა სახე. თუმცა ინტერესი კლასიკური რიტორიკისადმი არ განელებულა, რასაც მოწმობს არისტოტელეს, ციცერონის, კვინტილიანის და სხვათა თხზულებების გამოცემა შემდგომ საუკუნეებშიც. ისიც ფაქტია, რომ რიტორიკის აღორძინებამ ისეთი განშტოებები წარმოშვა, როგორიცაა: თანამედროვე პუბლიცისტური რიტორიკა, რომლის სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედებას; ახალი ანუ მეცნიერული რიტორიკა, რომელიც იყენებს დარწმუნების (**Persuasion**) მეთოდს; კრიტიკული რიტორიკა, რომელიც წინააღმდეგია დარწმუნების მეთოდისა, უპირატესობას ანიჭებს არგუმენტაციის მეთოდს და ამ ხერხით ცდილობს მიაღწიოს ადრესანტსა და ადრესატს შორის თანხმობას (**Konsensermittlung**) (LERCHNER, 1981:324-327). აღსანიშნავია, რომ არისტოტელესთან ორივე მეთოდი ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს. „... მჭევრმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნების მეთოდია“, – წერს იგი,

„დარწმუნება კი რაღაც დასაბუთებაა, ამიტომაც ყველაზე მეტად გვწამს ის, რაც დასაბუთებულად მიგვაჩნია“ (არისტოტელე, 1981:33).

ყოფილ საბჭოთა კავშირში, შესაბამისად საქართველოში და რამდენადმე გდრ-შიც, რიტორიკის განვითარება ჩამორჩა დასავლეთის ტემპებს. ათეიზმმა და მარქსიზმ-ლენინიზმმა დაამუხრუჭა სამქადაგებლო მჭევრმეტყველების (ჰომილეტიკის) განვითარება. სახელმწიფო იდეოლოგიის მონოპოლიამ და ტოტალიტარიზმმა ადამიანის პიროვნება გააუფასურა და რეფერენტებისა და „სამუშაო ჯგუფების“ მიერ დაწერილ სიტყვებს, რომლებიც ტომობით ქვეყნდებოდა, უფერულობისა და სიყალბის დაღი დაასვა. რიტორიკა აღარც განათლების დარგში ფიგურირებდა. მიუხედავად ამისა იგი ამა თუ იმ სახით მაინც განაგრძობდა არსებობას. ნაწილმა იმ საკითხებისა, რომლებითაც რიტორიკა იყო დაინტერესებული, ასახვა ჰპოვა თანამედროვე სტილისტიკაში, ნაწილმა ლიტერატურათმცოდნეობაში, მეტყველების კულტურასა და ა. შ. ძირითადად კი იგი განვითარდა თანამედროვე პუბლიცისტური რიტორიკის სახით, რომლის სტრატეგია გამიზნული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედებისაკენ და უკიდურესად იდეოლოგიზებულ ჩარჩოებში მოექცა. რიტორიკა გაიგებოდა არა როგორც მეტყველების ხელოვნება (სიტყვა „ხელოვნება აშინებს ადამიანებს, რადგანაც იგი თანშობილ ნიჭს გულისხმობსო“, ამტკიცებენ ამ თვალსაზრისის მომხრენი, არამედ როგორც შთამბეჭდავი და დამარწმუნებელი მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავება. მეტყველების ხელოვნება აუცილებელი ატრიბუტი იყო აგიტატორებისა და ლექტორებისათვის, რომლებსაც არსებული ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიზნების შესაბამისად უნდა მოეხდინათ მასების მანიპულირება. შთამბეჭდავად მეტყველების თანშობილი ნიჭი, რა თქმა უნდა, ყველას არ ექნებოდა, მაგრამ ორატორული უნარ-ჩვევების გამომუშავება შესაძლო იყო, მით უფრო, რომ პუბლიცისტური რიტორიკა შეიცავს ნორმატიული სტილისტიკისა და მეტყველების კულტურის ელემენტებს, რომელთა ათვისება და დასწავლა სათანადო მომზადების შემდეგ მსურველისათვის დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ამიტომაც პარტია და მთავრობა ზრუნავდა იმაზე, რომ პარტოკრატიის რიგებიდან შერჩეულიყო ფუნქციონერები, ვინც იმუშავებდა ლექტორებად ისეთ საზოგადოებებში, როგორც იყო „ზნანიე“ სსრკ-ში, „ცოდნა“-საქართველოში, „ურანია“-გდრ-ში (НОЖИН, 1973:188–216; Sprache-Bildung und Erziehung 1983; BARTHEL, 1983:129-132; KURKA/STÖTZER, 1969:208-211; JACKSTEL 1970; ЖИГУЛЕВ 1979; Об ораторском искусстве 1980).

აღნიშვნის ღირსია, რომ „ზნანიეს“ მიერ გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში თავმოყრილია გამონათქვამები ორატორულ ხელოვნებასა და პროპაგანდისტულ ოსტატობაზე. კრებულის პირველ ნაწილში შეხვდებით კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის, ინგლისის პარლამენტისა და აშშ-ს ორატორების გამონათქვამებს, ვ. ი. ლენინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების გამონათქვამებს პროპაგანდისტულ ოსტატობაზე. ეს გამოჩენილი მოღვაწეებია: ლ. ი. ბრეჟნევი (17 გამონათქვამი), ა. ვ. ლუნაჩარსკი (12), ა. მ. იაროსლავსკი (8) (Об ораторском....., 1980:22-25). რა-

ოდენ განუყრელად იყო დაკავშირებული ამ პერიოდის ქართველი ორატორების ბედი საბჭოთა რიტორიკასთან, მოწმობს შემდეგი ფაქტი: ე. ა. ნოჟინი რიტორიკული ოსტატობის ეფექტურობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევს მოწინააღმდეგის ბიოგრაფიული დეტალებისა და პიროვნული თვისებების ცოდნას და მათ გამოყენებას სათანადო სიტუაციაში, რამაც შეიძლება განაპირობოს მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია აუდიტორიის თვალში. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს ერთი შემთხვევა საზღვარგარეთული შეხვედრებიდან. როდესაც იტალიელმა მწერალმა სილონემ (Силоне) თავის გამოსვლაში დაიწყო ძველი ანტისაბჭოთა მოტივების გადამღერება, საბჭოთა წარმომადგენელი В. Мачивариани (?!), ალბათ ვ. მაჭავარიანი, შეეკამათა დიდი რიტორიკული ოსტატობით და „გააშავა“ იგი (НОЖИН, 1973:265).

მიუხედავად საბჭოურ პერიოდში რიტორიკის უკიდურესი იდეოლოგიზაციისა მაინც გამოდიოდა კლასიკური რიტორიკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები (АПРЕСЯН 1969) და რუსულ ენაზე ქვეყნდებოდა მსოფლიოს საუკეთესო მჭევრმეტყველთა ბრწყინვალე ნიმუშები (СУДЕБНЫЕ...1959; СМОЛЯРЧУК 1984; КОНИ 1966).

რიტორიკის განვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ მას შეხების წერტილები აქვს ენათმეცნიერების იმ დარგებთან და მიმდინარეობებთან, რომლებიც იკვლევენ ენის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტს, მაგალითად, მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებს (ЯЗЫК..., 1984). მასობრივი კონუნიკაციის ენის გამოკვეთილმა პრაგმატულმა ხასიათმა, მისმა პროპაგანდისტულ-აგიტაციურმა და ინფორმაციულმა ფუნქციებმა საერთოდ გააცოცხლა ინტერესი რიტორიკისადმი. ახლა იგი გახდა არამარტო აქტუალური მეცნიერული კვლევის საგანი, არამედ სასწავლო საგნადაც აღსდგა მსოფლიოს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, ასე რომ სავსებით კანონზომიერია მსჯელობა რიტორიკის რენესანსზე (LERCHNER 1984).

მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური რიტორიკა როგორც ისტორიული მეცნიერება საუკუნეების მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს, ხან ფართოვდებოდა და ივსებოდა, ხანაც იშლებოდა და ვიწრო სპეციალობებად იყოფოდა, მისი ცალკეული ელემენტები კვლავ განაგრძობენ არსებობას პირვანდელი სახითაც კი. ტექსტის პრობლემა თავიდანვე იდგა რიტორიკაში. რაც უნდა ამტკიცოს ავტორთა ერთმა ნაწილმა რიტორიკა მჭევრმეტყველებაა, ხოლო მჭევრმეტყველება ზეპირი ენობრივი მოღვაწეობაა და რიტორიკის საქმეც ზეპირად წარმოთქმული სიტყვაო, წარმოსათქმელი სიტყვის წარმატებას მაინც წინასწარ შედგენილი ტექსტი განაპირობებს. ზეპირად წარმოთქმული დასაბუთებული სიტყვის მომზადება შეუძლებელია მასალის წინასწარი შესწავლისა და ტექსტის სახით გაფორმების გარეშე. ამიტომაც არის, რომ ტექსტი იმთავითვე მოხვდა რიტორიკის ფარგლებში და დიდ მჭევრმეტყველთა შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები ტექსტების სახით შემორჩა ისტორიას. აქედან კი თავისთავად კეთდება დასკვნა, რომ „რიტორიკა გარდა ენამზეობისა,

ენაწყლიანობისა და ოქროპირობისა, ე.ი. „მჭევრად" მეტყველებისა, აგრეთვე „მჭევრად" წერასაც გულისხმობს.

რიტორიკის როგორც მეცნიერების დარგის, სტრუქტურის დადგენა და საზღვრების დელიმიტაცია დღესდღეობით კვლავ დავის საგნად რჩება. ერთი მხრივ, არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც რიტორიკის რენესანსმა ისე გააფართოვა კლასიკური რიტორიკის საზღვრები, რომ ისინი წაშალა და ახლა წამროუდგენელია ყველა ახალი დისციპლინის გაერთიანება რიტორიკის სახელით. აი რას წერს ამის თაობაზე გოტჰარდ ლერხნერი: „Die „neue Rhetorik" der 70-er und 80-er Jahre erhebt in ihren verschiedenen Erscheinungsformen vielmehr den Anspruch, Persuasionsmethodologie und kommunikative Ethik, Wissenschaft und Schulfach, Sozialtechnologie und Ideologiekritik, Textanalyse und Textwirkungsbeschreibung ("Hermeneutik des Gesprochenen"), aber auch Technik der stimmlichen und sprachlichen Mittel zu sein-zumindest jedoch von alledem ein wenig. Sie integriert, durchdringt oder überlagert weite Bereiche der herkömmlichen Geisteswissenschaften, Philosophie (Logik, Hermeneutik) ebenso wie Theologie (Homiletik), Rechtswissenschaft (Forensik) wie Dialektik, dazu Kommunikationswissenschaft, Semiotik, Soziologie, Psychologie (Psychotherapie) und selbstverständlich die tradizionell mit sprachlichen Äußerungen befaßten Wissenschaften Linguistik (Text-, Pragma-, Psycholinguistik, Sprechakttheorie, Diskurs- und Konversationsanalyse, Narrativik)" (LERCHNER, 1984:324).

მეორე მხრივ, რიტორიკის ფესვების „ყველგანმყოფობა" (Ubliquität) იძლევა იმის საბაბს, რომ რიტორიკის ფარგლებში დარჩეს ის უამრავი დისციპლინა რიტორიკიდან რომ ამოიზარდა. ასე მაგალითად, ჰელმუტ შანცეს მიაჩნია, რომ რიტორიკის განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია. ალბათ, ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ვრცელი ბიბლიოგრაფიის მესამე მონაკვეთში (Rhetorikbücher aus dem Zeitraum von 1900 bis 1973), რომელიც მის მიერ გამოცემულ წიგნს აქვს დართული, გვხვდება როგორც საკუთრივ კლასიკური რიტორიკა (არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანი), ისე თანამედროვე სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა, რომლებიც შეეხება მეტყველების კულტურას და ტექნიკას, პოეტიკას, სტილისტიკას, პრაგმატიკული ტექსტის თეორიას, საერთოდ წერის ხელონებას, სასკოლო თხზულებების შედგენას და ა.შ. გარდა ზემოხსენებული ავტორებისა აქ მოიხსენიებიან: ე. რიზელი, გ. კიუნი, რ. მ. მაიერი, გ. მოლერი, ლ. რაინერსი, ვ. შნაიდერი, ჰ. ზაიდლერი, ო. ვაიზე, მ. ველერი, ქ.რ. ვინკლერი და მრავალი სხვა (RHETORIK, 1974:338-355).

რიტორიკისადმი ცხოველი ინტერესი მსოფლიო მაშტაბით არათუ ცხრება, არამედ მატულებს კიდეც. და დღეს ტყუილად არ ლაპარაკობენ რიტორიკის რენესანსზე. ქვეყნდება მონოგრაფიები (ОБЩАЯ...1986) იმართება სიმპოზიუმები, განიხილავენ და იკვლევენ როგორც რიტორიკის იტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებს, ასევე მის შედგენილობას, განშტოებებს, ცალკეულ რიტორიკულ დისციპლინებს. გაზეთში F.A.Z („ფრანკფურტის საერთო გაზეთი") გამოქვეყნებულია მოკლე ცნობა ქ. ესენში გამართულ რიტორიკი-

სადმი მიძღვნილ კოლოკვიუმზე, რომელიც მოწმობს მსოფლიო მეცნიერთა ცხოველ ინტერესს რიტორიკის პრობლემებისადმი და მისი საზღვრების „უსაზღვრობას". აი, ის ცნობა, რომელიც საინტერესოა აგრეთვე ტექსტის ნიმუშის თვალთახედვითაც.

Rhetorik
Kolloquium in Essen

"Die Rhetorik der Renaissance-die Renaissance der Rhetorik" steht im Mittelpunkt eines interdisziplinären Kolloquiums in Essen (27. bis 30. Juni). Rhetorikforscher aus Europa und Nordamerika werden sich unter anderem mit „Humanismus und Rhetorik in Spanien", „Rhetorikgeschichte und Mediengeschichte", „Klassizismus und Rhetorik", „Ars rhetorica und ars poetica" und der „Musikalischen Rhetorik und Musikanschauung der Renessance" befassen.

F.A.Z (1990, N131).

მართლაც რომ უსაზღვროა რიტორიკის საზღვრები.

1.2. მოკლე ექსკურსი ქართული რიტორიკის ისტორიაში

მოკლე ექსკურსის სახით გვინდა ჩავრთოთ მონოგრაფიის ამ ძირითად ნაწილში რამდენიმე სიტყვა ქართულ რიტორიკაზე. საქართველოში ყოველთვის იგრძნობოდა ცხოველი ინტერესი რიტორიკისადმი. ეს ბუნებრივიცაა. ქართულ მეტყველებას ახასიათებს არტისტიზმი და ზომიერად ზეაწეული შეფერილობა, რასაც საფუძველს უქმნის უაღრესად მდიდარი სტილისტიკური გამომსახველობითი საშუალებანი, რომელიც უხვადაა გაბნეული მაღალგანვითარებული ქართული ენის ლექსიკასა და გრამატიკაში. ქართული მეტყველების, და საერთოდ ქართული ენის, ამ თავისებურებას დამწერლობისა და ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც განაპირობებს. ქართული საკულიერო და საერო ლიტერატურა მდიდარია ბრწყინვალე ნიმუშებით, რომელთა ავტორები, უეჭველია იცნობდენენ რიტორიკას და მის კანონებს. გარდა იმისა, რომ მათ თხზულებებში მოჩანს რიტორიკის ცოდნის კვალი, თვით ტერმინი „რიტორიკაც" ხშირად ფიგურირებს მათთან სხვადასხვა ფორმით (მაგალითად; იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", დავით გურამიშვილთან). სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში" გვხვდება ორი სიტყვა „რიტორი" და „რიტორება", როლებიც ასე განიმარტება: „რიტორი-ელლინთა ენაა, ქართულად ბასილიკონი და მჭევრი; რიტორება არს ჴელოვნებითა და მარწმუნებელი სიტყვისა: საქმესა შინა სამოქალაქოსა, დასასრულად მქონებელი კეთილად მეტყველებისა" (ქართული ლექსიკონი, 1884:248).

მჭევრმეტყველებისადმი ინტერესს მოწმობს აგრეთვე მე-19 ს-ის ცნობილი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის ნაწერები. მან „ლოგიკის" (1827) და „შემოკლებული ქართული გრამატიკის" (1831) გარდა შთამომავლობას დაუტოვა აგრეთვე „რიტორიკა" (პირველად გამოაქვეყნეს

დ. ქუმსიაშვილმა და თ. კუკავამ ჟურნალ „მწათობის“ პირველ ნომერში 1955 წ.), რომელშიც იგი ეხება ისეთ საკითხებს, როგორციაა მოკლე ისტორია რიტორიკისა, „განსხვავება რიტორიკისა და პიიტიკისა“, „სარგებლობა მჭევრმეტყველებისა“, „განყოფა რიტორიკისა“ და ა. შ. (დოდაშვილი, 1989:167-171).

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ფუძემდებლად ითვლება ნიკოლოზ კანდელაკი, რომელმაც არამარტო გამოიკვლია, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ორატორული ხელოვნების ზოგადი საკითხები, არამედ აგრეთვე გამოსცა უცხოურსა და ქართულ წყაროებში დადასტურებული საისტორიო მასალები. მისი ვრცელი მონოგრაფია „ქართული მჭევრმეტყველება“ (კანდელაკი 1968), მოიცავს ორ მონაკვეთს: „ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებას“ და „ქართულ საელჩო მეტყველებას“. პირველ მონაკვეთში, ერთი მხრივ, განხილულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა მჭევრმეტყველების განსაზღვრა, ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია, ქართული მჭევრმეტყველების დარგები (სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო), ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილია ქართველ მჭევრმეტყველთა სიტყვები და წერილები. წიგნის მეორე მონაკვეთი მოიცავს „ადრინდელი მსოფლიო საელჩო მჭევრმეტყველების“ ისტორიას (ძველ აღმოსავლურს, ანტიკურ ბერძნულს, ანტიკურ-რომაულს), ქართულ საელჩო მეტყველების დახასიათებას. ნარკვევებს ქართული საელჩო მჭევრმეტყველების წარმომადგენლებზე და საელჩო როტორიკის ძეგლებს.

ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიის საკითხებს ეძღვნება ვახტანგ ჭანიას წიგნი „ქართველი იურისტები“ (ჭანია, 1961), რომელიც პირველი ცდაა ქართული სამართალმცოდნეობითი რიტორიკის (ფორენზიკის) კონტურების მოხაზვისა. იგი მოიცავს სამოსამართლო მჭევრმეტყველების მოკლე ისტორიას, რამდენიმე ნარკვევს ცნობილ ქართველ იურისტებზე, ქართველი იურისტების და საზოგადო მოღვაწეების მიერ სასამართლო პროცესებზე და ლიტერატურული გასამართლების დროს წარმოთქმულ სიტყვებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სერიის ეგიდით ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა. დაიწყო გეგმაზომიერი თარგმნა და გამოქვეყნება ბერძნულ-ლათინური ძეგლებისა, რომელთაგან ზოგი საქართველოს ისტორიისთვის საყურადღებო მასალას შეიცავს, ზოგიც ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. ამ სამუშაოს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აკად. ს. ყაუხჩიშვილი, ხოლო შემდეგ პროფ. ა.ურუშაძე. ამაგე სახის მუშაობას ეწეოდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების კოლეგია, გამოემელმობა „საბჭოთა სქართველო“ (ციცერონი 1987; დემოსთენე 1984; ქართული სასამართლო....1874; ჰორაციუსი 1981) და სხვ. არსებობს აგრეთე ქართულ პერიოდულ გამოცემებში გაბნეული ცალკეული შრომები, რომლებიც რიტორიკის პრობლემებს ეძღვნება.

1.3. სტილისტიკა

ინტერპრეტაციული მიმართულების დისციპლინების მიმოხილვის დაწყება სასურველია სტილისტიკით, რამდენადაც იგი შეიძლება ჩაითვალოს ათვლის წერტილად ჰერმენევტიკისაკენ მიმავალ გზაზე: სტილისტიკა⇒ინტერპრეტაციული სკოლა⇒ჰერმენევტიკა.

სტილისტიკა, რიტორიკა, ჰერმენევტიკა ისტორიულად ერთმანეთზე გადაჯაჭვული დისციპლინებია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უკვე არისტოტელეს „რიტორიკაში" გვხვდება მონაკვეთი „სტილისტიკა", რომ ლიტერატურული სტილისტიკა მხოლოდ „ახალი ფორმაა რიტორიკისა" (COSERIU, 1980:9), რომ ჰერმენევტიკა ბედისწერამ თავიდანვე დაუკავშირა გრამატიკას, რიტორიკასა და ლოგიკას (ШПЕТ, 1989:249), გასაგები იქნება რაოდენ ღრმა უნდა იყოს მათი კავშირები და ძნელი მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან. თითოეული დისციპლინის განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მეტნაკლებად უწყვეტი ხაზი, რომლის საეტაპო მონაკვეთზე ხდება მათი ასვლა უფრო მაღალ საფეხურზე, ახალი თეორიებითა და მეთოდებით გამდიდრება, მათი ერთმანეთთან დაახლოება და ერთმანეთისგან გამიჯვნა, განვითარებასთან ერთად ისინი სახეს, ზოგჯერ სახელსაც იცვლიან, მაგრამ ისტორიის ახალ საფეხურზე ცხადი ხდება, რომ ძირითადი საყრდენი, რომელიც მათ საფუძვლად დაედო მრავალი ასეული წლის წინ, კვლავ მყარია, თუმცა შენობა მთლიანად განახლებულია და ამდენად, უნდა ვილაპარაკოთ მის რენესანსზე.

ტექსტის ლინგვისტიკის ფესვებს ეძებენ და პოულობენ ლიტერატურული სტილისტიკის გავლით რიტორიკასა და ჰერმენევტიკაში. „Die Textlinguistik in dem Verständnis, dass ich Ihnen hier nahebringen möchte, ist nämlich nichts anderes als Hermeneutik, und die Theorie dieser Textlinguistik ist nichts anderes als die Theorie der Hermeneutik, der Interpretation" (COSERIU, 1980:35).

მივყვეთ ზოგად ხაზებში ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების აქ მონიშნულ გზას და ვნახოთ, რა შეიძინა მან ლიტერატურული სტილისტიკის, ინტერპრეტაციული სკოლისა და ჰერმენევტიკისაგან, სად არის მათი შეხების წერტილები, რა მიიღო მან მემკვიდრეობით და რა წარმოიშვა მასში ახალი.

სტილისტიკა განისაზღვრება როგორც ენათმეცნიერების მრავალპლანიანი დარგი, რომელიც განსხვავებულად გაიგება სხვადასხვა ენათმეცნიერულ სკოლებში და, სავსებით სამართლიანადაც, რადგან სტილის ცნება ერთობ ფართოა და ვერ თავსდება ერთ რომელსამე ვიწრო ჩარჩოში. არსებობს სტილისტიკის ფარგლებისა და სტრუქტურის განსაზღვრის სხვადასხვა მოდელები. ერთ-ერთი ვარიანტი, მაგალითად, გამოყოფს სტილისტიკის შემდეგ ძირითად სახეებს: დესკრიფციულს, ფუნქციონალურს, პრაგმატიკულს, ტექსტის სტილისტიკასა და მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკას (СТЕПАНОВ, 1990:492-494).

ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ადეკვატურად აისახა სტილისტიკის განვითარების გზა. აქაც, ისევე როგორც სხვა ენათმეცნიერულ სკოლებში, მიმდინარეობდა სტილისტიკის პრობლემების ინტენსიური კვლევა, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის სტილისაც. ერთ ხანს წინა პლანზე წამოიწია საკითხმა, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს მხატვრული ლიტერატურის სტილს ფუნქციონალური სტილების რიგში, კერძოდ, ჩაითვალოს თუ არა იგი ერთერთ ფუნქციონალურ სტილად ოფიციალური, მეცნიერების, პუბლიცისტიკისა და პრესის, ყოველდღიური ურთიერთობის სტილების გვერდით. ან კიდევ, საერთოდ არის კი მხატვრული ლიტერატურის სტილი ენათმეცნიერების საქმე, თუ იგი მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის საგანია. ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი დადებითად პასუხობდა ამ კითხვას, ხოლო მეორე უარყოფითად. მაგრამ ის მკვლევრებიც კი, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის სტილს ფუნქციონალურ სტილად მიიჩნევდნენ, ხაზს უსვამდნენ მის გამორჩეულობას სხვა სტილებს შორის იმ მოტივით, რომ მას გარდა კომუნიკაციური და ექსპრესიული ფუნქციებისა, რომლებიც ყველა ფუნქციონალური სტილის დამახასიათებელია, აქვს ესთეტიკური ფუნქცია, რომელიც სხვებს არ გააჩნია (RIESEL, 1963:17-21).

მხატვრული ტექსტების ანალიზში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ასპექტი – ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული. მაშინაც კი, როდესაც სტილისტიკის ზოგად საკითხებზე ან ამა თუ იმ კონკრეტული ენის სტილისტიკაზე იმართებოდა მსჯელობა, ხდებოდა ამ საკითხების დაკავშირება მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკასთან. საკვლევ მასალას ჩვეულებრივ წარმოადგენდა მხატვრული ნაწარმოები, რომლის ანალიზს ხშირად არც ეთქმოდა ტექსტის ანალიზი. ატომისტური მეთოდი, რომელსაც მაშინ იყენებდნენ, ხშირად მხატვრული ნაწარმოების ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილების კვლევას ემსახურებოდა (ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ნაშრომებზე, რომლებიც ტექსტში ენის სისტემის ამა თუ იმ ელემენტს ეძებდნენ). მართალია, ორიოდე სიტყვა თვით მწერლის ლიტერატურულ კრედოზეც ითქმოდა, მაგრამ ეს არ იყო მხატვრული ტექსტის ანალიზი ამ ცნების ჰეშმარიტი გაგებით. ლიტერატურათმცოდნეები, თავის მხრივ, წინა პლანზე წამოსწევდნენ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრობლემებს და სადღაც ბოლოში ხანდახან ორიოდ სიტყვას თუ შეაწევდნენ ნაწარმოების (მწერლის) ენობრივ მხარეს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არც ერთ შემთხვევაში კვლევის საგანი არ ყოფილა თავად **ტექსტი როგორც მთლიანი ენობრივი წარმონაქმნი**, არამედ ერთ შემთხვევაში იყო საანალიზო მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია მოცემული ენის სისტემის ელემენტები, ხოლო მეორე შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოები. ორივე ასპექტის შერწყმა მხოლოდ იმ დიდ მეცნიერებს ხელეწიფებოდათ, რომლებსაც ამის საშუალებას აძლევდა მათი ფართო ფილოლოგიური განათლება (ლიტერატურათმცოდნეობითი+ ენათმეცნიერული) და, რა თქმა უნდა, ნიჭი.

ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული სამოციან, სამოცდაათიან წლებში სტილისტიკის კვლევა, ერთი მხრივ, ძველ კალაპოტში რჩებოდა, ხოლო, მეო-

რე მხრივ, ახალ მიმართულებას იძენდა (ЭНКВИСТ 1988). გამოჩნდა ბევრი ნაშრომი, რომლებშიც სტილისტიკა არაორაზროვნად მიიჩნეოდა ენათმეცნიერულ დისციპლინად, სტილი კი განიმარტებოდა, როგორც ენობრივი გამოთქმის მანერის თვალშისაცემი თავისებურებების კომპლექსი (ein Komplex von auffälligen Eigenheiten der Ausdrucksweise). სტილის ცნება ძირითადად ორ სემანტიკურ კომპონენტს შეიცავდა, ეს იყო: 1. ფუნქციონალური სტილი (ენის გამოყენების სპეციფიკა, ადამიანის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში: ოფიციალური ურთიერთობების სტილი, პრესის სტილი და ა. შ.); 2. ენის ექსპრესიულ საშუალებათა ერთობლიობა, მათი მიზანშეწონილი გამოყენება მოცემულ სიტუაციასა თუ კონტექსტში.

სტილისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენდა სამი ობიექტი: ნორმატიული სტილი, ენის გამომსახველობითი პოტენციალი, მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკური თავისებურებანი. ამის შესაბამისად გამოიყოფოდა სამი სტილსტიკური დისციპლინა: ნორმატიული (პრესკრიფციული) სტილისტიკა, აღწერილობითი (დესკრიფციული) სტილისტიკა და მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა (კლასიფიკაციის ამ მოდელში ზოგადი სტილისტიკისათვის ადგილი აღარ რჩება).

პრესკრიფციული სტილისტიკა აკანონებს ენაში არსებულ გამომსახველობით საშუალებებს. იგი უშუალო კავშირშია პრაქტიკულ სტილისტიკასთან და იძლევა სტილისტიკური საშუალებების მიზანშეწონილი გამოყენების რეკომენდაციებს. **პრაქტიკული** სტილისტიკა კონკრეტული მაგალითების ანალიზით თვალსაჩინოს ხდის და აფიქსირებს ნორმების გამოყენების ცალკეულ შემთხვევებს. ასეთი ნაშრომები, სახელმძღვანელოები და ცნობარები მრავლად მოიპოვებოდა ამ პერიოდში (DEUTSCHE SPRACHE 1978; DIE DEUTSCHE SPRACHE 1957; REINERS 1963; MÖLLER 1962; SCHWARZ 1969; BRANDES/MARKINA 1966; FAULSEIT 1972; MÖLLER 1978; ROST 1971).

დესკრიფციული სტილისტიკა შეისწავლის ენის ფაკულტატურ გამომსახველობით საშუალებებს, აღწერს ენის მთელი სისტემის სტილისტიკური ერთეულების ინვენტარს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სინონიმიას (SCHNEIDER 1963; DIE DEUTSCHE SPRACHE 1969; FAULSEIT/KÜHN 1972; AUERBACH 1963; ZEITUNGSSPRACHE ... 1965; ქართული პოეზია...1982).

მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა შეისწავლის ლიტერატურული სკოლებისა და ეპოქების თავისებურებებს, სტილისტიკური კვლევის მეთოდებს, ლიტერატურული ჟანრებისა და ცალკეული მწერლების ინდივიდუალურ სტილისტიკურ თავისებურებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური ანალიზის დროს „სტილი“ და „ენა“ ხშირად შეწყვილებულად მოიხმარება, თითქოს ენათმეცნიერ მკვლევარს ეშინია არაკომპეტენტურობა არ დასწამონ ლიტერატურულ ასპექტში, და იგი იშველიებს „ენას“, რითაც ხაზს უსვამს კვლევის ენათმეცნიერულ მიმართულებას (RIESEL 1974; SILMAN 1969; БРАНДЕС 1971).

ტერმინი „ტექსტის ინტერპრეტაცია" ამ პერიოდში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იწყება ლიტერატურული სტილისტიკის გადასვლა ახალ საფეხურზე. ლინგვისტიკური მიმართულების მონოგრაფიებსა და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებში ლიტერატურული სტილისტიკის საკითხები კვლავ განიხილება ზოგადი სტილისტიკის ფარგლებში. უკვე ლაპარაკობენ არა მხატვრული ნაწარმოების, არამედ ტექსტის თავისებურებებზეც.

ტექსტის ინტერპრეტაცია ორ ასპექტში ხდება – ლინგვისტიკურსა და ლინგვოსტილისტიკურში. პირველი განეკუთვნება მიკროსტილისტიკის კომპეტენციას (აღწერს ფონემის, სიტყვის, წინადადების სტილისტიკურ მახასიათებლებს, სტილისტიკურ საშუალებებს, ფიგურებს), მეორე – მაკროსტილისტიკის კომპეტენციას (იკვლევს სტილისტიკურ გამომსახველობით საშუალებებს წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულის, ტექსტის ფარგლებში). განასხვავებენ ტექსტის ანალიზურ და ანალიზურ-სინთეზურ ინტერპრეტაციას. ანალიზური ეფუძნება შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპს, მისი ობიექტებია მინიმალური კონტექსტი, გაფართოებული კონტექსტი და მთლიანი კონტექსტიც კი. კონკრეტულ საკვლევ მასალას წარმოაგენს ლექსიკური, გრამატიკული და ენობრივ-სტილისტიკური მონაცემები. კვლევების შედეგებს მნიშვნელობა აქვს ენის სისტემის სინქრონილი პარადიგმების დადგენისა და დიაქრონულ ჭრილში ენის განვითარების ისორიისთვის. ანალიზურ-სინთეზური ინტერპრეტაცია ამოდის მთელიდან მიემართება ნაწილისაკენ და ისევ მთელს უბრუნდება. ნაწილი განიხილება მთელის ფარგლებში. ეს არის კომპლექსური ინტერპრეტაცია, რომლის ძირითადი ობიექტი მთლიანი ტექსტია. ანალიზის ორიენტირებია: გამონათქვამის მიზანი, მისი შინაარსი და ფორმა, აგრეთვე ზემოქმედება მკითხველზე/მსმენელზე (პრაგმატიკული ასპექტი). ყველა შემთხვევაში საანალიზოდ მოხმობილია როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ტექსტები. მხატვრული ლიტერატურა ითვლება ერთერთ ფუნქციონალურ სტილად, ამასთანავე ხაზი ესმება, მხატვრული ტექსტის კომუნიკაციურ-ესთეტიკურ ფუნქციას როგორც სხვა ფუნქციონალური სტილებისაგან განმასხვავებელ ნიშანს. კომპლექსური (ანალიზურ-სინთეზური) ინტერპრეტაციის დროს წინა პლანზე ხან ლიტერატურულ-ესთეტიკური ინტერესები წამოიწევს, ხან ენობრივ-სტილისტიკური. პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება ტექსტის ლიტერატურულ ინტერპრეტაციასთან, მეორეში – ტექსტის ლინგვისტიკურ ინტერპრეტაციასთან (RIESEL 1974).

1.4. ინტერპრეტაციული სკოლა

ტექსტის ლინგვისტიკური და ლინგვოსტილისტიკური ინტეპრეტაცია, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მარტივი, საფეხურია ჰერმენევტიკისკენ მიმავალ გზაზე. პარალელურად დასავლეთში დამოუკიდებელ მიმართულებად განვითარდა ინტერპრეტაციული სკოლა, რომლის წარმოშობის თარიღად მე-20 საუკუნის დასაწყისი ითვლება. ეს არის თვისებრივად ახალი საფუხური

ტექსტის ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. ამ სკოლის მამამთავრები არიან იტალიელი ხელოვნების თეორეტიკოსი ბენედეტო კროჩე და გერმანელი რომანისტი კარლ ფოსლერი, ხოლო მის საკუთრივ დამფუძნებლად ითვლება ავსტრიელი რომანისტი ლეო შპიცერი. როგორ არის შეფასებული ეს სკოლა 70-იანი წლების გდრ-ის ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში? მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების პრინციპების გადასახედიდან, როგორც ამას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევრები ამტკიცებდნენ, ინტერეპრეტაციული სკოლა წარმოადგენს ფსიქოლოგისტური ყაიდის იდეალისტურ ბურჟუაზიულ მიმართულებას. ამ სკოლის წარმომადგენლებს ბრალად ედებათ იდეალისტური მიდგომა მხატვრული ნაწარმოების შეფასებაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნების ყოველი ნიმუში მათ შორის ლიტერატურული ნაწარმოებიც (Sprachkunstwerk, Wortkunstwerk), გამოხატავს შემოქმედებას, ინტუიციას და ინდივიდუალურ სულიერ მდგომარეობას, რომელიც განუმეორებელი ფენომენია, და მხოლოდ ასეთად უნდა იყოს ინტერპრეტირებული. აქედან კეთდება დასკვნა: ინტერპრეტაციული მეთოდი მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავს იზოლირებულად, საზოგადოებრივი გარემოდან მოწყვეტით. მისი წარმომადგენლები იფარგლებიან მხოლოდ მხატვრული ობიექტით, არ ითვალისწინებენ მხატვრული შემოქმედების პროცესის საზოგადოებრივ კავშირებს და მატვრული ნაწარმოების ფუნქციას საზოგადოებაში.

ლეო შპიცერის როგორც ინტერპრეტაციული სკოლის დამფუძნებლის მიმართ იგივე საყვედური გამოითქმის. კარლ ფოსლერის მსგავსად მხატვრულ ნაწარმოებში ისიც მხოლოდ ინდივიდუალურ სტილს ეძებს. ლ. შპიცერის რწმენით, მკითხველს შეუძლია თავად გაადევნოს თვალი მწერლის სულიერ მოძრაობას, თუკი ის ნაწარმოების სტილისტიკურ თავისებურებებს აღიქვამს ემპირიულად და შემდეგ დაკვირვებების შედეგებს დააჯამებს. ეს ხომ იდეალისტური სუბიექტივიზმია, დასკვნიან ლეო შპიცერის ოპონენტები. ამას გარდა ეს მეთოდი მიესადაგება მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებს და არა ყველა ტიპის ტექსტს, მაშასადამე ფუნქციონალურ სტილისტიკაში გამოუსადეგარია. ეს კი დიდი ნაკლია და მარქსისტულ-ლენინური ლინგვისტიკის მოთხოვნებს ინტერპრეტაციული სკოლა ვერ დააკმაყოფილებსო (FLEISCHER/MICHEL, 1979:27-30).

ვნახოთ რას ამბობს თავად ლეო შპიცერი და როგორ აფასებენ მას ის მკვლევრები, რომლებიც არ არიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წარმომადგენლები.

ლეო შპიცერი აღიარებს ენის სოციალურ ბუნებას და ხელოვნების ინდივიდუალურობას. ამასთანავე იგი იმასაც უსვამს ხაზს, რომ ენაში შეიძლება მოიძიოთ ის, რაც ინდივიდუალურის გამოხატვას ემსახურება. „Sprache ist vor allem Mitteilung, Kunst vor allem Ausdruck, Sprache vor allem sozial, Kunst individualistisch. Daher konnte erst nach großer Verfeinerung der betreffenden Disziplinen (იგულისხმება ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ესთეტიკა-ვ.ფ.) Sprache als Ausdruck, Kunst auch als Mitteilung behandelt werden“

(SPITZER, 1961ª:502-502). თვით მისი წიგნის „Stilstudien" ორი ტომი, რომელთაგან ერთს ჰქვია „Sprachstile" და გულისხმობს საერთო ენობრივს (gemeinsprachliches), ხოლო მეორეს – „Stilsprachen" და გულისხმობს ინდივიდუალურ ენობრივს (individual-sprachliches), იმაზე მეტყველებს, რომ ენის ინდივიდუალური გამოყენების კვლევა ავტორისთვის არ ნიშნავს ენის სოციალური ბუნების უარყოფას. იგი ბაზს უსვამს, რომ ამოდის საერთო ენობრივიდან და მიემართება ინდივიდუალურისკენ, რომ საერთო ენა სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალური ენების გადაკვეთილობა (Durchschnitt) (SPITZER, 1961ª:IX; SPITZER, 1961ª:517).

ერთ-ერთი საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ლეო შპიცერმა პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი იტალიელი ჯარისკაცების წერილებში ანალიზს მიუძღვნა, შეუძლებელია ჩათვალო იმის ნიმუშად, რომ იგი უარყოფდა ადრესანტის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს და კავშირებს. ვოლფგანგ ფლაიშერისა და გეორგ მიხელის საპირისპიროდ უტც მაასი მაღალ შეფასებას აძლევს ლეო შპიცერის თეორიასა და პრაქტიკას. იგი განიხილავს მის მოღვაწეობას დისკურსული ანალიზის თეორიის კონტექსტში და თვლის, რომ მან თავის შრომებში პრაქტიკულად ხორცი შეასხა დისკურსული ანალიზის ძირითად დებულებებს. ლეო შპიცერმა წინ წამოსწია ენობრივი პრაქტიკის სოციალურობა და კონკრეტული მასალის ანალიზით აჩვენა, თუ როგორ არის შესაძლებელი ენობრივ გამოთქმაში სიტუაციის (აგრეთვე პოლიტიკურის) რეკონსტრუირება (MAAS, 1988:724-725).

უსაფუძვლოა ის ბრალდებაც, თითქოს ლეო შპიცერი მხოლოდ მხატვრული ტექსტების ანალიზს მიიჩნევდა მიზანშეწონილად. „Aber Spitzer geht in der Radikalität seines sprachwissenschaflichen Unternehmens noch weiter, indem er nicht nur literarische Texte analysiert, sondern jede Art von Sprachpraxis gewissermaßen ethnologisch einer Diskursanalyse unterwirft", წერს უტც მაასი (იქვე, 724).

მხატვრული ტექსტის ანალიზის აუცილებელ პირობად ითვლება ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მჭიდრო კავშირი, ხოლო სტილი მიჩნეულია ხელოვნების დონეზე აყვანილი ენის გამოყენების ნიმუშად. „Sprache als Kunst verwendet heißt Stil", წერს ლ. შპიცერი (SPITZER, 1961ª:3-4). ყოველ ინდივიდუალურ სტილს აქვს თავისი სახე (Stilgesicht). როგორც ყველა ადამიანის სახე სახეა და, ამავე დროს, ერთი სახე არა ჰგავს მეორეს, ასევე ყველა სტილი სტილია, მაგრამ ერთი ინდივიდუალური სტილი არა ჰგავს მეორეს (იქვე, 515). ასე მაგალითად, ენობრივი სამუალებები, რომლებიც მარსელ პრუსტის სტილს ქმნიან, ფრანგულ ენაში არსებობს და მათ სხვა მწერლებიც, და საერთოდ ყველა ფრანგი იყენებს, მაგრამ ისინი ერთად მთლიანობაში შეადგენენ მარსელ პრუსტის ინდივიდუალური სტილის ელემენტებს. ეს ელემენტებია: 1. Satzrhythmus, 2. Retardierende Elemente, 3. Bindemittel, 4. Das Verhältnis zur Sprache (არ უყვარს „ირიბი თქმა"), 5. Der Erzähler (SPITZER,

1961*:472). ასე იქმნება ტოტალური სურათი ინდივიდუალური სტილებისა, სტილის კოსმოსისა.

ამრიგად, ინტერპრეტაციული სკოლა მწერლის შემოქმედების და მხატვრული ტექსტის ადეკვატურად აღქმის აუცილებელ პირობად თავად მწერლის ამ დიდი მოუბრის (der große Sprecher), სულის წვდომას, მისი ხმის მიყურადებას და სულიერი განწყობის გაზიარებას მიიჩნევს. მაგრამ ყოველივე ეს ხომ მის ენობრივ გამოხატულებაშია ჩაუნჯებული. თუ მართალია მტკიცება: ადამიანი სტილია თავად (Le style est l'homme meme. Buffon), სტილის საშუალებით უნდა მივაკვლიოთ მწერლის სულიერ რატომს (das seelische Warum), მის სულიერ ჰაბიტუსს (der seelische Habitus), შემოქმედების ძირითად მოტივებს („მოტივი" შეიძლება გაგებულ იქნეს აგრეთვე როგორც მსოფლმხედველობა"), მივაღწიოთ ენობრივისა და სულიერის, ფორმისა და აზრის წვდომას. საკმარისი არ არის მხოლოდ გამორჩეული, თვალშისაცემი ენობრივი თავისებურებების აღნუსხვა, აუცილებელია აგრეთვე მათში ჩადებული საზრისის წვდომა. ასეთია ლეო შპიცერის ინტერპრეტაციული სკოლის მოთხოვნები.

ინტერპრეტაციულ სკოლას ისეთ „უარყოფით" მახასიათებლებს მიაწერენ როგორიცაა „იდეალისტური" მიმართულება და „ჰერმენევტიკა" (FLEISCHER/MICHEL, 1979:27). უნდა შევნიშნოთ, რომ „იდეალისტური" დღეს აღარ ითვლება სალანძღავ სიტყვად და მას დაცვა აღარ ესაჭიროება. რაც შეეხება ინტერპრეტაციული სკოლის გაიგივებას ჰერმენევტიკასთან, ეს კი ვიწრო გაგებაა – და ამდენად სადავოც – იმ ცნებისა, რასაც დღეს სიტყვა „ჰერმენევტიკა" აღნიშნავს.

ინტერპრეტაციული მიმართულების დისციპლინების განხილვა, კაცმა რომ თქვას, ჰერმენევტიკით უნდა დაგვეწყო და შემდეგ გადავსულიყავით ლიტერატურულ სტილისტიკასა და ინტერპრეტაციულ სკოლაზე, რადგანაც იგი ამ დისციპლინების საწყისებთან დგას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მიმართულება თუმცა ინტერპრეტაციის სახით იწყება (როცა მას ჰერმენევტიკა არც ერქვა), მაგრამ ახალი აღორძინებული ჰერმენევტიკით გვირგვინდება. მათ შორის თავსდება ლიტერატურული სტილისტიკა და ინტერპრეტაციული სკოლა. ჰერმენევტიკის მთლიანობაში დაჩეხვა არ იქნებოდა მართებული, ეს მისი განვითარების აღწერის თანამიმდევრობას დაარღვევდა.

1.5. ჰერმენევტიკა

სიტყვა „ჰერმენევტიკის" წარმოშობა უკავშირდება ჰერმესს, რომელიც ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟია და წარმოადგენს შუამავალს ღმერთებსა და უბრალო მოკვდავებს შორის. მისი დანიშნულებაა განუმარტოს ადამიანებს ღმერთების ნება და მათი სურვილები ღმერთებამდე მიიტანოს. უძველესი დროიდან ხდებოდა წინასწარმეტყველებათა ამოხსნა, ძველი ტექსტების განმარტება, ერთი ენის საზრისების გადმოცემა მეორე ენაში, ნიშნებისა და სიმბოლოების ამოხსნა. ასე იქმნებოდა მოძღვრება გაგებაზე (БЕССОНОВ, 1988:8).

ძველ ბერძნულში „ჰერმენ" ძირთან დაკავშირებულია რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი, რომელთაგან სიტყვა „ჰერმენევტიკაში" უპირველეს ყოვლისა „ახსნა" და „განმარტება" დაფიქსირდა.

ბენსელერის ბერძნულ-გერმანულ ლექსიკონში ვკითხულობთ:

ερμηνεία – 1) Fähigkeit sich auszudrücken;
2) Auslegung; 3) sp. gramm. Ausdrucksweise, geformte Rede.

ερμηνευμα – poet. Auslegung, Deutung, Erklärung;

ερμηνευω – erklären, aussprechen, darstellen, auseinandersetzen, auslegen, verdolmetschen, aus der fremden Sprache in die bekannte übertragen (BENSELERS....., 1981:308).

ჰერმენევტიკის როგორც ტექსტის გაგებისა და განმარტების შესახებ მოძღვრების წარმოშობა დაკავშირებულია ძველი აღთქმის ციკლის ტექსტებისა და ჰომეროსის ფილოლოგიურ შესწავლასთან. სიტყვა/ცნება „ჰერმენევტიკა" თანამედროვე გაგებით პირველად დამოწმებულია პროტესტანტ თეოლოგ დანჰაუერთან (J. G. Dannhauer) 1663 წელს, თუმცა, როგორც ითქვა, ამ მოძღვრებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა ანტიკურობასა და ებრაისტიკაში იღებს თავის საწყისს. ამ გრეციზირებულ ნეოლოგიზმს მე-17 საუკუნეში სამ ძირითად მნიშვნელობას მიაწერდნენ: გამოთქმა-გამოხატვას, ახსნა-განმარტებას და თარგმნა-თარჯიმნობას. ფილოლოგიური ჰერმენევტიკის განვითარებას წითელ ზოლად გასდევს ორი მიმართულება: ა) ერთი ენის ლექსიკურ-გრამატიკული ინფორმაციის გადმოტანა მეორე ენაში, ერთი ენის სიტყვაში ჩაუნჯებული ენობრივი საზრისების ადეკვატური ასახვა სხვა ენაში (თარგმანის თეორია და პრაქტიკა); ბ) ისტორიული რეალობისა და ღირებულებათა შეფასება ახალ საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ გარემოში (ტექსტის მსოფლმხედველობრივი ინტერპრეტაცია).

ჰერმენევტიკასთან ძალიან ახლოს დგას ეგზეგეტიკა (die Exegetik), რომელიც იძლევა არა ცალკეული სიტყვების ახსნას კომენტირებისა და სქოლიოების სახით, არამედ ტექსტში მოცემული სიტყვებისა და ამ სიტყვებით გამოხატული საგნების განმარტებით ადგენს ტექსტის საბოლოო საზრისს. „ინტერპრეტატორი-ეგზეგეტი" (der Exeget, der Ausleger) პირველად გვხვდება პლატონთან. ეს არის ხალხის მიერ არჩეული განმმარტებელი საკრამენტისა, რომელიც განმარტავს განწმენდის, მსხვერპლშეწირვისა და საზეიმო ჩვეულებების წესებს. ეგზეგეტიკამ დიდი როლი ითამაშა თეოლოგიის ისტორიაში, რამდენადაც იგი ძირითადად რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციას ემსახურებოდა.- ჰერმენევტიკის განვითარებაში გამოიყოფა რამდენიმე საფეხური, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ რელიგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობის თუ მათი ცნობილი წარმომადგენლის სახელთან.

კათოლიკური ეკლესია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა შუა საუკუნეების რელიგიურ მოძრაობასთან. იგი იცავდა ე.წ. ტრადიციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბიბლიის ალეგორიულ განმარტებაში ძირითადი მნიშ-

ვნელობა ენიჭებოდა ნაწერის აზრის მრავალპლანიანობას. საბოლოო სიტყვა განმარტების ჰეშმარიტებაში ეკუთვნოდა კათოლიკურ ეკლესიას როგორც ალეგორიული განმარტების უმაღლეს ინსტანციას. ამ ბრძოლაში კათოლიკური ეკლესია ეყრდნობოდა ე.წ. ვულგატას (ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც ითვლებოდა ავთენტიკურ ტექსტად), ეკლესიის მამების მიერ შექმნილ განმარტებებს და მოარულ ენციკლიკებს (პაპის მიერ კათოლიკური ეპისკოპოსებისათვის დაგზავნილ წერილობით განკარგულებებს).

კათოლიციზმის ტრადიციულ პრინციპს მარტინ ლუთერმა დაუპირისპირა ე.წ. Schriftprinzip (ნაწერიდან ამოსვლის პრინციპი) როგორც განმარტების ნორმა, რომლის მიხედვითაც ბიბლიის განმარტება აუცილებელია თვით ტექსტზე დაყრდნობით. პროტესტანტების მამამთავრის მიერ წამოწყებულ შეტევას ორი მიზანი ჰქონდა. ჯერ ერთი, მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ბიბლიის კათოლიკური განმარტება უმაღლესი ინსტანცია არ იყო, და მეორეც, საჭირო იყო ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის სწრაფვის წინააღმდეგ პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ. ამ ბრძოლაში მისი ძირითადი პრინციპი იყო „სიტყვიერი ინსპირაცია" (Verbalinspiration). მას ღრმად სწამდა, რომ ბიბლია, როგორც რელიგიური ტექსტი, ღვთის სიტყვასა და ნებას გამოხატავდა.

მარტინ ლუთერის პრინციპის მიზანშეწონილობაში ეჭვი შეიტანეს განმანათლებლობის ჰერმენევტიკულმა თეორიებმა (ა.გ. ბაუმგარტენი. ი.ა. ერნესტი და სხვები) და გაშალეს მისი კრიტიკა. ოთხი სახარება, რომლებიც ერთმანეთს ნაწილობრივ ეწინააღმდეგება, ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშებია და არ შეიძლება ჩაითვალოს ღვთიურ გაცხადებად. ბიბლია ისტორიული ნაწარმოები, ისტორიულად განპირობებული ზნე-ჩვეულებების კრებულიაო.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც ჰერმენევტიკის ფილოსოფიური პრობლემა დააყენა, იყო პროტესტანტი თეოლოგი ფრიდრიხ შლაიერმახერი, რომელიც თავისი შეხედულებებით ახლოს იდგა გერმანულ რომანტიზმთან (იენის სკოლა) და ჰერმენევტიკას მეცნიერებათა მეცნიერებად თვლიდა. მან წინ წამოსწია ინდივიდუალურობის მომენტი და გადაიტანა იგი ხელოვნების სფეროში. მისი აზრით, ენა როგორც მედიუმი საზოგადოებრივი მოვლენაა, მაგრამ როგორ ჩამოყალიბდება იგი ხელოვნების ნიმუშად, ეს უკვე დამოკიდებულია შემოქმედის (ინდივიდის) „ფსიქეზე". შემოქმედების პროცესის სწორად გასაგებად საჭიროა შემოქმედების რეკონსტრუქციის დაწყება და შემოქმედის სულისაკენ უკუსვლა. ინტერპრეტაციის საფუძვლად ფრ. შლაიერმახერმა გამოაცხადა მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს გაგების წრიულ პროცესს მიმართულს ზოგადიდან კერძოსკენ და კერძოდან ზოგადისაკენ. ეს ხერხი, რომელმაც ჰერმენევტიკული წრის სახელი მიიღო, წინასწარ უშვებს, რომ ხელოვნების ნიმუში გაგებულ იქნეს არა თავისი თავიდან, არამედ შემოქმედის ინდივიდუალური „ფსიქეს" გათვალისწინებით (შდრ. ლეო შპიცერს-ვ.ფ.). ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას აძლევს ინტერპრეტატორს ჩასწვდეს უძველესი ტექსტების ავტორების თუ ამა თუ იმ ისტორიული მოღ-

ვაწეების სულს, აღადგინოს ისტორიული ხდომილებანი და შეაფასოს ისინი. ეს შეფასება შეიძლება უფრო ღრმაც კი იყოს, ვიდრე იმათი შეფასება, ვინც ამ ისტორიული ამბების უშუალო მოწმე იყო.

ფილოსოფიური ჰერმენევტიკის განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია **ვილჰელმ დილთაის** სახელთან. გაგების პრობლემის ძირითად მომენტად იგი თვლის შინაგან განცდას. პიროვნება აღიქვამს გარესამყაროს, რომელიც მის გარეთ ძევს. თვით ინდივიდუმში არ არის გარესამყაროს და მოვლენების არსებითი განსაზღვრულობანი. მას არ ძალუძს გონების, აზროვნების რაციონალური კატეგორიებით მიაღწიოს გაგებას. მისთვის მთავარია ფაქტების ინტუიციური განცდა, შინაგანი ფსიქოლოგიური გამოცდილება. გაგება არის დივინატორული აქტი.

მარტინ ჰაიდეგერის ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში ჰერმენევტიკა არის ინდივიდუალურობის დაძლევის საშუალება. ჰერმენევტიკული წრე მასთან იკვრება არა პიროვნებასა და გარემოს შორის, არამედ ენაში, რომელიც იდეოლოგიურ ღირებულებათა შენახვის საშუალებაა. ჰუსერლის მიერ შემოღებული ტერმინი „ცხოვრებისეული სამყარო" (Lebenswelt), რომელიც გულისხმობს ცალკეული საგნების ჰორიზონტების შერწყმას ერთ ტოტალურ ჰორიზონტად, გააზრებულია როგორც ინდივიდების ურთიერთგაგების შესაძლებლობა. შორეული კულტურების ცალკეული ძეგლების საზრისების დასადგენად უპირველეს ყოვლისა ამ კულტურების ჰორიზონტები („ცხოვრებისეული სამყარო") უნდა დადგინდეს. მარტინ ჰაიდეგერმა „ცხოვრებისეული სამყარო" განმარტა როგორც ენობრივი რეალობა და ჩამოაშორა მას როგორც ფსიქოლოგიზმი, ისე ინდივიდუალიზმი. მისი აზრით, ენა როგორც ისტორიული ჰორიზონტი განსაზღვრავს ყოფიერების ბედს. ადამიანი კი არ ლაპარაკობს ენით, არამედ ენა ლაპარაკობს ადამიანით. ენა არის „ყოფიერების სახლი". ყოფიერება ყველაზე სრულყოფილად პოეტების ენით ლაპარაკობს. პოეტების ენა მრავალაზროვანია, მისი განმარტება ფილოსოფიური ჰერმენევტიკის საქმეა (HEIDEGGER, 1986:12...267).

ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება **ჰანს-გეორგ გადამერი**. მან ჰერმენევტიკას ჩვენი დროის უნივერსალური ფილოსოფია უწოდა, რომელმაც უნდა გადაჭრას გარესამყაროს გაგებისა და ყოფიერების ჭეშმარიტების ხორცშესხმის პრობლემა. ყოფიერების ერთ-ერთი სახეა ხელოვნება. ტექსტი ისევე უნდა ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად, როგორც ქანდაკება, ნახატი... „კლასიკური დისციპლინა, რომელიც სწავლობს გაგების ხელოვნებას, არის ჰერმენევტიკა" (ГАДАМЕР, 1988:215). გაგება ნიშნავს ურთიერთგაგების მიღწევას არა იმ მხრივ, რომ ერთმა პარტნიორმა წარმოადგინოს თავისი თავი მეორის ადგილზე და განიცადოს იგივე, რასაც მეორე განიცდის (ეს მხოლოდ გაგების ერთი გზაა), არამედ იმაში, რომ ჩასწვდეს საქმის ვითარების არსს. ურთიერთგაგების ეს პროცესი ენობრივი პროცესია. ამიტომაც არის, რომ გაგება ტრადიციულად გრამატიკისა და რიტორიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ენა არის ის გარემო, რომლშიც

მიმდინარეობს მოსაუბრეთა ურთიერთშეთანხმების პროცესი და მიიღწევა ურთიერთგაგება იმაზე, რაზედას საუბარია. „ყოველი გაგება-განმარტებაა, ხოლო ყოველი გაგება იშლება ენობრივ გარემოში, რომელიც, ერთი მხრივ, ცდილობს სიტყვებით გამოხატოს საკუთრივ საგანი, ხოლო, მეორე მხრივ, თვით განმმარტებლის ენას წარმოადგენს“ (ГАДАМЕР, 1988:452).

ჰანს-გეორგ გადამერი აკრიტიკებს როგორც განმანათლებლების შეხედულებებს ჰერმენევტიკაზე, ისე სხვა სკოლების წარმოამდგენლებს. მისი აზრით, თეზისი იმის შესახებ, რომ აუცილებელია მკვლევარმა კვლავ განიცადოს ისტორიული წარსული, ხელს კი არ უწყობს ისტორიული გაგების სწორად წარმართვას, არამედ პირიქით, ხელს უშლის. თუ ინტერპრეტატორმა არ განყვიტა აქტიური კავშირი ისტორიულ ხდომილებასთან, ისე ვერ დაადგენს ამ მოვლენის ნამდვილ ღირებულებას. ისტორიული შემეცნების საფუძველი, გადამერის მიხედვით, არის ტრადიციით მოცემული „წინასწარი გაგება“, რომელშიც ცხოვრობს და აზროვნებს ადამიანი. ის შეიძლება ადამიანმა გააკრიტიკოს, გაასწოროს, მაგრამ მისგან იგი მთლიანად ვერ გათავისუფლდება. ისტორიული აზროვნება ყოველთვის და თავიდანვე შეიცავს თავის თავში ამ ცნებების (ისტორიული ცნებების-ვ.ფ.) გაშუალებას ჩვენს საკუთარ აზროვნებასთან. განმარტებიდან საკუთარი აზროვნების გამორიცხვის ცდა არა თუ შეუძლებელია, არამედ უაზრობაცაა. განმარტება ხომ სწორედ იმას ნიშნავს, რომ თამაშში შეიყვანო საკუთარი წინარეცნებები, რათა ტექსტი რეალურად შეიმოსოს ენით“ (იქვე, 462). გაგების უზრუნველყოფის პირობად აყენებს გადამერი ინტერპრეტატორის ისტორიულ ჰორიზონტსა და ტექსტის ჰორიზონტს შორის არსებული დაშორების მანძილის დაძლევას. ამისათვის აუცილებელია ამ ჰორიზონტის შერწყმა, რაც ხორციელდება ჰერმენევტიკულ წრეში ენის მეშვეობით.

ჰერმენევტიკა ისევე მრავალსახოვნია როგორც რიტორიკა. ლაპარაკობენ აგრეთვე იურიდიულ ჰერმენევტიკაზე (აქ სამ ფრაზას გამოყოფენ: გაგებას, განმარტებას, აღსრულებას), ლიტერატურათმცოდნეობით (აქ ავტორის ინტენციის სწორი გაგება ზოგიერთ მკვლევარს შეუძლებლად მიაჩნია, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი მკითხველი – რეციპიენტიც არის, ტექსტის იმდენივე განსხვავებული აღქმა, გაგება და განმარტება შეიძლება არსებობდეს) და ენათმეცნიერულ ჰერმენევტიკაზე. ჰანს-გეორგ გადამერი ენათმეცნიერული ჰერმენევტიკის ფუძემდებლად მიიჩნევს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს, რომელიც ენობრივი გაგების არსს უკავშირებს ენის მსოფლხედვას (Weltansicht).

ჰერმენევტიკის ცნებას მკვლევართა ერთი ნაწილი ფართოდ განმარტავს, ხოლო მეორე – ვიწროდ. ბევრი ჰერმენევტიკოსი ამ ცნების/ტერმინის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლის აუცილებლად, როდესაც გაგება ძნელია და ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია შეუძლებელი. ჰერმენევტიკული შეიძლება ეწოდოს მარტოოდენ ძნელად გასაგები ფილოსოფიური ტექსტების და პრეტენზიული ლიტერატურული ნაწარმოებების ინტერპრეტაციას. ამ „არისტოკრატიულ“ თვალსაზრისს უპირისპირდება მეორე, რომლის მიხედ-

ვითაც გაგება ესაჭიროება უბრალო, არაპრეტენზიულ მოვლენებსაც. ამიტომ კონსენსუსის მომხრე ჰერმენევტიკოსების აზრით, გონივრული იქნება „ჰერმენევტიკით" აღინიშნოს გაგებისა და განმარტების უმაღლესი საფეხური, ხოლო უფრო დაბალი რანგის საკითხები გადაწყვიტოს „გაგებისმცოდნეობამ" (Verstehenslehre), თუ კი „ჰერმენევტიკა" მეტისმეტად პრეტენზიული ეჩვენება ვინმეს (SEIFFERT, 1992:12-14). თუ ჰერმენევტიკა ამ ტერმინის ფართო აზრით დაკანონდება, მაშინ მისი შედგენილობა, შესაბამისად, რთული იქნება. ზოგიერთი ჰერმენევტიკოსი გვერდს უვლის ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას და უარს ამბობს იქ წამოჭრილი საკითხების განხილვაზე იმ საბაბით, რომ იგი მეტისმეტად აბსტრაქტულია, და თვალსაჩინოს ვერ ხდის, როგორ უნდა მიუდგეს ჰერმენევტიკული მეთოდი ამა თუ იმ კონკრეტულ მასალას. „In der philosophischen Literatur bleibt die Hermeneutik oft etwas Hohes, Hehres, das nicht weiter konkretisiert wird", წერს ჰელმუტ ზაიფერტი (იქვე, 42). (ძნელია დაეთანხმო ამ შეფასებას, თუ გაიხსენებ მარტინ ჰაიდეგერის უბადლო ინტერპრეტაციებს კონკრეტულ პოეტურ ტექსტებზე.)

ჰერმენევტიკის სხვა სფეროებს ჰელმუტ ზაიფერტი შემდეგნაირად შემოფარგლავს: 1. დოგმატური (თეოლოგიური, იურიდიული, ფილოლოგიური) ჰერმენევტიკა, 2. ისტორიული ჰერმენევტიკა, 3. ენის ჰერმენევტიკა, 4. ცხოვრების ჰერმენევტიკა (ენის პრაგმატიკა, ენა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ენა უცხო ქვეყანაში...) (SEIFFERT, 1992).

ამრიგად, ჰერმენევტიკის როგორც თვითმყოფი მეცნიერების დარგის შედგენილობის საკითხი ღიად რჩება.

პირველი ქვეთავის დასკვნები

1. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალთახედვით, რომელიც კომუნიკაციის სამ ძირითად კომპონენტს – ადრესანტს, ტექსტსა და ადრესატს – გამოყოფს, რიტორიკა შეიძლება ჩაითვალოს ადრესანტის პოზიციაზე გათვლილ დისციპლინად. ეს არის მოძღვრება მჭევრმეტყველებაზე, ორატორულ ხელოვნებაზე, ორატორობაში დახელოვნებასა და დაოსტატებაზე. რიტორიკაში, ერთი მხრივ, გამოიყოფა პრესკრიფციული მიმართულება, რომლის კომპეტენციაში შედის ადრესანტის როგორც კომუნიკაციის სუბიექტის სფერო, მეტყველებაში მისი დაოსტატების ხერხების აღწერა, ზეპირი გამოსვლისა თუ (წერილობითი) ტექსტის მომზადება-შედგენის ნორმები, სუბიექტის მიერ გასავლელი ეტაპები მასალის შერჩევიდან დაწყებული სიტყვის წარმოთქმით ან ტექსტის საბოლოო ვარიანტით დასრულებული. თანამედროვე რიტორიკის სახელმძღვანელოები თუ თეორიული ნაშრომები ძირითადად კვლავ კლასიკური რიტორიკის მოდელს ეყრდნობიან და საფუძვლად იღებენ მის სხვადასხვა ვარიანტებს. მეორე მხრივ, რიტორიკა ადრესანტად მიიჩნევს არა უბრალო მოკვდავს (იურისტს, მქადაგებელს, მოხელეს...), არამედ ღვთივმომადლებული ნიჭის მქონე პოეტსა და მწერალს. იგი უნდა ფლობდეს პოეტური ხელოვნების უმაღლეს პრინციპებს, იცოდეს პოეტიკა, მხატვრული ნაწარმო-

ების შექმნის ტექნიკა. რიტორიკის ორივე მიმართულება ადრესანტს სთავაზობს წარმოსათქმელ სიტყვაზე, დასაწერ ტექსტზე, შესათხზველ პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებზე გააზრებული და მიზანშეწონილი მუშაობის მეთოდიკას. დაბოლოს, არსებობს აგრეთვე ახალი, აღორძინებული რიტორიკის ვარიანტები, რომლებსაც საფუძვლად უდევს თანამედროვე რთული სემიოტიკური თეორიები.

2. ა) **ლიტერატურული სტილისტიკა** განიხილავს ადრესანტის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ლიტერატურული სკოლებისა და ეპოქების დამახასიათებელ ნიშნებს, აღწერს მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურას, ენასა და სტილს. ამასთანავე ანალიზური და ანალიზურ-სინთეზური მეთოდის მოშველიებით იგი იძლევა ტექსტის შეფასებას. ბ) **ინტერპრეტაციულ სკოლას** მისი ოპონენტები უსაფუძვლოდ საყვედურობენ ინდივიდუალისტურ მიდგომას და ფსიქოლოგიზმს მხატვრული ტექსტის გაგებაში, თუმცა ვერ უარყოფენ, რომ მან წინა პლანზე წამოსწია ტექსტის როგორც ერთი მთლიანი ენობრივი ერთეულის გაგება სტილისტიკურ კრიტერიუმზე დაყრდნობით.

3. ჰერმენევტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის სრული გაიგივება, რასაც ზოგიერთი ენათმეცნიერი გვთავაზობს, უმართებულო ჩანს. ჰერმენევტიკული მიდგომა აღებულ უნდა იქნეს ზოგად პრინციპად, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაკონკრეტებას საჭიროებს. თვალუწვდენელი ზღვა ტექსტებისა შეუძლებელია ერთ თარგზე აიჭრას და შეფასდეს. აუცილებელია ისტორიული და თანამედროვე, ორიგინალური და თარგმნილი, ჟანრობრივად და ტიპოლოგიურად განსხვავებული ტექსტების ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები არამარტო რეციპიენტის პოზიცია, არამედ ტექსტის თვითმყოფობაც. ჰერმენევტიკულ საუბარში (ჰანს-გეორგ გადამერის ტერმინი) მონაწილეობს ორივე მხარე. ინტერპრეტატორი წინასწარ განსაზღვრული პოზიციიდან უდგება ტექსტს და ეძებს მასში იმას, რაც მისი ჰორიზონტიდან გამომდინარეობს. მაგრამ ტექსტი არ არის უტყვი მონაწილე ამ საუბრისა, ისიც „სულიერი“ პარტნიორია, ტექსტიც ესიტყვება მკითხველს, ეუბნება მას რაღაცას. ამიტომ ინტერპრეტატორი სავსებით თავისუფალი ვერ იქნება ტექსტის განმარტებაში.

4. ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში კვლევისას გასათვალისწინებელია როგორც რიტორიკის, ისე ინტერპრეტაციული მიმართულების დისციპლინების პრინციპები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შეუმუშავებია ფილოლოგიურ (და ფილოსოფიურ) მეცნიერებებს. მკვლევარმა უნდა გამოიყენოს მათი გამოცდილება ტექსტის ლინგვისტიკის თეორიის შემუშავებაში და პრაქტიკულად მიუყენოს ეს პრინციპები საკვლევ მასალას.

2.0. ტექსტის ლინგვისტიკის ადგილი ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში

ტექსტის ლინგვისტიკის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბების შემამზადებელ პერიოდად ითვლება XX საუკუნის 20-30-იანი წლები, როდესაც თეორიულ პოეტიკაში ყურადღება მთლიან ტექსტზე გამახვილდა. ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემის გასაცნობიერებლად აუცილებელი იყო წინადადებიდან გამოსვლა, მისი საზღვრების გადალახვა და ზეფრაზულ ერთეულებზე გადასვლა. 30-იანი წლებში მსგავსი პრობლემები პუნქტუაციასა და ინტონაციასთან დაკავშირებით განიხილებოდა. საბჭოთა ტექსტის ლინგვისტიკის დაბადების თარიღად უნდა ჩაითვალოს 1948 წელი, როდესაც გ.ო. ვინოკურის, ნ.ს. პოსპელოვისა და ი.ა. ფიგუროვსკის შრომები გამოქვეყნდა. 50-60-იანი წლებიდან ტექსტის კვლევა სულ უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს, თუმცა ინტენსიურად ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს. მხოლოდ 70-იანი წლებიდან იწყება სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, რაც ტექსტის კვლევის სისტემატიზაციის ორგანიზაციული გამოხატულება იყო.

დაახლოებით ასეთია საბჭოთა მკვლევარის ს.ი. გინდინის შეხედულება, რომელიც საბჭოთა ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებისადმი მიძღვნილ მიმოხილვაში სხვათა შორის შენიშნავს: „Самая ранняя из известных нам зарубежных публикаций по ЛТ датирована 1952 г." (იგულისხმება Harris Z.S. „Discourceanalysis" – ვ.ფ.) (ГИНДИН, 1977:345).

ახლა ვნახოთ, თუ რას წერს ავსტრიელი ენათმენციერი ვოლფგანგ დრესლერი:

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარება 1912 წელს იწყება, როდესაც ირინე ნაიეს (Irine Nye) ამჟამად მივიწყებული დისერტაცია გამოქვეყნდა. იგი ზეფრაზულ მიმართებებს იკვლევს, რომელთა შესწავლა შემდგომში მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მხოლოდ 40 წლის შემდეგ (1952 წელს) ჰარისმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკას, – ვკითხულობთ ვოლფგანგ დრესლერთან. თავის მიმოხილვაში იგი აღწერს ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების გზას 60-70-იან წლებში, ასახელებს გერმანელ, ამერიკელ, ინგლისელ, ჩეხ, რუს და ა.შ. ტექსტის მკვლევარებს და მათ ძირითად ნაშრომებს, გამოყოფს ენათმეცნიერულ მიმდინარეობებს, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემებზე, ასახელებს რუს ფორმალისტებსა და ფრანგ სტრუქტურალისტებს. მიმოხილვის ბოლოს იგი, თითქოს მობოდიშებით დასძენს, რომ პოლონურ და რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომები ევროპისა და ამერიკისათვის ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებში დაიბეჭდა, იშვიათად ითარგმნებოდა დასავლურ ენებზე და მსოფლიო მასშტაბით გავლენა ვერ მოახდინა ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაზეო (TEXTLINGUISTIK, 1978:14). ვოლფგანგ დრესლერის მიმოხილვაში არ არის დასმული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტის პრობლემა ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში. ის არ ივიწყებს არავის და

ყველა ერის/სახელმწიფოს წარმომადგენლის ღვაწლს ჯეროვნად აფასებს. ჩვენი მხრივ იმასაც გავიხსენებთ, რომ 1949 წელს გამოვიდა კარლ ბოოსტის ცნობილი სტატია „Satzverflechtung", რომელიც ზეფრაზულ სტრუქტურებს იკვლევდა, ხოლო არამხატვრული ტექსტების ცალკეული სახეობებისადმი, სასკოლო თუ მხატვრული ტექსტებისადმი მიძღვნილი, გერმანულ ენაზე დაწერილი შრომები და სახელმძღვანელოები უკვე XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში გვხვდება[2]. გარდა ამისა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან უამრავი შრომა მიეძღვნა მხატვრული ტექსტების ენობრივ და სტილისტიკურ თავისებურებებს, რომლეთა დადგენა მთლიანი ტექსტების ან ტექსტის მონაკვეთების ანალიზის საფუძველზე ხდებოდა. მარტო ოტო ვაიზეს შრომების დასახელებაც კმარა ამის დასადასტურებლად, რომ არაფერი ვთქვათ ლეო შპიცერზე. ოტო ვაიზე 1923 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „Deutsche Sprach-und Stillehre" (WEISE 1923), რომელიც ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: A.Sprachlehre და B.Stillehre, სპეციალურ მესამე მონაკვეთს ტექსტების სტილისტურ ანალიზს უთმობს. ეს მონაკვეთი თავის მხრივ იყოფა სამ ნაწილად: a) Erzählende Prosa (Erzählung, Schilderung, Beschreibung, Charakteristik); b) Philosofische Prosa (Betrachtung, Entwicklung, Abhandlung); c) Rednerische Prosa (Briefe, Erlasse und Reden). თუმცა ავტორი თავის მიდგომას პროზის ნიმუშებისადმი სტილისტიკურს უწოდებს, ფაქტობრივად იგი ტექსტის მთლიანობიდან ამოდის და ტიპოლოგიური თვალსაზრისით უდგება მათ. საანალიზოდ იყენებს ტექსტის მონაკვეთებს „ეგმონტიდან", „ვერთერიდან", ნიცშეს „ზარათუშტრადან", ფრიდრიხ გრილპარცერის სიტყვას, წარმოთქმულს 1827 წელს ბეთჰოვენის საფლავზე და მრავალ სხვას. იგი ყურადღებას აქცევს არა მარტო სტილისტიკურ ფიგურებს, არამედ წინადადების დაკავშირების წესებსაც, სიტყვების წყობას, გამეორებებს და ა.შ. საყურადღებოა ისიც, რომ წიგნს ქვესათაურად აქვს „Eine Anleitung zum richtigen **Verständnis und Gebrauch** unserer Muttersprache" (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.).

ამრიგად, მტკიცება, იმისა, რომ საბჭოთა ტექსტის ლინგვისტიკა უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე გერმანული ან ამერიკული, უხერხულია. საერთოდ, საჭიროა კი ლაპარაკი რომელიმე ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტზე ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებაში? ალბათ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ საპროგრამო ნაშრომად აღიარებულია 1952 წელს გამოქვეყნებული ჰარისის დასახელებული შრომა, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების აღმავლობის დასაწყისად 60-70-იანი წლები (ამას არც საბჭოთა ლინგვისტები უარყოფენ).

---

[2] მაგ., Geerling, K.F.A. 1878: Der deutsche Aufsatz, ein Hand- und Hilfsbuch. Bamberg; Gonner, N.Th. 1797: Grundsätze der juristischen Praxis, sowohl im Allgemeinen, als in Anwendung auf jede Gattung juristischer Aufsätze. Bamberg; Hopfe, J.G.F. 1827: Neuester Briefsteller für das gewöhnliche bürgerliche Leben. Kassel; Klaus, A. 1883: Lehrbuch der Homiletik. Gotha; Kellen, T. 1911: Die Dichtkunst. Eine Einführung in das Wesen, die Formen und Gattungen der schönen Literatur nebst zahlreichen Musterbeispielen. Essen; და მრავალი სხვა (PLETT, 1979:221-355);

2.1. ენის სტრატიფიკაციული მოდელი და დონის ცნება

ყოველმა მეცნიერულმა დისციპლინამ თავისი თვითმყოფადობის დასამკვიდრებლად სათანადო თეორია და მეთოდოლოგია უნდა შეიმუშაოს, დაადგინოს კვლევის ობიექტი, გამოკვეთოს თავისი საზღვრები და სტრუქტურა (შედგენილობა). თავად ტექსტის მკვლევრების მტკიცებით, ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. უკვე შეიძლება ლაპარაკი მის თვითმყოფადობაზე, საკვლევი ობიექტის გამოკვეთილობაზე, ძირითადი თეორიული თვალსაზრისების დაფუძნებულობაზე და ა.შ., მაგრამ იგი არ არის მყარად, მით უფრო საბოლოოდ, ფორმირებული. ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა კარდინალურ საკითხებზე, ბევრი პრობლემა პრობლემადვე რჩება. ამდენად, სავსებით გამართლებულია საკამათო და დაუდგენელი საკითხების ხელახლა წამოჭრა და განხილვა, განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების წარმოჩენა, კამათის გზით ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა, ცალკეული მკვლევრების მიერ გამოთქმული თვალსაზრისების გათვალისწინება, მათი არგუმენტების მხედველობაში მიღება.

ტექსტის ლინგვისტიკის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მისი ადგილის განსაზღვრა ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში. სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ დღეს ტექსტის ლინგვისტიკის თვითმყოფადობა ეჭვს აღარ იწვევს, რადგან უკვე ფაქტია. უარყოფითი მიდგომა ამ საკითხისადმი უფრო დამახასიათებელი ჩანს ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების პირველი ეტაპისათვის და განპირობებული იყო ენობრივი დონის ვიწრო გაგებით, რომელიც ნიშანდობლივია ემილ ბენვენისტის მიერ შექმნილი სტრატიფიკაციული მოდელისათვის.

ენობრივი დონის გაგება მიმართებაშია სოსიურისეული ლანგის, პაროლისა და ლანგაჟის ცნებებთან. ამ ტერმინის შესატყვის ერთეულებს სხვა ენებზე ეკარგება ის ძირითადი სემანტიკური კომპონენტი, რაც ფრანგულ სიტყვებში ძევს, ამიტომ უმჯობესია ფრანგული ვარიანტების დატოვება ქართულშიც. ამის უფლებას იძლევა ისიც, რომ გერმანულ ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიაში (და არა მარტო გერმანულში) სამივე ტერმინი ფრანგული ვარიანტების სახით შევიდა. ზოგიერთ ლექსიკონსა და ენათმეცნიერთა შრომებში ისინი დაფიქსირდა მინუსკულებით (იხ. HELBIG, 1973:33-34; LEWANDOWSKI 1984-1985 სათანადო სალექსიკონო სტატიები), ხოლო ზოგან მიჩნეულია, რომ მოხდა ფრანგული სიტყვების ასიმილირება და საჭიროა მათი დაწერა თავკიდური მაიუსკულებით: die Langue, die Parole, die Langage (იხ. DUDEN 1976-1981 სათანადო სალექსიკონო სტატიები).

ვიწრო გაგებით ენობრივი დონე უკავშირდება ემილ ბენვენისტის სახელს და შეიძლება იყოს მხოლოდ ლანგის ერთ-ერთი შრე. ყოველი დონის საბაზისო ერთეული, თუ ათვლას დავიწყებთ ქვევიდან, შედის მის ზემოთ მდებარე დონეში და გადაიქცევა ზედა დონის ინტეგრანტად (ბენვენისტის ტერმინი). ყოველი შემდგომი დონის საბაზისო ერთეული უფრო რთულია და ვრცელი,

ვიდრე მის ქვემოთ მდებარისა. წინადადება ითვლება უმაღლესი დონის ერთეულად, რომელიც კეტავს სისტემას – ლანგს. ენათმეცნიერებს, რომლებიც დონის ვიწრო გაგებიდან ამოდიან, შეუძლებლად მიაჩნიათ ტექსტის ჩათვლა საბაზისო ერთეულად და ტექსტის ლინგვისტიკის თვითმყოფ დისციპლინად. მათი აზრით ენობრივი დონის გამოყოფის ძირითადი მოთხოვნაა „ახალი სემანტიკის გადმოცემა“, რასაც ტექსტი ვერ აკმაყოფილებს. ტექსტი ვერ ქმნის ახალ ლინგვისტიკურ შინაარს, რადგანაც მასში იგივე სემანტიკური მახასიათებლები და კავშირებია, რაც წინადადებაში (შენგელაია 1965:273... 288-289).

ენობრივი დონის ფართო გაგების მომხრე მკვლევრები ამტკიცებენ, რომ დონე არის ლინგვისტური აღწერის ფაზა, რომელიც ასახავს ბუნებრივი ენის განსაზღვრულ მდგომარეობას და არ არის მისი პირდაპირი, ზუსტი ასახვა. ენის სტრატიფიკაციული მოდელის აგება დასაშვებია სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე, რაც დამოკიდებულია კვლევის მიზნებსა და მკვლევრის პოზიციაზე. დონეების პოსტულირება შესაძლებელია ლანგის საზღვრების გარეთაც.

ენის სისტემის (ლანგის) მოდელირების პრობლემა 50-იანი წლებიდან აქტუალური გახდა. ეს იყო გამოხატულება ენათმეცნიერთა მისწრაფებებისა შექმნილიყო ენის სურათი მისი ძირითადი კომპონენტების მწყობრი განლაგებით. ენა წარმოდგენილ იქნა, როგორც ერთმანეთზე დაფენილი, ერთმანეთის მიმართ იერარქიულ მიმართებაში მყოფი ნაწილების ერთობა. დანიელმა ენათმეცნიერმა ლუი იემსლევმა („ენის სტრატიფიკაცია“, 1954) ენის სისტემაში გამოყო ორი დონე – შინაარსის და გამოხატულების პლანი, ხოლო მათ ფარგლებში ოთხი სტრატუმი: ფონეტიკური, ფონოლოგიური, გრამატიკული, სემანტიკური (HELBIG, 1973:60-61). 60-იან წლებში ამერიკელი დესკრიფტივისტების მიერ შემოთავაზებულ იქნა ენის მოდელირება აგრეთვე „ენის სისტემის დონეების“ ცნებაზე დაყრდნობით (ჰ. გლისონი „ენის ორგანიზაცია“, 1964; ს. მ. ლემი „სტრატიფიკაციული გრამატიკის ორგანიზაცია“, 1966). ძირითადი ცნება აღინიშნება როგორც „ენობრივი სისიტემის იარუსი ანუ დონე“. ენის მოდელირების ორივე ვარიანტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რამდენადაც ორივე ესწრაფვის, ერთი მხრივ, ენის სისტემაში კომპონენტების (ბლოკების) გამოყოფას, მეორე მხრივ, მათ შორის არსებული მიმართებების დადგენას.

არსებობს მცირეოდენი ნიუანსი „სტრატუმსა“ (das Stratum- die Strata) და „დონეს“ (die Ebene- die Ebenen) შორის. სტრატუმი მოიხმარება არა ლინგვისტიკური აღწერისათვის საჭირო წინასწარ აღებული სიდიდის, არამედ თვით ბუნებრივი ენის სისტემაში არსებული ფართო მოცულობის ფენის აღსანიშნავად. ეს არის არა მოდელის კომპონენტი, არამედ თვით საკვლევი ობიექტისა. რაც შეეხება „დონეს“, ჩვეულებრივ იგი გაიგება როგორც ბუნებრივი ენის მეცნიერული აღწერის ფაზა, ე.ი. მოდელის კომპონენტი. ამასთანავე ფაზას განსაზღვრავს სპეციფიკა ენობრივი საბაზისო ერთეულებისა, რომლებიც გა-

მოიყოფა ენის ლინეარული სეგმენტების შესაბამისად. საბაზისო ერთეულების გამოყოფას საფუძვლად უდევს იერარქიული პრინციპი. მათი მარკირება ხდება „ქვევიდან ზევით“. საფეხურების საფუძველია გადასვლა ფონემიდან მორფემაში, მორფემიდან სიტყვაში, სიტყვიდან წინადადებაში. ყოველი იერარქიული საფეხური გაიაზრება როგორც შემდგომი, უფრო მაღალი საფეხური, რომელზედაც ქვედა საფეხურის ენობრივი ერთეულები უფრო მსხვილდება, უფრო დიდი მოცულობის საფეხურად გადაიქცევა. „სტრატუმს“ და „დონეს“ მეცნიერები თავდაპირველად მოიხმარდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი ორიენტაციის მიმდევრები იყვნენ ისინი. აღმოსავლეთევროპული ორიენტაციის მკვლევრები უპირატესობას „დონეს“ ანიჭებდნენ, თუმცა არც „სტრატუმის“ წინააღმდეგები იყვნენ, ხოლო დასავლეთევროპული ორიენტაციის მკვლევრები – „სტრატუმს“. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ თანდათან მოიშალა ზღვარი ამ ორ ტერმინს შორის, განმასხვავებელ ნიუანსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ენიჭება და ორივე ტერმინი სინონიმურად მოიხმარება (არსებობს კიდევ ამ სინონიმური რიგის მესამე წევრი das Level), ისე რომ, პრობლემა, თუ როგორ გავიგოთ სტრატუმი/დონე როგორც ბუნებრივი ენის სისტემის ნაწილი, თუ ლინგვისტიკური აღწერის ფაზა, თავისთავად მოიხსნება. ორივე შემთხვევაში მიიღება სანდო შედეგები, რამდენადაც მოდელი ობიექტის განსაზღვრული რაკურსით აღწერაა.

ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის სტატუსის გარკვევის ერთ-ერთი გზაა მათი განხილვა ლინგვისტიკური დონეების კონტექსტში, ამასთანავე, ჩვენი აზრით, საჭიროა სულ ცოტა ოთხი ფაქტორის გათვალისწინება:

= ლინგვისტიკური დისციპლინებისა და საბაზისო ერთეულების თანაფარდობა;
= ლანგის, პაროლისა და ლანგაჟის ურთიერთმიმართება;
= დონეების რაოდენობა და მათი განლაგების პრინციპი;
= ენობრივი ნიშნისა და ენობრივი ერთეულის თანაფარდობა;

2.1.1. ლინგვისტიკური დისციპლინებისა და საბაზისო ერთეულების თანაფარდობა

იმის გამო, რომ იდეალად რჩება ტერმინების ერთმნიშვნელოვნად ხმარება (მით უფრო ჰუმანიტარულ დარგებში), აუცილებელია თავი ავარიდოთ როგორც სინონიმიას ისე ომონიმიას და წინასწარი დათქმის გარეშე განუკითხავად არ გამოვიყენოთ ესა თუ ის ტერმინი. პირველ რიგში გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპი: თუ ვაღიარებთ, რომ დაშვებულია ტერმინები „ფონემა“, „მორფემა“ და ა.შ., რომლებიც განსაზღვრული დონეების საბაზისო ერთეულებს აღნიშნავენ, მაშინ ამ ტერმინებით უნდა აიგოს საკუთრივ ენის სტრატიფიკაციული მოდელი, ხოლო ტერმინებით „ფონოლოგია“, „მორფოლოგია“ და ა.შ. – ლინგვისტიკური დისციპლინის მოდელი. მაშასადამე, უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, ენის სტრუქტურული მოდელი, რომელიც საბაზისო ერთეულების საფუძველზე აიგება, და, მეორე მხრივ, ლინგვისტიკური

დისციპლინების მოდელი, რომელიც ენობრივი დონეების შესატყვისი დისციპლინების განლაგებით აიგება. გარკვეულწილად მისაღებია სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის მიერ შემუშავებული მოდელირება, რომელიც განასხვავებს ტექსტის (Text), წინადადების (Satz). დამოკიდებული წინადადების (Teilsatz), წინადადების ნაწილის/წინადადების წევრის/შესიტყვების (Satzteil/Satzglied/Wortgruppe), სიტყვის (Wort), მორფემის (Morphem), ფონემის (Phonem) დონეებს, და ამის შესაბამისად ისეთ ლინგვისტიკურ დისციპლინებს განალაგებს, როგორიცაა: ტექსტის ლინგვისტიკა (Text), წინადადდების წევრის ანალიზი (Satzteil/Satzglied/Wortgruppe), ლექსიკოლოგია (Wort), მორფოლოგია (Morphem), ფონოლოგია (Phonem) (LEWANDOWSKI, 1984-1985:233-234). როგორც მოდელირების ამ ვარიანტებიდან ჩანს, სავალდებულო არაა იყოს ლინგვისტიკური დონეებისა და დისციპლინების პირდაპირი თანაფარდობა 1:1. არც ისაა აუცილებელი, რომ მეტისმეტად დანაწევრდეს საბაზისო ერთეულები და ლინგვისტიკური დისციპლინები. ასე მაგალითად, სინტაქსი და წინადადების წევრების ანალიზი შეიძლება ერთი დისციპლინის ფარგლებში მოექცეს (წინადადების სინტაქსი, შესიტყვების სინტაქსი) და ერთ დონეზე განლაგდეს ერთეულები Satz/Satzteil/Satzglied/Wortgruppe.

ამ საკითხს უკავშირდება საბაზისო ერთეულის არსის განსაზღვრა. მის გამოყოფას საფუძვლად უდევს სემანტიკური და ფორმალური პრინციპი (შინაარსიის პლანი – გამოხატულების პლანი). საბაზისო ერთეული შეიძლება იყოს როგორც ბილატერალური (შინაარსის პლანი+გამოხატულების პლანი), ისე მონოლატერალური (ან შინაარსის პლანი ან გამოხატულების პლანი). ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობის გამო ხშირად ირღვევა შესატყვისობა 1:1. მონოლატერალურია მხოლოდ ორი საბაზისო ერთეული ფონემა (გამოხატულების პლანი) და სემანტემა (შინაარსის პლანი). ფონემა ქვევიდან კეტავს საბაზისო ერთეულის იერარქიას, ხოლო სემანტემა ზევიდან. სხვა ერთეულები კი მათ შორის ვერტიკალურადაა განლაგებული.

2.1.2. ლანგის, პაროლისა და ლანგაჟის ურთიერთმიმართება

სოსიურისეული ტრიადის სამი წევრიდან – ლანგაჟი, ლანგი, პაროლი – მეტი ყურადღება ხვდა წილად – ლანგსა და პაროლს, განსაკუთრებით კი ლანგს. თავდაპირველად ენათმეცნიერული კვლევის საგნად ლანგი გამოცხადდა, პაროლის პრობლემა საკამათო გახდა. ხოლო ლანგაჟი თითქმის მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. ბევრი მათგანი იმის პოსტულირებას ახდენს, რომ დონეების იერარქია გრამატიკით (სინტაქსით) არ უნდა დამთავრდეს და მისი საბაზისო ერთეული წინადადებით. აუცილებელია მათ ზევით გამოიყოს პაროლის დონე საბაზისო ერთეულით – გამონათქვამით და დაფუძნდეს მეტყველების ლინგვისტიკა (Sprechwissenschaft). ლანგისა და პაროლის ცნებების წინ წამოწევამ ფაქტობრივ უკან დასწია და, შეიძლება ითქვას, დავიწყებას მისცა ლანგაჟის როგორც ლანგისა და პაროლის ერთიანობის, ცნება. იგი თითქოს ზედმეტი აღმოჩნდა. ტექსტის ლინგვისტიკის სტატუსის დასადგე-

ნად, მისთვის ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში ადგილის მისაჩენად და ტექსტის დონის გამოსაყოფად აუცილებელია ლანგაჟის ცნების აღორძინება და მისი შემდგომი განვითარება. როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, ლანგაჟის, პაროლისა და ლანგის ცნებები ისე მკაფიოდ ვერ განსაზღვრა შვეიცარიელმა ენათმეცნიერმა, რათა საკამათო არაფერი დარჩენილიყო. იმდენად განსხვავებულია ტრიადის ამ სამი წევრის გაგება, რომ ყოველი მკვლევარი თავის მოვალეობად თვლის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის ვითარებაში საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვას.

ე.ს. კუბრიაკოვასთვის პაროლი და ლანგაჟი სინონიმებია, თუმცა იგი იმასაც არ უარყოფს, რომ მათ შორის განსხავებაც არსებობს (КУБРЯКОВА, 1986:9-11). ლანგაჟის ცნებაში წინა პლანზე წამოწეულია დინამიკურობა, პროცესუალობა, ეს არის რთული მეტყველებით-აზროვნებითი პროცესი, რომელსაც სხვადასხვა ასპექტი: აქვს კომუნიკაციური, სემიოტიკური, ინფორმაციული, დაბოლოს, ტექნიკური (ენა როგორც იარაღი), რომელიც ადამიანში მეტყველების განსაკუთრებული მექანიზმის არსებობას უკავშირდება. ე.ს. კუბრიაკოვას აზრით, სამეტყველო მოღვაწეობა ფსიქიკური პროცესია, ისევე როგორც მოღვაწეობის სხვა სახეები, და მისი შესწავლისთვის აუცილებელია ფსიქიკური მომენტების გათვალისწინება. იგი სამეტყველო მოღვაწეობას განიხილავს მოლაპარაკის პოზიციიდან. ლინგვისტიკის ამოცანაა, ახსნას, თუ როგორ იყენებს მოლაპარაკე ენობრივ რესურსებს მეტყველების აქტებში და ენის სისტემის რომელი ელემენტებია დამახასიათებელი სამეტყველო მოღვაწეობის ცალკეული ეტაპისათვის (იქვე, 24-25... 31).

რამდენადაც ლანგაჟი არის ყველა ენობრივი ფაქტის ერთიანობის აღნიშვნა, ენის გამოყენების პროცესი, შედეგი, სოციალური პირობები და მოლაპარაკის ინდივიდუალური უნარი, საჭიროა მისი როგორც აბსტრაქტული და ოპერაციული ცნების/ტერმინის შენარჩუნება და გამოყენება. აღიარო ლანგი, პაროლი და არ აღიარო ლანგაჟი ნიშნავს დაინახო ცალკეული ხე და არ დაინახო ტყე. ლანგაჟი როგორც მეცნიერული ცნება/ტერმინი პირველ რიგში გულისხმობს ენას საერთოდ, როგორც გვარეობით ცნებას. არსებობს, მაგალითად, ერთი ქართული ენა როგორც მენტალური ცნება და რეალობა, სისტემა და მისი აქტუალიზება, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მოვლენა, ისტორიულად ცვალებადი და განვითარების ერთ ეტაპზე შეჩერებული; ზეპირი მეტყველებით რეალიზებული, წერილობითი სახით განფენილი, წერილობით ბეგლებში დაფიქსირებული; როგორც ადამიანის მოღვაწეობის, მისი სამყაროში არსებობის გარანტი, გაგებისა და გაგებინების საშუალება. ენის ასეთი გლობალური გაგება სულაც არ გამორიცხავს მისი მრავალსახეობის ცალკეული მომენტის გამოყოფას, აღნიშვნას სხვა სათანადო ტერმინებით და მათ შესწავლას. ენის სისტემისა და ფუნქციონირების ასპექტების კვლევა სავსებით კანონზომიერია. ამრიგად, „ლანგაჟი" შეიძლება გავიგოთ როგორც მეცნიერული ტერმინი, რომელიც ენას განსაზღვრავს ზოგად-აბსტრაქტულ გვარეობითი ცნების სახით.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ნორმალური კვლევისათვის აუცილებელია ე. წ. არსებითობის პრინციპის გათვალისწინება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარმა გარკვეული გადაწყვეტილება კვლევის მოცემულ ეტაპზე მიიღოს და მხოლოდ ერთი თვალსაზრისით აღწეროს ფაქტი. იმ ჰეტეროგენული მასიდან, რაც დახვავებულია ერთი ობიექტის ირგვლივ კვლევის მოცემულ საფეხურზე უნდა დაფიქსირდეს ის, რაც მკვლევრისთვის მთვარია. სხვა არსებით მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტორები არ უარიყოფა, მაგრამ განიხილება მხოლოდ არსებით ობიექტთან მიმართებით და მისი შემსწავლელი მეცნიერების ტერმინებით (БАРТ, 1975:160-161).

მოკლე განმარტება ლანგის, პაროლისა და ლანგაჟისა, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, შემდეგია:

ლანგი **die Langue** **სისტემა**	– ენის სისტემა როგორც ინვენტარი – ლექსიკონი და გრამატიკა; ლანგაჟის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი; სოციალური პროდუქტი; ყოველ ინდივიდში ვირტუალურად დაფიქსირებული სემიორიკური სისტემა, რომელიც ენათმეცნიერების სპეციალური შესწავლის საგანია.
პაროლი **die Parole** **აქტუალიზებული ლანგი**	– ლანგის ინდივიდუალური გამოყენება; კონკრეტული ენობრივი ქმედება, ლანგაჟის ინდივიდუალური ნაწილი; შეიძლება იყოს ენათმეცნიერების სპეციალური შესწავლის საგანი.
ლანგაჟი **die Langage** **სისტემა+ აქტუალიზაცია**	– გვარეობითი ცნება; ლანგი+პაროლი; სოციალური+ინდივიდუალური, ენობრივი მოვლენებისა და სამეტყველო ქმედებების ერთიანობა, ენა როგორც საზოგადოებრივი პროდუქტი ენობრივი უნარისა და ერთობა ყველა პირობებისა, რათა ეს უნარი ენობრივ კოლექტივში განხორციელდეს; შეიძლება იყოს ენათმეცნიერების სპეციალური შესწავლის საგანი.

ტრიადის სამი წევრიდან ლანგი დანარჩენი ორის საყრდენს წარმოადგენს (ამიტომ არის, რომ სოსიურის თეორიაში მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს), იგი დანარჩენ ორ კომპონენტში იმყოფება როგორც ძირითადი და აუცილებელი ელემენტი.ამ სამ წევრს შორის დასაშვებია შემდეგი მიმართებები: ლანგი⇔ლანგაჟი, პაროლი⇔ლანგაჟი. გვარეობითი ცნება ლანგაჟი შეიცავს აქტუალიზების აუცილებელ ფუნქციას, პაროლის ფუნქცია არის აგრეთვე აქტუალიზება, ორივეს ინვარიანტია ლანგი. ისმება კითხვა: თუკი პაროლი თავისი ფუნქციით ლანგაჟში შედის, თუკი ის მარტო ფუნქციაა და ლანგის გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაღა საჭიროა მისი ცალკე გამოყოფა? თუ მასში მთავარია ინდივიდუალური ენის კერძო გამოყენებაა, მაშინ ის უნდა

იყოს, ვთქვათ, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის ან ფსიქოლინგვისტიკის საგანი. ხოლო თუ ის წარმოუდგენელია ლანგის გარეშე და მასთან სიმბიოზი ლანგაჟში ხორციელდება, მაშინ მისი თვითმყოფობა ეჭქვეშ დგება. თუ ასეთივე პოზიციიდან შევხედავთ ლანგაჟს, აღმოჩნდება, რომ ისიც მოკლებულია თვითმყოფობას.

ასეთი და სხვა მრავალი შეკითხვაა დასმული დღეს ენათმეცნიერებაში, თუ რომელიც გადაუჭრელი რჩება, რადგანაც ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. ეს პრობლემა არსებობს, აქტუალური რჩება და მისი გადაწყვეტის სხვადასხვა გზა მოიპოვება. დისკუსია გრძელდება.

2.1.3. დონეების რაოდენობა და მათი განლაგების პრინციპი

რამდენი დონე უნდა გამოიყოს ენის სტრატიფიკაციულ მოდელში დღემდე დაუზუსტებელი რჩება. ალბათ, ეს საკითხი საბოლოოდ ვერც გადაიჭრება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დონე ლინგვისტიკური აღწერის ფაზაა, ე.ი. მეცნიერული ოპერაციის ერთეულია, ხოლო ენათმეცნიერების თეორიებისა და მეთოდების განვითარებასთან ერთად მეცნიერული ოპერაციების ახალ-ახალი შესაძლებლობები ჩნდება. მაშასადამე, დონეების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

ძალიან სქემატურად რომ ვთქვათ, 70-იან წლებში ენათმეცნიერულ მოდელში გამოიყოფოდა დისციპლინები: ფონოლოგია, ლექსიკოლოგია, გრამატიკა+ მორფონოლოგია. ამას ემატებოდა კიდევ ფონეტიკა და სემანტიკა, რომლებიც ქმნიან მოდელის ქვედა და ზედა ზღვარს და ენის სისტემას გარე სამყაროსთან აკავშირებენ (ОБЩЕЕ..., 1972:70). როგორც ვხედავთ, ამ მოდელში არ არის წარმოდგენილი არც სტილისტიკა და არც ტექსტის ლინგვისტიკა. სავსებით კანონზომიერია, რომ ტექსტის ლინგვიტიკა არ არის წარმოდგენილი, რადგანაც იგი ის-ის იყო ფეხს იდგამდა. იგივე არ შეიძლება ითქვას სტილისტიკაზე, და ეს შემთხვევითი არ არის. ამ უძველესმა დისციპლინამ ვერ დაიმკვიდრა მყარი ადგილი ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში, და ეს იმიტომ კი არა, რომ ვინმეს არ უნდა მისთვის განსაზღვრული სტატუსის მინიჭება, არამედ იმიტომ რომ, მისი საზღვრების დელიმიტაცია და კვლევის საგნის გამოკვეთა ძალიან ძნელია. ეს არ არის მორფოლოგია თავისი მკაფიოდ მოხაზული საზღვრებით და საბაზისო ერთეულით (მორფემით). სტილისტიკა შეისწავლის სტილს, ისევე ვამბობთ, როგორც ვიტყვით – სინტაქსი შეისწავლის წინადადებას. მაგრამ სტილი ბევრად უფრო ძნელი განსასაზღვრია, ვიდრე წინადადება, რადგან ის სცილდება ლანგის საზღვრებს, უფრო მაღალი რანგის ერთეულია, მრავალსახაა და მისთვის ადგილის მიჩენა საბაზისო ერთეულების რიგში ჭირს.

60-იანი წლებიდან მოყოლებული ენათმეცნიერებაში არ შემწყდარა კამათი სტილისტიკის სტატუსის ირგვლივ. ლანგისა და პაროლის თეორიის შუაზე გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ საკუთრივ ენის (ლანგის) ლინგვისტიკის

გარდა არსებობის უფლება მეტყველების (პაროლის) ლინგვისტიკასაც აქვს (Sprechwissenschaft, речеведение). „მეტყველების“ ცნებაში წინ წამოიწია „ენის“ ფუნქციონირების კანონზომიერებებმა და სტილისტიკა გამოცხადდა ფუნქციონალურ დისციპლინად. გამოითქმოდა საყვედური, რომ მეტყველებას მკვლევართა ყურადღება აკლია. იმას, ვინც ლანგისა და პაროლის დიქოტომიას აღიარებდა, სტილისტიკის პრობლემის კვლევა ენობრივი დონეების კონტექსტში უნდა წარემართა. ერთდერთი ასეთი მიდგომა განასხვავებს ენის სტილისტიკასა და მეტყველების სტილისტიკას, მაგრამ ორივეს ერთ დონეზე ათავსებს და სისტემისა და მეტყველების კომპონენტების შეფარდებას მათი ინტენსიობის ხარისხით განასხვავებს (КОЖИНА, 1968:47). ამ თვალსაზრისთან ახლოს დგას მეორე მიდგომა, რომელიც ენის სტილისტიკას დესკრიფციულ მეცნიერებად თვლის. მისი მომხრეების აზრით, დესკრიფციული სტილისტიკა იკვლევს ენის სისტემის სტილისტიკურ პოტენციალს, სტილისტიკურად მარკირებული ენობრივი ერთეულების შერჩევის შესაძლებლობას. ამგვარად გაგებული სტილისტიკა არის ენათმეცნიერული სტილისტიკა, ხოლო კონკრეტული ანალიზი (კერძოდ, მხატვრული ტექსტისა), კონოტაციური ინფორმაციის გაშიფვრა, გამოხატულებისა და შინაარსის პლანების სტილების ანალიზი არის ტექსტის ინტერპრეტაციის საქმე (ДОЛИНИН, 1987:55) (ე.ი. მეტყველების სტილისტიკა გაიგივებულია ტექსტის ინტერპრეტაციასთან – ვ.ფ.).

გერმანისტიკაში წარმოდგენილი ერთ-ერთი თვალსაზრისი სტილის ცნებას აიგივებს მეტყველების სტილთან (Redestil). ამასთანავე 'Rede' გაიგება როგორც 'Redetext' და არა 'Redeakt'. ამ თვალსაზრისის მიხედვით Sprache რჩება გვარეობით ცნებად, ხოლო მისი ქვემდებარე ცნებებია: Sprachsystem, Redeakt, Redetext, Redestil. აქედან გამომდინარეობს, რომ „ენა“ არის ზოგადი ცნება და მოიცავს როგორც ენის პოტენციურ შესაძლებლობებს, ისე მათ აქტუალიზებას. ამიტომ ტერმინები Redestil და Sprachstil სინონიმებიაო, გვეუბნება ეს თეორია (FAULSEIT/KÜHN, 1972:43), რომელიც, ერთი მხრივ, აღიარებს ლანგისა და პაროლის ოპოზიციას, ხოლო მეორე მხრივ, აუქმებს მას, როცა ამტკიცებს Redestil და Sprachstil სინონიმებიაო.

ძირითად მიზეზად, რომლის გამოც საეჭვო ხდება სტილისტიკის საბაზისო ერთეულის იდენტიფიკაცია, ასახელებენ იმას, რომ არ არსებობს შინაარსისა და გამოხატულების პლანების შესატყვისობა ერთი-ერთზე (1:1). სტილისტიკური კონოტაციის არსებობა ეჭვას არ იწვევს, მაგრამ მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები სცილდება ერთი დონის ფარგლებს. იგი შეიძლება გამოხატოს სიტყვამ, შესიტყვებამ, ფრაზეოლოგიზმმა, წინადადებამ (სიტყვის ფორმამ, ლექსემამ, მორფემამ, სინტაქსურმა კონსტრუქციამ), რაც თითქოს ვერ აკმაყოფილებს საბაზისო ერთეულისადმი წაყენებულ მოთხოვნას. ასე მაგალითად, იურგენ შარნჰორსტი ნაშრომში „Modelle des Sprachsystems“ გვათავაზობს ენის ნიშნობრივი სისტემის შემდეგ დონეებს:

semantische Ebene phonologische Ebene graphische Ebene	unilaterale Ebenen
Textebene syntaktische Ebene lexikalische Ebene morphematische Ebene	bilaterale Ebenen
Nullebene	stilistischer Aspekt (SCHARNHORST, 1986:48)

ამ მოდელში ყურადღებას იქცევს ოთხი მომენტი: ა) ყველა დონე მოქცეულია ენის ნიშნობრივი სისტემის (ლანგის) ფარგლებში; ბ) მონოლატერალური დონეების რიგში შეყვანილია გრაფიკული დონე; გ) ტექსტის დონეს ადგილი აქვს მიჩენილი ბილატერალური დონეების რიგში სინტაქსური, ლექსიკური და მორფემატული დონეების ზევით; დ) დონეების იერარქია ქვევიდან იკეტება ნულოვანი დონით, რომელიც წარმოდგენილია სტილისტიკური ასპექტით (და არა დონით). ნულოვანი დონის გამოყოფა საბუთდება იმით, რომ ის არ ფლობს ნიშნობრივ ხასიათს. იგი არც უნილატერალურია და არც ბილატერალური, არამედ წარმოადგენს „მოდელის გამამარტივებელ დამხმარე საშუალებას" (ბუნდოვანი ცნებაა – ვ.ფ.). ის სხვა დონეებისაგან იმით განსხვავდება რომ არა აქვს სპეციალური სტილისტიკური ერთეულები. სტილისტიკური მარკირება ხდება სხვა დონის ერთეულებით, რის გამოც ისინი არ შეიძლება იყოს არც უნილატერალური, არც ბილატერალური. ამ დონეს აქვს რელატიური ავტონომია, ე.ი. სხვა დონეებთან საერთო თვისებები (SCHARNHORST, 1986:48–49).

ჩვენი აზრით, ეს ბრალდება კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც: ჯერ-ერთი, არსებობს დონეები, რომელთა საბაზისო ერთეულები მონოლატერალურია (ფონემა, სემანტემა) და სტილემაც შეიძლება ჩაითვალოს მონოლატერალურ სემანტიკურ ერთეულად, მეორეც, თუ დონეები აგებულია იერარქიულ პრინციპზე, ე.ი. ყოველი ზედა დონე ქვედასთან შედარებით რთულია და საბაზისო ერთეულის გამოხატულების პლანი სულ უფრო ვრცელია, რატომ უნდა გამოირიცხოს ისეთი ზედა დონის არსებობა, რომლის საბაზისო ერთეული გამოხატულია არა ერთი, არამედ რამდენიმე იერარქიულად დაბალი დონის ერთეულით, რომლებიც აქ თავის სპეციფიკას კარგავენ (ირელევანტური ხდებიან) და ახალ სტატუსს იძენენ. ამასთანავე სტილემა საკმაოდ საკამათოა სტილისტიკის სავარაუდო საბაზისო ერთეულისადმი წაყენებულ მოთხოვნას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სტილემის გამოხატულების პლანი წარმოდგენილია სტილისტიკის დონის ქვევით მდებარე სისტემური დონეების საბაზისო ერთეულებით. სისტემურ დონეებში არსებობს სტილისტიკური პოტენციები, რომლებიც გამოხატულია ლანგის ერთეულებით, ამიტომ იქ ლაპარაკი უნდა იყოს სტილისტიკურ კონოტაციებზე, ცალკეულ სტილისტიკურ (არააქტუალიზებულ) მნიშვნელობებსა და ამ მნიშვნელობების ენობრივ გამო-

ხატულებაზე, ხოლო სტილისტიკის დონეზე საბაზისო ერთეულად უნდა ჩაითვალოს არა სტილისტიკური შეფერილობა, არამედ ტექსტის სტილისტიკური თვისება – Stilzug, რეგისტრი. ამრიგად, ორივე შემთხვევაში, განვიხილავთ სტილემას მონოლატერალურ თუ ბილატერალურ საბაზისო ერთეულად, მას შეიძლება მიენიჭოს ერთეულის სტატუსი, ხოლო აქედან გამომდინარე, სტილისტიკა განთავსდეს სისტემურ დონეებსა და ტექსტის ლინგვისტიკას შორის.

რაც შეეხება დონეების განლაგების იერარქიულ პრინციპს, ამაზე უკვე იყო ზემოთ მსჯელობა. აქ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ იგი თავისთავად ტოპოლოგიურია და არც შეიძლება სხვანაირი იყოს. მონოგრაფიაში გაზიარებულია ის აზრი, რომ ენობრივი დონე არის არა ენის ონტოლოგიური აღქმის შედეგად მიღებული ოდენობა, არამედ მეთოდოლოგიური არტეფაქტი და ლინგვისტიკური აღწერის ფაზა, იგი ენის სტრუქტურული მოდელის შრეა. რამდენადაც მოდელი საკვლევი ობიექტის ამა თუ იმ მხარეს სხვადასხვა რაკურსით ასახავს, მოდელების სიმრავლე ჩვეულებრივ კამათს არ იწვევს. თუ რომელ მოდელს აირჩევს მკვლევარი და როგორ განალაგებს მასში დონეებს, დამოკიდებულია მის მიდგომასა და მიზნებზე, იერარქიულ-ტოპოლოგიური პრინციპის გამოყენებასაც ამ შემთხვევაში თავისი გამართლება აქვს.

2.1.4. ენობრივი ნიშნისა და ენობრივი ერთეულის თანაფარდობა

საბაზისო ერთეულის სტატუსთან დაკავშირებით კამათს იწვევს კიდევ ერთი პრობლემა, სახელდობრ, როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი ერთეული: ჩაითვალოს ერთეულად ყველა ნიშანი ფონემიდან და გრაფემიდან დაწყებული ტექსტით დამთავრებული, თუ მხოლოდ ლანგის ერთეულები? ამ საკითხში ორი ერთმანეთთან შეჯიდებული აზრი არსებობს. ერთნი ამტკიცებენ, რომ ტექსტი ისეთივე ნიშანია, როგორც ყველა ნებისმიერი სისტემური საბაზისო ერთეული. ტექსტის დონეს განიხილავენ როგორც სისტემის ნაწილს (SCHULZ, 1989:710). უფრო მეტიც, ტექსტი მიჩნეულია პირველად ენობრივ ნიშნად: „Das primäre sprachliche Zeichen ist der Text“ (HARTMANN, 1968:214), ან ნიშნადაც და ერთეულადაც: „Wir betrachten den Text als sprachliches Makrozeichen, das als untrennbare Einheit von Inhalt und Form ist“ (BASTIAN, 1979:91). მეორე მხრივ, ემილ ბენვენისტზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ არამც თუ ტექსტი, არამედ წინადადებაც კი არ შეიძლება ჩაითვალოს ნიშნად, არც ერთი ერთეული, რომელიც სისტემის დონეს სცილდება და მეტყველებას მიეკუთვნება, აღარ უნდა მივიჩნიოთ ნიშნად. წინადადება შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თვითონ არ არის ნიშანი (АСПЕКТЫ ОБЩЕЙ..., 1982:27–28).

ისმება კითხვა: თუ ნიშნად მხოლოდ ლანგის ერთეულები უნდა ჩაითვალოს, მაშინ რა სტატუსი უნდა მიენიჭოს წინადადებას და ტექსტს, რომლებიც სცილდებიან ლანგის დონეს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა გაირკვეს რა არის ნიშანი და რა არის ერთეული. ემილ ბენვენისტის აზრით, ყველა ენობრივი ნიშანი ერთეულია, მაგრამ ყველა ერთეული არ არის ნიშანი. მათი

განსხვავება ემყარება ბენვენისტისეული დონის გაგებას. სიტყვა, რომელიც ზოგიერთი ენათმეცნიერული მიმდინარეობის მიერ უარიყოფა როგორც ძირითადი ენობრივი ერთეული თავის თავში აერთიანებს რამდენიმე ნიშანს და ლანგის დონეს განეკუთვნება. წინადადება არ არის ნიშანი, რადგანაც იგი არ აკმაყოფილებს ნიშნისადმი წაყენებულ მოთხოვნას. რა მოთხოვნებია ეს?

ენას აქვს ორმაგი აღნიშვნის თვისება – სემიოტიკური და სემანტიკური. სემიოტიკურობა ნიშანს ანიჭებს ერთი მთლიანი ერთეულის სტატუსს. როდესაც ნიშანში მისი ორი მხარე ხელოვნურად ითიშება, მაინც იგულისხმება, რომ ეს ორი მხარე ერთი ნიშნის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. სემიოტიკური კვლევის საფეხურებია: ერთეულების გამოყოფა და ინდენტიფიკაცია, მათი განსხვავებული ნიშნების აღწერა, სასრული ერთეულების დადგენა. თითოეული ნიშანი ერთი განსაზღვრული სისტემის ერთეულია. იგი ცალკე აღებული თავისი თავის იგივეობრივია და ფუნქციონირებს განსაზღვრული სისტემის შეკრულ წრეში. **ნიშანი ენის აღმნიშვნელი ფუნქციის საფუძველია და გამოხატვის აუცილებელი მასალა** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.). ის შეიძლება ნიშნად ჩაითვალოს, თუ იგი განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის მიერ აღმნიშვნელად შეიცნობა და ერთსა და იმავე ასოციაციას იწვევს. სემანტიკური აღნიშვნა დაკავშირებულია შეტყობინების (Mitteilung) ფუნქციასთან. შეტყობინება არ დაიყვანება ერთეულების მექანიკურ ჯამზე, სადაც თითოეული მათგანის იდენტიფიკაცია ხდება ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. საზრისი არ იქმნება ნიშნების უბრალო მიმატებით, პირიქით, საზრისი რეალიზდება როგორც ერთი მთელი, რომელიც შედგება ცალკეული ნიშნებისაგან (სიტყვებისაგან). **სემანტიკური აღნიშვნა უშუალო მიმართებაშია რეალურ სამყაროსთან** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.).

ამრიგად, სემიოტიკური აღნიშვნა პრინციპში თავისუფალია ყოველგვარი რეფერენტისაგან, სემანტიკური აღნიშვნა კი ეფუძნება რეფერენციულ კავშირებს. სემიოტიკური აღნიშვნა სასრული ნიშნების მეშვეობით ფუნქციონირებს, სემანტიკური აღნიშვნა ხორციელდება წინადადების (გამონათქვამის) მეშვეობით და ფუნქციონირებს აქტუალიზების ღია სამყაროში. **სემიოტიკური მოცემულობა უნდა ამოიცნო, სემანტიკური – გაიგო** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.). განსხვავება ამოცნობასა და გაგებას შორის დაკავშირებულია გონების ორ თვისებასთან – იგივეობის აღქმასა და გამონათქვამის შინაარსის აღქმასთან.

ენა ერთადერთი სისტემაა, რომელსაც ორი განზომილება აქვს – სემიოტიკური და სემანტიკური. აღნიშვნის სხვა სისტემები ერთგანზომილებიანია, ე.ი. აქვთ ან მარტო სემიოტიკური (მაგალითად, თავაზიანობის ჟესტები) ან მხოლოდ სემანტიკური განზომილება (მაგალითად, გამოხატვის მხატვრული ხერხები). ენის ეს თვისება ერთდროულად ორმაგი აღნიშვნისა, მას სხვა სისტემებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებს იმ მხრივ, რომ იგი ქმნის გამოთქმის მეორე დონეს, როდესაც აღმნიშვნელი გამოთქვამს რაიმეს თვით აღნიშვნაზე, ე.ი. განახორციელებს მეტაენობრივ ფუნქციას და არის ინტერპრე-

ტატორი სხვა სისტემისა (და თვით ლინგვისტური სისტემისაც) (БЕНВЕНИСТ, 1974:69–96).

ე. ბენვენისტი ერთმნიშვნელოვნად არაფერს ამბობს ნიშნისა და ერთეულის განმასხვავებელ პარამეტრებზე. იგი წერს: „ერთეული და ნიშანი სხვადასხვა ხასიათის მოვლენებია. ნიშანი აუცილებლად წარმოადგენს ერთეულს, მაგრამ ერთეული შეიძლება არც იყოს ნიშანი. უკიდურეს შემთხვევაში, დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ შემდეგი: ენა შედგება ერთეულებისაგან და ეს ერთეულები არის ნიშნები“ (იქვე, 82). ამ ციტატიდან ცხადია, რომ ენობრივი ნიშანი მიჩნეულია ლანგის ერთეულად, მაგრამ თვითონ ერთეული არ არის, და შეიძლება თუ არა მისი იდენტიფიკაცია ლანგის ფარგლებს მიღმა, ამაზე გადაჭრით არაფერია ნათქვამი. ნიშანი და ერთეული განისაზღვრება ერთმანეთის მეშვეობით. ერთი დადებითად, მეორე უარყოფითად: ყველა ნიშანი ერთეულია, ყველა ერთეული არ არის ნიშანი. ნიშანი ვიცით რომ ერთეულია, ხოლო ერთეული არ ვიცით რა არის. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ერთეული უდრის ნიშანს.

ჩვენი აზრით, ემილ ბენვენისტის თვალსაზრისი შეიძლება გავიზიაროთ, საფუძვლად ავიღოთ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის მიზნებს შევუსაბამოთ მით უფრო, რომ იგი უყურადღებოდ არ ტოვებს ტექსტსაც. საჭიროა დაძლეულ იქნას ენის ნიშნობრივი (სოსიურისეული) გაგება, წერს იგი. ეს არის ერთადერთი პრინციპი, რომელიც ახსნის ენის სტრუქტურას და მის ფუნქციონირებას. მისი დაძლევა შეიძლება წარიმართოს ორი გზით. ერთია შიდაენობრივი (ინტრალინგვისტიკური) ანალიზი, რასაც ე.ბენვენისტი სემანტიკურს უწოდებს, მეორეა ზეენობრივი (ტრანსლინგვისტიკური) ანალიზი ტექსტებისა და მხატვრული ნაწარმოებისა, რასაც იგი მეტასემიოტიკას უწოდებს. ეს უნდა იყოს გამონათქვამის სემანტიკის ზემოთ მდებარე დონე, „მეორე თაობის“ სემიოლოგია (იქვე, 89).

2.2. სტრატიფიკაციული მოდელის ძირითადი პარამეტრები

ტექსტისა და ტექსტის ლინგვისტიკის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვის, განმსაზღვრელი ფაქტორების გამოკვეთისა და კვლევის ძირითადი მიმართულებების მონიშვნის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი პოზიციის ჩამოყალიბება:

ტექსტისა და მისი შემსწავლელი დისციპლინისათვის ადგილის მისაჩენად ენის სტრატიფიკაციულ მოდელში და ლინგვისტიკური დისციპლინების მოდელში გამოვყოფთ ძირითად პარამეტრებს. ეს პარამეტრებია:

= დონე:	ლანგი, პაროლი, ლანგაჟი;
= განზომილება:	პარადიგმატიკა, სინტაგმატიკა, ბათიზმატიკა;
= ერთეული:	ნიშანი, კომბინაცია, კონსტრუქცია;
= კვლევის სფერო:	ლინგვისტიკური დისციპლინა.

პირველი პარამეტრი – დონე. ტრიქოტომიული მოდელის სამი წევრის ურთიერთმიმართებიდან მონოგრაფიაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთმიმართებას ლანგი⇔ლანგაჟი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სხვა მიმართებები საერთოდ უგულებელსაყოფი იყოს. ტექსტის ლინგვისტიკის გადასახედიდან სწორედ ეს მიმართება ესადაგება იმ რაკურსით კვლევას, რომელიც არჩეულია მონოგრაფიაში. ლანგაჟი არის ენა მოქმედებაში, **Sprachgebrauch**, როგორც გერმანელები იტყვიან. ამიტომ პაროლს მივიჩნევთ ჭარბ ელემენტად, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დასაშვებია პაროლის გამოცალკევება და მისი აღიარება მეტყველების ლინგვისტიკის (Sprechwissenschaft) საგნად. ამის უარყოფა არ შეიძლება, ეს უკვე ფაქტია.

მეორე პარამეტრი – განზომილება. ენობრივი მოვლენები შეიძლება განხილულ იქნას ორ ჭრილში, რომლებიც ურთიერთს განაპირობებენ და უერთმანეთოდ არ არსებობენ. ერთია პარადიგმატიკული ღერძი, მეორე – სინტაგმატიკური. პირველი გადის ნიშანთა სისტემის ვერტიკალზე, მეორე ნიშნების კომბინაციის ჰორიზონტალზე. პრადიგმატიკული მიმართება გულისხმობს ენობრივი ნიშნების ასოციაციურ დამოკიდებულებას სისტემის ფარგლებში, სინტაგმატიკური მიმართება – ენობრივი ერთეულების ლინეარულ რიგს მათი ფუნქციონირების პროცესში. პირველი განეკუთვნება ლანგის დონეს, მეორე – პაროლის დონეს. ტექსტის დონისათვის ამ მიმართებებიდან არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ტექსტი წარმოადგენს ბევრად უფრო რთულ, მაღალი რანგის წარმონაქმნს, ვიდრე სიტყვა ან წინადადება. მასში ერთდროულად მოქმედებს მრავალი მიმართება, რომლებიც ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს და ერთ მთელს ქმნიან. ტექსტურ მიმართებებს ადარებენ ხოლმე მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურას, რადგან მასში მრავალი ელემენტი ფუნქციონირებს ერთდროულად და ხმაშეწყობილად. ტექსტის ეს პარამეტრი მონოგრაფიაში აღინიშნება ტერმინით „ბათიზმატიკა“, ბათიზმატური დონე გულისხმობს ყველა ენობრივი მოვლენის სიმულტანურ, ე.ი. ერთდროულ და ჰარმონიულ (პარტიტურისნაირ) ურთიერთმიმართებას ტექსტში.

მესამე პარამეტრი – ერთეული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლანგის დონის ერთეული აღინიშნოს ტერმინით „ნიშანი“, პაროლის დონის – ტერმინით „კომბინაცია“, ტექსტის დონისა – ტერმინით „კონსტრუქცია“. ხოლო „ერთეული“ დარჩეს ზოგად, ფართო ტერმინად, რომელიც საჭიროებისდა მიხედვით შეიძლება სამივე დასახელებული ტერმინის სინონიმად მოიხმარებოდეს.

მეოთხე პარამეტრი – კვლევის სფერო. თუ ვაღიარებთ განსაზღვრულ ენობრივ მოვლენას მეცნიერული კვლევის საგნად, აუცილებელია იმ სფეროს მოხაზვაც, რომელშიც კვლევა უნდა განხორციელდეს. ტექსტი იმდენად მრავალმხრივი მოვლენაა, რომ მის შესწავლას არა ერთი და ორი ლინგვისტიკური თუ არალინგვისტიკური მეცნიერული დისციპლინა ლამობს. ერთი მხრივ, უნდა გამოიკვეთოს ზოგადად ტექსტის შემსწავლელი ლინგვის-

ტიკური მეცნიერება, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს მისი სპეციფიკაცია შედარებით უფრო კერძო საკვლევი ობიექტების შესაბამისად.

ამრიგად, უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის ტექსტის კვლევა, ჩვენი აზრით, შეიძლება განხორციელდეს ძირითადად ლანგისა და ლანგაჟის განზომილებათა ფარგლებში. ამასთანავე სასურველია მხედველობაში იქნას მიღებული პაროლის განზომილებაც. რამდენადაც იგი წარმოადგენს შუალედურ საფეხურს ლანგსა და ლანგაჟს შორის. პაროლის დონეზე ხდება ლანგის ერთეულების გადაყვანა ლინეარულ კომბინაციებში, რომლებიც ლანგაჟის დონეზე განლაგდებიან ბათიზმატურ სიბრტყეზე და კონსტრუქციებს ქმნიან.

გაანალიზებული პარამეტრების განხილვის შედეგები შეიძლება დაჯამდეს შემდეგი მატრიცის სახით:

დონე	განზომილება	ერთეული	კვლევის სფერო
ლანგაჟი	ბათიზმატიკა	კონსტრუქცია	კომუნიკაციური ლინგვისტიკა
პაროლი	სინტაგმატიკა	კომბინაცია	მეტყველების ლინგვისტიკა
ლანგი	პარადიგმატიკა	ნიშანი	ენის ლინგვისტიკა

2.3. ტექსტის ლინგვისტიკისა და მისი საკვლევი ობიექტის სხვადასხვაგვარი გაგება

რაც შეეხება ტექსტის ლინგვისტიკის როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის რაობას, მის შედგენილობასა და შესწავლის ობიექტის სპეციფიკას ვიტყოდით შემდეგს:

არსებობს ტექსტის შემსწავლელი დისციპლინების რამდენიმე ნაირსახეობა. ოიგენიო კოსერიუ მაგალითად გამოყოფს ტექსტის ლინგვისტიკას, რომელიც 1) მხედველობაში არ იღებს ეროვნულ ენობრივ განსხვავებებს, წარმოადგენს დისციპლინას, რომელიც იკვლევს ყველა ენის დამახასიათებელ მოვლენებს და ექსტრალინგვისტურ ფუნქციებსაც ითვალისწინებს. ის ტექსტებს განიხილავს როგორც „ენის უნივერსალურ შესაძლებლობას". ეს არის საკუთრივ ტექსტის ლინგვისტიკა (die eigentliche Textlinguistik), ანუ საზრისის ლინგვისტიკა (die Linguistik des Sinnes). 2) იკვლევს ტექსტებს ცალკეული ეროვნული ენების პოზიციიდან. ო. კოსერიუ მას უწოდებს ტრანსფრასტულ გრამატიკას (transphrastische Grammatik) ან ტექსტის გრამატიკას (Textgrammatik). 3) ახდენს ტექსტების კლასიფიკაციას, არის ტექსტების ტიპების კლასების, ნაირსახეობების შემსწავლელი დისციპლინა, ემთხვევა პირველ სახეობას და, ამდენად, საჭირო აღარ არის მისი გამოცალკევება რამდენადმე დამოუკიდებელ დისციპლინად (COSERIU, 1980:24–26, 154).

მეორე თვალსაზრისის მიმდევრებს ტექსტის ლინგვისტიკა წარმოუდგენიათ არა ერთიან დისციპლინად, არამედ რამდენიმე დისციპლინად იმის მიხედვით, თუ ტექსტის რომელი ასპექტი წამოიწევს წინ. ვოლფგანგ დრესლერის აზრით, ტექსტის შინაარსობრივი მხრით დაინტერესებულია ტექსტის სემანტიკა (Textsemantik). ტექსტის ფუნქციას ექსტრალინგვისტიკურ კონტექსტში სწავლობს ტექსტის პრაგმატიკა (Textpragmatik), ტექსტის სინტაქსურ სტრუქტურას – ტექსტის სინტაქსი (Textsyntax), ტექსტის ფონეტიკურ მხარეს – ტექსტის ფუნეტიკა (Textphonetik) (DRESSEL, 1973:4).

მესამე თვალსაზრისი პრინციპში სემანტიკური ფაქტორებიდან ამოდის. მონიშნავს ტექსტის ფუნქციების თეორიას, მაგრამ დაინტერესებულია მხოლოდ წერილობითი, არალიტერატურული ტექსტებით. ერნსტ ულრიხ გროსეს აზრით, შეუძლებელია ლიტერატურული ტექსტების ანალიზის მნიშვნელობის უარყოფა, მაგრამ ისინი დიდი ხანია მოქცეული არიან ენათმეცნიერთა ყურადღების არეში, მაშინ როცა ე.წ. გამოყენებითი (საყოველთაო მოხმარების) ტექსტები (Gebrauchstexte) უყურადღებოდ რჩება. აქედან გამომდინარე, ტექსტის ლინგვისტიკის უპირველესი მიზანი უნდა იყოს მათი შესწავლა (GROßE, 1976:9-10).

კიდევ მრავალი თვალსაზრისის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ პრობლემის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ტექსტის კვლევის სამი ძირითადი სფერო ჩამოყალიბდა: ტექსტის ზოგადი თეორია, ტექსტის გრამატიკა და ტექსტის სტილისტიკა. პირველი იკვლევს ტექსტის ლინგვისტიკის ზოგად საკითხებს, ადგენს ტექსტის ცნებას, ტექსტის ორგანიზების სემანტიკურ, სტრუქტურულ და კომუნიკაციურ პარამეტრებს და ა.შ. მეორე – საბოლოოდ არ ემიჯნება გრამატიკას და გრამატიკული მიმართებები გადააქვს ტექსტის დონეზე, გამოყოფს იმ მოვლენებს, რომლებიც სცილდება წინადადების ჩარჩოს (МОСКАЛЬСКАЯ, 1981:3). მესამე – ენას განიხილავს როგორც უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციურ საშუალებას საზოგადოებასთან მიმართებაში და წინ წამოსწევს ისეთ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ფაქტორებს, როგორიცაა მოტივაცია, განზრახვა, მიზნის განხორციელება და მისთ. (SPRACHE UND..., 1980:9–11).

რაც შეეხება კვლევის ზოგად მიმართულებებს, ი. გალპერინის აზრით, ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა. ერთი ცდილობს შექმნას ფორმალიზებული გრამატიკა და მოახდინოს ტექსტის სტრუქტურის მოდელირება. მეორე ცდილობს შექმნას ტექსტის ზოგადი თეორია, იკვლევს კონკრეტულ სამეტყველო აქტებს, ადგენს მათი ორგანიზაციისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს, განსაზღვრავს ტექსტის კატეგორიალურ პარამეტრებს. პირველი მიმართულება ნიშანდობლივია დასავლეთევროპული სკოლებისათვის, მეორე – საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის (ГАЛЬПЕРИН, 1981:8). ჩვენი აზრით, ასეთი დაპირისპირება უსაფუძვლო ჩანს. შესაძლოა, საბჭოთა ენათმეცნიერებას მეტი მიდრეკილება ჰქონდა პრობლემების სპეკულატიური გადაწყვეტისაკენ, ხოლო დასავლეთში

უფრო პრაქტიკულ შედეგებზე ფიქრობდნენ, ჰქონდათ სათანადო საშუალებები და იღებდნენ კიდევაც შესაბამის შედეგებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტექსტის ზოგადი თეორიის, სამეტყველო აქტების თეორიის შექმნის, ტექსტის კატეგორიების დადგენის ინიციატივა სწორედ დასავლეთიდან მოდიოდა.

ტექსტის ლინგვისტიკის თვითმყოფობისა და საკვლევი ობიექტის განსაზღვრასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი პრობლემა. ეს არის ენობრივი მოღვაწეობის ზეპირი და წერილობითი ფორმების სპეციფიკის გათვალისწინება. ზოგადმეცნიერული თვალსაზრისით შესაძლოა ამ ორი ასპექტის გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა არც ენიჭებოდეს, რადგანაც იქ ენობრივი მოვლენები განიხილება გლობალურად და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რა გზით ხორციელდება კომუნიკაცია. მაგრამ, როდესაც უშუალოდ დგება კომუნიკაციის არხების საკითხი, უმეტესად უბრალოდ აღინიშნება, რომ ენობრივი მოღვაწეობა ხორციელდება ან ფონემების მეშვეობით (გულში ლაპარაკის ჩათვლით), ან გრაფემების (ვიზუალური) საშუალებებით. მიჩნეულია, რომ ბგერითი მატერია პირველადი სუბსტანციაა, ხოლო გრაფიკული – მეორადი. თუ განვეყენებით ზეპირმეტყველებისა და წერილობითი ენის წარმოშობის პრობლემას და წინ წამოვწევთ დამწერლობის უდიდეს როლს ენობრივ მოღვაწეობაში, ცხადი გახდება, რომ აზრი არა აქვს ერთის ან მეორის უპირატესობაზე კამათს. ენობრივი მოღვაწეობის ორივე სახე უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის არსებობაში. აქ მხოლოდ იმაზე შეიძლება იყოს მსჯელობა, რა აქვთ საერთო ზეპირმეტყველებასა და წერილობით ენას, რა განსხვავებაა მათ შორის, საჭიროა თუ არა მათი ერთმანეთისაგან განცალკევება და თითოეულის სპეციალური შესწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირმეტყველებისა და წერილობითი ენის თავისებურებები ოდითგანვე იპყრობდა ენათმეცნიერთა ყურადღებას, რასაც მოწმობს დიდი რაოდენობის სპეციალური თეორიული ლიტერატურა და პრაქტიკული სახელმძღვანელოები რიტორიკასა და სტილისტიკაში. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების პირველი ეტაპი აღინიშნებოდა იმით, რომ საკვლევი ობიექტი მკაფიოდ გამოკვეთილი არ იყო, ორივე ტერმინი როგორც „ტექსტი“ ისე „დისკურსი“ აერთიანებდა ენობრივი მოღვაწეობის ორივე სახეს – წერილობითსაც და ზეპირსაც: ტექსტსაც და „წერილობით ტექსტსაც“, „ზეპირ ტექსტსაც“; დისკურსი – „ზეპირ ტექსტსაც“, გულისხმობდა „წერილობით ტექსტსაც“. ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემების კვლევისას თეორიული დებულებების ვერიფიკაცია ფაქტობრივ ხდებოდა, და დღესაც უმეტესად ხდება, „წერილობითი ტექსტების“ მასალაზე, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება კომუნიკაციის არხის სუბსტანციური თავისებურებანი, კომუნიკაციის ძირითადი ერთეულის როგორც ენობრივი მოღვაწეობის საშუალებისა და შედეგის არსი. 90-იანი წლებიდან უკვე მკაფიოდ გამოჩნდა (წერილობითი) ტექსტისა და დისკურსის (ზეპირი გამონათქვამების, დიალოგების, საუბრის) ფორმების განსხვავებული მეთოდებით შესწავლის ტენდენცია. ახლა უკვე ლაპარაკობენ ტექსტის ლინგვისტიკასა და დისკურსულ ინგვისტიკაზე. აქედან გამომდინარე, ტექსტის ლინგვისტიკამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა გაიხადოს იდენტიფიკაცია და შესწავლა იმ ენობრივი წარმონაქ-

მნებისა, რომლებიც გრაფიკული (ვიზუალური) ელემენტების გამოყენებით საშუალებას იძლევიან განხორციელდეს ენობრივი კომუნიკაცია, ინფორმაცია გადაიცეს მანძილზე და დამაგრდეს დროში. ამასთანავე „გამოყოფა“ ნიშნავს არა შესასწავლი ობიექტის ამოგდებას ბირითადი კომუნიკაციური ერთეულების შემსწავლელი ლინგვისტიკური დისციპლინებიდან, არა მის იზოლაციას, არამედ იმ ასპექტების წინ წამოწევას, რომლებიც წარმოაჩენენ ტექსტის ადგილს ენობრივ მოღვაწეობაში, მკაფიოდ გამოკვეთენ ტექსტის როგორც წერილობით ფიქსირებული ენობრივი წარმონაქმნის თავისებურებებს და მოიძიებენ კვლევის სათანადო ზოგად თუ კერძო მეთოდებს.

ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტის ზოგად თეორიასთან და დისკურსულ ლინგვისტიკასთან ერთად კომუნიკაციური ლინგვისტიკის შემადგენელი ნაწილია. ტექსტის ზოგადი თეორიის (Texttheorie) საკვლევი ობიექტია უმაღლესი რანგის კომუნიკაციური ერთეულების კვლევა, მეცნიერული საფუძვლების შექმნა, თეორიული პრობლემების დასმა და გადაჭრა; კომუნიკაციის წერილობითი ფორმების შეპირისპირებითი ანალიზი მის ზეპირ ფორმებთან, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთა. **ტექსტის ლინგვისტიკა (Textlinguistik) საკვლევ ობიექტად მიიჩნევს საკუთრივ წერილობით წარმონაქმნებს და იკვლევს მათ როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობით მანიფესტაციას, საშუალებას და შედეგს. დიალოგის/საუბრის ანალიზი (Gesprächanalyse) კვლევის ინტერესს წარმართავს ზეპირი ენობრივი წარმონაქმნებისაკენ, ამასთანავე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სამეტყველო აქტების თეორიას და მისი გამოყენების მეთოდიკას დისკურსული წამონაქმნების ინტერპრეტაციაში.**

ტერმინები: „ტექსტი“, „დისკურსი“, „ლიტერატურული (მხატვრული) ტექსტი“, „არამხატვრული ტექსტი“, „საქმიანი პროზის ნიმუშები“ და ა.შ. ერთმანეთთან დაკავშირებული ტერმინებია. (დაწერილი) ტექსტი შეიძლება სმენით აღიქმებოდეს, დისკურსი შეიძლება ჩაიწეროს, ლიტერატურული ტექსტი შეიძლება აღიქვას როგორც სმენით, ისე ვიზუალურად და ა.შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის მიზანი განსაზღვრავს კომუნიკაციური ერთეულის შერჩევასა და ამა თუ იმ ასპექტით კვლევას. მაგრამ ეს ასპექტები, ისევე როგორც თვით კომუნიკაციური ერთეულები, ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ წარმოუდგენელია რომელიმე ერთი საკვლევი ობიექტი შემოიფარგლოს ვიწრო წრით და მისი რეფლექსიები არ შეიჭრას სხვა დისციპლინების ფარგლებში.

აქვე გვინდა (თავის დაზღვევის მიზნით) შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექსტის ლინგვისტიკის გაგება არამც და არამც არ მიგვაჩნია ერთადერთ მისაღებ და აბსოლუტურად ჭეშმარიტ ვარიანტად, პირიქით, წარმოდგენილ მონოგრაფიაში არაერთგზის აღინიშნება, რომ იგი მკითხველს ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის გაგების **ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს** სთავაზობს.

მეორე ქვეთავის დასკვნები

1. ლინგვისტიკური დისციპლინებისა და მათი საბაზისო ერთეულების თანაფარდობა არ შეესაბამება პრინციპს ერთი-ერთზე (1:1), მაგრამ თუ განვეყენებით ნაკლებ მნიშვნელოვან ერთეულებს, რომლებიც ძირითადი საბაზისო ერთეულების გვერდით თანაარსებობენ და თავისი ფუნქციონირების სფეროები აქვთ, შესაძლებელი გახდება ლინგვისტიკური დისციპლინების და საბაზისო ერთეულების მოდელში ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტისთვის ადგილის მიჩენა. ეს კი თავისთავად გულისხმობს დონის ცნების გაფართოებას, ენის სისტემის – ლანგის საზღვრების გადალახვას, და სისტემის დონეების ზევით სხვა დონეების დაშვებას.

2. ტექსტის ლინგვისტიკის თვითმყოფ მეცნიერულ დისციპლინად აღიარებისთვის აუცილებელია მისი საბაზისო ერთეული განთავსდეს სპეციალურ სიბრტყეზე, რისთვისაც საჭიროა სათანადო პარამეტრების გამოყოფა. ასეთ განზომილებად მიგვაჩნია ბათიზმატური სიბრტყე.

3. ენობრივი დონეების რიცხვი შეფარდებითია და დაკავშირებულია ენათმეცნიერების განვითარებასთან. რადგანაც დონე არის ენათმეცნიერული კვლევის ფაზა და შეესაბამება ენათმეცნიერების განვითარების ამა თუ იმ მდგომარეობას, ტექსტის ლინგვისტიკისა და მისი საბაზისო ერთეულის ადგილი ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში დღეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ენათმეცნიერული დისციპლინა	საბაზისო ერთეული
ტექსტის ლინგვისტიკა	ტექსტემა
სტილისტიკა	სტილემა
გრამატიკა	გრამემა
ლექსიკოლოგია	ლექსემა
ფონოლოგია	ფონემა
გრაფემიკა	გრაფემა

პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისტემის დონეების ზევით სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის დონეების განთავსებას, რომლებიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში იჭრებიან. არსებობს მოდელები, რომლებშიც სტილისტიკა გატანილია მატრიციდან და იწოდება ნულოვან დონედ, რომლის ქვედა ზღვარი გადის სისტემის დონეების მიჯნაზე, ხოლო ზედა ზღვარი ეკვრის ტექსტის ლინგვისტიკას. სტილისტიკური შეფერილობა გამოიხატება სისტემის დონის ერთეულებით, ხოლო სტილისტიკური ტონალობა (რეგისტრი, Stilzug) დამახასიათებელია ტექ-

სტისათვის და არ გააჩნია სიტყვას, მორფემას, ლექსემას, ფონემას, გრაფემას.

4. სისტემის დონეების ერთეულების კვლევა ხორციელდება ენის ლინგვისტიკის ფარგლებში, ხოლო სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკისა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში (ტექსტემის შესახებ იხ. თავი III, ქვეთავი 8).

5. თეორიულმა და გამოყენებითმა ტექსტის ლინგვისტიკამ უნდა გაითვალისწინოს ენობრივი კომუნიკაციის ზეპირი და წერილობითი ფორმების სპეციფიკა.

6. ენათმეცნიერული დისციპლინების რიგში საჭიროდ მიგვაჩნია „გრაფემიკის", ხოლო საბაზისო ერთეულების რიგში „გრაფემის" დამატება. თუ რა მნიშვნელობას იძენს ამ მოდელში მათი დაფიქსირება, ეს განსაკუთრებით გამოჩნდება ჩვენი მონოგრაფიის მეხუთე თავში.

3.0. ტექსტის ლინგვისტიკის დისციპლინათშორისი მიმართებები

ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის დამკვიდრება უშუალო კავშირშია მის დისციპლინათშორის მიმართებებთან. ტექსტის ლინგვისტიკას ენათმეცნიერულ დისციპლინათა ჩვენ მიერ წარმოდგენილ იერარქიაში უმაღლესი ადგილი მიეკუთვნება, ტექსტი ითვლება კომუნიკაციის უმაღლეს/ძირითად ერთეულად.

ტექსტის ლინგვისტიკის დისციპლინათშორის მიმართებებზე მსჯელობისას ჩვეულებრივ მრავალ დისციპლინას ასახელებენ, რომელთაგან ზოგი ლინგვისტიკურია, ზოგი არა. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლოგიკა, თეოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, სოციოლოგია, ფოლკლორისტიკა. ზოგ დისციპლინას ტექსტი აინტერესებს თავისი საკუთარი ლინგვისტიკური მიზნების განხორციელებისათვის, ასეთია: გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა. და ბოლოს, არსებობს ფილოლოგიური დისციპლინები, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით შეისწავლიან ტექსტს როგორც წერილობით წარმონაქმს. ასეთია: ტექსტოლოგია, გრამატოლოგია, გრაფიკული ლინგვისტიკა. ქვემოთ ძალიან სქემატურად ვეხებით ტექსტის ლინგვისტიკის კავშირებს სხვა დისციპლინებთან. ამასთანავე ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ტექსტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ენის რეპრეზენტაციაა და ყველა ლინგვისტიკურმა დისციპლინამ შეიძლება მასში თავისი კვლევის საგანი მოიძიოს პირდაპირი დაკვირვების გზით.

3.1. ტექსტის ლინგვისტიკა და გრამატიკა

ტექსტის ლინგვისტიკას ტექსტი აინტერესებს მის მთლიანობაში როგორც კომუნიკაციის უმაღლესი ერთეული. გრამატიკას ტექსტი აინტერესებს როგორც

უშუალო დაკვირვების წყარო, რომელშიც აისახება ენის გრამატიკული სტრუქტურა და მისი სისტემური ელემენტები. საიდან უნდა მოიპოვოს გრამატიკამ როგორც მეცნიერულმა დისციპლინამ თავისი საკვლევი მასალა, თუ არა ტექსტიდან. ტექსტის ერთ-ერთი ფუნქცია ხომ ენის რეპრეზენტაციაა.

ენობრივ მოვლენებს ტექსტის ლინგვისტიკა და გრამატიკა თავისი სპეციფიკის შესაბამისად განიხილავენ. ასე მაგალითად, მორფოლოგიას სიტყვები აინტერესებს პარადიგმატიკულ ჭრილში როგორც მეტყველების ნაწილები, იგი შეისწავლის სიტყვების ფორმებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას, ადგენს პარადიგმებს. ტექსტის ლინგვისტიკისათვის კი ეს სიტყვები და ფორმები ტექსტის ორგანიზების საშუალებაა. მაგალითად, კონექტორების ცნებაში იგი აერთიანებს მეტყველების იმ ნაწილებს, რომლებსაც აქვთ უნარი ფორმალურად და სემანტიკურად დააკავშირონ ტექსტის სეგმენტები და უზრუნველყონ მათი ბმულობა. ნაცვალსახელები, ზმნიზედები, ზედსართავები მორფოლოგიისათვის მეტყველების ნაწილებია. დროის ფორმები ქმნიან დროის კატეგორიის პარადიგმას, ქვემდებარე და შემასმენელი წინადადებების წევრებია, ტექსტის დონეზე კი ისინი გამოხატავენ კატაფორულ და ანაფორულ მიმართებებს, ახორციელებენ ტექსტში უშუალო ან დისტანციურ ბმულობას, თემა-რემატულ პროგრესიას და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ე.წ. აქტუალური სინტაქსის როლს ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, მორფოლოგიაც ამარაგებს ტექსტის ლინგვისტიკას სათანადო ინვენტარით, მაგრამ სინტაქსის როლი მაინც უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც წინადადება ტექსტის ინტეგრანტია (სიტყვა ⇒ წინადადება ⇒ ტექსტი), ხოლო სინტაქსი ლანგაჟის დონის ქვედა მიჯნას ქმნის. ენობრივი მოვლენების კვლევის კომუნიკაციურმა ფონმა ლანგის დისციპლინებში ტექსტის ასპექტები შეიტანა (ისევე როგორც სტილისტიკის აღორძინების პერიოდში ინტენსიურად მუშავდებოდა სტილისტიკური გრამატიკის, სტილისტიკური ლექსიკოლოგიის და ა.შ. პრობლემები). ენობრივი მოვლენების კომუნიკაციური დატვირთულობა მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს იყო გარდამავალი საფეხური წინადადებიდან ტექსტისკენ მიმავალ გზაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წინადადების საზღვრების გარღვევა, ზეფრაზული ერთეულების დელიმიტაციის, გრამატიკული კატეგორიების სიტუაციური გამოყენების, ტექსტში სიტყვების ფუნქციონირების პრობლემების წინა პლანზე წამოწევა (PURZELADSE 1980; СЕЛИВЕСТРОВА 1988; БОНДАРКО 1982).

სინტაქსის ფუნქციები ტრადიციულად შემოიფარგლება ენობრივი ფორმების ურთიერთმიმართების შესწავლით შესიტყვებასა და წინადადებაში. სინტაქსის დონის უმაღლეს ერთეულად ითვლება წინადადება. ტრადიციული (კონსტრუქციული, ფორმალურ-ლოგიკური) სინტაქსისაგან განსხვავებით აქტუალური (კომუნიკაციური, ფუნქიონალური) სინტაქსი წინადადების ფარგლებს გარეთ გადის. პირველი წინადადებას ანაწევრებს ლოგიკურ-გრამატიკულ ერთეულებად (ქვემდებარე, შემასმენელი...), მეორეს ენობრივი ერთეულების

ფუნქციები გააჩნს ერთი წინადადების ფარგლებს მიღმა. პირველი ოპერირებს ცნებებით, ტერმინებით: „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, მეორე – ცნებებით, ტერმინებით „თემა“, „რემა“. წინადადებაში შეიძლება თემა-რემატული დანაწევრების კომბინირება სხვადასხვა სახით, რაც ხერხდება სიტყვათა განლაგების წესების ვარირებით. ობიექტურ სიტყვათწყობად ითვლება თემა-რემატული პროგრესია, სუბიექტურად კი – რემა-თემატული პროგრესია. უპირატესობა, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციებიდან ენიჭება აქტუალურ სინტაქსს ფორმალურ-ლოგიკურთან შედარებით შემდეგია: აქტუალური სინტაქსი ენობრივ ერთეულებს განიხილავს დინამიკურად მათ მიმართებაში სიტუაციასთან. იგი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ თემა-რემატული ელემენტების მონაცვლეობას ერთი წინადადების ფარგლებს გარეთ, წინადადების ბმულობას, წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულების (ბლოკების) გამოყოფას. ხოლო ზეფრაზული ერთეულები სინტაქსის ზედა მიჯნას სცილდება და ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში იჭრება (ფურცელაძე 1987).

მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა აგრეთვე პრობლემატიკა „სიტყვაწარმოება-ტექსტი“. სიტყვა როგორც განსაზღვრული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ერთეული ამავდროულად შეიცავს დერივაციულ მნიშვნელობებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას კოჰეზიის საშუალებად. სიტყვაწარმოება გრამატიკასა და ლექსიკოლოგიის მიჯნაზე დგას და ტექსტთან მიმართებაში ორსახა პოტენციას გვთავაზობს. იგი არც თუ იშვიათად ხდება ზეფრაზული ერთეულის სტრუქტურის ორგანიზების ძირითადი კომპონენტი. რთული სინტაქსური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ზეფრაზული ერთეულების კომუნიკაციურ გამიზნულობასთან, თემა-რემატულ დანაწევრებასთან, განაპირობებს სიტყვაწარმოებითი მოდელების აქტუალიზებას ზეფრაზული მონაკვეთის ფარგლებში, ისე რომ ტექსტის ლინგვისტიკის კონტექსტში შესაძლებელი ხდება სიტყვაწარმოების სინტაქსური მექანიზმის ახსნა (ШАБУРИШВИЛИ, 1983:58).

ამრიგად, ტექსტის ლინგვისტიკისა და გრამატიკის ინტერესები ერთმანეთს ეკვეთება. გრამატიკა სულ უფრო „ტექსტური“ ხდება. იგი ტექსტში ეძებს მისთვის საჭირო მასალას, განაზოგადებს მას ახალი პრინციპების მოშველიებით და მეთოდების გამოყენებით. ტექსტის ლინგვისტიკა, თავის მხრივ, ახდენს იმ გრამატიკული მოვლენების ექსტრაპოლირებას ტექსტის დონეზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის ბმულობას.

3.2. ტექსტის ლინგვისტიკა და ლექსიკოლოგია

თანამედროვე ლინგვისტიკა სიტყვას იკვლევს არა თავისთავად როგორც ლექსემას პარადიგმატიკულ პლანში, არამედ აგრეთვე მის ფუნქციონირებას კომუნიკაციის პროცესში, ე.ი კონტექსტსა და სიტუაციაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის სიტყვები, რომლებსაც აქვთ უნარი შეასრულონ ტექსტის მაკონსტრუირებელი ფუნქციები. ეს სიტყვები თავისი პოლისემიურობის გამო ერთვებიან სიტყვათა თამაშში და დომინანტის სტატუსს იძენენ. მათი გავ-

ლენა მთელ ტექსტზე ვრცელდება და ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში მეტყველების რომელიმე ნაწილი (მაგალითად, ზედსართავი) ფუნქციონირებს მთელ ტექსტში, გვხვდება როგორც ტექსტის დასაწყისში, ისე შუაში და ბოლოს, და ახორციელებს დისტანციურ ბმულობას. შდრ. კურტ ტუხოლსკის „Interview mit Frau Doumengue", სადაც ფრაუ (Frau Präsidentin) პრეზიდენტის თვალების ფერის ცვალებადობა უშუალოდ არის დაკავშირებული სიუჟეტის განვითარებასთან. ინტერვიუს დასაწყისში მისი თვალები მუქი ცისფერია (dunkelblau), ინტერვიუს პროცესში მისი თვალები ჯერ თაფლისფერი (braun) ხდება, შემდეგ ღია ნაცრისფერი (hell grau) და ინტერვიუს ბოლოს მომწვანო (ein grünlich schillernder Blick)" (TUCHOLSKY, 1974:26-29). მეორე შემთხვევაში პოლისემიური სიტყვა/შესიტყვება იძენს ტექსტის მაკონსტრუირებელ ფუნქციას ტექსტის ფინალურ მონაკვეთში და კრავს მას ერთ მთელად (ПУРЦЕЛАДЗЕ 1982).

ამრიგად ის საყვედური, რომელიც გამოითქმოდა ტრადიციული ლექსიკოლოგიის მიმართ იმის გამო, რომ იგი ატომისტურ მეთოდს იყენებს, რაც საკმარისი არ არის სემანტიკური მიმართების ასახსნელად და ლინგვისტიკურ კვლევას ვიწრო საზღვრებში კეტავს, დღეს ძალას კარგავს. ახლა დღის წესრიგში დგას სალექსიკონო სიტყვასა (Lexikonwort) და ტექსტში ფუნქციონირებად სიტყვას (Textwort) შორის არსებული სხვაობის აღწერა და მათი ურთიერთგავლენის კანონზომიერებების დადგენა (SCHÄFFNER 1986).

3.3. ტექსტის ლინგვისტიკა და სტილისტიკა

ტექსტის ლინგვისტიკისა და სტილისტიკის ინტერესები უფრო მჭიდროდ ეჯაჭვება ერთმანეთს, ვიდრე ტექსტის ლინგვისტიკის, გრამატიკის და ლექსიკოლოგიისა. ეს განსაკუთრებით ითქმის ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის სტილისტიკის ურთიერთმიმართებაზე. ტექსტის ლინგვისტიკა მიჩნეულია, ერთი მხრივ, თვითმყოფ ლინგვისტიკურ დისციპლინად, რომელიც თავსდება ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, დისციპლინად, რომელიც მთლიანად უნდა გაემიჯნოს ლიტერატურათმცოდნეობას და არამხატვრული ტექსტები შეისწავლოს. მაგრამ ყველა შემთხვევაში სტილი მიჩნეულია ტექსტის ერთ-ერთ თვისებად და ტექსტის სტილისტიკა – იერარქიულად ტექსტის ლინგვისტიკის ქვევით განთავსებულ დისციპლინად. ზოგი მკვლევრის აზრით, სტილისტიკა უნდა განიხილებოდეს ტექსტის ლინგვისტიკის შემადგენელ ნაწილად (KUNKEL, 1989:483-485).

ტექსტის სტილისტიკის ობიექტი ზემოაღნიშნული მეორე გაგებით არის ტექსტი, მაგრამ მის კომპეტენციაში შედის ტექსტის კონვენციონალური (ფუნქციონალურ-სტილისტიკური) ან ექსპრესიული ასპექტები. იგი იკვლევს სტილისა და ტექსტის მიმართებას, ადგენს სტილისტიკურ თავისებურებებს კონვენციონალური სტილების ფარგლებში, სტილისტიკურად მარკირებული ერთეულების გამოყენების კანონზომიერებებს, აღწერს სტილის ელემენტებს, მისი ძირითადი მოთხოვნაა: „სტილი უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს აღწერილი

როგორც ტექსტის თვისება" (SANDIG, 1978:43). ტექსტის სტილისტიკა ამ ტერმინის ვიწრო გაგებით ემიჯნება ტექსტის ლინგვისტიკას, რომელიც იკვლევს მხატვრულ ტექსტს და ყურადღებას უთმობს მხოლოდ მიმართებას „გამოყენებითი სტილი – გამოყენებითი ტექსტი" (Gebrauchstil-Gebrauchtext). ამ ოპოზიციის პირველი წევრი კვალიფიცირდება როგორც კონვენციონალური (და არა ინდივიდუალური) სტილი, რომელიც დამახასიათებელია გამოყენებითი ტექსტებისათვის (ასეთ ტექსტებად ითვლება თეატრალური პროგრამა და ჰოროსკოპი, დისერტაცია და სამზარეულოს წიგნი, ლექსიკონის სტატია და საკანონმდებლო ტექსტი, რეკლამა, ბიოგრაფია, პარტიის პროგრამა და ა.შ). გამოყენებით სტილს მიმართავენ განსაზღვრული სოციუმები (იქვე, 5).

საპირისპიროდ ტექსტის სტილისტიკისა ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტს განიხილავს, როგორც კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულს, იკვლევს ტექსტის ორგანიზების ზოგად პრინციპებს, აღწერს მის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს, ადგენს ტექსტის კატეგორიებს, ახდენს ტექსტების კლასიფიკაციას.

ტექსტის სტილისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთკავშირი განსაკუთრებით მჭიდრო ხდება ტექსტის ტიპოლოგიის კვლევისას. არსებობს ტექსტის კლასიფიკაციის ბევრი მოდელი, რომელთაც სხვადასხვა პრინციპი უძევს საფუძვლად. მათ შორის არის ისეთი მოდელი, რომელიც ტექსტის კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ასპექტებს უკავშირებს ფუნქციონალური სტილების თეორიას იმ მოსაზრებით, რომ ფუნქციონალურ სტილისტიკას უკვე გამომუშავებული აქვს ტექსტების კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებმაც გამოყენება უნდა ჰპოვონ ტექსტის ლინგვისტიკაში (ГВЕНЦАДЗЕ 1986).

ტექსტის სტილისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა მშვიდობიანად იარსებებენ ერთი მეორის გვერდით და არ იდავებენ კვლევის საგანზე იმ შემთხვევაში, თუ აღიარებენ, რომ სტილი არის ტექსტის თვისება და არა თავად ტექსტი.

3.4. ტექსტის ლინგვისტიკა და ტექსტოლოგია

თავისი კვლევის საგნად ტექსტოლოგიას მიაჩნია ტექსტის ისტორია, ხოლო ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდად ტექსტების შედარებით-ისტორიული შეპირისპირება. ტექსტოლოგია ძირითადად მიზნად ისახავს წერილობითი ძეგლის შესწავლას ტექსტის ცვლილების ყველა ეტაპზე, ვიდრე ტექსტი მუშავდება გადამწერის, რედაქტორის, კომპილატორის და ა.შ. ხელში (ЛИХАЧЕВ, 1983:27). ტექსტოლოგიური კვლევა განუყოფელია საგამომცემლო მუშაობისგან. ტექსტოლოგი-გამომცემელი არა მარტო მოიძიებს ხელნაწერებს და ნაბეჭდ წყაროებს, ადგენს ძირითად ტექსტს, ახდენს მის ატრიბუციას და ათარიღებს, დაურთავს მეცნიერულ აპარატს, არამედ იმავდროულად ამზადებს მას გამოსაცემად. ტექსტოლოგმა ტექსტის გამოცემამდე უნდა შეარჩიოს ტექსტების დალაგების პრინციპი (ჟანრობრივი, ქრონოლოგიური, თემატური), გადაჭრას ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და კონიექტურის საკითხები,

გამოცემაში შეიტანოს სპეციალური განყოფილება, რომელიც ცნობილი სახელით Dubia („სადავონი") და ა.შ. (ტექსტოლოგიის...1983). ტექსტოლოგი ცდილობს ჩასწვდეს ავტორის მრავალსაფეხუროვანი შემოქმედების სიღრმეს, მის განწყობას, უკანასკნელ ნებას, „იმ გზას, რომელიც ტექსტმა გაიარა პირველი ჩანაფიქრიდან საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე (ზარდიაშვილი, 1990:23). აღსანიშნავია, რომ გერმანულენოვან მეცნიერულ ლიტერატურაში „ტექსტოლოგიის" ეკვივალენტურ ტერმინად მოიხმარება „ტექსტის კრიტიკა" (Textkritik). იგი განიმარტება, როგორც „Gesamtheit der philologischen Prinzipien und Verfahren, die der Herstellung eines autentischen d.h. seiner urspünglichen (Sprach-) Gestalt möglichst nahekommenden bzw. der Autorenintention entsprechenden Textes dienen. Ziel der Textkritik ist die historisch-kritische Ausgabe, als Grundlage der wissenschaftlichen Textinterpretation" (WÖRTERBUCH DER LITERATURWISSENSCHAFT, 1986:514).

საკითხავია, რამდენად აინტერესებს ტექსტოლოგიას ტექსტის კვლევის ლინგვისტიკური ასპექტი და რა მიმართება შეიძლება დამყარდეს საერთოდ ტექსტოლოგიასა და ლინგვისტიკას შორის, და, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკასა და ტექსტოლოგიას შორის?

ტექსტის შინაარსი ენობრივ-გრაფიკურ ფორმაშია ჩამჯდარი. ტექსტოლოგმა თუ არ იცის ენა პრაქტიკულად და მეცნიერულად, ტექსტს ვერ წაიკითხავს. ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ტექსტოლოგიურ კვლევაში არის ტექსტის ენობრივი თავისებურებების გათვალისწინება. ტექსტის წაკითხვა ნიშნავს ტექსტის დაყოფას არა მარტო სიტყვებად, არამედ სინტაქსურ და აზრობრივ ერთეულებადაც. ტექსტის სწორი გაგების აუცილებელი პირობაა ტექსტის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სტილისტიკური თავისებურებების ამოცნობა. ტექსტოლოგიური ანალიზის პრინციპები და მეთოდები თავის მხრივ გამოყენებას პოულობს ენათმეცნიერებაში. არსებობს ე.წ. ლინგვო-ტექსტოლოგიური მიმართულება, რომელიც იყენებს ტექსტოლოგიურ მეთოდებს და ავლენს ენობრივი მოვლენების სხვადასხვადროულ დანამრევებს, რომლებიც წარმოადგენენ სანდო წყაროს ისტორიული ფონეტიკისა და გრამატიკისთვის, ისტორიული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიისთვის (САЗОНОВА 1985) „Текстология перестаёт быть чисто вспомогательной дисциплиной, вторгаясь в лингвистику и предлогая последней те или иные интерпретации. Издание текста оказывается необходимым этапом в познании его лингвистического устроения" (КРАВЕЦКИЙ, 1991:72).

რაც შეეხება ტექსტოლოგიისა და ტექსტის ლინგვისტიკის მიმართებას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: „ტექსტი არის ადამიანის შეგნებული მოღვაწეობის შედეგი" (ЛИХАЧЕВ, 1983:128). ეს პოსტულატი საერთოა მეცნიერების ორივე სფეროსათვის. განსხვავება იმაშია, რომ ტექსტოლოგი ადგენს ტექსტის ისტორიას მისი შექმნის ცალკეული ეტაპების შესწავლით, ამზადებს მას დასაბეჭდად (გამოსაქვეყნებლად). ტექსტის მკვლევარ ლინგვისტს არ აინტერესებს ტექსტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მისი კვლევის საგანია

ტექსტის საბოლოო, გამოქვეყნებული ვარიანტი როგორც რთული ენობრივი მოღვაწეობის შედეგი. ის სწავლობს ტექსტს როგორც უმაღლეს კომუნიკაციურ ერთეულს, მის ფუნქციებს, მის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებს.

3.5. ტექსტის ლინგვისტიკა და გრამატოლოგია

გრამატოლოგია ანუ დამწერლობათმცოდნეობა არის სემიოტიკური დისციპლინა, რომელიც სწავლობს დამწერლობას ამ სიტყვის ფართო გაგებით. ეს არის „Lehre von den Buchstaben, vom Alphabet, der Syllabierung, dem Lesen und Schreiben." (DERRIDA, 1983:13). დამწერლობა იქმნება გრაფიკული ნიშნების გამოყენებით და წარმოადგენს სისტემას, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს კომუნიკაცია ადამიანებს შორის. ამასთანავე მას აინტერესებს არა მარტო ანბანური ნიშნები, არამედ სხვა გრაფიკული ნიშნებიც. ვიწრო გაგებით დამწერლობა არის ენობრივი ელემენტების გამოხატვა გრაფიკული ნიშნების მეშვეობით. დამწერლობის ამ გაგებიდან გამოდიან ჩვეულებრივ როდესაც აიგივებენ დამწერლობასა და წერილობით ენას.

გრაფიკული ნიშნების ყველაზე სრულყოფილ საკომუნიკაციო სისტემად ითვლება ანბანური დამწერლობა, რომელიც იძლევა ენის ფიქსირების საშუალებას და არ წარმოადგენს ენის ზეპირი ფორმის ზუსტ ანალოგს. ენათმეცნიერებას და გრამატოლოგიას შეხების წერტილები აქვთ, რადგან ანბანური დამწერლობის შექმნა უშუალოდ არის დაკავშირებული ენის ფონემურ ანალიზთან და „ყოველი დამწერლობა წარმოადგენს ენის სათანადო ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს" (გამყრელიძე, 1989:118). რამდენადაც გრამატოლოგია დამწერლობას სწავლობს, ხოლო ენის ფუნქცია დამწერლობის მეშვეობით ხორციელდება, აშკარაა კავშირი მათ შორის. ენის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია დამწერლობის გარეშე. გრამატოლოგიაში სათანადო ყურადღება ეთმობა დამწერლობისა და ენის მიმართებას, ხაზი ესმება დამწერლობის გავლენას ენის განვითარებაზე. ერთი მხრივ, დამწერლობა კონსერვატულია და წინააღმდეგობას უწევს ენობრივ ცვლილებებს, ხოლო მეორე მხრივ, იგი ხვეწს ენის სისტემას, რიგ შემთხვევაში გარკვეულობა შეაქვს ენობრივ კომუნიკაციაში (შდრ. ე.წ. გრაფიკული მორფემები, მაგ., Ein Paar und ein paar.) და ამდიდრებს ენის ლექსიკურ სისტემას. (შდრ. წერილობითი აბრევიატურები) (ГЕЛЬБ, 1982:212-218).

განსაკუთრებით დიდია დამწერლობის დანიშნულება ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის შექმნასა და გავითარებაში. იგი ხელს უწყობს ენის სოციალური ფუნქციის განმტკიცებას, ეროვნული ენის გადაქცევას ეროვნული იდენტიფიკაციისა და კულტურული თვითდამკვიდრების სიმბოლოდ. „შესაძლებელია საერთოდ ვამტკიცოთ, რომ მეცნიერების დასაბამი საზოგადოდ (და, კერძოდ, ენათმეცნიერული კვლევისა) ამა თუ იმ ხალხის კულტურულ ისტორიაში მოდის სათანადო ენისათვის დამწერლობის შექმნის პერი-

ოდზე. დამწერლობის შექმნა საზოგადოდ მეცნიერული კვლევის დასაწყისს უნდა გულისხმობდეს" (გამყრელიძე, 1989:118).

დამწერლობასა და ტექსტის ლინგვისტიკას შეხების წერტილები აქვთ. ის ენობრივ-წერილობითი წარმონაქმნები, რომლებსაც ტექსტის სახე აქვთ, განსაზღვრული პრინციპის მიხედვით შეისწავლება ტექსტის ლინგვისტიკის მიერ. ტექსტი თანამედროვე ენაზე იქნება შესრულებული თუ ძველზე, შეიძლება შესწავლილ იქნეს ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციებიდან. ჯერჯერობით არ გამოკვეთილა ტექსტის ლინგვისტიკის სახეობა, რომლის შესწავლის საგანი იქნება ენის ისტორიის სხვადასხვა საფეხურებზე შექმნილი ტექსტები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ტექსტის ლინგვისტიკა ამ მიმართულებითაც განვითარდეს ისტორიული ტექსტის ლინგვისტიკის სახით.

დამწერლობისა და ენის ურთიერთობაში ხაზი უნდა გაესვას არა მარტო იმას, რომ ენის ფიქსირებასთან ერთად ფიქსირდება მისი ფონოლოგიური, ლექსიკური და გრამატიკული სისტემები, არამედ იმასაც, რომ ამ სისტემების აქტუალიზაცია ხდება ტექსტების სახით და ამდენად, არსებობს პრობლემა „დამწერლობა-ტექსტი". უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრამატოლოგია მიჩნეულია არა მარტო დამწერლობის (წერითი სისტემების) შემსწავლელ მეცნიერებად, არამედ ტექსტების განსაზღვრული მიზნით წაკითხვის მეცნიერებადაც. ასე მაგალითად, ზოგიერთი გრამატოლოგი მას მიზნად უსახავს ფილოსოფიური ტექსტების წაკითხვას იმგვარად, რომ დაძლეულ იქნეს დასავლური ფილოსოფიის ლოგოცენტრისტული (მჟღერ სიტყვაზე „ხმა-ლოგოსზე" დაყრდნობა) ზღუდეები. ამისთვის კი საჭიროა მუშაობა იმ მიზნით, რომ ჰუმანიტარული კულტურების განსხვავებული ტექსტების დეკონსტრუქციით გამოვლინდეს ძირითადი ფილოსოფიური ცნებები და მეტაფორული ფენა, რომელსაც ამჩნევია წინამავალი კულტურული ეპოქების კვალი (DERRIDA 1985, BROCKHAUS' 1895:148).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინში „გრამატოლოგია" ჩვეულებრივ იგულისხმება დამწერლობის ზოგადი თეორია, მაგრამ ამ ზოგად ტერმინში სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა შინაარსს დებს. „გრამატოლოგიის" სინონიმად მოიხმარება „გრაფიკული ლინგვისტიკა". დაისმის კითხვა: მაინც რა უნდა ეწოდებოდეს მეცნიერებას დამწერლობის თეორიის შესახებ-გრამატოლოგია თუ გრაფიკული ლინგვისტიკა (АМИРОВА, 1977:42). თავისთავად ორი სინონიმური ტერმინის არსებობა იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან სავსებით იდენტური და სემანტიკური სტრუქტურის რომელსამე სეგმენტში ერთმანეთს არ ემთხვევიან. გრამატოლოგიისა და გრაფიკული ლინგვისტიკისადმი მიძღვნილი შრომების განხილვა ცხადყოფს, რომ ამ ორ დისციპლინას განსხვავებული მიზნები და კვლევის მეთოდები აქვს და გამართლებულია მათი პრეტენზია, რომ ისინი ითვლებოდნენ დამოუკიდებელ დისციპლინებად. ორივეს კვლევის საგანი რომ ტექსტია, ეს არ იძლევა იმის უფლებას, ისინი იგივეობრივ დისციპლინებად ჩაითვალოს. ი.ე გელბი თავის გრამატოლოგიის საფუძვლებში გრამატოლოგიას უწოდებს დამწერლობის შემსწავლელ დარგს

ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და მის შემადგენელ დისციპლინებად ასახელებს გრაფემიკას, ეპიგრაფიკას და პალეოგრაფიას (ГЕЛЬБ, 1982:321-322). გვიანდელ შრომებში ი.ე. გელბმა კორექტივი შეიტანა თავის ადრინდელ თვალსაზრისში და გამოყო გრამატოლოგიის სამი ნაწილი: სუბგრაფემიკა – დამწერლობის ადრინდელი ფორმები და იდეოგრაფია, გრაფემიკა – ფონოგრაფია, ე.ი ბგერობრივ-ასოებრივი და მარცვლოვანი დამწერლობა და პარაგრაფემიკა – დამწერლობის თანმხლები მახასიათებლები (АМИРОВА, 1977:43).

3.6. ტექსტის ლინგვისტიკა და გრაფიკული ლინგვისტიკა

ი.ე. გელბის აზრით, ლინგვისტიკა ენის სისტემას სწავლობს უპირატესად ზეპირი წყაროების მიხედვით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს წერილობით (წერილობითი წყაროების) ენას. მიუხედავად იმისა,რომ ეს უკანასკნელიც უნდა იყოს ლინგვისტიკის შესწავლის საგანი (ГЕЛЬБ, 1982:322). გრაფიკული ლინგვისტიკა იღებს თავის თავზე ამ ნაკლის გამოსწორებას, იკვლევს წერილობითი ენის სისტემას და ამასთანავე არ უარყოფს წერილობითი ენის კავშირს ზეპირმეტყველებასთან. მის ობიექტად ითვლება ენის წერილობითი სისტემა, (წერილობითი) ტექსტი, დამწერლობა. იგი წერილობით ენას განსაზღვრავს როგორც ნიშნობრივ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს ბგერითი ენის პარალელურად და წარმოადგენს ადეკვატურ ინსტრუმენტს ადამიანის გონებრივი და ენობრივი მოღვაწეობის განსახორციელებლად. წერილობითი ენა ამავე დროს არის წყარო, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დადგინდეს ბგერითი ენის თავისებურებები (АМИРОВА, 1977:41). **გრაფიკული ლინგვისტიკა** მოიცავს პალეოგრაფიას, გრაფიკას, ორთოგრაფიას და გრაფემიკას. **პალეოგრაფიის** კვლევის ობიექტია ხელნაწერი ძეგლების გარეგნული მახასიათებლები: დამწერლობის ნიშნები, ასო-ნიშნების ევოლუცია. წერის მანერა, მათი ფორმები, ტიპები, საწერი მასალა და მისთ. **გრაფიკის** კვლევის ობიექტია ხელნაწერი და ნაბეჭდი ნიშნების სპეციფიკა, გრაფიკული ელემენტების მიმართება აკუსტიკურ ელემენტებთან, ზეპირი მეტყველების გადაყვანის წესები წერილობითში და პირუკუ, უმწერლობო ხალხებისათვის ანბანის შექმნის საფუძვლების ჩაყრა და მისთ. **ორთოგრაფიის** კვლევის ობიექტია წერილობითი სტრუქტურების და მათი ნაწილების გრაფიკული მხარის ორგანიზება, სიტყვების წერისა და წარმოთქმის სიმარტივის და კომფორტულობის მიღწევა, გრაფიკული ნიშნების სინტაქტიკა და მისთ.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გრაფემიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთობა, რადგანაც გრაფემიკა გრაფიკული ლინგვისტიკის დარგებიდან ყველაზე ახლოს დგას ტექსტის ლინგვისტიკასთან. **გრაფემიკა** ძირითად ყურადღებას მიაპყრობს გრაფიკური ერთეულების ფუნქციურ დატვირთულობას, ლინგვისტიკურად რელევანტური გრაფიკული ერთეულების იდენტიფიკაციას, ტექსტის ანალიზის განხორციელებას სტრუქტურული მეთოდების გამოყენებით. გრაფემიკაში ხდება ფონოლოგიური მეთოდების ექსტრაპოლირება და იგი გრაფიკული სისტემურ-ფუნქციონალური ელემენტების იდენ-

ტიფიკაციას ახორციელებს ენის სტრუქტურის ემიკურ დონეზე. გრაფემიკა გამოდის იმ პოსტულატიდან, რომ წერილობით ენას და ზეპირ მეტყველებას განსხვავებული სუბსტანციური საფუძვლები აქვთ, გრაფიკული და აკუსტიკური მასალის კომბინატორიკა განსხვავებულია და არც შეიძლება მათი სრული დამთხვევა არსებობდეს.

გრაფემები წარმოადგენენ წერილობითი სიმბოლოების კლასს და მათი შესწავლა უნდა ხდებოდეს ფონემების პარალელურად. გრაფემა არის წერილობითი ენის უმცირესი ერთეული, ისევე როგორც ფონემა ზეპირი მეტყველებისა (ბგერითი ენისა). იგი შესაძლებლობას იძლევა წერილობითი ენა გადაყვანილ იქნეს ზეპირში, მაგრამ გრაფემას ყოველთვის არ დაეძებნება ზეპირი რეფერენტი (АМИРОВА, 1977:77). ფონოლოგიური ტერმინების ანალოგიით გრაფემიკაში ლაპარაკობენ გრაფზე, ალოგრაფზე, გრაფემაზე, გრაფოტაქტიკაზე. გრაფემას შეიძლება ჰქონდეს პოზიციური, ფუნქციური და ეროვნული ვარიანტები და ა.შ. გრაფემიკა განვითარების პროცესშია, ისევე როგორც გრაფიკული ლინგვისტიკის სხვა დარგები, და ბევრი რამ, როგორიცაა მაგალითად მისი საზღვრები და შინაგანი დაყოფა, ცნებები და ტერმინოლოგია, დაზუსტებას მოითხოვს.

გრამატოლოგიასა და გრაფიკულ ლინგვისტიკას ბევრი რამ აქვთ საერთო და ბევრიც განსხვავებული, სადავო, გასაყოფი და გაურკვეველი. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ გამოკვეთილია: გრამატოლოგია არის დამწერლობათმცოდნეობა ამ ტერმინის ფართო გაგებით და მას აინტერესებს დამწერლობა როგორც სემიოტიკური სისტემა, ხოლო გრაფიკული ლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგია და შესაბამისად, მას აინტერესებს წერილობითი ენა როგორც ენობრივი კომუნიკაციის განხორციელების საშუალება გრაფიკული ნიშნების სისტემის მეშვეობით.

გრაფიკული ლინგვისტიკის და, კერძოდ, გრაფემიკის მიმართების საკითხი ტექსტის ლინგვისტიკასთან შეიძლება ითქვას, რომ ჯერაც არ დასმულა. არის მხოლოდ ცალკეული მინიშნებები იმის თაობაზე, რომ მათი ურთიერთკავშირების დადგენა სასარგებლო იქნებოდა როგორც ერთის, ისე მეორისთვის. ეს კავშირები, ჩვენი აზრით, უნდა გადაიკვეთოს წერილობითი ენის სიბრტყეზე და აღიწეროს ტექსტისა და დისკურსის განმასხვავებელი ნიშნების დაპირისპირებით.

მესამე ქვეთავის დასკვნები

1. ტექსტის ლინგვისტიკის დისციპლინათაშორისი მიმართებების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ტექსტის ლინგვისტიკის საკვლევი ობიექტის დაზუსტებისთვის, რადგან ობიექტი „ტექსტი“ იმდენად რთული და მრავალმხრივი წარმონაქმნია, რომ მის „პატრონობას“ ბევრი დისციპლინა ჩემულობს.

2. ტექსტით დაინტერესებულ დისციპლინათა პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების ფონზე უკეთ წარმოჩინდება ტექსტის ლინგვისტიკის სპეციფიკა. ერთი მხრივ, მას კვებავენ დისციპლინები, რომლებიც ენათმეცნიერების ფარგლებში თავსდებიან და ახლოს დგანან მასთან (გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა), ხოლო მეორე მხრივ, არსებობენ დისციპლინები, რომლებთანაც ტექსტის ლინგვისტიკა ისე ახლოს არ დგას, მაგრამ ტექსტის როგორც წერილობითი წარმონაქმნის სუბსტანციური არსი აუცილებლობის ძალით წარმოშობს ორმხრივ მიმართებებს, რომლებიც ტექსტის ლინგვისტიკისა და ამ დისციპლინების (ტექსტოლოგია, გრამატოლოგია, გრაფიკული ლინგვისტიკა) საზღვრებში იჭრება.

თავი II

ტექსტი როგორც ლინგვისტიკური კვლევის საგანი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭრილში

4.0. კომუნიკაციის ზეპირი და წერილობითი ფორმები

ენის როგორც ორსახა ერთის გაცხადება ხდება ორი ჰიპოსტაზის სახით – ზეპირი მეტყველებითა და წერილობითი ენით. აქვთ რა საერთო საფუძველი, ისინი ფუნქციონირებენ როგორც თვითკმარი სისტემები და ზეგავლენას ახდენენ ენის განვითარებაზე. პირველი იწვევს ენის სისტემის შერყევას, ცვლილების ელემენტების შეტანას მასში, მეორე ხელს უწყობს ნორმის ელემენტების სტაბილიზაციას და კონსერვაციას. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი სუბსტანციური არსით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე უზრუნველყოფს კომუნიკაციის საბოლოო მიზანს – უერთიერთგაგებას, ისინი არ არიან იდენტური. ფაქტია, რომ თვით დედაენის სრულყოფილად მცოდნე, განათლებულ კომუნიკატორსაც კი არ შეუძლია თავისუფლად და სპონტანურად ოპერირებდეს ენობრივი კომუნიკაციის ყველა წერილობითი ფორმით. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებასა და მარტივ სოციალურ გარემოში იგი დაუძაბავად აღიქვამს და გადასცემს როგორც ზეპირ, ისე წერილობით ინფორმაციას, მაგრამ თუ მას საგანგებოდ არ უსწავლია ამა თუ იმ ტექსტის შედგენა, მაინც გაუჭირდება მისი რეპროდუცირება, და მიუხედავად იმისა, რომ ენის ფუნქციონირების ეს ფორმა ავტონომიურად არსებობს, ტექსტის ლინგვისტიკაში ბოლო დრომდე პრინციპულად არ დამდგარა ზეპირი მეტყველებისა და წერილობითი ენის საბაზისო ერთეულების გამოყვნისა და იდენტიფიკაციის საკითხი. ჩვეულებრივ ხდება ენობრივი კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულის როგორც ზოგადი მოდელის პოსტულირება და მისი ერთიანი სახით წარმოდგენა. ასეთი მიდგომა შეიძლება გამართლებული იყოს ზოგადლინგვისტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ზეპირმეტყველებითი და წერილობითი აქტების დიფერენციაცია აუცილებელი ჩანს ლინგვისტიკური კვლევის უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე, სადაც ენობრივი მოღვაწეობის ორი სახეობის არსებობა გვკარნახობს ორი საბაზისო ერთეულის გამოყვნის აუცილებლობას.

ტექსტისა და დისკურსის გამიჯვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ენის იმანენტური სტრუქტურა არ ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას. მისი აღქმა შესაძლებელია მხოლოდ აკუსტიკური და გრაფიკული სისტემების მეშვეობით. ლანგის დონეზე ეს სისტემები წარმოდგენილია სრული ინვენტარით, ხოლო პაროლისა და ლანგაჟის დონეზე უსასრულო კომბინაციებითა და კონსტრუქციებით. სასრულობა და უსასრულობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის, რადგანაც არ არსებობს შესატყვისობა 1:1 და ლანგის სასრული ელემენტები ადაპტირებულია ასიმეტრიული ფუნქციონირებისათვის კომუნიკაციის პროცესში. ენის სემიოტიკური ბუნება უზრუნველყოფს შინაარსობრივი უნივერსუმის შესატყვისობას სამყაროსთან როგორც უნივერსუმთან, რაც ხორციელდება აკუსტიკური და გრაფიკული სისტემების მეშვეობით (КИБРИК, 1990:604-606).

ენის სტრუქტურულ მოდელში პოსტულირებული საბაზისო ერთეულები – ფონემა, მორფემა, სიტყვა, წინადადება – და შესაბამისი ლინგვისტიკური დისციპლინები გამოიყოფა ერთმანეთთან მიმართებაში. საბაზისო ერთეულების წრე განვითარების დღევანდელ დონეზე ივსება ტექსტით და დისკურსით, ხოლო ლინგვისტიკური დისციპლინების მოდელში თავის ადგილს იკავებენ ტექსტის ლინგვისტიკა და დისკურსული ლინგვისტიკა.

როგორც აღინიშნა, მკვლევართა უმრავლესობა არ ავლებს ზღვარს კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულის ზეპირ და წერილობით ფორმებს შორის, თვლის მათ ერთ განუყოფელ ამბივალენტურ ერთეულად, რომელიც სხვადასხვა ასპექტში შესწავლისას არ საჭიროებს განსხვავებულ ან სპეციალურ დახასიათებას. ასე მაგალითად, თეოდორ ლევანდოვსკის ცნობილ ლექსიკონში, სადაც შეჯერებულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები, ვკითხულობთ: „Text: text/discourse, texte/discours, text. Wenn man spricht oder schreibt, um jemandem etwas mitzuteilen, produziert man Texte. Alles, was man (sinnvoll) sagt oder schreibt, ist ein Text oder ein Teil des Textes. Es gibt dialogische und monologische, gesprochene oder geschriebene Texte" (LEWANDOWSKY, 1984-1985:1097, B.III). მკვლევართა მეორე ნაწილი საერთოდ არ იძლევა ტექსტის დეფინიციას, ინტუიციურად ახდენს ტექსტის იდენტიფიკაციას, იღებს რეალურად არსებულ ტექსტებს, აანალიზებს მათ იმ სახით, როგორც გამოცდილებაში ეძლევა, და გამოთქვამს თავის თვალსაზრისს (ამის დასადასტურებლად იმდენი ნაშრომი არსებობს, რომ მათი დასახელება ძალიან შორს წაგვიყვანდა).

4.1. ტექსტის ფართო და ვიწრო გაგება

ტექსტის ყველა განსაზღვრება, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა, პირობითად შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება განსაზღვრებები რომლებსაც ზოგადობის პრეტენზია აქვთ, ისინი ასახავენ საკვლევი ობიექტის უზოგადეს ნიშნებს, ტექსტად მიიჩნევენ კომუნიკაციური ინტენციის განხორციელებისათვის საჭირო ყოველგვარ ენობრივ გამოხატულებას, ტექსტს თვლიან ენობრივი კოდის სოციოკომუნიკაციურ ქმედებაში

გადაყვანის უნივერსალურ ფორმად. მეორე ჯგუფის განსაზღვრებები უფრო ვიწროა და საფუძვლად ედება კერძო საკითხების კვლევას, ტექსტის შესწავლას სხვადასხვა ასპექტის მიხედვით: ენისა და მეტყველების პოზიციიდან, პარადიგმატიკულ და სინტაგმატიკურ ჭრილში; გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტიკური თავისებურებების აღწერით, შიდასტრუქტურული ელემენტების გამოკვეთითა და ექსტრალინგვისტიკური პირობების გათვალისწინებით და ა.შ.

მიუხედავად თვალსაზრისთა და მეთოდების სიჭრელისა არ შეიძლება ითქვას, რომ არაფერია გაკეთებული კომუნიკაციის ამ უმაღლესი ერთეულის შესასწავლად. პირიქით, გაკეთებული საკმაოდ ბევრია, აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტექსტი მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომელიც არაერთგვაროვან მიდგომას, სხვადასხვა მეთოდებით შესწავლას საჭიროებს. დაუშვებელია რომელიმე მათგანს უპირატესობა მიეცეს, ან რომელიმე მათგანი ხელაღებით იქნეს უარყოფილი. სავსებით გამართლებულია აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულის შესწავლას სდევს თან. ესა თუ ის მკვლევარი ირჩევს თეორიულ პოზიციას და კვლევის მეთოდს იმის მიხედვით, თუ რა აინტერესებს მას. საბოლოო ჯამში ყოველი ახალი წინგადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით ნიშნავს შესასწავლი ობიექტის რომელიმე არსებითი ნიშან-თვისების წარმოჩენას.

ტექსტის ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ყოველ კვლევას წინ უძღოდეს დეფინიცია, რომელიც კონკრეტული კვლევის საყრდენი წერტილი იქნება (ГОЦИРИДЗЕ, 1988:3–5). ეს განსაზღვრება შეიძლება ყალიბდებოდეს კვლევის პროცესშიც დეფინიენდების თანმიმდევრობით გამოყოფისა და მათი აუცილებლობის დასაბუთების გზით. ტექსტის განსაზღვრება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ამოსავალ პრინციპს, რომელიც საშუალებას მისცემს მკვლევარს გამოკვეთოს მისთვის საინტერესო შესასწავლი ობიექტის არსებითი ნიშნები. მაგალითად, ერთ-ერთ პრინციპულ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი **წერილობითი კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულია და განსხვავდება ზეპირი გამონათქვამისგან.** ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში ამ განსხვავების უგულებელყოფა იწვევს საკვლევი ობიექტების აღრევას, მსჯელობის გაბუნდოვნებას, ეჭვქვეშ აყენებს ლოგიკური დასკვნებისა და კვლევის შედეგების სარწმუნოებას. თუ ტექსტს ვუწოდებთ თავისი ბუნებით სრულიად განსხვავებულ მოვლენებს, როგორიცაა სურათი, საგზაო ნიშანი, ნიგნის სათაური, შორისდებული და მწერლის მთელი შემოქმედება, ანდაზა და რომანი, ზეპირი გამოსვლა და წერილობითი მოხსენება, საუბარი და პირადი წერილი, ჟესტი (მიმიკა) და დუმილი, ეს იქნება ტექსტის ცნების უსაზღვრო გაფართოება, სხვადასხვა რანგის საკვლევი ობიექტებისა და კვლევის დონეების აღრევა, რაც კვლევას სასურველი მიმართულებით ვერ წარმართავს. ტექსტის ასეთი უზოგადესი მეტაფორული გაგება შეიძლება დასაშვები იყოს სემიოტიკურ მეცნიერებაში, მაგრამ არა ტექსტის ლინგვისტიკაში.

4.2. ტექსტის დეფინიცია

მიზანშეწონილი ჩანს ენობრივი კომუნიკაციის წერილობითი ფორმების გამოყოფა დამოუკიდებელ საკვლევ ობიექტად და ტერმინის „ტექსტი" გამოყენება მხოლოდ მის აღსანიშნად. ტექსტის ასეთ გაგებას ოპონენტები ჩვეულებრივ აფასებენ როგორც შეზღუდულს, პრიმიტიულსა და წინარემეცნიერულს, მაგრამ ცნობილია, რომ მეცნიერული კვლევის ერთდერთი მიზანი მდგომარეობს არა იმდენად მოძველებული წარმოდგენების ხელაღებით უარყოფაში, რამდენადაც ძველი, გულუბრყვილო ჰეშმარიტებების განახლებულ შესასწავლ ობიექტებად გადაქცევაში, ახალი თეორიებისა და მეთოდების მოშველიებით ახალი კანონზომიერებების დადგენასა და მათი ახალი, განსხვავებული რაკურსით დანახვაში. დაე, საგნებს თავისი სახელები შერჩეთ: რომანი დარჩეს რომანად, სონეტი – სონეტად, ოქმი – ოქმად, მონოლოგი – მონოლოგად და ა.შ. მთავარი ახლა იმის განსაზღვრაა, რომ თუმცა სონეტი პოეტური ჟანრია, ხოლო ოქმი საქმიანი პროზის ერთ-ერთი ტრაფარეტი, მონოგრაფია მეცნიერულ ლიტერატურას მიეკუთვნება და ა.შ., მაგრამ **იმავდროულად თითოეული მათგანი არის ენობრივი მოღვაწეობის წერილობით დაფიქსირებული შედეგი.** ეს დეფინიცია დაფუძნებულია ტექსტის ვიწრო გაგებაზე და მასში აკუმულირებულია ტექსტის არსებითი ნიშნები. დეფინიენდი „წერილობით დაფიქსირებული" იმაზე მიუთითებს, რომ ტექსტი სივრცეში განფენილი, გრაფიკული ნიშნებით შექმნილი და ვიზუალურად აღსაქმელი ენობრივი წარმონაქმნია, ხოლო დეფინიენდი „შედეგი" – იმაზე, რომ იგი დახურული, განსაზღვულ საზღვრებში მოქცეული სტატიკური ერთეულია. „მოღვაწეობა" ხაზს უსვამს იმას, რომ ენობრივი ურთიერთობის განხორციელება ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი წესია, რომელიც უზრუნველყოფს ყოფიერების ჰარმონიას ურთიერთგაგების საფუძველზე.

ეს ზოგადი განსაზღვრება საჭიროებს შემდგომ ექსპლიკაციას და ტექსტის მადიფერენცირებელი ნიშნების გამოყოფას, რაც შეიძლება დისკურსთან მისი შეპირისპირებით განხორციელდეს. ამ დაზუსტებულ დეფინიციაში ასახული უნდა იყოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ასახავენ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ, შიდა- და გარეენობრივ, სემანტიკურ და ფორმალურ ასპექტებს. დისკურსთან ტექსტის შეპირისპირება წარმოაჩენს ამ ასპექტების ჭრილში დანახულ თავისებურებებს. სხვა არსებით ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია ტექსტისთვის და, შესაბამისად, არ გააჩნია დისკურსს, ჩამოვაყალიბებთ ცოტა ქვემოთ.

4.3. ენისა და ტექსტის ფუნქციების თანაშეწონილობა

ტექსტის ფუნქციები უნდა განისაზღვროს ენის ფუნქციების კონტექსტში, თუმცა შეუძლებელია მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა. ტექსტი, როგორც ამბობენ, ენის საცხოვრისი, ენის ფუნქციონირების რეალური გამოხატულებაა. იგი კონკრეტული ენობრივი კანონების მიხედვით არის კონსტრუირებული,

მასში ასახულია გარესამყაროს ხდომილებანი და ადამიანის სულიერი სამყარო. ყოველი ტექსტი თავისებური მიკროკოსმოსია, რომელშიც მცირე მასშტაბით აირეკლება ენისა და სამყაროს მაკროკოსმოსი. ენის ფუნქციების დადგენა ურთულესი ზოგადენათმეცნიერული პრობლემაა. მონოგრაფიის მიზანს არ შეადგენს ამ საკითხის სრული მოცულობით განხილვა და ორიგინალურად გადაწყვეტა. აქ მხოლოდ იმდენად არის საჭირო ენის ფუნქციებზე მსჯელობა, რამდენადაც ის ტექსტის ძირითადი ფუნქციების გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. ენის ფუნქციებისადმი ინტერესი არ ნელდება და მათი შესწავლის მასშტაბები განუწყვეტლივ ფართოვდება. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე საფეხურზე ამ ინტერესს იწვევს ენის წარმოდგენა „მის მოქმედებაში". რაც განაპირობებს კვლევის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მეტყველების ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური პრაგმატიკა, ფუნქციონალური (კონვენციონალური) სტილების თეორია, ტექსტის ლინგვისტიკა და მისთ. ენობრივი მოვლენების კვლევისას დგება ფუნქციების სუბორდინაციის, ერთი ფუნქციის სხვა ფუნქციებისადმი დაქვემდებარების საკითხი.

ახლა გვინდა სქემატურად წარმოვადგინოთ რამდენიმე მოდელი, ზოგი საყოველთაოდ აღიარებული, ზოგიც ნაკლებ ცნობილი:

კარლ ბიულერისათვის ენა არის იარაღი (Werkzeug), მაგრამ უსხეულო (უხორცო), მატერიალური, შუალედური რამ (das leibesfremde materielle Zwischending) (BÜHLER, 1934:III). მისი მოდელი ენას წარმოადგენს გარესამყაროსთან კავშირში. ეს ე.წ. Organon-Modell აგებულია სემიოლოგიურ პრინციპზე და ენის სამ ფუნქციას წამოსწევს წინ სამი განზომილების – Sender (1), Empfänger (2), Gegenstände und Sachverhalte (3) – მიხედვით. ეს ფუნქციებია: Ausdrucksfunktion (გამოხატვის, ექსპრესიული ფუნქცია) – მოლაპარაკის პოზიცია, Appelfunktion (მიმართვის, აპელატიური ფუნქცია) – მსმენელის პოზიცია, Darstellungsfunktion (შეტყობინების, რეპრეზენტაციული ფუნქცია) – გარესამყაროს პოზიცია (იქვე, 24–33).

რომან იაკობსონი გამოდის იმ პოსტულატიდან, რომ ენობრივი კომუნიკაციის ყველა აქტს საფუძვლად უდევს სამი ძირითადი კომპონენტი: ადრესანტი, ადრესატი და შეტყობინება. მაგრამ ენობრივი კომუნიკაციის განხორციელებისათვის საჭიროა კიდევ სხვა კომპონენტები, ესენია: კონტექსტი (იგივე *რეფერენტი:* ის, რის შესახებაც არის ლაპარაკი), კოდი (რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია) და კონტექსტი (ადრესანტსა და ადრესატს შორის არსებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური არხი). ამ კომპონენტების მიმართება გამოიხატება შემდეგი სქემით:

კონტექსტი
შეტყობინება

ადრესანტი ადრესატი

კონტაქტი
კოდი

ამ ექვსი კომპონენტის შესაბამისად გამოიყოფა ენის განსაკუთრებული ფუნქციები. ამასთანავე, არ არსებობს კომუნიკაციის აქტი, რომელშიც შესაძლოა მხოლოდ ერთი ფუნქცია იყოს აქტუალიზებული. ეს აქტები განსხვავდება ერთმანეთისგან მხოლოდ ფუნქციების იერარქიით. ეს ფუნქციებია:

= კომუნიკაციური (რეფერენციული, დენოტატური, კოგნიტიური);
= აპელატიური (კონატიური, ათვისებისა);
= პოეტური (შეტყობინებისა);
= ექსპრესიული (ემოციური, გამოხატვისა);
= ფატიკური (ინტერაქციონალური, კონტაქტის დამყარებისა);
= მეტაენობრივი (განმარტებისა).

რ.იაკობსონი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პოეტური ფუნქციაზე. მისი აზრით, ენის პოეტური ფუნქციის განხილვისას შეუძლებელია მხოლოდ პოეზიით შემოფარგვლა. პოეტური ფუნქციის ლინგვისტიკური ანალიზი უნდა გამოვიდეს პოეზიის ფარგლებს გარეთ და არ უნდა დარჩეს ვიწრო ჩარჩოებში. გარდა პოეტური ფუნქციისა, რომელიც პოეზიაში დომინირებს, იქ სხვა ფუნქციების განხორციელებაც ხდება, ასე მაგალითად, ეპიკურ პოეზიაში – კომუნიკაციური ფუნქციისა (რამდენადაც იგი მესამე პირზეა ორიენტირეული), ლირიკაში – ექსპრესიულისა (რამდენადაც იგი პირველ პირზეა მიმართული), ე.წ. მეორე პირის პოეზიაში – აპელატიურისა (რამდენადაც იგი მიმართულია მეორე პირზე) (ЯКОБСОН, 1975:202–203). ლექსის ანალიზი პოეტიკის კომპეტენციაში შედის (პოეტიკის ვიწრო გაგება), ხოლო პოეტიკა ლინგვისტიკის დარგია. ფართო გაგებით პოეტური ფუნქცია არ ნიშნავს მხოლოდ პოეზიით შემოფარგვლას, იგი პოეზიის ფარგლებს გარეთაც მოქმედებს, სადაც სხვა ფუნქციები დომინირებს (იქვე, 206). ამრიგად, პოეტური ფუნქცია რ.იაკობსონის მიერ კვალიფიცირდება როგორც საერთოდ შეტყობინების ფუნქცია.

ვოლფდიტრიხ ჰარტუნგი ენის ფუნქციებს (Leistungen der Sprache) მიმოიხილავს ფუნქციის ცნების ჰეტეროგენულობისა და ფუნქციის მრავალრიცხოვანი დივერგენტული კლასიფიკაციის ფონზე. მისი აზრით, ენის ძირითადი ფუნქციაა ყველა სახის მოღვაწეობის რეგულირება, რომელიც შეიძლება ზედაპირზე ვლინდებოდეს (veräußerlicht) ან შინაგანად მიმდინარეობდეს (verinnerliht). პირველი კომუნიკაციური ფუნქციაა, მეორე – კოგნიტიური. ორივე ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ერთი წარმოუდგენელია მეორის გარეშე. სხვა ფუნქციები, ისევე როგორც ეს ორი, გამომდინარეობენ ძირითადი მარეგულირებელი ფუნქციიდან. საერთოდ კი ვოლფდიტრიხ ჰარტუნგის აზრით, მიზანშეწონილი არ არის რომელიმე ფუნქციისათვის უპირატესობის მინიჭება, რამდენადაც სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებს სხვადასხვა მიზნები აქვთ და ენის ფუნქციები განსხვავებული ასპექტით აინტერესებთ (HARTUNG, 1983:29-32).

ვ.ზ. პანფილოვის აზრით, ენის არსი ცხადდება იმ გარემოში, სადაც ის მყოფობს და მოქმედებს. ფუნქცია არის ობიექტის თვისების გამოყენების გა-

რეგანი გამოვლინება. ენის ძირითად ფუნქციად მას მიაჩნია კომუნიკაციური და ექსპრესიული ფუნქციები (ПАНФИЛОВ, 1983:28–36).

კიდევ მრავალი კლასიფიკაციის დასახელება შეიძლებოდა, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ კრიტერიუმებს გვთავაზობენ. ენის ძირითად ფუნქციად ყველა მათგანში ფიგურირებს კომუნიკაციური ფუნქცია, ხოლო სხვები (რომელთა რიცხვი ზოგიერთი ავტორის მტკიცებით ოცდაათს აღწევს), ალბათ, დაქვემდებარებულ ფუნქციებად უნდა მივიჩნიოთ.

ტექსტის ფუნქციები უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, ენის ფუნქციებიდან ამოსვლით, ხოლო მეორე მხრივ, უფრო ვიწროდ, სპეციფიკურად, ტექსტის არსზე დაყრდნობით. ყველა ის ძირითადი და დაქვემდებარებული ფუნქცია, რაც კი ენას მიეწერება, მცირე მასშტაბებით ასე თუ ისე ტექსტისთვისაც არის დამახასიათებელი. ენისა და ტექსტის ფუნქციების სრული დამთხვევა გამორიცხულია, რამდენადაც ფუნქცია ობიექტის გამოყენების გამოვლინებაა, ხოლო ობიექტები ენა და ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ცნების მოცულობით და შინაარსით, ასევე გამოყენების სფეროთი. მეორის ფუნქციები პირველთან შედარებით შეზღუდულია, ამიტომ უნდა განვასხვავოთ ტექსტის ფუნქციების ორი წრე: პირველი – ზოგადი ფუნქციები, რომლებიც გამომდინარეობენ ენის არსიდან და დაშრევებულია ტექსტზეც, მეორე – ალიენაციური ანუ საკუთრივ ტექსტის ფუნქცია, რომელიც გამომდინარეობს ტექსტის არსებობის წესიდან. სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ალიენაციურ ფუნქციაზე, რამდენადაც ჩვენი აზრით, ის, ჯერ ერთი, ტექსტის უპირველესი თვისებაა და, მეორეც, თვით ცნება და ტერმინი „ალიენაცია“ განმარტებას საჭიროებს.

4.4. ალიენაცია – ტექსტის არსებობის წესი

ალიენაციის ცნება უშუალოდ არის დაკავშირებული ანბანთან და დამწერლობასთან, სიმყარე და გამძლეობა, რომლებც ტექსტის გამორჩეული თვისებებია, აძლევს მას საშუალებას, იყოს სათავსი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება-შენახვისა. სიმყარის და გამძლეობის საფუძველი კი არის გრაფიკული ნიშნები – ის სუბსტანცია, რომელიც წარმოადგენს ენობრივი გამოხატულების ერთ-ერთ ძირითად ფორმას აკუსტიკური ნიშნების – ფონემების გვერდით. მიუხედავად იმისა, რომ თვით ფერდინანდ დე სოსიურიც კი ებრძვის გრაფიკული სიტყვის და ასონიშნის ტირანიას, მაინც არ უარყოფს დამწერლობის დიდ პრესტიჟს. იგი დამწერლობას დაქვემდებარებულ ადგილს მიუჩენს: „ენა და დამწერლობა ნიშნების სხვადასხვა სისტემებია, მეორის ერთადერთი საზრისი მდგომარეობს პირველის გამოხატვაში. ლინგვისტიკის საგანია არა ფონეტიკური სიტყვა და გრაფიკული სიტყვაა მათ ერთიანობაში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური სიტყვა“, წერს იგი. მისი აზრით, თუმცა გრაფიკული სიტყვა მარტოოდენ გამოსახულებაა ფონეტიკური სიტყვისა, იგი მაინც ისე მძლავრობს, რომ ბოლოს და ბოლოს ისეთსავე მნიშვნელობას იძენს როგორსაც ფონეტიკური სიტყვა, და მასზე მეტსაც კი. ფერდინანდ დე სოსიური თავის „კურსში“ სპეციალურ (IV) თავს უძღვნის დამწერლობისა და წარ-

მოთქმის ურთიერთმიმართების საკითხებს, არ უარყოფს დამწერლობის შესწავლის აუცილებლობას, ასახელებს დამწერლობის პრესტიჟის მიზეზებს. ჩვენთვის საინტერესოა ეს მიზეზები იმდენად, რამდენადაც მათში ცალსახად ჩანს, რომ წერილობითი ენის პრესტიჟულობა ეფუძნება მის სუბსტანციურ არსს, რომელიც იწვევს გრაფიკული ნიშნის ემანსიპაციას და, შესაბამისად, ალიენაციას. ეს მიზეზებია: 1. სიტყვის გრაფიკული გამოხატულება მყარია და ბგერაზე უფრო გამოსადეგი ენის ერთიანობის უზრუნველყოფისათვის დროში; 2. ადამიანთა უმრავლესობას მხედველობითი მეხსიერება უფრო მკაფიო და ხანგრძლივი აქვს, ვიდრე სმენითი, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ფარავს ბგერას; 3. სალიტერატურო ენა კიდევ უფრო ზრდის დამწერლობის მნიშვნელობას (რაც მას არ დაუმსახურებია. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ლაპარაკს უფრო ადრე სწავლობენ ვიდრე წერას და ბუნებრივი თანმიმდევრობა თავდაყირა დგებაო, შენიშნავს დე სოსიური); 4. როცა იწყება განსხვავება ენასა და ორთოგრაფიას შორის, წერილობითი ფორმა იმარჯვებს (იმიტომ, რომ მასზე დაყრდნობა უფრო ადვილია, და დამწერლობა ისაკუთრებს მთავარ როლს, რისი უფლებაც მას არა აქვსო, განაგრძობს დე სოსიური).

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გრაფემისა და ფონემის სოსიურისეული დაპირისპირება ისტორიულად გამართლებული მომენტია ენათმეცნიერების განვითარების იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო კომპარატივისტებისა და მლადოგრამატიკოსების პრინციპების კრიტიკა. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში წინა პლანზე წამოიწია ფონოლოგიამ და გრამატიკამ. ფ.დე სოსიურის მიერ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართების მოქცევა კვლევის ცენტრში ნიშნავდა მლადოგრამატიკოსების მეთოდოლოგიის, ატომიზმის, ფიზიოლოგიზმისა და ფსიქოლოგიზმის უარყოფას (HELBIG, 1973:60-64). მკვლევართა ყურადღებამ იზოლირებული ბგერიდან მეტყველების ნაკადზე გადაინაცვლა. პრიორიტეტული კვლევის ობიექტად აკუსტიკური ნიშანი იქცა. მოხდა აქცენტის გადატანა გრაფიკული ნიშნიდან აკუსტიკურზე. ამ ორი ნიშნის მკაფიო გამოყოფა მოითხოვა ფ.დე სოსიურმა. მისი აზრით, ზეპირმეტყველებითი ტრადიცია არსებობს დამწერლობისგან დამოუკიდებლად და არანაკლებ მყარია, ვიდრე წერილობითი ტრადიცია. ამის დანახვას ხელს უშლის დამწერლობის პრესტიჟი. თვით ფრანც ბოპიც კი ვერ განასხვავებს მკაფიოდ ასოსა და ბგერას. ბოპს რომ კითხულობ ისეთი შთაბეჭდილება რჩება ადამიანს, თითქოს ენა განუყოფელია ანბანისგანო, წერს იგი (COCCIOP, 1977:65).

ეს ტენდენცია ენათმეცნიერების ლოგიკური განვითარების გზას გამოხატავდა. შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისა და მლადოგრამატიკოსების ეპოქა დამთავრდა. ენათმეცნიერებამ, რომელიც წერილობითი ძეგლების მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა, ამოწურა თავისი შესაძლებლობები, საჭირო იყო ახალი სტიმულები. წერილობითმა ენამ უკანა პლანზე გადაიწია, ცოცხალი მეტყველება კვლევის ცენტრში მოექცა. ეს პერიოდი აღინიშნა სტრუქტურალიზმის განვითარებით.

ტექსტის ლინგვისტიკის შექმნამ ვერ მოაწესრიგა წერილობითი ენისა და ზეპირი მეტყველების ურთიერთობა. მისი განვითარების დღევანდელ საფეხურზე ჯერ კიდევ არ არის გამიჯნული მკაფიოდ ტექსტი (წერილობითი ენის ერთეული) და დისკურსი (ზეპირი მეტყველების ერთეული). თუ კი ფერდინანდ დე სოსიურის მიერ გამოთქმულ საყვედურს ბოპის მიმართ განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბირითადად ისევ ძალაში რჩება: მკაფიოდ არ იმიჯნება ერთმანეთისაგან კომუნიკაციის წერილობითი და ზეპირმეტყველებითი ერთეულები. განუწყვეტლივ ხდება წერილობითი ერთეულის გაანალიზება ისე, თითქოს იგი ზეპირმეტყველებითი იყოს. აქ საქმე ეხება არა ერთის ან მეორის პრიორიტეტს, არამედ იმას, რომ ენის ობიექტური არსებობის ორივე ფორმას მათი კუთვნილი ადგილი მიეჩინოს. შეუძლებელია წერილობითი ენის პრესტიჟულობის უარყოფა, რომელიც მას ფაქტობრივად არ დაუკარგავს და არც შეიძლება დაეკარგა.

ის დიდი პრესტიჟი, რომელიც დამწერლობას და, შესაბამისად, წერილობით ენას აქვს, სავსებით დამსახურებული და კანონზომიერია. უადგილო იქნებოდა იმ უამრავი შეფასების დამოწმება, რომლებიც ანბანისა და წერილობითი ენის შესახებ გამოთქმულა. აქ მხოლოდ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისა და ჰერმან პაულის რამდენიმე გამონათქვამიც იკმარებდა.

იქ, სადაც ვ. ფონ ჰუმბოლდტი ფონეტიკურ ანბანზე მსჯელობს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ენის ბუნების სრულფასოვანი წვდომა, თუ იმავდროულად არ იქნება გამოკვლეული მისი დამოკიდებულება ანაბანურ დამწერლობასთან. მეღერი სიტყვა აზრის ხორცშესხმაა, დამწერლობა ბგერის – ხორცშესხმა. ენობრივი აზროვნება, მეტყველება და დამწერლობა უნდა ეთანხმებოდეს ერთმანეთს, ერთ ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული. „ანბანი ხალხს აძლევს საშუალებას სრულიად სხვანაირად შეხედოს ენის ბუნებას. ანაბანური დამწერლობის გამოყენება დაკავშირებულია გამოხატვის ფორმასთან და ამდენად, ცნებებისა და იდეების დამუშავებასთან. ანბანური დამწერლობა უშუალოდ უკავშირდება ენის შინაგან ბუნებას. მისი ზეგავლენა ენის ყველა სფეროზე გარდაუვალია. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს გავლენა რიტმულ მხარეზე და გრამატიკული ფორმების წარმოებაზე (ГУМБОЛЬДТ, 1985: 404–405; 409–410; 416; 412).

ჰერმან პაულის აზრით, წერილობითი ენის ზემოქმედების არე გაცილებით უფრო ფართოა. „წერილობითი ენის წყალობით ცალკეული ინდივიდის სხვებზე ზემოქმედების შესაძლებლობები, რომლებიც ჩვეულებრივ პიროვნებათა მეტად ვიწრო წრით შემოიფარგლება, იზრდება მთლიანად კოლექტივის მასშტაბამდე. წერილობითი ენის წყალობით მას შეუძლია გასცდეს მოცემული თაობის საზღვრებს და უშუალოდ ყველა შემდგომ თაობაზე გავრცელდეს“ (ПАУЛЬ, 1960:441). შეიძლება ამ გამონათქვამში ფსიქოლოგისტურ-ინდივიდუალისტური მიდგომა გამოსჭვივოდეს, მაგრამ ამჯერად ეს არ არის მთავარი. საყურადღებო სხვა მომენტია. ამ ციტატიდან იმის ამოკითხვაც შე-

იძლება, რომ წერილობითი ენა ეროვნული ენის, ხალხის ისტორიისა და კულტურის შენახვის, მემკვიდრეობითობისა და ტრადიციების გაგრძელების და გადაცემის საშუალებაა.

წერილობითი ენის უმაღლესი ერთეულია ტექსტი. მასში აისახება ყველა ძირითადი თვისება, რაც წერილობით ენას აქვს. მთავარი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება საკუთრივ ტექსტის არსებობა, არის **ალიენაცია**. თუ ალიენაციას წარმოვადგენთ პროცესის სახით, იგი შეიძლება დაიყოს შემდეგ საფეხურებად:

= ალიენატორი (კომუნიკატორი) თავისი ინტენციის შესაბამისად ირჩევს ტექსტის ნიმუშს;
= ახდენს ტექსტის კომპონირებას;
= ათავისუფლებს ტექსტს;
= ტექსტი განეყენება ალიენატორს და იწყებს დამოუკიდებელ არსებობას;
= ტექსტში რჩება ალიენატორის გონებისა და სულის კვალი;
= ტექსტი როგორც დამოუკიდებელი არსება ისტორიის კუთვნილება ხდება.

ალიენატორი ტექსტს უყურებს როგორც სულდგმულს, უზიარებს და ანდობს მას თავის ნაფიქრალს, წუხილს, სიხარულს. ტექსტის შექმნა ზეპირი საუბრის ტოლფასია იმ მხრივ, რომ კომუნიკატორი აქაც ანდობს კომუნიკანტს თავის ნააზრევს, მაგრამ ეს ნააზრევი არის წერილობით გამოხატული. არსებობს ცხოვრებისეული სიტუაციები, როდესაც ადამიანს ურჩევნია წერილობით მიმართოს ადრესატს. აზრის ზეპირად გამოთქმას ვინმეს მისამართით ბევრი უხერხულობა ახლავს თან. ადრესანტს ხშირად ეჩოთირება პირდაპირ უთხრას ადრესატს, რას ფიქრობს ის მასზე, ან იმაზე, რაზედაც საუბარია. წერილობითი სიტუაცია, როდესაც ადრესანტი მარტოა თავის თავთან და არ ხედავს ადრესატის მრისხანე, მუდარით, ირონიით ან ურწმუნოებით აღსავსე თვალებს, მას საშუალებას აძლევს მოიფიქროს, რისი თქმა სურს და როგორ უნდა თქვას. იგი ლოგიკურად ალაგებს აზრებს, თუ საჭიროდ მიიჩნევს ემოციურ შეფერილობასაც მისცემს და კმაყოფილი უგზავნის ტექსტს მაცნედ ადრესატს, მით უფრო ითქმის ეს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ავტორი ქმნის მნიშვნელოვან მეცნიერულ თუ მხატვრულ, დიდი თუ მცირე მოცულობის ტექსტს. მან იცის, რომ ტექსტი უფრო სანდოა, დიდხანს შეუნახავს ნააზრევს და განცდილს, ვიდრე ზეპირად ნათქვამი. ამას გარდა ადამიანის მეხსიერებას საზღვარი აქვს. რთული მეცნიერული თეორიები, ისევე როგორც დიდტანიანი მხატვრული ქმნილებები, რომელთა განვითარებას და დასრულებას დიდი დრო სჭირდება, იქმნება თანდათანობით, ლოგიკური თანამიმდევრობით, ძირითადი და დაქვემდებარებული თემების გაშლით და ა.შ., რასაც ავტორი იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ ნაფიქრალსა და განცდილს წერილობით დაფიქსირებს, განავითარებს და დასაბუთებას ბოლომდე მიიყვანს.

ტექსტის შექმნას ორი მიზანი უდევს საფუძვლად, კერძოდ, კომუნიკატორი კონკრეტული კომუნიკანტისგან ითხოვს პასუხს ან არ ითხოვს. პირველ შემთხვევაში ტექსტი ასრულებს შუამავლის ფუნქციას, ის არის მაცნე და კომუნიკანტამდე მიაქვს კომუნიკატორის დავალება (თხოვნა, ბრძანება) იმ მიზ-

ნით, რომ პასუხი მიიღოს. მეორე შემთხვევაში კომუნიკატორი არ თხოულობს კონკრეტულ პასუხს. მას მოთხოვნილება აქვს გამოხატოს თავისი ნააზრევი, განცდილი და ენობრივი კოლექტივი ან ცალკეული ინდივიდი გაეცნოს მას. გაიზიარებს მკითხველი ტექსტში ჩადებულ აზრს, თუ არა, ეს უკვე აღარ არის დამოკიდებული კომუნიკატორზე და მას შესაძლოა არც აინტერესებდეს მოსწონთ მისი ნაღვაწი თუ არა, თუმცა პრინციპში მისი მიზანი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ მკითხველი თანამოაზრედ გაიხადოს. აქ კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი – მატერიალური. ტექსტი შეიძლება გადაიქცეს შემოსავლის წყაროდ იმისთვის, ვისაც ღმერთისაგან მომადლებული აქვს წერის ნიჭი, ვინც დაუფლებულია ტექსტის შეთხზვას ან შედგენის ტექნიკას და აქვს საამისო კომპეტენცია. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მხატვრული ტექსტი იქნება ეს თუ მეცნიერული, პუბლიცისტური ან პრესისთვის განკუთვნილი. შემოსავალი შეიძლება მოიტანოს ზეპირმა გამოსვლამაც (თუმცა ეს უფრო იშვიათია), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გამოსვლებსაც წერილობითი ვარიანტი უდევს. საფუძვლად.

მეოთხე ქვეთავის დასკვნები

1. ტექსტი თავის ფუნქციებს ნაწილობრივ ენის ზოგადი ფუნქციებიდან იღებს მემკვიდრეობით, ნაწილობრივ თავად განავითარებს, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დასახელდეს:
   - რეპრეზენტაცია ენისა, მოდალობისა (კომუნიკატორის დამოკიდებულება ტექსტით გადმოცემული ფაქტისადმი) და ხდომილებისა (ამბისა);
   - ზედროული გავლენა კომუნიკანტზე;
   - ფატიკური ფუნქცია;
   - პოეტური ფუნქცია;
   - აკუმულაციური ფუნქცია (რომელიც გულისხმობს: ეროვნული ენისა და თვითშეგნების განმტკიცებას; ხალხის ისტორიისა და კულტურის შენახვას; ტრადიციების, გამოცდილების, ცოდნის დაგროვებასა და გადაცემას).
2. ტექსტის ზოგადი განსაზღვრება, როგორც ენობრივი შემოქმედების წერილობითი მანიფესტაციისა, შეიძლება შეივსოს ალიენაციური მახასიათებლებით. ტექსტი არის:
   - კომუნიკაციის უნივერსალური ერთეული;
   - ერთიანი სტრუქტურირებული ენობრივი წარმონაქმნი;
   - სივრცეში გაშლილი გრაფემულ-გრაფიკული კონსტრუქცია;
   - ზეპირმეტყველებისგან ემანსიპირებული;
   - თვითმყოფი არსება (აქვს საკუთარი ხმა, რაღაცას გატყობინებს და როგორღაც გესიტყვება)

5.0. ტექსტის კვლევის და ანალიზის ძირითადი პრინციპები

„ტექსტის ანალიზი" – რამდენ ბუნდოვან და გაუცნობიერებელ კომპონენტს შეიცავს ამ სიტყვებით აღნიშნული ცნება, რამდენი გადაუწყვეტელი პრობლემა არის მასთან დაკავშირებული, რამდენ კამათსა და შეხლა-შემოხლას იწვევს იგი მკვლევართა შორის, და ყოველივე ეს კანონზომიერია, რადგან ტექსტი იმდენად მრავალმხრივი და რთული ფენომენია, იმდენ ყოველდღიურ საჭირბოროტო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ ინტერესებთან არის დაკავშირებული, იმდენად მასშტაბურია და მნიშვნელოვანი მისი გამოყენების სფერო, რომ გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი ვარაუდი, თითქოს ტექსტი ცალსახა განსაზღვრულობა, ხოლო მისი ანალიზი მარტივი პროცედურა იყოს.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა „მწარმოებლის", „მომხმარებლისა" და მკვლევრის ინტერესების განსხვავება. ყოველ მათგანს თავისი საკუთარი მიზნები ამოძრავებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს ჩანაფიქრს. ეს მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ იმავდროულად არსებობს მათი დამაკავშირებელი რგოლი, რაც მათ აუცილებლობით აერთიანებს, ეს არის თავად ტექსტი.

ტექსტი, როგორც ალიენაციური ფენომენი, თავის პირობებს კარნახობს როგორც „მწარმოებელს" და „მომხმარებელს", ისე მკვლევარს. ტექსტს თავისი თვითმყოფობა, თავისი სახე აქვს და თუ მათ ანგარიში არ გაუწიეს მის ამ არსებით ნიშანს, თუ ისინი არ ფლობენ მასთან ურთიერთობის სათანადო კომპეტენციას, მიზანს ვერ მიაღწევენ, ჩანაფიქრს ვერ განახორციელებენ. ამასთან კომპეტენციის ფლობის ხარისხი სხვადასხვაა. „მწარმოებელი" აქტიურად უნდა ფლობდეს ტექსტის „წარმოების" კომპეტენციას და ანგარიშს უნდა უწევდეს „მომხმარებელს", ეს უკანასკნელი დაუფლებული უნდა იყოს ტექსტის გაგების ხელოვნებას და ესმოდეს „მწარმოებლის" ჩანაფიქრი, მკვლევარს უნდა შეეძლოს თავის თავში „მომხმარებლისა" და ინტერპრეტატორის ერთმანეთთან შეთავსება.

რადგანაც ჩვენ მკვლევრის და ინტერპრეტატორის პოზიცია გვაინტერესებს, ძირითადად მასზე შევჩერდებით. ტექსტის მკვლევარი იმდენი პროფილის შეიძლება იყოს, მეცნიერების რამდენი დარგიც არის ტექსტით დაინტერესებული (შდრ. ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ლოგიკა, ფოლკლორისტიკა, ლოგოპედია და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეცნიერი ტექსტში დებს ან ტექსტიდან იღებს ინფორმაციას, ტექსტის ლინგვისტიკის გარდა არც ერთი არ განიხილავს მას თავისი კვლევის საგნად როგორც ენობრივ-გრაფიკულ წარმონაქმნს. ყოველი მათგანის აქტიური ყურადღება მიმართულია ტექსტში ჩადებული, ტექსტით გადმოცემული ან ტექსტიდან ამოღებული ინფორმაციისაკენ, რომელიც მეცნიერული დარგების მიხედვით განსხვავებულია. რაც შეეხება ტექსტის მკვლევარს და ინტერპრეტატორს, იგი ტექსტის ლინგვისტიკის მიზნები-

დან გამოდის. პირველ რიგში მას აინტერესებს თვით ტექსტი, მისი როგორც ენობრივი წარმონაქმნის არსებობის წესი და, ამასთან დაკავშირებული მიმართებები „მწარმოებელთან“ და „მომხმარებელთან“. ორი ძირითადი მომენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ლინგვისტიკის იმ პოზიციებიდან, რომლებიც მონოგრაფიაშია წარმოდგენილი, არის **ენობრივი ფაქტორი და ტექსტის განსხეულების სპეციფიკა**. ჩვენ მიერ შერჩეული კვლევის მიმართულების ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტი განიხილება როგორც **ენობრივ-გრაფიკული** წარმონაქმნი. აქედან გამომდინარე, ანალიზის ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ტექსტის ინტერპრეტაცია, უნდა ეფუძნებოდეს ორ პოსტულირებულ პარამეტრს – „ენობრივი მოღვაწეობის შედეგს“ და „წერილობით მანიფესტაციას“.

5.1. ტექსტის კვლევისა და ანალიზის ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა

იმისათვის, რომ ნათლად გამოიკვეთოს ჩვენი პოზიცია, აუცილებელია ტექსტის ანალიზის მეთოდების მიმოხილვა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა მათგანის დაწვრილებით გადმოცემა, ჩვენ მხოლოდ იმ მეთოდებს განვიხილავთ, რომლებთან შედარება, ერთი მხრივ, უკეთ წარმოაჩენს ჩვენ მიერ შერჩეულ მეთოდს და, მეორე მხრივ, მოგვცემს საყრდენ წერტილს ჩვენი თვალსაზრისის განსავითარებლად.

ტექსტის ლინგვისტიკისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებსა და უფრო მცირე მოცულობის სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევებში მეთოდის საკითხი ჩვეულებრივ არ არის ყურადღების გარეშე დარჩენილი. შესაძლოა მკვლევარი საგანგებოდ არ ჩერდებოდეს კვლევის მეთოდის არსზე და არ აღწერდეს ტექსტის ინტერპრეტაციის იმ ხერხს, რომელსაც ის იყენებს, მაგრამ, როგორც წესი, ძირითად პრინციპს მაინც ასახელებს. **ზიგფრიდ შმიდტი** (SCHMIDT, 1973: 84-87, 66-75) და **ოლგა მოსკალსკაია** (МОСКАЛЬСКАЯ, 1981:70, 75-76) ყურადღებას ამახვილებენ ტექსტის კანონიზაციის (ლოგიკურ-სოციალურ) პრინციპზე და სემანტიკურ პარამეტრებს ეძებენ. **ილია გალპერინი** ეყრდნობა ინტუიციის ცნებას (ГАЛЬПЕРИН, 1981:7), **ერნსტ ულრიხ გროსე** – სემანტიკურ-ფუნქციონალურ მეთოდს (GROßE, 1976:9-10). **ვოლფგანგ კლაინი** იყენებს ფორმალური (გრამატიკული), სემანტიკური, ხოლო მხატვრული ტექსტებისათვის ესთეტიკური ანალიზის ხერხებს (KLEIN, 1977:17-23). **მიხაელ ტიცმანი** უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურულ ანალიზს (TITZMANN, 1977:32-44). **ერჰარდ აგრიკოლა** წინა პლანზე წამოსწევს ტექსტის შინაარსის ანალიზს, ამოსავალ წერტილად იღებს თემას და ადგენს სემანტიკურ ეკვივალენტურობას ტექსტის პარაფრაზებს შორის (AGRICOLA, 1979:7-8). **კეტი დორფმიულერ-კარპუზას** და **იანოშ პეტიოფის** მიერ ტექსტის პრაგმატიკულ-სემანტიკური ინტერპრეტაციის ცალკეულ ელემენტე-

ბად მიჩნეულია: ა) ტექსტი როგორც ფიზიკალური ობიექტი და ინტერპრეტატორის მიერ პერციფირებული ერთეული, ბ) საზრისი – ტექსტის კანონიკური ფორმა და ტექსტის სამყარო, გ) ინტერპრეტატორის მიერ პერციფირებული ტექსტის კორელაციური ბაზისის და სამყაროს ცოდნაზე დამყარებულ საგანთა მიმართებების მოდელის კონსტრუირება და ა.შ. (DORFMÜLLER-KARPUSA/PETÖFI,1981:47). ამავე რიგის ავტორებიდან შეიძლება დავასახელოთ ელისაბედ გიულიხი, კლაუს ჰეგერი (HEGER 1976), ვოლფგანგ რაიბლე (GÜLICH/HEGER/RAIBLE 1979), რომლებიც აგრეთვე ორიგინალურ მოსაზრებებს გვთავაზობენ.

ამ მოკლე ჩამოთვლის შემდეგ ცოტა უფრო დაწვრილებით გვინდა შევჩერდეთ ორ კონცეპტზე, რომლებმაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს. ჩვენი აზრით, მათში ამოიკითხება რამდენიმე პოსტულატი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საყრდენ წერტილად ტექსტის ინტერპრეტაციის დროს.

5.2. ტექსტის ლინგვისტიკა – „საზრისის ლინგვისტიკა" (ო. კოსერიუ). საზრისის კონსტრუირების ევრისტიკული პრინციპი. ტრანსფრასტული გრამატიკა – საზრისის კონსტუირების საშუალება

ოიგენიო კოსერიუ თვლის, რომ საკუთრივ ტექსტის ლინგვისტიკა უნდა იყოს საზრისის ლინგვისტიკა (Lingwistik des Sinnes), რომელიც ზოგადი ტექსტის ლინგვისტიკის კორელატია. მას პირველ რიგში აინტერესებს, თუ განურჩევლად ცალკეული ენებისა როგორ ხდება ტექსტში საზრისის კონსტრუირება, ძირითადი და მისი შემადგენელი ბლოკების (Bausteine) შექმნა. საზრისის ლინგვისტიკის კვლევის საგანია პირველ რიგში ლიტერატურული ტექსტები, მაგრამ არალიტერატურული ტექსტების მოხმობაც აუცილებელია, რადგან ისინიც გამოხატავენ რაიმე საზრისს, ეს არის ნადვილი ტექსტის ლინგვისტიკა, ინტერპრეტაციის ლინგვისტიკა, ჰერმენევტიკა. როგორც ყოველ ჰერმენევტიკას, ამგვარად გაგებულ ტექსტის ლინგვისტიკასაც უნდა ჰქონდეს თავისი ევრისტიკა (Heuristik), რომელიც რამდენადმე წინასწარ განსაზღვრავს კვლევის მოსალოდნელ შედეგებს. ევრისტიკული კომპონენტი მდგომარეობს უკვე დადგენილი ხერხების სიის შედგენაში, რომელიც მოახდენს აზრის გამოხატვის მეთოდების იდენტიფიკაციას.

რაც შეეხება ტექსტის ენობრივ მხარეს, ო.კოსერიუს მიხედვით, ეს სხვა სახის ტექსტის ლინგვისტიკის საგანია, რომელსაც იგი ტრანსფრასტულ გრამატიკას უწოდებს. ეს არის ცალკეული ენების ტექსტის ლინგვისტიკა, რომელიც იკვლევს არა საერთოდ ენებისთვის დამახასიათებელი საზრისების გამოხატვის ხერხებს, არამედ აღნუსხავს ცალკეული ენების პოტენციურ შესაძლებლობებს ამა თუ იმ საზრისის გამოსახატავად. იგი ძირითადად რჩება ენობრივ საზღვრებში და იკვლევს, თუ როგორ ხდება აზრობრივი ერთეულების კონსტრუი-

რება წინადადების ფარგლებს მიღმა გასვლით (COSERIU, 1980:150-153). ო.კოსერიუს აზრით, არ არსებობს ტექსტის ინტერპრეტაციის საყოველთაოდ მიღებული ტექნიკა („Es gibt keine allgemeingültige Technik der Interpretation eines Texstes" (იქვე, 112). შეუძლებელია წინასწარ ყველა არსებული ვარიანტის ჩამოთვლა ან თქმა იმისა, როგორ უნდა შეიქმნას ან გაანალიზდეს ტექსტი, რა კონკრეტული ხერხები უნდა გამოვიყენოთ. შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ღია სია (eiene offene Liste), რომელიც შეივსება თანდათან ტექსტების ინტერპრეტაციის შედეგად მოპოვებული გამოცდილებით. ანტიკური რიტორიკის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამ ფაქტს იმპლიციტურად უარყოფს, ტექსტს განიხილავს როგორც მზა პროდუქტს, რომელიც შედგენილია წარმოქმნის სასრული ხერხებით (მათი ჩამოთვლა შესაძლებელია). ეს ხერხები რიტორიკაში ითვლება ტექსტის შედგენისა და ინტერპრეტაცის საყოველთაო მეთოდად, მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციის საყოველთაო ტექნიკის უარყოფა არ ნიშნავს საერთოდ ტექსტის ინტერპრეტაციის საყოველთაო ტექნიკის **ყოველგვარ უარყოფას**, დასძენს ო. კოსერიუ. იგი ასახელებს ერთ კერძო ხერხს, რომელსაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყოველი მკვლევარი ეყრდნობა ნიშნობრივი სისტემების ანალიზისას. ეს არის კომუტაციის მეთოდი (იქვე. 114) („კომუტაცია", ისევე როგორც ბევრი ტერმინი, სხვადასხვა მნიშვნელობით მოიხმარება. ო.კოსერიუ გულისხმობს ნიშნობრივ სისტემაში ჩანაცვლების ტესტის გამოყენებას იმის დასადგენად, იცვლება თუ არა იმავდროულად აზრი – ვ.ფ.). საკუთრივ ტექსტის ლინგვისტიკის წინაფორმად ო.კოსერიუ თვლის ლეო შპიცერის „ინტეგრარულ" სტილისტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ლ.შპიცერს ტექსტის ინტერპრეტაციის თეორია არ შეუქმნია, იგი ტექსტებს აანალიზებს საზრისის დონეზე (auf der Ebene des Sinnes), თუმცა მას სწამს, რომ ეს წმინდა ენობრივი ანალიზიაო, შენიშნავს ო.კოსერიუ. ამ უკანასკნელისთვის გამოსავალია „საზრისის ლინგვისტიკა" და, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამას თვლის იგი საკუთრივ ტექსტის ლინგვისტიკად. ამ სახის ტექსტის ლინგვისტიკის შესაქმნელად, მისი აზრით, საჭიროა ლ.შპიცერის სტილისტიკა სამ ასპექტში განვითარდეს. პირველი ასპექტია საზრისის მაკონსტრუირებელი ხერხების დადგენა, მეორე- საზრისის დანაწევრება. როგორი მთლიანიც არ უნდა იყოს ტექსტი აზრობრივად, იგი შედგება ბლოკებისაგან (Bausteine), რომლებიც ერთიანდება მთლიან საზრისად. თუმცა ლ.შპიცერი არ უარყოფს, რომ ტექსტის რომელიმე ადგილის აზრი დაკავშირებულია ტექსტის სხვა ადგილებთან ან მთლიანად ტექსტთან, მაგრამ იგი ვერ ახერხებს ტექსტის იმგვარად კომენტირებას, რომ მსხვილი აზრობრივი ბლოკები გამოყოს. მესამე ასპექტია საზრისის სივრცის გაფართოება. საზრისის წარმოქმნის მექანიზმი უნდა გაირკვეს არა მარტო ლიტერატურული ტექსტების ბაზაზე, არამედ ფილოსოფიური, რელიგიური და თვით იურიდიული ტექსტების მეშვეობითაც კი (იქვე, 122-124). ო.კოსერიუ გადმოსცემს „დონ კიხოტის" შპიცერისეულ ანალიზს, ავსებს მას ჩამოთვლილი სამი ასპექტით და გრაფიკულად წარმოსახავს საზრისის სტრუქტურას. ძირითადი ბლოკია Thema der Freiheit/Wahnsinn Don Quijotes. შემადგენლი ბლოკები „Polyonomesie", Befreiungsakten, Freiheitsreden, politische Utopie, Alltägliches


Leben (Nichtstun) და ა.შ. (COSERIU, 1980:128). ამავე მეთოდით აანალიზებს ო. კოსერიუ ესქილეს და საფოს ტექსტებს, არგენტინულ ხალხურ სიმღერას, ადგენს საზრისებს და მათ ბლოკებს. მისი აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, ენობრივი ერთეული, მაგ: წინადადება, თავისთავად დამოუკიდებლად გაიაზრება, თუ სხვა ერთეულების რიგში. ამიტომ საჭიროა საზრისის არტიკულაციის საფეხურების დადგენა. იერარქია ასეთი იქნება:

t= Text
k= Kapitel
a= Abschnitt

და ა.შ. (იქვე, 127)

ხოლო ენობრივი სამუალებების ანალიზს იგი აწარმოებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ საზრისის და მისი ბლოკების კონსტრუირებას.

რაც შეეხება ცალკეული ენების ტექსტების ლინგვისტიკას ანუ ტრანსფრასტულ გრამატიკას, მისი საგანია ემპირიულად შესაძლებელი, ცალკეული ენების ბაზაზე არსებული ტექსტი. მისი აგება ეფუძნება ენის სტრუქტურის ოთხ ფუძემდებლურ თვისებას: სუპერორდინაციას, სუბორდინაციას, კოორდინაციას და სუბსტიტუციას. ეს მიმართებები გრაფიკულად შესაძლოა ასე წარმოვადგინოთ:



სუპერორდინაცია გულისხმობს ენობრივი ერთეულების თვისების ჩვენებას ენის სტრუქტურის რანგობრივ დონეებზე ქვევიდან ზევით ათვლით. სუბორდინაცია არის სუპერორდინაციის საპირისპირო ხერხი – ჩამოსვლა ზემოდან ქვევით. კოორდინაცია გულისხმობს ერთი და იმავე რანგის ერთეულების შეკვრას კომპლექსურ წარმონამქნებად, სუბსტიტუცია დაკავშირებულია პრონომინალიზაციასთან (იქვე, 156-161).

თუმცა აუცილებელია ორივე სახის ტექსტის ლინგვისტიკის ერთმანეთისგან მკაფიო გამოყვნა, დასძენს ო. კოსერიუ, მაგრამ სავსებით დასაშვებია მათი როგორც შინაარსისა და გამოხატულების პლანების გააზრება.

5.3. კომუნიკაციური კომპეტენცია როგორც ტექსტის ინტეგრალური გაგების საფუძველი (კ. ბრინკერი)

კლაუს ბრინკერი იმ თვალსაზრისის წარმომადგენელია, რომელიც ტექსტის ანალიზს უკავშირებს ტექსტის გაგების ზოგადენათმეცნიერულ საფუძვლებს. ტექსტის ლინგვისტიკაზე მსჯელობისას, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ

ტერმინში მრავალრიცხოვანი მიმართება და განსხვავებული კონცეფციებია ჩადებული, მაგრამ მათთვის საერთო ის არის, რომ ყოველი მათგანი ლინგვისტიკური ანალიზის ერთეულად მიიჩნევს არა წინადადებას, არამედ ტექსტს. ვიდრე ანალიზს დავიწყებდეთ, განაგრძობს კ. ბრინკერი, საჭიროა ვიცოდეთ, რა არის ის ობიექტი, რომელიც უნდა გავაანალიზოთ. ტექსტის როგორც ლინგვისტიკური ანალიზის ობიექტის განსაზღვრისათვის აუცილებელია ტექსტის ტრივიალური (ყოველდღიური) გაგებიდან ამოსვლა. რას მივიჩნევთ ტექსტებად ყოველდღიური ანუ წინარემეცნიერული გაგებით? ეს შეიძლება იყოს:

- დაბეჭდილი სიტყვები;
- ზეპირი გამოსვლის, მოხსენების, დრამის, ტელეგრამის ტექსტი;
- გამოსახულების (ილუსტრაციების) ტექსტი;
- ქადაგების ტექსტი;
- სიმღერის, ოპერის ტექსტი და ა.შ.

ამ არასრული ჩამონათვლიდან ჩანს, რომ ტექსტის ყოველდღიური გაგება ცალსახა არაა. ტექსტი შეიძლება იყოს დაწერილი ენობრივი წარმონაქმნი, ზეპირი სიტყვა, ილუსტრაციის განმარტება, სურათის წარწერა და ა.შ. ძირითად მნიშვნელობად მაინც უნდა ჩაითვალოს შემდეგი: ტექსტი არის წერილობით ფიქსირებული ენობრივი ერთეული, რომელიც, როგორც წესი, ერთზე მეტ წინადადებას შეიცავს. რაც შეეხება ტექსტის ლინგვისტიკურ დეფინიციას, საყოველთაოდ მიღებული აბსოლუტური დეფინიცია დღესდღეობით არ არსებობს. შეიძლება კი ისეთი დეფინიციის ჩამოყალიბება, რომელიც ყველა ტექსტს მიესადაგება? ყოველი მეცნიერული დისციპლინის სპეციფიკის მიხედვით კვლევის ობიექტის განსაზღვრა კვლევის მიზნებზეა დამოკიდებული, ხოლო ეს მიზნები ხომ განსხვავებულია, სვამს კითხვას კ. ბრინკერი. ტექსტის პრობლემის კვლევაში იგი გამოყოფს ორ ძირითად მიმართულებას. პირველისათვის გამოსავალია სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ტრანსფორმაციული (გენერატიული) გრამატიკის პრინციპები, ლანგისა და კომპეტენციის ცნებების წინ წამოწევა, ტექსტის ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებად ენობრივი სისტემის ელემენტების შესწავლის დასახვა. მეორე მიმართულება ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე. ეს მიმართულება 70-იანი წლებიდან მომძლავრდა. იგი პირველ მიმართულებას ნაკლად უთვლის ტექსტის იზოლირებულ, იდეალიზებულ განხილვას, რომელიც ტექსტს სტატიკურ ობიექტად მიიჩნევს, მაშინ როცა ტექსტი ყოველთვის ჩართულია კომუნიკაციურ სიტუაციაში, ხოლო კომუნიკაციური პროცესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს მოლაპარაკე/დამწერი, მსმენელი/მკითხველი, მათი სოციალური თუ სიტუაციური პირობები და მიმართებები.

კომუნიკაციაზე ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკა ვითარდება ლინგვისტიკური პრაგმატიკის ფონზე, რაც ნიშნავს ისეთი პირობების გათვალისწინებას, როგორიცაა კომუნიკაციის მონაწილეებს შორის ენობრივი და სოციალური პირობების აღწერა – ახსნა. იგი ეფუძნება ანგლოსაქსური ენის ფილო-

სოფიის მიერ შექმნილ სამეტყველო აქტების თეორიას (ი.ლ. ოსტინი, ი. რ. სიორლი). ამ თეორიის გაზიარება ნიშნავს ტექსტის არა როგორც გრამატიკულად დაკავშირებული წინადადებების თანამიმდევრობების, არამედ როგორც კომპლექსური ენობრივი ქმედების განხილვას. ტექსტის ლინგვისტიკამ უნდა იკვლიოს ტექსტის კომუნიკაციური ფუნქცია, ხოლო კომუნიკაციური ფუნქცია მდგომარეობს კომუნიკაციური კონტაქტის უზრუნველყოფაში, რომელსაც მოლაპარაკე/დამწერი ამყარებს მსმენელთან/მკითხველთან ტექსტის მეშვეობით (BRINKER, 1988:10-16).

კ.ბრინკერი გვთავაზობს **ტექსტის ინტეგრარულ გაგებას**, რომელსაც ის უკავშირებს კომუნიკაციური კომპეტენციის ცნებას. მისი აზრით, კომუნიკაციური კომპეტენცია მოხსნის ენის სისტემაზე ორიენტირებულ და კომუნიკაციაზე ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკას შორის არსებულ წინააღმდეგობას (ამდენად აგრეთვე ლანგის/კომპეტენციის და პაროლის/პერფომანსის წინააღმდეგობასაც). ამ ორი სახის ტექსტის ლინგვიტიკა განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ალტერნატიული, არამედ როგორც კომპლემენტარული კონცეპტები, რომლებიც ერთმანეთს შეავსებენ და ინტეგრარულ კონცეფციას შექმნიან.

გვინდა შევჩერდეთ კ. ბრინკერის კიდევ ერთ საყურადღებო, მაგრამ წინააღმდეგობრივ აზრზე. საპირისპიროდ ტექსტის ყოველდღიური გაგებისა, რომელიც ტექსტად მხოლოდ წერილობით წარმონაქმნს თვლის, ზეპირი გამონათქვამიც ტექსტად უნდა ჩაითვალოს, თუმცა აქ ერთგვარი შეზღუდვაც არსებობს, კერძოდ, ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზის ობიექტი უპირატესად არის მონოლოგური ტექსტები, ხოლო დიალოგური ტექსტები განიხილება უფრო ახალი დისციპლინის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება დიალოგის ან საუბრის ანალიზი (დისკურსული ლინგვისტიკა – ვ.ფ.). დიალოგებში ჩვეულებრივ მრავალი მონაწილეა, ხოლო ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექსტის დეფინიციის ფუძემდებლური ცნებაა ცალკეული მოლაპარაკე/დამწერი, ისე რომ ამ ცნების გამოყენება დიალოგურ კომუნიკაციაში სულ ცოტა პრობლემური იქნება. ჩვენ კონცენტარციას ვახდენთ **წერილობით კონსტრუირებულ** (schriftlichkonstruierten) მონოლოგურ ტექსტებზე, წერს კ. ბრინკერი (იქვე, 19) (ხაზი ჩვენია- ვ.ფ.).

როგორც ტექსტის კვლევის და ანალიზის პრინციპების მოკლე მიმოხილვაში გამოიკვეთა, არ არსებობს ტექსტის ანალიზის საყოველთაოდ აღიარებული ცალსახა მეთოდი. მისი შერჩევა უშუალო კავშირშია მკვლევრის/ინტერპრეტატორის პოზიციასთან, მის მიერ შემუშავებულ ტექსტის დეფინიციასა და კვლევის მიზნებთან. ამ საკითხში ერთმანეთს უპირისპირდება ძირითადად რიტორიკა და ჰერმენევტიკა. რიტორიკა იძლევა ტექსტის შედგენის მზა, სასრულ ხერხებს, ხოლო ჰერმენევტიკა შეიცავს ევრისტიკულ კომპონენტს, რომელიც გულისხმობს უკვე დადგენილი ხერხების გამოყენებას, მაგრამ ხერხების სიას ღიად ტოვებს და არ გამორიცხავს მისი გავრცობის შესაძლებლობებს.

1. ტექსტის მეცნიერული კვლევა და ანალიზი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. კვლევა გულისხმობს ტექსტის ონტიური (seinsmäßig) არსის გამოკვეთას და წვდომას, კატეგორიების დადგენას, საკლასიფიკაციო ერთეულების იდენტიფიკაციას, ტექსტის ნიმუშებისა და კომუნიკაციური სტრატეგიის თანაფარდობის ჩვენებას, ამ რიგის სხვა სადავო და გადაუჭრელი საკითხების განხილვას და ა.შ. ინტერპრეტაცია ზოგად მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და კერძო ენათმეცნიერული მეთოდების მოშველიებით უზრუნველყოფს ტექსტის ანალიზს მისი გაგება-გაგებინების მიზნით. ტექსტის კვლევა და ინტერპრეტაცია ერთმანეთზე გადაჯაჭვული ოპერაციებია.
2. ტექსტის ლინგვისტიკა პირველ რიგში „საზრისის ლინგვისტიკაა". ამიტომ ინტერპრეტაციის ძირითად ორიენტირად უნდა ჩაითვალოს ტექსტის საზრისი, ხოლო ენობრივი გამოხატულების (მათ შორის გარაფემულ-გარფიკული) ელემენტები საზრისის კონსტრუირების საშუალებად.
3. კომუნიკაციური კომპეტენცია (ენის სისტემა+კომუნიკაციური ორიენტაცია) სათანადო მეთოდიკის მოშველიებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ტექსტის კვლევისა და ინტერპრეტაციის ერთ-ერთ პრინციპად.

ტექსტის ინტერპრეტაციის საფუძველთა-საფუძველია ჰერმენევტიკა, რომელიც გვთავაზობს გაგება-გაგებინების ყველაზე ოპტიმალურ პრინციპებს, მეთოდებს და ესადაგება როგორც საზრისების ინტერპრეტაციის, ისე გამოხატულების პლანის ანალიზის პროცედურას.

6.0. ტექსტის პოზიცია კომუნიკაციურ მოდელში

კომუნიკაციურ მოდელში ტექსტის პოზიცია ჩვეულებრივ განისაზღვრება ყოველგვარი გართულების გარეშე: არსებობს კომუნიკატორი (მოლაპარაკე/დამწერი), კომუნიკანტი (მსმენელი/მკითხველი) და შესაბამისად, კომუნიკაციის არხი ზუსტდება სათანადო დახასიათებით „ზეპირი", „წერილობითი".

თუ ვაღიარებთ წერილობითი კომუნიკაციის დამოუკიდებლობას ზეპირისაგან, ცალკე უნდა გამოიყოს არხის ორი სახეობაც. შესაძლოა ზოგადად ენობრივი კომუნიკაციის თვალსაზრისით ეს განსხვავება არც ისე დიდი იყოს, მაგრამ ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე, თუ კი მას კვლევის ფოკუსში მოვაქცევთ, ბევრ რასმე საინტერესოს აღმოვაჩენთ. ცნებაში „არხი" მოიაზრება არა მარტო ინფორმაციის გატარება, არამედ თვით მასალაც, რომელსაც გადააქვს ინფორმაცია. ამ მასალის გათვალისწინება კომუნიკაციის პროცესში აუცილებელია, რადგანაც კომუნიკატორმა უნდა იცოდეს მისი გამოყენების ტექნიკა. ასე მაგალითად, თუ კომუნიკატორი ტელეგრაფისტია (მართალია არ არის ავტორი, მაგრამ არის ის, ვინც გადასცემს ინფორმაციას, ე.ი. კვაზიკომუნიკატორი), იგი უნდა ფლობდეს მორზეს ანბანს და იცოდეს ტელეგრაფით სარგებლობის წესები; თუ კომუნიკატორი ბრმაა, მან უნდა იცოდეს ბრაილის ანბანის

მთელი საიდუმლოება, ნიშნები და მათი ურთიერთმიმართება (პარადიგმატიკა – სინტაგმატიკა). იგივე ითქმის ზეპირმეტყველებასა და წერილობით ენაზე, რომელთა საფუძველია შესაბამისად აკუსტიკური და გრაფიკული მასალა. თუ რა შედეგი შეიძლება მოგვცეს ამ განსხვავებამ, გამოჩნდება ტექსტისა და დისკურსის შეპირისპირებით კომუნიკაციური მოდელის ფონზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ტექსტისა და დისკურსის ცნებების მრავალი განსაზღვრება და მათი აღმნიშვნელი ტერმინები არ გამოირჩევა სასურველი მონოსემიურობით, ამიტომ საჭიროა მათი გამოყენების წინასწარ დათქმა, კერძოდ, „ტექსტით“ აღვნიშნავთ მხოლოდ წერილობითი კომუნიკაციის ძირითად, უმაღლეს ერთეულს, ჩვენი კვლევის საგანია ტექსტი და არა დისკურსი. აქედან გამომდინარე, ძირითადად იმ ნიშნებს დავაფიქსირებთ, რომლებიც დამახასიათებელია ტექსტისთვის და არ არის დისკურსისთვის. ზოგიერთი ნიშანი, რომელიც ითვლება მათ განმასხვავებელ ნიშნად, ჩვენ ასეთად არ გვეჩვენება, რამდენადაც ის დამახასიათებელია ორივესთვის, თუმცა ასეთ ნიშანზეც საჭიროა რამდენადმე ყურადღების გამახვილება.

6.1. ტექსტი სამეტყველო აქტების თეორიის განასერში. კომუნიკაციური ხდომილების ცნება

დისკურსი სპეციალური კვლევის საგანია. იგი მოითხოვს სხვა პოსტულატების დაშვებას, სხვა მეთოდების გამოყენებას და განსხვავებული სუბსტანციური მასალის მხედველობაში მიღებას. დისკურსის ცნება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ტექსტის ლინგვისტიკასთან, სოლო, მეორე მხრივ, დისკურსულ ანალიზთან და სამეტყველო აქტების თეორიასთან. **დიტერ ვუნდერლიხის** აზრით, ტექსტის ლინგვისტიკა ვითარდება ორი მიმართულებით – სამეტყველო აქტების და წერილობითი აქტების კოჰერენტული წარმონაქმნების შესწავლის გზით. ამასთანავე პირველ შემთხვევაში ყურადღება მონოლოგური წერილობითი ტექსტებიდან გადატანილია ზეპირ დიალოგურ ტექსტებზე ანუ დისკურსებზე. სათანადო მასალა ფიქსირდება ზეპირი დიალოგების ტრანსკრიფციის საშუალებით, რომელიც თავისი არსით ნახევრად ინტერპრეტაციულია (halbinterpretativ) (WUNDERLICH, 1976:297).

დიტერ ვუნდერლიხი ავითარებს სამეტყველო აქტების თეორიას, აანალიზებს ზეპირი დიალოგების დაფიქსირებულ ვარიანტებს (სასამართლოში მხარეთა დაკითხვა, მოზარდებისა და სტუდენტების კამათი, სასწავლო პროცესი – მასწავლებელი/მოსწავლე), გამოყოფს დისკურსული ანალიზის ძირითად ერთეულს (Redebeitrag, ინგლ. turn), დაწვრილებით მსჯელობს სამეტყველო აქტების კატეგორიაზე, ყოფს მათ ინიციატივურ და რეაქციულ თანამიმდევრობებად (როგორიცაა, მაგ., მისალმება-მისალმება, დამშვიდობება-დამშვიდობება, კითხვა-პასუხი და ა.შ.), მაგრამ არაფერს ამბობს წერილობით აქტებზე (იქვე. 319-300).

როგორც ცნობილია, სამეტყველო აქტების თეორიის განვითარებას სტიმული მისცა ყოველდღიური ურთიერთობის ენის ფილოსოფიამ (LEWANDOWSKI, 1984-1985:1032). ყოველდღიური ურთიერთობის ენა ზეპირი მეტყველებაა და ბუნებრივია, რომ სამეტყველო აქტების თეორიას წერილობითი ენა და ტექსტები არ აინტერესებს. ტექსტების შესწავლა „წერილობითი აქტების თეორიის" შუქზე უნდა ხდებოდეს.

სამეტყველო აქტების თეორიასთან დაკავშირებულია სიტუაციის კლასების დადგენა. სიტუაციის ცნება, ძალზე გამარტივებულად რომ ვთქვათ, განისაზღვრება როგორც ენობრივი კომუნიკაციის არაენობრივ, ობიექტურ გარემოზე დამოკიდებული პირობა. სიტუაციური კლასების გამოყოფა ხდება ინტუიციურად კომუნიკაციის პროცესში საგანთა მიმართების სახეობებზე ორიენტაციით (მაგალითად, ვინმე შედის რესტორანში, ოფიციანტს შეუკვეთავს საჭმელს, მიირთმევს, ფულს იხდის და გადის რესტორნიდან; ორი მეგობარი ტელეფონზე ელაპარაკება ერთმანეთს; ვინმე ღებავს ბაღის ღობეს და მისთ.). სიტუაციები შეიძლება დაიყოს უფრო მომცრო ერთეულებად, ეპიზოდებად.

სამეტყველო აქტების თეორია, რომელიც ესოდენ მჭიდროდ უკავშირდება სიტუაციის ცნებას, გამოდის იქიდან, რომ **ადამიანები მეტყველებენ არა წინადადებებით, არამედ გამონათქვამებით**. ანალიზის ძირითად ერთეულად ამ თეორიის წარმომადგენლები იღებენ **ზმნას** და ეძებენ საზრისებს, რომლებიც ამა თუ იმ სიტუაციაში განსაზღვრავს კომუნიკაციას. ასეთი გამონათქვამებია მაგალითად: ვერდიქტული (განსჯა, შეფასება), კომისიური (დაპირება, გაზრახვის განმარტება), კონდიქციური (მილოცვა, რჩევა, ბოდიშის მოხდა) და მისთ. იმის გამო, რომ ასეთი ანალიზი შემოიფარგლება მხოლოდ ზმნების სპეციფიკური კლასით (sprechaktbezeichnende Verben), რომლებიც სამეტყველო აქტებს აღნიშნავენ, იგი კრიტიკის საგანი ხდება. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ე.წ. **კომუნიკაციური ხდომილების ცნებას** (Kommunikationsereignis, შემოკლ. KE), რომელიც შედგება კომუნიკაციური ქმედებისა და სიტუაციური პირობისაგან. **ქრისტოფ შვარცეს** აზრით, კომუნიკაციური ხდომილების შემთხვევების კლასიფიკაციისათვის მთავარ ორიენტირად აიღება ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კონსტიტუციონალური – არაკონსტიტუციონალური, კოლექტიური – ინდივიდუალური, ოფიციალური – პირადი და ა.შ. საანალიზო მასალად გამოიყენება ზემოხსენებული ნახევრად ინტერპრეტაციული ზეპირი კომუნიკაციის ნიმუშები, როგორიცაა KE „ინდუსტრიულ საწარმოში", KE „მეცნიერული კამათი", KE „საუბარი მაღაზიაში", KE „კონტაქტური საუბარი" და სხვა (SCHWARZE, 1985:131).

ამრიგად, კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ სამეტყველო აქტებისა და სიტუაციის ცნებები (შესაბამისად კომუნიკაციური ხდომილებები) უშუალოდ უკავშირდება ზეპირ კომუნიკაციას. ქრისტოფ შვარცეს აზრით, KE ხორციელდება კომუნიკაციის პროცესში reden და sprechen ზმნების ველში (ბგერის სიძლიერეს გამოხატავენ ზმნები schreien, flüstern, brüllen; მოლაპარა-

კის მიმართებას მსმენელისადმი aussprechen, zureden, einreden; საუბრის შეფასებას – behaupten, feststellen, leugnen, zusammenfassen).


თუ სამეტყველო აქტებსა და კომუნიკაციურ ხდომილებებს მხოლოდ ზეპირ-მეტყველებას დავუკავშირებთ და მისთვის დამახასიათებელ ფაქტორად მივიჩნევთ, ისინი ვერ მიესადაგება წერილობით კომუნიკაციას. მაგრამ, თუ წერილობით კომუნიკაციას განვიხილავთ კომუნიკაციის პროცესების ზოგად კონტექსტში, მაშინ ასე თუ ისე დასაშვებია ვილაპარაკოთ **კომუნიკაციურ ხდომილებებზე**, რომლებიც შეიძლება ჩაჯდეს როგორც ზეპირი მეტყველების, ისე წერილობითი ქმედების კონტექსტში. ტექსტისა და დისკურსის განმასხვავებელ ნიშნებზე ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ. აქ კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ KE ზეპირ კომუნიკაციაში სპონტანურია, მიმდინარეობს დეიქტიკურ ველსა და განსაზღვრულ სიტუაციაში. რეალიზდება სამეტყველო აქტების გამომხატველი ზმნების მეშვეობით, ხოლო წერილობით კომუნიკაციაში KE ფიქსირდება კომუნიკატორის (დამწერის) მიერ და არის შედეგი ეგზოგენური წერილობითი ქმედებისა.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საჭიროა ტექსტებისა და დისკურსის პრობლემატიკის, ცნებებისა და ტერმინების შეძლებისდაგვარად მკაფიო დიფერენცირება, საკვლევი მასალის სპეციფიკის გათვალისწინება.

6.2. წერილობითი კომუნიკაციის ჩარჩო. დეიქტიკური ველის მთლიანობის დარღვევა

დავუბრუნდეთ ტექსტს როგორც კომუნიკაციური მოდელის კომპონენტს. კომუნიკატორსა და კომუნიკანტს შორის იგი როგორც მედიუმი ერთი შეხედვით პასიური ჩანს, მაგრამ ის არ არის პასიური კომპონენტი, რომელსაც არაფერს ეკითხებიან. როგორც ალიენაციური ფენომენი იგი თავის პირობებს კარნახობს კომუნიკატორს, კომუნიკანტს და კომუნიკაციის მთელ პროცესს. გლობალური მოდელი „კომუნიკატორი – არხი – კომუნიკანტი“ ტექსტის პოზიციიდან გამომდინარე კარგავს მთლიანობას, ერთიანობას და ერთდროულობას. მოდელი იყოფა ორ ფაზად: ა) კომუნიკატორი (დამწერი) – არხი (ტექსტი) და ბ) არხი (ტექსტი) – კომუნიკანტი (მკითხველი). ასეთი გახლეჩა არ არის დამახასიათებელი კომუნიკაციის პროცესისათვის, თუ დისკურსის პოზიციიდან გამოვალთ, რამდენადაც ზეპირი კომუნიკაცია მთლიანია, ერთიანი და ერთდროული. ამ განსხვავებას განაპირობებს სწორედ არხის რაგვარობა, მისი სუბსტანციური არსი. თავისი ფიზიკალური თვისებების შესაბამისად დისკურსს არ გააჩნია ალიენაციური თვითმყოფობა, ის არ შეიძლება მოლაპარაკეს მოსწყდეს და სივრცეში დაფიქსირდეს (აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება უშუალო, ცოცხალი კომუნიკაცია).

კომუნიკაციის განხორციელების ორი გზის შესაბამისად გამოიყოფა და ერთმანეთისაგან იმიჯნება კომუნიკაციის ორი სახეობა – ზეპირი და წერილობითი. თუ კომუნიკაციის პროცესს იერარქიულ საფეხურებად დავყოფთ, იგი ასე შეიძლება გამოისახოს:



გამოყვნის შედეგად ვიღებთ სამკომპონენტიანი მოდელის ორ ვარიანტს:

ა) $1^{ა}$ კომუნიკატორი - $2^{ა}$ კომუნიკაციის არხი - $3^{ა}$ კომუნიკანტი

დამწერი — წერილობითი ქმედება — მკითხველი

ბ) $1^{ბ}$ კომუნიკატორი - $2^{ბ}$ კომუნიკაციის არხი - $3^{ბ}$ კომუნიკანტი

მოლაპარაკე — ზეპირი მეტყველება — მსმენელი

ვარიანტული მოდელების ფუნქციონირება დამოკიდებულია იმ პოზიციებზე, რომლებიც უკავია ერთმანეთის მიმართ მოდელის კომპონენტებს. იმისათვის, რომ იმუშაოს ბ მოდელმა, აუცილებელია ყველა კომპონენტის ერთდროული ფუნქციონირება და მათ შორის არსებული მიმართებების რეალიზაცია. იგი უაღრესად სიტუაციური და კონვენციონალურია, რამდენადაც კომუნიკაციურ გარემოზეა დამოკიდებული. ა-მოდელის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელია კომპონენტების შედარებითი გათიშულობა ერთმანეთისგან. $1^{ა}$ საკმაოდ დამოუკიდებულია როგორც $2^{ა}$-სგან, ისე $3^{ა}$-სგან. მას აქვს თავისი შემოფარგლული სივრცე და დრო, განსაზღვრული ინტენცია, თავისი კომუნიკაციური განზრახვის შესრულებისთვის ირჩევს $2^{ა}$-კომპონენტს და მხედველობაში იღებს $3^{ა}$-კომპონენტს. კომუნიკაციურ ინფორმაციას, რომელიც დაფიქსირებულია სათანადო მასალაში, შეიცავს $2^{ა}$. იგი დაშორებულია სივრცესა და დროში როგორც $1^{ა}$-სგან, ისე $3^{ა}$-სგან. $1^{ა}$-სგან მოწყვეტის შემდეგ იგი იწყებს დამოუკიდებელ და ხანგრძლივ არსებობას. $3^{ა}$ დაშორებულია $1^{ა}$-სგან და ინფორმაციას

უშუალოდ იღებს 2^{2}-სგან დროის განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ, რომელიც შეიძლება რამდენიმე წუთი ან საუკუნეები გაგრძელდეს. ალიენაციის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ 3^{2} კომპონენტის რეაგირება მიღებულ ინფორმაციაზე შეიძლება მოხდეს ერთი საათის, ერთი წლის, ერთი საუკუნის შემდეგ, ან სულაც არ მოხდეს. ეს რეაგირება ალიენატორამდე (1^{2}) მიაღწევს ან არ მიაღწევს. დამოკიდებულია დროსა და სივრცეზე, რომლებიც აშორებს კომუნიკატორსა და კომუნიკანტს, აგრეთვე მათ ნებასა და მიზანზე.

ამრიგად, წერილობითი კომუნიკაციის ჩარჩო გაყოფილია ორად:

კომუნიკატორი - ტექსტი	ტექსტი - კომუნიკანტი

დარღვეულია კომუნიკაციური ველის დეიქტიკურობა, რეაქციის მეყსეულობა, სივრცისა და დროის ერთიანობა. კომუნიკატორი და კომუნიკანტი დაშორებული არიან ერთმანეთისგან, პირველი უშუალოდ არ არის დაკავშირებული მეორესთან. კომუნიკატორი ქმნის ტექსტს, რომელიც მეორე ფაზაში მის სუბსტიტუტად გადაიქცევა. შეიძლება ითქვას, რომ აქ ტექსტს კომუნიკატორის ფუნქცია ეკისრება. კომუნიკაცია გაშუალებულია ტექსტის დახმარებით. ტექსტი ორივე ფაზის კომპონენტია, პირველ ფაზაში უფრო პასიური, მეორეში უფრო აქტიური. სუბსტანციური (ფიზიკალური) საწყისი აძლევს მას საშუალებას დაფიქსირდეს სივრცესა და დროში, შეინახოს კომუნიკატორის მიერ მისთვის მინდობილი ინფორმაცია, მოიპოვოს დამოუკიდებელი არსებობა და იცოცხლოს, უპირატესად წიგნის სახით, საუკუნეების მანძილზე. ტექსტი არის ერთდროულად ინფორმაციის გამტარებელი და სათავსიც. ინფორმაცია დევს ტექსტში და გადაიცემა ტექსტით. როგორი იქნება ტექსტი, ეს დამოკიდებულია კომუნიკატორზე. ის ისეთია, როგორც ჩაიფიქრა ავტორმა. მკითხველი იღებს ტექსტს, როგორსაც მას ავტორი აწვდის. მაგრამ ალიენაციის შემდეგ ტექსტი დამოუკიდებელი ხდება და კომუნიკაციის მეორე ფაზაში კომუნიკაციის აქტიური კომპონენტია, ფაქტობრივ – კომუნიკატორია.

6.3. ზეპირი კომუნიკაციის ჩარჩო. დეიქტიკური ველის მთლიანობა

ზეპირი კომუნიკაციის ჩარჩო მთლიანია:

კომუნიკატორი – დისკურსი – კომუნიკანტი

ეს არის დეიქტიკური ველი, რომელშიც კომუნიკაციის პარტნიორები ცვლიან როლებს დროისა და სივრცის ერთიანობის დაცვის პირობებში. როგორი იქნება დისკურსი, ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე და კომუნიკატორზე. მსმენელის რეაქცია მეყსეულია, იგი მაშინვე გადაიქცევა კომუნიკატორად, ადგენს დისკურსს, რომელსაც ყოფილი კომუნიკატორი პასუხობს უკვე როგორც მსმენელი. ეს მონაცვლეობა როლებისა ბუნებრივია კომუნიკაციის ზეპირი ფორმისთვის. კომუნიკაციის მონაწილეები იმყოფებიან დეიქტიკურ ველში, ხედავენ ერთმა-

ნეთს, ესმით ერთმანეთისა და ეს თანამყოფობა იძლევა როლების გაცვლის შესაძლებლობას, რაც ხდება უშუალოდ კომუნიკატორსა და კომუნიკანტს შორის.

ცოტა რამ დეიქტიკური ველის შესახებ.

ცნება/ტერმინი „დეიქსური ველი" ძირითადად კარლ ბიულერის სახელს უკავშირდება. ამ ცნებაში იგი აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს, რომლებიც ეფუძნებიან ე.წ. ჩვენებითი ველის „ორიგოს" – მიმართებას „აქ-ახლა-მე" (BÜHLER, 1934:102-120). ეს კომპონენტებია: ა) (საგნობრივი) ჩვენების ველი. მოლაპარაკე, მსმენელი და საუბრის საგანი იმყოფებიან ერთდროულად ერთ სივრცეში (die Demonstratio ad. oculus). კომუნიკაცია ხორციელდება აკუსტიკური არხით; ბ) ენის სიმბოლური ველი. კომუნიკაცია ხორციელდება არა იმით, რომ მოლაპარაკე ბგერის საშუალებით „ხატავს" სათქმელს, არამედ ენის სიმბოლიზების მეშვეობით. სახელდება არის სიმბოლიზება. როგორც მხატვარს ესაჭიროება ხატვისათვის სიბრტყე (Malfläche), ასევე ენობრივი სიმბოლოები უნდა განლაგდეს გარემოცვის არეში (Umfeld). ეს არის სიმბოლური ველი, რომელშიც რეალიზდება სინტაქსური და ლექსიკური მიმართებები (იქვე, 150-151); გ) კონტექსტუალური ველი. კომუნიკაციის მომენტში საქმე ეხება არა ფიზიკურად იქვე და იმავე დროს მყოფ საგანს, არამედ მის წარმოდგენას გონების თვალით (die Deixis am Phantasma) (იქვე, 123). ეს სამივე კომპონენტი რეალიზდება ზეპირ კომუნიკაციაში. რაც შეეხება წერილობით კომუნიკაციას, ჩვენი აზრით, აქ გამორიცხულია კომპონენტი ა), ხოლო ბ) და გ) დასაშვებია და შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე გრაფიკული (ვიზუალური) არხით.

შემდეგი პრობლემა, რომელიც დგება ტექსტისა და დისკურსის შეპირისპირებისას, არის ე. წ. მეტყველების ფორმების დიფერენციაცია. ჩვეულებრივ ითვლება, რომ წერილობითი კომუნიკაცია მონოლოგურია, ხოლო ზეპირი დიალოგური/პოლილოგური. ამ შეფასებაში შეიძლება ეჭვის შეტანა, თუ ამ დეფინიენდებს სხვა კუთხით გავიაზრებთ, რამდენადაც ისინი პირობითია. ჩვენი აზრით, ყოველი ენობრივი ქმედების აქტი პრინციპში მონოლოგურია. როგორც ცნობილია, „მონოლოგი" მხატვრული ლიტერატურიდან არის ენათმეცნიერებაში შემოსული, სადაც მას განსაზღვრული ფუნქცია აკისრია. არატერმინოლოგიური გაგებით ეს არის ერთი პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა. თუ ზეპირი კომუნიკაციის ჩარჩოს წარმოვიდგენთ, მისი კომპონენტების რიცხვი არ უნდა იყოს ორზე ნაკლები და შეიძლება იყოს სამი, ოთხი და მეტიც. მის ფარგლებში კომუნიკაცია დიალოგური ან პოლილოგურია, მაგრამ არ არის რამდენიმე პირის ამალგამა. ყოველი მონაწილე ინდივიდუალურად წარმოთქვამს სათქმელს, ე.ი. თითოეული მათგანის მეტყველება მონოლოგურია და არც შეიძლება სხვანაირი იყოს (გუნდური მეტყველებაც ამგვარია. აკუსტიკური შთაბეჭდილება ერთიანია, მაგრამ ყოველი მონაწილე, თუმცა ერთდროულად, მაინც ინდივიდუალურად მეტყველებს). დიალოგი ან პოლილოგი ნიშნავს არა ერთს, ორს ან სამს და ა.შ., არამედ 1+1, 1+1+1, 1+1+1+1 და ა. შ. იგივე ითქმის წერილობით კომუნიკაციაზეც. ნაწერიდან შეიძლება

გესიტყვებოდეს ერთი პირი, ორი პირი, სამი პირი, მაგრამ ყოველი მათგანი ინდივიდუალურად გამოთქვამს აზრს. განსხვავება იმაშია, რომ, თუ უხეშად ვიტყვით, ზეპირი კომუნიკაციის ყველა მონაწილე თამაშობს რეალურად, ცალ-ცალკე, თამაშობს თავისთავს ერთ საერთო სიტუაციაში, დროის ერთ განსაზღვრულ მონაკვეთსა და ადგილზე, ხოლო მკითხველი/კომუნიკანტი წარმოსახვით ხედავს ერთ, ორ ან მეტ მონაწილეს, მაგრამ აქ გამორიცხულია რეალური სიტუაცია, ცოცხალი კომუნიკაცია. ავტორი თავისი ინტენციის შესაბამისად ქმნის ნაწარმოების გმირებს, ათამაშებს მათ და თავადაც თამაშობს. ეს შეიძლება შევადაროთ თოჯინების თეატრს, სადაც მსახიობები ათამაშებენ თოჯინებს და თავადაც თამაშობენ. დისკურსში ყველაფერი რეალურია, ტექსტში – ფიქციონალური. ამ მიმართებას შეიძლება ეწოდოს სპონტანურობისა და ეგზოგენურობის ოპოზიცია („სპონტანური" – თავისი თავიდან მომდინარე, უშუალო, შინაგანად განპირობებული, უცხო ზეგავლენის გარეშე, სხვისი მართვის გარეშე; „ეგზოგენური" – სხვა პირიდან/საგნიდან მომდინარე, გარედან განპირობებული, სხვის მიერ მართული, გაშუალებული). ამგვარი შეპირისპირება დისკურსისა და ტექსტისა შესაძლებელია განსაზღვრულ პირობებში და მას საყოველთაო ხასიათი არა აქვს. „განსაზღვრულ პირობებში" იგულისხმება სიტუაციურობა, რომელშიც ორი ან მეტი კომუნიკაციის მონაწილეა უშუალოდ წარმოდგენილი. წერილობითი ტექსტიც შეიძლება იყოს პოლიპერსონალური, მაგრამ ასეთი ტექსტების შესწავლას და ინტერპრეტაციას სპეციალური მეთოდები ესაჭიროება, რადგანაც ისინი, ერთი მხრივ, ასახავენ აეტორის პირად კომუნიკაციურ ინტენციას და დამოკიდებულებას იმ ფიქციონალური პერსონაჟებისა და შესაძლებელი სამყაროს მიმართ, რომლებსაც ის „ათამაშებს", ხოლო, მეორე მხრივ, ეს პერსონაჟები და შესაძლებელი სამყარო მკითხველის წარმოსახვაში ავტორისაგან დამოუკიდებლობას იძენენ და რეალურივით გაიაზრებიან. წინამდებარე მონოგრაფიის მიზანს არ შეადგენს ასეთი პოლიპერსონალური ტექსტების ინტერპრეტაცია. თუ როგორი ტექსტებია შერჩეული მონოგრაფიაში დასახული მიზნის მიხედვით, ამაზე შესავალში იყო ნათქვამი და მინიშნებული იქნება აგრეთვე შემდგომაც, გზადაგზა, ტექსტების ანალიზის დროს.

6.4. კომუნიკაციური სიტუაციის ცნება

ტექსტისა და დისკურსის შეპირისპირებისას საჭიროა აგრეთვე სიტუაციურობის ზოგიერთი თავისებურების შემდგომი დაზუსტება სპონტანურობასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ ამბობენ, წერილობითი კომუნიკაცია მონოსიტუაციურია და ტექსტის შედგენისა და წაკითხვის ცოდნა აუცილებელი, ხოლო ზეპირი კომუნიკაცია სპონტანურია, პოლისიტუაციურია, ბუნებრივია, და წინასწარ შესწავლას არ საჭიროებს.

6.4.1. სიტუაცია – ზეპირი კომუნიკაციის აუცილებელი კომპონენტი

თუ სიტუაციას გავიგებთ როგორც კომუნიკაციის აქტის განხორციელების ექსტრალინგვისტურ გარემოს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ზეპირი კომუნიკაცია იმდენ სიტუაციაში შეიძლება მიმდინარეობდეს, რამდენ სიტუაციაშიც მოხვდება ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ეს იქნება სიტუაციების n-რაოდენობა, რომელთა კლასიფიკაციას და სასრული რაოდენობით დადგენას ლამობენ ლინგვისტები (შდრ. სამეტყველო აქტების თეორია). წერილობითი კომუნიკაცია საპირისპიროდ ზეპირისა ჩვეულებრივ ერთ გარემოში წარმოიდგინება და ცალმხრივია. კომუნიკატორი მშვიდად (შესაძლოა აღელვებულიც) იაზრებს, ვის, რა და როგორ უნდა მისწეროს. ის ზის თავის მაგიდასთან, საწერი მოწყობილობა ხელთა აქვს და იწყებს ან აგრძელებს წერას. ცალმხრივი კომუნიკაცია მიმდინარეობს მდოვრედ, ნაბიჯ-ნაბიჯ და კარგა ხანს გრძელდება. ეს ტიპური სიტუაცია ყველა შემთხვევას შეიძლება არც ესადაგებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ აღელვებული კომუნიკატორი ქუჩაში აღმოჩნდეს, ფოსტაში მიირბინოს და ნაჩქარევად ან მოუზომავად მისწეროს ისეთი რამ კომუნიკანტს, რომ შემდგომ სანანებელი გაუხდეს. განწყობილების შესაბამისად ნაწერი არ იქნება ენობრივად და შინაარსობრივად გააზრებული თუ დალაგებული, არც ნორმის ფარგლებში მოქცეული, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება. როგორც გერმანელები ამბობენ: Was man schreibt, das bleibt. წარმოვიდგინოთ სხვა სიტუაციაც, როდესაც კომუნიკატორს სათანადო ქაღალდი არა აქვს და ქაღალდის ნაგლეჯზე წერს. მელანი არა აქვს და ფანქრით ჯღაბნის და ა. შ. თუ ასეთ მომენტებს გავითვალისწინებთ, წერილობითი კომუნიკაციის სიტუაციებიც არ აღმოჩნდება ერთგვაროვანი. მაგრამ, ჯერ ერთი, წერილობითი კომუნიკაციის სიტუაციები ბევრად უფრო ნაკლებია, რადგანაც ცალმხრივია და მას დეიქტიკური ველი არ გააჩნია, რაც თავის მხრივ კომუნიკაციის არხის სპეციფიკით არის განპირობებული. მეორეც, სამეტყველო სიტუაცია და წერილობითი სიტუაცია პრინციპში სხვადასხვა რამ არის. სამეტყველო სიტუაცია გაიგება როგორც ადამიანის ცხოვრებაში რეალურად არსებული კონკრეტული შემთხვევა, რომელიც მიმდინარეობს აკუსტიკური მასალის გამოყენებით დეიქტიკურ ველში, ხოლო წერილობითი სიტუაციის ძირითადი კომპონენტებია კომუნიკატორი/დამწერი და ტექსტი, როგორც კომუნიკატორის თვალსაწიერში მოქცეული, გრაფიკული მასალის გამოყენებით შექმნილი, ვიზუალურად აღსაქმელი და კომუნიკაციური ინფორმაციით დატვირთული ველი. ამ ველს ჩვენ ვუწოდებთ **ბ ა თ ი ზ მ ა ტ უ რ ს** და ვუპირისპირებთ მას დეიქტიკურ ველს. სამეტყველო და წერილობითი სიტუაციის ოპოზიციაში სწორედ ეს ორი პარამეტრი მიგვაჩნია არსებითად. ვიდრე ბათიზმატური ველის განმარტებაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ვთვლით სიტუაციის ცნების დაზუსტებას, ზოგადად, და კომუნიკაციური სიტუაციისა, კერძოდ.

სიტუაცია ჩვეულებრივ განიმარტება როგორც კულტურული ან სოციალური მოვლენა, რომელიც ერთ განსაზღვრულ დროში აერთიანებს წინასწარ მოცემულ ფაქტებს, შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს. ეს არის მდგომარეობა

(Lage), შინაგანი და გარეგანი პირობების ერთობლიობა (LEWANDOWSKI, 1984-1985:927), ხოლო კომუნიკაციური სიტუაცია განიმარტება მხოლოდ მოლაპარაკესა და მსმენელზე ორიენტაციით. „მოლაპარაკე და მსმენელი იმყოფებიან ერთ საერთო სოციოპრაგმატიკული და ინდივიდუალური ფაქტორებით განპირობებულ სიტუაციაში, რომელშიც მათ მიერ ენის მოხმარება სიტუაციურად რამდენადმე არის დეტერმინირებული. ზეპირი მეტყველების (gesprochene Sprache) შესწავლისას კომუნიკაციური სიტუაციის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს (იქვე, 539).

6.4.2. კომუნიკაციური სიტუაციის მთლიანობის დარღვევა და კომუნიკაციის პარტნიორების დისტანცირება – წერილობითი სიტუაციის აუცილებელი პირობა

როგორც ზემომოყვანილი განმარტებიდან ჩანს, კომუნიკაციური სიტუაციის ამგვარი გაგება არაფრით არ ესადაგება წერილობითი კომუნიკაციის, შებამისად, წერილობითი სიტუაციის არსს.

წერილობითი სიტუაცია შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: დამწერი და მკითხველი იმყოფებიან ერთმანეთისაგან განცალკევებულ სიტუაციებში, რომლებიც შეიძლება ასახავდეს დამწერისა და მკითხველისათვის საერთო ან განსხვავებულ კულტურულ-სოციალურ გარემოს. ისინი დაშორებული არიან ერთმანეთისაგან სივრცესა და დროში, ამის გამო მათ არ შეიძლება ჰქონდეთ უშუალო კონტაქტი და ახორციელებდნენ კომუნიკაციას ცოცხალი, აკუსტიკური მასალის საფუძველზე. ტექსტი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია, ალიენირებულია და თავის პირობებს კარნახობს როგორც დამწერს ისე მკითხველს. დისკურსი და ტექსტი სუბსტანციურად განსხვავებული მედიუმებია და განსხვავებულ პირობებში აყენებენ კომუნიკაციას და კომუნიკაციის მონაწილეებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკურსს, როგორც ზეპირი მეტყველების პროცესს და საშუალებას, რომლის მოქმედების არე დეიქტიკურ ველზე იშლება, ვუპირისპირებთ ტექსტს, როგორც წერილობითი მოღვაწეობის შედეგს, რომელსაც არ გააჩნია დეიქტიკური ველი და გაშლილია ბათიზმატურ ველზე.

6.4.3. ბათოსის ცნება

ლანგის, პაროლისა და ლანგაჟის დონეების პოსტულირებისას გამოვყავით შესაბამისად სამი განზომილება: პარადიგმატიკა (ვერტიკალური ჭრილი), სინტაგმატიკა (ჰორიზონტალური ჭრილი), ბათიზმატიკა (სიბრტყე).

ტერმინი „ბათიზმატიკა“, როგორც წინამავალ გვერდებზე აღვნიშნეთ, შეგვხვდა ცნობილი გერმანისტის ვლადიმერ ადმონის შრომებში. რადგანაც ეს ტერმინი ლინგვისტიკური მნიშვნელობით სხვა შრომებში არ შეგვხვედრია, ხოლო ცნების შინაარსი ვლადიმერ ადმონის დეტალურად არ აქვს გაბსნილი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევჩერდეთ ამ სიტყვა-ტერმინზე.

სიტყვას βατος [ბათოსი] ბენსელერის ბერძნულ-გერმანულ ლექსიკონში ორი მნიშვნელობა აქვს. პირველი მნიშვნელობაა Tiefe (სიღრმე) და Höhe (სიმაღლე) იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია უჭირავს მაყურებელს, იყურება ის ზევიდან ქვევით, თუ ქვევიდან ზევით. მეორე მნიშვნელობას შეადგენს ყოველგვარი სივრცობრივი განფენა, განსაკუთრებით კი სამხედრო აზრით. Tiefe აღნიშნავს „die Anzahl der Hintereinanderstehenden", (ერთი მეორის უკან მდგომთა რიცხვი/რაოდენობა), ხოლო εις βατος εκτατειν [ეს ბათოს ეკტატეივ] ნიშნავს „das Heer so aufstellen, dass es eine große Tiefe und kleinere Front hat, bes. zum Angriff" (BENSELERS..., 1981:131-132), „ჯარის ისე გაშლა, რომ მას ჰქონდეს დიდი სიღრმე და მოკლე ფრონტის ხაზი, განსაკუთრებით შეტევის მიზნით". მაშასადამე, Tiefe ერთ შემთხვევაში ნიშნავს „სიღრმეს" ზევიდან ქვევით მიმავალი ხაზით, მეორე შემთხვევაში კი გულისხმობს ერთიმეორის უკან დგომით სიბრტყეზე განფენას, როდესაც მწკრივების სიგრძე ბევრად აღემატება ფრონტალურ ხაზს. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მოკლეა, ხოლო მწკრივების რიგი გრძელი, ასეთი წყობა ხელსაყრელია სამხედრო თვალსაზრისით. როგორც ჩანს, „ბათოსის" ეს ხატი ესადაგება ტექსტისა და სტრიქონების ხატს.

ტექსტების აბსტრაქტული წარმოდგენა როგორც ბათიზმატურ სიბრტყეზე განფენილი ენობრივ-გრაფიკული წარმონაქმნებისა საშუალებას იძლევა მოხდეს მათი მოდელირება და შეიქმნას ტექსტების ინვარიანტული კონსტრუქტი, რომელიც განაზოგადებს ტექსტების არსებით თვისებებს და იქნება საფუძველი მოდელების გენერირებისა, რაც თავის მხრივ ტექსტების ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის წინაპირობას შექმნის.[3]

მეექვსე ქვეთავის დასკვნები

1. კომუნიკაციურ მოდელში ტექსტს აქტიური პოზიცია უკავია. ერთიანი სამკომპონენტიანი კომუნიკაციური მოდელი, რომელიც ზეპირმეტყველებაში ერთ ფაზად აქტუალიზდება, წერილობითი კომუნიკაციის პირობებში ორ ფაზად იხლიჩება. პირველი ფაზაა კომუნიკატორის ინტენციის განხორციელება და ტექსტის კომპონირება, მეორე ფაზა – მკითხველის/ინტერპრეტატორის მიერ ტექსტის წაკითხვა, ანალიზი და გაგება.
2. ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის პროცესი მიმდინარეობს გარემოში, რომელიც დეიქტიკურ ველს წარმოადგენს და ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც კომუნიკაციის არხის სუბსტანციური (ფიზიკალური) არსი აუცილებლობით კარნახობს კომუნიკატორს და კომუნიკანტს განახორციელონ ორმხრივი, ერთდროული ენობრივი ურთიერთობა ამ ველში. სამეტყველო აქტების თეორია და პრაქტიკა ჯდება ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის კონტექსტში და არ ესადაგება წერილობით კომუნიკაციას.
3. წერილობითი კომუნიკაცია ხორციელდება გარემოში, რომელიც გამორიცხავს ჩვენებით ველს. კომუნიკატორს უშუალო ურთიერთობა აქვს არა

[3] ბათიზმატური ველის სტრუქტურის აღწერა იხ. ჩვენი მონოგრაფიის თავი III. 3.8.

კომუნიკანტთან, არამედ ტექსტთან, რომელიც კომუნიკანტამდე აღწევს როგორც კომუნიკატორის მონაცვლე. აქ მოქმედებს ორფაზიანი მიმართება: კომუნიკატორი – ტექსტი, ტექსტი – კომუნიკანტი, და ესეც სავსებით კანონზომიერია, რადგანაც წერილობითი კომუნიკაციის არხის სუბსტანციური არსი ასეთ ალიენაციურ მიმართებას განაპირობებს.

4. ზეპირი კომუნიკაცია იფარგლება დეიქტიკური, ხოლო წერილობითი – ბათიზმატური ველით, შესაბამისად, ერთმანეთს უპირისპირდება ოპოზიციური წყვილი დისკურსი – ტექსტი. პირველისთვის კომუნიკაციური ფონია სიტუაცია, რომელშიც თამამდება დისკურსი, მეორისთვის სათამაშო მოედანია ბათიზმატური ველი, რომელშიც კომუნიკატორი დებს ინფორმაციას ალიენირებული ტექსტის სახით, ხოლო დროითა და სივრცით დამორებული კომუნიკანტი ტექსტის მოპოვების შემდეგ ტექსტიდან ვიზუალურად იღებს ინფორმაციას.
5. ჩვენებითი და ბათიზმატური ველები ერთი (კომუნიკაციური) ფუნქციის მატარებელი და განსხვავებული სტრუქტურის მქონე სიდიდეებია. მათი ურთიერთმიმართება გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:

ზეპირი კომუნიკაცია

(საგნობრივი) ჩვენების ველი
მე-შენ-აქ-ახლა-დისკურსი
სიტუაცია

წერილობითი კომუნიკაცია

მე ტექსტი ბათიზმატური ველი	ტექსტი ბათიზმატური ველი შენ

6. წერილობითი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი სხვა, უფრო კონკრეტული ნიშნები, როგორიცაა როლების უშუალო გაცვლის შეუძლებლობა, ინტენციურობის მეტი დოზა, გავლენა სივრცესა და დროში დაშორებულ კომუნიკანტზე, ზედროულობა და ა. შ. გამომდინარეობს ზემოთ წარმოდგენილ ხუთ პუნქტში ჩამოყალიბებული ზოგადი ნიშნებიდან, რომელთა გამოყოფასაც არა აქვს აბსოლუტურობის პრეტენზია. მათი სია ღიაა და შესაძლოა შეივსოს ან შეიკვეცოს.

7.0. ტექსტების კლასიფიკაციის მცდელობა

კლასიფიკაციების მიმოხილვა, რომელსაც ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ, მიზნად ისახავს არა ტექსტის მკვლევრების პოზიციებისა და შრომების შეფასებას (რაც ჩვენი მხრივ მხოლოდ დადებითი შეიძლება იყო), არამედ ყურადღების გამახვილებას ჩვენთვის საინტერესო მომენტებზე, კერძოდ, ტექსტების კლასიფიკაციის/ტიპოლოგიის პრინციპებსა და კრიტერიუმებზე. არსებობს აზრი, რომ ცნება „ტექსტის ტიპოლოგია“ საკმაოდ ბუნდოვანია და ეჭვს იწვევს ამ ტერმინით აღნიშნული დენოტატის მიჩნევა მეცნიერული თვალსაზრისით

გამართლებულ დისციპლინად (შდრ. ჰორსტ იზენბერგი (ИЗЕНБЕРГ, 1978:50-51) და ოიგენიო კოსერიუ (COSERIU 1980:26, 152)). მაგრამ, რამდენადაც იგი ფაქტობრივ არსებობს, მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა და დღესაც ეძღვნება, აზრი არ აქვს მის იგნორირებას, როგორც ჩანს, იგი უკვე დამკვიდრებულად უნდა ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ მისი ადგილი ლინგვისტიკური დისციპლინების რიგში ჯერაც არ არის დაზუსტებული. მივიჩნევთ მას ავტონომიურ დისციპლინად, თუ დავტოვებთ მიმართულებად რომელიმე დისციპლინების ფარგლებში, ეს საკითხი შეიძლება დღესდღეობით ღიად დარჩეს, მაგრამ თავად პრობლემას ვერც ერთ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით.

ვიდრე უშუალოდ კლასიფიკაციის/ტიპოლოგიის ცალკეული სისტემების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა გამოვაპირობოთ ერთი რამ. ეს ტერმინები ჩვეულებრივ მოიხმარება სინონიმურად და მათ შორის არსებული მსგავსება--განსხვავება ხშირად გაურკვეველი რჩება. ჩვენც ორივე ტერმინს მოვიხმართ, მხოლოდ იმ გაგებით, რომლის მიხედვითაც „კლასიფიკაცია“ გვარეობითი ცნებაა, ხოლო „ტიპოლოგია“ სახეობითი. „კლასიფიკაცია“ ნიშნავს განსაზღვრულ კლასებად, თანრიგებად დაყოფას განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით, ხოლო „ტიპოლოგია“ – ინდივიდუალურ ტიპებად დაყოფას საერთო ნიშან-თვისების მიხედვით. „კლასი“ უფრო მაღალი ტაქსონომიური ერთეულია, ვიდრე „ტიპი“. ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ავსებენ ერთმანეთს.

ტექსტების კლასიფიკაციაში ორი ძირითადი ასპექტია ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ვინაიდან ტექსტი მიჩნეულია თავის თავში სტრუქტურირებულ მთელად, ცხადია, იგი, ერთი მხრივ, უნდა განიხილებოდეს როგორც ერთიანი წარმონაქმნი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც დისკრეტულ მონაკვეთებად დაყოფილი მთელი. აქედან გამომდინარე, ტექსტების კლასიფიკაციის დროს ორი ძირითადი ასპექტი წამოიწევს წინ: 1. კლასებად და ტიპებად დაყოფის ჰოლისტური კრიტერიუმი; 2. შიდასტრუქტურული ანალიზის მეთოდები (ხერხები). პირველი ასპექტი გულისხმობს კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპების გათვალისწინებას, მეორე – ენის ენობრივ-გრაფიკული სისტემის სტრუქტურულ ანალიზს როგორც პოტენციური შესაძლებლობების აღწერის, ისე მათი აქტუალიზაციის ფარგლებში.

7.1. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე ორიენტირებული ტიპოლოგია. კრიტერიუმის შერჩევისა და ტაქსონომიური ერთეულების გამოყოფის განსხვავებული პრინციპები (მ. გვენცაძე, კ.-ე. ზომერფელდტი, მ. პფუცე და დ. ბლაი, ბ. ზანდიგი, ჰ. ოზენბერგი, ვ. მოჩი)

ტექსტების კლასიფიკაციის მცდელობები, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, ერთიანდება ერთი ნიშნის მიხედვით. ყოველი მათგანი ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავებანი

როგორც გამოსავალი პრინციპების, ისე საკლასიფიკაციო კრიტერიუმების მხრივ.

პროფ. მ. გვენცაძის მიერ შემოთავაზებულ ტექსტების ტიპოლოგიას ორი ძირითადი პარამეტრი უდევს საფუძვლად: ფუნქციონალურ-სტილისტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული. ტექსტს იგი განსაზღვრავს როგორც „მთლიან სამეტყველო წარმონაქმნს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაციური აქტი ურთიერთობის ამა თუ იმ სოციალურ-ისტორიულ და კულტურით დეტერმინირებულ სფეროში“ (ГВЕНЦАДЗЕ, 1986:80-81). ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული პარამეტრი გადის სამეტყველო აქტების თეორიაზე და უკავშირდება ფუნქციონალურ-სტილისტიკურ ასპექტს, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით ტექსტების ტიპოლოგიას. პროფ. მ. გვენცაძე ტექსტების კლასებს გამოყოფს უშუალოდ სტილთან მიმართებაში:

მეგასტილი (მაგ., მასობრივი კომუნიკაციისა)	ტექსტის სუპერკლასი (მაგ., მასობრივი კომუნიკაციის ტექსტები)
ფუნქციონალური სტილი (მაგ., გაზეთისა)	ტექსტების ფუნქციონალურ-კომუნიკაციური კლასი (მაგ., გაზეთის ტექსტები)
ტექსტის ტიპის სტილი (მაგ., საინფორმაციო ცნობისა)	სამეტყველო ჟანრი (მაგ., საინფორმაციო ცნობა)

(იქვე, 83)

ამრიგად, მ. გვენცაძის მიხედვით ტექსტების კლასიფიკაცია ექვემდებარება იერარქიულ პრინციპს – ზოგადიდან კონკრეტულისკენ, ზევიდან ქვევით, იერარქიულად ყველაზე დაბალ ერთეულს წარმოადგენს სამეტყველო ჟანრი (მაგ., საინფორმაციო ცნობა). მისი აღწერა და თავისებურებების დადგენა ლანგის (ენის სისტემის) დონეზე ხდება ტიპოლოგიური კვლევის ბოლო საფეხურზე.

კარლ-ერნსტ ზომერფელდტი ტექსტების კლასიფიკაციის პრობლემებს განიხილავს ფუნქციონალურ-კომუნიკაციურ ასპექტში და თვლის, რომ მათი გადაჭრისათვის აუცილებელია ორი მიმართულებით კვლევა. ერთია სისტემური ელემენტების აღწერა, მეორე – ენობრივი მოღვაწეობის თეორიის აქცენტირება (ამ უკანასკნელის პრიმატით). იგი იზიარებს გერმანელ მკვლევართა ერთი ჯგუფის მიერ შემუშავებულ მეთოდიკას, განიხილავს ამ ჯგუფის წარმომადგენლების ვ. შმიდტის, ჰ. ჰარნიშის, გ. მიხელის, გ. ფრონეს და სხვათა თვალსაზრისებს. მისი აზრით, მიუხედავად ტექსტების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტის არსებობისა, ისინი პრაქტიკულად ნაკლებ გამოსადეგია. საკლასიფიკაციო ერთეულები Textklasse, Texttyp, Textsorte ბუნდოვანია, არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ძნელია. მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი კრიტერიუმიდან, რომლებსაც კ.ე. ზომერფელდტი განიხილავს, იგი უპირატესობას ანიჭებს ორს – **კომუნიკაციის-პარტნიორებთან მიმართებას და კომუნიკაციურ პლანს.**

თავისი პოზიციის ნათელსაყოფად იგი გვთავაზობს კლასიფიკაციის ორ ვარიანტს, რომლებიც ილუსტრირებულია დახასიათების (მოტივირების) შემცველი ტექსტებით.

პირველი ვარიანტისათვის ძირითადია კომუნიკაციის პარტნიორებთან მიმართება. მას ასეთი სახე აქვს:

I ვარიანტი:

1. მოვლენათა დასაბუთება, მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორიცაა
   - ბუნება;
   - პოლიტიკა;
   - სპორტი.
2. ადამიანის გონითი მიმართებების (Geistverhalten) დასაბუთება:
   - წამოყენებული წინადადებები (წახალისების, დაჯილდოების მიზნით);
   - სურვება, შუამდგომლობა, თხოვნა;
   - აზრის გამოთქმა, არგუმენტები;

კლასიფიკაციის მეორე ვარიანტი ეფუძნება იმ როლს, რომელსაც ასრულებს დასაბუთება (მოტივირება) კომუნიკაციის ამა თუ იმ სფეროში. აქ გამოყოფილია ფუნქციონალური კრიტერიუმები და ზოგ შემთხვევაში ნორმებიცაა დადგენილი. საილუსტრაციო მასალად აქაც აღებულია დასაბუთების შემცველი ტექსტები.

II ვარიანტი:

1. დასაბუთება ინფორმაციულ ტექსტებში (სასამართლოს განაჩენი, ხელმძღვანელის გადაწყვეტილება...);
2. დასაბუთება მააქტივირებელ ტექსტებში (წინადადებები, სურვილები, მიმართვა, მოწოდება, ბრძანება, მითითება...);
3. დასაბუთება განმარტებით ტექსტებში (არგუმენტაცია, ახსნა-განმარტება) (SOMMERFELDT, 1987:371-380]

მაქს პფიუცე და დაგმარ ბლაი ტექსტების ტიპოლოგიურ კვლევაში სამ მიმართულებას გამოყოფენ, ამასთანავე ხაზს უსვამენ პრობლემის გადაჭრის უშუალო კავშირს ტექსტის დეფინიციასთან. პირველი მიმართულება ტექსტის ტიპის ნიშნების დადგენას ცდილობს მხოლოდ ინტერნულ ელემენტებზე დაყრდნობით. მეორე მიმართულება უპირატესობას ანიჭებს ტექსტის ექსტერნულ მახასიათებლებს, ხოლო მესამე მხედველობაში იღებს როგორც ინტერნულ მახასიათებლებს (ენის სისტემა), ისე ექსტერნულს (ენის გამოყენება). მესამე მიმართულების მიმდევართა აზრით, ტექსტის კვლევა მარტოოდენ ლინგვისტიკური მეთოდით არაა საკმარისი, აუცილებელია ტექსტის ექსტერნული (კომუნიკაციური) ფაქტორების გათვალისწინება და წინა პლანზე წამოწევაც კი. ტექსტების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ტექსტის ფუნქციის სპეციფიკური რეალიზება და ტექსტების კლასები, ტიპები და ა.შ. გამოიყოს დომინანტური კომუნიკაციური ქმედების საფუძველზე.

გამოსავალი ცნებები და ტერმინები, რომლებიც ამ მიმართულების ტიპოლოგიაში გამოიყენება, შემდეგია:

- ენობრივ-კომუნიკაციური მოღვაწეობა (sprachlich-kommunikative Tätigkeit). ეს არის ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე. ისევე როგორც ყოველი მოღვაწეობა, ესეც მიზნად ისახავს განსაზღვრული ამოცანის გადაჭრას;
- კომუნიკაციური ამოცანა (Kommunikationsaufgabe);
- ქმედების პლანი (Aktionsplan), რომელსაც შეგნებულად ირჩევს კომუნიკაციის მონაწილე (ამ ტერმინის სინონიმია Kommunikationsplan);
- ტექსტის ფუნქცია (Textfunktion), რომელშიც აირეკლება კომუნიკაციური განზრახვა. იგი გაიგება როგორც კომუნიკაციური განზრახვის ობიექტივაცია ტექსტში.

კომუნიკაციურ განზრახვათა უთვალავი რაოდენობა და, შესაბამისად, ტექსტის ფუნქციებიც ხელს უშლის ტექსტების ტიპოლოგიის განხორციელებას. სიძნელეების დაძლევის ერთ-ერთ გზად შეიძლება დაისახოს აქცენტირება განმეორებადი მომენტებისა, რომლებსაც ადამიანი წააწყდება ხოლმე კომუნიკაციის პროცესში.

მაქს პფიუცე და დაგმარ ბლაი თავისი ტიპოლოგიის საფუძვლად იღებენ ფუნქციონალურ-კომუნიკაციურ კრიტერიუმს, რომელიც იმ პოსტულატიდან ამოდის, რომ ენობრივი მოღვაწეობა უშუალო კავშირშია ცნობიერების მოღვაწეობასთან (Bewußtseinstätigkeit). ამ მიმართულების წარმომადგენელი ვ. შმიდტი გამოყოფს ტექსტების კლასებს და ტიპებს. პირველნი ტექსტების იერარქიაში უმაღლეს საფეხურს ქმნიან, მათ მოსდევს ტექსტების ტიპები. ტექსტების კლასების ნიმუშებია: ინფორმირება (Informieren), აქტივირება (Aktivieren), ახსნა-განმარტება (Klären). ტექსტების ტიპები იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე განლაგდებიან და გამოიყოფიან კომუნიკაციური პლანების მიხედვით. ინფორმირების კლასს ექვემდებარება, მაგალითად საქმიანი (sachbetonte) ტექსტის ტიპები. აქტივირების კლასში შედიან მამობილიზებელი (mobilisierende), დამაინტერესებელი (interessierende), ემოციების გამომწვევი (emotional bewegende) და ა.შ. ტექსტების ტიპები. ახსნა-განმარტების კლასი მოიცავს კვლევითი და პრობლემების გადამწყვეტი ტექსტების ტიპებს.

მაქს პფიუცე და დაგმარ ბლაი განავრცობენ ფუნქციონალურ-კომუნიკაციურ კლასიფიკაციას და ავსებენ მას იერარქიულად უფრო დაბალი ერთეულებით. ისინი განასხვავებენ (როგორც თავად ამბობენ, საბჭოთა ფსიქოლინგვისტიკაზე დაყრდნობით) მოღვაწეობას (Tätigkeit), ქმედებას (Handlung) და ოპერაციას (Operation), ამასთან გამოდიან არა ზოგადად კომუნიკაციური მოღვაწეობიდან, არამედ კონკრეტული კომუნიკაციური ქმედებებიდან და გონით-ენობრივი ასპექტებიდან. მათ მიერ გამოყოფილი ერთეულებია Textarten – ტექსტის სახეები და Textsorten – ტექსტის სახეობანი. „ტექსტის სახეს ვუწოდებთ ისეთ ერთეულს, რომელშიც დომინირებს რომელიმე კომუნიკაციური აქტი (ქმედება).

ტექსტის სახეებია: ცნობა/მოხსენება (Bericht), აღწერა (Beschreibung), მოთხრობა (Erzählung), ინტერპრეტაცია (Interpretation), მიმართვა/მოწოდება (Apell), არგუმენტაცია (Argumentation), განხილვა (Erörterung)..." (PFÜTZE/BLEI, 1982:704).

ტექსტის სახეობის (Textsorte) გამოყოფისას მაქს პფიუტე და დაგმარ ბლაი იმავე კრიტერიუმს იყენებენ, რასაც სხვა ერთეულების გამოყოფისას, სახელდობრ, დომინანტურ-კომუნიკაციურ ქმედებას და გონით-ენობრივ ოპერაციას. ტექსტის სახეობები სამ ჯგუფს მოიცავს:

1. დესკრიფციული ტექსტები (Deskriptive Textsorten): განცხადება, მოხსენება, ცნობა, ოქმი, ავტობიოგრაფია, ანოტაცია, სურათის აღწერა, ლანდშაფტის აღწერა, ეტიუდი, მოთხრობა და ა.შ.;
2. ინციტატიური ტექსტები (Inzitative Textsorten): კანონი, ბრძანება, ბრძანებულება, რეცეპტი, მითითება (ინსტრუქცია ამა თუ იმ ხელსაწყოს თუ წამლის გამოყენებაზე), მილოცვა და ა.შ.;
3. ინვენტიური ტექსტები (Inventive Textsorten): საჩივარი, (კონკურსში მონაწილეობის) განცხადება, ჯილდოზე წარდგენის წინადადება, პერსონალური დახასიათება, მისალმება-ადრესი, რეცენზია, კრიტიკა, პრობლემის განხილვა, ინტერპრეტაცია, მეცნიერული ნაშრომი, კომენტარი და ა.შ. (იქვე, 711).

ბარბარა ზანდიგი ტექსტების სახეობების აღწერას საფუძვლად უდებს ქმედების მოდელს როგორც პროცესუალურ აქტს. მოლაპარაკე და მსმენელი იმყოფებიან ქმედების კონტექსტში. სიტუაციის შეფასების შემდეგ გამოიკვეთება ქმედების მოტივაცია, ამ უკანასკნელის საფუძველზე ისახება მიზანი, რომელიც დაკონკრეტდება ცალკეულ ქმედებათა გეგმის სახით. მიზნის განხორციელების დასრულება ხდება განსაზღვრული რეზულტატით (ეს არის გამოთქმის რეზულტატი: სიტყვა, წინადადება, ტექსტი). ქმედების რეზულტატიდან წარმოიშობა შედეგები (ბ. ზანდიგი „რეზულტატს" და „შედეგს" განსხვავებულ კონტექსტებში ხმარობს, ამიტომ ჩვენ დავტოვეთ ორივე – Resultat და Folge – და არ გადმოვაქართულეთ Resultat). მსმენელი მოლაპარაკის გამონათქვამს განმარტავს თავისი ინტერესების და მოლოდინის შესაბამისად.

ამრიგად, ენობრივ მხარეს ბ.ზანდიგი განიხილავს როგორც პროცესის ნაწილს, მისი აზრით, ტექსტი იქმნება ცალკეული განმეორებადი პროცესის ნაკადში. „ტექსტი როგორც მთლიანი წარმონაქმნი არის რეზულტატი მრავალი ნაწილობრივი ქმედების პროცესისა" (SANDIG, 1983:91).

ბ.ზანდიგს შემოაქვს „ქმედების ნიმუშის" (Handlungsmuster) და „ტექსტის ნიმუშის" (Textmuster) ცნებები. „ნიმუში" ემყარება განმეორებადობის პრინციპს, მსგავსი ქმედებების კონტექსტები მსგავსი სიტუაციების შეფასებებს იწვევს, რასაც მოსდევს მსგავსი მიზნების წარმოქმნა, რომლებსაც კომუნიკაციის პარტნიორები ერთნაირ შედეგებამდე მიჰყავს. წინაპირობების, მიზანდასახულობისა და შედეგების ამგვარ ტიპურ ურთიერთდამოკიდებულებებს ეწოდება ქმედების ნიმუში. ენობრივი ქმედება შეიძლება განხორციელდეს ამ ნი-

მუშის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი (წინადადება, სიტყვა) წარმოითქმება. ქმედების ნიმუშისათვის წინასწარ შედგენილი გეგმის არსებობის პირობებში, რომელიც ტექსტის სახეობების (Textsorten) მიხედვით კონკრეტული ტექსტის შექმნას იწვევს, ტექსტის ნიმუში არის ქმედების ნიმუშისა და ტექსტის სახეობის კონვენციონალური ურთიერთდამოკიდებულების ასახვა. კონკრეტული (აქტუალიზირებული) ტექსტი იქმნება ინდივიდუალური გეგმის განხორციელებისა და ტექსტის ნიმუშის გამოყენების საფუძველზე, რაც აადვილებს როგორც მოლაპარაკის ენობრივ ქმედებას, ისე მსმენელის მხრივ მის გაგებასა და შედეგების მიღებას (SANDIG, 1983:92-93).

ნიმუშის ცნებას ბ. ზანდიგი აკონკრეტებს ისეთი ტექსტის სახეობების ანალიზით, როგორიცაა პიროვნების წარდგენა (Personaldarstellung), სამგლოვიარო განცხადება (Todesanzeige, Traueranzeige) და საქორწინო განცხადება (Heiratsanonce/Heiratsanzeige). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტერეოტიპულ მომენტებს. ასე მაგალითად, საგაზეთო ცნობაში პოლიტიკური პირების ატრიბუირება ხდება პოლიტიკური საქმიანობის და მოღვაწეობის სფეროს ხასგაზმით (der ägyptische Staatspräsident Sadat; Bundespräsident Schell; der niederländische Ministerpräsident Emst Albrecht). სამგლოვიარო განცხადებებს იგი ორი ვარიანტის სახით წარმოადგენს. ერთის მეშვეობით ხდება გარდაცვალების ფაქტის კონსტატაცია (Todesanzeige). მეორის მეშვეობით გარდაცვალების ნათესაური კავშირების გამოხატვა (Traueranzeige). ორივე ტექსტის ნიმუშისათვის დამახასიათებელია კონდენსირებული ფორმების გამოყენება (მაგალითად, კუთვნილებითი ნაცვალსახელისა: unsere gute Mutter, Oma, Tochter, Schwiegermutter und Schwester). ნათესაური კავშირების გამოხატვა ექვემდებარება განსაზღვრულ თანამიმდევრობას, რომელიც შეესაბამება ახლო და შორეულ ნათესავთა გრადაციას. პირველ რიგში ხდება ოჯახის წევრების და უახლოესი ნათესავების დასახელება, ხოლო შემდეგ თანდათან კლებულობს/იკლებს ნათესაური სიახლოვის ხარისხი.

ტექსტის ნიმუშის შექმნას კონკრეტული ტექსტის სახით განსაზღვრავს არა მარტო სტერეოტიპების წინასწარ შერჩევა, არამედ ტექსტის შექმნის პროცესში კომუნიკატორის ინდივიდუალური თავისებურებების რეალიზებაც. ამრიგად, ყოველი აქტუალიზებული ტექსტი ასახავს როგორც ზოგადი, სოციალურად დაკანონებული ნიმუშის, ისე ინდივიდუალური შემოქმედების თავისებურებებს (იქვე, 100).

ჰორსტ იზენბერგი თვლის, რომ ჯერაც არ შექმნილა დამაკმაყოფილებელი ტექსტების ტიპოლოგია, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა უკვე ცნობილ ტიპოლოგიებზე დაყრდნობით, რომლებიც ზოგად კომუნიკაციურ მოდელებზეა აგებული, ტიპოლოგია შეივსოს ახალი ვარიანტებით. ამასთანავე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მონოტიპურობის პრინციპს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ტექსტს დაეძებნოს უფრო მაღალი რანგის ტიპი, ხოლო ტექსტების ანალიზის აუცილებელი პირობა გახდეს მათი განხილვა მთლიანობაში. ტექსტები უნდა მივიჩნიოთ არა მიკროელემენტებისგან

შემდგარ ერთეულებად (ეს ხომ ყველა ტექსტის თვისებაა), არამედ მთლიან წარმონაქმნად, ერთიანი კომუნიკაციური ურთიერთობის ჩარჩოდ. ანალიზმა უნდა მოიცვას როგორც ზეპირი და წერილობითი, ისე მონოლოგური და დიალოგური ტექსტები.

ჰორსტ იზენბერგი თავის ტიპოლოგიას ათავსებს ოთხი გრაფისაგან შემდგარ მატრიცაში:

I	II	III	IV
ტექსტის ტიპის სახეობა	გლობალური შეფასების კრიტერიუმი	ფუნდამენტური ურთიერთობის მიზანი	ტექსტები (მაგალითები)
გნოსოგენური ტექსტი	თეორიული ადეკვატურობა	სოციალურად ორგანიზებული ცოდნის მოპოვება	მონოგრაფია, მეცნიერული დისკუსია, მეცნიერული სტატია და სხვ.
კოპერსონალური ტექსტი	პიროვნებათაშორისი კორექტულობა	ადამიანთაშორისი ურთიერთობის ფორმირება	ძალდაუტანებელი საუბარი რკინიგზის ვაგონის კუპეში, ოჯახურ ზეიმზე, ფამილარული საუბარი, პირადი წერილი და სხვ.
ერგოტროპული ტექსტი	საქმიანობის ეფექტურობა	საქმიანი ურთიერთობის პრობლემების მოგვარება	ინსტრუქცია, ექიმისა და პაციენტის საუბარი, რეპორტაჟი, ლექცია, პროკურორის (ადვოკატის) ზეპირი გამოსვლა სასამართლოს წინაშე და სხვ.
კალოგენური ტექსტი	ესთეტიკური ფუნქცია	სოციალური ფანტაზიის გაშლა	რომანი, სონეტი, ბალადა, დრამა, იგავი, ზღაპარი, ნოველა, ტრივიალური რომანი, დეტექტიური რომანი, რადიოპიესა და სხვ.
რელიგიოტროპული ტექსტი	რელიგიური განცდა	რელიგიური მუნყოფნის დაძლევა	ქადაგება, ლოცვა, აღსარება, ლიტურგიკული ტექსტები
ლუდოფილური ტექსტი	წამიერი თავშექცევა	საერთო მხიარულების გამოწვევა	გამოცნობანას თამაში, მუსაიფი, რებუსების გამოცნობა, ენის გასატები, თავსატეხი და სხვ.

(ISENBERG, 1984:266)

ამ ტიპოლოგიაში უგულებელყოფილია ტექსტის სახეობები (Textsorten – იერარქიულად ყველაზე დაბალი ერთეული). ჰ. იზენბერგის აზრით, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ტექსტის სახეობის ცნება დაექვემდებაროს რომელიმე ტიპს. მთავარია ტექსტები განთავსდეს ტიპების მიხედვით. მაგალითად, „წერილის“ ცნება არ შეიძლება ცალსახად რომელსამე ტიპს დავუქვემდებაროთ, მაგრამ ყოველი კონკრეტული წერილის დაქვემდებარება კი შესაძლებელია. იგი შეიძლება იყოს ერგოტროპული ან კოპერსონალური. იგივე ითქმის სხვა ტექსტებზეც. მეცნიერული ტექსტი შეიძლება იყოს გნოსოგენური (მონოგრაფია) ანდა ერგოტროპული (ლექცია). რელიგიური ტექსტი შეიძლება იყოს რელიგიოტროპული (ლოცვა) ანდა კალოგენური (რომანი რელიგიურ თემებზე).

ცოტა უფრო დაწვრილებით ჩერდება ჰ. იზენბერგი ლიტერატურულ ტექსტებზე, რომლებიც ძალიან ფართო ცნებას წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი ლიტერატურის სახეობებად მიიჩნევს რეპორტაჟს, წერილს, ბიოგრაფიას, მემუარებს, ესეს, მანიფესტს, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ნაწერებს, რომლებიც ჰ. იზენბერგის აზრით, არ არის ფიქციონალური. საპირისპიროდ ამისა კალოგენურ ტექსტებად იგი თვლის მხოლოდ ფიქციონალურ ლიტერატურულ ტექსტებს, რომელთა მიზანს შეადგენს სოციალური ფანტაზიის ისე წარმართვა, რომ მკითხველმა თავისი თავი ფიქციონალურ სამყაროში წარმოიდგინოს, თავისი გრძნობების, სურვილების გამომახსილი იქ ჰპოვოს და ა.შ. არაფიქციონალური ტექსტები კი ყოველივე ამას მოკლებულია (ISENBERG, 1984:167).

ვოლფგანგ მოჩი აღნიშნავს, რომ ტექსტების ანალიზის წინაპირობად „ენობრივი ქმედების“ გათვალისწინება იქცა. მიუხედავად ამისა ტექსტის ლინგვისტიკაში არც თეორიული საფუძვლები გამოირჩევა დიდი დამაჯერებლობით, არც საყოველთაოდ მისაღები დებულებებია შემუშავებული და არც პრობლემის წრეა შემოფარგლული. საკმარისი არაა სხვა მეცნიერებათა (როგორიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, საზოგადოებათმცოდნეობა) თეორიული დებულებების მოშველიება. ენობრივი ქმედების თეორიული აღქმისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა იმის ჩვენება, თუ რა შესაძლებლობებს გვთავაზობს ენა როგორც ქმედების განმახორციელებელი ინსტრუმენტი (MOTSCH, 1986:261).

ვ. მოჩი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ენობრივი ქმედების ცნების დაზუსტების მნიშვნელობას, კრიტიკულად განიხილავს პოტსდამის უმაღლესი პედაგოგიური სკოლის (PH Potsdam) ენათმეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პრინციპებს, რომლებიც ტექსტის ანალიზისათვის არის გამიზნული. იგი აკავშირებს ენობრივი ქმედების განხორციელებას ტექსტის შექმნასთან, დაწვრილებით ჩერდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ილოკუციური (ელემენტარული ენობრივი) ქმედებები, მათი ტიპები (მოლაპარაკის თხოვნა, დაპირე-

ბა, ბრძანება, შეკითხვა და ა.შ.), ტექსტები როგორც ქმედების სტრუქტურები და მათი ანალიზი ფუნქციონალურ-კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში.

ვ. მოჩის აზრით, ტექსტი, როგორც წესი, წარმოადგენს კომპლექსური ქმედების ერთობას („კომპლექსური" ნიშნავს „თავის თავში სტრუქტურირებულს" in sich strukturiert), რომელიც შედგება ელემენტარული ნაწილობრივი ქმედებებისგან, ტექსტს საფუძვლად უდევს ქმედების გეგმა. ტექსტის ანალიზი ნიშნავს მოვახდინოთ ამ გეგმის რეკონსტრუქცია. ილოკუციური ქმედების გეგმა გვთავაზობს ანალიზის ინსტრუმენტს, თუ დავუშვებთ, რომ ეს გეგმა შეიცავს მიზნებს, გვექნება ჩარჩო, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ილოკუციური ქმედებების დაკავშირების სახეები ტექსტში. დაკავშირება შეიძლება იყოს: 1)კოორდინაციული, როდესაც ხდება 2-დან n-მდე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქმედების დაკავშირება მიზნის მისაღწევად. კოორდინაციული ქმედებების კომპლექსური დაკავშირების შემთხვევა გვხვდება მაგ. ისეთ ტექსტებში, როგორიცაა შეტყობინება რაიმე მოვლენაზე; წერილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, დაპირებას ანდა თხოვნას; 2)სუბორდინაციული, რომელიც გულისხმობს ქმედების მიზნების იერარქიას, არსებობს ერთი დომინირებული ილოკუციური ქმედება, რომლის შესასრულებლად საჭიროა სხვა სუბორდინაციული ქმედებების განხორციელება. ტიპური მაგალითი ამ მიმართების საილუსტრაციოდ შემდეგია: ვინმეს უნდა სურათი დაკიდოს კედელზე. იგი დგას კიბეზე და ეუბნება იქვე მდგომს: – მომეცი გეთაყვა ჩაქუჩი! კიბეზე ვერ ჩამოვალ, სურათი მიკავია ხელში. – აქ ივარაუდება სამი ილოკუციური ქმედება: თხოვნა, მტკიცება, და ინფორმაცია, რომელთაგან თხოვნა არის დომინირებული, მტკიცება სუბსიდირებული (დამხმარე) ქმედება თხოვნის მიმართ, ხოლო ინფორმაცია-მტკიცების მიმართ. იქმნება სამსაფეხუროვანი იერარქია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ილოკუციური სტრუქტურა. ამ ცნების შემდგომი დაკონკრეტება და განვითარება სავსებით შესაძლებელია და სასურველი. იგი არ არის საკმარისი ტექსტების აღწერისათვის ქმედების თეორიის პოზიციიდან, განაგრძობს ვ.მოჩი. ღიად რჩება კითხვა: დაკვირვების რა დონეები უნდა შევიდეს ტექსტის ანალიზში ქმედების თეორიის თვალთახედვით? ყოველ დონეს შეესაბამება თავისი ცოდნის სისტემა, რომელიც ვლინდება, რათა თეორია ზოგად თეორიად არ დარჩეს და მან კონკრეტული ანალიზისთვის მკაფიო ორიენტირები მონიშნოს (MOTSCH, 1986:274, 277).

ილოკუციური სტრუქტურების კონცეპტის გამოყენებას ტექსტების ანალიზისთვის რამდენიმე ნაკლი აქვს, შენიშნავს ვ. მოჩი. მათ შორის იგი შემდეგს ასახელებს:

ილოკუციური სტრუქტურები აქვთ ტექსტებს, რომლებსაც მოლაპარაკე ქმნის. მაშასადამე, ეს არის ან მონოლოგური ტექსტი ან დიალოგის მონაწილის ცალკეული (ნაწილობრივი) ტექსტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საუბრის რომელიმე საფეხურს (ნაბიჯს) და დაკავშირებულია საუბრის გარკვეულ ტიპთან. მისი იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს მთლიან ტექსტთან მიმართებაში.

გასარკვევია, რა არის საუბრის შესაძლო მიზნები და რა როლს ასრულებენ ილოკუციური სტრუქტურები ერთ საუბრად შეკრული წარმონაქმნის ცალკეულ მონაკვეთში. თვით მონოლოგური ტექსტის ანალიზის დროსაც კი შეიძლება მოხდეს ილოკუციური სტრუქტურების პრინციპის უარყოფა. ამას გარდა არსებობს ტექსტის სტრუქტურის ასპექტები, რომელთა შესაცნობად მარტოოდენ ილოკუციური სტრუქტურის ცნება საკმარისი არ არის. მაგ., მოთხრობები ავლენენ სპეციფიკურ კომპოზიციურ სტრქუტურას. არის თუ არა კომპოზიციური ერთეულები ილოკუციური სტრუქტურები და როგორ მიმართებაშია ისინი მოთხრობის მთლიან სტრუქტურებთან? შეიძლება ასეთი კითხვაც დაისვას: არსებობს თუ არა ტექსტის სახეობის (Textsorte) მიზნებისთვის განსაკუთრებული ტიპების დადგენის აუცილებლობა? ეს კითხვა უპასუხოდ რჩება. ვ. მოჩის დასკვნა ასეთია: ერთი მხრივ, შეიძლება დაშვება, რომ ილოკუციური სტრუქტურები ტექსტის სტრუქტურის არსებითი კომპონენტია, ხოლო, მეორე მხრივ, შემოთავაზებული კატეგორიები ბუნდოვანია (შდრ. KVM – Kommunikationsverfahren, KP – Kommmunikationspläne, FKM – funktional-kommunikative Merkmale) და ვერ უზრუნველყოფენ ენობრივ სტრუქტურებსა და ქმედების სტრუქტურებს შორის არსებული სისტემური დამოკიდებულებების დადგენას. არ არის ნათელი, თუ რა გზით და როგორ უნდა მოერგოს კომუნიკაციური გეგმები ტექსტის ენობრივ დონეებს. უახლოეს მომავალში ამ თეორიას არ ძალუძს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა. იგი თეორიულად სუსტი და პრაქტიკულად ნაკლებ გამოსაყენებელი ჩანს (MOTSCH, 1986:281).

7.2. წერისმცოდნეობის ახალი პარადიგმა (გ. ანთოსი)

გერდ ანთოსი შეგვახსენებს საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ დამწერლობის არსებობა ერის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. მართალია, ფერდინანდ დე სოსიურის შემდეგ ენათმეცნიერებაში წინა პლანზე წამოიწია წარმოთქმულმა სიტყვამ (ზეპირმეტყველებამ – die gesprochene Sprache), მაგრამ მისი ფაქტობრივი გათანაბრება წერილობით ენასთან მაინც არ მოხდა და ტრადიცია ტრადიციათვე დარჩა (ANTOS, 1989:224).

მიუხედავ იმისა, რომ წერილობითი ენის პრესტიჟულობა არა თუ კლებულობს, არამედ იზრდება კიდეც და ენათმეცნიერთა ყურადღება მისადმი არ ნელდება, ბევრი პრობლემა გადაუჭრელია. მრავალი კითხვა, რომელიც თითქოსდა თავისთავად ცხადია და მასზე პასუხის გაცემა ძნელი არ უნდა იყოს, უპასუხოდ რჩება, ასეთია მაგალითად, ენის დიდაქტიკაში წამოჭრილი კითხვები: რა უნდა მოიმოქმედოს დამწერმა, რომ ტექსტი შეადგინოს? წერილობითი მოღვაწეობის რა საფეხურებს მოიცავს წერის პროცესი? რა კავშირშია წერილობით მოღვაწეობასა და კოგნიტიურ პროცესებს შორის? რა ზემოქმედებას ახდენს წერის პროცესზე წერის ჩვევა და ფორმულირების სიძნელე? რა განსხვავებაა კვალიფიციურ დამწერსა (მწერალსა) და ახალბედას (მაგ., მოსწავლეს) შორის? არსებობს თუ არა წერის სტრატეგიები, რომლებიც ითვალის-

წინებენ კომუნიკაციის ამოცანებისა და კომუნიკატორის სპეციფიკას? დაბოლოს, როგორ შეიძლება წერის პროცესზე ორიენტირებული დაკვირვებების გამოყენება დესკრიპციული ენის დიდაქტიკაში?

70-იანი წლებიდან ამ საკითხებმა აშშ-სა და კანადის ენათმეცნიერთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი დისციპლინის წერისმცოდნეობის (Schreibforschung) დაფუძნება. მანამდე არსებული პრაქტიკული სტილისტიკა და ე.წ. წერილების ნიმუშთა კრებული (Briefsteller) გვთავაზობდნენ სამი ძირითადი მომენტის გათვალისწინებას: 1. კლასიკური რიტორიკის ტრდიციების დაცვას, კერძოდ, ტექსტის შედგენის ტექნიკური ხერხების სწავლებას, ტოპიკების, ფიგურების და მისთ. გამოყენების ჩვევების დანერგვას; 2. წერის სწავლების პრესკრიფციული ხასიათის გათვალისწინებას. ე.ი. ყურადღების გამახვილებას ენობრივ და სოციალურ ნორმებზე; 3. ტექსტების შედგენის რეკომენდაციების მიზნად არა ტექსტების შედგენის პროცესის, არამედ მისი შედეგის დასახვას (ტექსტი განიხილებოდეს როგორც წერილობითი მოღვაწეობის პროდუქტი) (ANTOS, 1989:225).

გ.ანთოსი წერისმცოდნეობის ახალ პარადიგმას უკავშირებს წერის სტრატეგიების სხვადასხვა პარამეტრებს, როგორიცაა. კვალიფიციურობა, ჩვევები, ადრესატის მოლოდინი, ტექსტის ნიმუში და მისთ. ამასთანავე ცენტრალურ ადგილს დესკრიფციული პერსპექტივა იჭერს. წერა განიხილება როგორც ეგზოტეტური კოგნიტიური პროცესი, ხოლო დამწერი როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელი სისტემა. მთავარია, გაირკვევს, რა კოგნიტიური ოპერაციები უნდა განახორციელოს დამწერმა, რომ ტექსტი მიზნის შესატყვისად და ადრესატის მოთხოვნების გათვალისწინებით შეადგინოს. რა კოგნიტური ჩვევები უნდა ედოს საფუძვლად ამ ოპერაციებს? როგორ ხდება ამ ჩვევების გამომუშავება?

ეს ახალი მიმართულება ითვალისწინებს ისეთ ფაქტორს, როგორიცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული ფონი. საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარება მოითხოვს განსაზღვრული პოლიტიკური ღონისძიებების გატარებას, პროფესიების მიხედვით კომუნიკაციის წერილობითი ფორმების რიცხობრივ და თვისებრივ ზრდას. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ამაღლებას თან სდევს ინფორმაციის დაფიქსირების ხერხების გაუმჯობესება, რომელიც გამიზნულია განსაზღვრული კატეგორიის ადამიანებისათვის (იქნება ეს მენეჯერი, პოლიტოლოგი, მასწავლებელი თუ მოსწავლე). მკვლევრები ხაზს უსვამენ გამოყენებით კოგნიტიურ ასპექტს, რომელიც წერისმცოდნეობაში აერთიანებს კოგნიტიური და პედაგოგიური ფსიქოლოგიის, ენის დიდაქტიკის, ლინგვისტიკის, უპირველეს ყოვლისა სინტაქსისა და **ტექსტის ლინგვისტიკის** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.), აგრეთვე კომპიუტერული ლინგვისტიკის ელემენტებს (იქვე, 226-227).

სხვა ფაქტორებიდან გ. ანთოსის მიერ გამოყოფილია:

= ემპირიული მიდგომის გამოყენება წერისმცოდენობაში (დამწერს უნდა შეეძლოს აზრობრივი კავშირებისა და გრძნობების ვერბალიზება);

- თეორიული ჩარჩოს გააზრება (წერა უნდა განიხილებოდეს როგორც პრობლემის გადაჭრის მიზანმიმართული პროცესი. ტექსტების შედგენა ისეთივე პროცესია, როგორც საერთოდ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა);

- წერის პრობლემის გადაჭრის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ინტენციების დაფიქსირებას და დიფერენცირებას, ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი აზრების დაწმენდას, მათ მკაფიოდ გამოხატვას. ამრიგად, წერა შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ადრესატზე ზემოქმედებისკენ მიმართულ საქმიანობად, არამედ აგრეთვე **ავტორის კომუნიკაციად თავის თავთან** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.) (ANTOS, 1989:227-229).

კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე ორიენტირებული კონცეფციები, რომლებიც საფუძვლად ედება ტექსტების კლასიფიკაციას შეიძლება შეფასდეს შემდეგნაირად:

განხილული კონცეფციები საერთოდ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში თავსდება, მაგარამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან კრიტერიუმების შერჩევისა და ტაქსონომიური ერთეულების გამოყოფის მხრივ. **ფუნქციონალურ-სტილისტიკური ტიპოლოგია** ტაქსონომიურ ერთეულებს გამოყოფს სტილებთან მიმართებაში. მდრ., ტექსტის სუპერკლასი – მეგასტილი, ტექსტების ფუნქციონალურ-კომუნიკაციური კლასი – ფუნქციური სტილი და ა.შ. **ფუნქციონალურ-კომუნიკაციური** ტიპოლოგია უპირატესობას ანიჭებს ორ კრიტერიუმს: კომუნიკაციის პარტნიორებთან მიმართებას და კომუნიკაციურ პლანს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მიმართულების წარმომადგენლები უთმობენ **კომუნიკაციური ქმედების ცნებას**. ზოგი მკვლევარი წინა პლანზე წამოსწევს ტექსტის ექსტერნულ ფაქტორს და ტექსტების ტიპოლოგიას საფუძვლად უდებს დომინანტურ კომუნიკაციურ ქმედებას. სხვანი ტექსტების ტიპოლოგიის განხორციელების აუცილებელ პირობად აყენებენ ქმედების მოდელის წარმოდგენას პროცესუალური აქტის სახით, ყოველ კონკრეტულ ტექსტში ხედავენ სოციალურად დაკანონებული ნიმუშისა და ინდივიდუალური შემოქმედების სიმბიოზს. შეინიშნება აგრეთვე მცდელობა ცნობილ ტიპოლოგიებზე დაყრდნობით ახალი ვარიანტების შექმნისა. ასეთია მაგალითად, **მონოტიპურობის პრინციპზე აგებული ტიპოლოგია**, რომელიც გულისხმობს ყოველი ტექსტისთვის მასზე უფრო მაღალი რანგის ტიპის დაძებნას, ტექსტების მოაზრებას ერთიანი კომუნიკაციური ურთიერთობის ჩარჩოდ და მათ განხილვას მთლიანობაში. მკვლევართა ერთი ნაწილი **კრიტიკულად უდგება ტექსტების ტიპოლოგიის შექმნას ენობრივი ქმედების ცნებაზე დაყრდნობით**. მათი აზრით, ილოკუციური სტრუქტურების კონცეპტი არ არის საკმარისი ტექსტების ანალიზისთვის, საკითხავია, არის თუ არა ყველა ტექსტის (მაგალითად მოთხრობის) კომპოზიციური ერთეულები ილოკუციური სტრუქტურები ან როგორ შეეფარდებიან ისინი მთლიან ტექსტს.

ყველა ზემოხსენებულ თვალსაზრისს უპირისპირდება კონცეფცია, რომელიც ტექსტის პრობლემებს უკავშირებს წერისმცოდნეობას, ყურადღებას ამახვილებს წერილობითი მოღვაწეობის კავშირზე კოგნიტიურ პროცესებთან და ტექსტების შედგენის რეკომენდაციების მიზნად სახავს არა შედგენის პროცესს, არამედ პროცესის შედეგს. იგი კრიტიკულად უდგება ტექსტისა და სამეტყველო აქტების ურთიერთმიმართებას. თუმცა კომუნიკაციურმა ლინგვისტიკამ ძირითად ნიშნად ქმედება წამოსწია წინა პლანზე, კავშირი „ტექსტსა" და „ქმედებას" შორის ნათლად გარკვეული მაინც არ არის („[...] ist bis heute der Zusammenhang zwischen „Text" und „Handlung" alles andere als klar."). რაც უფრო მეტად ხდება ისეთი ცნებების დამუშავება, როგორიცაა „ლოკუციური", „პროპოზიციული", „ილოკუციური" და „პერლოკუციური", წერენ ამ მიმართულების წარმომადგენლები, „მით უფრო ბუნდოვანი ხდება „ტექსტის" როგორც „ქმედების" გლობალური განსაზღვრა" ("[...] um so unklar wird globale Bestimmung des „Textes" als „Handlung") (ANTOS, 1987:170-171).

7.3. კომუნიკაციის მედიუმის სპეციფიკა და კომუნიკაციური დისტანციის პრაგმატიკა როგორც ტექსტების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი

მრავალრიცხოვანი კლასიფიკაციებისა და ტიპოლოგიების არსებობის პირობებში ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია ახალი ტიპოლოგიის შექმნა მით უფრო, რომ მონოგრაფიაში შემუშავებული კონცეპტის შესაბამისად ლოგიკური იქნება ტექსტების კლასიფიცირება ძირითად პარამეტრზე – კომუნიკაციურ არხზე – ორიენტირებით.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში წინა პლანზეა წამოწეული კომუნიკაციის მედიუმის კრიტერიუმი და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პარტნიორების დროით-სივრცითი მიმართება. იგი არ წარმოადგენს „აღმოჩენას", რადგანაც ახალს არაფერს იგონებს და უკვე არსებული კლასიფიკაციების და ტიპოლოგიების გამოცდილებას ითვალისწინებს. ეს არის მხოლოდ **ახალი ვარიანტი**, ხოლო სიახლე მდგომარეობს მონოგრაფიის კონცეპტის ლოგიკურ განვითარებაში და კრიტერიუმების სათანადო კონსტელაციაში.

კომუნიკაციის უმაღლესი ენობრივი ერთეულების კლასიფიკაცია (ძირითადი პარამეტრი – კომუნიკაციის არხი)

1.	კომუნიკაციური ერთეული	ტექსტი	დისკურსი
2.	ტექსტისა და დისკურსის ნიმუში	ფიქციონალური ტექსტები: პროზაული (რომანი, ნოველა, ზღაპარი...), პოეტური (ლექსი, პოემა, სონეტი, ბალადა...);	სპონტანური საუბარი (ქუჩაში, ექიმთან, ტრანსპორტში...); ფამილარული საუბარი მეგობრებს შორის; საუბა-

		რელიგიური ტექსტი; სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია; საქმიანი წერილი; დიპლომატიური, ოფიციალური, საგაზეთო ტექსტები; ინსტრუქცია, ბრძანება, ბრძანებულება; სამართლებრივი ტექსტი (კოდექსი, ბრძანებულება, ხელშეკრულება...) და მისთ.	რი ოჯახურ გარემოში; შემეცნებით-აღმზრდელობითი საუბარი სკოლაში; ზეპირი კამათი ოფიციალურ სიტუაციაში, სამეცნიერო კონფერენციაზე და მისთ.
3.	ენობრივი ქმედება	წერა	ზეპირი მეტყველება
4.	ენობრივი ნიშანი	გრაფემა	ფონემა
5.	აქტუალიზება	ხელნაწერი, მანქანაზე დაბეჭდილი, ტიპოგრაფიული წესით ან კომპიუტერზე აწყობილი	ზეპირად წარმოთქმული
6.	კომუნიკაციური დისტანცია	გაშუალებული, დროსა და სივრცეში დაშორებული, გათიზმატურ ველზე გაშლილი	დეიქტურ ველში კომუნიკაციის პარტნიორის თანდასწრებით წარმოთქმული
7.	რეცეფცია	ვიზუალური	აუდიო
8.	კომუნიკაციის პარტნიორი	დამწერი – ტექსტი – მკითველი	მოლაპარაკე, მსმენელი

მატრიცა შედგება სამი ვერტიკალური და რვა ჰორიზონტალური გრაფისაგან. ძირითადი პრინციპი, რომელსაც კლასიფიკაცია ეფუძნება, არის კომუნიკაციის არხის სუბსტანციური პარამეტრის დომინირება და კრიტერიუმების მასთან შესაბამისობაში მოყვანა. გამოყოფილია ორი უმაღლესი კომუნიკაციური ერთეული (1), რომლეთა ნიმუშების იდენტიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, წერილობითი მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენენ ისინი, თუ ზეპირმეტყველებით წარმონაქმნს (2). შემდგომი კრიტერიუმები ასახავენ კომუნიკაციის პროცესის ცალკეულ საფეხურებსა და მათ სპეციფიკას კომუნიკაციის არხისა და კომუნიკაციური დისტანციის ჭრილში. ეს კრიტერიუმებია: ენობრივი ქმედების სახე (3), შერჩეული ენობრივი ნიშანი (4), კომუნკაციის უმაღლესი ერთეულების აქტუალიზების გზა (5), კომუნიკაციური დისტანცია (6), რეცეფციის სახე (7), კომუნიკაციის პარტნიორთა კლასები (8).

კომუნიკაციის ორ ძირითად ერთეულს შეიძლება დაემატოს მესამე – შერეული, რომელშიც ერთი კომუნიკაციური ამოცანის გათვალისწინებით და ორსახა ენობრივი ერთეულების სახელწოდებით გაერთიანდებიან განსაზღვრული ნიმუშები. ამასთანავე „შერეული“ ნიშნავს არა ერთმანეთში გათქვეფილს და ახალი სახის ამალგამას, არამედ ერთ გაერთიანებულ კლასში ერთი მეორის

გვერდით თანამყოფს. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნება წარმონაქმნები, რომლებიც საპირისპიროდ ალტერნატიული ერთეულებისა (ან ტექსტი, ან დისკურსი), საწყისეულად შეიძლება ორსახა იყოს – როგორც ტექსტი, ისე დისკურსი. ასეთია მაგალითად, რეპორტაჟი, ბრძანება, მისამძიმრება, მილოცვა, ანეკდოტი, ლექცია, მოხსენება და მისთ. აქვე შეიძლება გამოიყოს ქვეკლასი ისეთი ერთეულებისა, რომლებიც წერილობითი ფორმიდან ზეპირში გადადიან, და პირუკუ, ან საწყისეულად ზეპირი ფორმით არსებობდნენ და შემდეგ წერილობით დაფიქსირდნენ. ასეთი წარმონაქმნების ინტერპრეტაცია უნდა ითვალისწინებდეს ამ წინაპირობებს. მათ ალბათ დაღს ასვამს ასეთი გარდაქმნა, მაგრამ ყველა ვითარებაში ტექსტი მაინც ტექსტად რჩება და დისკურსი დისკურსად.

მეშვიდე ქვეთავის დასკვნები

1. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე ორიენტირებული თითქმის ყველა ტიპოლოგიისათვის დამახასიათებელია ქმედების თეორიაზე დაყრდნობისა და ილოკუციური სტრუქტურების გამოყენების აშკარა თუ ფარული მცდელობა ტექსტების კლასიფიკაციის საკუთარი კონცეპტის შექმნაში. ყოველი მათგანი თავისებურად ამდიდრებს ტექსტების ტიპოლოგიის თეორიას. თითოეულ მათგანში არის საყოველთაოდ მისაღები პოზიციები, რომელთა უკუგდება შეუძლებელია, თუმცა არც იმაზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ მათ ნაკლიც აქვთ, როგორიცაა მაგალითად, ენობრივ და ქმედების სტრუქტურებს შორის არსებული მიმართებების შეუსაბამობა. ფუნქციონალურ-კომუნიკაციური თეორია ტექსტების ტიპოლოგიას საფუძვლად უდებს ექსტერნულ ფაქტორებს, ქმედების სტრუქტურებს, კოგნიტიურ პროცესებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ტექსტის ინტერნულ სტრუქტურას, მის სუბსტანციურ და ენობრივ მახასიათებლებს. იგი პრინციპში არ იზიარებს განსხვავებას წერილობით მოღვაწეობასა და ზეპირმეტყველებას, წერასა და ლაპარაკს, შესაბამისად, ტექსტსა და დისკურსს შორის.
ფუნქციონალურ-კომუნიკაციური და სამეტყველო აქტების თეორიების წარმოშობა და დამკვიდრება მიმართებაშია განსაზღვრულ ლინგვისტიკურ მიმართულებასთან. შექმნილია სოლიდური ენათმეცნიერული ლიტერატურა, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ ესა თუ ის პრობლემა მათთვის საინტერესო რაკურსში გადაჭრან, მათი კვლევის შედეგებს უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.
2. ერთამანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სამეტყველო აქტისა (Sprechakt) და ენობრივი ქმედების (sprachliches Handeln) ცნებები, პირველი დარჩეს ზეპირი მეტყველების ტერმინოლოგიურ ველში, მეორე ჩაითვალოს ზოგად (გვარეობით) ცნებად, რომელიც მოიცავს როგორც წერილობით ქმედებას, ისე სამეტყველო აქტს, და გავრცელდეს ენობრივი მოღვაწეობის ორსავე სახეზე – წერილობით ენასა და ზეპირმეტყველებაზე.

3. ტექსტების კლასიფიკაცია სხვადასხვა პრინციპის მიხედვით ხდება, თუმცა ყველა მათგანი ენის გამოყენების ექსტერნულ და ინტერნულ ფაქტორებს შორის თავსდება. ტექსტის ტაქსონომიური ერთეულის გამოყოფის კრიტერიუმი შეიძლება იყოს სემანტიკური, სტრუქტურული, პრაგმატიკული, კოგნიტიური, ფუნქციონალურ-კომუნიკაციური და ა.შ., ან ამ კრიტერიუმის სპეციფიკური კონსტელაცია.
4. ტექსტების კლასიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ენობრივი კომუნიკაციის შედიუმი (არხი) და კომუნიკაციური დისტანციის პრაგმატიკა. ამ კრიტერიუმის გამოყენება საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს კომუნიკაციის ორი ძირითადი ერთეული (წერილობითი – ტექსტი, ზეპირი – დისკურსი), აღიწეროს მათი ონტიური მახასიათებლები და ფუნქციები. კომუნიკაციის არხის სუბსტანციური სპეციფიკის და კომუნიკაციის მონაწილეთა დროით-სივრცითი დისტანციის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა არ ნიშნავს სხვა კრიტერიუმების უგულებელყოფას. ტექსტის ინტერპრეტაციის დროს საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაირთოს სხვა კრიტერიუმებიც. თუ მაგალითად, ვაანალიზებთ ფიგურულ ტექსტს და ინტერპრეტაციას წარვმართავთ მისი ტოპოლოგიური ჩარჩოსა თუ გრაფემულ-გრაფიკული ფენის პუანტირების პრიმატით, იქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს არის, ვთქვათ, ესთეტიკური ფუნქციის მქონე კალოგენური ტექსტი (დადაისტური პოეზიის ნიმუში), ან თავშესაქცევი ლუდოფილური ტექსტი (კონკრეტული ან აბსურდისტული პოეზიის ნიმუში).

თავი III

ტექსტის მოდელირების მცდელობა

8.0. ბათიზმატური ველი როგორც ტექსტის ინტერნული მოდელი

ტექსტების მოდელირება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული იმის გამო, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია და აგებულება მრავალსახოვანი. როგორც ცნობილია, მოდელირება გულისხმობს არა რეალური ობიექტის, არამედ მისი თეორიული ანალოგის შექმნას. გამოცდილებაში მოცემული რეალური ობიექტი ჩვეულებრივ იმდენად რთულია და მრავალწახნაგა, რომ თითქმის შეუძლებელია მისი ასახვა ერთ მოდელში. ამიტომ არის გამართლებული რეალური ობიექტის ერთი რომელიმე მხარის შესწავლა განსაზღვრული ასპექტით და მოდელირება როგორც წინასწარ შერჩეული ენობრივი მოღვაწეობის შედეგისა, რომლის სუბსტრატს ვიზუალურად აღქმადი გრაფემულ-გრაფიკული ტექსტურა შეადგენს. ტექსტის ამ ალიენაციური თვისებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტექსტის მოდელის კონსტრუირება ბათიზმატური ველის სახით.

ტერმინი „ბათიზმატური", ზემოთ უკვე იყო ნახსენები და მოკლედ განმარტებული (იხ. თავი I, 2.0, 2.2; თავი II, 6.0.). ახლა გვინდა ნათქვამს ცოტა რამ დავუმატოთ. იმ მიზნით, რომ ბათიზმატური ველის კონტურები უფრო მკაფიოდ გამოიხატოს, მოვიშველიებთ „ბათუსის" ჰაიდეგერისეულ განმარტებას.[4] ლოგოსის შესახებ ჰერაკლიტეს მოძღვრების ინტერპრეტაციის დროს ჰაიდეგერი წერს, რომ ლოგოსი არის „ბათუსი" – ღრმა. „Meistens verstehen wir wie bereits vermerkt, die Tiefe nur aus der Gegenrichtung zum Hohen und zur Höhe. Die Tiefe erhält sodann die Richtung nach unten und hinab. Wir sprechen von einem „tiefen Wald", auch Homer gebraucht in der Ilias schon diese Redewendung" (HEIDEGGER, 1994:282). ჰაიდეგერი თარგმნის „ბათუსს" არა

[4] მარტინ ჰაიდეგერი მსჯელობს არა „ბათოსზე", არამედ „ბათუსზე". ბენსელერის ლექსიკონში პირველი განიმარტება როგორც „სიღრმე", მეორე როგორც „ღრმა" (BENSELERS GRIECHISCH-DEUTSCHES..., 1981:131-132).

როგორც 'tief', არამედ როგორც 'weitgewesen, weitwesend' (HEIDEGGER, 1994:305). თუ „ბათუსის" ასეთ გეგბას გადავიტანთ ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე, ტექსტი შეიძლება წარმოვიდგინოთ ბათიზმატური ველის სახით, რომელიც განფენილია სივრცეში, სადღაც იწყება, პერსპექტივაში იშლება და რომელიღაც მონაკვეთზე დასასრულს აღწევს. დეფინიენდ „ბათიზმატურის" მეშვეობით გვინდა წინა პლანზე წამოვწიოთ ტექსტის კონსტრუქციის ძირითადი პარამეტრი და ამით დავაფიქსიროთ მისი სპეციფიკა განსხვავებით საყოველთაოდ აღიარებული პარადიგმატული და სინტაგმატური ველებისაგან.

8.1. ტექსტემისა და ენგრამის ცნებები

ტექსტის, როგორც კონსტრუქტის, მოდელირებასთან დაკავშირებით ფონემის, მორფემის და ა.შ. ანალოგიით, ლინგვისტიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „ტექსტემა", რომელიც არაერთმნიშვნელოვნად გაიგება. ერთ შემთხვევაში მის დენოტატად მიჩნეულია წინადადება როგორც ტექსტის ინტეგრანტი (AGRICOLA, 1979:32-33), მეორე შემთხვევაში – თავად ტექსტი როგორც ემიკური ერთეული (BUßMANN 1990, CONRAD 1985, DUDEN 1976-1981– სალექსიკონო სტატიები 'Textem').

ტექსტემის ორივე გაგება სადავო რჩება. ემიკური ერთეული, თუ ამ ტერმინით აღვნიშნავთ სისტემის დონის საბაზისო სიდიდეს, როგორიცაა ფონემა ფონოლოგიაში, მორფემა მორფოლოგიაში და ა.შ. ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე შეიძლება იყოს ტექსტემა. ამ ტერმინით უნდა აღინიშნოს აქტუალიზებული ტექსტების აბსტრაჰირებული მენტალური ანალოგი და არა ტექსტის უმცირესი შემადგენელი – წინადადება. ემიკური ერთეულის ერთ-ერთი ძირითადი თვისება არის ის, რომ ყოველი მათგანი არის საბაზისო სიდიდე მოცემული დონისა და ინტეგრანტი იერარქიულად უფრო მაღალი დონისა. ფონემა არის საბაზისო ერთეული ფონოლოგიის დონისა და ინტეგრანტი მორფოლოგიის დონისა, მორფემა არის საბაზისო ერთეული მორფოლოგიის დონისა და ინტეგრანტი სინტაქსური დონისა და ა.შ. თუ ანალოგიურად განვაგრძობთ მსჯელობას, რა უნდა ვთქვათ? ტექსტემა არის ინტეგრანტი ტექსტისა? მაგრამ ეს ხომ არაადეკვატური გამოთქმაა. ხომ ვერ ვიტყვით ფონემა არის ინტეგრანტი ფონისა. გრაფემა არის ინტეგრანტი გრაფისა. ყოველი საბაზისო ერთეული ხომ გამოიყოფა თავის დონეზე, შედის ინტეგრანტად უფრო მაღალი დონის ერთეულში და იქ არარელევანტური ხდება. წინადადება, რაც არ უნდა დავარქვათ მას (ვთქვათ სინტაქსემა), სინტაქსის საბაზისო ერთეულია და არა ტექსტის ლინგვისტიკისა. აქ იგი ინტეგრანტია და არა საბაზისო ერთეული.

ამრიგად, ტექსტემა განიმარტება, ერთი მხრივ, როგორც ტექსტის უმცირესი შემადგენელი ერთეული, მისი ინტეგრანტი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ტექსტის ლინგვისტიკის საბაზისო ერთეული.

არსებობს კიდევ ტექსტის მესამე გაგება, რომელიც მერყეობს ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების ზღვარზე. ტექსტემად მიჩნეულია ლიტე-

რატურულ ნაწარმოებთა განსაზღვრული კლასის აღწერის მოდელი, რომელიც მოიაზრება როგორც შუალედური საფეხური ტექსტის სიღრმულ სტრუქტურასა და აქტუალიზებულ ტექსტს შორის (შდრ. ოპოზიციები: სიღრმული სტრუქტურა – ზედაპირული სტრუქტურა, ლანგი – პაროლი). ტექსტემა წარმოადგენს მოცემული ტექსტების კლასის სემანტიკურ საბაზისო სტრუქტურას. ტექსტემის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად სიკვდილის როკვა (Totentanz) როგორც ამ კლასის ტექსტების ყველა შინაარსების ჯამი ან სემანტიკური ბაზისი. სიკვდილის როკვის ტექსტებს აერთიანებს განსაზღვრული ინტენციები, როგორიცაა ადრესატის ზნეობრივი განწმენდა, ღვთისმოსაობისა და მორჩილებისაკენ მოწოდება, ზნეობისა და უზნეობის გააზრება, ეკლესიის გავლენის გაძლიერება და ა.შ. მათი ძირითადი პოზიციაა „ადამიანი მოკვდავია" (Alle Menschen müssen sterben). სიკვდილის როკვის ტექსტის აქტუალიზება ვარიანტული ტექსტემის ბაზაზე ხდება. ეს შეიძლება იყოს: თეოლოგიური განსჯა, ლიტერატურა *memento mori*, სიკვდილთან გაბაასება, მიცვალებულთა ჩივილი, ხალხური ლექსი სიკვდილის თემაზე და ა.შ. (HEINEMANN, 1985:236–240).

წინამდებარე მონოგრაფიაში გაზიარებულია ტექსტემის მეორე გაგება. „ტექსტემით" აღინიშნება ტექსტოლინგვისტიკური დონის საბაზისო ერთეული ფონემის, მორფემის, გრაფემის და ა.შ. ანალოგიით, რომლებიც ადამიანის მეხსიერებაში ტოვებენ კვალს და იქ არსებობენ განსაზღვრული ხატებისა და ფიგურების სახით. მათ ენგრამებს უწოდებენ (ULMANN, 1972:24-28). ენგრამა განიმარტება როგორც Gedächtnisspur geistiger Eindrücke, schlummerndes Erinnerungsbild; eigtl. Inschrift, ხოლო ენგრაფია როგორც Aufbewahrung der Gedächtniseindrücke (WAHRIG, 1986:212). სავსებით შესაძლებელია დაშვება ტექსტის ენგრამული კვლევისა, რომელიც ფიქსირდება ადამიანის მეხსიერებაში და სათანადო შემთხვევაში აქტუალიზდება, ე.ი. კონკრეტულ მატერიალურ (გრაფემულ-გრაფიკულ) სახეს იღებს. ტექსტის ენგრამა არის არა მარტივი ნიშანი ან სიმბოლო, არამედ ნიშნებისა და სიმბოლოების კონფიგურაცია.

შტეფენ ულმანის ენგრაფული სამრიგიანი მატრიცა:

1.	physikalische Analyse	Phonem	unterscheidet	Phonologie
2.	semantische Analyse	Wort	bezeichnet	Lexikologie
3.	Analyse der Beziehungen	Syntagma	drückt Beziehungen aus	Syntax

შეიძლება შეივსოს მეოთხე რიგით:

4.	Interpretation	Textem	macht verständlich	Textlinguistik

რაც შეეხება ტექსტის როგორც ერთიანი ენობრივი გრაფემულ-გრაფიკული წარმონაქმნის შინაგანი მოწყობის, ზედაპირული და სიღრმული პარამეტრების კვლევას, უნდა ითქვას შემდეგი:

თუ განვეყენებით აქტუალიზებული ტექსტების n-რაოდენობას და მოვინდომებთ მოდელის შექმნას, ერთ-ერთ შესაძლო საფუძვლად შეიძლება ავიღოთ ველის ცნება. ეს არ იქნება პარადიგმატული ან სინტაგმატული ველი, რამდენადაც ტექსტი არც მხოლოდ სისტემის დონეზე თავსდება და არც აქტუალიზაციისა, არამედ განეფინება ბათიზმატურ სიბრტყეზე. მაშასადამე, მას უნდა ჰქონდეს, ერთი მხრივ, სათანადო პარამეტრები, რომლებიც არ გააჩნია პარადიგმატულ და სინტაგმატურ ველებს, ხოლო, მეორე მხრივ, პარამეტრები, რომლებიც მას აკავშირებს საერთოდ ველის ცნებასთან.

ბათიზმატური ველი უნდა აიგოს დედუქციურად, მთელიდან ამოსვლით, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყოს სტრუქტურული კომპონენტები. ტექსტის წარმოსახვა ველის სახით სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც აქტუალიზებულ ტექსტს როგორც გრაფემულ-გრაფიკულ წარმონაქმნს ორგანულად ახასიათებს ტოპოლოგიურ ჩარჩოში განფენილი ველის სტრუქტურა.

ვიდრე ბათიზმატურ ველს თვალსაჩინოდ წარმოვადგენთ, საჭიროდ მიგვაჩნია ტექსტის ზოგიერთი სტრუქტურული მოდელის მიმოხილვა და ბათიზმატური ველის ფენების გამოყოფის დასაბუთება.

8.2. ტექსტი სემიოტიკური მოდელების შუქზე

ტექსტის სტრუქტურული მოდელირების საფუძვლად უმეტესად გამოყენება ნიშნობრივი კომუნიკაციის ასპექტები და ენის ზოგადი მოდელები. ძირითადი ობიექტი ტექსტის მოდელირებისა არის საკუთრივ ტექსტის სტრუქტურა როგორც ენობრივი ფენომენი და არა სხვა რამ, ვთქვათ, ლიტერატურული ნაწარმოები. შესაბამისად, მოდელირების ძირითადი კრიტერიუმები უნდა იყოს ენათმეცნიერული და არა ლიტერატურათმცოდნეობითი. სემიოლოგიურ ჭრილში ტექსტი მიჩნეულია სუპერნიშნად, რომლის რთულ სტრუქტურას სპეციალური მოდელირება ესაჭიროება.

ნიშნობრივი წარმონაქმნების სტრუქტურირების მრავალი მცდელობა არსებობს, მათ შორის ენობრივისაც. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ცნობილ მოდელს პლეტისეული ინტერპრეტაციით.

სემიოტიკური მოდელების რიცხვს მიეკუთვნება კარლ ბიულერის Organonmodell (მას გაკვრით შეეხეთ სხვა კონტექსტში, იხ. მონოგრაფიის თავი II, 4.0., 4.3.), რომელიც დაფუძნებულია ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების ფუნქციაზე და წარმოადგენს ნიშნობრივი მიმართების ტრიადას. ეს მიმართებებია: Ausdruck (Symptom), Appel (Signal), Darstellung (Symbol). მოდელის ცენტრს ქმნის ენობრივი ნიშანი Z (Zeichen), რომელიც სამჯერ ადის ნიშნის რანგში. იგი არის: 1)სიმპტომი, რომელიც გამოხატავს ადრესანტის შინაგან სამყაროს და და-

მოკიდებულობას აღსანიშნისადმი, 2)სიგნალი, რომელიც წარმართავს ადრესატის მოქმედებას და 3)სიმბოლო, რომელიც აღნიშნავს გარესამყაროს რეალურ თუ ფიქციონალურ ობიექტებს, მოვლენებსა და მათ შორის მიმართებებს. მიმართებების ამ მოდელში Z არის არა თავის თავთან იდენტური, არამედ ასპექტების მიხედვით გარდაიქმნება აბსტრაქტულ მიმართებად. იგი რჩება არა ლანგის იდეად, არამედ ხდება: ერთხელ Z^1-Ausdrucks-(Symptom)-Zeichen, მეორედ Z^2-Appel-Signal-Zeichen და მესამედ Z^3-Darstellungs-(Symbol)-Zeichen, ე.ი. არსებობს პერფორმაციული რეპრეზენტაციების სახით იმის მიხედვით, თუ რომელი ასპექტი დომინანტობს ადრესანტის, ადრესატის თუ საგნების და მათი მიმართებებისა. უნდა აღინიშნოს, რომ კ.ბიულერის Organonmodell–ში არ არის ასახული ნიშნების კომბინატორიკა (PLETT, 1979:46-48).

ჩ.ვ. მორისის მოდელში სემიოზი ნაწევრდება განზომილებებად, აქცენტი კეთდება არა ნიშანზე, არამედ მისი ფუნქციონირების პროცესზე და ეფუძნება ნიშნების კომბინატორიკას. პირველი განზომილება არის სინტაქტიკა (მიმართება ნიშანსა და ნიშანს შორის), მეორე განზომილება – სემანტიკა (მიმართება ნიშანსა და საგნებს შორის), მესამე განზომილება – პრაგმატიკა (მიმართება ნიშანსა და ინტერპრეტანტს შორის). თუ ამ მოდელს შევადარებთ კ.ბიულერის მოდელს, აღმოჩნდება, რომ Semantik=Darstellungsfunktion, Pragmatik=Ausdrucks- und Appelfunktion წარმოდგენილია, ხოლო Syntaktik რჩება უკორელატოდ, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, იქ არ აისახება ნიშნების კომბინატორიკა.

გ.კლაუსის მოდელი განავრცობს ჩ.ვ. მორისის მოდელს, ამასთან ერთმანეთს ემთხვევა პრაგმატიკა (რომელსაც ბიულერთან შეესაბამება მიმართება Ausdruck+Appel), მორისთან მარტო სემანტიკაა, კლაუსთან – სემანტიკა+სიგმატიკა (რეალური ობიექტების აღნიშვნა), სინტაქტიკა არის ორივესთან (არ არის ბიულერთან). კლაუსთან ნიშნის მნიშვნელობა დაფიქსირებულია ადამიანის ცნობიერებაში ასახული საგნების, მათი მიმართებების და ა.შ. სახით. ბიულერისა და მორისის მოდელები შეიცავს სამ-სამ კომპონენტს, კლაუსისა – ოთხს (იქვე, 48-49).

მეოთხე მოდელი შექმნილია **ჰაინრიხ ფ.პლეტის** მიერ ბიულერის, მორისისა და კლაუსის მოდელების სინოპსისის საფუძველზე. **ტექსტის სტრუქტურის მოდელირებისათვის მას აუცილებლად მიაჩნია ლიტერატურის ცნების განსაზღვრა** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.) ჩვეულებრივ გამოყოფენ ლიტერატურ ოთხ სახეს, წერს იგი:

1. მიმეტურს, რომელიც სინამდვილის წარმოსახვაა და არა უბრალო კოპირება. მისი ობიექტია არა „რეალური" (das Reale), არამედ „შესაძლო" (das Mögliche); მხოლოდ ფიქციონალური, მხოლოდ არტეფაქტი (das Artefakt) და არავითარ შემთხვევაში საგნობრივი.
2. ექსპრესიულ ლიტერატურას, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ემოციურობა, სპონტანურობა, ორიგინალურობა (=Ausdruckshaftigkeit). მისი არსი ბევს პოეტურ ფანტაზიაში. იგი არის პოეტური „მე"-ს (das dichterische Ich) თვითგამოხატვა.

3. რეფლექსურ ლიტერატურას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მკითხველს ეფექტურად მიაწოდოს მხატვრული ტექსტი და ზეგავლენა მოახდინოს მასზე.
4. რიტორიკულ ლიტერატურას, რომლისთვისაც დამახასიათებელია გადახვევა საყოველდღეო ხმარების ენის ნორმებიდან და რიტორიკული ფიგურების უხვად გამოყენება.

პლეტის აზრით, ასეთი დაყოფა პრინციპულად არაფერს ამბობს პრობლემის გადაჭრის სასარგებლოდ, რადგან ეს ოთხი სახე იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მონუსტეტით არ არსებობს. „ლიტერატურა" სინთეზური ცნებაა. ლიტერატურათმცოდნეობის საგანი არც ენაა, არც ლიტერატურული ტექსტების ერთობა, არამედ – ტექსტების ლიტერატურულობა (ამ ცნების განმარტება იხ. WÖRTERBUCH DER LITERATUR..., 1986:298-299, Literazität). ხოლო ტექსტმცოდნეობის (Textwissenschaft) საგანია ტექსტუალობა (PLETT, 1979:20-37; ტექსტუალობის განმარტება იხ.: LEWANDOWSKI, 1984-1985:1120-1121, CONRAD, 1985:249).

დავუბრუნდეთ ტექსტის სტრუქტურის მოდელირების პრობლემას.

პლეტის სინოპსისში, რომლითაც ის ახდენს ბიულერის, მორისის და კლაუსის მოდელების შეჯერებას, ხაზგასმულია, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი ცნება – „ლიტერატურული" (literarisch) და „ლიტერატურულობა" (Literazität/Literarität). როდესაც საუბარია „ლიტერატურულ ტექსტზე", იგულისხმება ის, რაც ყველა ტექსტისთვის საერთოა. ეს არის ტექსტუალობა (die Textualität, das Texthafte), მაშინ როცა „ლიტერატურულობა" არის ტექსტის განსაკუთრებული (ესთეტიკური) თვისება. რაც შეეხება ტექსტის სტრუქტურულ მოდელს, პლეტი უპირატესობას ანიჭებს მორისის ვარიანტს კლაუსის შესწორებით, რასაც იგი ასაბუთებს იმით, რომ მიმეზისი კრიტიკის ტრადიციის მიხედვით შეიცავს დესიგნატს, მაგრამ არა დენოტატს. მას არა ჰყავს რეფერენტი რეალურ სამყაროში (PLETT, 1979:50–51).

ჩვენი „სინოპსისი" ბიულერის, მორისის, კლაუსის და პლეტის მოდელების საფუძველზე შემდეგი იქნება:


1. ტექსტის ლინგვისტიკის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ლიტერატურული ტექსტები, ამასთან „ლიტერატურული" არ უდრის „ლიტერატურულობას", თუმცა სათანადო შემთხვევაში არ არის გამორიცხული „ლიტერატურულობის" მოშველიებაც.
2. ლიტერატურის მიმეტური გაგება გამორიცხავს საგნობრივი მიმართების შემცველ ტექსტებს, როგორიცაა საქმიანი პროზა (Sachprosa), ცნობები, მოგზაურობის აღწერა და მისთ. ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის თვალთახედვით განსხვავებას მათ შორის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, საქმიანი პროზა არ არის მხატვრული პროზა, მაგრამ ერთიც და მეორეც ტექსტია. აქ მთავარია ტექსტუალობა, ამიტომ ორივე სახის ტექსტის ინტერპრეტაცია შედის ტექსტის ლინგვისტიკის კომპეტენციაში.

3. ენის სტრუქტურული მოდელები აქცენტს აკეთებენ სემიოტიკურ-კომუნიკაციურ ასპექტზე, ნიშნობრივი კომუნიკაციის მიმართებებზე, მოდელების ცენტრში წარმოდგენილია ენობრივი ნიშანი, რომელიც ცენტრიდანული მიმართებების ამოსავალი წერტილია, მაგრამ ამ მოდელში არ არის ასახული ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის სპეციფიკა (არ ვიტყოდით, რომ ეს ამ მოდელების ნაკლია, რადგან მათ სხვა მიზნები აქვთ და, შესაბამისად, სხვა კრიტერიუმიდან გამოდიან). ენა ფიგურირებს როგორც იარაღი, არხი, მედიუმი, რომელიც ატარებს ინფორმაციას, მაგრამ ამ მედიუმის ორსახა ბუნება – ფონემიკური და გრაფიკული, აუდიური და ვიზუალური არ არის გახსნილი.

8.3. ბათიზმატური ველის სტრუქტურა

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოდელში ტექსტის სტრუქტურის გახსნის ძირითადი კრიტერიუმია ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის **წერილობითი** გაცხადება. ეს კრიტერიუმი შეიცავს პრესუპოზიციას, რომელშიც იგულისხმება სემიოტიკური და კომუნიკაციური ასპექტები. მათი კომპონენტები პრინციპში ეხმიანება პლეტის მიერ დასახელებულ ტექსტის მოვლინების სამ ევრისტიკულ კრიტერიუმს: განფენილობას – (Ausdehnung, Extension), საზღვრულობას (Delimitation) და მთლიანობას (Zusammenhang, Kohärenz) (PLETT, 1979:56). ტექსტი მოდელირებულია ხუთფენიანი ბათიზმატური ველის სახით, რომელიც შეიძლება ორ ბლოკად დაიყოს. პირველში ერთიანდება სამი ფენა: ტოპოლოგიური ჩარჩო, გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკური ფენები. პირველი ფენა შეესაბამება პლეტის საზღვრულობას, მეორე და მესამე – განფენილობას. მეორე ბლოკის მეოთხე და მეხუთე ფენებისათვის პლეტის მოდელში არ არის კორელატები, თუმცა კოჰერენტულობა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ზედაპირული (გრამატიკული) და სიღრმული (სემანტიკური) ერთეულობის მთლიანობა, და მაშინ მეოთხე და მეხუთე ფენები დააკმაყოფილებს პლეტის მესამე კრიტერიუმს – მთლიანობას.

ბათიზმატური ველის სტრუქტურა გამარტივებული სახით, უხეშად და სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს შემდეგი მატრიცის სახით „ცხაური“:




I ტოპოლოგიური ჩარჩო




II გრაფემულ-გრაფიკული ფენა




III არქიტექტონიკული ფენა



IV აქტუალიზებული ენის ფენა



V სემანტიკური ფენა



ბათიზმატური ველის სტრუქტურის კომპონენტების ათვლა იწყება **ტოპოლოგიური ჩარჩოდან**. ეს თითქოს მარტივი, უმნიშვნელო კომპონენტი თავის თავში იტევს დიდ პოტენციალს, რომელიც ტექსტების აქტუალიზების პროცესში ე.წ. გრაფემული დევიაციის ფიგურების წარმოქმნის წყაროდ შეიძლება გადაიქცეს.

გრაფემულ-გრაფიკული ფენა წარმოადგენს ტექსტის სუბსტანციურ საფუძველს, მის სუბსტრატს. ტექსტი შემოფარგლულია ტოპოლოგიური ჩარჩო-

თი, რომელიც გარედან მთლიანი, შეკრული და დახურულია, ხოლო შიგნით დისკრეტული და ღიაა. მას აქვს თავისი მატერიალური ბაზისი, რომელიც იქმნება გრაფემულ-გრაფიკული ნიშნებისაგან შედგენილი, ჰორიზონტალურად გაშლილი და ვერტიკალურად შეკრული სტრიქონებისაგან. სტრიქონები ერთიანდებიან ბლოკებად, ბლოკები აბზაცებად, აბზაცები ტექსტის ქსოვილის დისკრეტულ მონაკვეთებად.

ტექსტს, როგორც დისკრეტულ წარმონაქმს, თავისი **არქიტექტონიკა** აქვს. თუ გრაფემულ-გრაფიკული ფენის ერთეულები მის სამენ მასალას წარმოადგენს, არქიტექტონიკას ქმნიან ენობრივი და მეტაენობრივი ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც მთლიანი ტექსტი დაყოფილია მონაკვეთებად. არქიტექტონიკული ერთეულებია: კარი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი და სხვადასხვა სიმბოლოები (რომაული, არაბული ციფრები, ფრჩხილიანი და უფრჩხილო ასო-ნიშნები/ციფრები, ვარსკვლავები და მისთ.)

აქტუალიზებული ენის ფენა იქმნება ენის ყველა დონის ინვენტარისგან. მორფოლოგიური, ლექსიკური სინტაქსური და სტილისტიკური ერთეულები ფუნქციონირებენ და მსჭვალავენ ტექსტის ფენებს, შეადგენენ ტექსტის როგორც უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის საფუძველთა-საფუძველს.

ტექსტის სემანტიკური ფენის ღერძია თემა, რომელიც ჩვეულებრივ ფიქსირდება ტექსტის დასაწყისში, შემდეგ იშლება ტექსტის ძირითად ნაწილში და სრულდება/წყდება ბოლო მონაკვეთში. ტექსტის კომპოზიციის შემადგენელი ნაწილები მობილურია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თემა შეიძლება ტექსტის დასაწყისშივე იყოს ფიქსირებული და შემდეგ დაკონკრეტდეს ან პირიქით, და ა.შ., მაგრამ კომპოზიციის ძირითადი ნაწილები მათი თანამიმდევრობის მიუხედავად იდეალურ ტექსტში აუცილებლად არის.

რეალურად არსებული ტექსტების ნიმუშები იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათი სტრუქტურების ცალსახად გამოკვეთა. სტრუქტურა შეიძლება იყოს მხოლოდ იდეალს მიახლოებული. რაც შეეხება ბათიზმატური ველის სტრუქტურულ ვარიანტებს, ჩვენ მათ განვიხილავთ მომდევნო თავებში ტექსტის ნიმუშების ინტერპრეტაციის დროს.

რამდენადაც ტექსტი რთული წარმონაქმნია, რომელშიც ერთმანეთზეა დაშრეებული რამდენიმე ფენა, ამდენად მისი ინტერპრეტაცია ერთდროულად ყველა შესაძლო რაკურსით შეუძლებელი ჩანს მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენიმე ფენის სიმულტანური ფუნქციონირების შედეგია. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, მისი ცალკეული ფენების წინ წამოწევა და სპეციალური კვლევა, მაგრამ მხოლოდ სხვა ფენებთან კავშირში, რადგან შეუძლებელია ერთი რომელიმე მხარის სავსებით იზოლირება და სხვა მხარეების გაუთვალისწინებლობა.

1. ტექსტემა მონოგრაფიაში მიჩნეულია ტექსტის ლინგვისტიკის დონის საბაზისო ეტიკურ (აბსტრაჰირებულ) ერთეულად და არა ტექსტის ინტეგრანტად. ის მოიაზრება როგორც მთლიანი მენტალური ერთეული, რომელსაც ერთიანობის ფარგლებში თავისი სტრუქტურა აქვს. ის შედგება სინტაქსემებისაგან (სინტაქსის ემიკური ერთეული), რომლებიც ეტიკურ დონეზე იწოდებიან წინადადებად (სულ ერთია მარტივი იქნება ის რთული-თანწყობილი, რთული-ქვეწყობილი, თუ პერიოდი), შესიტყვებებად, სხვადასხვა სახის სინტაქსურ ჯგუფებად, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე ითვლებიან ინტეგრანტებად. თუ მაინცადამაინც აუცილებელია ტექსტის შემადგენელი კომპონენტების დასახელება, საჭირო აღარ არის ახალი ტერმინების გამოგონება. ტექსტის ინტეგრანტი სხვადასხვა ასპექტში შეიძლება იწოდებოდეს ფრაზად და ზეფრაზად, აბზაცად და აბზაცების ბლოკად, სეგმენტად ან, უკიდურეს შემთხვევაში, დისკრეტემად.
2. ბათიზმატური ველი ასახავს ტექსტემის სტრატიფიკაციულ სტრუქტურას, რომელშიც ხუთი (3+2) ერთმანეთზე დაშრევებული ფენა გამოიყოფა. მას აქვს სამი განზომილება: სიგრძე, სიგანე და პერსპექტივაში გაშლილი სიღრმე. შრეების მიმართება ერთმანეთთან მრავალმხრივი და რთულია. ტოპოლოგიური ჩარჩოს, გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკული ფენების კომპონენტები ვიზუალურად აღიქმება, მათი ფუნქციონირება ექვემდებარება ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურას.
3. აქტუალიზებული ენის ფენის ძირითადი ელემენტებია სისტემური ერთეულები, რომლებიც პრინციპში გულგრილია გრაფემულ-გრაფიკული ქსოვილისა და დისკრეტული სეგმენტისადმი იმ აზრით, რომ ისინი ყველგან მყოფობენ და განლაგებული არიან ფუნქციონალური დატვირთულობის მიხედვით. ეს უკანაკნელი ხორციელდება სისტემური ელემენტების შერჩევით და განლაგებით (კონსტელაცია). ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა აიგება დისკრეტულად თემის გაშლის კვალდაკვალ და ფიქსირდება ტექსტის კომპოზიციაში.
4. ბათიზმატური ველის სტრუქტურა დამახასიათებელია როგორც ტექსტემის, ისე ყველა მისი კორელატური ცნებისათვის. როდესაც ვასახელებთ ენობრივ-სემანტიკურ ნიშანს, იგი შეიძლება აღნიშნავდეს როგორც დენოტატს ასევე სიგნიფიკატს, როგორც რეალურ, კონკრეტულ საგანს, ასევე ფიქციონალურს. „ტექსტი“ მონოგრაფიაში მოიხმარება როგორც ზოგადი ტერმინი, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში გულისხმობს ენგრამას, ტექსტემას და ტექსტის ნიმუშს.

9.0. ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი მიმართულება და ორიენტირები

თუ გლობალურად განვიხილავთ კომუნიკაციის მოდელს, მის ყველა კომპონენტში ძევს ინტერპრეტაციის მომენტი, რომლებიც ერთმანეთისაგან გან-

სხვავდებიან მხოლოდ განაწილებული როლებისა და მონაწილეების პოზიციის მიხედვით. ის, ვინც წერს, მას უკვე რაღაც აქვს შეცნობილი, გაგებული, ინტერპრეტირებული და მისი ნაწერი ამ პროცესის შედეგია. ის, ვინც კითხულობს სხვის ნაწერს, აღიქვამს, იგებს, განმარტავს მას და ცდილობს გაიგოს იგი, მიუახლოვდეს იმ საზრისს, რაც ჩადებულია დამწერის მიერ მოცემულ კომუნიკაციურ ერთეულში.

9.1. ფ. შლაიერმახერი. ჰერმენევტიკული მეთოდი. დივინაციის ცნება

ჰერმანევტიკა როგორც ინტერპრეტაციის მეთოდი იძლევა წესებს და საყრდენ წერტილებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გაგების პროცესის ადეკვატური წარმართვა და მისი დასრულება სასურველი შედეგით. იმ მეცნიერთა შორის, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ჰერმენევტიკის განვითარებასა და სრულყოფაში გამორჩეული ადგილი უჭირავს **ფრიდრიხ შლაიერმახერს**. მისი აზრით, ჰერმენევტიკის ამოცანაა მიაგნოს ენისა და აზროვნების ადეკვატურობას, „[...] den Schwierigkeiten im Nachkonstruieren der Rede und des Gedankengangs vorzubeugen" (SCHLEIERMACHER, 1993:84). რამდენადაც ენა არსებობს მენტალურად ენობრივ კოლექტივში და იმავდროულად თითოეულ მის წარმომადგენელში, ენის გამოყენების პროცესში კომუნიკაციის ყველა მონაწილე თავის ინტენციას აქსოვს ნაწერში/ნათქვამში, ამიტომ კომუნიკაციის ერთი მონაწილის მიერ ტექსტში/დისკურსში ჩადებული საზრისი მეორისათვის არასდროს არ არის ბოლომდე გასაგები. „Es liegt uns keine Sprache ganz vor, selbst nicht unsere eigene Muttersprache", წერს შლაიერმახერი (იქვე, 1993:84). ურთიერთგაგება ენის სინქრონულ ჩარჩოშიც კი ვერ აღწევს მანქანურ სიზუსტეს. კომუნიკაციის მონაწილეების მიერ გამოყენებული საერთო ენა არასდროს არ არის იდენტური და ერთგვაროვანი. ყოველივე ეს არის მიზეზი, იმისა, რომ დაბრკოლებები და გაუგებრობები იქმნება, რომლებიც ხელს უშლიან ურთიერთგაგებას და აი, სწორედ აქ არის საჭირო ინტერპრეტაციის მოხმობა.

ფრ. შლაიერმახერი განასხვავებს ენას როგორც სისტემას (Sprache – als System/Sprachgesetz) და ენას როგორც აქტს (Sprachgebrauch). შდრ. სოსიურისეულ ოპოზიციას langue – parole. ტექსტი არის ენის გამოყენება და გამოყენების შედეგი. შლაიერმახერმა შეიმუშავა სტრუქტურული თვალსაზრისი, რომელიც ჰერმენევტიკის ისტორიაში პირველად ასე დაფიქსირდა: **განმარტებას საქმე აქვს ტექსტთან და არა ენის გრამატიკული სისტემის ტიპებთან, თუმცა მათ შორის არსებობს გარკვეული ჰომოლოგია. სისტემების თვალსაზრისით.**

ტექსტს, ისევე როგორც ენა-სისტემას, ახასიათებს სისტემურობა, რომელიც ვლინდება მის სემანტიკურ და ფორმალურ მხარეში, მნიშვნელობის დისკრეტული კომპლექსები განლაგდება ავტორის ინტენციის და ტექსტის ნიმუშის მიხედვით სისტემურად და ერთმანეთზე დაშრევდება იერარქიულად. ნაწე-

რის (die Schrift) სტრუქტურის თვალსაჩინოდ ჩვენება ნიშნავს წინადადების სემანტიკური ელემენტების წარმოჩენას ცალკეული სიტყვების, მათი კომპლექსების, პროპოზიციების მეშვეობით მთლიან ენობრივ წარმონაქმნთან მიმართებაში. ეს მიმართებები განლაგდება სუბორდინაციის (ვერტიკალურ) და კოორდინაციის (ჰორიზონტალურ) ღერძებზე. პირველი გულისხმობს პარადიგმატიკულ (ფონოლოგიურ, გრამატიკულ, კონტექსტუალურ, იზოტოპიურ და ა.შ.) მიმართებებს, ხოლო მეორე – სინტაგმატიკურს (სიტყვების განლაგებას წინადადებაში, პერიოდში, პერიოდისა ტექსტში, ტექსტისა ეპოქის მთლიან ენობრივ სივრცეში). აქ გამოიყენება ჰერმენევტიკული სპირალის სხვადასხვა საფეხურები (FRANK, 1993:41-42).

ფრ. შლაიერმახერი განასხვავებს გრამატიკულ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ (ობიექტურსა და სუბიექტურ) და ტექნიკურ ინტერპრეტაციებს. ინტერპრეტატორმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს ანალიზის კრიტერიუმები და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს ენობრივი ნიშნების ქსოვილის რეკონსტრუქცია ლოგიკურად შედგენილ ტექსტში. იგი განსაზღვრავს ტექსტის საზრისს, შლის და აწყობს მის ნაწილებს კოორდინაციის და ოპოზიციის სხვადასხვა დონეზე. ეს არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც გრამატიკულ ინტერპრეტაციას შეუძლია შედარებით ზუსტად და ნაკლები გადაცდომით შეაფასოს ტექსტი. ამ პოზიციიდან გამოდის შლაიერმახერი, როდესაც უპირატესობას გრამატიკულ ინტერპრეტაციას ანიჭებს, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ საჭიროა სხვა სახის ინტერპრეტაციებთან კავშირების გათვალისწინებაც. ასე მაგალითად, გრამატიკული ინტერპრეტაციის ზღვარზე ძევს ძირითადი და თანამდევი აზრების გარჩევა. ეს დაყოფა გამომდინარეობს ტექსტის ლოგიკური სტრუქტურების გრადაციიდან და ვარირებს ტექსტების ნიმუშების მიხედვით. მეცნიერულ ნაშრომში იგი უფრო ადვილი დასანახია ვიდრე ლირიკაში ან წერილის ჟანრში, რომლებშიც ბატონობს აზრის თავისუფალი მოძრაობა. ამიტომ ლოგიკურ მწერლებთან უფრო ადვილია ძირითადი და თანამდევი აზრების გამოყოფა, ვიდრე ლირიკულ ლექსში ან ინტიმურ დღიურში. რამდენადაც ლექსის ძირითადი ფუნქციაა თავისუფალი თვითგამოხატვა, ამიტომ აქ ბატონობს ინდივიდუალური საზრისი და ჰერმენევტიკული ოპერაცია იხრება ფსიქოლოგიურისაკენ.

საინტერესოა ფრ.შალიერმახერის აზრი იმის თაობაზე, რომ ენობრივი წარმონაქმნის ცალკეული მხარის ინტერპრეტაცია, სულ ერთია სემანტიკური იქნება ის თუ ფორმალური, თავისთავად საკამარისი არ არის. არ არსებობს პარადიგმა, რომელიც არ ჯდებოდეს სინტაგმატურ მიმართებებში და პირუკუ. ისეთი ოპოზიციები, როგორიცაა მაგალითად, კვალიტატურ-კვანტიტატური, მექანიკურ-ორგანული (ლოგიკური), ფორმალური, მატერიალური (სემანტიკური), გამოხატავენ გრამატიკული ინტერპრეტაციის შესაძლო კომბინაციებს. ისინი რელატიური ცნებებია და იმავე დიალექტიკას ექვემდებარებიან, რასაც ძირითადი კანონები. სინტაქსსა და ლექსიკას შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი. ნაწილაკები გრამატიკული ერთეულებიცაა და ლექსიკურიც. პერიოდი

შეიძლება იყოს ასინდეტური თანწყობა და კავშირებით შეკრული ლოგიკური წარმონაქმნიც.

ძირითადი ცნება, რომელიც ფრ. შლაიერმახერმა ინტერპრეტაციის თეორიაში შემოიტანა, მაგრამ ზუსტად არ განსაზღვრა, არის დივინაცია (Divination).

ტექსტის საზრისი არასდროს არ დგინდება ზუსტად და დანამდვილებით, რადგანაც ის არის ენის ან ტექსტის უშუალო დედუქტი. ის ყოველთვის მიახლოებითია (approximativ). ინტერპრეტატორი ტექსტის საზრისს რომ ჩასწვდეს, მან უნდა განახორციელოს თავიოსუფალი ქმედების აქტი, მოსწყდეს კოდიფიცირებულ მონაცემებს და შეავსოს მეთოდოლოგიური ვაკუუმი, რომელიც ჰერმენევტიკულ ამოცანას დაუსრულებელს ხდის. თავად ტექსტი თუმცა ინტერპრეტაციის მოტივს იძლევა, მაგრამ აუცილებელი წინასწარმოახაზული მეთოდი მასში არ ამოიკითხება. ამიტომ ინტერპრეტატორმა უნდა მიმართოს დივინაციის ხელოვნურ საშუალებას, რომელსაც შლაიერმახერი თარგმნის გერმანული სიტყვით „Erraten" (SCHLEIERMACHER, 1993:318). დივინაციის ცნებას იგი უკავშირებს სტილს, რომელიც გულისმობს საერთო ენობრივი პოტენციის ინდივიდუალურ აქტუალიზებას და სხვადასხვა კონექსტების მიხედვით ენის განსხვავებულ გამოყენებას. ენის სისტემა თავისთავად წინასწარ არ იძლევა ენის გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტსა და კონტექსტს. ტექსტის საზრისი ენობრივი ნიშნების პირდაპირი დეკოდირებით და დედუქციით არ გამოიყვანება. **დივინაცია ნიშნავს აზრის გამოყოფას აზრისგან, სიმბოლოს გამოყოფას სიმბოლოსაგან, რაც არ არის იდენტური ასო-ნიშნებსა და სიტყვებს შორის არსებული ინტერვალების მონიშვნისა.** ერთსა და იმავე ნიშანს სხვადასხვა კონტექსტში უამრავი ღირებულების რეალიზაცია ძალუძს (FRANK, 1993:53-54) და ამ ღირებულებებს (Werte) ამოცნობა და ამოკითხვა უნდა. ის კი არა, მკითხველმა და ინტერპრეტატორმა შეიძლება მეტი ამოიკითხოს ტექსტიდან, ვიდრე ეს ავტორს ჰქონდეს გაცნობიერებული. „Ja, ist überhaupt etwas Wahres an der Formel, die höchste Vollkommenheit der Auslegung sei die, einen Autor besser zu verstehen, als er selbst von sich Rechenschaft geben könne", წერს შლაიერმახერი (იქვე, 323).

9.2. ჰ. შტაინთალი. ინტერპრეტაციის საფეხურები

ინტერპრეტაციის შლაიერმახერისეულ თეორიასა და მეთოდთან ძალიან ახლოს დგას **ჰაიმან შტაინთალის** პოზიცია, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი იმეორებს, შემდგომ განავრცობს და ავითარებს მათ.[5]

---

[5] ამ დასკვნის საშუალებას იძლევა მათი შრომების გამოცემის თარიღების შედარებაც. შლაიერმახერის წიგნი „Hermeneutik und Kritik mit besonderer Beziehung auf das Neue Testament" გამოიცა ბერლინში 1838 წელს, ხოლო შტაინთალის ლექცია „Die Arten und Formen der Interpretation" წაკითხულია 1877 წელს.

ვიდრე ინტერპრეტაციის ცალკეული სახეების განხილვაზე გადავიდოდეს, ჰაიმან შტაინთალი აფრთხილებს მკითხველს, რომ საჭიროა ინტერპრეტაციის განსხვავება კონსტრუქციისაგან და მათი სფეროების გამიჯვნა. ინტერპრეტაციას არ უნდა დავუსახოთ ამოცანა, რომლის გადაჭრაც მას არ ძალუძს და კონსტრუქციის კომპეტენციაში შედის. ინტერპრეტაციის ობიექტია მხოლოდ ცალკეული ნაწარმოები (ein Redewerk), მაშინ როცა ნაწარმოებების ერთობლიობა ან ჰომოგენურ ნაწარმოებთა კომპლექსი როგორც თავის თავში ჩაკეტილი წრე კონსტრუქციას მიეკუთვნება. ინტერპრეტაცია არ სცილდება ცალკეული ნაწარმოების ზღვარს. მას შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ნაწარმოებები ან ნაწარმოებთა წრე (შეიძლება ითქვას, უნდა გაითვალისწინოს კიდევაც), მაგრამ ამ წრის შექმნა უკვე კონსტრუქციის საქმეა. დრამის განხილვის დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ესქილე ან სოფოკლე, მაგრამ დრამების თუ ეპოსთა წრე, ან ამა თუ იმ პოეტის დახასიათება უკვე კონსტრუქციის საქმეა (STEINTHAL, 1972:535).

ინტერპრეტაციის ობიექტის განხილვის შემდეგ ჰაიმან შტაინთალი განმარტავს მის მიზანს. იგი განასხვავებს გაგებას როგორც პროცესს (das Verstehen) და გაგებას როგორც შედეგს (das Verständnis). გაგება ორგვარია – უბრალო და ფილოლოგიური. პირველი საყოველთაო, ჩვეულებრივია. ადამიანები ყოველ წუთს საუბრობენ, ატყობინებენ ერთმანეთს რამეს თავის გასაჭირზე, მოთხოვნილებებზე, საჭირბოროტო საკითხებზე, ლიტერატურაზე. ფილოლოგიური გაგება განსხვავდება ჩვეულებრივისაგან უპირველეს ყოვლისა იმ პირობების ხელოვნური მოშველიებით (künstliche Vorbeiführung), რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ გაგებას. უბრალო გაგება უშუალოა და მხოლოდ ფსიქოლოგიურ პროცესში თავსდება, ამ პროცესმა წარმოთქმული ან დაწერილი ნიშნის მეშვეობით მსმენელსა და მკითხველში უნდა აღძრას იგივე აზრები, რაც მათ გამოიწვიეს მოლაპარაკესა და დამწერში. ეს პროცესი რთულია და მისი ახსნა ფსიქოლოგიის საქმეა. უბრალო გაგებას თავად ცხოვრება აკანონებს. „Wer vollsinnig und gesunden Geistes ist und in menschlicher Gesellschaft lebt, der versteht auch", წერს ჰ.შტაინთალი (იქვე, 535).

სხვა საქმეა ფილოლოგიური გაგება. აქ გაგების ის პირობები, რომლებიც უშუალოდ არ არის მოცემული, ხელოვნურად უნდა შეიქმნას, ეს არის გაშუალებული გაგება. უბრალო, უშუალო გაგება მოვლენაა (Ereignis), ფილოლოგიურად გაშუალებული კი ქმედება (That) (იქვე, 536).

ინტერპრეტაციის საგნისა და მიზნის განსაზღვრის შემდეგ ჰ.შტაინთალი გადადის მისი ფორმების ანუ მიმართულებების განხილვაზე. საინტერესოა, რომ ინტერპრეტაციის წინაპირობად იგი აყენებს დამწერლობის ცოდნას. ამის შემდეგ იგი ყურადღებას ამახვილებს ბგერების რიგზე, რომელიც ფილოლოგისათვის კონკრეტულ მოცემულობად ითვლება. ბგერებს აქვთ აზრი, ისინი მიუთითებენ გონზე (Geist). ამ აზრის აღმოჩენა, რომელზედაც ბგერა მიუთითებს, ნიშნავს ბგერის განმარტებას. ამიტომაც არ უნდა იკითხო, რა განიმარტება ბგერა თუ აზრი. ერთი დაკვრით ორივე. ინტერპრეტაცია იწყება სიტყ-

ვის, შემდეგ წინადადების, დაბოლოს, წინადადებათა კავშირების განსაზღვრით და, ამრიგად, ინტერპრეტაციის პირველი ფორმა, რომელიც საფუძველია ყოველი შემდგომი ფილოლოგიური ინტერპრეტაციისა, არის **გრამატიკული ინტერპრეტაცია**. ყურადღება მივაქციოთ შტაინთალის სიტყვებს, რომლითაც იგი გრამატიკული ინტერპრეტაციის განსაზღვრებას ამთავრებს: „Sie heißt (sie გრამატიკული ინტერპრეტაცია – ვ.ფ.), weil **sie den geschriebenen Sprachlaut** (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.) deutet, d.h. dem Sinn der Rede entziffert, inweit er im Werk an sich liegt, in den Sprachelementen" (STEINTHAL, 1972:537). დაწერილი და წარმოთქმული შტაინთალისთვის ორივე ენაა, მაგრამ ასო-ნიშანი აკუსტიკური ნიშნის („ენობრივი ბგერის" – Sprachlaut) დაფიქსირებაა და მისი საშუალებით ხდება მეტყველების შედეგის გამიფვრა. ამასთან ასო-ნიშნების წინასწარი ცოდნა ბგერების ამოცნობის წინაპირობაა. ამრიგად, ჰ.შტაინთალი, ისევე როგორც ბევრი მისი თანმედროვე, და არა მარტო თანამედროვე, ასო-ნიშნის ფუნქციას აკუსტიკური ნიშნის დაფიქსირებაში ხედავს და გამორიცხავს პირდაპირ, უშუალო კომუნიკაციას ასო-ნიშნების მეშვეობით.

დავუბრუნდეთ ინტერპრეტაციის სახეებს. გრამატიკულ ინტერპრეტაციას შტაინთალი ავსებს საგნობრივი ინტერპრეტაციით („საგანში" იგულისხმება ტექსტით გადმოცემული სინამდვილე), ხოლო ორივეს განავრცობს სტილისტიკური ინტერპრეტაციით.

ინტერპრეტაციის შემდგომი უფრო მაღალი საფეხურებია ინდივიდუალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური. აღარ შევჩერდებით თითოეული მათგანის განსილვაზე. რამდენადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დასახელებულ ლექციაში დაწვრილებით გაეცნოს მათ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შტაინთალი უფრო მეტ ადგილს უთმობს ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას, რადგან მიაჩნია, რომ ეს ინტერპრეტაციის უმაღლესი საფეხურია და ხელს უწყობს გაგების პროცესის სრულყოფას. ფილოლოგი უფრო მაღლა ადის ამ საფეხურზე და აღრმავებს ნაწარმოების გაგებას, რის საუფძველსაც ქმნის მისი კაუზალური განხილვა. არც ფსიქოლოგიური განხილვაა სრულყოფილი. მას მხოლოდ ინტერპრეტაციის სხვა სახეების მოშველიებით შეუძლია მიზანს მიაღწიოს, ხოლო ეს იმაში მდგომარეობს, რომ ინტერპრეტატორი ჩასწვდეს მწერლის სულისა და გონის სიღრმეს, ნაწარმოების შექმნაში ჩართული მომენტები გამოკვეთოს, გაარკვიოს მიზეზები, რატომ არის ესა თუ ის მოვლენა ასე აღქმული და არა სხვანაირად, რატომ შექმნა მან ახალი სიტყვები, ან არსებულთ ახალი მნიშვნელოვა მიანიჭა, და რა ადგილს იკავებენ მის მიერ შექმნილი ერთეულები ეროვნული ენის საუნჯეში.

კიდევ ერთ მომენტს უნდა გაესვას ხაზი. შტაინთალის აზრით, მწერლის ცნობიერებაში შეიძლება ერთმანეთს შეეჯახოს მიზანმიმართული კომპოზიცია და წმინდა მექანისტურ-შემთხვევითი ასოციაცია, რომელთა გავლენასაც ავტორი მუდამ განიცდის. ეს არის ბრძოლა გონის თავისუფლებისა მის შებოჭილობასთან (იქვე, 541-542). ამ კოლიზიით შეიძლება აიხსნას მწერლის სულში

არსებული ბევრი წინააღმდეგობა. ზოგჯერ ავტორი მნიშვნელოვან რამეს უყურადღებოდ ტოვებს და უმნიშვნელოს ამუქებს. ეს მკითხველს ვერ გაუგია. ხოლო მწერლის სულის ფსიქოლოგიური ანალიზი ყველაფერს მოუნახავს ახსნას. ჰ.შტაინთალის განსაკუთრებული ყურადღება ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისადმი არ არის გასაკვირი, რადგანაც იგი ითვლება ფსიქოლოგიზმის მამამთავრად ენათმეცნიერებაში. მის მოძღვრებას ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მათ შორის ნეოგრამატიკოსებიც. როგორც ჩანს, ლეო შპიცერიც ვერ ასცდა მის გავლენას (იხ. ჩვენი მონოგრაფიის I თავი: 1.0., 1.4.).

ვიდრე ფრ. შლაიერმახერისა და ჰ. შტაინთალის ნააზრევიდან ჩვენთვის საჭირო დასკვნებს გამოვიყვანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინტერპრეტატორს გაცნობიერებული.

გარდა იმისა, რომ ინტერპრეტატორი კომუნიკანტია, რომელიც კითხულობს და ეცნობა კომუნიკატორის ენობრივი მოღვაწეობის შედეგს – ტექსტს, იგი აგრეთვე ის სუბიექტია, რომელმაც ჯერ თავად უნდა გაიგოს ტექსტი და შემდეგ სხვას გააგებინოს. ამ სამი ქმედებიდან – წაკითხვა, გაგება, გაგებინება – სპეციალურ ლიტერატურაში გაგებინება მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, თუმცა მისი გამიჯვნა პირველი ორისაგან განსაკუთრებით კი მეორისაგან, აქტუალური ჩანს.

9.3. ბ. ულ. ბირე. ინტერპრეტაციის მიზანი ტექსტის – გაგება-გაგებინება. ინფერენციის ცნება

გაგებინების (Verständlich-Machen) ცნების ერთ-ერთი ამაღორძინებელი, გერმანელი ენათმეცნიერი ბერნდ ულრიხ ბირე „განმარტებას" (das Auslegen) ზოგადად განსაზღვრავს წინარომანტიკული განმანათლებლური ჰერმენევტიკის ანალოგიით როგორც პრაქტიკულ-კომუნიკაციურ ქმედებას, თუმცა მხოლოდ ამ ნიშნით მის განსაზღვრას იგი საკმარისად არ მიიჩნევს. მისი აზრით, გაგებინების მოდელის ასაგებად საჭიროა როგორც „განმარტების" ტრადიციული (წინარომანტიკული) ცნების შემდგომი განვითარება, ისე თანამედროვე მომიჯნავე მეცნიერებათა მონაპოვრების გამოყენება: ერთი მხრივ, XVIII-XIX საუკუნეების აქტუალური ლინგვისტიკური პრობლემების შემდგომი აღორძინება და დამუშავება, მეორე მხრივ, ახალი ტექსტოლინგვისტიკური და კოგნიტიურ-მეცნიერული ელემენტების ჩართვა ურთიერთგაგებინებაზე ორიენტირებულ (verständigungsorientiert) ლინგვისტიკაში (BIERE, 1989:2-3).

კომუნიკაციური ტრიადიდან კომუნიკატორი-ტექსტი-კომუნიკანტი ინტერპრეტაციის ამ საფეხურზე იკვეცება პირველი კომპონენტი, რადგანაც ინტერპრეტატორი უშუალოდ მოდის შეხებაში ტექსტთან და არა ავტორთან, და სამწევრიანი მოდელი გადაიქცევა ორწევრიან მოდელად (შდრ. ჩვენი მონოგრაფიის თავი II, 6.0). ინტერპრეტაცია რთული პროცესია, რომელიც გარდა

ზედაპირული მომენტებისა (იმისა, რაც ზედაპირზე მოჩანს) ბევრ სიღრმულ მომენტსაც (იმას, რაც ზედაპირზე არ მოჩანს) შეიცავს. ინტერპრეტატორი ორსახა არსებაა. მან ტექსტი წინასწარ უნდა წაიკითხოს, თავად გაიგოს, ყურადღება მიაქციოს ბუნდოვან, გასარკვევ ადგილებს, ახსნას ისინი და განმარტოს, რათა იგივე ტექსტი სხვა მკითხველისათვისაც გასაგები გახადოს. ის მკითხველიც არის და განმმარტებელიც. ინტერპრეტაციის მთლიანი პროცესი ორ მომენტს მოიცავს – გაგებას (Verständnis) და გაგებინებას (Verständlich-Machen).

ისმება კითხვა: რა უნდა იყოს ინტერპრეტაციის საგანი, მთელი ტექსტი, მისი ნაწილი თუ ცალკეული ადგილები? რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს განმარტება და რამდენი სახის ინტერპრეტაცია შეიძლება არსებობდეს? ინტერპრეტაციის საგანი შეიძლება იყოს ერთიც, მეორეც, მესამეც. ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს. მათი არჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზანზე. ინტერპრეტაციის სტრატეგია შეიძლება გამოიხატოს ოთხი ვარიანტის სახით:

ა) ტექსტის განმარტება ემსახურება პედაგოგიურ მიზნებს და, შესაბამისად, პირველ რიგში მიმართულია სწავლა-სწავლების ამოცანების გადაჭრისკენ. განმარტების ეს ვარიანტი პრინციპში არის დიდაქტიკურ-ჰერმენევტიკული. ინტერპრეტაციის მიზანია დაეხმაროს მკითხველს ბუნდოვანი ადგილების გაგებაში. ის ასე თუ ისე ფლობს ენას, დაახლოებით იცნობს ტექსტში ასახულ გარემოს, მაგრამ ტექსტის ყველა ადგილი მისთვის გამჭვირვალე არ არის. სიძნელეს წარმოადგენს არა იმდენად ტექსტის შინაარსობრივი გაგება მთლიანობაში, არამედ ცალკეული ადგილების ენობრივი (გრამატიკულ-სემანტიკური) აღქმა. ინტერპრეტატორი სწორედ ამ ძნელად გასაგებ ადგილებს განმარტავს.

ბ) განმარტების მიზანია მთლიანი ტექსტის გაანალიზება შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ამ ჭრილში ტექსტი განიხილება როგორც ენობრივი ხელოვნების ნიმუში (Sprachkunstwerk), ამასთან აქ იგულისხმება არა ტექსტის ლიტერატურათმცოდნეობით-ესთეტიკური შეფასება, არამედ ტექსტის სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და აქტუალიზებული სისტემური ელემენტების კონსტელაციის აღწერა. ასეთი ანალიზის დროს მხედველობაში მიიღება ავტორის მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურათმცოდნეობითი და ესთეტიკური პრინციპები, მაგრამ მხოლოდ რამდენადმე, წინა პლანზე წამოიწევა ტექსტის ლინგვისტიკური მიდგომა. ინტერპრეტატორის უშუალო კვლევის საგანია თავად ტექსტი, რომელიც ალიენაციის კანონით კომუნიკატორისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ხშირად არც ეკითხება ავტორს, რისი გადმოცემა სურდა და როგორ გადმოსცა მან თავისი სათქმელი, როდესაც ტექსტს ქმნიდა. ინტერპრეტაციის ეს სახე შედის **საზრისის ტექსტის ლინგვისტიკაში** (ო.კოსერიუს ტერმინი – ვ.ფ.), რომელსაც ზოგიერთი ლინგვისტი ჰერმენევტიკას უთანაბრებს.

გ) ტექსტი შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული მეცნიერული დისციპლინების, მაგალითად, თეოლოგიის, ფილოსოფიის ლოგიკის, იურისპრუდენციის, ფოლკლორისტიკის და ა.შ., ანალიზის საგანი, შესაბამისად, გამოიყო-

ფა ვიწრო სპეციალური დარგები, როგორიცაა **თეოლოგიური ჰერმენევტიკა (ეგზეგეტიკა), ფილოსოფიური ჰერმენევტიკა** და ა.შ.

დ) ინტერპრეტაციის მეოთხე ვარიანტი განიხილება ტრანსლაციის თეორიისა და პრაქტიკის ჩარჩოებში (როგორც ცნობილია, ტრანსლაცია მოიცავს თარგმანს და თარჯიმნობას). ტრანსლაცია ორი სახისაა: ინტრალინგვალური და ინტერლინგვალური. ორივე შემთხვევაში ხდება ერთი ენის ნიშნების გადაყვანა მეორე ენის კოდში. ინტერპრეტატორი, ამ შემთხვევაში მთარგმნელი ან თარჯიმანი, ასრულებს შუამავლის როლს, რომელიც ჯერ თვითონ იღებს ინფორმაციას და შემდეგ გადასცემს კომუნიკანტს. ჩვეულებრივ წინ წამოსწევენ ხოლმე ინტრალინგვალურ ტრანსლაციას და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ინტერლინგვალურს, თუმცა ბოლო დროს ინტერესი ტრანსლაციის ამ მეორე სახეობისადმიც იზრდება. ინტრალინგვალური ტრანსლაცია გულისხმობს ერთი ენის ტექსტების/დისკურსების გადატანას მეორე ენაზე (ბილინგვალური ტრანსლაცია) ან სხვა ენებზე (მულტილინგვალური ტრანსლაცია). ამ სახის სამუშაოსათვის თავის გართმევა მხოლოდ პროფესიულად გაწაფულ ინტერპრეტატორს (მთარგმნელებს, თარჯიმნებს) ძალუძთ. რაც შეეხება ინტრალინგვალურ ტრანსლაციას, ის მოიცავს განსაზღვრულ სფეროებს ერთი ენის ფარგლებში, როგორიცაა მაგალითად, შუა გერმანული ტექსტების თარგმნა ახალ გერმანულზე, დიალექტური და ვიწრო დარგობრივი ტექსტების თარგმნა კოდიფიცირებულ (standardsprachlich) ენაზე (BIERE, 1989:213-221). ამრიგად, თარგმანი და თარჯიმნობა არის საგანი **ტრანსლაციური ჰერმენევტიკისა**.

ინტერპრეტაციის ძირითადი მეთოდოლოგიური ბაზისი არის **ჰერმენევტიკა**. გარდა საყოველთაოდ აღიარებული ხერხებისა და კრიტერიუმებისა (ჰერმენევტიკული სპირალი, წინარეცოდნა, წინასწარ გამიზნული და შეგნებული ტაქტიკა და ა.შ.) გვინდა გამოვყოთ ინფერენცის ცნება, რომელიც უშუალო კავშირშია დივინაციის ცნებასთან.

ინფერენცი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ტექსტის ინტერპრეტაციისა. „ინფერენცი" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან infero, რაც ნიშნავს „შეტანას"; „დასკვნის გამოყვანას" (hineintragen; folgern, schließen). დასკვნის გამოყვანა შეიძლება შინაარსის ლოგიკურობიდან გამომდინარე ან გამოხატული აზრის საფუძველზე. დასკვნის გამოყვანის შესაძლებლობა უშუალო კავშირშია ენის ცოდნასა და სამყაროს აღქმის უნართან, რომლებიც უნდა ჰქონდეს როგორც კომუნიკატორს, ისე კომუნიკანტს. ინფერენცის პროცესის წარმართვაში დიდ როლს თამაშობს სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული ფაქტორები. ყოველდღიურ კომუნიკაციაში ინფერენცის ბაზისი შეიძლება შექმნას კომუნიკაციის ჩარჩომ, სქემამ ან სცენამ (როგორიცაა მაგ., მაღაზია, სადგური, კაფე, მგზავრობა და ა.შ.). ტექსტის გაგებისა და განმარტების დროს ინფერენცი ემყარება კომუნიკაციის პარტნიორების ენობრივ და ენციკლოპედიურ ცოდნას. ინფერენცი არის კოგნიტიური პროცესი, რომელშიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ტექსტის შინაარსი და კომუნიკაციის მონაწილის გამოცდილება. ტექსტის აღქმის დროს ინფერენცი კომუნიკანტის (რე-

ციპიენტის) მიერ განხორციელებული ოპერაციაა, რომლის მიზანს შეადგენს ტექსტის რეკონსტრუქცია. მისი მეშვეობით უნდა გადაილახოს ტექსტის ხარვეზები (Lücken), რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა სახის დაბრკოლებებით, შემთხვევითი ან ავტორის მიერ ტექსტში ჩადებული სტრატეგიული წყვეტილებით (Diskontinuität). ინტერპრეტატორმა ეს ხარვეზები და წყვეტილობანი უნდა გადალახოს კოჰეზიის ქსელში. თუ კომუნიკანტს/ინტერპრეტატორს ავტორზე უფრო ფართო და დიფერენცირებული ცოდნა აქვს, მას შეუძლია ტექსტიდან მეტი ინფერენცი გამოიყვანოს, ვიდრე ავტორმა შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩადო მასში ინფორმაცია. მეორე მხრივ, როდესაც ტექსტი განყვეტილია ან, როგორც ამბობენ, პრობლემატურია (ცარიელია), ტექსტის (განსაკუთრებით ძველის) რეციპირება ფერხდება, რადგანაც პერსონაჟები, ადგილი, დრო, მიზეზი, მიზანი და ა.შ. კომუნიკანტისათვის (მკითხველის, ინტერპრეტატორისათვის) უცნობია სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა მაგალითად, ისტორიული დრო, ვითარება, ავტორისეული ცოდნა, მსოფლმხედველობა და მისთ. ასეთ შემთხვევაში სათანადო გაგება-გაგებინება ვერ მიიღწევა (LEWANDOWSKI 1984-85, იხ. Inferenz).

რა როლს თამაშობს ინფერენცი ტექსტის გაგება-გაგებინებაში?

ინფერენცის ცნება ტექსტის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში არაერთგვაროვნად გაიგება, ამიტომ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრების ჩამოყალიბება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ჩანს. ამ საკითხში გამოკვეთილია ორი მიმართულება – **კონსტრუქტივისტული და ინტენციონალისტური**. პირველი მიმართულების წარმომადგენლები ინფერენცს უწოდებენ სხვადასხვა სახის დასკვნით პროცესებს, რომლებსაც კომუნიკანტი მაშინ მიმართავს, როდესაც ტექსტის არაექსპლიციტურად გამოხატული ურთიერთკავშირები თავად მან კონსტრუქციულად უნდა განავრცოს განსაზღვრული ვარაუდების საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სამყაროსეული ცოდნა (Weltwissen) აქვს მას დასკვნების გამოსაყვანად. უნდა აღინიშნოს, რომ აქ მსჯელობაა ბუნებრივი ენის საფუძველზე გამოყვანილ დასკვნებზე, რომლებიც საპირისპიროდ ფორმალური დასკვნებისა, დამყარებულია არა პროპოზიციულ ფორმებზე, არამედ გამოიყვანება წინადადების/ტექსტის შინაარსიდან. **ინფერენცი არ არის ლოგიკური, იძულებითი დასკვნა. ეს არის სემანტიკური დასკვნა, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტის კოჰერენტულ ინტერპრეტაციას და თავადაც ინტერპრეტაციული სიდიდეა.**

საპირისპიროდ ამისა ინტენციონალური მიმართულების წარმომადგენლები იმ აზრისა არიან, რომ მკითხველმა ტექსტიდან რაღაც დასკვნა უნდა გამოიყვანოს, რომელიც დამორებულია „ბუკვალური“ ან პირდაპირი მნიშვნელობიდან. მაგრამ მხოლოდ ისეთი დასკვნა შეიძლება იყოს ადეკვატური, რომელიც გამოიყვანება ავტორის მსჯელობიდან. კომუნიკატორის (ავტორის) ინტენცია მხოლოდ ინფერენციულად შეიძლება იქნეს გაახსნილი. ავტორის ინტენციაში უნდა შედიოდეს ისიც, რომ მკითხველმა სათანადო ინფერენცი გამოიყვანოს.

ორივე მიმართულებისათვის საერთო ის არის, რომ სავარაუდო დასკვნა გამოიყვანება. ერთის მიხედვით ბუნებრივი ენის საფუძველზე, ხოლო მეორის მიხედვით ავტორის ინტენციის ინფერირების შედეგად.

მიუხედავა ამ ორი მიმართულების განსხვავებული ორიენტირებისა, ორივე აღძრავს კითხვას: როგორია ცოდნა, რომელიც კომუნიკანტს (მკითხველს) აიბულებს წარმატებით განახორციელოს ინფერენცის პროცესი, შესაბამისად, მიაღწიოს იმის გაგებას, თუ რისი თქმა უნდა ავტორს თავისი ტექსტით მოცემულ კონტექსტში. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია „ჰერმენევტიკული დიფერენცის" დაძლევა, იმ პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფერენციულ გაგებას (BIERE, 1989:92-100). ამისათვის სხვადასხვა გზები არსებობს. ერთ-ერთი მათგანია ინფერენცის ბაზისის (Inferenzbasis) შექმნა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ წინარე ცოდნას – ენციკლოპედიურს, ენობრივს, დარგობრივს, პრაგმატულს და ა.შ. ეს ცოდნა ის ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტის ინფერენცს და საბოლოო ჯამში მის გაგებას.

ინფერენცის ბაზისში შედის აგრეთვე კოჰერენტულობა (Kohärenz) და კოჰეზია (Kohäsion). აქაც, ისევე როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ამ ორი ტერმინის გაგება ერთგვაროვანი არ არის. ზოგიერთი ენათმეცნიერი სინონიმურად მოიხმარს ორივე ტერმინს და საჭიროდ არ მიიჩნევს განასხვაოს სემანტიკური და გრამატიკული ბმულობა. მაგრამ იმდენად გამოკვეთილია ამ ორი ფუნდამენტური მოვლენის სპეციფიკა, რომ სავსებით გამართლებულია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კოჰერენცი (Zusammenhang) და კოჰეზია (Zusammenhalt, Bindung). პირველი ენობრივი მონაცემების შინაარსობრივ ბმულობას გულისხმობს (რაც არ უდრის ექსტრალინგვისტური შინაარსების ურთიერთკავშირს), ხოლო მეორე – ენობრივი მონაცემების გრამატიკული ბმულობის წესებს (I, Kohärenz, Kohäsion) (BIERE, 1989:92-93).

9.4. ორდინარული და პუანტირებული ტექსტები

ინფერენცისა და დივინაციის როგორც ჰერმენევტიკული ხერხების გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე რამდენადმე უკავშირდება ბათიზმატური ველის სტრუქტურული კომპონენტების კონსტელაციას ტექსტში. იმის მიხედვით ბათიზმატური ველის ყველა ფენა მშვიდად ფუნქციონირებს ერთი მეორის მეზობლობაში, თუ რომელიმე მათგანი განსაკუთრებული აქტივობით ზემოქმედებს ტექსტის საზრისის ჩამოყალიბებაზე, გამოვყოფთ ორდინარულ და პუანტირებულ ტექსტებს.

ორდინარულ ტექსტებში ბათიზმატური ველი განფენილია მისი ყველა კომპონენტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანაბარი ნაწილობრივი შენატანის საფუძველზე, თითოეული მათგანი მშვიდად, ნორმის ფარგლებში ასრულებს თავის ფუნქციას და არ ცდილობს თავისი თავი სხვაზე წინ დააყენოს. ამ ნეიტრალურობის გამო ინტერპრეტატორს შეუძლია თავისი მიზნის შესაბამისად ყურადღება შეაჩეროს ტექსტის ნებისმიერ მხარეზე, თავისი მხედველო-

ბის არეში მოაქციოს ერთი ან რამდენიმე მათგანი, ხოლო დანარჩენი უყურადღებოდ დატოვოს ჩრდილში.

პუანტირებული ტექსტი ინტერპრეტატორს ამის საშალებას არ აძლევს. ოგი თავად კარნახობს მას, რას უნდა მიაქციოს ძირითადი ყურადღება, რა წამოწიოს წინა პლანზე, რა ხერხით ამოიკითხოს საზრისი, რა ინფერენცი გამოიყვანოს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დივინაციის და ინფერენცის გამოყენება დამოკიდებულია ბათიზმატური ველის ამ თავისებურებებზე. რაც უფრო პუანტირებულია ტექსტი, მით უფრო დიდია დივინაციისა და ინფერენცის გამოყენების ხარისხი, და პირუკუ. პუანტირება თავის მხრივ ხორციელდება ბათიზმატური ველის ამა თუ იმ მახასიათებლის აქცენტირებით, მათ შორის სემანტიკური და გრამატიკული ბმულობით. დივინაციისა და ინფერენცის გამოყენება აგრეთვე პირდაპირ პროპორციულია კოჰერენტული და კოჰეზიური საშუალებების გამოყენების ხარისხისა. რაც უფრო ხშირია და მეტად ექსპლიცირებული ბმულობის საშუალებები, მით უფრო ნაკლებია დივინაციისა და ინფერენცის მოხმობის საჭიროება, და პირუკუ. ორდინარულ ტექსტებში ეს დაპირისპირება არ შეინიშნება.

მეცხრე ქვეთავის დასკვნები

1. ტექსტის ინტერპრეტაციის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები კომუნიკაციის პროცესში (უმუალო იქნება ის, თუ შუალობითი) იყენებენ ენას როგორც ურთიერთობის საშუალებას და თავის ინტენციას აქსოვენ ტექსტში. კომუნიკატორის მიერ ტექსტში ჩადებული საზრისი კომუნიკანტისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გამჭვირვალე არ არის. გაგება, როგორც წესი, ვერ აღწევს მანქანურ სიზუსტეს და ინტერპრეტატორი მოწოდებულია წინასწარ შემუშავებული წესების თანახმად ტექსტი გასაგები გახადოს მისი რეკონსტრუქციის გზით. ხოლო წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებს და წესებს, ე.ი. ხელოვნურად შექმნილ პირობებს, ჰერმენევტიკა გვთავაზობს.
2. ჰერმენევტიკული სპირალის/წრის ძირითადი კომპონენტებია დივინაცია და ინფერენცი, რომელთა გამოყენება საშუალებას აძლევს კომენტატორს ტექსტის რეკონსტრუქცია განახორციელოს და ხელი შეუწყოს ტექსტის გაგება-გაგებინებას მიახლოების შესაძლო მაღალი ალბათობით.
3. ტექსტის ლინგვისტიკა არ არის მონოლითური დისციპლინა. მასში გამოიყოფა ზოგადი ნაწილი და კერძო სფეროები, რომლებსაც, ერთი მხრივ, საერთო კვლევის ობიექტებიი ტექსტი და ენათმეცნიერული ფონი აკავშირებთ, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმანეთს აშორებს საერთო კვლევის ობიექტის სხვადასხვა რაკურსით შესწავლა და, შესაბამისად, ინტერესების განსხვავებულობა.

   ტექსტის ინტერპრეტაცია შეიძლება განხორციელდეს ტექსტის რომელიმე შემადგენელი კომპონენტიდან გამოსვლით (ქვევიდან), ან პირუკუ, მთლი-

ანი ტექსტიდან გამოსვლით (ზევიდან). ორივე შემთხვევაში მიდგომა უნდა იყოს ჰოლისტური.

4. ბათიზმატური ველის ფენების აქტივობის ხარისხის მიხედვით გამოიყოფა ორდინარული და პუანტირებული ტექსტები. მათგან პირველი ჯდება ნორმის ფარგლებში, ყველა ნეიტრალურია, ინტერპრეტატორს შეუძლია ტექსტი გაანალიზოს ნებისმიერ ასპექტში. პუანტირებულ ტექსტებში ბათიზმატური ველის ფენების თანხმობა დარღვეულია, ერთი რომელიმე ან რამდენიმე მათგანი დომინანტობს მეორეზე, სხვაზე. ინტერპრეტატორი იძულებულია დაინახოს პუანტირებული მხარე და პირველ რიგში ყურადღება მიაქციოს დომინანტურ სტრუქტურებს ტექსტის საზრისის დადგენის დროს.
5. თანამედროვე ლინგვისტიკური ჰერმენევტიკის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს ენობრივი გამოხატვისა და საზრისის გაგების ადეკვატურობა, გადის ვექტორზე, რომელიც მიემართება ფრიდრიხ შლაიერმახერის ნააზრევიდან, გაივლის ჰაიმან შტაინთალის ინტერპრეტაციის სახეებს და სრულდება ბერნდ ულრიხ ბირეს გაგება–გაგებინების თეორიით.

   მონოგრაფიაში გამოსავალ დებულებად აღებულია შლაიერმახერ-შტაინთალ-ბირეს ხაზი, გაზიარებულია მათი პრინციპებისა და მეთოდების შესაბამისობა და მართლზომიერება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყოველი მიმართულება, მათ შორის დასახელებულიც, შეიძლება განივრცოს შემდგომი საფეხურებით, შესაძლებელი ჩანს ინტერპრეტაციის სხვა რაკურსების გამოყენებაც და კვლევის სხვა ან მოდიფიცირებული ასპექტების შერჩევა.
6. გვინდა გამოვყოთ ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ოთხი ასპექტი:
   - ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაცია;
   - ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია;
   - ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაცია;
   - ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ინტერპრეტაცია.

ნაწილი მეორე

ტექსტის ლინგვისტიკა ტექსტის ცნების სპეციფიკაციის შემდეგ

თავი IV

ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ასპექტები

10.0. ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაცია

ტექსტის გრამატიკული სპეციფიკის აღწერა და დახასიათება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული, რის გათვალისწინებაც ტექსტის ინტერპრეტაციის დროს აუცილებელია.

ტერმინი „ტექსტის გრამატიკა“ სხვადასხვა გაგებით მოიხმარება. ასე უწოდებენ, მაგალითად, ტექსტის ლინგვისტიკის იმ ვარიანტს, რომლის კვლევის სფეროა ცალკეული კონკრეტული ენის სისტემა. ასეთი გაგება განსაკუთრებით დამახასიათებელია ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების პირველი პერიოდისათვის. ტექსტის გრამატიკა არ იფარგლება წმინდა გრამატიკული ასპექტებით და განიხილავს როგორც ტექსტის ლინგვისტიკის ზოგად, ასევე ტექსტის სემანტიკის საკითხებს (DRESSLER, 1973:79). ამ შემთხვევაში ტექსტის გრამატიკა გაიგება ფართო მნიშვნელობით და უახლოვდება ტექსტის ლინგვისტიკას.

გრამატიკული ერთეულების ფუნქციონირებას ტექსტში არ ახასიათებს ისეთი სიზუსტე და შეზღუდულობა, როგორც სისტემის დონეზე. თუ ვთქვათ, მორფოლოგიაში მორფემების ინვენტარი სასრულია და ფუნქციების კონკრეტულობით გამოირჩევა, ტექსტის დონეზე ხდება მათი მორფოლოგიური ნეიტრალიზება, ფუნქციების გაფართოება, საზრისებით გაჯერება და იერარქიის უფრო მაღალი დონის ერთეულებში ინტეგრირება.

გრამატიკული მიმართებების ექსტრაპოლირებას ტექსტის დონეზე მოსდევს სათანადო ტერმინებისა და ცნებების შექმნა, რომლებიც არ ახდენენ მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების კოპირებას. რამდენადაც ტექსტი ნაწილებისგან შედგენილი მთლიანი წარმონაქმნია, მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ისე დისკრეტულ ნაწილებად დაყოფას და სეგმენტების ბმულობის დადგენას. სეგმენტების ბმულობა ხორციელდება მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით, რომლებიც ტექსტის დონეზე სხვა სტატუსს იძენენ და სხვა ფუნქციებს ასრულებენ. ამ შემთხვევაში „ტექსტის გრამატიკა“

გაიგება როგორც ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში შემავალი რამდენადმე ავტონომიური დისციპლინა (WEINRICH 1993).

მონოგრაფიაში გაზიარებულია მეორე გაგება.

გრამატიკული მიმართებების კვლევა ტექსტში ორ მომენტს შეიცავს. პირველია მთლიან ტექსტში (Makrotext, Ganztext) მისი ნაწილების (Mikrotext,Teiltext) გადაბმის საშუალებების დადგენა, მეორეა ტექსტის ცალკეული ნაწილების ფარგლებში არსებული კავშირების გამოხატვის საშუალებების აღწერა.

10.1. ორდინარული ტექსტები

გრამატიკული ინტერპრეტაციისათვის კარგ მასალას იძლევა მეცნიერული ტექსტები, რადგან ისინი, როგორც წესი, ორდინარული ტექსტებია და კარგად ჯდებიან ნორმის ფარგლებში. მათ ახასიათებს კომპოზიციური სიმწყობრე და ტიპურობა. ამას გარდა მონოთემატურობა ხელს უწყობს ტექსტში თემის თანამიმდევრულ განვითარებას და ლოგიკური მიმართებების მკაფიოდ გამოხატვას.

მეცნიერული ტექსტების გაგების უპირველესი პირობაა წინარეცოდნა, წარმოდგენა ტექსტის ნიმუშზე, სპეციალური ცოდნა და ა.შ. დამწერის მეხსიერებაში აღბეჭდილია ტექსტის ენგრამა, რომლის აქტუალიზებაც ხდება მოცემულ შემთხვევაში. ტექსტის ნიმუში გამლილია ბათიზმატურ ველში, მას აქვს დასაწყისი და დასასრული, არქიტექტონიკა და კომპოზიცია. ვიზუალურად აღქმადი ერთეულებია: სათაური, პარაგრაფი, აბზაცი და მისთ. ტექსტის შინაგანი სტრუქტურა იქმნება მთლიანი ტექსტის თემატური და მეთოდური დანაწევრებით. ამ ტიპის სამეცნიერო სტატია, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს დაწერილი, დაახლოებით ერთ სტანდარტზეა იგი აგებული. მისი კომპოზიციის ზოგიერთი კომპონენტი ფაკულტატურია, შეიძლება იყოს ან არ იყოს, მაგრამ აქტუალიზებული ფენის ვარიანტი აუცილებელია. სტატია იყოფა კომპოზიციურ ნაწილებად. ესენია: სათაური; უცხოურ ენაზე დაწერილი რეზიუმე/აბსტრაქტი, რომელიც შეიძლება იყოს სათაურის შემდეგ ან სტატიის ბოლოს; პირველი მიკროტექსტი – საკითხის დასმა, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა; მეორე მიკროტექსტი – თემის გაშლა, დასაბუთება; მესამე მიკროტექსტი – დასკვნა, კვლევების შედეგების დაჯამება. ისმება კითხვა: რა საშუალებებით ნაწევრდება გერმანული ენათმეცნიერული სტატია მიკროტექსტებად და სეგმენტებად? როგორ ხდება კომპოზიციური ნაწილების და ცალკეული მონაკვეთების შიგნით წინადადებებისა და სეგმენტების გადაბმა, ე.ი. მიკროტექსტების აგება?

ტექსტის აგების (კომპონირების) საშუალებები იყოფა კომპოზიციურ სიგნალებად და კონექტორებად.

კომპოზიციურ სიგნალებს უშუალო კავშირი არა აქვს ტექსტის შინაარსთან და მთლიანი ტექსტის შინაარსთან და მთლიანი ტექსტის ლინეარულ სეგმენტებთან. მათი ძირითადი ფუნქციაა მიკროტექსტების ბმულობის განხორციელება.

კომპოზიციური სიგნალები (Gliederungssignale) იყოფა სამ ჯგუფად. ორი მათგანი ინიციატორები (Initiatoren, Eingangssignale) და ტერმინატორები (Terminatoren, Schlussignale) აფიქსირებენ ტექსტის დასაწყისსა და ბოლოს, მათ შორის თავსდებიან სეკვენციური (Sequenzsignale, Reihenfolgensignale) და საკუთრივ კომპოზიციური სიგნალები (eigentliche Gliederungssignale).

კომპოზიციური სიგნალები მაკროტექსტის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთისაგან გამოყოფენ და იმავდროულად ერთმანეთთან აკავშირებენ. თუ მათ იერარქიულად უფრო დაბალი დონის ტერმინებით ალვნიშნავთ, აღმოჩნდება, რომ მათ ფუნქციას ასრულებენ ზმნიზედები, წინდებულიანი არსებითი სახელები, შესიტყვებები და წინადადებები. ასეთებია მაგალითად, ინიციატორები: erstens, zunächst, zu Beginn, um damit zu beginnen; სეკვენციური და საკუთრივ კომპოზიციური სიგნალები: zweitens, ferner, hinzuzufügen ist, weiter, unten, bisher, nunmehr; ტერმინატორები: zuletzt, schließlich, insgesamt, damit ist .... beendet.

რაც შეეხება კონექტორებს, ისინი ფუნქციონირებენ წინადადებათა შენაერთების ფარგლებში, რომლებიც მიკროტექსტებს ქმნიან. ბმულობის ამ კომპონენტებს წარმოადგენს ენობრივი ერთეულები, რომლებიც კომპოზიციური სიგნალებისაგან განსხვავებით განაზოგადებენ რეალურ სამყაროში არსებულ დამოკიდებულებებს. ეს შეიძლება იყოს დაეჭვება, მტკიცება, მიზანი, მიზეზი, შედეგი, საშუალება და ა.შ. ბმულობის ამ კომპონენტებს **კონექტორებს** უწოდებენ (der Konnex-Zusammenhang, Verknüpfung, Verbindung; der Konnektor – der Verbindende). მათ ფუნქციებს ასრულებენ ზმნიზედები, კავშირები და წინდებულიანი შესიტყვებები: dann, vorher, gleichzeitig, hingegen, weil და მისთ. (AGRIKOLA, 1983:227).

ვნახოთ, კონკრეტული ტექსტების მაგალითზე როგორ ფუნქციონირებენ კომპოზიციური სიგნალები მაკროტექსტისა და კონექტორები მიკროტექსტების ფარგლებში. საანალიზოდ ვიღებთ ჟურნალში „Deutsch als Fremdsprache" გამოქვეყნებულ ოთხ ენათმეცნიერულ სტატიას.

პირველი დარგობრივი ტექსტის თემა სათაურშივეა დაფიქსირებული: „Zur Dialektik im Sprachsystem". ქვესათაური Widerspruch-Motiviertheit-Sprachveränderung აზუსტებს თემას (WURZEL 1984). როგორც სათაური, ისე ქვესათაური გამოხატულია არსებითი სახელით. სტატია შეეხება ენათმეცნიერების ზოგად პრობლემებს, შესაბამისად, აბსტრაქტულია და შეიცავს ვარაუდებს, მტკიცებებს, დასაბუთებებს. მისი მკაფიოდ გამოხატული კომპოზიცია შედგება შესავალი მიკროტექსტისგან, რომელშიც კვლევის მიზნებია განსაზღვრული, ძირითადი მიკროტექსტისა და დასკვნისგან. გამოკვეთილია მისი არქიტექტონიკაც, რომელიც შედგება 12 პუნქტისგან.

შესავალ მიკროტექსტში გვხვდებიან ინიციატორები, რომლებსაც წინადადების სახე აქვთ: Es kann nicht das Ziel dieses Beitrags sein, im folgenden soll dargestellt werden. სტატია მთავრდება მეთორმეტე პუნქტით, რომელიც თით-

ქმის ერთ გვერდს მოიცავს. ეს მიკროტექსტი იწყება შემდეგი ტერმინატორით: Fassen wir ... die wichtigsten Widersprüche zusammen, რომელსაც მოჰყვება დასკვნები (WURZEL, 1984:209-210).

ძირითადი მიკროტექსტი, როგორც მოსალოდნელია, მოცულობით ყველაზე უფრო ვრცელია. აქ გვხვდება სეკვენციური და საკუთრივ კომპოზიციური სიგნალები: im folgenden, es wurde bereits festgesetzt, eben ist schon gesagt worden და ა.შ. სტატიაში მრავლად გვხვდება კონექტორები, რომლებიც გამოხატავენ ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებებს მიკროტექსტის ფარგლებში. ასეთებია: sowohl ... als auch (უბრალო მიერთება), ebensowenig (შედარება), daher, weshalb (მიზეზობრივი მიმართება), dabei (თანადროულობა), damit (ფინალური მიმართება), besonders (ხაზგასმა), aber (დაპირისპირება, კონტრასტი).

მეორე საანალიზო ტექსტი დასათაურებულია კითხვითი წინადადებით: Ist das deutsche Perfekt ein Vergangenheitstempus? (SCHMIDT 1973). არქიტექტონიკული თვალსაზრისით სტატია მონოლითურია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბზაცებს, არ იყოფა არც პუნქტებად და პარაგრაფებად, არც ქვესათაურები აქვს. შესავალ მიკროტექსტში მიმოხილულია პერფექტის კვლევის ისტორია. აქ გვხვდება შემდეგი ინიციატორები: in den letzten Jahren, es wird darauf hingewiesen, es ist nötig და მისთ. (იქვე, 198).

სტატიის ბოლო დასკვნითი ნაწილი მოიცავს მხოლოდ ერთ აბზაცს, რომელიც გამოყოფილია ტერმინატორით zusammenfassend kann festgehalten werden (SCHMIDT, 1973:198).

ძირითადი მიკროტექსტი გამოირჩევა კამათის მწვავე ტონით. ავტორი აანალიზებს სხვა მეცნიერთა შეხედულებებს მოცემულ საკითხზე, უარყოფს მათ და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს. აქ გვხვდება შემდეგი სიგნალები: სეკვენციური და კომპოზიციური (Otto Behagel) geht davon aus ..., (Hans Glinz) kommt zu folgender Feststellung, (Wladimir Admoni) äußert sich wie folgt, weiter heißt es, dazu ist zunächst zu sagen, im weiteren wird geprüft, anders ausgedrückt და სხვ.

კონექტორები უხვად არის გაბნეული მიკროტექსტებში და თითქმის ყველა სახის მიმართებებს გამოხატავენ, როგორიცაა: nämlich, mitunter, nicht nur... sondern auch (უბრალო მიერთება), offensichtlich, sicherlich (მოდალური მიერთება), doch, aber, nur, trozdem (დაპირისპირება), jeweils, immer, dann (დროითი მიმართება), somit, also (ფინალური მიმართება).

მესამე სტატიას, რომელშიც განხილულია არსებითი სახელის სქესის კატეგორია, მკაფიო არქიტექტონიკული სტრუქტურა აქვს (JARNATOWSKAJA 1968). იგი შედგება რამდენიმე მონაკვეთისგან. პირველ მონაკვეთს წინ უძღვის შესავალი მიკროტექსტი, ხოლო ძირითად ნაწილს შეადგენს 6 მონაკვეთი. დასკვნა დაფიქსირებულია ბოლო აბზაცის სახით. არქიტექტონიკული დისკრეტაცია არ ემთხვევა კომპოზიციურს, პირველი მოიცავს ექვს ერთეულს, მეორე – სამს.

შესავალი მიკროტექსტი მარკირებულია გრაფიკულად, ამიტომ აქ ინიციატორები ნაკლებად გვხვდება. სტატიის ბოლო აბზაცი იწყება კლიშეთი „Zusammenfassend ist zu sagen" (JARNATOWSKAJA, 1968:218). ძირითად ნაწილში გვხვდება საკუთრივ კომპოზიციური სიგნალები es ist aber zu erwähnen, in erster Linie, es wäre zu erwähnen, es ist aber zu betonen და სხვ. მათი რიცხვი არც ისე დიდია. როგორც ჩანს, არქიტექტონიკული დანაწევრება პირდაპირ უკუპროპორციულია კომპოზიციურისა. რაც უფრო გამოკვეთილია არქიტექტონიკა, მით უფრო ნაკლებია კომპოზიციური სიგნალების უხვად ხმარების ალბათობა.

რაც შეეხება კონექტორებს, ამ სტატიაშიც თითქმის იგივე კონექტორები გვხვდება, რაც ზემოგანხილულ ორში.

მეოთხე სტატია „Ergebnisse und Ausblicke" (HELLMICH 1968) საკამათო საკითხების განსაზღვრული წრის განხილვას ეძღვნება. იგი შედგება შესავალი მიკროტექსტის, ორი მონაკვეთისა და დასკვნითი მიკროტექსტისაგან. ორ მონაკვეთში, რომელიც სტატიის ძირითადი ნაწილია, დისკუსიის მთავარი თემაა განხილული. ისინი გამოყოფილია არაბული ციფრებით და ქვესათაურებით: 1. Zur Zielkonzeption, Inhalt und Thematik des Lehrbuchs (იქვე, 229). 2. Zum Übungssystem (HELLMICH, 1968:232). შესავალ მიკროტექსტში გვხვდება ინიციატორი Heute sollen folgende Bereiche behandelt werden, დასკვნით მიკროტექსტში – ტიპური კლიშე Abschließend kann festgestellt werden. ძირითად მიკროტექსტში მრავლად გვხვდება სეკვენციური და საკუთრივ კომპოზიციური სიგნალები: davon abgeleitet, die folgende Phase kann sein, beachtenswert ist auch, anders gesagt, unter diesem Blickwinkel, so betrachtet ...

რაც შეეხება კონექტორებს, ისინი ამ სტატიაშიც უხვად გვხვდება და იმავე მიმართებებს გამოხატავენ, რასაც ზემოხსენებულები: daher, deshalb, demnach (მიზეზობრივი მიმართება), so also, somit (შედეგობრივი მიმართება); während (შედარება); dabei. gleichzeitig (თანადროულობა) და მრავალი სხვა.

ენათმეცნიერული სტატიების ჩვენეულ ანალიზს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ყველაზე ადეკვატურ მეთოდიკას ეყრდნობა და ასეთსავე ცნებებსა და ტერმინებს იყენებს. 80-იანი – 90-იანი წლების ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში დაახლოებით ანალოგიური მიდგომები გვხვდება, თუმცა სხვადასხვა ავტორების მიერ ტექსტის ბმულობის საშუალებების კლასიფიკაცია შეიძლება რამდენადმე განსხვავებულ ცნებებსა და ტერმინებში ხდებოდეს. ამ საშუალებების მთავარი ფუნქცია პრინციპში მაინც ერთი და იგივე რჩება.

ბმულობის საშუალებები, რომლებიც საწყისეულად ენის სისტემის სხვადასხვა დონეზეა განლაგებული და იქიდან მოდის ტექსტის გრამატიკაში, ტექსტში უფრო მაღალი დონის გარემოცვაში ექცევა და ამ დონის ერთეულების ინტეგრანტებად გადაიქცევა.

არსებობს ტექსტის სიგნალების კლასიფიკაციის სხვა მცდელობებიც, რომლებსაც განსხვავებული კრიტერიუმები უდევს საფუძვლად, მაგალითად,

ტექსტის ნიმუშის სპეციფიკა. ამ შემთხვევაში კომუნიკაციის აქტად მიჩნეულია ენობრივი კომუნიკაციის ყოველი ხდომილება (Ereignis), რომელიც მიმდინარეობს სულ ცოტა ორ ინსტანციას შორის. ხდომილების დაწყებას მიუთითებს სპეციალური სიგნალი (Anfangssignal) და მთავრდება მკვეთრი შეწყვეტით, რომელსაც ხშირად წინ უძღვის დასრულების სიგნალი (Schlusssignal) (GROßE, 1976:11). გამოიყოფა აგრეთვე პრესიგნალი, როგორიცაა, მაგალითად სათაური, ლიტერატურული ჟანრის აღმნიშვნელი ქვესათაურები – რომანი, სონეტი, კომედია და ა.შ. პრესიგნალებთან ერთად ტექსტში არსებობს სიგნალები, რომლებიც მოსდევენ მათ და მიუთითებენ, თუ როგორ უნდა აღიქვას მკითხველმა სემანტიკურად მომდევნო წინადადებები (იქვე, 1976:21). გამოყოფენ აგრეთვე მყარ სიგნალებს (obstinate Signale), რომლებიც ტექსტში მეორდება (wiederkehren) და გრამატიკულად აუცილებელია (იქვე, 1976:21). ტექსტის დისკრეტული ერთეულების დაკავშირების ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია აგრეთვე ე.წ. პარენთეზული კონსტრუქციები, რომლებიც ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილია ჩართული სიტყვებისა და შესიტყვებების სახელით. მათი გრამატიკული ფუნქცია განისაზღვრება არა წინადადების ფარგლებით, არამედ წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულებით – ტექსტის ბლოკებით, პარენთეზულ კონსტრუქციებს მიეკუთვნება მაგალითად, kein Zweifel mehr, allem Anschein nach, es versteht sich, wahrscheinlich, selbstverständlich და მისთ. (МЕЩЛЕР, 1987:32). პარენთეზული კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური ჯგუფები, სუბიექტურ-მოდალური (*вводные*) და ობიექტურ-განმარტებითი (*вставные*) პრინციპში იმავე მიმართებებს გამოხატავენ, რასაც ტიპური თანწყობის კავშირები. მათი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ შეასრულონ ტექსტის ცალკეული ნაწილების მაკონსტრუირებელი როლი და თავის თავში ერთდროულად შეითავსონ კოჰეზიისა და დელიმიტაციის ფუნქციები (იქვე, 1987:76-78).

ამრიგად, ტექსტის გრამატიკა ადგენს ტექსტის ზედაპირული სტრუქტურისა და შინაგანი აზრობრივი ორგანიზაციის ურთიერთმიმართებებს. მისი კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს ყოველი გრამატიკული კატეგორია და ერთეული, რომელსაც ამ ურთიერთმიმართებების გამოხატვა ძალუძს. ამასთან დაკავშირებით ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში ბევრი საინტერესო პრობლემა არის წამოჭრილი და გადაწყვეტილი, მაგრამ გადაუჭრელი კვლავაც ბევრი რჩება. ყველა პრობლემა თავს იყრის ტექსტის კოჰეზიის ირგვლივ, რომლის ექსპლიციტურად განხორციელება ტექსტის დონეზე შეიძლება მოხდეს როგორც მეტყველების ნაწილების და მორფოლოგიური კატეგორიების, ისე ტრადიციული (ლოგიკური) და აქტუალური სინტაქსის ხერხების მოშველიებით.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სიგნალებისა და კონექტორების სხვადასხვა ჯგუფებს შორის აბსოლუტურად მკვეთრი ზღვარი. ზოგჯერ რამდენიმე სიგნალს ერთი საერთო ლექსემა აქვს, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებენ და როგორ გარემოცვაში გამოიყენებიან, ისინი სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნებიან. შევადაროთ მაგალითად, Dazu einige wenige Beispiele და beispielsweise. პირველი უშუალოდ აერთებს წინადადებებს, ხოლო მეორე

ხაზს უსვამს მიმართებას, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული წინა წინადადებასთან. ამ ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი სიგნალების კვალიფიცირება საეჭვო შემთხვევაში უნდა მოხდეს კონტექსტების გამოკვლევის საშუალებით. ზოგჯერ ასევე ძნელია სეკვენციური და საკუთრივ კომპოზიციური სიგნალების ერთმანეთისაგან გარჩევა, რადგანაც მათი ფუნქციონირების ჩარჩოები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ისინი აკავშირებენ ერთიმეორის მომდევნო წინადადებებს და წინადადებათა შენაერთებს იმ განსხვავებით, რომ პირველნი ახორციელებენ პირდაპირ სინტაქსურ მიერთებას, მეორენი – დისტანციურს.

აღინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე სიგნალი ინიციატორის ფუნქციასაც ასრულებს და ტერმინატორისაც. მაგალითად, in den letzten Jahren სიგნალმა შეიძლება დაიწყოს შესავალი მიკროტექსტი და დასკვნითი მიკროტექსტიც დაასრულოს, პირველ შემთხვევაში ის შეიძლება ნიშნავდეს: „ბოლო წლებში ეს საკითხი აქტუალური გახდა და სტატიაში არის მცდელობა მისი გადაწყვეტისა“ ე.ი. იყოს ინიციატორი. ხოლო მეორე შემთხვევაში ნიშნავდეს: „ასეთი იყო ბოლო წლებში ამ აქტუალური საკითხის გადაწყვეტის მცდელობა“, ე.ი. იყოს ტერმინატორი.

ინტერესს არ არის მოკლებული ის ფაქტი, რომ ენათმენიერები, რომლებიც ტექსტის გრამატიკის/ლინგვისტიკის შესწავლის საგნად მიიჩნევენ როგორ ტექსტს, ისე დისკურსს და არ აღიარებენ ტექსტის ლინგვისტიკის და დისკურსის ლინგვისტიკის ავტონომიურობას, იძულებული ხდებიან სათანადო შემთხვევაში მაინც გამიჯნონ ისინი. მათ ნაშრომებში არქიტექტონიკურად არ არის გამოყოფილი სპეციალური განყოფილება, რომელშიც განხილულია მხოლოდ ტექსტთან როგორც წერილობით წარმონაქმნთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ფაქტობრივად ხდება ეს გამიჯვნა, როდესაც მაგალითად გამოიყოფა დიალოგის სინტაქსი (Syntax des Dialogs) (Weinrich, 1993:819-919).

დიალოგის სინტაქსში ხდება სიგნალების იდენტიფიკაცია, მაგრამ სხვა ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე. ეს ლოგიკურიცაა, რადგან დისკურსის სეგმენტები ემთხვევა კომუნიკაციის პარტნიორების როლების საზღვრებს და სიგნალები ემსახურება არა იმდენად დიალოგის ნაწილების ბმულობის განხორციელებას (ეს „ბმულობა“ ხშირად აბსურდამდეა მისული და არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება იმისათვის, ვინც არ იმყოფება მოცემულ დეიქტიკურ ველში, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, არის საუბრის პასიური თანამონაწილე), რამდენადაც დიალოგის აქტიური მონაწილეების რეპლიკების დაწყებისა და დასრულების დაფიქსირებას, ე.ი. პარტნიორების როლების მონაცვლეობის აღნიშვნას.

დიალოგის დაყოფის სიგნალები ფორმალურად ძალზე მრავალფეროვანია და მათი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკეს შეფერხების შემთხვევაში საუბრის გაგრძელების საშუალება მისცეს. ამას მოლაპარაკე ახერხებს პაუზის გაკეთებით და მისი გაგრძელებით, საუბრის დროებით შეწყვეტით, რათა სათანადო სიტყვა მოძებნოს საუბრის გაგრძელებისათვის ან სათანადო

სიტყვა მიაწოდოს პარტნიორს როლების გაცვლის დროს რაიმე მიზეზით გამოწვეული შეფერხების შემთხვევაში. დიალოგის სიგნალებია: **ja, oder, so, ne, mhm, also, hör mal, äh** და ბევრი სხვა.

დიალოგის სიგნალებში შეინიშნება, და უფრო მეტადაც, ვიდრე ტექტის სიგნალებში მრავალმნიშვნელიანობა და, შესაბამისად, ერთი და იმავე სიგნალის სხვადასხვა კონტექსტში ხმარება. ზოგნიც კომბინირებულად ფუნქციონირებენ, რაც მათ სემანტიკაშიც აისახება (Weinrich, 1993:829-931).

10.2. სინტაქსურად პუანტირებული ტექსტები

ჰერმან ჰესე თავის ლექსს „Nachts im April notiert" (1962) უბღვნის სამყაროს სამ ფენომენს: ფერს, ბგერას, ენას.

O daß es Farben gibt:
Blau, Gelb, Weiß, Rot und Grün!

O daß es Töne gibt:
Sopran, Baß, Horn, Oboe!

O daß es Sprache gibt:
Vokabeln, Verse, Reime,
Zärtlichkeiten des Anklangs,
Marsch und Tänze der Syntax!
და ა.შ.[6] (HESSE, 1981:164-165)

ვისაც მათი თამამი უთამაშია და მათი ჯადოქრობა უგემია, განაგრძობს ჰესე, ქვეყანა მისთვის ჰყვავის, უცინის მას, თავის გულს გადაუხსნის და საზრისს ამოუხსნის (იქვე, 164-165).

ვიდრე დავრწმუნდებოდეთ, რომ ჰ.ჰესე გერმანულ სინტაქსს თავის ერთ-ერთ „მოცალეობის ჟამს" დაწერილ ტექსტში ოსტატურად აცეკვებს, და უშუალოდ ამ ტექსტის ინტერპრეტაციაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის გამოპირობება.

ტექსტის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია სპეციფიკური ტექსტოლინგვისტიკური ინვენტარი. ამ მხრივ ბევრი რამ ბუნდოვანი და გადაუჭრელია. ჯერაც არ არსებობს ტექსტის კატეგორიების მკაფიოდ გამოხატული იერარქია. ერთი მხრივ, კატეგორიას უწოდებენ, ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, კონტინუუმი, რეტროსპექცია, პროსპექცია და მისთ., ხოლო, მეორე მხრივ, კონექცია, კოჰერენტულობა, ფორიკა, კოჰეზია და ა.შ. პირველი რიგის კატეგორიები ძალზე ზოგადია, წმინდა ცნებითია და არ არის უშუალოდ დაკავშირებული

---

[6] ო, რომ არსებობს ფერი:|ლურჯი, ყვითელი, წითელი, მწვანე და თეთრი!|ო, რომ არსებობს ხმები:|სოპრანო, ბანი, ბუკი, ჰობოი!|
ო, რომ არსებობს ენა:|სიტყვა, ტაეპი, რითმა,|შესმატკბილებით ჟღერა,|**სინტაქსის რბოლა და ცეკვა!** (ბოდიშს ვიხდი უხეირო თარგმანისთვის - ვ.ფ.)

რაიმე სპეციალურ ენობრივ გამოხატულებასთან. მეორე რიგის კატეგორიები უფრო კონკრეტულია და უშუალოდ უკავშირდება განსაზღვრულ ენობრივ-ნიშნობრივ გამოხატულებას. პრინციპში არ არის გარკვეული, რა დამოკიდებულებაა მათ შორის. შეიძლება კი მათ კატეგორიები ეწოდოს, და თუ შეიძლება, რატომ? რა განსხვავებაა ტექსტის დონისა და სხვა დონის კატეგორიებს შორის? ესა და სხვა მრავალი საკითხი ელის შესწავლას და გადაწყვეტას. მონოგრაფიის ამ ნაწილში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ტექსტის კატეგორიების გამოყოფა, მათი მიზანშეწონილობის დასაბუთება და კატეგორიების რეესტრის შედგენა. ეს არის მხოლოდ ჩვენი მცდელობა, წარმოვადგინოთ ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაციის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი, გამოვიყენოთ ის ტერმინები/ცნებები, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ტექსტის ლინგვისტიკაში და შემოვიტანოთ ზოგიერთი იშვიათი თუ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინი, რომელსაც იქვე განვმარტავთ.

თავდაპირველად „პრინციპისა" და „კატეგორიის" ცნებების გამიჯვნის შესახებ.

„პრინციპი" და „კატეგორია" განეკუთვნება იმ ტერმინებს, რომლებიც მეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად მოიხმარება, მაგრამ ასევე ხშირად არ განიმარტება და არ იმიჯნება ერთმანეთისგან.

არსებობს მრავალი დეფინიცია (ფილოსოფიური, ენციკლოპედიური, კერძომეცნიერული), რომლებიც ამ ტერმინებით გამოხატულ ცნებებს სხვადასხვა კუთხით განსაზღვრავენ, ქვემოთ მოგვყავს მხოლოდ ის ვარიანტები, მათ შორის არსებულ განსხვავებას რომ წარმოაჩენენ. „ლოგიკური აზრით „პრინციპი" არის ცენტრალური ცნება, სისტემის საფუძველი, რომელიც წარმოადგენს ძირითადი დებულებების განზოგადებას და იმ სფეროს ყველა მოვლენაზე ვრცელდება, საიდანაც ხდება ამ პრინციპის აბსტრაჰირება" (ФИЛОСОФСКИЙ..., 1983:294).

„კატეგორია", ერთი მხრივ, გაიგება როგორც „ჯგუფი, კლასი, გვარი და ა.შ.., რომელშიც რამე ჩაირთვება", ხოლო, მეორე მხრივ, როგორც „ზოგადი, აბსტრაჰირებული გვარეობითი ცნება, საგანთა არსებითი ნიშნების ასახვა" (GROßES FREMD....,1980:376). მაშასადამე კატეგორია არ არის ცალსახა ცნება. ცალკეულ შემთხვევებში იგი მოხმარების სფეროს მიხედვით ზუსტდება და მეტ-ნაკლებად ვიწრო ან ფართო შეიძლება იყოს. მეორე მნიშვნელობით „კატეგორია" უახლოვდება „პრინციპს", უფრო მეტიც, უიგივდება მას.

არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე მოვლენებს სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად აფასებს. მაგალითად, ჰენიგ ბრინკმანი წერს: „Jede Redeeinheit, die aus einer Folge von Sätzen besteht, konstituiert sich nach Prinzipien: 1. nach dem Frinzip der Veränderung (Weiterführung)" და ა.შ. (BRINKMANN, 1971:820). რასაც ჰენიგ ბრინკმანი ტექსტის კონსტრუირების პრინციპს უწოდებს, ი.ა.გალპერინი ტექსტის კატეგორიად მიიჩნევს (ГАЛЬПЕРИН, 1981:87-97).

ლინგვისტიკაში როგორც კერძო მეცნიერებაში დადგენილია განსაზღვრული კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ენობრივი ერთეულების სხვადასხვა კლასების (ჯგუფების, რიგების) ზოგად თვისებებს და გამოიხატებიან სპეციალური ენობრივი (მორფოლოგიური, ლექსიკური, სტილისტიკური) ფორმებით (АХМАНОВА, 1966:190). ლინგვისტიკური კატეგორიების დამახასიათებელი ნიშნებიდან გვინდა გამოვყო ორი: ენობრივი ერთეულის სხვადასხვა კლასების თვისებები" და „სპეციალური ფორმები".

ტექსტი ადამიანს გამოცდილებაში ეძლევა როგორც ენობრივი მოღვაწეობის შედეგი, როგორც მთლიანი წარმონაქმნი ლიტერატურული ნაწარმოების, საქმიანი ქაღალდების, ოფიციალური ან პირადი წერილის სახით და ა.შ. ტექსტი შეიძლება იყოს ხელნაწერი, სტამბური წესით ან საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი, კომპიუტერზე აწყობილი. ყველასთვის საერთოა ის, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს ბათიზმატურ ველზე განფენილ, კომუნიკატორის ინტენციის შესაბამისად აგებულ და დასრულებულ წარმონაქმნს. რადგან ტექსტის დეფინიციაში ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს „წერილობით ფიქსირებულს" და „შედეგს", აღარ ვეხებით ტექსტის გაშლის საკითხს დროში, რაც მისთვის აგრეთვე დამახასიათებელია (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მხატვრული დრო). ჩვენ განვიხილავთ ტექსტს როგორც ენობრივი მოღვაწეობის, წერილობითი პროცესის შედეგს და იგი ჩვენთვის არის ის გამოსავალი პრინციპი, რომელიც მას განიხილავს როგორც განსაკუთრებული ფორმისა და სემანტიკის მქონე მთლიან, ერთიან წარმონაქმნს. რა მეთოდიც უნდა შეარჩიოს მკვლევარმა, უპირველესი მიდგომა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს ერთი და იგივე – ჰოლისტური. თითოეული დეტალი, რომელიც კვლევის თუ ანალიზის დროს ექცევა ყურადღების ცენტრში, უნდა მიემართებოდეს მთელისაკენ და გამოდიოდეს მთელიდან. რომელ კანონზომიერებასაც უნდა ვადგენდეთ სემანტიკურს თუ ფორმალურს, ეს უნდა ხდებოდეს ტექსტის საზრისის ჩარჩოებში.

თუ გამოვალთ იქიდან, რომ ტექსტი, ერთი მხრივ, მთლიანი, ხოლო, მეორე მხრივ, სტრუქტურირებული ნაწილებისგან შედგენილი ენობრივ-გრაფემული (გრაფიკული) წარმონაქმნია, მისი ინტერპრეტაცია უნდა ეფუძნებოდეს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ასევე დისკრეტულს, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა ტექსტის დახურულობა და ღიაობა. ტექსტი დახურულია, რამდენადაც ის ერთიანია და მთლიანი, და ღიაა, რამდენადაც ის შედგება ერთ მთელად კომპონირებული დისკრეტული ერთეულებისაგან.

დახურულობა და ღიაობა ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული და ოპოზიციურ წყვილს ქმნის. ტექსტი დახურულია, რადგან იგი სივრცეში გაშლილი სასრული წარმონაქმნია, და იმავდროულად ღიაა, რადგანაც მას აქვს ჰორიზონტალური და ვერტიკალური განზომილებანი, რომლებიც გაშლილია დახურული ბათიზმატური ველის საზღვრებში. ჩვენი აზრით, ღიაობა და დახურულობა ტექსტის უზოგადესი თვისებებია, სი-

დან გამოსვლითაც უნდა დადგინდეს სხვა იერარქიულად უფრო დაბალი კატეგორიების თავისებურებანი.

ღიაობა ტექსტის შინაგანი თვისებაა, რომელიც დახურულობის ჩარჩოში არსებობს. დახურულობა, თავის მხრივ, არის არა ცარიელი სივრცე, არამედ ღიაობის პრინციპზე აგებული ცალკეული კომპონენტების სტრუქტურა.

ჰენიგ ბრინკმანი ღიაობის თვისებას ანიჭებს არა მარტო მეტყველების ნაწილებს (არსებით სახელს, ზმნას), არამედ წინადადებასაც (კითხვა-პასუხი) (BRINKMANN, 1971:704-705).

თუ მოხდება დახურულობისა და ღიაობის ექსტრაპოლირება ტექსტის დონეზე, აქ მათ სხვა სტატუსი უნდა მიენიჭოს, კერძოდ, ტექსტის აგების ძირითადი პრინციპებისა. ვარაუდი, რომ ტექსტის კატეგორიები საბოლოო ჯამში დახურულობასა და ღიაობაში იყრის თავს, სავსებით დასაშვებია, ჩაითვალოს დახურულობა და ღიაობა ტექსტის აგების ძირითად პრინციპად, რომელიც ასახავს თავად ტექსტის ონტიურ თვისებებს, ეს შეიძლება სადავოც იყოს და უფრო საფუძვლიან დასაბუთებას თუ ემპირიული მასალის გადამოწმებას მოითხოვდეს, მაგრამ ამ მიმართებით კვლევა ყველა შემთხვევაში პერსპექტიული ჩანს.

ტექსტის აგების პრობლემებს უკვე დიდი კონტექსტის (ტრანსფრასტულ) სინტაქსში, აქტუალურ სინტაქსსა და ტექსტის სტილისტიკაში მიექცა ყურადღება. მართალია, ამ კერძო დისციპლინებში გამოკვეთილი არ არის ტექსტის დონის პარამეტრები, მაგრამ დასმულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა, წინადადებების გადაბმა (Koppelung) და აბზაცების ერთმანეთში გადასვლა, ვერტიკალური მოდელების ლინეარული გამოხატვა, დინამიკური ცენტრების განაწილება გამონათქვამში, სხვადასხვა სახის სიტუაციების აღწერა, ენობრივი ერთეულების განაწილება ზეფრაზულ (წინადადებაზე უფრო დიდ – übersatzmäßig) ერთეულებში, ენობრივ სტილისტიკური საშუალებების არქიტექტონიკური ფუნქციების დადგენა და სხვა (SILMAN 1969; ВАРДУЛЬ 1974; ОБЩЕЕ ЯЗЫКОЗНАНИЯ, 1972:92-119).

ტექსტის ლინგვისტიკა როგორც ენათმენიერული დისციპლინა მიუხედავად ბევრი გადაუჭრელი პრობლემისა და მკვლევართა განსხვავებული მიდგომებისა მაინც ჩამოყალიბებულია. არსებობს დიდი მოცულობის სპეციალური ლიტერატურა, ბევრი მონოგრაფია, უამრავი სტატია, თეორიული ნაშრომი და პრაქტიკული სახელმძღვანელო. მაგრამ მაინც ხაზი ესმება ტექსტის კვლევის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. თვით გამოსავალი ცნებები და ტერმინებიც კი არ არის ჯერჯერობით ცალსახად დადგენილი (ამით აიხსნება ალბათ ისიც, რომ ტექსტის ლინგვისტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებს სპეციალური ტერმინების სია აქვს ხოლმე დართული) (DRESSLER, 1973:175). ასეთ ვითარებაში ცნებების დადგენა და ადეკვატური ტერმინების შემოტანა დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს, იგივე ითქმის ტექსტის ანალიზის ზოგად მე-

თოდსა და კერძო ხერხებზე. მხოლოდ დრო შეაფასებს ამა თუ იმ თეორიული პრინციპის გამოსადეგობას და კატეგორიის გამოყოფის მიზანშეწონილობას.

ტექსტი როგორც მთლიანი წარმონაქმნი, აგებულია ერთ თემაზე, რომელიც ტექსტში ვერ გაიშლება (ერთ თემად ან თანამდევ თემებად), თუ არ განხორციელდა ლოგიკურ-სემანტიკური და ენობრივი კომპონენტების ურთიერთშეწყობა და შეთავსება. ტექსტი უპირველეს ყოვლისა აზრის გამოხატვის საშუალება და შედეგია, ამდენად მისი ყველა კომპონენტი ექვემდებარება ერთ საზრისს. არ არის გამორიცხული მისი რომელიმე ცალკეული კომპონენტისა თუ ასპექტის სპეციალური შესწავლა და ინტერპრეტაცია, მაგრამ ძრითადი მაინც კოჰეზია-კოჰერენცის იმ საშუალებების გამოვლენაა, რომლებიც განახორციელებენ თემის გაშლას და ლოგიკურ-სემანტიკურ ბმულობას. ამასთანავე შეუძლებელია კოჰეზიისა და კოჰერენცის სრული გამიჯვნა, მაგრამ, თუ ეს მაინც ხდება, მხოლოდ იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც საჭიროა მათი საშუალებების გამოკვეთა, ინვენტარის პირობითად გამოყოფა და იდენტიფიკაია.

კოჰეზია და კოჰერენცი ორი ძირითადი კატეგორიაა, რომლებიც ერთი მთლიანის ორ მხარეს წარმოადგენს. კოჰერენცი არის ტექსტის შინაარსის ორგანიზაცია, წინადადებისა და ცნებების სემანტიკური კავშირების ბმულობა, რაც შეიძლება ფორმალურად არც იყოს მკაფიოდ გამოხატული. კოჰეზია არის ტექსტის ენობრივ-ფორმალური, ზედაპირული გადაწვნა, რომელიც ხორციელდება რეკურენციით (ლექსიკური გამეორება), სინტაქსური პარალელიზმით, ელიფსებისა და დროის ფორმების გამოყენებით, თემა-რემატული პროგრესიით, პარაფრაზირებით, პროფორმებით და ა.შ. კოჰერენცი დაკავშირებულია კოჰეზიასთან, კოჰეზია კი, თავის მხრივ – ლოგიკურ-სემანტიკურ, დროით-სივრცით მიმართებებთან და კაუზალურ კავშირებსა და თემატურ ღერძთან.

ამრიგად, ტექსტის სინტაქსური ინტერპრეტაციის სამი უმთავრესი პარამეტრი, რომლებიც რამდენადმე დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, მაგრამ მაინც ერთმანეთში მჭიდროდ გადაჯაჭვული რჩებიან, არის კოჰეზია, კოჰერენცი და თემატურობა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აცეკვებს ჰერმან ჰესე გერმანულ სინტაქსს, საანალიზოდ ვიღებთ მის მინიატურას, რომელსაც ერთი ფართოდ გაშლილი წინადადების სახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მას წინადადებას უწოდებს და წერტილს მხოლოდ 32-ე სტრიქონის ბოლოს უსვამს, თავისი მინაგანი სტრუქტურით ეს მაინც ტექსტია და არა წინადადება ამ ტერმინის ვიწრო გაგებით, მხოლოდ დიდ რიტორს შეუძლია თავისი უზადო ოსტატობითა და გამოცდილების წყალობით მიაღწიოს ენობრივი შემოქმედების ასეთ დონეს. პირველი, რაც მკითხველს/ინტერპრეტატორს თვალში ხვდება არის ტექსტის სინტაქსური პუანტირება.

აი ეს ტექსტი:

MUSIKALISCHE NOTIZEN
EIN SATZ ÜBER DIE KADENZ

1⇒

Wenn, wie es in jenem musikalischen Dialoge, Wettstreite oder Liebesverhältnis zwischen dem Orchester und einem Solo-Instrumente, das seit zweieinhalb Jahrhunderten als „Konzert" zu bezeichnen die Fachsprache der Musik sich angewöhnt hat, immer wieder manche Takte

⇐1 2⇒

lang geschieht,|daß eben jenes Solo-Instrument, der Auseinandersetzung mit dem gewaltigen Gesprächspartner sowohl wie der Rolle des bloßen Gehilfen bei der Entwicklung, Wandlung und Fortführung eines musikalischen Themas für eine Atempause lang enthoben, sich gewissermaßen aus der Verstrickung in eine beinah allzu komplizierte Welt von Funktionen, Ansprüchen, Aufgaben, Verantwortungen und Verführungen, aus einer ungemein differenzierten, vielfach abhängigen, vielen Mitspielern verpflichteten Existenz entlassen und in seine eigene,

⇐2 3⇒

heimatliche, individuelle Welt zurückgekehrt findet,| scheint diese befristete Heimkehr in sein ihm allein gehöriges Reich, in die Unschuld, Freiheit und Eigengesetzlichkeit seines eigenen Wesens ihm einen ganz neuen Antrieb und Atem, eine zuvor durch die Rücksicht auf den Partner gebundene und eingeschränkte Beschwingtheit, eine beinahe berauschte

⇐3 4⇒

Freude an sich selbst und seinen Möglichkeiten zu verleihen,|scheint es zum Genuß seiner wiedererlangten Freiheit, zum Schweigen in der ihm

⇐4 5⇒

allein eigenen Atmosphäre einzuladen und zu ermuntern,|daß es gleich einem der Gefangenschaft entronnenen Vogel erst in langen Folgen von

⇐5 6⇒

Trillern seiner Kräfte jubelnd wieder bewußt wird,| um alsdann in bald wiegenden, bald triumphal emporsteigenden, bald bacchantisch baßwärts abstürzenden Passagen, Schwüngen und Flügen das scheinbar

⇐6

Unüberbietbare, ja Unmöglich an virtuoser Ekstase zu erleben.|

ელიმინირების შემდეგ ტექსტი იღებს ასეთ სახეს: Wenn ein Solo-Instrument aus abhängigen Existenz entlassen wird und in seine individuelle Welt zurückkehrt, scheint diese Heimkehr es zu ermuntern, dass es sich gleich einem der der Gefangenschaft entronnenen Vogel seiner Kräfte wieder bewußt wird, um alsdann in emporsteigenden und abstürzenden Passagen das scheinbar Unüberbietbare an virtuoser Ekstase zu erleben.

ტექსტის პროპოზიცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: Ein Solo-instrument findet sich in seine Welt zurück und erlebt in Passagen das Unüberbietbare an virtuoser Ekstase.

სოლო-ინსტრუმენტის თემას (შესაბამისად ჰიპერპროპოზიციას) სხვანაირადაც შეიძლება ხორცი შეესხას. არ არის გამორიცხული, რომ ამავე თემაზე აიგოს მრავალი ტექსტი, რომლებშიც, სულ სხვანაირად იქნება არანჟირებული სემანტიკა და ენობრივი ქსოვილი. ჰერმან ჰესემ კი წარმოდგენილი ვარიანტი აირჩია. ვნახოთ, რა საშუალებებით აღწევს იგი ამ ტექსტის სემანტიკის და ქსოვილის არანჟირებას.

სათაური მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ტექსტი მუსიკალურ თემაზეა აგებული. თუ მკითხველს/ინტერპრეტატორს სათანადო წინარეცოდნა არ გააჩნია. იგი საერთოდ ვერ გაიგებს ტექსტს, რომ არაფერი ვთქვათ მის საზრისზე. ქვესათაურიც „კადენცია" არ არის ერთმნიშვნელობიანი სიტყვა და მკითხველში (იგულისმება მუსიკის დარგში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული პირი) იწვევს ბუნდოვან წარმოდგენას ტექსტზე, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არ იცნობს. პრესუპოზიციებს, რომლებიც ამ აკუმულირებულ ლექსიკურ ერთეულშია ჩადებული, რამდენიმე რეფერენტი უკავშირდება. მხოლოდ მას შემდეგ რაც ტექსტის დასაწყისში – „Wenn [...] angewöhnt hat" – წაკითხულია, მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ტექსტი ეხება ორკესტრისა და სოლო-ინსტრუმენტის ურთიერთმიმართებას, თუმცა მკითხველისთვის ჯერ უცნობია, რომელი თემა განვითარდება, სოლო-ინსტრუმენტის თუ ორკესტრისა. მხოლოდ ტექსტის შუა ნაწილში „daß sich [...] zurückgekehrt findet" წამოიწევს წინა პლანზე სოლო-ინსტრუმენტი.

ტექსტი შეიძლება დაიყოს 6 სეგმენტად (ჩვენ მიერ შემოთავაზებული დაყოფა პირობითია და არ გამორიცხავს სხვა ვარიანტს): 1. Wenn [...] geschieht, 2. daß sich [...] zurückgekehrt findet, 3. scheint [...] zu verleihen, 4. scheint [...] zu ermuntern, 5. Daß [...] bewußt wird, 6. um [...] zu erleben. გარდა ზოგადი პრესუპოზიციებისა, რომლებსაც ტერმინები „Solo-Instrument", „Kadenz" და „Orchester" შეიცავენ, შეიძლება ლექსიკური პრესუპოზიციების გამოყოფა, რომლებიც, ერთი მხრივ, „ორკესტრთან", ხოლო, მეორე მხრივ, „სოლო-ინსტრუმენტთან" არიან მიმართებაში (КИФЕР, 1978:132). მე-2 სეგმენტში, სადაც სოლო-ინსტრუმენტი წინა პლანზე წამოიწევს, გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სოლისტის არიალში რჩებიან: die Rolle, der bloße Gehilfe, abhängig, verpflichtet, Aufgaben, Verantwortung. ისინი უპირისპირდებიან ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ორკესტრის ჰორიზონტს ახასიათე-

ბენ: gewaltig, kompliziert, die Verstrickung. მე-3 სეგმენტი შეიცავს სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ორკესტრის ტყვეობიდან გათავისუფლებას: Freude, berauscht, Möglichkeiten. წინანდელ მდგომარეობას მოგვაგონებს სიტყვები: zuvor, Rücksicht, Partner, gebunden, eingeschränkt. მე-4, მე-5, მე-6 სეგმენტებში, რომლებიც დასკვნით მონაკვეთს ქმნიან, გვხვდება სიტყვები, რომელთა გაგება მხოლოდ სოლი-ინსტრუმენტის ჰორიზონტიდან შეიძლება. თითოეული გამოხატავს „დამათრობელ სიხარულს“, სოლო ინსტრუმენტს რომ მოუტანა კვლავ მოპოვებულმა თავისუფლებამ. თემატური სიტყვები სემანტიკურად ღიაა, ე.ი. თავისი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, ისინი შეიცავენ ორ კომპონენტს. ერთი მათგანი გადმოსცემს პრესუპოზიციას, რომელიც ძირითად მნიშვნელობასთან თანაარსებობს, მეორე მიემართება შემდგომი ღია ლექსიკური ერთეულისკენ. ტექსტი აგებულია ერთ გამჭოლ თემაზე „ინსტრუმენტული კონცერტი“. თემა ვითარდება სუკცესიურად, სეგმენტები მდოვრედ გადადიან ერთმანეთში.

სეგმენტებს სხვადასხვა ფუნქცია ეკისრება. მათში ვითარდება არა მარტო მთავარი თემა (სოლო-ინსტრუმენტის პარტია), არამედ აგრეთვე თანმხლები თემა (ორკესტრის პარტია). ძირითადი თემა ყველა სეგმენტში მყოფობს, ხოლო თანმხლები თემა პირველსა და მეორეში. ძირითადი თემა გამჭოლია, იგი თანდათანობით საფეხურებრივად იშლება სეგმენტებში და ბოლო სეგმენტში მთავრდება. ექსპოზიციური სეგმენტი ძირითადი თემის განვითარების კვალდაკვალ ქმნის კომპოზიციურ მონაკვეთებს: პირველი ექსპოზიციაა, მე-2 არის აღმასვლა და უმაღლესი პუნქტისკენ გადასვლა, მე-3 და მე-4 სექმენტები ქმნიან მწვერვალს, დაბოლოს, მე-5, მე-6 სეგმენტები დამასრულებელ აპოთეოზს. ფინალის ტონი დაბლა კი არ ეშვება, არამედ მდოვრედ მიედინება და უცვლელი რჩება იმავე სიმაღლეზე.

ტექსტის სეგმენტების საფუძველია ღიაობის პრინციპი. ყოველი სეგმენტი წინას გაგრძელებაა და შემდგომის დასაწყისი.

ტექსტის ორგანიზების ერთ-ერთი საშუალებაა ე.წ. ფოკალიზება, რომელიც ბმულობას უზრუნველყოფს (ВАН ДЕЙК, 1978:315-333). ეს არის ავტორის შეგნებული მცდელობა, მისთვის საინტერესო ობიექტი წინა პლანზე წამოსწიოს და მკითხველის ყურადღება მას მიაპყროს. ფოკალიზების არსი მდგომარეობს ფოკუსის გადაადგილებაში. ჰესეს ტექსტი მონოთემატური და აღწერილობითია, მაშასადამე რეფერენტი ერთი და იგივე რჩება. მიუხედავად ამისა ფოკალიზება აქ ტექსტის აგების ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან რეფერენტის აღწერის დროს საჭირო ხდება მისი მრავალფეროვანი მახასიათებლების თანდათანობით წინა პლანზე წამოწევა. სათაურში „Die Kadenz“ უკვე სოლო-ინსტრუმენტის განსაზღვრული ფუნქციის ფოკუსირებაა. ექსპოზიციაში იცვლება ფოკუსი. წინა პლანზე დგება მიმართება ორკესტრსა და სოლისტს შორის. მეორე სეგმენტში ფოკუსირებულია ისევ სოლო-ინსტრუმენტი, მესამეში – გათავისუფლების სიხარული, მეოთხეში – ხელახლა თავისუფლებით აღფრთოვანება, მეხუთეში – საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მექვსეში – ექსტაზი, რომელშიც გათავისუფლებული სოლო-ინსტრუმენტი იმყოფება.

ფოკუსის ეს მოძრაობა მიიღწევა თემა-რემატული ელემენტების მონაცვლეობით და მას დინამიკური ხასიათი აქვს. ტექსტის ბმულობის საფუძველი ამ შემთხვევაშიც არის ღიაობის პრინციპი.

ტექსტის როგორც ბათიზმატურ ველში განფენილი ერთიანი ენობრივი გრაფემულ-გრაფიკული წარმონაქმნის ორგანიზება ხორციელდება წინადადებების გადაბმით და სეგმენტების გადასვლით ერთმანეთში, რაც საბოლოო ჯამში ერთ სტრუქტურულ მთელს იძლევა.

ტექსტში გამოიყოფა საყრდენი პუნქტები, რომლებიც სეგმენტების დასაწყისსა და დასასრულს აფიქსირებენ: პირველი სეგმენტი: wenn ⇒ ⇐ geschieht; მე-2 სეგმენტი: daß [...] sich ⇒ ⇐ zurückgekehrt findet; მე-3 სეგმენტი: scheint ⇒ ⇐ zu verleihen; მე-4 სეგმენტი: scheint ⇒ ⇐ zu ermuntern; მე-5 სეგმენტი: daß ⇒ ⇐ bewußt wird; მე-6 სეგმენტი: um ⇒ ⇐ zu erleben.

ქვეწყობის კავშირი wenn ტექსტის აბსოლუტურ დასააწყისში ასრულებს კატაფორულ ფუნქციას, რამდენადაც მიუთითებს, რომ რაღაც ხდება, რაც შემდგომ უნდა განვითარდეს. პირველი სეგმენტი იხურება ზმნით geschieht და ამავე დროს ღია რჩება შემდეგი სეგმენტისათვის, რომელშიც კონკრეტიზდება, თუ რა ხდება. ქვეწყობის კავშირი dass, რომელიც მეორე და მეხუთე სეგმენტებს ხსნის, ასრულებს კატაფორულ ფუნქციას ისევე, როგორც wenn პირველ სეგმენტში. ზმნა scheinen მესამე და მეოთხე სეგმენტში სემანტიკურად უკმარია, მაშასადამე ღიაა, და შევსებას მოითხოვს. ანაოლოგიურად შეიძლება სხვა საყდენი პუნქტების ინტერპრეტირება, თითეული მათგანი ტექსტის აგების საშუალებას წარმოადგენს. თუ უფრო მაღალი დონის ტერმინებს გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგნენ კონექტორებს. კომპოზიციური სიგნალები ტექსტში არ გვხვდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მონოლითურია და არქიტექტონიკული ნაწილები არ გააჩნია.

გარდა სეგმენტების გადაბმის საშუალებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის ლინეარულ გაშლას მარცხნიდან მარჯვნივ, ტექსტში გვხვდება პროფორმები, რომლებიც გრამატიკულად ღიაა და სეგმენტების შიგნით სუბსეგმენტების ბმულობას განახორციელებენ, სახელდობრ, jenem, jenes, der, das, diese, wieder, in eine, aus einer, in [...] sein, ihm და ა.შ. ისინი ასრულებენ კატაფორულ და ანაფორულ ფუნქციებს, რითაც სეგმენტების შემადგენელი ერთეულების გადაბმას უყწობენ ხელს.

ტექსტში მოქმედებს კომპრესიის კანონი და ეს სავსებით კანონზომიერია, რამდენადაც ავტორის ინტენციის შესაბამისად ტექსტი ჩაფიქრებულია ერთი წინადადების სახით და შეკუმშული უნდა იყოს. ამით აიხსნება განსაზღვრებითი კონსტრუქციების სიმრავლე ტექსტში. კომპრესია იძლევა საშუალებას სინტაქსური კონსტრუქციები განკერძოებულ განსაზღვრებით ერთეულებში განთავსდეს და ტექსტი უფრო კომპაქტური გახდეს.

ტექსტის ბათიზმატური ველი შეიძლება შევადაროთ მოზაიკას, რომლის ნახჭებში ავტორის მიერ მისი ინტენციის შესაბამისად არის საშენი მასალა ჩაცემენტე-

ბული. საშუალება რომ იყოს ნახჯის შემადგენელი, ხაზებად დალაგებული მასალის (ვთქვათ, ფერადი კენჭების) სხვადასხვა ფერში გამობატვა. უფრო თვალსაჩინო იქნებოდა მოზაიკის შინაგანი სტრუქტურა. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ერთ ფერში უნდა ამოვიცნოთ მოზაიკის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილები.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ტექსტი შედგება 32 სტრიქონისაგან, რომლებიც დავყავით 6 სეგმენტად. ამ სეგმენტებში გამოიყოფა 9 მთავარი და დამოკიდებული წინადადება ან წინადადების ღირებულების მქონე ინფინიტიური და პარტიციპული კონსტრუქცია. მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ წინადადების დონეზე განლაგებული სეგმენტების ყველა სინტაქსური ერთეულის ჩამოწერით და შემდეგ ამ სინტაქსური ერთეულების ფარგლებში წინადადების წევრების აღნუსხვით, და მხოლოდ სეგმენტებისა და წინადადებების ურთიერთმიმართებას დავუთმობთ ყურადღებას. ეს მიმართება ასეთია:

სეგმენტი	სინტაქსური ერთეული
I	2
II	3
III	1
IV	1
V	1
VI	1

როგორც ვხედავთ, სეგმენტებისა და სინტაქსური ერთეულების რიცხვი არ ემთხვევა ერთამენთს, თუმცა არც თუ ისე დიდ განსხვავებას იძლევა.

დასახელებული 9 ერთეული თავის მხრივ „დატენილია“ წინადადების ერთგვაროვანი წევრებით, წინადადების წევრის ღირებულების მქონე zu ნაწილაკიანი ინფინიტივებით, განსაზღვრების თითქმის ყველა სახით (გენიტივით, ზედსართავით, მიმღეობა პირველითა და მეორით, წინდებულიანი არსებითი სახელით და გავრცობილი განსაზღვრებით). მთელი „სამენი მასალა“ ისეთი გულმოდგინებით, მოთმინებითა და ოსტატობით არის ჩაწყობილი ნახჯში, რომ მოზაიკის ყველაზე დიდ ოსტატს შეშურდებოდა (აი, სად გამოადგა ჰ.ჰესეს რიოში მარგალიტებით თამაშის ცოდნა. ეს ხუმრობით – ვ.ფ.).

სინტაქსურ ერთეულებზე მწყობრად აგებული ეს ტექსტი – გიგანტი წინადადება (Schachtelsatz) მკითხველში იწვევს დაძაბულობას და ინტერესს. როგორ დამთავრდება სოლო-ინსტრუმენტისა და ორკესტრის ჭიდილი. როგორ მოახერხებს ავტორი ერთი ამოსუნთქვით ენობრივად გამოხატოს სოლო-ინსტრუმენტის გამარჯვება, ორკესტრის ბრჭყალებიდან თავის დახსნა და მისი დაქვემდებარება, გამარჯვებით მოგვრილი აღფრთოვანება. მკითხველმა, რომელიც ჰერმან ჰესეს იცნობს, წინასწარვე იცის, რომ ავტორი მას მოლოდინს გაუმართლებს. მაგრამ ესთეტიკური სიამოვნების მიღებამდე მას დასჭირდება სინტაქსურ-ტექსტური თავსატეხის გაშიფვრა, რაც მას მოუმზადა ავტორმა ესთეტიკური სიამოვნების საფასურად.

10.3. მორფოლოგიურად პუანტირებული ტექსტები

არსებობს ტექსტები, რომლებიც აგებულია მორფოლოგიური კატეგორიების გამოყენების სიხშირეზე. ენობრივ ქსოვილში თვალში საცემად ჭარბობს ერთი რომელიმე მორფოლოგიური ფორმა, რომელიც ტექსტს გასდევს თავიდან ბოლომდე. ასეთი ტექსტი შეიძლება დახასიათდეს როგორც მოროფლოგიურად პუანტირებული ენობრივი წარმონაქმნი.

ბერტოლტ ბრეხტის „Wenn die Haifische Menschen wären" მორფოლოგიურად პუანტირებული ტექსტის შესანიშნავი ნიმუშია (BRECHT, 1967:392-396).

როგორც ცნობილია, ბრეხტის მოკლე ისტორიების ციკლის ტექსტები გამოირჩევა გამოთქმის ეკონომიურობით და ძველი ფილოსოფოსებისთვის დამახასიათებელი სიბრძნით. თხრობის აფორისტული მანერა, ისევე როგორც ორიგინალური განსჯები ადამიანის საქციელისა თუ მოქმედებაზე, რაც საერთოდ ახასიათებს კალენდარულ ისტორიებს, არც ბრეხტის მიერ შექმნილი ისტორიებისთვის არის უცხო. ცნება „Kalendergeschichte" შეიცავს პრესუპოზიციის არა ლიტერატურული ჟანრის ნიუანსით, არამედ მიუთითებს ადგილზე, სადაც პირველად გამოჩნდა იგი. ეს იყო კალენდრის ფურცლები. „Einseitig bedruckte Blätter mit Kalendarien, Liedern, Schilderungen von Natur- und Wundererscheinungen, mit politischen Nachrichten und in zunehmendem Maße mit reformatorischen oder gegenreformatorischen Agitation müssen im 16. Jahrhundert als Ursprung dieser kleinen epischen Form angesehen werden" (JÄCKEL, 1973:18). დროთა განმავლობაში „კალენდარული ისტორიის" ფორმა გადაიქცა ლიტერატურულ ჟანრად, რომელიც შეიცავს ანეკდოტის, შვანკის, ლეგენდისა და ნოველის ელემენტებს.

როგორც წესი, ავტორი ტექსტის თემის შემდეგ შეარჩევს სათანადო მასალას ენის სისტემაში არსებული ლექსიკური, გრამატიკული და ა.შ. პოტენციური მასალიდან, რომელიც ტექსტის შექმნის დროს უნდა გამოიყენოს. ტექსტში აქტუალიზებული სისტემური ელემენტები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ავტორის ინტენციასა და ტექსტის თემასთან. რადგან ბერტოლტ ბრეხტის ტექსტის თემა, როგორც სათაურიდან ჩანს, პირობით რაკურსშია გადაწყვეტილი და ლოგიკურად უნდა განვითარდეს „ასე რომ იყოს, ასე მოხდებოდა" – მსჯელობის ფარგლებში, შესაბამისად, ტექსტში უნდა განაწილდეს სათანადო ლექსიკა, რომელიც ასახავს შესაძლებელი, სავარაუდო სამყაროს, საგანთა მოსალოდნელ მიმართებებს და გამოყენებულ იქნას გრამატიკული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის ქსოვილის კომპონენტების გადაწვნას. ჩვენს მიზანს ამჟამად შეადგენს იმის ჩვენება, თუ როგორ არის გადაწყვეტილი დასახელებულ ტექსტში თემისა და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის, შესაბამისად, გრამატიკული საშუალებების შერჩევა. ამასთან წინ წამოვწევთ და პირველ რიგში განვიხილავთ ტექსტის ბათიზმატური ველის გრამატიკულ ფენას, რადგანაც, ჯერ- ერთი, ტექსტი თავისთავად მორფოლოგიურად არის პუანტირებული და მეორეც, ჩვენი მიზანი სწორედ ასეთი ტექ-

სტის ინტერპრეტაციაა. ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ გავიხსენებთ, რომ ბრეხტის „ბატონ კოინერის ისტორიები“ სხვა ასპექტშიც იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ასე მაგალითად, გოტჰარდ ლერხნერი ისტორიას „ზვიგენები რომ ადამიანები იყვნენ“ – განიხილავს სემანტიკურ ასპექტში, ამასთანავე როგორც თავად წერს, იყენებს სემასიოლოგიურ და ტექსტოლინგვისტურ მეთოდებს. ის ტექსტში გამოყოფს ნორმალურ იზოტოპიურ ჯაჭვებს იმ მიზნით, რომ, ერთი მხრივ, სემანტიკურ სტრუქტურაში შეაღწიოს, და, მეორე მხრივ, საზრისის მაკონსტრუირებელი ურთიერთკავშირები დაადგინოს. ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, წერს იგი, პირველსავე წინადადებაში ოთხი ნომინაციური ჯაჭვი გამოიყოფა – Haifische – Menschen – kleine Fische – nett. ლექსემა Haifische გვხვდება 18-ჯერ, Menschen – 9-ჯერ, Fischlein (kleine Fische) 24-ჯერ (LERCHNER, 1981:342). აღარ გავაგრძელებთ ლერხნერის მიერ შედგენილი ტოპიკალური ჯაჭვების ცალკეული რგოლების ჩამოთვლას, ეს დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მითითებულ სტატიაში ნახოს, ჩვენ კი მხოლოდ გრამატიკული ასპექტი გვაინტერესებს.

BERTOLT BRECHT

WENN DIE HAIFISCHE MENSCHEN WÄREN

„**Wenn die Haifische Menschen wären**“ fragte Herrn K. die kleine Tochter seiner Wirtin, „**wären** sie dann netter zu den kleinen Fischen?“ „Sicher“, sagter er „**Wenn die Haifische Menschen wären, würden** sie im Meer für die kleinen Fische gewaltige Kästen bauen lassen, mit allerhand Nahrung darin, sowohl Pflanzen als auch Tierzeug. Sie **würden** sorgen, daß die Fischlein in den Kästen immer frisches Wasser **hätten**, und sie **würden** überhaupt allerhand sanitäre Maßnahmen treffen. Wenn zum Beispiel ein Fischlein sich die Flosse verletzen **würde**, dann **würde** ihm sogleich ein Verband gemacht, **damit** es den Haifischen nicht **wegstürbe** vor der Zeit.

Damit die Fischlein nicht trübsinnig **würden, gäbe** es ab und zu große Wasserfeste; denn lustige Fischlein schmecken besser als trübsinnige.

Es **gäbe** natürlich auch Schulen in den großen Kästen. In diesen Schulen **würden** die Fischlein lernen, wie man in den Rachen der Haifische schwimmt. Sie **würden** zum Beispiel Geographie brauchen, **damit** sie die großen Haifische, die faul irgendwo liegen, finden **könnten**. Die Hauptsache **wäre** natürlich die moralische Ausbildung der Fischlein. **Man würde** die Fischlein lehren, daß es das Größte und Schönste **sei**, wenn ein Fischlein sich freudig aufofert. **Man würde** den Fischlein beibringen, daß eine schöne Zukunft nur

gesichert **sei**, wenn sie Gehorsam lernten. Vor allen niedrigen, materialistischen, egoistischen und marxistischen Neigungen **müßten** sich die Fischlein hüten und es sofort den Haifischen melden, wenn eines von ihnen solche Neigungen **verriete**.

Wenn die Haifische Menschen wären, würden sie natürlich auch untereinander Kriege führen, um fremde Fischkästen und fremde Fischlein zu erobern. Die Kriege **würden** sie von ihren eigenen Fischlein führen lassen. Sie **würden** die Fischlein lehren, daß zwischen ihnen und den Fischlein der anderen Haifische ein riesiger Unterschied **bestehe**. Sie **würden** erklären, die Fischlein seien bekanntlich stumm, aber sie schweigen in ganz verschiedenen Sprachen und **könnten** einander daher unmöglich verstehen. Jedem Fischlein, das im Krieg ein paar fremde Fischlein **tötete**, **würden** die Haifische einen kleinen Orden aus Seetang und den Titel Held verliehen.

Wenn die Haifische Menschen wären, gäbe es natürlich auch eine Kunst. Es **gäbe** schöne Bilder, auf denen die Zähne der Haifische in prächtigen Farben dargestellt **wären**. Die Theater auf Meeresgrund **würden** zeigen, wie heldenmütige Fischlein begeistert in die Rachen der Haifische schwimmen, und die Musik **wäre** so schön, daß die Fischlein unter ihren Klängen träumerisch in die Haifischrachen **strömten**.

Auch eine Religion **gäbe** es da, **wenn die Haifische Menschen wären**. Sie **würden** lehren, daß die Fischlein erst im Bauch der Haifische richtig zu leben **begännen**. Übrigens **würde** es aufhören, **wenn die Haifische Menschen wären**, daß alle Fischlein, wie es jetzt ist, gleich sind. Einige von ihnen **würden** Ämter bekommen und über den anderen gesetzt werden. Die ein wenig größeren **dürften** sogar die kleinen auffressen. Und die größeren, Posten habenden Fischlein **würden** für die Ordnung unter den Fischlein sorgen. Kurz, es **gäbe** überhaupt erst eine Kultur im Meer, **wenn die Haifische Menschen wären**."

(BRECHT, 1967:394-396)

(ტექსტი ოდნავ შემოკლებულია – ვ.ფ.)

აბზაცების უმრავლესობა იწყება wenn და damit მაქვემდებარებელი კავშირებით (ექვსი აბზაციდან ასეთია ოთხი). პირობის გამოხატვის გრამატიკული საშუალება გერმანულ ენაში არის კონიუნქტივისა და კონდიციონალისის სპეციალური მორფოლოგიური ფორმები. ზმნების დიდი უმრავლესობა ტექსტში

წარმოდგენილია სწორედ ამ ფორმებით. (Präteritum Konj. – 26, Präsens Konj. – 3, Konditionalis I – 19). ტექსტის კომპოზიციური მთლიანობა უზრუნველყოფილია „Wenn die Haifische Menschen wären," პირობითი წინადადების რეკურსიულობით, რომელიც გატანილია სათაურად, იწყებს და ამთავრებს ტექსტს, ახორციელებს ტექსტის შიდა დისკრეტული მონაკვეთების ბმულობას. აქ აღარ შევჩერდებით კონიუნქტივის ფორმების (გრამატიკულ) სემანტიკაზე, ფუნქციებზე, შერჩევასა და გამოყენებაზე. ყოველივე ეს დაფიქსირებულია გერმანული ენის ნორმატიულ, თეორიულ, სტილისტიკურ და ტექსტის გრამატიკებში (WEINRICH 1993; МОСКАЛЬСКАЯ 1981; ADMONI 1986; JUNG 1966; HELBIG/BUSCHA 1987; DUDEN 1962;) და მხოლოდ იმას გავუსვამთ ხაზს, რომ კონიუნქტივის პრეტერიტული ფორმები (Konj.II) გამოხატავს არარეალურ პირობას. ამასთანავე პირობა შეიძლება იყოს საერთოდ შეუსრულებადი, პოტენციურად შესრულებადი (რომლის განხორციელება შეიძლება) ან ჰიპოთეტურად შესრულებადი (რომლის შესრულება შეიძლება დაიშვას, სავარაუდო იყოს). ყველა ამ ნიუანსს აერთიანებს ერთი სემანტიკა, კერძოდ: მოცემულ საგანთა მიმართება კომუნიკაციის მომენტში ფაქტობრივად არ არის რეალიზებული.

კონიუნქტივის ფორმების ესოდენ ხშირი ხმარება ბადესავით ფარავს მთელ ტექსტს და ქმნის ხილულ პუნქტებს, რომლებიც განუწყვეტლივ იზიდავენ მკითხველის ყურადღებას და არ აძლევენ მას საშუალებას მოსწყდეს ავტორის ჩანაფიქრს.

დაწვრილებით აღარ შევჩერდებით ტექსტის სემანტიკურ მხარზე, რომელიც აღსავსეა ადამიანის ცხოვრების ძირითადი სფეროების ხაზგასმით მათი ზვიგენების ფიქციონალურ სამყაროში გადატანის მეშვეობით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ I და II აბზაცში თემატიზებულია სულიერი არსების მატერიალური და სამედიცინო უზრუნველყოფა, III აბზაცში – აღზრდა-განათლება, IV აბზაცში – ომის წარმოების ოსტატობა, V აბზაცში – ხელოვნება, VI აბზაცში – რელიგია და კულტურა. ადამიანური ცხოვრების ეს ყველა საჭირბოროტო საკითხი ჰიპერბოლიზებულია და ზვიგენის პრიზმაში სარკასტულად გარდატეხილი. ტექსტის მიზანია მკითხველს დაანახოს, სადამდე შეიძლება ადამიანი მივიდეს, თუ ის ზვიგენს დაემსგავსება. ამ მიზნის მისაღწევად ტექსტი სემანტიკურად იშლება არა უშუალოდ ზვიგენის თვალით დანახული ადამიანური ყოფის ასახვით (ხომ შეიძლებოდა ავტორს პირდაპირ ზვიგენი აელაპარაკებინა), არამედ პირობითად ზვიგენის მოდგმის ჩაყენებით ადამიანურ ყოფაში, ამ ყოფის სხვადასხვა სფეროებში მისი სავარაუდო ქმედებების აღწერით. ამასთანავე ადამიანის მოდგმის ყველა მანკიერება ზვიგენის მოდგმას მიეწერება. რაკურსის ასეთი შებრუნებით, რასაც ჰორიზონტების გაცვლა მოსდევს, და კონიუნქტივის ფორმების სათანადო გამოყენებით ტექსტი მკითხველზე ადეკვატურ ეფექტს ახდენს.

10.4. სიტყვაწარმოებითი საშუალებებით პუანტირებული ტექსტები

ენის სისტემაში სიტყვაწარმოებას ჩვეულებრივ ათავსებენ გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის ზღვარზე და შუალედურ დონეს უწოდებენ. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც სიტყვაწარმოებითი საშუალებების ფუნქციონირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ლექსემის მნიშვნელობასთან. თანამედროვე გერმანული ენა საკმაოდ მდიდარია სიტყვაწარმოებითი აფიქსებით და მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი მიდრეკილება აქვს თხზვისადმი (Zusammensetzung), აფიქსაცია მაინც დიდ როლს თამაშობს ლექსიკის გამდიდრებაში.

სიტყვაწარმოებითი ასპექტის როლს ტექსტის ორგანიზებაში სათანადო ყურადღება ექცევა. არსებობს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბევრი სტატია და მონოგრაფია (ШАБУРИШВИЛИ 1983, ЗЕМСКАЯ 1990; GATAULLIN 1990), რომლებიც თავისი მიზნების შესაბამისად წარმატებით წყვეტენ დასმულ პრობლემას, თუმცა შესაძლოა კვლევის ცენტრში არ დააყენონ ის ასპექტი, რომელიც ჩვენს ინტერესს შეადგენს.

სიტყვაწარმოებითი საშუალებებით პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაცია საკმაოდ ძნელია იმის გამო, რომ ისინი უაღრესად ინდივიდუალურია, აუცილებლად მოითხოვს ფსიქოლოგიური მომენტის მოშველიებას, ურომლისოდაც ტექსტის ძნელი ადგილების დივინაცია და ინფერენცის გამოყვანა გაძნელდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია გრამატიკულ-ფსიქოლოგიურია, თუმცა ტექსტის სემანტიკის ანალიზის მოშველიება და საზრისის ძიება აუცილებელი კომპონენტებია, მათ ვერც ახლა ავუვლით გვერდს. ამას თავად ტექსტი და ავტორის ბიოგრაფია განაპირობებს.

ბევრი პოეტური ტექსტი ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსისა და ავტობიოგრაფიული მომენტების განხილვის გარეშე ძნელად გასაგები და გაუგებარიც კია იმ მკითხველისთვის, ვისაც სათანადო წინარეცოდნა არ გააჩნია. ენის ინდივიდუალური გამოყენება, თუ ის რამდენადმე მაინც არ უახლოვდება უზუალურს, ვერ იშიფრება დივინაციისა და ინფერენცის გარეშე, რის გამოც გაგება-გაგებინების პროცესი ფერხდება. როგორც ჰაიმან შტაინთალი წერს, პოეტი ყოველთვის არ ან ვერ გამოხატავს ექსპლიციტურად ჰიდილს, რომელიც არსებობს გონის თავისუფალ გაშლასა და მისი გამოხატვის შეზღუდულობას შორის (STEINTHAL, 1972:541). იგი ბევრ რამეს ბუნდოვნად, გაუცნობიერებლად გამოხატავს სიტყვებით, ყოველ შემთხვევაში მკითხველის თვალსაზრისით მაინც. როცა იგი ახალ კონსტრუქციას თუ სიტყვის უშუალო ფორმებს ქმნის, თავის წარმოსახვის ძალას მხატვრულ სახეებში აქსოვს. მაგრამ მისმა შემოქმედებამ შეიძლება მკითხველის წარმოსახვაში ადეკვატური ხატები არ აღძრას, ან სულაც ურეაქციოდ და გაუგებრად დარჩეს. ასეთ პოეტთა რიგს მიეკუთვნება გეორგ თრაკლი, რომელიც თავისი პოეტური ხედვის შესაბამისად ისეთ ნაწარმოებებს ქმნის, რომ მათი ინტერპრეტაცია საჭიროებს სპეციალურ ჰერმენევტიკულ მიდგომას იმ ლიტერატურუ-

ლი მრწამსის თავისებურებების გათვალისწინებით, რომლის პრინციპებსაც ავტორი აღიარებს; აგრეთვე პოეტის ცხოვრების ავტობიოგრაფიული დეტალების ცოდნას, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მისი მსოფლაღქმა.

გეორგ თრაკლის პოეტური და პროზაული ქმნილებების კითხვისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამმა უჩვეულო სიტყვამ **die Jünglingin, die Fremdlingin, die Mönchin.** სიტყვაწარმოებითი მოდელი A+ling დაკანონებული და პროდუქტიულია თანამედროვე გერმანულ ენაში. მაგრამ A+ling+in არაპროდუქტიულია და ნორამდ არ ითვლება.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ling+in ან სხვა მოდელი, ვთქვათ, Sm+in, ოკაზიონალური ფორმის სახით შეიძლება იყოს დაფიქსირებული რომელიმე ინდივიდუალური სტილით გაჯერებულ პროზაულ ან პოეტურ ტექსტში (მაგალითად, ცნობილია ბერტოლტ ბრეხტის „Menschin" (Sm+in), რომლითაც ის პეიორატიული კონოტაციით მდედრობითი სქესის „არსებას" აღნიშნავს.

არაერთხელ მივუთითეთ, რომ ჰერმენევტიკული მიდგომა ტექსტისადმი აღიარებს მის წვდომას მხოლოდ მიახლოებით (approximativ) და ყოველი ინტერპრეტატორი ამ ჩარჩოებში რჩება. ასეთი იქნებ ჩვენი ინტერპრეტაციაც.

ბევრი რამ გეორგ თრაკლის შემოქმედებაში შეიძლება აიხსნას მისი ბიოგრაფიული დეტალებით (ფარმაციის შესწავლა ზალცბურგსა და ვენაში, სამხედრო ფარმაცევტი, 1914 წელს აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფნა, შიმშილობის ზღვარზე მიახლოება და ა.შ.). მისი ლექსების ენა საშუალო მკითხველისათვის უმეტესად ძნელი გასაგებია, მხატვრული სახეები ბუნდოვანი და მისტიკური. მათში ჭარბობს ნაღვლიანობა და უსიხარულობა, ისეთი თემატიკა, როგორიცაა ბედისწერის გარდაუვალობა და დაღუპვის წინათგრძნობა, მიცვალებულთა აჩრდილების ბორიალი, მიტოვებული სასახლეები და საფლავები. მიუხედავად ამისა, მისი ლექსები მკითხველს იზიდავს თავისი მუსიკალურობით, მხატვრული სახეების ორიგინალურობით, სიფაქიზითა და დახვეწილობით და მაინც, მის ლექსებში ჩაქსოვილი ბევრი საიდუმლო საჭიროებს დივინაციასა და ინფერენცს. როგორ შეიძლება თუნდაც წინარეცოდნით აღჭურვილმა მკითხველმა გაიგოს მისი ქვემომოყვანილი ლექსი:

GEORG TRAKL

DAS HERZ

Das wilde Herz ward weiß am Wald
O dunkle Angst
Des Todes, so das Gold
In grauer Wolke starb.
Novemberabend.
Am kahlen Tor am Schlachthaus stand

Der armen Frauen Schar;
In jeden Korb
Fiel faules Fleisch und Eingeweid;
Verfluchte Kost!
Des Abends blaue Taube
Brachte nicht Versöhnung,
Dunkler Trompetenruf
Durchfuhr der Ulmen
Nasses Goldlaub,
Eine zerfetzte Fahne
Vom Blute rauchend,
Daß in wilder Schwermut
Hinlauscht ein Mann.
O! ihr ehernen Zeiten
Begraben dort im Abendrot.

Aus dunklem Hausflur trat
Die goldne Gestalt
Der Jünglingin
Umgeben von bleichen Monden,
Herbstlicher Hofstaat,
Zerknickten schwarze Tannen
Im Nachtsturm,
Die steile Festung.
O Herz
Hinüberschimmernd in schneeige Kühle.

(TRAKL, 1977:87-88)

კომმარულ სიზმრებში ნანახი სურათები წარმოუდგება თვალწინ მკითხველს. მას, ალბათ, გაუჭირდება პოეტის წარმოსახვის ძალა გაითავისოს და თავად მოძებნოს ადეკვატური ხატი. გეორგ თრაკლის სიტყვათშემოქმედების ზოგიერთი ნიმუში შესრულებულია ექსპრესიონისტული მანერით, რაც გულისხმობს ენის სინტაქსური ნორმების დაშლას, სიტყვის უზუალური, გრამატიკული და სემანტიკური მახასიათებლების ნეიტრალიზაციას, ახალი თვალშისაცემად უჩვეულო ფორმების მიგნებას, რომლებიც მხოლოდ სიტყვათშემოქმედი პოეტის ინტუიციას ემორჩილებიან, ახალი სახით აღორძინებული მკვიდრდებიან მის ენობრივ სამყაროში და პოეტის სულის წვდომის გზას მონიშნავენ.

ლექსი დაყოფილია სამ დისკრეტულ ერთეულად. პირველი მათგანი ამაზრზენ სურათს ხატავს, რომელიც აღსავსეა სიკვდილის შიშით, ომს რომ მოუტანია თან. საყასბოსთან დგას ღირიზი ქალების ხროვა, ყოველ კალათში ცვივა დამპალი ხორცი და შიგნეული. მეორე მონაკვეთი გვამცნობს, რომ ლურჯ

მტრედს არ მოუტანია შერიგება. საყვირების ძახილმა გადაუარა თელების დანამულ ოქროს ფოთლებს. დაგლეჯილ დროშას სისხლის კვამლი ასდის, და ვიღაც მამაკაცი, მძიმე ნაღველით შეპყრობილი, აღიქვამს ყოველივე ამას. მზე ჩადის. ვაი, რომ გარდასული დრო ასაფლავია იქ, დაისში.

ლექსის ბოლო მესამე მონაკვეთის სემანტიკური მხარის აღწერა ადვილია, მაგრამ საზრისის დადგენა ძნელია. ასევე არ არის იოლი მისი დაკავშირება წინა ორ ნაწილთან და ინფერენცის გამოყვანა. ამ სიტუაციაში მკითხველის ყურადღებას იპყრობს (die goldene Gestalt) **der Jünglingin** – ლექსის მესამე ნაწილის მესამე ტაეპი. როგორ უნდა გაიგოს გერმანული ენის მატარებელმა ან გერმანულის როგორც უცხოური ენის მცოდნე პირმა თვალში საცემი უჩვეულო ფორმა „die Jünglingin"? (როგორ შეიძლება იგი ქართულად ითარგმნოს? ალბათ, როგორც „ყმაწვილი". ეს ქართული სიტყვა ხომ ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: „ყმაწვილი კაცი", „ყმაწვილი ქალი"). იქნება ეს „ოქროს ყმაწვილი" მომავლის იმედია ომისა და სიკვდილის ფონზე. რა ხატია ეს პოეტის წარმოსახვაში? მამაკაცის ფიგურაა ეს თუ ქალისა? იქნებ საღამოს ბინდ-ბუნდში ძნელი გასარჩევია, ქალია ეს თუ მამაკაცი? იქნება ეს უბრალოდ ახალგაზრდა ადამიანია და არა აქვს მნიშვნელობა, რა სქესისაა იგი? ბოლოს-დაბოლოს ჩვენი გალაქტიკისათვის რა ღირებულებას წარმოადგენს ან ერთი სქესი, ან მეორე? არავითარს! მისთვის სულ ერთია. პოეტისთვის კი არ არის სულ ერთი. მისთვის მთავარია სიცოცხლის ორივე საწყისი ცალსახად იყოს წარმოდგენილი. ამისათვის ქმნის იგი ამ უჩვეულო ბივალენტურ სიტყვას. რისი სიმბოლოა ამ სიტყვით აღნიშნული დენოტატი? სიცოცხლის გაგრძელებისა, თუ სიკვდილის დამკვიდრებისა?

ბოლო ტაეპი ამის პასუხს არ იძლევა. წინათგრძნობა კი უფრო მწუხარებას მოასწავებს ვიდრე ბედნიერებას. ამას მიგვანიშნებს ტექსტის სემანტიკურ ფენაში გაბნეული ლექსემები: „მტკნარი ფერის მთოვარენი", „შავი ნაბვები", „ღამის ქარიშხალი" და „გული", რომელიც „თოვლისებრ სიგრილეს მბერუტავ შუქს აფენს".

გეორგ თრაკლის მიერ შექმნილი დერივაციული მოდელი A+ling+in, რომლის განხორციელებასაც წარმოადგენს die jünglingin, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის მისი შემოქმედებისთვის. ამ მოდელის აქტუალიზება გვხვდება აგრეთვე, მის რიტმულ პროზაში „Fremdlingin" სიტყვის სახით (TRAKL, 1977:95).

თანამედროვე გერმანულ სარეკლამო ტექსტებში ხდება მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებითი სახელების ერთ ფორმად შერწყმა, და ეს სავსებით გასაგებია რეკლამის ენისთვის დამახასიათებელი ეკონომიურობის თვალსაზრისით. Liebe Leser/Innen! ვკითხულობთ რომელიმე წიგნის რეკლამაში. თუ კი ენაში საერთოდ არსებობს ასეთი ტენდენცია, ის, რა თქმა უნდა, შეიძლება ინდივიდუალურ ხმარებაშიც გაცხადდეს: Leser/In და Jüngling/Jünglingin.

გეორგ თრაკლის სხვა ლექსშიც გვხვდება დერივაციული პუანტირება.

IM SCHNEE
>NACHTERGEBUNG<1. FASSUNG

Der Wahrheit nachsinnen –
Viel Schmerz!
Endlich Begeisterung
Bis zum Tod.
Winternacht
Du reine **Mönchin**!

(ხაზი ჩვენია – ვ.ფ.)
(TRAKL, 1977:228)

„Mönchin" ფორმის ინტერპრეტაცია არ მოხერხდება „Jünglingin" და „Fremdlingin" სიტყვების ანალოგიით. ამას ხელს უშლის „Mönch"-ის მდედრობითი კორელატი „Nonne". მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ ენაში არსებობს მოდელები: S+er/S+er+in (Schüler – Schülerin) და Sm (auf – e)/Sm+in (Löwe – Löwin), ოპოზიციური წყვილი „Mönch – Mönchin" არ არის თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონებში დაფიქსირებული. „**Mönch** gehört mit „Kloster", „Münster", „**Nonne**" zu unseren frühesten Kirchenwörtern lat. Herkunft", ვკითხულობთ ფრიდრიხ კლუგესთან (KLUGE, 1975:486) (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.).

რა მიზნით ქმნის პოეტი ამ უჩვეულო სიტყვას? უნდა ვივარაუდოთ, რომ იმავე განზრახვით, რითაც შექმნა Jüngling/Jünglingin, Fremdling/Fremdlingin. ამ ლექსშიც დასმულია ყოფიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა – ჰერმარიტების ძიება. ბევრი ტკივილი ახლავს მას თან. ისევ პოეტისათვის ჩვეული ლექსიკა: „Schnee" „Tod" „Winternacht" და მისი ხატი „reine Mönchin", რომელშიც ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, ბივალენტური „Mönchin" (მამაკაცური საწყისი+ქალური საწყისი) და, მეორე მხრივ, „rein" („წმინდა", რომელიც „თეთრთან" ასოცირდება) და „Mönchin", შავ სამოსში გახვეული ორსახა სხეული „ბერისა (მამაკაცისა) და მონაზვნისა (ქალისა)" და ისევ „აღფრთოვანება სიკვდილამდე".[7] შესაძლოა პოეტის მოტივაცია ის იყოს, რომ Nacht მდედრობითი სქესისაა და ავტორმა მის ეკვივალენტად მდედრობითი სქესის Mönchin შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ლექსიკალიზებული Nonne. მაგრამ პოეტს ეს სიტყვა არ გამოუყენებია, რადგან Mönchin-ის სხვა დატვირთვა აქვს.

---

[7] მონოგრაფიის ეს ნაწილი უკვე დამთავრებული გვქონდა, როდესაც გეორგ თრაკლის შემოქმედების ჰაიდეგერისეულ ინტერპრეტაციას გავეცანით, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფილოსოფიური გაგება-გაგებინება, მით უფრო თუ ის ჰაიდეგერისეულია, ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის მწვერვალია. უფრო დაწვრილებით ამაზე მონოგრაფიის მეხუთე თავში გვექნება მსჯელობა.

1. ორდინარული ენათმეცნიერული სტატიების გრამატიკული ინტერპრეტაცია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც ჰერმენევტიკული თვალსაზრისით მათი გაგება-გაგებინებისათვის აუცილებელი ძრითადი პირობები (ენის, სპეციალური და საგნობრივი წინარეცოდნა) ადვილი დამაკმაყოფილებელია. დივინაციისა და ინფერენცის ხერხებს კვალიფიციური ენათმეცნიერი არც მოიშველიებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი სიგნალისა და კონექტორის იდენტიფიკაციის სიძნელეს და მათ მრავალმნიშვნელიანობას, რის მოხსნასაც დიდი ძალისხმევა არც სჭირდება.
2. გრამატიკულად პუანტირებული ტექსტები ზოგიერთი სინტაქსურად არის პუანტირებული, ზოგიც მორფოლოგიურად.

ა) სინტაქსურად პუანტირებული ტექსტი „Ein Satz über die Kadenz" გერმანული სინტაქსის პოტენციური ერთეულების ოსტატური გამოყენებით და ტექსტში მათი გონივრულად გათვლილი განლაგებით გამოირჩევა. რიტორიკულ ოსტატობამდე ასული ავტორის ხელი ისე თავბრუდამხვევად „აცეკვებს" სინტაქსის სტრუქტურულ ერთეულებს, რომ მკითხველს დიდი ძალისხმევა სჭირდება მათი „ილეთებისათვის" თვალის გასადევნებლად. ერთ უზარმაზარ წინადადებად გაშლილი ტექსტის დისკრეტაცია და სეგმენტების საყრდენი წერილების დაფიქსირება შეუძლებელია სემანტიკური დივინაციის გარეშე. წინადადებების გადაწვნა, სხვა სინტაქსური კონსტრუქციების ფორმალურ-ენობრივი მიმართებების ჩაქსოვა ტექსტის სეგმენტებში პირდაპირ უკავშირდება ტექსტის სემანტიკის ექსპლიციტურად გამოხატვას. ეს „პირდაპირი" კავშირი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ტექსტის ჰიპერპროპოზიციით გამოხატული საზრისი მხოლოდ ამ სინტაქსური ერთეულებით შეიძლება გამოიხატოს. რა თქმა უნდა, სხვა მრავალი შესაძლებლობაც არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი აზრობრივ მხარესთან ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული და, რაც მთავარია, მასთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს; კოჰეზიასა და კოჰერენტულობას შორის არ უნდა იგრძნობოდეს დისკომფორტი. გაანალიზებულ ტექსტში ეს ჰარმონია იდეალურად არის განხორციელებული, მაგრამ ისეთი ზიგზაგებით, რომ ინტერპრეტატორს სჭირდება ტექსტის სინტაქსური (და სემანტიკური) ლაბირინთების არც თუ ისე იოლი გავლა და ბევრი რამის ამოცნობა.

ბ) მორფოლოგიური საშუალებების შერჩევა განისაზღვრება ტექსტის საზრისით, მისი სემანტიკური სტრუქტურით. თუ მაგალითად, ტექსტის თემა პირობითობის კონტექსტშია გადასაწყვეტი, კომუნიკატორმა პირველ რიგში უნდა მოიძიოს ენის გრამატიკულ სისტემაში არსებული სათანადო კატეგორიები, რომელთა პარადიგმატული ფორმების ფუნქიას პირობითობის სემანტიკის გამოხატვა შეადგენს. გერმანული ენის გრამატიკულ სისტემაში ასეთი მორფოლოგიური კატეგორიაა კონიუნქტივი (კავშირებითი კილო) თავისი კარგად განვითარებული პარადიგმატული რიგებით (Konjunktiv I – პრეზენსული ფორმები, Konjunktiv II – პრეტერიტული ფორმები, Konditionalis I, II). ბერტოლტ ბრეხტი შესანიშნავად იყენებს ამ

მორფოლოგიური ფორმების სპეციფიკას როგორც სეგმენტების შიგნით სათანადო მიმართებების გამოსახატავად, ისე კომპოზიციური ნაწილების მოსანიშნად.

მორფოლოგიური პუანტირების მახასიათებლების დაფიქსირება, ტექსტის საზრისთან მათი შესაბამისობის გარკვევა და დასაბუთება ერთგვარ სიძნელეს უქმნის მკითხველს და ინტერპრეტატორს, მაგრამ სათანადო წინარეცოდნა ამ სიძნელეს იოლად დაძლევს.

3. სიტყვაწარმოებითი ელემენტების ინტერპრეტაცია ამ საშუალებებით პუანტირებულ ტექსტში უფრო დიდ სიძნელეებს აწყდება, ვიდრე ორდინარულ ტექსტებში. გეორგ თრაკლის ლექსებში მოძიებული უჩვეულო დერივატების ახსნა და ტექსტის საზრისთან შესაბამისობაში მოყვანა საჭიროებს დივინაციის და ინფერენცის გამოყენებას, რათა ავტორის ინტენცია მიახლოებით მაინც იქნას ამოკითხული. განხილული პოეტური ტექსტები მათი ავტორის მკვთრად გამოხატული ინდივიდუალობის გამო აუცილებლად მოითხოვენ სიტყვაწარმოებითი ინტერპრეტაციის დაკავშირებას ფსიქოლოგიურთან.

11.0. ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია და მისი საზრისის დადგენა შეიძლება რამდენიმე მიმართულებით წარიმართოს. ეს დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ტექსტის ნიმუშზე, და, მეორე მხრივ, ავტორის ინტენციასა და მის მიერ ენის სისტემაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებაზე. ამ წინაპირობების გათვალისწინებით ინტერპრეტატორი ირჩევს ტექსტს და სათანადო ჰერმენევტიკული ხერხების გამოყენებით განახორციელებს მის ინტერპრეტაციას.

საქმიანი პროზისა და მეცნიერების ენა განსხვავდება პოეტურისგან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ეროვნული ენის გამოყენების ვარიანტებია, დანიშნულების სპეციფიკა მათ თავის დაღს ასვამს.

გერმანულს როგორც მაღალგანვითარებულ ენას დიდი ტრადიციები აქვს საქმიანი ქაღალდების უნიფიცირების და ბეჭდური წესით გამოცემისა. ადამიანური ყოფის ყოველ სფეროს უზრუნველყოფენ ისინი დანიშნულებისამებრ და აადვილებენ მოსახლეობის ურთიერთობას სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატთან. მომხმარებელს ისღა რჩება, რომ შეავსოს საქმიანი ქაღალდები პირადი მონაცემებით. ეს სტადნდარტიზაცია ახდენს ტექსტების სპეციფიკის ნიველირებას და თეორიული თვალსაზრისით, ალბათ, ნაკლებ საინტერესოა ტექსტის მკვლევართათვის.

„მეცნიერების ენა“ კრებითი სახელია და სხვადასხვა სფეროს ფულისხმობს. ამ სფეროების შესაბამისად აღინიშნება განსხვავება მის ფარგლებში (მაგალითად, მათემატიკის ენა და ლინგვისტიკის ენა ვერ იქნება ერთნაირი), თუმცა ყველა დარგობრივ ენას ახასიათებს ლოგიკურობა, აზრის თანმიმდევრული განვითა-

რება, ჰიპოთეზების სიმრავლე, ვარაუდების დასაბუთების მცდელობა და ჩატარებული მეცნიერული კვლევის საფუძველზე დასკვნების გამოყვანა.

მიუხედავად განსხვავებისა საქმიანი პროზისა და მეცნიერების ენას ერთი რამ აქვთ საერთო. როგორც წესი, ეს არის გადმოცემის ობიექტურობა და ტიპური ტექსტების ნიმუშების გამოყენება. მათ ახასიათებს ალიენაციის მეტი ხარისხი, ვიდრე პოეტურ ტექსტებს, რომლებიც ბევრად უფრო სუბიექტურია და ავტორზეა დამოკიდებული. თუ სტილისტიკურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ეს კონვენციონალური ანუ ფუნქციონალური სტილების ნიმუშებია, რომლებიც არსებითად ობიექტური სტილებია. ალიენაცია ახასიათებს ყველა ტექსტს, მაგრამ პოეტურ ტექსტში ინდივიდუალური საწყისი მძლავრობს, თვითგამოხატვის ფორმები თავისუფალია, რაც ინტერპრეტაციების სიმრავლეს წარმოშობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაგება შეიძლება იყოს მიახლოებითი და არა აბსოლუტური.

11.1. ლექსიკურად პუანტირებული ტექსტები

ჩვენ თავს ვიკავებთ საქმიანი პროზისა და მეცნიერების ენის ნიმუშების სემანტიკური ინტერპრეტაციისგან, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა, რამდენადმე სხვა აზროვნებით სფეროებში შეჭრა იქნებოდა და ჩვენს მიზანს დაგვაშორებდა.[8] ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს ისეთი პროზაული და ნაკლებ პოეტური ტექსტების ინტერპრეტაცია, რომლებიც მოცულობით არ არის დიდი, ეროვნული ენის გამოყენების ნორმებში ჯდება, საშუალო დონის მკითხველისთვის დიდი დაბრკოლების გარეშეა აღსაქმელია და, ამდენად, ანალიზისთვისაც მოსახერხებელი.

ლექსიკური ერთეული, შესიტყვება და წინადადება ტექსტში მკითხველის მიერ ვიზუალურად აღიქმება, მაშასადამე ტექსტის დონეზე ის წარმოადგენს გრაფემულ სიტყვას, გრაფემულ შესიტყვებას, გრაფემულ-გრაფიკულ სტრუქტურას. ზეპირმეტყველებაში იგივე მნიშვნელობა, რასაც გრაფემული ერთეული აღნიშნავს, აკუსტიკურად გამოიხატება წარმოთქმული სიტყვით. ბგერით გამოხატული ერთეულების ღრმა სემანტიკური და გრამატიკული მიმართებების აღქმა და ანალიზი ზეპირმეტყველების პროცესში ძნელია, შეიძლება ითქვას შეუძლებელიც კი წამოთქმის მომენტალურობისა და ლინეარულობის გამო. მყღერი სიტყვა წარმოითქმის და მაშინვე ქრება, რათა მეორე მყღერ სიტყვას დაუთმოს ადგილი. მით უფრო ძნელია ამ მიმართებების აღქმა და ანალიზი ვრცელი ენობრივი წარმონაქმნის – დისკურსის ჩარჩოებში, ამიტომაც არის, რომ ანალიზი ჩვეულებრივ წერილობით ნიმუშებზე

[8] საერთოდ შესაძლებელი კია, ვთქვათ, ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ შექმნილი თეორიული ტექსტების ტექსტოლინგვისტიკური ანალიზი სემანტიკურ ასპექტში? საინტერესოა როგორი იქნებოდა მაგალითად, აინშტაინის როგორც კომუნიკატორის მიერ შექმნილი ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია. ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ ლინგვისტის მხრივ ძნელი წარმოსადგენია.

კეთდება. მაშინაც კი, როდესაც ანალიზი ზეპირად ხდება (ვთქვათ ზეპირი მოხსენების დროს ან სასწავლო პროცესში) ინტერპრეტატორს და მსმენელებს წინ უდევთ წერილობით დაფიქსირებული წინადადება თუ ტექსტი. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ტექსტის ზეპირად გადმოცემა და მოსმენით გაგება შეუძლებელია. ზოგჯერ ზეპირად ნათქვამი მეგობრების წრეში უფრო ეფექტურიც არის ხოლმე. მაგალითად, ანეკდოტი შეიძლება წაიკითხო ან მოისმინო. ორსავე შემთხვევაში შედეგი ერთნაირი იქნება, თუ კი იგი მკითხველმა და მსმენელმა საერთოდ გაიგო. აქ ჩვენ მხოლოდ იმას გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ტექსტის სტრუქტურული ფენების ინტერპრეტაციისთვის ხელსაყრელი პირობები უპირველეს ყოვლისა არსებობს ტექსტში როგორც წერილობით დაფიქსირებულ გრაფემულ-გრაფიკულ წარმონაქმნში. ორდინარულ ტექსტში გრაფემულ-გრაფიკული ფენა სიმშვიდის მდგომარეობაშია და მკითხველი არც აცნობიერებს, რომ ტექსტი წერილობითი წარმონაქმნია. მკითხველისთვის ეს ფენა გამჭვირვალეა, ის მხოლოდ შინაარსობრივ მხარეს აქცევს ყურადღებას.

ლექსიკურად პუანტირებულ ტექსტში რომელიმე ლექსიკური ერთეული დომინანტობს. მისი სემანტიკური სტრუქტურიდან გამოიყოფა სემა, რომელიც ტექსტის შინაარსობრივი და აზრობრივი სტრუქტურის საფუძველი ხდება. ტექსტი თითქოს ჩარჩოა, რომელშიც პუანტირებული სემა ბადესავით იშლება ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში და სათანადო აქტუალიზებას პოვებს. ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციის საყრდენია ლექსიკური ერთეული, რომლიდან გამოსვლითაც უნდა მოხდეს ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურაში შეღწევა.

ვიდრე უშუალოდ ემპირიული მასალის ინტერპრეტაციაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ტერმინს „ანეკდოტი“ შევეხოთ. გერმანული ენა განასხვავებს „die Anekdote“ და „der Witz“ სიტყვების მნიშვნელობას. ორივე მცირე მოცულობის ტექსტია, თუმცა ანეკდოტი ჩვეულებრივ უფრო დიდია. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი ძირითადად აგებულია მოულოდნელ, კომიკურ სიტუაციაზე, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი (გავიხსენოთ ნიუტონისა და კვერცხის მოხარშვის ამბავი), ხოლო მეორე – სიტყვის ორაზროვნებაზე ან გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამზე. ანეკდოტი პუანტირებულია სიტუაციურად (ის ჩვეულებრივ უკავშირდება ხოლმე რომელიმე გამოჩენილ პიროვნებას), ხოლო „ხუმრობა“ (Witz) აგებულია დომინანტური ლექსიკური ერთეულის მრავალმნიშვნელიანობაზე. მისი სუბიექტი შეიძლება იყოს გამოჩენილი პიროვნებაც, მაგალითად, პოლიტიკოსი, რომელიც უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტის დომინანტია არა ეს პიროვნება, არამედ მისი ნათქვამი სიტყვა. ასეთ ნიმუშში სიტუაციაა დომინანტი თუ გამონათქვამის/სიტყვის შეუსაბამო ხმარება ძნელი გასარჩევია, მაგრამ ტექსტის დომინანტი ვერბალური (სიტყვიერი) კომპონენტია და ამიტომ ჩვენ მას „ხუმრობად“ ვთვლით (შდრ. ჰელმუტ კოლთან დაკავშირებული ანეკდოტები).

ანეკდოტი გერმანულენოვან ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული ჟანრია. სახელწოდება „ანეკდოტი“ მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს

„ჯერ არ გამოქვეყნებულს“. ანეკდოტის წარმოშობა მიეწერება პროკოფი კესარიელს (VI ს. ქრისტეშობიდან). მან პირველმა შექმნა ამ სახის კრიტიკული ნაწარმოებები (Anekdota), რომლებიც მიმართული იყო იმპერატორ იუსტინიანეს წინააღმდეგ და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. თავდაპირველად ასე იწოდებოდა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებული ნაწერების კრებული, მოგვიანებით კი ფიქციონალური ან რეალური ამბის ამსახველი მოკლე მოთხრობაც.

ანეკდოტების კრებულების გამოცემას გერმანიაში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. დამოუკიდებელ ჟანრად იგი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. თავდაპირველად ანეკდოტი ხალხური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა, ხოლო XIX საუკუნიდან უკვე ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშად იქცა (შდრ. ვ.შეფერის „ანეკდოტები“, 1908; ფ.ქ. ვაისკოპფის „ანეკდოტების წიგნი“, 1954 და სხვ.). რაც შეეხება გერმანულ „Witz“-ს, მის გავრცელებას განსაკუთრებით პრესამ შეუწყო ხელი. ამ ჟანრს უამრავი მკითხველი ჰყავს იმის გამო, რომ იგი ფორმით მომცროა, მოსახერხებელია როგორც შემთხზველის ისე მკითხველისთვის, ასახავს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ტიპურ მხარეებს, მათ შორის პოლიტიკურსაც. თავშესაქცევი ფაბულა, იუმორი და სატირა, მკითხველის მოლოდინსა და შემთხზველის ინტენციას შორის შექმნილი დაძაბულობა, (მოჩვენებითი) ალოგიკურობა, სიტყვების თამაში და ორაზროვნება – ყოველივე ეს „Witz“-ს პოპულარულ ჟანრად ხდის.

ერთმანეთისგან განსხვავდებიან მისი ნიმუშები როგორც თემატურად ისე კომპოზიციურად, ბათიზმატური ველი, რომელშიც ის გაშლილია, რამდენადმე თავისებური, იდეალიზებული ველისაგან დაშორებული და შეკვეცილია, მაგრამ მისი ენგრამა ჩვეულებრივ სამკომპონენტიან კომპოზიციას ასახავს. თვით სამწინადადებიან ტექსტშიც კი არის შესავალი – ექსპოზიცია, ძირითადი და დასკვნითი სეგმენტები. ექსპოზიცია ასახავს საწყის სიტუაციას, მეორე სეგმენტი თემას გამოკვეთავს, მესამე შეიცავს კვანძის გახსნას.

გერმანულენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში Witz-ები სისტემატურად იბეჭდება და გვხვდება სხვადასხვა რუბრიკებში, როგორიცაა Fröhliche Minute („Trommel“). Witze, Witziges, Leserwitze, Mitgelacht („ABC-Zeitung“), Kindermund („Sprachpraxis“ – Beilage der Zeitschrift „Deutsch als Frendsprache“) და სხვა.

Witz-ი მოცულობით სხვადასხვა ზომისაა, ზოგიერთი ძალზე მოკლეა, ზოგი მომცრო, ზოგიც შედარებით ვრცელი. ამ ჟანრის მოყვარულ მკითხველს კონკრეტული ნიმუშის წაკითხვამდე ერთგვარი წარმოდგენა აქვს მასზე. მან დაახლოებით იცის, რა მოცულობის, შინაარსის და ფორმის შეიძლება იყოს იგი. მათ ისეთი გავრცელება პოვეს გერმანულენოვან პერიოდულ გამოცემებში, რომ მკვლევართა ყურადღება მიიპყრეს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ხდება ამა თუ იმ ჟურნალისტის ან მწერლის მიერ მათი შეგროვება და გამოცემა.

ქართულში ჩვეულებრივ ორივე სახეობის ტექსტების აღსანიშნავად გამოიყენება „ანეკდოტი“. თუმცა „Witz“-ის ეკვივალენტად გვხვდება ხოლმე „იუმო-

რი", „ხუმრობა", „ოხუნჯობა", „ნაკვესი", მაგრამ ნორმად და ლექსიკალიზებულ ტერმინად მაინც „ანეკდოტი" ითვლება, რომელიც ორივე სახეობას აერთიანებს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ „Witz"-ის ნიმუშებს და ვუწოდებთ მათ „ანეკდოტებს".

საანალიზოდ ვიღებთ ანეკდოტის უფრო გავრცელებულ სახეებს, რომელთა ბათიზმატური ველი მაქსიმალურად უახლოვდება იდეალიზებულს სულ ცოტა სამსეგმენტიანია და შედარებით იოლი აღსაქმელი, თუ რა თქმა უნდა, მკითხველი ამისათვის შემზადებულია სათანადო წინარეცოდნით.

ანეკდოტების მახასიათებლებიდან აღსანიშნავია: მახვილგონივრულობა, გამოთქმის სისხარტე, ორაზროვნება, სემანტიკური დაძაბულობა და კვანძის მოულოდნელი გახსნა. ეფექტი მიიღწევა მოლოდინის გაცრუებით. თემატიკა ყოველდღიურ, წვრილმან, უმნიშვნელო ყოფით სიტუაციებს ასახავს. თემა იმდენად არის საინტერესო მკითხველისათვის, რამდენადაც ის აქტუალურია საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს ეხება. საერთოდ კი ანეკდოტი დროის მიმდინარეობას ემორჩილება, ბერდება და ახალ წარმოშობილს უთმობს ადგილს, მხოლოდ შედევრები უძლებს ჟამთა მსვლელობას. მთავარი მაინც ანეკდოტის საზრისის უჩვეულო გახსნა და მოულოდნელობის ეფექტია. კომპოზიციურად იგი არც თუ ისე მრავალფეროვანია, მაგრამ მაინც არსებობს სპეციალური ფორმა, რომლის ვარირებაც ხდება. იგი ძირითადად დიალოგზეა აგებული. შეიძლება იწყებოდეს შეკითხვით და მთავრდებოდეს პასუხით, იწყებოდეს სიტუაციის აღწერით და თავდებოდეს შეკითხვით და ა.შ. არის ანეკდოტები, რომლებსაც თავ-თავისი კონკრეტული სათაური აქვთ, უმეტესად კი ისინი ზოგადი სათაურით არიან გაერთიანებული.

რადგან ამჯერად მხოლოდ ანეკდოტის სემანტიკურ მხარეს ვეხებით, საჭიროდ მიგვაჩნია ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი გარკვეული კანონზომიერების დადგენა. ანეკდოტის საზრისის იმპლიცირებას და ტექსტის სემანტიკურ სიღრმეში მის ჩადებას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ლოგიკურ-სემანტიკური შეთავსებადობის დარღვევა (1);
- მოქმედების ლოგიკური თანამიმდევრობის დარღვევა, გაწყვეტა ან შეკვეცა, სიტყვების გამოტოვების გზით რაიმე აზრის შეფარვა (2);
- სიტყვის მნიშვნელობის სიტყვასიტყვით გაგება (3);
- ერთი საგნის ფუნქციის შეუსაბამო გადატანა მეორეზე გარეგნული ნიშნის მიხედვით (4);
- მრავალმნიშვნელიანობა და ომონიმია (5);
- ახალი სიტყვის შექმნა შეუსაბამო ანალოგიის მიხედვით (6);
- დიალექტური, უცხოური სიტყვების, ბარბარიზმების შეუსაბამო გამოყენება (7);
- სპეციალური ცოდნის უქონლობა (8);
- ჰორიზონტის შეცვლა (რაიმეს გაგება სხვა ან საპირისპირო აზრით) (9);

ფაქტორების სია არ არის დახურული და შეიძლება შეივსოს სხვა პუნქტებით.

ვნახოთ როგორ მუშაობენ ლექსიკური პუანტირების ეს ფაქტორები ტექსტში.

მკითხველს აუცილებლად სჭირდება წინარეცოდნა, აგრეთვე დივინაციისა და ინფერენცის ხერხების გამოყენება.

Einer kauft ein gebrauchtes Klavier. „Klingt ja ganz gut", meint er, „aber die Tasten sind so gelb" – „Das beweist, dass sie echt aus Elfenbein sind." „Da muss der Elefant ein kräftiger Raucher sein. "

წინარეცოდნა: პიანინოს კლავიშები შეიძლება სპილოს ძვლისაგან იყოს გაკეთებული, რომელთაც ყვითელი ფერი დაჰკრავს.

ფაქტორი: სემანტიკური შეუთავსებლობა. პიანინოს კლავიშები გაკეთებულია პაპიროსის მწეველი სპილოს გაყვითლებული ძვლისაგან (1).

Herbert jammert: „Ich habe einen Holzsplitter im Finger." Lacht seine Frau: „Ach, hast du dich wohl wieder am Kopf gekratzt, was?"

წინარეცოდნა: გაურანდავ ფიცარს ხელს თუ გადაუსვამ, შეიძლება თითში ხიჭვი შეგერჭოს.

ფაქტორი: სიტყვების გამოტოვების გზით აზრობრივი სიცარიელის შექმნა.

ამ ტიპის ანეკდოტზე უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში მკითხველს უჭირს აზრობრივი სიცარიელის შევსება, ნაგულისხმევი სიტყვების ამოცნობა და ინფერენცის გამოყვანა. ამ შემთხვევაში ეს დაახლოებით ასეთი შეიძლება იყოს: „მე ხისთავა! ალბათ თავი მოიფხარე. ხიჭვი შეგერჭობოდა, აბა, რა იქნებოდა." (2)

René kommt entsetzt nach Hause. „Mutti, habe ich wirklich so große Ohren?" Die Mutter schüttelt erstaunt den Kopf. „Wie kommst du denn darauf?" – „Unsere Lehrerin hat nämlich heute wieder zu mir gesagt: „René, sitz' doch nicht immer auf deinen Ohren!"

წინარეცოდნა: საკუთარ ყურებზე ვერ დაჯდები.

ფაქტორი: გამოთქმის სიტყვასიტყვით გაგება. რენემ მასწავლებლის შენიშვნა პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვა, როგორც „საკუთარ ყურებზე ჯდომა", მაშინ როცა ეს გამოთქმა ამ შემთხვევაში გულისხმობს: „ყურებიდან ბამბა გამოიღე!", „ყურადღებით იყავი!" (3)

Herr Müller geht mit seinem Sohn in den Zoo. „Das ist hier ein Jaguar", erklärt er dem hoffnungsvollen Sprößling. „Glaube ich nicht", erwidert der. „Wo hat er den die Räder?"

წინარეცოდნა: „იაგუარი" – მტაცებელი ცხოველია, თუმცა – ავტომანქანის მარკაც არის.

ფაქტორი: ერთი საგნის ფუნქციის გადატანა მეორეზე გარეგნული ნიშნის მიხედვით. თუ „იაგუარია", ე.ი. ავტომანქანაა და შესაბამისად მას ბორბლები უნდა ჰქონდეს. (4)

Im Rundfunk war eine Sendung über Republik Kuba vorgesehen. Ein Redakteur schrieb für die Rundfunkzeitung einen Artikel über die Sendung. Titel: Kuba Perle der Karibischen See. Ein anderer Redakteur, der den Artikel kontrollierend überflog, meinte, es handelt sich um eine Sendung nach dem Manuskript des Schriftstellers Kuba, und fügte der Überschrift die Buchstaben NPT an, d.h. Nationalpreisträger. Der Artikel erschien in der Rundfunkzeitung: Nationalpreisträger Kuba Perle der Karibischen See.

წინარეცოდნა: კუბა – კუნძული კარიბის ზღვაში, კუბა – მწერალი კურტ ბარტოლდი.

ფაქტორი: ლექსემის ომონიმია. (5)

Fragt der Sohn: „Vati, was ist eigentlich relativ?" „Nun, mein Sohn, wenn du fünf Flaschen im Keller hast, ist das relativ wenig, hast du aber fünf Flaschen in einer Fußballmannschaft, dann ist das relativ viel."

წინარეცოდნა: Flasche ნიშნავს „ბოთლს" და „ცულ მოთამაშეს ფეხბურთის გუნდში".

ფაქტორი: მრავალმნიშვნელიანობა. (5)

Mutter: „Maul sagt man nicht, dass ist ein häßliches Wort!" Nach einer Weile kommt Mario ganz aufgeregt aus dem Garten: „Mutti, Vati hat einen Mundwurf ausgegraben!"

წინარეცოდნა: სინონიმები „Maul" და „Mund" იხმარება სხვადასხვა კონტექსტში. „Maul" – ცხოველების, „Mund" – ადამიანების მიმართ.

ფაქტორი: ახალი სიტყვის შექმნა შეუსაბამო ანალოგიით. არსებობს „Maulwurf" ("თხუნელა"), მაგრამ არ არსებობს „Mundwurf". (6)

Kohl, Reagan und Frau Thatcher sind beim Herrn Andropow für 13.00 Uhr zum Essen eingeladen. Sie kommen aber eine Viertelstunde zu spät. Sagt Frau Thatcher: Sorry, I'm late." Sagt Mr. Reagan: „Excuse me, please, I'm late too." Darauf hin sagt Kohl: „I'm late three."

წინარეცოდნა: ინგლისური ენის ფლობა.

ფაქტორი: უცხოური სიტყვების შეუსაბამო გამოყენება.

ჰელმუტ კოლი გერმანულ ანეკდოტებში წარმოდგენილია როგორც გულუბრყვილო, მბიძე და ნელი ადამიანი, რომელიც უცბად ვერ ერკვევა სიტუაციაში და დაუფიქრებლად იტყვის რაიმე შეუსაბამოს. ახლაც ორი ინგლისური სიტყვა „too" – „აგრეთვე", და „two" – „ორი, რომლებიც თითქმის ერთნაირად წარმოითქმის (too [tu:] და two [tu], გაიგო მეორის მნიშვნელობით, და რადგანაც რეიგანის შემდეგ იხდის ბოდიშს, რომელმაც მეორემ მოიხადა ბოდიში ტეტჩერის შემდეგ, თავის ბოდიშს დაურთავს სიტყვა „three". (7)

Bundeskanzler Kohl und Finanzminister Stoltenberg spazieren durch die Bonner Innenstadt. „Schau mal diese Preise an: eine Hose 20 Mark, ein Mantel 25 Mark und

ein grauer Anzug 50 Mark. Da sieht man deutlich den Erfolg unserer Wirtschaftspolitik. Stoltenberg erblaßt, ob soviel Sachkunde: „Mein Kanzler,das sind die Schaufenster einer chemischen Reinigung!"

წინარეცოდნა: ქიმიური წმენდის ფასები ბევრად უფრო იაფია თავად საქონლის ღირებულებაზე.

ფაქტორი: სპეციალური ცოდნის უქონლობა, მაღაზიისა და ქიმწმენდის ვიტრინების ერთმანეთში არევა. (8)

Drei Männer sitzen auf einem Motorrad. Das sieht ein Polizist, der gleich den Arm hebt, um die drei zu stoppen. Ruft einer: „Sie sehen doch, es hat keinen Zweck, wir können keinen mehr mitnehmen."

წინარეცოდნა: ტრანსპორტის მოძრაობის დროს ხელის აწევის მნიშვნელობა.

ფაქტორი: ჰორიზონტების შეცვლა.

ხელის აწევა ნიშნავს, ერთი მხრივ: „გაჩერდით! მოძრაობის წესებს არღვევთ. მოტოციკლეტზე არ შიეძლება სამი კაცის ჯდომა." და, მეორე მხრივ: „გაჩერდით! მეც წამიყვანეთ." პოლიციელი გულისხმობს პირველს, მოტოციკლისტი – ვითომ ვერ გაიგო, მეორეს. (9)

ანეკდოტი უნივერსალური ჟანრია და ყველა ხალხსა და ენაში მოიპოვება. არც საქართველოა გამონაკლისი. აქაც ძალზე გავრცელებულია ანეკდოტების, როგორც უცხოური ენებიდან თარგმნილის, ისე ორიგინალურის, გამოქვეყნება. აქტიური პოლიტიკური ცხოვრების პირობებში იქმნება საკმაოდ მახვილგონივრული ანეკდოტები გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებზე, ქართველი ხალხის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ამას გარდა საქართველოს სხვადასხვა მხარეებსა და კუთხეებში მცხოვრებთათვის დამახასიათებელი თვისებები კარგ მასალას იძლევა სატირისა და იუმორისათვის, შდრ. ანეკდოტები კახელებზე, რაჭველებზე, სვანებზე, მეგრელებზე და ა.შ. დიდი სამწერლო ტრადიციების მქონე ქართველ ხალხს ანეკდოტების შექმნის ასევე დიდი ტრადიციები აქვს. გავიხსენოთ აკაკის მსუბუქი იუმორი, ილიას მწარე ენა.

ანეკდოტების უცხოური ენებიდან ქართულად თარგმნის შესაძლებლობა საინტერესო პრობლემაა პირველ რიგში იმ მხრივ, რომ, თუ დომინირებული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ან აქტუალიზებული სემა ორსავე ენაში ერთმანეთს არ ემთხვევა, ანეკდოტი ვერ გადაითარგმნება. მაგალითად:

Michael fuhr mit seiner Oma in der Bahn. Der Zug schaukelte sehr. Michael: „Oma, warum wackelt der Zug so!" „Das war eine Weiche." – Michael schüttelt den Kopf: „Nee, Omi, das war eine Harte!"

Paul Graener hatte Heinrich von Kleist Schauspiel „Prinz von Homburg" als Oper komponiert. Einer seiner Verehrer rühmte das Werk während eines Gesprächs mit dem Komponisten Pfitzner und setzte auseinander, wie sehr die Dichtung durch

Graeners Vertönung gesteigert worden sei. Pfitzner schwieg. Dann zischte er plötzlich: „Wenn man Kleist steigert, gibt es Kleister."

ამ ორიდან ვერც ერთი ანეკდოტი ვერ გადმოქართულდება იმის გამო, რომ: პირველ ტექსტში „die Weiche" (რკინიგზის ისარი) სიტყვის ძირითადი მორფემა „weich" ნიშნავს აგრეთვე რბილს. ამიტომ მიხაელი მას უპირისპირებს „Harte" სიტყვას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია სიტყვასთან „hart" (მაგარი). ასეთი სემა ქართულ „ისარს" არ გააჩნია და მასზე არც ანალოგიური ტექსტის აგება შეიძლება. მეორე ტექსტი ეფუძნება ზედსართავის შედარებითი ხარისხის დომინანტად გამოყენებას. „Kleist" მწერლის გვარია, „Kleister" მიშნავს „წებოს" და იგი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც Kleist+er, სადაც ér ზედსართავის შედარებითი ხარისხის მორფემაა. მით უფრო, რომ ტექსტში არის სიტყვა „steigern" „ამაღლება", „ხარისხში აყვანა".

დასასრულს იმას დავსძენდით, რომ ლექსიკურად პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაციისათვის ქართულში არანაკლებ საინტერესო მასალა არსებობს. მისი შესწავლა პერსპექტიული ჩანს არა მარტო ინტერლინგვალური, არამედ ბილინგვალური ასპექტითაც (ПУРЦЕЛАДЗЕ, 1982:178).

11.2. სემანტიკურად პუანტირებული ნარატიული ტექსტები

მონოგრაფიის ეს მონაკვეთი გვინდა დავიწყოთ მ.კაგანის სიტყვებით, რომლებიც ციტირებულია მისი წიგნიდან „Vorlesungen zur marxistisch-leninischen Ästhetik", და იმას მოწმობს, რომ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკიდან შეიძლება ყველაფერი არ იყოს გადასაყრელი.

"Der Inhalt eines Werkes ist der Sinn seiner Form, ist die Bedeutung des ihn bildenden Zeichensystems, ist die geistige Information, die im ganzen bildnerischen Gewebe des Werkes eingeschlossen liegt und von ihm ausgestrahlt wird" (KAGAN, 1974:466).

ტექსტის სემანტიკა გულისმობს იმ რეალურ ან ფიქციონალურ (მოგონილ, მაგრამ შესაძლებელ) ხდომილებას, რომელიც ტექსტშია გადმოცემული. კაგანისეული განსაზღვრება ნაწარმოებისა შეიძლება გადავიტანოთ ტექსტის დონეზე. ამის უფლებას იძლევა „ნაწარმოებისა" და „ტექსტის" ცნებების ეკვივალენტობა, თუ გნებავთ სინონიმურობა, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი აბსოლუტურად იგივეობრივია. „ტექსტი" ვიწრო ცნებაა, „ნაწარმოები" კი უფრო ფართო. პირველი ლინგვისტიკური კვლევის საგანია, მეორე ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკისა. ამიტომ შეიძლება კაგანის პარაფრაზირება: **ტექსტის შინაარსი არის მისი ფორმის აზრი, მისი მაკონსტრუირებელი ნიშნობრივი სისტემის მნიშვნელობა. არის გონითი ინფორმაცია, რომელიც ტექსტის მთლიან ქსოვილში ამოიკითხება („გამოსხივდება") და წარმოადგენს მის საზრისს.**

როგორც წესი, ინტერპრეტატორი ტექსტს განმარტებამდე რამდენჯერმე კითხულობს, მოიფიქრებს რა დააყენოს ანალიზის ცენტრში, რომელ მხარეებს მიაქციოს ყურადღება, რა მეთოდი და ხერხი გამოიყენოს, რა სქემას მოარგოს ტექსტი მისი თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე აფიქსირებს ბათიზმატური ველის რომელი ფენაა გამოსული სიმშვიდის მდგომარეობიდან, როგორია განსხვავების ხარისხი ორდინარულ და პუანტირებულ ტექსტებს შორის.

სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი ორიენტირებია: თემა, კომპოზიცია, კოჰერენტულობა.

თემა არის ტექსტის აგების ღერძი, შინაარსის გამოხატვის გამოსავალი პუნქტი. ტექსტის აგებას უშუალოდ უკავშირდება მისი შერჩევა, გაშლა და დასრულება. თემას საფუძვლად უდევს სინამდვილის ან ფიქციონალური სამყაროს ფრაგმენტი (ამბავი, ხდომილება), რომელიც გადატეხილია სუბიექტის შემეცნებით პრიზმაში და ჩამოყალიბებულია ძირითად აზრად (საზრისად). თემის შინაარსობრივ და, შესაბამისად, ფორმალურ სტრუქტურას, განსაზღვრავს ხდომილების შემეცნებითი ასახვა, ხოლო ფორმალური სტრუქტურა, თავის მხრივ, აყალიბებს ტექსტის ლოგიკურ-კომუნიკაციურ მხარეს. სემანტიკური კომპონენტები და მათ შორის არსებული მიმართებები საფეხურებრივ გამოიყვანება თემიდან, განიცდის განვითარებას და იქცევა ტექსტის ძირითად საზრისად.

თემა და მის საფუძველზე გაშლილი სტრუქტურა მოქნილია და ღია ტექსტის ტოპოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში. ამ მოქნილობას უზრუნველყოფს თემის განვითარება, ვარიაცია, გადაწევა, ძირითადი და ქვეთემების ერთმანეთზე დამრევება. მაგალითად, ბელეტრისტულ-ნარატიულ ტექსტებში სულ ცოტა ოთხი ფენაა: ა)აქტანტები-ფიგურები, მათი ქმედებები (ენობრივის ჩათვლით), კვალიფიკატები და ხატები, სახეები; ბ)აქტანტები რეალური ან ფიქციონალური მთხრობლის როლში; გ)აქტანტები ცირკუმსტანსების ფორმით (დრო, ადგილი, ვითარება, მოვლენები, ატმოსფერო); დ)თემების დიფუზია – თემების უცვლელი სტრუქტურა. თემის გაშლის დროს ტექსტი შეიძლება ნებისმიერად აიგოს, თემა გაიშალოს მოკლედ ან ფართოდ, ერთხაზოვნად ან განმტოებით (AGRICOLA, 1979:68-70).

ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურის ძირითადი კომპონენტებია:

1. პრესიგნალი (Präsignal);
2. ტექსტის დასაწყისი (Eingangstext);
3. ძირითადი ტექსტი (Mikrotext);
4. ტექსტის დასასრული (Schlußtext);

რაც შეეხება კოჰერენტულობას, ამ ცნების განსაზღვრება სხვადასხვანაირია და სადავო, ჩვენ ვირჩევთ იმ ვარიანტს, რომელიც მისაღებად მიგვაჩნია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოჰერენტულობა არის სემანტიკური მიმართებების კონსტელაცია, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის საფუძველი, ტექსტის სემანტიკური ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ეკვივალენტობას. ეს უკანასკნელი ხორციელდება ე.წ. ტოპიკების (Topiks) მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პარადიგმატულად და ქმნიან ჯაჭვებს, ხოლო მათი ერთიანობა იწოდება იზოტოპიად. სემანტიკური ეკვივალენტობის დადგენა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდეს იზოტოპიის სხვადასხვა სახეები და მოხდეს მათი თანამიმდევრული აკინძვა. იზოტოპიურ ჯაჭვებს მრავალი ფუნქცია აქვთ, მათ შორის თემატური და სემანტიკური ინფორმაციის მარკირება, ტექსტის სეგმენტაცია და კონსტრუირება (AGRICOLA, 1979:46).

კოჰერენტულობა როგორც სემანტიკური აქტუალიზების საშუალება და შედეგი, დაფუძნებულია ცოდნის, წარმოდგენების და მათი მიმართებების კავშირზე. იგი ტექსტში შეიძლება გამოხატული იყოს კოჰეზიის ექსპლიციტური ერთეულების გამოყენებით, ან ფორმალურად არც იყოს მარკირებული. კოჰერენტულობა გაგებისა და გაგებინების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, ტექსტის შინაარსობრივი დაყოფისა და მთლიანობის კრიტერიუმია.

სემანტიკურად პუანტირებული ტექსტის ნიმუშად ვიღებთ რაინერ მარია რილკეს მოთხრობას (როგორც თვითონ უწოდებს – ვ.ფ.) „Der Drachentöter". ზემოთ უკვე არაერთგზის იყო ნახსენები ორდინარული და პუანტირებული სახეები ტექსტისა. ახლა გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, რომ ტერმინში „პუანტირებული" ვგულისხმობთ არა მთლიანი ტექსტის მყოფობას ამ თვისების აბსოლუტურ მდგომარეობაში, არამედ აგრეთვე ტექსტში პუანტირების რომელიმე მომენტის განსაკუთრებული სიძლიერით წარმოჩენას (შდრ. Pointieren: zuspitzen, betonen; pointiert: scharf, zugespitzt, betont) (GROßES FREMDWÖRTERBUCH, 1980:594). არ არის გამორიცხული, რომ ტექსტში ეს თუ ის ადგილი, გათიზმატური ველის სტრუქტურის მხოლოდ ცალკეული კომპონენტი იყოს პუანტირებული, მაგრამ სწორედ ამას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექსტის მთლიანი შეფასებისთვის. საანალიზოდ შემოთავაზებულ ტექსტს ხალხური ზღაპრისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური სტრუქტურა რომ ჰქონდეს, ის შესაძლოა ორდინარულ ტექსტად მიგვეჩნია, მაგრამ მისი ფინალური მონაკვეთი არ იძლევა ამის საშუალებას. ამას გარდა მასში იმდენი რამ არის განსხვავებული იმისგან, რაც ჩვეულებრივ ხალხურ ზღაპარს ახასიათებს, რომ იგი ვერ ჩაჯდება ზღაპრის (ამ ცნების ტრადიციული გაგებით) ჩარჩოში. როგორც ჩანს თავად ავტორსაც არ მიაჩნდა თავისი თხზულება ზღაპრად, ამიტომაც უწოდა მას მოთხრობა (RILKE, 1984:102-108).

DER DRACHENTÖTER

(1) Es war ein schönes und fruchtbares Land mit Wäldern, Feldern, Flüssen, Straßen und Städten. Ein König war drübergesetzt von Gott, ein Greis, älter und stolzer als alle Könige, von denen man je Glaubwürdiges gehört hat. Dieses Königs einziges Kind war ein Mädchen von größer Jugend, Sehnsucht und Schönheit. Der König war verwandt mit allen Thronen der Nachbarschaft, seine Tochter aber war noch ein Kind und allein, wie ohne alle Verwandschaft. Gewiß war ihre Sanftmut und Milde und die Macht ihres unerwachten stillen Angesichtes die unschuldige Ursache jenes Drachens, welcher, je mehr sie emporwuchs und aufblühte, desto näher heranschlich und sich endlich im Walde vor der schönsten Stadt des Landes wie der Schrecken selber niederließ; denn es bestehen geheime Beziehungen zwischen dem Schönen und dem Schrecklichen, an einer bestimmten Stelle ergänzen sich beide wie das lachende Leben und der nahe tägliche Tod.

(2) Damit ist nicht gesagt, daß der Drache der jungen Dame feindlich war, wie ja auch niemand auf Ehre und Gewissen sagen kann, ob der Tod des Lebens Widersacher ist. Vielleicht hätte das große kochende Tier sich wie ein Hund neben dem schönen Mädchen niedergelegt, und es wäre vielleicht nur durch die Abscheulichkeit der eigenen Zunge abgehalten worden, die lieblichsten Hände in tierischer Demut zu liebkosen. Aber man ließ es natürlich auf eine Probe nicht ankommen, zumal der Drache gegen alle, die zufällig in den Kreis seiner Kraft traten, erbarmungslos war und, einem sichtbaren Tode vergleichbar, alles, Kinder und Herden nicht ausgenommen, ergriff und behielt.

(3) Der König wird es zuerst mit hoher Befriedigung vermerkt haben, daß diese Not und Gefahr viele Jünglinge seines Landes zu Männern machte. Diese jungen Leute aus allen Ständen, Adlige, Priesterschüler und Knechte, zogen aus wie in ein fremdes, fernes Land, hatten das Heldentum einer einzigen, heißen, sternlosen Stunde, in der sie Leben und Tod hatten und Hoffnung und Angst und alles – wie im Traum. Schon nach einigen Wochen fiel es keinem meh ein, diese kühnen Söhne zu zählen und ihre Namen irgendwo aufzuzeichnen. Denn in solchen bangen Tagen gewöhnt sich das Volk auch an Helden; sie sind dann nichts Unerhörtes mehr. Das Gefühl, die Frucht, der Hunger von Tausenden schreit nach ihnen; und sie sind da, wie eine Notwendigkeit, wie Brot, von jenen letzten Gesetzen bedingt, die auch in den Zeiten des Unheils nicht aufhören zu wirken.

(4) Als aber die Zahl derer, welche sich nach hoffnungsloser Gegenwehr opferten, immer noch wuchs, als fast in jeder Familie des Landes der

beste Sohn (und oft noch in knabenhafter Jugend) gefallen war, da begann der König mit Recht zu fürchten, daß zu viele junge Mädchen eine jungfräuliche Witwenschaft auf sich nehmen müßten für die langen Jahre eines kinderlosen Frauenlebens. Und er versagte seinen Untertanen den Kampf. Fremden Kaufleuten aber, die in namenlosem Entsetzen aus dem heimgesuchten Land flohen, gab er eine Kunde mit, welche Könige, in ähnlicher Lage, seit alten Zeiten verbreiten ließen: wem es gelänge, das arme Land von diesem großen Tode zu befreien, der sollte die Hand der Königstochter erhalten, mag er von Adel sein oder eines Henkers letzter Sohn.

(5) Und es zeigte sich, daß auch die Fremde voller Helden war und daß der hohe Preis seine Wirkung nicht verfehlte. Die Fremden waren aber nicht glücklicher als die Einheimischen: sie kamen nur, um zu sterben.

(6) In der Tochter des Königs ging in diesen Tagen eine Veränderung vor; wenn ihr Herz bis jetzt, von der Trauer und dem Verhängnis des Landes bedrückt, den Untergang des Untiers erflehte, so verbündete sich nun, da sie einem starken Unbekannten zugesprochen war, ihr naives Gefühl dem Bedränger, dem Drachen, und es kam so weit, daß sie in der Aufrichtigkeit des Traumes Gebete zu seinen Gunsten erfand und von heiligen Frauen verlangte, daß sie das Ungeheuer in ihren Schutz nehmen sollten.

(7) Eines Morgens, als sie aus solchen Träumen voll Scham erwachte, kam ein Gerücht zu ihr, das sie erschreckte und verwirrte. Man erzählte sich von einem jungen Menschen, der – Gott weiß woher – zum Kampfe gekommen war und dem es allerdings nicht gelang, den Drachen zu töten, wohl aber wund und blutend aus den Klauen des gräßlichen Feindes sich loszureißen und in den dichtesten Wald sich zu verkriechen. Dort fand man den Bewußtlosen, kalt in seiner kalten eisernen Schale, und brachte ihn in ein Haus, wo er nun in tiefem Fieber lag, mit heißem Blut hinter den brennenden Verbänden.

(8) Als das junge Mädchen diese Nachricht vernahm, wäre es gerne, wie es war, in ihrem Hemde von weißer Seide durch die Straße gelaufen, um an dem Lager des Todkranken zu sein. Aber als die Kammermädchen sie angekleidet hatten und sie ihr wunderschönes Kleid und ihr traurige Gesicht in den vielen Spiegeln des Schlosses gehen und kommen sah, da verließ sie der Mut, so Ungewöhnliches zu wagen. Sie brachte es nicht einmal über sich, irgedeine verschwiegene Dienerin in das Haus zu senden, darin der fremde Kranke lag, um ihm eine Linderung zu schaffen, feine Leinwand oder eine sanfte Salbe.

(9) Aber es war eine Unruhe in ihr, die beinahe krank machte. Bei Einbruch der Nacht saß sie lange am Fenster und suchte das Haus zu erraten, in dem der fremde Mann starb. Denn daß er starb, schien ihr selbverständlich. Nur eine hätte ihn vielleicht retten können, aber

diese eine war fiel zu feige, ihn zu suchen. Dieser Gedanke, daß das Leben des wunden Helden in ihre Hand gegeben sei, verließ sie nicht mehr. Dieser Gedanke stieß sie endlich nach dem dritten Tage, den sie so in Qualen und Selbstvorwürfen verbracht hatte, in die Nacht hinaus, in eine schwarze, bange, regnende Frühlingsnacht, in der sie herumirrte wie in einem dunklen Zimmer. Sie wußte nicht, woran sie das Haus erkennen würde, das sie suchte. Aber sie erkannte es ohne weiteres an einem Fenster, das weit offenstand, an einem Licht, das drinnen im Zimmer brannte, einem langen seltsamen Licht, bei dem niemand lesen oder schlafen konnte. Und langsam ging sie an dem Hause vorbei, hilflos, arm, versunken in die erste Traurigkeit ihres Lebens. Sie ging weiter und weiter. Der Regen hatte aufgehört; über losen Wolkenstreifen standen einzelne große Sterne, und irgendwo in einem Garten sang eine Nachtigall den Anfang ihrer Strophe, die sie noch nicht vollenden konnte. Sie hob immer wieder fragend an, und ihre Stimme war groß und gewaltig aus der Stille gewachsen, wie die Stimme eines Riesenvogels, dessen Nest auf den Wipfeln von neun Eichen ruht.

(10) Als die Prinzessin endlich die Blicke, in denen Tränen standen, von ihrem langen Wege erhob, sah sie einen Wald und einen Streifen Morgen dahinter. Und vor diesem Streifen hob sich etwas Schwarzes ab, das sich zu nähern schien. Es war ein Reiter. Unwillkürlich drückte sie sich in das dunkle, nasse Gebüsch. Er ritt langsam an ihr vorbei, und sein Pferd war Schwarz von Schweiß und bebte. Und er selbst schien zu zittern: alle Ringe seines Panzers klangen leise aneinander. Sein Haupt war ohne Helm, seine Hände bloß, sein Schwert hing schwer und müde herab. Sie sah sein Gesicht im Profil; es war heiß, mit verwehtem Haar.

(11) Sie sah ihm nach, lange. Sie wußte: er hat den Drachen getötet. Und ihre Traurigkeit fiel ihr ab. Sie war kein verirrtes, verlorenes Ding mehr in dieser Nacht. Sie gehörte ihm, diesem fremden zitternden Helden, sie war sein Besitz, als ob sie eine Schwester seines Schwertes wäre.

(12) Und sie eilte nach Hause, um ihn zu erwarten. Sie kam unbemerkt in ihre Gemächer, und sobald es anging, weckte sie die Kammermädchen und ließ sich das schönste ihrer Kleider bringen. Während man es ihr anzog, erwachte die Stadt zu lauter Freude. Die Menschen jubelten, und die Glocken überschlugen sich fast in den Türmen. Und die Prinzessin, die diesen Lärm hörte, wußte plötzlich, daß er nicht kommen würde. Sie versuchte, sich ihn vorzustellen, umwogt von der lauten Dankbarkeit der Menge, sie vermochte es nicht. Fast ängstlich suchte sie sich das Bild des einsamen Helden, des Zitternden, zu erhalten, wie sie ihn gesehen hatte. Als ob es wichtig

wäre für ihr Leben, das nicht zu vergessen. Und dabei war ihr so festlich zumute, daß sie, obwohl sie wußte, daß niemand kommen würde, die Kammermädchen, die sie schmückten, nicht unterbrach. Sie ließ sich Smaragde und Perlen ins Haar verflechten, das sich, zum größten Erstaunen der Dienerinnen, feucht anfühlte. Die Prinzessin war fertig. Sie lächelte, den Kammermädchen zu und ging, etwas bleich, an den Spiegeln vorbei, im Geräusche ihrer weißen Schleppe, die weit hinter ihr herkam.

(13) Der greise König aber saß, ernst und würdig, im hohen Thronsaal. Die alten Paladine des Reiches standen um ihn und glänzten. Er wartete auf den fremden Helden, den Befreier.

(14) Der aber ritt schon weit vor der Stadt, und es war ein Himmel voll Lerchen über ihm. Hätte ihn jemand an den Preis seiner Tat erinnert, vielleicht wäre er lachend umgekehrt; er hatte ihn ganz vergessen.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ტექსტი მთლიანად მოვიყვანეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოთხრობის ფაბულის გადმოცემა, რათა სემანტიკური ინტერპრეტაციის საყრდენი წერტილები დავაფიქსიროთ.

ერთ მშვენიერ და ნაყოფიერ ქვეყანას მართავდა ერთი ამაყი და მოხუცი მეფე, რომლის ერთადერთი ქალიშვილის სილამაზე და სათნოება მიზეზი ხდება გველეშაპის გამოჩენისა. მეფის ასულის დაქალების კვალდაკვალ გველეშაპი უფრო და უფრო წინ მოცოცავს ქალაქისაკენ და ბოლოს იქვე ტყეში დაიდებს ბინას. როცა მასთან ბრძოლაში ამ ქვეყნის ჭაბუკები თითქმის გაწყდა და ხალხი ისე შეეჩვია მათ დაღუპვას, რომ აღარავინ ითვლიდა მსხვერპლის რაოდენობას, მეფე მიხვდა, რომ მისი ქვეყნის გენოფონდი ისპობოდა და სხვა ქვეყნების ჭაბუკებს მოუხმო იმ პირობით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ქალიშვილს ცოლად მისცემდა და ქვეყანას სამართავად. მაგრამ ყველამ აქაური ჭაბუკების ბედი გაიზიარა.

ერთ დილას მეფის ასულს მოახსენეს, რომ ერთი უცნობი ჭაბუკი უთანასწორო ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა, მაგრამ ურჩხულის კლანჭებს თავი დააღწია და უღრან ტყეში მოახერხა თავის შეფარება. აქ ნახეს იგი იქაურებმა და მიიყვანეს ერთ სახლში, სადაც სიცხით გათანგული ებრძოდა სიკვდილს. მეფის ასულმა გადაწყვიტა მოენახულებინა საბრალო ჭაბუკი, მაგრამ, როცა ბვირფასი ტანსაცმელი ჩააცვეს და სამკაულებით მორთეს, გამბედაობამ უმტყუნა. დაბინდებისას შეაწუხა იმაზე ფიქრმა, რომ უცნობი ჭაბუკი კვდებოდა. იქნებ მაინც მივსულიყავი და რამე მეშველა, ეუბნებოდა თავისთავს. სამი დღის შემდეგ მწარე ფიქრებით გატანჯული სასახლიდან გავიდა და იმ სახლს მიაგნო, სადაც სულთმობრძავი ჭაბუკი იწვა. ისევ უმტყუნა გამბედაობამ, სახლს ჩაუარა და გზა განაგრძო ისე, რომ შიგ არ შეუხედავს.

როცა ბოლოს მეფის ასულმა ცრემლებით დამძიმებული თვალები ზეაღაპყრო, დაინახა ტყე და მის უკან ამოწეული აისის ზოლი. ამ ზოლის წინ წამოი-

მართა მუქი რამ, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ეს იყო მხედარი. მეფის ასული ბუჩქებში მიიმალა და იქიდან დაუწყო თვალთვალი. დაღლილმა რაინდმა ნელა ჩაუარა მას ისე, რომ არც კი შეუნიშნავს იგი. ქალწული მიხვდა, რომ სწორედ ამ მხედარს მოეკლა გველეშაპი. გახარებული გაეშურა იგი შინისაკენ, რათა მორთულ-მოკაზმული დახვედროდა გმირს.

მეფის ასული ამაოდ ელოდა გველეშაპის მძლეველს, მეფე ამაოდ იჯდა სამეფო დარბაზში მის მოლოდინში. უცნობი გმირი არ გამოჩენილა. იგი უკვე შორს იყო ქალაქიდან. ვინმეს, რომ შეეხსენებინა მისთვის, რა ჯილდო ელოდა გველეშაპის ძლევისათვის, იქნებ ის სიცილით გაბრუნებულიყო კიდეც უკან, მაგრამ არ ახსოვდა, დავიწყნოდა.

ვნახოთ, როგორ ვითარდება თემა (1), რა არქიტექტონიკა (2) და კომპოზიცია (3) აქვს ტექსტს და როგორ უზრუნველყოფს კოჰერენტულობა სემანტიკურ ბმულობას.[9]

ტექსტი გაშლილია ბათიზმატურ ველში, რომლის ხუთი ფენიდან ტოპოლოგიური ჩარჩო და გრაფემულ-გრაფიკული ფენა ვიზუალურად ნეიტრალურია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბზაცებს.[10]

არქიტექტონიკული სახე თითქმის არ არის გამოკვეთილი, თუ არ ჩავთვლით სათაურს. გრამატიკული ფენის კომპონენტები ნორმის ფარგლებში ჯდება, მთელი ყურადღება გადატანილია სემანტიკურ ფენაზე.

ტექსტის თემა ტრადიციულია: სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, ბოროტებასთან ბრძოლა და დიდი მსხვერპლის საფასურად გამარჯვება. იგი გამჭოლად იმლება ტექსტში. არც ერთი დიალოგი, არც ერთი პირდაპირი თუ ირიბი თქმა. მთელ ტექსტს გასდევს მთხრობლის ეპიკური ტონი, აქტანტებისა და მოვლენების ობიექტური შეფასება (გავიხსენოთ გველეშაპის შესახებ

---

[9] ტექსტი ერთ გამოცემაში დაყოფილია 14 აბზაცად (RILKE, 1985), მეორეში 19 აბზაცად (RILKE, 1984). სამწუხაროდ, რილკეს ექვსტომეულში, რომელიც გამოცემულია 1984 წელს მაინის ფრანკფურტში „Drachentöter" საერთოდ არ არის მეტანილი (RILKE, 1984ª). აბზაცებად დაყოფა პრინციპულ სხვაობას არ იძლევა, რადგანაც ზოგი აბზაცი ისე ახლოსაა თემატურად მეორესთან, რომ შეიძლება მათი გაერთიანება ერთ აბზაცად მით უფრო, რომ ეს ეხება თანამდევ თემებს და მთავარ გამჭოლ თემას არსებითად არ ცვლის. ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ტექსტის პირველ ვარიანტს, რამდენადაც სავარაუდოა, რომ უფრო მეტად იქნება იდენტური ავთენტურ ტექსტთან. აბზაცები დანომრილია ჩვენს მიერ.

[10] აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტერმინ „აბზაცს" ვხმარობთ „ტექსტის მონაკვეთის" გაგებით როგორც „Neuer Textabschnitt" ან „Unterbrechung einer Textfolge" და მნიშვნელობას არ ვანიჭებთ იმას, რომ „აბზაცი" თავში გამოიყოფა შეწეული სტრიქონით, თუ ბოლოს - შეკვეცილი სტრიქონით. მთავარია, რომ ეს არის ტექსტის ვიზუალური მონაკვეთი, რომელიც აფიქსირებს თემის განვითარების საფეხურებს, გამოყოფს სემანტიკურ ნიუანსებს, თავის ფარგლებში აქცევს თანამდევ თემებს, ეხმიანება კომპოზიციურ სტრუქტურას, არღვევს გრაფემულ-გრაფიკული ფენის ერთფეროვნებას და მკითხველს უადვილებს ტექსტის აღქმას.

მსჯელობა მე-2 აბზაცში). თემა აბზაც-აბზაც იშლება, ვითარდება, თანდათან შემოდიან თანამდევი აქტანტები, მაგრამ მთავარი აქტანტი არა ჩანს. მეათე აბზაცამდე ხდება მკითხველის შემზადება მასთან შესახვედრად. მისი სახე გაიელვებს მე-10 აბზაცში, შემდეგ კვლავ თვალს მიეფარება და მხოლოდ მე-14 აბზაცში ჩნდება ისევ, რათა ტექსტის ბათიზმატური ველი დახუროს და ტექსტის საზრისი იმპლიციტურად გამოხატოს.

თემა აბზაცების მიხედვით ტექსტში შემდეგნაირად ვითარდება:

პირველ აბზაცში ძირითადი აქტანტი არ არის შემოყვანილი და მეორე რიგის აქტანტებს – მეფეს, მეფის ასულს, გველეშაპს – ეთმობა ყურადღება. მეორე, მესამე, მეოთხე აბზაცებში ე.წ. ცირკუმსტანსები (დრო, ადგილი, მოვლენები, ვითარება) აღწერენ ატმოსფეროს, რომელიც ამ მომენტისთვის შექმნილია ქვეყანაში. მეხუთე აბზაცში ჩნდებიან და მოქმედებენ ჭაბუკები, რომლებიც ბოროტ ძალას უპირისპირდებიან და იღუპებიან. ისინი შეიძლება ჩაითვალონ მესამე რიგის აქტანტებად. მექვსე, მეშვიდე აბზაცებში წინა პლანზე ჩნდება მეფის ასული და მისი განცდები გველეშაპთან ბრძოლაში დაჭრილ უცხო ჭაბუკთან დაკავშირებით. მერვე და მეცხრე აბზაცში გრძელდება მეფის ასულის სინდისის ქენჯნა. სულთმობრძავი ჭაბუკის მონახულების სურვილს შესრულება არ უწერია მისი სიმხდალის გამო. მეცხრე აბზაცის ბოლო მონაკვეთი „Der Regen hatte aufgehört…“ (რომლის გამოყოფაც ცალკე აბზაცად მეორე ვარიანტში სავსებით გამართლებული ჩანს – ვ.ფ.), არის შემზადება მთავარ აქტანტთან შესახვედრად, რომელიც ბოლოს და ბოლოს მეათე აბზაცში წარმოუდგება მკითხველს – ძუნწი შტრიხებით მოხაზული, მეფის ასულის თვალით დანახული. მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე აბზაცებში ხდება მეორე და მესამე თანამდევი აქტანტების წინ წამოწევა და მათთან დაკავშირებული ქვეთემების განვითარება – ნაღვლიანი განწყობა მეფის ასულისა და უიმედობის გრძნობა, რომ გველეშაპის მძლეველი არ მოვა გამარჯვების საფასურის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სასახლე, მეფე და მეფის ასული ემზადებიან საზეიმო დახვედრისათვის, ზეიმი მაინც რომ არ შედგება და ლოდინი ამაოა – ყველასათვის ცხადია. მეთოთხმეტე, დამასრულებელ აბზაცში დაძაბულობა, სათაურის წაკითხვისთანავე რომ იწყება და ნაბიჯ-ნაბიჯ მატულობს, კულმინაციას აღწევს, მკვეთრად წყდება და მკითხველის მოლოდინი ცრუვდება (თუ რომელი ფინალი დააკმაყოფილებდა მკითხველის გემოვნებას – „ჰეპი ენდი“ თუ იმედის გაცრუება, ამ ესთეტიკური პრობლემის გადაწყვეტა თავად მისთვის მიგვინდია – ვ.ფ.).

რაც შეეხება კომპოზიციურ სტრუქტურას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: როგორც უკვე მივუთითეთ, ბათიზმატური ველის გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკული ფენების კომპონენტები არ არის თვალში საცემად გამოკვეთილი. მაგრამ სათაურისა და აბზაცების მეშვეობით მაინც შესაძლებელი ხდება ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის საფეხურებრივ განვითარებაზე დაკვირვება და კომპოზიციური ერთეულების გამოყოფა, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა აბზაცების რაოდენობას. ეს ერთეულებია: პრესიგნალი

– სათაური, **ტექსტის დასაწყისი** (Eingangstext) – პირველი აბზაცი, **ძირითადი ტექსტი** (Mikrotext) – მეორე აბზაციდან მეცამეტეს ჩათვლით. ძირითადი ტექსტი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სამ მონაკვეთად: **პირველი** მონაკვეთი – მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე აბზაცები; **მეორე** მონაკვეთი – მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე აბზაცები; **მესამე** მონაკვეთი – მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე აბზაცები; **ტექსტის დასასრული** (Schlußtext) – მეთოთხმეტე აბზაცი.

სათაურს დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს მისი სემანტიკური და ენობრივი სტრუქტურის არანჟირების, მკითხველის დაძაბულობისა და მოლოდინის გამოწვევის თვალსაზრისით (ჯობაძე 1986). ვხვდებით შემთხვევას, როდესაც სათაური გამოყოფილია სემანტიკური სტრუქტურიდან და კომპოზიციურ ერთეულად არის ქცეული. ეს შეიძლება იყოს ტექსტის ძირითადი იდეა, რომელიც ინტეგრირებულია ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურასთან და წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს. მაშინ ერთი და იგივე ენობრივი გამოხატულება აღიქმება სათაურადაც და თემადაც. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სათაურად გამოტანილია ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის რომელიმე აქტანტი, რომელიც წარმოადგენს თემის ღერძს. მის ირგვლივ ვითარდება და იკვრება თემა. მთავარი აქტანტი იმპლიციტურად თავიდანვე მყოფობს ყველგან, თუნდაც პირველ აბზაცშივე არ იყოს ნახსენები. „გველეშაპის მძლეველში“ მთავარი აქტანტი მეათე აბზაცამდე არ ჩნდება და გამოჩენის შემდეგაც მეტად სქემატური რჩება, მისი ბუნება და ქმედება არ არის ექსპლიციტურად გახსნილი. მას არც სახელი აქვს, არც გვარი. მკითხველმა, ისევე როგორც მეფემ და მისმა ასულმა, არაფერი იციან მის შესახებ. ალბათ, არც არის საჭირო, მთავარი ის არის, რომ იგი გველეშაპის მძეველია და მთელი ტექსტი შეკრულია სწორედ სათაურით აღნიშნული აქტანტის მეშვეობით. მისით იწყება ტექსტთან გაცნობა და მისითვე ხდება ტექსტთან დამშვიდობება, იგი დაძაბულობისა და მოლოდინის საყრდენია.

ზღაპრის ტექსტის კომპოზიცია განსხვავდება, ვთქვათ, სამეცნიერო სტატიის კომპოზიციისაგან, რომელიც ექვემდებარება მკაცრ ლოგიკურ თანმიმდევრობას და არქიტეტონიკულად მკაფიოდ არის დაყოფილი. კომპოზიციის ნაწილები განსაზღვრულ რაოდენობრივ მიმართებაში არიან ერთმანეთთან. ჩვეულებრივ ტექსტის შესავალი ნაკლები მოცულობისაა, ძირითადი ნაწილი – ყველაზე ვრცელი, ხოლო ტექსტის დასასრული, დასკვნა – ყველაზე მოკლე. ამ რიტორიკულ წესს თავიდანვე იცნობს კომუნიკატორი და მიჰყვება მას. კომუნიკანტიც იცნობს ამ სტანდარტს.

ხალხური ზღაპრის კომპოზიციაც იყოფა სამ ნაწილად, რომელთა სიგნალებსა და მონაკვეთებს თავისი სტანდარტები აქვთ. ის იწყება კლიშეთი „Es war einmal …“ („იყო და არა იყო რა …“), ძირითად მიკროტექსტში ვითარდება თემა, მაგალითად, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, და ტექსტის ფინალში აისახება დადებითი გმირების გამარჯვება და ბედნიერი დასასრული. შდრ. ძმები გმირების ზღაპრები, მაგალითად „Der treue Johannes“ იწყება კლიშეთი „Es

war einmal ein König" და მთავრდება ისევ კლიშეთი „Da lebten sie zusammen in Glückseligkeit bis an ihr Ende" (GRIMM, 1959:33-41). გრიმების თითქმის ყველა ზღაპარი იწყება და მთავრდება სწორედ ამ კლიშეებით ან მათი ვარიანტებით, რომლებიც დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

„Der Drachentöter" იწყება შესავალი ტექსტით „Es war einmal ein schönes und fruchtbares Land...", რომელიც ამართლებს მკითხველის მოლოდინის, მაგრამ ტექსტის დასასრული იმედს უცრუებს, მეფის ასული და გვლეშაპის მძლეველი არ ხვდებიან ერთმანეთს და არ ცხოვრებენ ბედნიერად სიცოცხლის ბოლომდე. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ზღაპარი (პოეტი მას ხომ მოთხრობას უწოდებს – ვ.ფ.) ავტორისეულია და ასეა ჩაფიქრებული. ტექსტი მთავრდება იქ, სადაც ავტორის ინტენციის მიხედვით უნდა შეწყდეს. მისი ბოლო აკორდია: ქმედება მაშინ არის სიკეთე, თუ ის უანგაროა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ტექსტის დელიმიტაციის საკითხი და შესაბამისად, დასაწყისისა და დასასრულის, განსაკუთრებით კი ქვედა ზღვრის პრობლემა, გადაუჭრელი რჩება. საქმეში ჩახედული მკვლევრები გვირჩევენ შეეგუოთ იმ აზრს, რომ ტექსტის საზღვრების ერთსახად მონიშვნა შეუძლებელია, ხოლო მკაფიოდ დელიმიტირებული ტექსტები, რომლებსაც აქვთ სათანადო სიგნალები, მხოლოდ ერთ ქვეჯგუფს ქმნიან. ასეთებია მაგალითად, „მამაოჩვენო", დაბადების დღის მისალოცი ბარათი, პირადი წერილი, კულინარული რეცეპტი და მისთ. (LINKE/NUSSBAUMER/PORTMANN, 179:255-256).

გადავიდეთ სემანტიკური ინტერპრეტაციის მესამე კრიტერიუმზე.

კოჰერენტულობა ხორციელდება პირველ რიგში იზოტოპიისა და პრესუპოზიციის მეშვეობით.

იზოტოპიის ფოკუსირება განსაკუთრებით გამოიყენება ისეთი ტექსტების ინტერპრეტაციის დროს, რომელთათვისაც დამახასიათებელია სინტაქსური და სემანტიკური მიმართებების, ისევე როგორც ტექსტის ნიმუშების სტანდარტებიდან გადახვევა. იგი ეფუძნება რეკურენციისა და სუბსტიტუციის პრინციპს. ინტერპრეტატორი მუშაობს სიტყვის მნიშვნელობის სიღრმეში და იყენებს სემურ ანალიზს. გამოსავალია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურიდან რომელიმე რეკურენტული სემის გამოყოფა და არა სიტყვის მნიშვნელობის საერთო ანალიზი. იზოტოპიის განმსაზღვრელი ფაქტორია ის, რომ სიტყვების მნიშვნელობა სცილდება წინადადების ფარგლებს და ერთმანეთს უკავშირდება ნაწილობრივი სემანტიკური თანხვდომით ან განსხვავებით. ასე შექმნილი კომპლექსები შეადგენენ იზოტოპიურ ჯგუფებს. ერთ ტექსტს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე იზოტოპიური ჯგუფი.

იზოტოპიური ჯაჭვის დადგენა ხელს უწყობს ტექსტების (მათ შორის ალბათ პირველ რიგში ფიქციონალურის) სემანტიკურ სტრუქტურაში შეღწევას, დივინაციისა და ინფერენცის პროცესის გაადვილებას და ტექსტის საზრისის გაგება-გაგებინებას. მიუხედავად იმისა, რომ იზოტოპიის ცნებაში ბევრი რამ არის სადავო და ბუნდოვანი, ტერმინები დაუზუსტებელი, მისი პრაქტიკუ-

ლად გამოყენება მაინც შეიძლება, რამდენადაც იგი საშუალებას აძლევს მკითხველს/ინტერპრეტატორს, გააცნობიეროს ის, რასაც ის ინტუიციით ამოიკითხავს ტექსტებიდან (LINKE/NUSSBAUMER/PORTMANN, 179:232).

პრესუპოზიციაზე უკვე გვქონდა მსჯელობა ჰერმან ჰესეს ტექსტის ანალიზის დროს. მაგრამ იქ ყურადღება სპეციალურად არ შეგვიჩერებია ამ კატეგორიაზე, რადგანაც იქ პუანტირებული იყო ტექსტის გრამატიკული ასპექტი, ახლა ორიოდე სიტყვა დამატებით უზუალურ და ნიშნობრივ პრესუპოზიციაზე.

უზუალურად (gebrauchsgebunden) იწოდება პრესუპოზიცია, როდესაც ის დაკავშირებულია საყოველდღეო ხმარების ენასთან. კომუნიკაციის პროცესში პარტნიორები ერთმანეთს უგებენ იმიტომ, რომ მათ აქვთ მოცემული სიტუაციისათვის დამახასიათებელი გამოთქმის წინარეცოდნა და კონკრეტულ სიტუაციში სათანადოდ იყენებენ მას. ტექსტში გადმოცემულ საგანთა მიმართებანი, რომელთაც სინტაქსურად და სემანტიკურად უშუალო კავშირები არ გააჩნიათ, პრესუპოზიციის მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს აზრობრივად.

ნიშნობრივი პრესუპოზიცია (zeichengebundene Präsupposition) თავისი ორი სახით – რეფერენციულითა და სემანტიკურით – დაკავშირებულია ენობრივ გამოთქმასთან და უმეტესად წინადადების დონეზე ფუნქციონირებს. პირველის მაგალითია „Der König von Frankreich hat eine Glatze", რომლის რეფერენციული პრესუპოზიციაა: „Es gibt einen König von Frankreich." ნიშნობრივი პრესუპოზიციის მეორე სახე მიმართებაშია ცალკეული სიტყვების და გამონათქვამების სემანტიკასთან. აქ საქმე ეხება არა უშუალოდ გამოთქმულ აზრს, არამედ ენობრივი ნიშნით გამოხატულ ძირითადი მნიშვნელობის თანამდევ ნიუანსს. მაგალითად, რაიმე ძნელად გასაკეთებელი საქმის დაძლევის შემთხვევაში იხმარება ზმნა schaffen (te, t), რომლის სემანტიკური სტურქტურა შეიცავს სემას sich bemüht-haben (იქვე, 231-235).

ტექსტის დონის უმცირესი ერთეული არის წინადადება და, ბუნებრივია, თუ ტექსტის ინტერპრეტაცია ზევიდან დავიწყეთ, მთლიანობიდან უნდა გამოვიდეთ და წინადადებაზე უნდა დავიდეთ და პირიქით, თუ ქვევიდან დავიწყეთ ანალიზი, წინადადებიდან უნდა გამოვიდეთ და მთლიან ტექსტზე გავიდეთ. ორივე შემთხვევაში უმცირესი საყრდენი წერტილი ისევ წინადადება იქნება, მაგრამ არა როგორც სინტაქსური დონის უმაღლესი ერთეული, არამედ როგორც ტექსტის ინტეგრანტი, უმცირესი ერთეული.

„გველეშაპის მძლეველის" სემანტიკური სტრუქტურის მთლიანობას უზრუნველყოფს **სემანტიკური ეკვივალენტობა**. წინადადებები მისდევენ ერთმანეთს და ჯაჭვის რგოლებივით არიან ერთმანეთზე სემანტიკურად გადაბმული. სხვადასხვა ენობრივი ერთეულები ამ ბმულობას იმით ახორციელებენ, რომ ერთსა და იმავე საგანს (მოვლენას, საგანთა მიმართებას, ხდომილებას) ასახელებენ და რეფერენციულად იდენტურნი არიან. ეს არის არა სინტაგმატური ბმულობა, არამედ სემანტიკური, რეფერენციულად იდენტური ენობრივი ერთეულები, ე.წ. ტოპიკები, უზრუნველყოფენ ტექსტის ბმულობას

და თემის განვითარებას. ისევე როგორც ტექსტის თემა შეიძლება იყოს დატოტვილი, ტექსტს შეიძლება გასდევდეს რამდენიმე ტოპიკალური ჯაჭვი. ტოპიკების საკლასიფიკაციო კრიტერიუმია რეფერენცი (Wiederaufnahme „გამეორება"), რომელიც გვხვდება შემდეგი ვარიანტების სახით: ერთი და იმავე ფორმების, ლექსემების სიტყვასიტყვითი გამეორება; პარადიგმატული ლექსემების გამეორება ვარიანტების სახით; ნაცვალსახელების გამეორება, სინონიმების გამოყენება; ელიფსური გამეორება და ა.შ. ახლა მივყვეთ საანალიზო ტექსტს და თოთხმეტ აბზაცში მოვიძიოთ ტოპიკალური ჯაჭვების რგოლები.

პირველი ტოპიკალური ჯაჭვი (რეფერენტი Kōnig) ein König..., ein Greis..., dieses Königs..., seine..., der König...; der König..., sein..., seine...(3); der Kōnig..., er..., seinen..., er... (4); des Königs...(6); der greise König..., ihn..., er... (13).

მეორე ტოპიკალური ჯაჭვი (რეფერენტი Prinzessin): einziges Kind...., ein Mädchen...., Tochter..., ein Kind...., ihre..., ihres..., sie... (1); der jungen Dame..., dem schönen Mädchen.... (2); der Königstochter... (4); in der Tochter..., ihr..., sie..., ihr..., sie... (6); sie..., zu ihr... (7); das junge Mädchen...., in ihrem..., sie..., sie..., ihr..., sie..., sie... (8); in ihr..., sie..., sie..., ihr..., diese Prinzessin..., in ihre..., sie..., sie..., sie..., sie..., sie..., sie..., sie..., sie..., sie... (9); die Prinzessin..., von ihrem..., sie..., sie..., an ihr..., sie... (10); sie..., sie..., ihre..., ihr..., sie..., sie..., sie..., sie... (11); sie..., sie..., in ihre..., sie..., ihrer..., die Prinzessin..., die..., sie..., sie..., sie..., sie..., ihr..., ihr..., sie..., sie..., sie..., sie..., die Prinzessin..., sie..., in ihrer..., ihr... (12).

მესამე ტოპიკალური ჯაჭვი (რეფერენტი Drachentöter): etwas Schwarzes..., das..., ein Reiter..., er..., sein..., er..., seines..., sein..., seine..., sein..., sein... (10); ihm..., er..., ihm..., diesem fremden zitternden Helden..., sein..., seines Schwertes... (11); er..., ihn..., des einsamen Helden..., des Zitternden..., ihn..., niemand... (12); der..., über ihm..., ihn..., seiner..., er..., er... (14).

როგორც ამ ტოპიკალური რგოლების აღნისხვიდან ჩანს, რეფერენტები გამოხატულია რეფერენციულად ინდენტური ენობრივი ერთეულებით. სემანტიკურ ეკვივალენტებს წარმოადგენს: სიტყვასიტყვით გამეორებული ლექსემები; პირის, კუთვნილებითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი, უარყოფითი ნაცვალსახელები; პარადიგმატული ლექსემები სხვადასხვა ბრუნვებში (არსებითი სახელი, ნაცვალსახელები, ზედსართავები), გაარსებითსახელებული ზედსართავები და მიმღეობა I; შესიტყვებები A+S, სინონიმები. ყველაზე უხვად ეკვივალენტობის გამოსახატავად, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოყენებულია ნაცვალსახელები. იზოტოპია რეფერენტების შესაბამისად ხორციელდება კატეგორიალური სემების საშუალებით, როგორიცაა საგნობრიობა, თვისებრიობა, ჩანაცვლებადობა და მათი კომბინაციები.

ანალოგიურად შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე ტოპიკალური ჯაჭვის გამოყოფა სხვა რეფერენტების მიხედვით (მაგალითად, გველეშაპი, გველეშაპთან ბრძოლაში დაჭრილი უცნობი ჭაბუკი და სხვა), მაგრამ, ვფიქრობთ, ეს სამი წყებაც ნათლად გვიჩვენებს, როგორ ხდება ამ საყრდენი რგოლებით ტექსტის მთელი ქსოვილის ორგანიზება, ცალკეული წინადადებებისა და აბზაცების უშუალო და დისტანციური გადაბმა. რეფერენციულად იდენტური დენოტატების დაკავშირება, ძირითადი და თანამდევი თემების გაშლა, ეკვივალენტური ერთეულების ჩანაცვლება.

პრესუპოზიციის სახეობებიდან ტექსტში გამორიცხულია უზუალური პრესუპოზიცია, რადგან აქტანტების უშუალო კომუნიკაცია ერთმანეთთან არ არის მარკირებული, დიალოგების რიცხვი უდრის ნულს. ნიშნობრივი პრესუპოზიციის ორი ქვესახეობიდან რეფერენციალური არსებობს ფიქციონალური ვარიანტების სახით, რამდენადაც ხდომილებები გაშლილია ფიქციონალურ სამყაროში და, მაშასადამე, რეფერენტებიც ფიქციონალურია (შესაძლო, მაგრამ ამ შემთხვევაში არაკონკრეტული). სემანტიკური პრესუპოზიციები გაბნეულია მთელ ტექსტში და დაკავშირებულია ენობრივი ნიშნის ძირითადი მნიშვნელობის თანამდევ ნიუანსთან. ასეთი პრესუპოზიციების მაგალითებია: „der Drachen" – „გველეშაპი", თანამდევი მნიშვნელობა „საშინელება, ურჩხული, სიცოცხლის მტერი", „auf sich nehmen" – „თავის თავზე აღება", თანამდევი მნიშვნელობა „ძნელი საქმის კისრება, ძნელი საქმისთვის ხელის მოკიდება", „fliehen" – „გაქცევა"; თანამდევი მნიშვნელობა „თავის არიდების მიზნით გაშორება", „verkriechen" – „შეძვრომა" – თანამდევი მნიშვნელობა „შიშისაგან გაქცევა და სადმე თავის შეფარება"; „der Paladin" – „კარისკაცი", „მეფის მრჩეველი", „რაინდი", თანამდევი მნიშვნელობა „ერთგული მსახური" (თავდაპირველად ერთ-ერთი დიდებული კარლოს დიდის თორმეტკაციანი ამალიდან).

აქ ვწყვეტთ საანალიზო ტექსტის სემანტიკურ ინტერპრეტაციას, რომელიც შეიძლება კარგახანს გაგრძელებულიყო და წარმართულიყო სხვა ტექსტოლინგვისტიკური კატეგორიების მოშველიებით, როგორიცაა მაგალითად ფოკალიზაცია (ფოკუსის გადაწევა და მოძრაობა ტექსტში), ფორიკა (ანაფორულ-კატაფორული მიმართებები) და სხვა, მაგრამ უფრო ვრცელი და მრავალმხრივი ინტერპრეტაცია ვერ ჩაეტეოდა ერთი პარაგრაფის ფარგლებში.

ერთხელ კიდევ გვინდა მივუბრუნდეთ კომპოზიციურ სტრუქტურას და ხაზი გავუსვათ მის ერთ თავისებურებას, რომელიც განაპირობებს ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის პუანტირებას, რომელიც განაპირობებს ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის პუანტირებას, სახელდობრ: ინფორმაცია მთავარი აქტანტის შესახებ გადაწეულია ბოლოსკენ, მოცულობით მცირეა, მაგრამ საოცრად შთამბეჭდავი (მეათე აბზაცი). ისეთი ხატია პოეტის მიერ შექმნილი, რომ მკითხველს მაქსიმალურად მიახლოებულ წარმოდგენას უქმნის მთავარ აქტანტზე, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც უტოვებს მას მეხსიერებაში და დიდ ესთერიკურ საიმოვნებას ჰგვრის. ეს კომპოზიციური პოზიცია აძლიერებს

დაძაბულობას და აცხოველებს მკითხველის ინტერესს. როგორი იქნება ფინალი? აუხდება თუ არა მეფის ასულს ოცნება, ეკუთვნოდეს ამ უცნობ, მთრთოლვარე გმირს: იგი ხომ „მისი საკუთრება იყო, თითქოს მისი მახვილის და ყოფილიყო (გერმანულად ალიტერაცია: „als ob sie eine Schwester seines Schwertes wäre“. მე-11 აბზაცი. ხაზი ჩვენია – ვ.ფ.). ტექსტის პრესიგნალი მკითხველს განაწყობს ისე, რომ იგი მოელის ზღაპრისათვის დამახასიათებელ ბედნიერ დასასრულს და შესატყვისი ინფერენციისათვის ემზადება. მაგრამ მას მოლოდინი სანახევროდ უცრუვდება. სიკეთე სძლევს ბოროტებას, მაგრამ აქედან არ გამოიყვანება ინფერენცი: მეფის ასული და გველეშაპის მძლეველი ბედნიერად ცხოვრობდნენ ერთად სიცოცხლის დასასრულამდე. ინფერენცი ტექსტის ძირითადი საზრისია და დაახლოებით ასე გამოითქმის: სიკეთის ქმნა ანაზღაურებას არ საჭიროებს ანდა, სიკეთის ქმნა უანგარო უნდა იყოს და მისთ.

„გველეშაპის მძლეველი“ ბალადასავით იკითხება, აბზაცები წააგავს სტროფებს, თემა ვითარდება მდორედ და სუკცესიურად, მაგრამ დაძაბულად, სტაგნაციური ადგილები არ შეინიშნება. თხრობის ეპიკური ტონი ხელს არ უშლის დაძაბულობის გაძლიერებას. ხდომილებათა მონოლოგური გადმოცემის მიღმა დგას პოეტი-მთხრობელი, რომელიც პროზაული ნაწარმოებების შექმნის დროსაც დიდ პოეტად რჩება. მკითხველს საკმაო ძალისხმევა სჭირდება, რომ თავი დააღწიოს პოეტის ჯადოსნურ სამყაროს და ინტერპრეტატორის ფხიზელი თვალით შეხედოს ამ შესანიშნავ მოთხრობა-ზღაპარს.

მეთერთმეტე ქვეთავის დასკვნები

1. ტექსტების სემანტიკური სტრუქტურა სხვადასხვა ხერხებით შეიძლება აიგოს, რასაც რამდენადმე განაპირობებს ტექსტის ნიმუშის (ჟანრის) სპეციფიკაც. მოკლე პროზის ნიმუშების (ანეკდოტების) სემანტიკურ საყრდენს ჩვეულებრივ წარმოადგენს ერთი სიტყვა ან სემა (მათ შორის გრამატიკულიც), რომელიც დომინანტის რანგში აიყვანება. ამ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის ან სემის გაშლას ტექსტში ესაჭიროება სათანადო პირობები, კერძოდ, წინარეცოდნა და ლექსიკური პუანტირების ფაქტორების აქტუალიზება. ეს ფაქტორები განაპირობებენ ტექსტის სემანტიკურ სიღრმეში ჩადებული საზრისის ამოცნობას და უზრუნველყოფენ სემანტიკური დასკვნის გამოყვანას, რის გარეშეც ტექსტის გაგება-გაგებინება შეუძლებელი გახდებოდა.
2. ტექსტის სემანტიკური პუანტირება მოდიდო ნარატიულ ტექსტებში სხვა კანონზომიერებებს ემორჩილება, ვიდრე მოკლე პროზაში. აქ პუანტირება შეიძლება ხორციელდებოდეს კომპოზიციური ერთეულების ურთიერთშენაცვლებით, გადაწევით, დაძაბულობის გაძლიერებით და მოლოდინის გაცრუებით. რაინერ მარია რილკეს მოთხრობა (ზღაპარ) „გველეშაპის მძლეველში“ სემანტიკური პუანტირება ძირითადად მიიღწევა კომპოზიციის დესტრუქციით, კომპოზიციური სიგნალების ბუნწი გამოყენებით. ამ

უკანასკნელთა კომპენსირება ხდება თემის გამჭოლი განვითარების, კოჰერენცის ხერხების უხვად გამოყენებისა და კომპოზიციური ნაწილების მობილობის ხარჯზე.

12.0. ტექსტის სტილისტიკური ინტერპრეტაცია

ეს პარაგრაფი (შესაბამისად საკითხი) მეოთხე თავში ცალკე გამოვყავით, რადგან არც სტილისტიკა ჯდება სისტემური დონეების ფარგლებში და არც სტილისტიკური ანალიზის გაიგივებაა შესაძლებელი ტექსტის ლინგვისტიკურ ინტერპრეტაციასთან. სტილისტიკის სტატუსსა და ადგილს ლინგვისტიკური დისციპლინების რიგში შევეხეთ მონოგრაფიის პირველ თავში და გავიზიარეთ შეხედულება, რომ სტილისტიკის არსებობა ფაქტია, რომლის უარყოფა არ შეიძლება და საჭიროა მისთვის ადგილის მიჩენა ენათმეცნიერული დისციპლინების იერარქიაში, ურომლისოდაც შეუძლებელია სტილისტიკური ინტერპრეტაციის პრინციპების სრულყოფა და ტექსტის ანალიზის კონკრეტული ხერხების მონახვა. იგი ჩვენი აზრით, უნდა მოთავსდეს სისტემურ დონეებსა და ტექსტის ლინგვისტიკას შორის, კერძოდ, სისტემური დონეების ზევით, რადგანაც სისტემური ელემენტები სტილისტიკის დონეზე იერარქიულად უფრო მაღალ საბაზისო ერთეულის რანგში ადიან, და ტექსტის ლინგვისტიკის ქვევით, რამდენადაც სტილი წარმოადგენს ტექსტის თვისებას და არა თავად ტექსტს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს გვინდა შევახსენოთ ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები ჰაიმან შტაინთალის სტატია, სადაც გამოყოფილია ინტერპრეტაციის სახეები: გრამატიკული, საგნობრივი, სტილისტიკური, ინდივიდუალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური, ინტერპრეტაციის თითოეულ სახეს შტაინთალი თავის ფუნქციას მიუჩენს და განავრცობს შემდგომი უფრო მაღალი რანგის ინტერპრეტაციით. გრამატიკული ინტერპრეტაცია საჭიროებს საგნობრივით შევსებას, მაგრამ არც ეს არის საკმარისი. გრამატიკული საყრდენის მიღმა საჭიროა მთელი ენობრივი წარმონაქმნის აღქმა. ეს შეიძლება მთელი ტექსტის დანახვისა სრულყოფას ჰპოვებს ინტერპრეტაციის თავისებური ფორმით, რომელსაც სტილისტიკური ეწოდება. მისი მიზანია დაინახოს ენობრივი წარმონაქმნი მთლიანობაში, თუ როგორ გამოიკვეთება ბირითადი აზრი, ან როგორ ნაწევრდება და ვითარდება იგი. სტილისტიკური ინტერპრეტაციის ობიექტია მთლიანი ნაწარმოები მისი ნაწილების გათვალისწინებით, გრამატიკულისა კი – ცალკეული ნაწილების აზრობრივი ურთიერთკავშირები. პირველს შეიძლება ეწოდოს დედუქციური, მეორეს – ინდუქციური (STEINTHAL, 1972:538).

ჰაიმან შტაინთალის ნაშრომის გამოსვლის შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და, ცხადია, სტილისტიკური ინტერპრეტაციის ცნებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ სტილისტიკა კვლავ დარჩა დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინად, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ტექსტის ლინგვისტიკამ ბევრი რამ „წაართვა“ სტილისტიკას, განსაკუთრებით კი ტექსტის სტილისტიკას. მათი მკაფიოდ გამიჯვნა ჯერაც კიდევ ჭირს იმის გამო, რომ ორივე თავის საკვლევ ობიექტად ტექსტს მიიჩნევს და მათი ინტერესები ერთმანეთს კვეთს. მაგალითად, ტექსტის კომპოზიციამ ტექსტის ლინგვისტიკაში გადაინაცვალა. კომპოზიციის ცნება, რომელშიც აერთიანებდნენ და ბევრი მკვლევარი დღესაც აერთიანებს არქიტექტონიკულ და კომპოზიციურ ელემენტებს, დავიწროვდა არქიტექტონიკული ელემენტების გამოყოფის ხარჯზე. როგორც ცნობილია, ტექსტის არქიტექტონიკა გულისხმობს ტექსტის ვიზუალურ-გრაფიკულ დისკრეტაციას აბზაცებად, სტროფებად, პარაგრაფებად, თავებად და ა.შ. ყველაზე გავრცელებული მარტივი მოდელია სამ ნაწილად დაყოფა (Dreiteilung): ტექსტის დასაწყისი (Anfangsteil) – ინფორმაცია ძირითადი თემის შესახებ, ძირითადი ნაწილი (Hauptteil) – თემის გაშლა, მტკიცება-დასაბუთება, ტექსტის ბოლო ნაწილი (Schlußteil) – შეფასება, დასკვნა (უძველესი დროიდან არსებობს რიტორიკაში ეს დაყოფა: 1. disposition, 2. proposition-argumentatio-narratio, 3. conclusion).

რა რჩება სტილისტიკის კომპეტენციაში?

პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ზეპირმეტყველების სტილი (Stil der mündlichen Sprache, Sprechstil) და წერილობითი ენის სტილი (Stil der schriftlichen Sprache, Schreibstil). მათ შორის არსებულ განსხვავებას არავინ უარყოფს. აღარ შევჩერდებით მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, ისინი საყოველთაოდ ცნობილია და განპირობებულია თვით ზეპირმეტყველებისა და წერილობითი ენის ონტიური ბუნებით.

სტილი ძალიან მოკლედ და უხეშად შეიძლება განისაზღვროს როგორც გამოსახატავი აზრის და მისი ენობრივი გამოხატულების (წერილობით ან ზეპირად) შესაბამისობა, თანაშეწონილობა (Angemessenheit). იგი შეიძლება იყოს კონვენციონალური (ობიექტური) და ინდივიდუალური (სუბიექტური). სტილისტიკური საშუალებები შეიძლება შევადაროთ ფერად კენჭებს, რომლებიც კალეიდოსკოპში სხვადასხვანაირად ლაგდებიან და მრავალფეროვან ნახჭს ქმნიან მიუხედავად იმისა, რომ კენჭების რიცხვი უცვლელია. კომუნიკატორს ენობრივი საშუალებების მეტი ვარირების საშუალება აქვს. კალეიდოსკოპისაგან განსხვავებით, სადაც ნახჭები უსულოდ, მექანიკურად იქმნება, ენობრივი სტილის შემქმნელი კი სულიერი, გონიერი არსებაა და თავისი მიზნების შესაბამისად მას შეუძლია არა თუ თავისი გემოვნებით დაალაგოს „კენჭები“, არამედ მხოლოდ მისთვის საჭირო შეარჩიოს და დანარჩენი „გადაყაროს“, არ გამოიყენოს.

12.1. სტილისტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი კრიტერიუმები

სტილი გამოხატულებას პოვებს ორ ძირითად ნიშანში. ერთია სტილისტური შეფერილობა (Stilfärbung, Stilkolorit), მეორე – სტილისტური შტრიხები (Stilzüge). პირველი დამახასიათებელია ცალკეული ლექსემებისა და გრამატი-

კული ერთეულებისათვის, მას სწავლობს დესკრიფციული სტილისტიკა. არსებობს საკმაოდ კარგად დამუშავებული სტილისტური კოლორიტის სკალა, რომელიც შედგენილია სტილისტური ფენების, კონვენციონალური სტილების, საზოგადოებრივი ფენების, დიალექტების, ისტორიული ტერიტორიების და ა.შ. გათვალისწინებით. ეს სკალა ასახულია ლექსიკონებში (მაგალითად, grob, spöttlisch, umgangsprachlich).

Stilzüge მთლიანი ტექსტის თვისებაა. იგი დამახასიათებელია როგორც კონვენციონალური, ისე ინდივიდუალური სტილებისათვის: სამწუხაროდ არ არსებობს სტილური შტრიხების სკალა. მათი ცალკეული სახეები, რომლებიც დაფიქსირებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში, ბუნდოვანია და არ ექვემდებარება მკაფიო ცნებით ანალიზს. არ არის დამუშავებული მეთოდიკა იმის გასარკვევად, თუ რა მიმართება არსებობს სტილისტურ შეფერილობასა და სტილისტურ შტრიხებს შორის, უფრო კონკრეტულად, რომელი სტილისტური შეფერილობის სახეები რომელი სტილისტურ შტრიხებს ქმნიან. სტილისტური შტრიხებად იწოდება ტექსტის ისეთი თვისებები, როგორიცაა უშუალობა, უბოდიშობა, ოფიციალურობა, სიზუსტე, ლოგიკურობა, ლაპიდარულობა, დინამიკურობა, სტატიკურობა, ემოციურობა, სიდინჯე და მისთ. სტილისტურ შტრიხებს შეიძლება განსაზღვრავდეს სტილისტური საშუალებების მოჭარბებული ან ხშირი ხმარება. მაშინ ლაპარაკობენ, ვთქვათ, ნომინალურ სტილზე (Nominalstil – არსებითი სახელების ხშირი ხმარება), ვერბალურ სტილზე (Verbalstil – ზმნების მოჭარბებული ხმარება).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „Stilzüge" გამოიყენება გერმანულენოვან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, ხოლო რუსულენოვან, ფრანგულ და ინგლისურენოვანში ხმარობენ ტერმინს „რეგისტრი". ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უკეთ გამოხატავს იმ შინაარსს, რასაც იგი უნდა აღნიშნავდეს. „რეგისტრის" სემანტიკური სტრუქტურა, როგორც ცნობილია, რამდენიმე სემას შეიცავს, მათ შორის:

1) Register, das – (bei Orgel, Harmonium, Cembalo) Gruppe von Pfeifen, Zungen, Saiten, durch die Töne gleicher Klangfarbe erzeugt werden (DUDEN 1980).
2) Tongruppe gleicher Klangfarbe bei menschlichen Stimmen (GROßES FREMDWÖRTERBUCH 1982).

თუ დავუშვებთ, რომ Stilzüge იერარქიულად უფრო მაღალი რანგის ნიშანთვისებაა, დამახასიათებელია მლიანი ტექსტისთვის და იქმნება მრავალი, ან რამდენიმე მაინც, სტილისტური შეფერილობის ჰარმონიული თანაშეწყობით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ „რეგისტრი" უკეთ გამოხატავს მოცემული ცნების შინაარსს, ვიდრე „Stilzüge". თუმცაღა ისიც არ არის გამორიცხული, რომ „Stilfärbung" დავტოვოთ ძირითად ტერმინად და მის ვარიანტებად ვიხმაროთ „სიტყვის სტილისტური შეფერილობა" (Wortstilfärbung, Wortstilkolorit) და ტექსტის სტილისტური შეფერილობა (Textstilfärbung, Textstilkolorit).

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას კონტექსტის მიხედვით ორივე ტერმინი – „სტილისტური შტრიხები“ და „რეგისტრი“ – გამოვიყენოთ. როდესაც ვგულისხმობთ ტექსტის სტილის ცალკეულ კომპონენტებს მათ კრებითობაში ვიხმართ ტერმინს „Stilzüge“ – „სტილისტიკური შტრიხები“, ხოლო თუ ტექსტის სტილს ვიგულისხმებთ მის მთლიანობასა და ერთიანობაში, მაშინ ვიხმართ ტერმინს „Register“ – „რეგისტრი“.

12.2. პაროდიული ტექსტები

ამჯერად ჩვენ მიზანს შეადგენს ყურადღების გამახვილება ისეთი ტიპის ტექსტების ინტერპრეტაციაზე, როგორიცაა პაროდიული ტექსტები.

ტექსტების კლასიფიკაციის ერთ-ერთი ასპექტია მათი დაყოფა პირველად და მეორად ტექსტებად. პირველად ტექსტებად ერთიანდებიან ორიგინალური და ავთენტიკური ტექსტები, რომლებსაც კომუნიკატორი დედაენაზე ქმნის. მეორად ტექსტებად მიჩნეულია თარგმნილი ტექსტები, რომლებიც მთარგმნელს გადმოაქვს წყაროენიდან თარგმანის ენაზე, და პაროდიული ტექსტები, რომლებსაც პაროდისტი მწერალი ჩვეულებრივ ქმნის იმავე წყაროენაზე, რომელზედაც დაწერილია პირველადი ტექსტი (თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ორიგინალისა და პაროდიის ენა სხვადასხვა იყოს).

თარგმნილი ტექსტების სტილისტიკურ თავისებურებებზე, აღარ შევჩერდებით და მხოლოდ მივუთითებთ დალი ფანჯიკიძის სადოქტორო დისერტაციაზე, სადაც მხატვრული თარგმანის პრობლემებია დასმული და მის მიერვე თარგმნილი მხატვრული ტექსტების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული სტილისტური ეკვივალენტობის დიდი მნიშვნელობა მხატვრული შემოქმედების ამ სფეროში. მხატვრული თარგმანის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებული პირი ამ მონოგრაფიაში ბევრ საინტერესო მსჯელობას, ორიგინალურ აზრს და რეკომენდაციას შეხვდება, რომლებიც მეტყველებენ ავტორის კომპეტენტურობასა და მთარგმნელობით გამოცდილებაზე (ფანჯიკიძე 1995).

რაც შეეხება პაროდიულ ტექსტებს, თუმცა მათ ლიტერატურულ და ესთეტიკურ ღირებულებაზე ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული აზრები გამოითქმის, მაინც, რადგანაც ასეთი ლიტერატურა არსებობს, მაშასადამე საჭიროა რომ არსებობდეს.

ვიდრე უშუალოდ ლიტერატურულ პაროდიაზე გადავიდოდეთ, ხაზი უნდა გავუსვათ პაროდიის ორ მხარეს. ერთია – ზოგადი კარიკატურული ჰიპერბოლიზაცია, როდესაც მიბაძვის საგანი არის არა კონკრეტული პიროვნება თუ მხატვრული ნაწარმოები, არამედ საერთოდ რომელიმე უარყოფითი მხარე, ტიპური მოვლენა, ლიტერატურული ჟანრი და სხვა. ამ შემთხვევაში პაროდიას კონკრეტული ორიგინალი არ მოეპოვება. მეორეა – პაროდია, როგორც განსაკუთრებული ლიერატურული ჟანრი, რომელიც იქმნება ორიგინალის მიბაძვით. ამ შემთხვევაში იგი ეფუძნება პირველწყაროს და მის ფარგლებში რჩება. ქვემოთ პაროდიაზე ვიმსჯელებთ მეორე გაგებით.

პაროდიის შეფასებაში ერთნი ძალზე მკაცრი არიან. „Der für das Schöne, Edle und Erhabene empfängliche Mensch ist gewöhnt, Parodie und Travesta möglichst ferne von sich zu halten", წერს ფრიდრიხ უმლაუფტი (DAS LÄSTERKABINETT, 1970:7). არც ჰანს გრელმანია უკეთესი აზრის: „Die Parodie nimmt unter den literarischen Gattungen zweifellos eine niedrige Stellung ein" (DAS LÄSTERKABI იქვე, 8). მეორენი ნაკლებ სიმკაცრეს იჩენენ და მასში რაღაც პოზიტიურსაც ხედავენ. „Eine Parodie, bei der Neid und Schmähsucht, sondern Witz und Geist die Feder führen, kann für sich ein Kunstwerk sein, dem neben dem Original sein Platz eingeräumt werden kann", წერს კარლ ფრიდრიხ ფლიოგელი (DAS LÄS იქვე, 7). ნურც ჩვენ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრი, ყველა ლიტერატურულ ჟანრს თავისი თაყვანისმცემლები ჰყავს და ჩავთვალოთ, რომ ლიტერატურული პაროდიის ნიმუშები, ისევე როგორც ნებისმიერი ჟანრისა, შეიძლება იყოს მდარეცა და ხარისხიანიც.

გერმანული ლიტერატურის ისტორიაში პაროდია ყოველთვის იყო აზრთა ჭიდილის იარაღი. მას იყენებდნენ როგორც პროგრესის ისე რეაქციის წარმომადგენლები. XVIII-XIX საუკუნეებში პაროდიის ძირითადი პათოსი პოლემიკა იყო. მთავარ მიზანს შეადგენდა მოწინააღმდეგისთვის სატირული ხერხით ნიღბის ჩამოხსნა. ისეთი სახელები, როგორიცაა გოტშედი, ლიხტენბერგი, ნიკოლაი, გოეთე, აიხენდორფი, გრილპარცერი, ჰაინე და სხვები, არ უკადრისობდნენ ამ ჟანრისათვის დროის დათმობას. აღარაფერს ვამბობთ XX საუკუნის ლიტერატურული პერიოდის ნიმუშებზე, რომლებიც ბერტოლტ ბრეხტმა, კურტ ტუხოლსკიმ, ერიხ ვაინერტმა, გიუნთერ დე ბრიონმა, რობერტ ნოიმანმა და სხვებმა შექმნეს.

პაროდიას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. ერთი – იმ ყოფით, სოციალურ და პოლიტიკურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად აფასებს, აგრეთვე კონკრეტული ოდიოზური პიროვნების გაკილვა, რომელი საზოგადოებრივი ფენის ან პარტიის წარმომადგენელიც უნდა იყოს იგი. მეორე ფუნქციას, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მსუბუქი დატვირთვა აქვს, რამდენადაც მისი მიზანია ცნობილი მწერლებისა და პოეტების ინდივიდუალური სიდიადის ან დაკნინების ჩვენება, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლების აზროვნების ყაიდისა და წერის მანერის მიბაძვა, უბრალოდ, თავის შექცევისა და მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მოგვრის მიზნით. ამასთანავე, რაც უფრო მეტია შეუსაბამობა პაროდიის ფორმასა და შინაარსს შორის, მით უფრო დიდია კომიკურობის ეფექტი.

ლიტერატურულ პაროდიას სულ ცოტა ორი ნაკლი აქვს. ჯერ ერთი, პაროდირების სფერო ყოველთვის შეზღუდულია, რადგან გაკილვის ან მიბაძვის საგნად იქცევა ხოლმე უმნიშვნელო დეტალიც კი, მეორეც, პაროდიას მკითხველი ვერ გაიგებს, თუ მიბაძვის საგანი მისთვის უცნობია. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ პაროდიას ელიტარული მკითხველი ესაჭიროება.

ასეა თუ ისე, ლიტერატურული პაროდია არსებობს მეორადი ტექსტების სახით და ძირითადი ხერხი მისი შექმნისა არის პირველადი ტექსტის სტილისტური შტრიხების წვდომა და გათავისება, ადეკვატურ რეგისტრში გადმოცემა. გარდა ამისა მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფორმალურ მხარეს, ე.ი. ენობრივ სტილს (Sprachstil), არამედ აზროვნების ყაიდასაც (Denkstil). რაც მთავარია, პაროდიულ ტექსტებში აუცილებელია რეგისტრის რამდენიმე კომპონენტის შეცვლა და ერთმანეთთან შესამაისობაში მოყვანა. რეგისტრი უნდა შეესაბამებოდეს ამ ჟანრს, რათა სათანადო ეფექტი გამოიწვიოს, ხოლო კომიკურ ეფექტს რა ენობრივი საშუალებებით და სიუჟეტური ქარგით მიაღწევს პაროდისტი, ეს უკვე მისი ნიჭისა და გემოვნების საქმეა. მას შეუძლია მწერლის ენობრივი სტილისთვის დამახასიათებელი რომელიმე თვალშისაცემი თავისებურება აირჩიოს პაროდიულ დომინანტად (ლაიტმოტივად) და მასზე ააგოს მთელი ტექსტი.

ახლა ვნახოთ კონკრეტულ მასალაზე, როგორ ახერხებს ესა თუ ის პაროდისტი კომიკურობის ეფექტის მიღწევას.

როლფ შნაიდერის პაროდია „Michael Vierkants Mahlzeiten“ შექმნილია ლეონჰარდ ფრანკის მოთხრობების მიხედვით, რომლებშიც მთავარი გმირია მიხაელ ფირკანტი (აგრეთვე ავტობიოგრაფიული რომანის „მარცხნივ, სადაც გულია“ მთავარი გმირი), ანტიფაშისტი, სამშობლოში ფაშიზმის დამარცხების შემდეგ დაბრუნებული. შესაძლოა ლეონჰარდ ფრანკი ვერ ადიოდეს დიდი გერმანელი კლასიკოსების სიმაღლემდე, მაგრამ მას არც არასოდეს დაუსახავს მიზნად ყოფილიყო ელიტარული, ინტელექტუალური ლიტერატურის შემოქმედი. მას ჰქონდა თავისი საკუთარი პრინციპები, პოზიცია და არ გადაუხვევია მათგან. ლ.ფრანკის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ომის საწინააღმდეგო სულისკვეთება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწერილი მოთხრობების გმირები ქალაქების ნანგრევებსა და გარეუბნებში ცხოვრობენ. დაქცეული და გაპრტახებული კვარტლების პეიზაჟები, რომლებსაც მწერალი დიდი ოსტატის ხელით აღწერს, ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ პეიზაჟების ფონზე მოქმედებენ ლ.ფრანკის მოთხრობების გმირები. მის პოპულარობას ენობრივ-სტილისტური ოსტატობაც განაპირობებს. მიუნხენის პერიოდის გატაცებას ხატვით უკვალოდ არ ჩაუვლია. ამან კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ლ.ფრანკის როგორც პროზაიკოსის ხელწერაზე. მკითხველს ხიბლავს მხატვრული სახეების ფერწერულობა და პლასტიკურობა. კითხულობ მის რომელიმე ნაწარმოებს და გმირის სახეს ისე თვალნათლივ წარმოიდგენ, თითქოს ფერწერულ ტილოს ან ქანდაკებას უყურებდე. მწერალი ფერმწერის თუ სკულპტორის თვალით განჭვრეტს გარესამყაროს და ადამიანებს. დიდი ოსტატობით ძერწავს აღქმულს, რაც მის ენას გამომსახველობასა და ხილვადობას სძენს. ლ.ფრანკის ენა მსუბუქია და სადა. სინტაქსური კონსტრუქციები მოკლეა და რიტმული მაშინაც კი, როდესაც წინადადება ქვეწყობილია. თანწყობილი წინადადებების უპირატესი ხმარება, ჩართული წინადადებები, პარტიციპული და გამხოლოებული ჯგუფები, მოკლე დიალოგები, ოდნავ ზეანეული მშვიდი ტონი – ყოველივე ეს ქმნის მსუბუქ, ლაღ რე-

გისტრს, რომელსაც მკითხველი სიამოვნებით აღიქვამს. ამიტომაც არის, რომ ლ.ფრანკის ნაწარმოებები პოპულარობით სარგებლობს და მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს (ფურცელაძე, 1967:18).

როგორ იყენებს პაროდიაში როლფ შნაიდერი ფრანკის ენისთვის დამახასიათებელ სტილისტურ შტრიხებს და როგორ ცვლის რეგისტრს?

პაროდია იწყება ლ.ფრანკის საყვარელი ტოპოსით „კაფე". მშიერი მიხაელ ფირკანტი შედის კაფეში და შეუკვეთავს ერთ თავ Crème confitüre-ს. იგი შენიშნავს ქალიშვილს, რომელსაც ტანზე შემოტმასნილი (hauteng) კაბა აცვია და პირველსავე შეხვედრაზე შუყვარდება. შემდეგ მოდის მოკლე დიალოგი მათ შორის, ტბაზე წასვლა და ა.შ. მთელ პაროდიაში შენარჩუნებულია ლ.ფრანკის ენისთვის დამახასიათებელი, როგორც თავად მწერალი იტყოდა, „პროზაული წინადადებების უნაკლოდ აგება", „უმნიშვნელოვანესი შინაარსის პლასტიკურად, აუცილებელ ადგილას ხაზგასმა", „დიალოგის მოკლე წინადადებები". ეს ფაქტორები განაპირობებენ ფრანკის სტილისთვის დამახასიათებელ რეგისტრს, თხრობის სილაღეს, უშუალობას, ავტორისეული ენის გამჭვირვალეობას, პერსონაჟებისა და მოვლენების ხილვადობას. კომიკურობის რეგისტრის სტილისტური შტრიხებია შიშველი სხეული (ფრანკის პერსონაჟი ქალები ძველმოდურები და მორცხვები არიან), მიხაელ ფირკანტის ბედნიერების შეგრძნება, რომელიც მიანიჭა მას სიყვარულმა და თბის ხაჭომ, გლეხისაგან რომ იყიდა ტბაზე ყოფნის შემდეგ. „Michael spürte ein unbekanntes Glücksgefühl. Ihn packte die große Freude. Das war also Liebe! Das gab's also! Ja, er war glücklich... Herrliches Geschöpf! In seinem Munde war noch süßer Geschmack der unschuldigen Liebe und des Ziegenquarks" (DAS LÄSTERKABINETT, 1970:184).

პაროდიის დასაწყისის სამი სტრიქონი: „Michael Vierkant kam zurück in die Stadt und ging von Hunger gepackt in ein Café. Qualm schlug ihm entgegen. Er bestellte Crème confitüre..."(იქვე, 183) მეორდება პაროდიის ბოლოს, რომელსაც წინ უძღვის მოკლე პასაჟი: „Als er in seinem ärmlichen Zimmer saß, nahm er Papier und Feder und begann seine Geschichte zu schreiben: Michael Vierkant kam zurück in die Stadt und ging von Hunger gepackt in ein Café. Qualm schlug ihm entgegen. Er bestellte Crème confitüre..." (DAS LÄSTERKABINETT, 1970:184). ესეც ერთ-ერთი სტილისტური შტრიხია ლ.ფრანკის შემოქმედებისთვის. გავიხსენოთ „Links, wo das Herz ist" ავტობიოგრაფიული რომანი, სადაც იგი თავის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს იწერს, კალამს იღებს ხელში, განცდილის და ნანახის ქაღალდზე გადასატანად.

ამრიგად, ეს პაროდია არ გამოირჩევა არც მწვავე სატირის არც კომიკურობის მაღალი რეგისტრით, უბრალოდ, იგი დაწერილია ფრანკის ენისათვის დამახასიათებელი სტილისტური შტრიხების გამუქებით და მკითხველი, რომელიც იცნობს ფრანკის შემოქმედებას, სიამოვნებით წაიკითხავს მას.

ახლა გვინდა მკითხველს შევთავაზოთ არნიმ აიხჰოლცის შესანიშნავი პაროდია „Un-Fuge. Nach Martin Heidegger" (იქვე, 169-171). როგორც მოგეხსე-

ნებათ, მარტინ ჰაიდეგერი არ გახლავთ მწერალი, ის არის XX საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი, რომლის ნააზრევი შესულია მსოფლიო კულტურის საგანძურში. საყოველთაოდ ცნობილია მისი გენიალური ნაწერები ენის შესახებ, მათ შორის გეორგ თრაკლისა და შტეფან გეორგეს ლექსების ფილოსოფიური ინტერპრეტაცია. მისი აზრით, ენა უბნობს (Die Sprache spricht). როგორ გავიგოთ ეს, სად ვნახოთ ასეთი რამ? უპირველეს ყოვლისა ნაუბარში (im Gesprochenen). სწორად მასშია უბნობა დასრულებული (sich vollendet). ნაუბარში უბნობა არ წყდება, იგი მხოლოდ დაფარული რჩება. თუ გვინდა, რომ ენის უბნობა ნაუბარში ვეძებოთ, არ შეიძლება ნებისმიერ ნაუბარს მოვკიდოთ ხელი. უნდა ვიპოვოთ წმინდა ნაუბარი. ხოლო „Rein Gesprochenes ist das Gedicht" (HEIDEGGER, 1986:16). აქედან მომდინარეობს მისი ინტერესი ლექსისადმი.

არნიმ აიხოლცის „Un-Fuge" არის პაროდია ჰაიდეგერისეულ ინტერპრეტაციაზე. პაროდიის საგნად აღებულია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შესანიშნავი ლექსი „Heidenröslein". ეს ხალხურ კილოზე შექმნილი პოეტური ნაწარმოები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. გამოკვეთილი მელოდიურობის გამო მასზე მუსიკა დაწერილი აქვს, თუ არ ვცდები სხვადასხვა ქვეყნის ათობით კომპოზიტორს. არნიმ აიხჰოლცის პაროდია ასახავს მარტინ ჰაიდეგერის აზროვნების ყაიდას და წერის სტილს. პაროდისტი გამოყოფს ჰაიდეგერის გამორჩეულად თვალმისაცემ სტილისტურ შტრიხს, რომელიც მდგომარეობს ფილოსოფიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცნების აღმნიშვნელი სიტყვის ლაიტმოტივად გადაქცევასა და დერივაციული საშუალებებით მის ვარირებაში.

პაროდია იწყება შემდეგი სიტყვებით: „Sah ein Knab' ein Röslein stehn" lautet die erste Zeile eines Liedes „Heidenröslein von Johann Wolfgang von Goethe. Was hat sich Goethe eigentlich dabei gedacht, als er das Lied mit solchen Worten beginnen ließ?" (DAS LÄSTERKABINETT, 1970:169), რასაც მოჰყვება სტრიქონის ყოველი სიტყვის დომინანტად გამოყოფა და ფილოსოფიური ინტერპრეტაცია. პაროდია სავსეა ჰაიდეგერისეული სიტყვაწარმოებითი ელემენტებით, მისთვის დამახასიათებელი ცნებითი ველებით, კითხვების დასმით და მისთვის ჩვეული პასუხებით.

შევადაროთ!

მარტინ ჰაიდეგერი:

Die Zeit zeitigt. Zeitigen heißt: reifen, aufgehen lassen. Das Zeitige ist das Aufgehend-Aufgegangene. Was zeitigt die Zeit? Antwort: das Gleich-Zeitige, d.h. auf dieselbe einige Weise in ihr Aufgehende. Und was ist das? Wir kennen es längst, denken es nur nicht aus der Zeitigung. Das Gleich-Zeitige der Zeit sind: die Gewesenheit, die Anwesenheit und die Gegenwart, die uns entgegenwartet und sonst die Zukunft heißt..." (DAS LÄSTERKABINETT, 1970:213)

არნიმ აიხჰოლცთან: გოეთეს ლექსის პირველი სტრიქონის თითოეული სიტყვა გამოყოფილია ცალკე და ინტერპრეტირებულია ჰაიდეგერის ყაიდაზე. ავიღოთ ნიმუშად

stehn

"Stehn ist hier als Imstande-sein zu verstehen, anständig der Stätte des ständigen Standes vorzustehen. Die verständliche Art dieses Verstehens ist unter Umständen der Ständer, wegen dessen Beständigkeit ein gestandener Verstand von allen Standarten mit Abstand am wenigsten Anstände hat. Da nicht zu befürchten steht, daß durch ein abgestandenes Geständnis Mißverständnisse entstehen, sei noch der unmißverständliche Mißstand eingestanden, daß das Über-sich-hinausstehende selbständig in das Offenstehende als solches gestanden wird. Auch dieser Umstand hat einen vorübergehenden Grund in der metaphysischen Grundstellung Goethes" (იქვე, 171).

ბრწყინვალე პაროდიაა. იგი უპირველეს ყოვლისა მკითხველს აოცებს პაროდისტის დიდი ნიჭით და გამომგონებლობის უნარით. წარმოიგინეთ თორმეტიოდე სტრიქონში ერთი ლექსემის 31 ერთეულად ვარირება სხვადასხვა სიტყვაწამოებითი ფორმით, უზუალური ლექსემების შერჩევა და მათ საფუძველზე ოკაზიური მოდელების შექმნა. პაროდისტს ატაცებული აქვს ორიგინალური ტექსტის თვალშისაცემი ძირითადი შტრიხი, რომელიც განაპირობებს მის დინამიკურ და რიტმულ რეგისტრს. ეს არის: ა)ერთი და იმავე ლექსემის ხაზგასმით ვარირება, მიღებული ვარიანტების მოქცევა ლოგიკური მახვილის ქვეშ, რაც იწვევს მახვილიანი და უმახვილო ერთეულების გამოყოფას; ბ)ერთი ზმნური ლექსემის გამეორება სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით, როგორიცაა ზედსართავი, ინფინიტივი, გაარსებითსახელებული ინფინიტივი, მიმღეობა I და II, ნაზმნარი არსებითი სახელები, ზმნის პირიანი ფორმები; გ)სინტაგმების მკაცრი გამიჯვნა და მიკროტექსტის ცალკეულ სეგმენტებად დაყოფა. ყოველივე ეს ტექსტს აქცევს ერთ მთლიან ცნებით ველად, რომლის ცენტრს ქმნის დომინანტი stehen, ხოლო პერიფერიებს მისი ვარიანტები.

არნიმ აიხჰოლცის პაროდიას ერთი მიზანი აქვს, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადოს დიდი ფილოსოფოსის აზროვნების ყაიდა და ენობრივი სტილი, რასაც იგი ეფექტურად აღწევს ჰაიდეგერისათვის დამახასიათებელი მსჯელობის მანერის მიბაძვით და ენობრივი ნიშნების ვირტუოზული განლაგებით (კონსტელაციით). პაროდირების ეფექტს აძლიერებს არაფილოსოფიური საკითხის აყვანა ფილოსოფიურ რანგში და ჰაიდეგერის სტილის მიბაძვით ინტერპრეტირება. ვისაც ჰაიდეგერი წაუკითხავს, მას დიდ სიამოვნებას მოჰგვრის ამ დიდებული პაროდიის წაკითხვა.

12.3. მოკლე ექსკურსი ქართული პაროდიის სამყაროში

პაროდია ყოველი მაღალგანვითარებული ლიტერატურის შემადგენელი ნაწილია. ქართულ ლიტერატურაშიც არსებობს ამ ჟანრის მყარი ტრადიცია. რომ

არაფერი ვთქვათ ილიას პაროდიებზე, რომლებსაც იგი იყენებს არა მარტო პუბლიცისტიკაში, არამედ მხატვრულ შემოქმედებაშიც (შდრ., „კაცია ადამიანის?!“ კარიკატურული მხატვრული სახეები), სხვა მწერლები და პოეტებიც ხშირად მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ ამ ჟანრს.

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი მკითხველისათვის კონსტანტინე გამსახურდიას ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი: წინადადებების მისეული სინტაქსური წყობა, სხვათა სიტყვის მორფემის არაორდინარული ხმარება, ფერის აღმნიშვნელი ზედსართავების შექმნა, არქაიზმების მოჭარბებული გამოყენება, მათი გაცოცხლება და მისთ. ყოველივე ეს ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის პაროდირებას. პირველადი ტექსტის ასე მკაფიოდ გამოხატული სტილისტური შტრიხები აიოლებს მეორადი ტექსტების შექმნას. აი ერთი მათგანი:

მთვარის მოტაცება

(გვიანდელი ვარიანტი)

პაროდია

მერმე ის იყო: ტფილისს წამოსასვლელად აიყოლია თარაშ ემხვარმა თამარ შარვაშიძე და ზაარბრიუკენელი რძალი მისი თეძოსრული დიაცი კაროლინა.

ეგ იყო ბენზინი არსად მოიძევებოდა ზუგდიდში ათიოდე ლიტრი სამოცდათექვსმეტი ჩაუსხა „კამაზის“ შოფერმა, გვასალიას ბჟიტმა, ორ-ორ მანეთად. ციებიანივით აბიგბიგდა თარაშის ახალთახალი „ფორდი“. ხერისპსმა იმარჯვა ისევ, თავისი პაციენტის ნათლულს გაავსებინა ოთხმოცდაცამეტით ბაკი.

„იცი, მისოუსტ, სამედიცინოზე შესვლა გადავწყვიტე წელს, ოღონდ ორას ათასზე მეტი არ ჰქონია მამაჩემს, ბედშავს,“ – ეუბნება თამარი.

„ნუ დარდობ, სულე, მე დავჯდები შენს სანაცვლოდ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში,“ – ამბობს თარაში, ოღროჩოღრო ტრანსჭუთაისურ მაგისტრალზე მიაგელვებს „ფორდს“ თანაც.

ქედნისფერი ქედები რიალებდნენ ხოხბისფერ ტრამალთა მიღმა. ერთ მწვერვალს თვალი გაუშტერა კაროლინამ და ამბობს:

„მე აგრე მგონია, ჰერ ემხვარ, ეკონომიკის ფაკულტეტზე უნდა ისწავლოს თამუნამ. ეკონომიკა გაქვთ მოშლილი თქვენ, ევროპისა და აზიის მიჯნაზე მეხოვრებთ ოდითგანვე...“

კომიკურობის რეგისტრს აძლიერებს რესტორან „თბილისში“ მყოფი თამარის შიმველი, გაპარსული კისერი და „ნოლზე“ გადახოტრიალი თავი, თამარისა და მანჯგალაძის „ლამბადა“, ავტომატმოღერებულ რეკეტიორთა რიგები.

პაროდიის დასასრული მკითხველის მოლოდინის საპირისპიროდ არ შეესაბამება ორიგინალის დასასრულს და ეს კიდევ უფრო აძლიერებს პაროდიის ხარისხს. საშვილოსნოსგარეშე ორსულობით სიკვდილი ახლა ისევე იშვიათია, როგორც საყვარელი ქალისათვის თავის დახრჩობა, ამიტომაც სავსებით კანონზომიერია, თუმცა რამდენადმე მაინც მკითხველის მოლოდინის გაცრუებაა, პაროდიის ბოლო ორი პასაჟი:

> „ოქუმში შეიტყო: სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში შიმშილი მოსწყენია შარვაშიძის ნებიერ ასულს. ნამცხვრების კოოპერატივი გაუხსნია ვერაზე. მანჯგალაძეც მუნვე ჰყავსო პირმშვენიერს, ის იცავსო ტფილისში მძვინვარე რეკეტისაგან.
>
> საშვილოსნოსგარეშე ორსულობით ჩემი სიკვდილი ძველი დროის გულუბრყვილო მწერალთა მოგონილი რომანტიული ამბავი არისო, – აგრე ამბობს ჟამიდან ჟამზე თამარი თურმე, – და აღარც თარაშ ემხვარი დაიხრჩობსო გადარეულ ენგურში თავს.“

ამ. მგელაძე

ნიანგი, აგვისტო-სექტემბერი

15.16.17. 1991

როგორ იყენებს პაროდისტი ამ.მგელაძე ორიგინალის სტილისტურ შტრიხებს და რეგისტრს? კომიკურობის რეგისტრს ქმნის ერთი მხრივ, შინაარსობრივი და ფორმალური მხარის აბსოლუტური შეუსაბამობა, რომლებიც ორიგინალში თანაშეწონილია, მეორე მხრივ, თვით შინაარსობრივი სტრუქტურის დატვირთვა ისეთი ყოფითი პრობლემების, საზოგადოებრივი მანკიერების, კრიმინალური სიტუაციის და საერთოდ თანამედროვე ანტურაჟის აღწერით, რაც არ არის ორიგინალის ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ადეკვატური. პაროდიაში კარგად არის გამოყენებული ორიგინალის ენის სტილისტური შტრიხები. შენარჩუნებულია ენობრივ-ფორმალური კომპონენტები, ორიგინალის მრავალი ტოპოსი და ლაიტმოტივი, ლექსიკა და სინტაქსი, დიალოგების სტრუქტურა. მკვეთრად გამოხატულ შეუსაბამობას ქმნის ორიგინალის ტექსტის პერსონაჟების ჩაყენება პაროდისტის დროინდელ ყოფით და სოციალურ სიტუაციებში, მათი ქმედების გადაყვანა საპირისპირო რეგისტრში (ტრაგიკულიდან კომიკურში)

კიდევ მრავალი პაროდიის ნიმუშის შერჩევა და ინტერპრეტაცია შეიძლებოდა, განსაკუთრებით, ჩვენი მიზანდასახულობის შესაბამისად გერმანულ ენაზე შექმნილისა. პაროდირებისთვის კარგ მასალას იძლევა ტექსტები, რომელთა ბათიზმატური ველის რამდენიმე ან რომელიმე კომპონენტი პუანტირებულია. ასეთი ტექსტების ავტორებს შორის უნდა დავასახელოთ: ქრისტიან მორგენშტერნი, შტეფან გეორგე, დეტლეფ ფონ ლილიენკრონი, რაინერ მარია რილკე და სხვები.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ერთგვარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის მკითხველს იმ მეთოდზე, რომელიც გამოვიყენეთ მეორადი ტექსტების გაგება-გაგებინებისათვის.

მეთორმეტე ქვეთავის დასკვნები

1. სტილისტური ინტერპრეტაცია კარგად ესადაგება ე.წ. მეორად ტექსტებს, მათ შორის პაროდიებს. მიუხედავად იმისა, რომ პაროდიებს კრიტიკოსების შეფასებით ლიტერატურულ ჟანრებს შორის მხოლოდ მოკრძალებული ადგილი შეიძლება მიეჩინოთ თავისი მხატვრული ღირებულებების შესაბამისად, ისინი მაინც იპყრობენ მწერლებისა და მკითხველების ყურადღებას.
2. ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც პაროდისტმა მწერალმა უნდა გამოიყენოს მეორად ტექსტში, განეკუთვნება სტილისტიკის სფეროს. ეს არის, სახელდობრ, **სტილისტური შტრიხები ანუ რეგისტრი**, რომელსაც ავტორი ქმნის ენის სისტემის სათანადო ელემენტების გამოყენებით. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ კრიტერიუმს თარგმნილ ტექსტსა და პაროდიაში სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა აქვს. თარგმანში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წყაროტექსტისა და თარგმანის სტილისტურ ეკვივალენტობას, რეგისტრების თანხვედრას. ამასთანავე წყაროტექსტი და თარგმანი შესრულებულია სხვადასხვა ენაზე, პაროდია კი იწერება ჩვეულებრივ წყაროტექსტის ენაზე და მის ეფექტურობას განაპირობებს სტილისტური ეკვივალენტობის დარღვევა. წყაროტექსტის ენობრივი გამოხატულება შენარჩუნებულია პაროდიაში. მთავარი აქტანტები შეიძლება იგივე დარჩეს ან შეიცვალოს, მაგრამ ისინი ჩაყენებულია ისეთ სიტუაციაში, სადაც ირღვევა შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. გამოხატულებისა და შინაარსის პლანების დისჰარმონიას მოსდევს რეგისტრის შეცვლა, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოულოდნელობისა და კომიკურობის ეფექტს. სერიოზული ან ტრაგიკული რეგისტრი გადადის კომიკურში, სატირალი – სასაცილოში და ა.შ.[11]

[11] არ არის გამორიცხული მესამე მიმართება, რომელიც იქმნება ერთ ენაზე დაწერილ წყაროტექსტსა და მეორე ენაზე შექმნილ პაროდიას შორის. პაროდირების დაუშრეტელი რესურსების არსებობის პირობებში აქ სხვა კრიტერიუმებიც შეირჩეს და შესატყვისი ხერხები იქნეს გამოყენებული. ჩვენ აღარ ვეხებით ამ მესამე მიმართებას, ის ჩვენს მიზნებს სცილდება.

თავი V

ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ინტერპრეტაცია

13.0. წერილობითი ენის სტატუსი

ენა როგორც კომუნიკაციის საშუალება ორი ჰიპოსტაზის სახით ვლინდება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება სუბსტანციურად, მაგრამ თანასწორუფლებიანია ფუნქციურად. ბევრი მეცნიერი ბგერით ენას მიიჩნევს პირველად, ბუნებრივ ენად, ხოლო წერილობითს – მეორად, ხელოვნურ ენად. უფრო მეტიც, გავრცელებულია წარმოდგენა: „третирующее письменный язык как нечто вроде низшей структуры, безнадёжно уступающей „высшей" структуре устного языка" (ВАХЕК, 1967:542).

წერილობითი ენის ამგვარ აბუჩად აგდებას არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს. ღმერთს ადამიანისთვის პირის ღრუ მარტო იმისთვის კი არ მიუცია, რომ საკვები მიიღოს, არამედ იმისთვისაც, რომ ილაპარაკოს, ასევე, ხელები მარტო იმისთვის კი არ მიუცია, რომ იმუშაოს, არამედ იმისთვისაც, რომ წეროს. იგივე ითქმის სმენისა და მხედველობის ორგანოებზე. ღმერთს ისიც დაუწესებია, რომ ადამიანმა დაბადებისთანავე უნდა ისუნთქოს და ხმა ამოიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იცოცხლებს. მაგრამ ღმერთს ისიც დაუწესებია, რომ ადამიანი დაბადებისთანავე უნდა ინძრეოდეს და ამოძრავებდეს კიდურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იცოცხლებს (ან უკიდურეს შემთხვევაში ნორმალური ადამიანი ვერ იქნება). ადამიანი ხმის ამოღებისთანავე სუნთქავს და იკვებება. თუმცა ვერ ლაპარაკობს. მან ლაპარაკი უნდა ისწავლოს. ადამიანი ხელ-ფეხის განძრევისთანავე ვერ დადის და ვერ მუშაობს, ვერც წერს და ვერც კითხულობს. მან უნდა ისწავლოს წერა-კითხვა, მეტყველება და მოსმენა. წერა და კითხვა აზროვნებითი პროესებია, რომლებიც ადამიანში ვითარდება მის ფსიქო-ფიზიოლოგიურ განვითარებასთან ერთად, რისთვისაც აუცილებელია გარემო. ადამიანი როგორც სოციუმი მხოლოდ თავის მსგავსთა საზოგადოებაში ეუფლება მეტყველება/მოსმენის და წერა-კითხვის კულტურას, ერთიც ისწავლება და მეორეც. თუ ადამიანმა ლაპარაკი არ ისწავლა, ის ვერ ილაპარაკებს. იგივე ითქმის წერა-კითხვაზეც. მაშინ როგორღა შეიძლება ბეგრით ენას ეწოდოს ბუნებრივი, სპონტანურად განვითარებადი, პირველადი,

„მაღალი“, ხოლო წერილობითს – ხელოვნურად განვითარებადი, მეორადი, „მდაბალი“. როგორღა შეიძლება ზეპირმეტყველება ჩაითვალოს უნივერსალურ, სავალდებულო და ერთ ტიპურ ენად ყველა ადამიანისთვის, ხოლო წერილობითი – ჩამოთვლილი თავისებურების არმქონედ, რომელიც სხვადასხვაა ადამიანის პროფესიისა და ცხოვრების სოციალური ფორმების მიხედვით (ЗИНДЕР, 1987:41). ან როგორ შეიძლება ზეპირი მეტყველების პრიორიტეტულობის და ბუნებრიობის დამამტკიცებელ სერიოზულ საბუთად ჩაითვალოს ის, რომ წერილობითი მოღვაწეობისათვის საჭიროა ხელები, საწერი იარაღი და მასალა, აგრეთვე სინათლე/შუქი, მაშინ როცა ბგერითი მეტყველების დროს ხელები თავისუფალია და ხმა სიბნელეშიც ისმის. მაგრამ მეტყველებისთვის ასევე საჭიროა სულ ცოტა ენა (როგორც ზეპირი მეტყველების ორგანო) და სახმო სიმები, რომლებიც შეიძლება არ ფუნქციონირებდეს. ხომ არსებობს მომენტები, როდესაც ადამიანს ჩაუწყდება სახმო სიმები და ენა პარალიზებულია, ან კომუნიკატორი და კომუნიკანტი იმ მანძილზე არიან დაშორებული, რომ ერთმანეთისა არ ესმით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს როგორც ზეპირმეტყველების მოშლილობა – ფონოფობია (Phonophobie) ან მოგილალია (Mogilalie), ისევე წერის უნარის მოშლილობა – გრაფოსპაზმი (Graphospasmus), ან მოგიგრაფია (Mogigraphie), რაც იმის დასაბუთებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ენობრივი მოღვაწეობის ორივე სახე – ზეპირმეტყველება და წერა – ერთნაირად ორგანული და ბუნებრივია ადამიანისთვის. ასახელებენ კიდევ მრავალ ფაქტორს ზეპირი მეტყველების სასარგებლოდ, როგორიცაა, ვთქვათ, ტელეფონი, რომლის როგორც მედიუმის წყალობით ზეპირი მეტყველების მნიშვნელობა უფრო მატულობს. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ წიგნის ბეჭდვაზე, ტელეგრაფზე, ფაქსზე, კომპიუტერზე? ყოველივე აქედან გამომდინარე, წერილობითი ენა მეორადი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი რიგით არის მეორე, ქრონოლოგიურად ვითარდება ზეპირმეტყველების შემდეგ. ამიტომ, თუ მაინც დავეთანხმებით არაზუსტ განსაზღვრებას „მეორადს“, მაშინ უნდა გამოვაპირობოთ, რომ ამაში არ ვგულისხმობთ „მდარეს“, რომ წერილობითმა ენამ წარმოშობისთანავე მოიპოვა ემანსიპაცია და დამხმარე ფუნქციის გარდა, რომელსაც ის ასრულებს ზეპირმეტყველების მიმართ, მას აქვს თავისი ძირითადი ფუნქცია, ე.ი. წარმოადგენს არა მარტო ნიშნების ნიშნებს (ფონემის აღმნიშვნელს), არამედ საგნების (ცნებების) ნიშნებსაც და შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესს და კოგნიტიურ ოპერაციას ახორციელებს არა ფონემების მეშვეობით, არამედ პირდაპირ, უშუალოდ გრაფემების საშუალებით. მას შეუძლია მკითხველს ვიზუალურად ისევე მიაწოდოს ინფორმაცია, როგორც ზეპირმეტყველება აწვდის აუდიურად მსმენელს.

ამრიგად, თუმცა ონტოგენეზის თვალსაზრისით, უხეშად რომ ვთქვათ, რიგის მიხედვით, ბგერითი ენა წინ უსწრებს წერილობითს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წერილობითი ენა პირველისადმი დაქვემდებარებული და მეორე ხარისხოვანია. ენა იმიტომ დაუწესებია ღმერთს ორსახად, რომ თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს. ენაში როგორც ორსახა ერთში მყოფობს ორივე ერთადაც, ერთი გვარეობითი ცნების „ენის“ ფარგლებში და ცალკეულადაც, როგორც

ონტიურად განსხვავებულნი. ისინი საშუალებას აძლევენ მოცმული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებს რეაგირება მოახდინონ ყოველგვარ სიტუაციაში სათანადო მედიუმის საშუალებით (MÖLLER, 1962:531). და თუ მათ ერთმანეთისაგან გამოცალკევებით განვიხილავთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისგან სავსებით მოწყვეტილ, იზოლირებულ მოვლენებს წარმოადგნენ. არა, ორივე ერთი ენის ორი სახეა. ისინი ერთად ენაა (გვარეობითი ცნება) და ცალ-ცალკეც (სახეობითი ცნება). მათი ურთიერთმიმართება გამოიხატება ერთ მხრივ სამწევრა მოდელით:

ენა	
ბგერითი ენა	წერილობითი ენა

და, მეორე მხრივ, ორვარიანტული ორწევრა მოდელით:

ენა
ბგერითი ენა

ენა
წერილობითი ენა

კომუნიკაციის პროცესი შეიძლება განხორციელდეს შუალობით-ბგერითი ენიდან გამოსვლით და წერილობითი ენის გავლით, ან პირუკუ, წერილობითიდან გამოსვლით და წერილობითი ენის გავლით, ან პირუკუ, წერილობითიდან გამოსვლით და ბგერითი ენის გავლით:

ბგერითი ენა ⇒ წერილობითი ენა ⇒ გაგება
წერილობითი ენა ⇒ ბგერითი ენა ⇒ გაგება
კომუნიკაცია შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს უშუალოდ:
ბგერითი ენა ⇒ გაგება
წერილობითი ენა ⇒ გაგება

წერილობით ენას აქვს სამი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: ა)ბგერითი ენის დაფიქსირება, ბ)კომუნიკაციის უშუალოდ განხორციელება (როდესაც ის დამოუკიდებლად, პირდაპირ განახორციელებს კომუნიკაციას და არეგულირებს კოგნიტიურ პროცესს), გ)ენობრივი ერთეულების (შესაბამისად, დენოტატების) აღნიშვნა გრაფიკული საშუალებებით. ენის ალიენაციური არსი მკაფიოდ ვლინდება მეორე და მესამე ფუნქციაში.

13.1. გრაფემისა და ფონემის ურთიერთმიმართება

ტექსტის ლინგვისტიკის დიციპლინათშორის მიმართებებზე, კერძოდ მის დამოკიდებულებაზე გრაფიკულ ლინგვისტიკასთან, მსჯელობა იყო წინამდებარე მონოგრაფიის მესამე პარაგრაფში. ამიტომ აქ მხოლოდ შემდეგ კონკრეტულ მიმართებებს შევეხებით: ფონემა-გრაფემა, ასო-ნიშანი – გრაფემა.

ძალზე რთულია, ერთი მხრივ, ასო-ნიშნისა და გრაფემის სტატუსის განსაზღვრა და მათთვის ენის წერილობით სისტემაში ერთმნიშვნელოვნად ადგილის მიჩენა, და, მეორე მხრივ, ფონემასთან ასო-ნიშნისა და გრაფემის მიმართების დადგენა. ამ საკითხზე არსებობს ვრცელი სპეციალური ლიტერატურა, რომელიც პრობლემის გადასაწყვეტად სამ მიდგომას გვთავაზობს.

პირველი მიდგომა. წერილობითი ენის თვითმყოფობის აღიარება უპირობოდ შეუძლებელია. იგი ბგერითი ენისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში უნდა განიხილებოდეს. დამწერლობა ბგერითი ენის უმნიშვნელო ასახვაა. გრაფემა ემსახურება ფონემის აღნიშვნას. საჭირო არ არის წერილობითი ენის აყვანა ბგერითი ენის თანაბარ რანგში. ლინგვისტიკის საგანია მხოლოდ და მხოლოდ ბგერითი სიტყვა (СОССЮР, 1977:63). მჟღერი სიტყვა აზრის ხორცშესხმაა, გრაფიკული სიტყვა კი ბგერის რეალიზაციაა (ГУМБОЛЬДТ, 1985:405). აქედან გამომდინარე, გრაფემა ფონემის უბრალო დანამატია, ხოლო გრაფემიკა – ფონოლოგიისა.

მეორე მიდგომა. ფონემა და გრაფემა პარალელური ფუნქციური ერთეულებია. ზეპირმეტყველებას და წერილობით ენას ერთი საერთო ენა უდევს საფუძვლად, ამიტომ ლაპარაკი-მოსმენა და წერა-კითხვა ერთმანეთს გულისხმობს, ავსებს და განავრცობს (WOTSCHKE, 1980:201). ენა გვაგონებს სიამელ ტყუპს (siamischer Zwilling), რომლის არსებობის ორი ფორმა – ზეპირი და წერილობითი – ერთმანეთისაგან განუყოფელია. არც ერთს არ უნდა მიეცეს უპირატესობა. ენის არსებობის ორივე ფორმა უნდა განიხილებოდეს როგორც თანაბარი რანგის მქონე, ერთიმეორის გვერდით ფუნქციონირებადი სისტემები (GLÜCK, 1987:99). ჩვენი აზრით, ამ დებულებას ესაჭიროება სიფრთხილით და სიზუსტით შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ბგერა/ფონემისა და ასო/გრაფემის გაურჩევლობის საშიშროება. ჯერ კიდევ იაკობ გრიმს საყვედურობდნენ, რომ იგი ბგერასა და ასო-ნიშანს არ განასხვავებდა. ამასვე საყვედურობდა ფერდინან დე სოსიური ფრანც ბოპს. ბგერისა და ასო-ნიშნის გაიგივების ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი. ასე მაგალითად, ლ.რ. ზინდერი წერს ხმოვანი ასოს შესახებ (*о гласной букве*) (*ЗИНДЕР*, 1987:85), ტ.ა. ამიროვა ხმოვანი გრაფემის და თანხმოვანი გრაფემის შესახებ (*гласная графема, согласная графема*) (*АМИРОВА*, 1977:96).

მესამე მიდგომა. ენობრივი მოღვაწეობა ხორციელდება ზეპირმეტყველების, წერილობითი მოღვაწეობის და შერეული ქმედების სახით. თითოეული მათგანი თავისებურად ემსახურება აზროვნების პროცესს და კომუნიკაციის განხორციელებას. ყველაზე ნაკლები თვითმყოფობით გამოირჩევა, ალბათ, შერეული ქმედება როგორც ზეპირმეტყველებისა და წერილობითი მოღვაწეობის სიმბიოზი.

ზეპირმეტყველებასა და წერილობით მოღვაწეობას საერთო აქვს ის, რომ ორივე არის კოგნიტიური და კომუნიკაციური მიზნების განხორციელების საშუალება. მათ შორის განსხვავებას პირველ რიგში განაპირობებს მედიუმის სუბსტანციური არსი, და შემდეგ, აქედან გამომდინარე შეზღუდვები, ნაკლი თუ

უპირატესობანი. საკმაოდ დიდია იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც აღიარებენ წერილობითი ენის თვითმყოფობას და დამოუკიდებლობას (შეფარულად ეს აზრი თითქმის ყველა ნაშრომში გამოსჭვივის, რომელიც ფონემისა და გრაფემის მიმართებას ეხება). ისინი თვლიან, რომ ენობრივი მოღვაწეობის ორსავე სახეს თავისი მოქმედების არე, ფუნქციური დატვირთულობა და კომუნიკაციის განხორციელების საკუთარი საშუალებები აქვს, რაც არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს მათ ურთიერთკავშირს და ერთმანეთზე ზემოქმედებას. ერთი მხრივ, არსებობს ზეპირი მეტყველება და, შესაბამისად, კოგნიტიურ-მეტყველებითი ქმედება (Denk-Sprech-Prozeß), რომლის შედეგია დისკურის (der gesprochene Text). მეორე მხრივ, არსებობს კოგნიტიურ-წერილობითი ქმედება (Denk-Schreib-Prozeß), რომლის შედეგია ტექსტი (der geschriebene Text) (WOTSCHKE, 1980:275). წერილობითი ენის დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა მომხდარი ფაქტია, რომლის წინაშეც ენათმეცნიერება აღმოჩნდა. არსებობს გრაფიკული ლინგვისტიკა, რომელსაც აქვს პრეტენზია კვლევის საგნად ჰქონდეს კომუნიკაციის გრაფიკული საშუალებები, წერილობითი ენის ინვენტარი და მათი ფუნქციები. გრაფემიკის როგორც გრაფიკული ლინგვისტიკის ერთ-ერთი დისციპლინის კვლევის სფეროში შედის ისეთი ცნებების/ტერმინების დადგენა და განსაზღვრა როგორიცაა Schrift, Schriftlichkeit, Schriftkultur, geschriebene Sprachform, Graphem, Buchstabe და მრავალი სხვა.

წერილობითი ენის დამოუკიდებლობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ისეთი მკვდარი ენა, როგორიცაა ლათინური, შეისწავლება და გამოიყენება მხოლოდ წერილობითი ძეგლების წყალობით. არავინ უწყის, როგორც ჟღერდა ყველა დეტალში ცოცხალი ლათინური, მაგრამ რომ იგი საუკუნეების მანძილზე მეცნიერების ენა იყო – როგორც წერილობითი სახით, ისე ზეპირად წარმოთქმული – ეს ფაქტია. მეცნიერები ლათინურ ენაზე არა მარტო წერდნენ, არამედ ზეპირადაც მსჯელობდნენ. დღესაც პრესტიჟულად ითვლება მეცნიერის მიერ ლათინურის აქტიურად გამოყენება.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადამიანი სწავლობს უცხოურ ენას წერილობითი გზით, შეუძლია დაწერილის წაკითხვა, გაგება და წერაც, მაგრამ ვერ ლაპარაკობს და ზეპირი მეტყველება ცუდად ან სულ არ ესმის. ლ.რ. ზინდერს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ერთმა კაცმა სადღაც მიყრუებულ პროვინციაში ისწავლა ინგლისური ენა წერილობითი გზით. იგი იცნობდა ინგლისურ ლიტერატურას, კითხულობდა გაზეთ „Times“, თუმცა ყველაფერი ესმოდა, რასაც კითხულობდა, მაგრამ ისე წარმოთქვამდა სიტყვებს, როგორც ვიზუალურად აღიქვამდა, ე.ი. წარმოთქვამდა არა ფონემებს, არამედ გრაფემებს (*ЗИНДЕР*, 1987:21).

თუ პირველ, მეორე და მესამე მიდგომას შევაჯერებთ, აღმოჩნდება, რომ ისინი ფონემის და გრაფემის ურთიერთმიმართებას სხვადასხვა რაკურსით წარმოადგენენ:

I ფონემა
⇓
გრაფემა
II ფონემა ⇔ გრაფემა
III ფონემა || გრაფემა

სამივე მიდგომა აღიარებს ფონემისა და გრაფემის გამიჯვნის აუცილებლობას, მაგრამ პირველ გრაფემას დაქვემდებარებულ ადგილს მიუჩენს, მეორე ფონემას და გრაფემას განუყრელად აკავშირებს ერთმანეთთან და თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, მესამე – გრაფემას დამოუკიდებელი, თვითკმარი ნიშნის სტატუსს ანიჭებს. წინამდებარე მონოგრაფიაში გაზიარებულია მესამე მიდგომა.

ფონეტიკის ცალკეულ სახელმძღვანელოებში ბგერების ინვენტარის დადგენა ასო-ნიშანთან მიმართებით ხორციელდებოდა, ამასთანავე ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრში ბგერა იდგა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 60-იან წლებში გამოცემული ო.ნ. ნიკონოვას „გერმანული ენის ფონეტიკა", რომელშიც ორი სახის ტაბულა, გვხვდება – „ბგერიდან ასოსკენ" (НИКОНОВА, 1958:121-123) და „ასოდან ბგერისკენ" (იქვე, 128-134). პირველი იყოფა ორ ნაწილად: ხმოვნების ტაბულად, რომელიც შეიცავს 19 ერთეულს, და თანხმოვნების ტაბულად, რომელიც შეიცავს 25 ერთეულს, სულ 44 ერთეულია. მეორე ტაბულა წარმოდგენილია 96 გრაფემით.

სავსებით კანონზომიერია, რომ ფონეტიკის სახელმძღვანელოში ძირითადი ყურადღება გადატანილი იყოს ბგერაზე და არა ასო-ნიშანზე. რაც შეეხება გრაფემას, იგი მკვლევრების მიერ უყურადღებოდ არ არის დარჩენილი და განიხილება ორთოგრაფიის ფარგლებში. ამასთანავე წინა პლანზე წამოიწევა გრაფემების იდენტიფიკაცია და მათი ინვენტარის შედგენა. 80-იან წლებში გამოცემულ წიგნში „შესავალი თანამედროვე გერმანული ენის გრამატიკასა და ორთოგრაფიაში" (DUDEN 1962) გვხვდება ორი ოთხსვეტიანი მატრიცა. პირველია Übersicht zu den Phonem-Graphem-Beziehungen თავისი ოთხი სვეტით: Phonem, Graphem, phonologisches Wort, graphisches Wort (იქვე, 254-256), მეორე – Übersicht zu den Graphem-Phonem-Beziehungen თავისი ოთხი სვეტით: Graphem, Phonem, graphisches Wort, phonoloisches Wort (იქვე, 256-258).

პირველ მატრიცაში ფონემების რიცხვი აღწევს 40-ს, გრაფემებისა 79-ს, მეორე მატრიცაში შესაბამისად – 79-ს და 63-ს. თუ შევაჯამებთ ორივე მატრიცის მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ გრაფემების საერთო რაოდენობა (GESCHICHTE DER ...1976) მეტია ფონემების საერთო რაოდენობაზე (DAS LÄSTERKABINETT 1970). მაგრამ ეს მარტივი არითმეტიკა მცდარია, რადგანაც არ ასახავს რეალურ სურათს. ეს კი ასეთია: არის შემთხვევები, როდესაც ერთ გრაფემას შეესატყვისება ორი ან სამი ფონემა, მაგალითად, <a>⇒|a|, |a:|; <s>⇒|s|, |z|, |ʃ|, და პირიქით, ერთ ფონემას შეესატყვისება ორი, სამი და ოთხი გრაფემაც კი, მაგალითად, |u|⇒<u>, <uh>; |a|⇒<a>,<aa>,<ah>; |i:|⇒<i>,<ie>,<ieh>,<ih>. ფონემი-

ss და გრაფემის ურთიერთმიმართება არ უდრის 1:1, არ არის შექცევადი და სიმეტრიული, შდრ., |s|⇒<s>,<ss>,<ß>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს გრაფიკული ნიშნები, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული გრაფემის სტატუსი. ასეთებს მიეკუთვნება c და y, რომლებიც გერმანულ ანბანში ფიგურირებს, მაგრამ არ არიან შეტანილი გერმანული გრაფემების ინვენტარში იმ საბაბით, რომ მხოლოდ უცხოურ სიტყვებში გვხვდებიან. შდრ., Café, Zyste, Hydro, Yacht. იგივე ითქმის ფონემებზეც.

შეიძლება კიდევ სხვა პრობლემების დასახელება როგორიცაა მაგალითად მაიუსკულების ადგილი გერმანული გრაფემების ინვენტარში. ä, ö, ü გრაფიკული ნიშნების შეტანა გერმანულ ანბანში და სხვა, რაც არ არის გადაჭრილი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ავტორები და წიგნები ფონემებისა და გრაფემების განსხვავებულ რაოდენობას ასახელებენ, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ფონემებისა და გრაფემების იდენტიფიკაცია მიმდინარე პროცესია და ჯერ არ დასრულებულა. არსებული მეცნიერული შრომებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება, რომ ბევრი პრობლემა ღიად რჩება ცალკერძ ფონეტიკისა და ფონოლოგიის, ცალკერძ ფონოლოგიისა და გრაფემიკის ურთიერთმიმართებების ფონზე.

13.2. ასო-ნიშანი თუ გრაფემა?

რაც შეეხება ასო-ნიშნისა და გრაფემის ურთიერთმიმართებას, მას ჩვეულებრივ ბგერისა და ფონემის ურთიერთმიმართების ანალოგიით განსაზღვრავენ. ბგერას შეისწავლის ფონეტიკა, ასო-ნიშანს – გრაფემიკა, ფონემას შეისწავლის ფონოლოგია, გრაფემას – გრაფემიკა. ფონემასა და გრაფემას შორის არსებობს პირდაპირი მიმართება, კომპლემენტარული მიმართებები ბგერასა და ასო-ნიშანს შორის არ აღინიშნება. ისევე როგორც ყველა ბგერა არ არის მოცემულ სისტემაში ფონემა, ყველა გრაფიკული ნიშანი არ არის გრაფემა. ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორ იქნება ინდივიდუალურად ბგერა წარმოთქმული ან როგორ იქნება ასო-ნიშანი დაწერილი, მარცხნივ თუ მარჯვნივ გადახრილი, როგორ ფორმას მიიღებს ასო-ნიშნის ცალკეული გრაფიკული დეტალი. მთავარია ინვარიანტი იყოს არსებითად შენარჩუნებული.

მიმართება ასო-ნიშანსა და გრაფემას შორის ცალსახა არ არის. ასო-ნიშანი და გრაფემა ყოველთვის არ ფარავს ერთმანეთს ერთი ენის გრაფემულ-გრაფიკული სისტემის ფარგლებში, რამდენადაც ყოველთვის წარმოდგენილია ერთი ნიშნის სახით, ხოლო მეორე შეიძლება არსებობდეს დიგრაფის, ტრიგრაფის, ტეტრაგრაფის და ლიგატურის სახით (შდრ. h, ch, sch, tsch, ß). ტექსტში ფუნქციონირების მხრივ მათ შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

თუ შედარებით უფრო ნათლად არის გარკვეული ფონემისა და გრაფემის მიმარტება, ამას ვერ ვიტყვით ასო-ნიშნისა და გრაფემის – ამ ორი ტერმინის/ცნების – ურთიერთმიმართებაზე. ლინგვისტიკური და განმარტებითი ლექსიკონები, ისევე როგორც ენათმეცნიერები, ამ ორ ტერმინს/ცნებას განსხვავებულად,

არათანმიმდევრულად განმარტავენ და იყენებენ, რაც უშუალო მიმართებაშია „დამწერლობის" („Schrifttum"), „ანბანის" („Alphabet") და „წერილობითი ენის" („Schriftsprache", „Schreibsprache") გაგებასთან. თეოდორ ლევანდოვსკის ლექსიკონში გრაფემა განიმარტება როგორც „Grundeinheit des Schrifttums bzw. Alphabets einer Sprache". Buchstabe ამ ლექსიკონში არ არის თავსიტყვად (ლემად) გამოტანილი. იგი მოიხსენიება ანბანთან დაკავშირებით: „**Alphabet** – Gesamtheit von in konventioneller Reihenfolge angeordneten Schriftzeichen/graphischen Zeichen/Buchstaben einer Sprache, die der schriftlichen Wiedergabe dieser Sprache dienen (vgl. ⇒ gesprochene Sprache, ⇒ geschriebene Sprache)" (LEWANDOWSKI 1984-1985). დუდენის ლექსიკონში „გრაფემა" არის „Kleinste bedeutungsunterscheidende Einheit in einem Schrifttum, die ein Phonem bzw. eine Phonemfolge repräsentiert. **Buchstabe** – Zeichen einer Schrift, dem in der Regel ein Laut entspricht: Schriftzeichen – Buchstabe. **Alphabet** – festgelegte Reihenfolge aller Schriftzeichen einer Sprache" (DUDEN 1976-1981). რუდი კონრადის ლექსიკონში: „Graphem – strukturelle Grundeinheit des Schrifttums einer Sprache. **Buchstabe**, selten **Graphem** – graphisches Zeichen, das zur Wiedergabe von Lauten und Lautverbindungen bzw. Phonemen, Phonemkombinationen und Phonemverbindungen dient" (CONRAD 1985).

აღარ გავაგრძელებთ სხვა ლექსიკონების დამოწმებას, ყველგან დაახლოებით ერთი და იგივე სურათია. ერთი მხრივ, წამლილია ზღვარი ისეთ ტერმინებსა/ცნებებს შორის, როგორიცაა: Schrifttum, Alphabet, geschriebene Sprache, Schrift, Schriftsystem, მეორე მხრივ, როგორიცაა: Graphem, Buchstabe, graphisches Zeichen, Zeichen einer Schrift, Grundeinheit des Schrifttums, des Schriftsystems, des Alphabets, kleinste bedeutungsunterscheidende Einheit in einem Schrifttum. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც ერთ ლექსიკონში თავსიტყვად დაფიქსირებულია Graphem და არ არის Buchstabe ან პირუკუ.

ენათმეცნიერულ ნაშრომთაგან ყურადღება გვინდა შევაჩეროთ წიგნზე, რომელიც შექმნილია ავტორთა კოლექტივის მიერ კ.ე. ზომერფელდტის, გ.შტარკესა და დ. ნერიუსის ხელმძღვანელობით (SOMMERFELDT 1983). საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ შესწავლის საგნად აღებულია გრამატიკა და ორთოგრაფია, რასაც ავტორები სასწავლო მიზანდასახულობით ხსნიან. მათი აზრით, აუცილებელია ზეპირმეტყველებისა (gesprochene Sprache) და წერილობითი ენის (geschriebene Sprache) ურთიერთმიმართების საკითხის აყვანა ძირითადი პრობლემის რანგში. ენის არსებობის ორივე სახეს თავისი სპეციფიკური კომუნიკაციური ამოცანები აქვს, ერთი განახორციელებს პირდაპირ კომუნიკაციას, მეორე – არაპირდაპირს. წერილობითი ენის უპირატესობებია: სიფართოვე, მისი ფუნქციონირების არის სიმყარე, განმეორებადობა, სიზუსტე და ვიზუალური აღქმადობა. ამასთანავე ავტორებს გამოპირობებული აქვთ ტერმინები: „geschriebene Sprache", რომელიც მოიცავს შინაარსობრივ და ფორმალურ მხარეებს, და „Schreibung" („Graphie") (იქვე, 23-24).

ნაშრომში დასმულია გრაფემისა და ასო-ნიშნის ურთიერთმიმართების სკითხიც. აქ არის მცდელობა ასო-ნიშნისა და გრაფემის გამიჯვნისა ტექსტიდან გამოსვლით. ასო-ნიშანი და გრაფემა მიჩნეულია გრაფიკული დონის ერთეულებად. გრაფემა განისაზღვრება როგორც გრაფიკული დონის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც აქვს მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია. ტექსტის (დაბეჭდილი იქნება ის თუ ხელნაწერი) სეგმენტაციის გზით აბზაცებად, სტრიქონებად, სიტყვებად და ა.შ. მიიღება უმცირესი ერთეულები **გრაფები**, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ასოები ისე პუნქტუაციის ნიშნები, დიაკრიტული ნიშნები, სიმბოლოები, ციფრები და ა.შ. ენის სისტემის გრაფიკული დონის ეს ერთეულები იწოდება **გრაფოგრაფემებად**, რომლებიც ორი სახისაა – „ასოებრივი" გრაფემები (მოკლედ: „ასოები" – „Buchstaben") და „არაასოებრივი" გრაფოგრაფემები („Nichtbuchstaben"). **ასო-ნიშანი** განისაზღვრება როგორც გრაფოგრაფემის მნიშვნელოვანი ტიპი, დაბეჭდილ ტექსტში ცარიელი ადგილებით (Lücken) გამოყოფილი უმცირესი გრაფიკული ერთეული, მიღებული გრაფიკული სიტყვის სეგმენტაციის შედეგად. საპირისპიროდ ამისა „არაასოები" წარმოადგენენ გრაფოგრაფემებს, რომელთა იდენტიფიკაცია ხდება ტექსტის სტრიქონის ფარგლებში.

გრაფემისა და ფონემის ურთიერთმიმართების გათვალისწინებით ნაშრომში გამოყოფილია მარტივი და რთული გრაფემები. მარტივი გრაფემა შეიძლება იყოს როგორც გრაფოგრაფემა, ისე ფონოგრაფემა, რთული კი მხოლოდ ფონოგრაფემა, რომელიც წმინდა გრაფული სეგმენტაციის შემდეგ იშლება ერთ, ორ ან სამ ასო-ნიშნად (SOMMERFELDT, 1983:250-253).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ასო-ნიშნისა და გრაფემის ურთიერთმიმართება ძნელი გასარკვევია, პრობლემად რჩება და შემდგომ სურსყოფას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება პრობლემის საბოლოო გადაჭრის პრეტენზია გვქონდეს, მით უფრო, რომ ეს არ შედის ჩვენი ინტერესების სფეროში.

ტექსტის ლინგვისტიკის მიმართებას გრაფიკულ ლინგვისტიკასთან და კერძოდ, გრაფემიკასთან, ჩვენ შევეხეთ მონოგრაფიის მესამე ქვეთავში. ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გვაინტერესებს ენის სისტემის გრაფიკული დონე, მის მიმართებას ფონოლოგიურ დონესთან ვეხებით მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და ვოპერირებთ სათანადო ტერმინებით/ცნებებით. „ასო-ნიშანი" და „გრაფემა" სინონიმებია, მაგრამ არა აბსოლუტური. მაგალითად, არსებობს geschriebene, gedruckte, große, kleine Buchstaben; ein lateinischer, griechischer, kyrillischer Buchstabe; Buchstaben malen, zeichnen, in Stein meißeln, in die Rinde schneiden; eine Zahl in Buchstaben schreiben; die vier Buchstaben (umg. für Popo); sich an den Buchstaben halten (KLAPPENBACH/STEINIZ 1975) და მრავალი სხვა, სადაც წარმოუდგენელია Buchstabe-ს შეცვლა Graphem-ით. ასევე, არსებობს Buchstabenschrift და არა *Graphemschrift; Großbuchstaben (Majuskeln) და Kleinbuchstaben (Minuskeln) და არა *Großgrapheme und *Kleingrapheme; graphische Merkmale და არა *buchstäbliche Merkmale და მრავალი სხვა.

როგორც ამ ორი სიტყვის გამოყენების კონტექსტებიდან ჩანს, სიტყვას Buchstabe გარდა ტერმინოლოგიურისა მოხმარების ფართო არე აქვს (მაგალითად, სიტყვაწარმოებასა და ფრაზეოლოგიაში), მაშინ როცა სიტყვა Graphem თავის ტერმინოლოგიურ ველში რჩება და ენის სისტემის გრაფიკულ დონეზე ფუნქციონირებს. ასო-ნიშნისა და გრაფემების ტერმინოლოგიურ ველში გამოიყოფა სეგმენტები, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ. ძირითადად კი „გრაფემა" განეკუთვნება გრაფიკული ლინგვისტიკის, მესაბამისად, გრაფემიკის ტერმინოლოგიურ ველს, ასო-ნიშანი კი დამწერლობათმცოდნეობის და წერისმცოდნეობის ველს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გრაფიკულ დონეზე არ ახსენო ასო-ნიშანი და დამწერლობათმცოდნეობის დონეზე გრაფემა. სათანადო კონტექსტში დონის მიუხედავად ერთზეც შეიძლება მსჯელობა და მეორეზეც. თუ ავიღებთ წერილობით ენას გლობალურად, აქ ასო-ნიშნისა და გრაფემის განმასხვავებელი ფუნქციები ნეიტრალიზდება. ტექსტის ინტერპრეტაციის დროს ერთსა და იმავე გრაფიკულ ნიშანს შეიძლება ეწოდოს ასო-ნიშანი ან გრაფემა იმის მიხედვით, თუ რომელი დონე იგულისმება.

13.3. ბათიზმატური ველის გრაფემულ-გრაფიკული სუბსტრატი

ასო-ნიშნის გრაფიკულმა მონახაზმა, ე.ი. „ანატომიურმა" მახასიათებელმა, ტექსტში შეიძლება შეიძინოს სხვა ღირებულება, ვთქვათ, სტილისტური, თუ ავტორი მას გამოიყენებს საგანგებოდ აზრობრივი, სიმბოლური ან სხვა მიზნით ეს უკვე ასო-ნიშნის „ფიზიოლოგიური ფუნქცია" იქნება. ტექსტის ლინგვისტიკას აინტერესებს სწორედ გრაფიკული ნიშნის „ფიზიოლოგია" და არა „ანატომია". გრაფიკა უშუალო კავშირშია წერილობით ენასთან და გრაფემებისა და სხვა არაგრაფემული ნიშნების გამოყენება დიდ როლს თამაშობს ტექსტის ორგანიზებაში. ტექსტში აზრობრივი მარკირება ხდება არა მარტო გრაფემული, არამედ არაგრაფემული, მეტაენობრივი გრაფიკული ნიშნებითაც, როგორიცაა, პუნქტუაციის ნიშნები, ლათინური და დედაენაზე შექმნილი შემოკლებანი, ქიმიური ელემენტების აღნიშვნები, ციფრები, მათემატიკური ნიშნები და სიმბოლოები და ა.შ., აგრეთვე სიტყვათშორისი სივრცე, ტექსტის დისკრეტაციის ნიშნები და მისთ. ამ მეტაენობრივ ნიშნებს არ გააჩნია ბგერითი (ფონოლოგიური) შესატყვისები და უშუალოდ არიან დაკავშირებული ტექსტის შინაარსთან (მათ სემასიოგრამებსაც უწოდებენ), რაც ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ წერილობითი ენა თვითმყოფი სისტემაა.


ტექსტის ლინგვისტიკას ტექსტი აინტერესებს, და ეს უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, არა მარტო როგორც ენობრივი წარმონაქმნი, არამედ აგრეთვე როგორც წერილობითი მოღვაწეობის შედეგი, რომლის ფორმირება ხდება გრაფემული და არაგრაფემული ნიშნების გამოყენებით. ენის გრაფიკული სისტემის ერთეულების გამოკვეთა და თვალსაჩინოდ ჩვენება შეიძლება ზეპირმეტყველებისა და წერილობითი ენის დისკრეტული ერთეულების შეპირისპირებით.

ზეპირმეტყველება	წერილობითი ენა
დისკურსი	ტექსტი
გამონათქვამი (ფრაზა)	წინადადება
სინტაგმა	შესიტყვება
ფონეტიკური სიტყვა	გრაფიკული სიტყვა
ფონეტიკური მარცვალი	გრაფიკული მარცვალი
ფონემა	გრაფემა


ამ ორი იდიალიზებული ოპოზიციური რიგიდან მარჯვენა წარმოადგენს ტექსტის სუბსტანციური სტრუქტურის ძირითად კომპონენტებს, რომლებიც განლაგებული არიან ტექსტში როგორც ჰორიზონტალურად ისე ვერტიკალურად და ქმნიან ბათიზმატური ველის გრაფემულ-გრაფიკულ სუბსტრატს.

ტექსტის ბათიზმატური ველის სტრუქტურაში ჩვენ გამოვყავით ხუთი ფენა: ტოპოლოგიური ჩარჩო, გრაფემულ-გრაფიკული ფენა, არქიტექტონიკული ფენა, აქტუალიზებული ენის ფენა, სემანტიკური ფენა (იხ. 8.3.). მესამე, მეოთხე და მეხუთე ფენების ფუნქციები განვიხილეთ მეოთხე თავში (იხ. 4.10., 4.11., 4.12.). ახლა გვინდა ყურადღება შევაჩეროთ პირველ და მეორე ფენაზე.


ბატიზმატური ველის ჩარჩო არ არის მხოლოდ კონტურები, რომელიც შიგნით ცარიელია. ეს არის ტოპოლოგიური ჩარჩო, რომელსაც ავსებენ გრაფემულ-გრაფიკული ნიშნები. უმცირესი დისტინქტური ერთეულებია ჰორიზონტალურად განლაგებული გრაფემები, რომელთა კომბინაციები ქმნიან სსვა შედარებით მომცრო ან უფრო დიდ ერთეულებს. ლინეარული რიგები მიემართებიან მარცხნიდან მარჯვნივ პროგრესირებადი სეგმენტებით: გრაფემა, გრაფემათა მინიმალური კომპლექსი – მარცვალი, გრაფემების მაქსიმალური კომპლექსი (მარცვლების ბლოკი) – სიტყვა, სიტყვების თავისუფალი ლინეარული კომპლექსი სტრიქონი, სტრიქონების ბლოკი – აბზაცი. ტექსტის ზედა და ქვედა ზღვარი მონიშნულია სტრიქონებით. ჩამოთვლილი სუბსტანციური ერთეულები (ი. ვახეკი მათ ონტიურს უწოდებს seinsmäßig-ის გაგებით) ერთმანეთთან დაკავშირებული არიან არაგრაფემული გრაფიკული საშუალებებით და ერთმანეთისგან გამოყოფილი სიტყვათშორისი ინტერვალებით (Leerstelle). გრაფემების ლინეარული შრკრივები-სტრიქონები, თავის მხრივ, განლაგებული არიან ერთმანეთის მიმართა ვერტიკალურად განსაზღვრული სტრიქონთშორისო ინტერვალების დაცვით. სტრიქონები მიემართებიან მარცხნიდან მარჯვნივ, განლაგდებიან ერთმანეთის მიმართ ზევიდან ქვევით, ქმნიან აბზაცებს და იკვრებიან ტექსტად.



შდრ. სემიტურ დამწერლობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია საპირის-პირო მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ.



აქვე უნდა აღვნიშნოთ ე.წ. ბუსტროფედონი (Bustrophedon), რომელსაც თ.გამყრელიძე მოიხსენიებს ანბანური წერის მიმართულების განხილვის დროს (გამყრელიძე, 1989:176). ჟაკ დერიდა მას Furchen-Schrift-სა და ლინეარული და ფონოგრაფიული შრიფტის „ერთ მომენტს“ უწოდებს. ბერძნებმა თავი მიანებეს ამ შრიფტსო, დასძენს იგი (DERRIDA, 1983:494).



სტრიქონზე უფრო დაბალი იერარქიული ერთეულები თავსდებიან სტრიქონების ფარგლებში, ვერტიკალურად დალაგებული სტრიქონები ქმნიან ბლოკებს – აბზაცებს, ხოლო აბზაცები ტექსტის სუბსტანციურ სტრუქტურას ანუ ტექსტურას, რომელიც წარმოადგენს მონოლატერალურ სუბსტრატს, მატერიალურ საყრდენს ტექსტის აგებისათვის. ენის წინარეცოდნა გულისხმობს გრაფემულ-გრაფიკული ფენის კომპონენტების ავტომატიზირებას. როგორც დამწერს, ისე მკითხველს უნდა შეეძლოს გრაფემულ-გრაფიკული ნიშნების თავისუფალი, ძალდაუტანებელი გამოყენება. ეს ნიშნები მათთვის უნდა იყოს, როგორც ამბობენ, გამჭვირვალე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წარიმართება კომუნიკაციის პროცესი ხარვეზების გარეშე და მიიღწევა გაგება-გაგებინება.[12]

ტექსტის ტოპოლოგიურ ჩარჩოს და გრაფემულ-გრაფიკულ ფენას ჩვეულებრივ ნაკლები ყურადღება ექცევა, და თუ ისინი ენის მომხმარებელთა ინტერესებს იმსახურებენ ხოლმე, ეს ხდება გაუცნობიერებლად მხოლოდ მაშინ, როცა პრაქტიკული მიზნები წამოტივტივდება, მაგალითად, საჭირო ხდება წერა-კითხვის შესწავლა, წაკითხულიდან შინაარსის გამოყვანა და მისთ. არა და, ქვემოთ ვნახავთ, ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე როგორ შეიძლება გამიზნულად და სავსებით გააზრებულად ტოპოლოგიური ჩარჩოს დესტრუქციით, თუ გრაფემულ-გრაფიკული ნიშნების არასტანდარტული გამოყენებით და წერის ტრადიციული მიმართულების მთლიანობის დარღვევით არაორდინარული ტექსტების შექმნა. ამასთანავე „დესტრუქცია", „დეფორმაცია" და მისთ. ტერმინები აქ კარგავენ უარყოფით მნიმვნელობას და ის, რაც დეფორმირებულია, ე.ი. ფორმის მიხედვით ნორმიდან უხვევს და არატრადიციულია, შეიძლება საზრისთან ფორმის შეხამების, აზრის ფორმაში ჩამოსხმის თვალსაზრისით მშვენიერი იყოს და გრაფოესთეტიკურ ეფექტს ქმნიდეს. დასაშვებია, როგორც ტოპოლოგიური ჩარჩოს ტრადიციული კონტურების დარღვევა, ისევე ტოპოლოგიური ჩარჩოს სტანდარტული კონტურების დაცვით ჩარჩოს შიგნითა სივრცის სხვადასხვა სახით დისკრეტაცია, გრაფემების, სიტყვების, სტრიქონების გადაადგილება, მათი სხვადასხვა ნახჭებით დალაგება და მთლიანობაში მეტნაკლებად არაორდინარული ტექსტის შექმნა.

ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაცია და გრაფემულ-გრაფკული ნიშნების არასტანდარტული გამოყენება ხშირად აძნელებს ტექსტის შინაარსობრივ გაშიფვრას და მის გაგება-გაგებინებას. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში მკითხველმა/ინტერპრეტატორმა უნდა მოუხმოს არა მარტო ენობრივ, არამედ ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციასაც, გაითვალისწინოს ავტორის სულიერი სამყაროს თავისებურებანი და ბიოგრაფიული დეტალები, მაგრამ ეს ძალზე ძნელი პროცედურაა საშუალო მკითხველისათვის, ვისაც სათანადო წინარე

[12] საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როდესაც ბავშვი იწყებს დედაენის (თუნდაც მოზრდილი უცხოური ენის) სწავლას მის წერილობით ვარიანტში, ვიდრე ენობრივი ნიშნის გამჭვირვალობა არ მიიღწევა, კითხულობს ასოებს, ნარმოთქვამს, წინადადებას, მაგრამ აზრი ვერ გამოაქვს. ხედავს გრაფიკულ ნიშნებს და ვერ აღიქვამს მათ სიღრმეში ჩადებულ აზრს.

ცოდნა არ გააჩნია. ის კი არა, სათანადო წინარეცოდნით აღჭურვილმაც კი, როგორც ამას საქმეში ჩახედული მკვლევრები აღნიშნავენ, ასეთი ტექსტის ინტერპრეტაციისას შეიძლება მხოლოდ მიახლოებითი ზღვარი გადალახოს, თორემ აბსოლუტურს ვერ მიაღწევს.

მეცამეტე ქვეთავის დასკვნები

1. ენის სისტემის ფონოლოგიური და გრაფიკული დონეების გამიჯვნა სულ უფრო გამოკვეთილ კონტურებს იღებს. უკვე დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გრაფიკული დონის ერთეულებს გარდა დამხმარე ფუნქციისა, როდესაც ისინი ზეპირი მეტყველების ფიქსირებას ახდენენ, აქვთ ძირითადი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი დანიშნულება, განახორციელონ კომუნიკაციის პროცესი და კოგნიტიური ოპერაციები პირდაპირ ფონემების გვერდის ავლით. მკითხველი ვიზუალურად ისევე იღებს ინფორმაციას, როგორც მსმენელი აუდიურად.
2. ტექსტის სუბსტანციური სტრუქტურა შედგება ასო-ნიშნების, გრაფემებისა და არაგრაფემული, გრაფიკული ნიშნებისგან. ბათიზმატური ველის ტოპოლოგიური ჩარჩო შევსებულია გრაფემულ-გრაფიკული ფენით, რომელსაც ქმნიან უმცირესი დისტინქტური ერთეულები – გრაფემები და არაგრაფემული ნიშნები. გრაფემების კომბინაციით იქმნება სიტყვა, სიტყვების მაქსიმალური კომპლექსია სტრიქონი. სტრიქონები ადგენენ აბზაცებს, ხოლო აბზაცები იკვრებიან ტექსტად.
3. გრაფემისა და ფონემის ოპოზიცია ტექსტის როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადების განხილვის კონტექსტში არარელევანტურია. ხოლო „გრაფიკული ნიშანი", „გრაფემა", „ასო-ნიშანი" წარმოადგენენ სინონიმურ ტერმინებს აბსტრაქციის მეტ-ნაკლები ხარისხით და გამოიყენებიან კონტექსტებში, სადაც მათი სემანტიკური სტრუქტურები ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს და ნაწილობრივ განსხვავდება.
4. ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ერთ-ერთი საგანი შეიძლება იყოს ენის სისტემის გრაფიკული დონე და ტექსტის სუბსტანციური სტრუქტურა, ტექსტის ბათიზმატური ველის ტოპოლოგიური ჩარჩოსა და გრაფემულ-გრაფიკული ფენის არასტანდარტული გამოყენება, მათი ცალკეული კომპონენტების პუანტირება და დესტრუქცია იძლევა არაორდინარული ტექსტებისა და გრაფოესთეტიკური ეფექტის შექმნის შესაძლებლობას.

14.0.ასო-ნიშნების (გრაფემების) გამოყენების სპეციფიკური კონტექსტები

ადამიანი ენის გაცნობიერებას ანბანის შესწავლასთან ერთად იწყებს. იგი ასოების წყალობით ეცნობა ენის ჯადოსნურ სამყაროს. მის თვალწინ საოცრება ხდება: ხელით მოხაზული პაწაწინა არსებები იკვრება მარცვლებად, სიტყვე-

გად, სტრიქონებად, აბზაცებად, ტექსტებად და აზრი ხორცს ისხამს. დამწერლობა კულტურისა და მეცნიერების განვითარების საშუალება და საფუძველია. ამიტომ არის, რომ უძველესი დამწერლობის მქონე ერები ასე ამაყობენ თავისი ანბანით, უფრთილდებიან, საუკუნეების მანძილზე ელოლიავებიან და ინახავენ მას. ის გვინახავს ისტორიას, მისი საშუალებით ვქმნით სამყაროს სურათს. დროთა განმავლობაში ყველაფერი კვდება, ქრავდება, მხოლოდ დაწერილი სიტყვა ცოცხლობს. კარგად უთქვამს პოეტს:

Молчат гробницы, мумии и кости –
Лишь слову жизнь дана:
Из древней тьмы, на мировом погосте,
Звучат лишь Письмена.

Иван Бунин

ანბანის მეშვეობით იქმნება ის საკრალური სამყარო, რომელში შესვლასაც ძალისხმევა და დრო სჭირდება, და თუ ამ სამყაროს ერთხელ ეზიარები, ველარ მოსწყდები.

უადგილო არ იქნება აქ ჰერმან ჰესეს ერთი ლექსის გახსენება, რომლის სათაურია „Buchstaben". ლექსში თემატიზირებულია ენობრივი ნიშნების მაგიური ძალა. ანბანის მეშვეობით ასახავს ადამიანი თავის მიმართებას სამყაროსადმი. ველური ადამიანი ან მთვარიდან ვინმე რომ მოსულიყო და ანბანი ესწავლა, ასო-ნიშნებში დაინახავდა ადამიანსა და ცხოველს, სიცოცხლესა და სიკვდილს. მის თვალწინ გადაიშლებოდა მთელი სამყარო თავისი სიხარულითა და ბედნიერებით, სიძნელეებითა და საშინელებებით. ამ „რუნების" ველის საიდუმლოების გახსნით ჩასწვდებოდა იგი უცხო სამყაროს და შეიმეცნებდა თავის თავს. ვინ იცის, ამ დაწერილი ნიშნების ცოდნას მასში სინანულიც კი გამოეწვია. ის ხომ ბედნიერი იყო, ვიდრე დაწერილი ნიშნებით თამაშის წესებს ისწავლიდა. აი, ეს ლექსი:

HERMANN HESSE

Buchstaben

Gelegentlich ergreifen wir die Feder
Und schreiben Zeichen auf ein weißes Blatt,
Die sagen dies und das, es kennt sie jeder,
Es ist ein Spiel, das seine Regeln hat.
Doch ein Wilder oder Mondmann käme
Und solches Blatt, solch furchig Runenfeld
Neugierig forschend vor die Augen nähme,
Ihm starrte draus ein fremdes Bild der Welt,
Ein fremder Zauberbildersaal entgegen.
Er sähe A und B als Mensch und Tier,
Als Augen, Zungen, Glieder sich bewegen,

Bedächtig dort, gehetzt von Trieben her,
Er läse wie im Schnee wie den Krähenritt,
Er liefe, ruhe, litte, flöge mit
Und sähe aller Schöpfung Möglichkeiten
Durch die erstarrten schwarzen Zeichen spuken,
Durch die gestabten Ornamente gleiten,
Säh Liebe glühen, sähe Schmerzen zucken.

და ა.შ.

(HESSE, 1981:153-154)

14.1. ასო-ნიშანი (გრაფემა) – ენობრივი გამონათქვამის გრაფიკული დომინანტი

1) დიდი კულტურისა და ბველი დამწერლობის მქონე გერმანელი ხალხი თავის ენაში ასო-ნიშნების მეშვეობით გამოხატავს იდიომატური გამოთქმების საზრისებს. მაგალითად, Das A und O ნიშნავს: das Wichtigste, die Hauptsache. Von A bis Z ნიშნავს: von Anfang bis Ende, ganz, Gesamtheit.

ანბანსა და წერასთან დაკავშირებული საგნები და ცნებები საფუძვლად ედება იდიომატურ გამოთქმებს, რომლებიც ძირითადად სასაუბრო ენაში გამოიყენება. ასეთებია მაგალითად, sich auf seine vier Buchstaben setzen; bei j-m gut angeschrieben sein; das ist klar wie dicke Tinte; Tinte gesoffen haben; j-m den Text lesen; das Heft in der Hand haben; bei j-m in der Kreide stehen და ა.შ. (KLAPPENBACH/STEINIZ 1975).

2) უამრავი თავსატეხი, კროსვორდი, რებუსის სხვადასხვა სახე იქმნება ბავშვებისა და მოზარდებისთვის (სხვათა შორის მათი ამოხსნით ახლაგაზრდა და ხანდაზმული ადამიანებიც კარგად ერთობიან), რომელთა მიზანია პაწაწინა გრაფიკული ნიშნების მეშვეობით მათ გონება გაუვარჯიშოს, ცოდნა გაუფართოვოს, ანბანი შეაყვარონ, წერის კულტურას აზიარონ.

საბავშვო გაზეთი „ABC-Zeitung“, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდიოდა, ბოლო გვერდს სისტემატურად უთმობდა ასო-ნიშნებზე აგებულ თავსატეხებს, რებუსებს, კროსვორდებს და აერთიანებდა მათ სათაურით „Zum Lachen und Raten“. რა სახის და ფორმის, რა თემისადმი მიძღვნილ თავსატეხს არ ნახავდით აქ. თავსატეხები ვიზუალურად კარგად აღიქმებოდა, რადგანაც ასო-ნიშნები კომბინირებული იყო სხვადასხვა ფერებთან და გრაფიკულ ფიგურებთან. აი, ზოგიერთი მათგანი:

ამ თავსატეხს ჰქვია Das „O“ auf der Treppe, O-ს უჯრედები ვარდისფერია. დავალება ასეთია: Tragt die Lösungswörter waagerecht einl 1. Verwandter; 2. Süßer Brotaufstrich; 3. Kleiderverschluß; 4. Männername; 5. Anruf.

„ABC-Zeitung“ 2/1989

O	*n*	*k*	*e*	*l*
H	*O*	*n*	*i*	*g*
K	*n*	*O*	*p*	*f*
A	*n*	*t*	*O*	*n*
H	*a*	*l*	*l*	*O*

(თავსატეხი შევავსეთ, რომ მკითხველმა მის ამოხსნაზე ზედმეტად არ იტეხოს თავი – ვ.ფ.)

მეორე თავსატეხს ჰქვია „Rätsel-Alphabet". ასო-ნიშნები ჩაწერილია წითელი ფერით, დავალება ასეთია Findet Begriffe mit 4 Buchstaben! A=Zootier; B=Sport- und Spielgegenstand; C=Singgemeinschaft; D=eine Ziffer, E=Laubbaum. (ეს თავსატეხიც შევსებულია – ვ.ფ.).

A	F	f	e
B	A	l	l
C	H	o	r
D	R	e	i
E	R	l	e
F			
G			
H			

ვისაც სურს, შეუძლია რებუსი თავად განავრცოს, გვეუბნება ბოლოს ავტორი.

„ABC-Zeitung" 13/1988

არსებობს თავსატეხები, რომლებიც აცნობიერებენ ასო-ნიშნის დისტინქტურ ფუნქციას. ასო-ნიშნების ჩანაცვლებით ერთი სიტყვიდან მიიღება მეორე. სიტყვის გამოცნობის გასაადვილებლად მოხმობილია თვალსაჩინოება. თავსატეხის ტექსტს თან ახლავს სურათები, რომლებიც გამოხატავენ გამოსაცნობი სიტყვებით აღნიშნულ საგნებს. შესაცვლელი სიტყვები დაბეჭდილია მუქი შრიფტით. ერთ-ერთი თავსატეხის ტექსტი ასეთია:

Veränderlich

Verändert immer den zweiten Buchstaben der folgenden Wörter: Bach, Berg, Boot, Düsel, Faß, Harz, Huhn, Tusche, Wonne, Hand. Findet heraus, welchem Bild sie zuzuordnen sind.

მარჯვნივ ფერადი სურათებია, რომელთა თანმიმდევრობა არ შეესატყვისება შერჩეული სიტყვების თანმიმდევრობას მწკრივში.

ასო-ნიშნების ჩანაცვლებით მიიღება შემდეგი სიტყვები: Bach-Buch, Berg-Burg, Boot-Brot, Düsel-Dübel, Faß-Fuß, Harz-Herz, Huhn-Hahn, Tusche-Tasche, Wonne-Wanne, Hand-Hund.

ასო-ნიშნების მონახაზის, გრაფიკული დეტალების გასარჩევად და დასამახსოვრებლად არსებობს გარითმული ლექსები. ზოგჯერ ტექსტში გამოტოვებულია პუნქტუაციის ნიშნები (წერტილი, მძიმე...) და დავალება იმასაც მოითხოვს, რომ სათანადო ნიშნები ჩაისვას. ასე მაგალითად, ქვემომოყვანილი ტექსტი ეძღვნება O და U ასო-ნიშნების მსგავსება-განსხვავების გაცნობიერებას.

Setzt die Satzzeichen selbst ein!

Erst O
dann U

Fiel ins Stroh
dickes O
rutschte schief
träumte schlecht
war geschwächt
kroch heraus
sah nur aus
wie verzogen
aufgebogen
nicht mehr zu
war ein U

Klaus Keilmann
ABC-Zeitung
15/1989

14.2. ორთოგრაფია და ტექსტი

გრაფიკულ ნიშანს შეუძლია შეასრულოს ფუნქცია, რომელსაც ვერ შეასრულებს ფონება, ამიტომაც არსებობს დაწერილობის შეზღუდვები, რომელთა დაცვა სავალდებულოა კოდიფიცირებულ სალიტერატურო ენაში. გრაფემებს ამ შემთხვევაში აქვთ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია და მათი გამოყენების დროს წერილობით ენაში დაუშვებელია ნორმების დარღვევა.

ა) ფონემებისა და გრაფემების განსხვავებულ ფუნქციებს აფიქსირებენ ჰომოფონები, რომლებიც ერთნაირად წარმოითქმის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობა და დაწერილობა აქვთ. განსხვავებული მნიშვნელობები იქმნება გრაფემების ჩანაცვლებით, რაც შეიძლება ხორციელდებოდეს ორი გრაფემის, ნულოვანი გრაფემის, რთული ან დიგრაფის საშუალებით, ასეთი ოპოზიციური წყვილებია: Ferse ქუსლი – Verse ტაეპი, ლექსი; fiel წაიქცა – viel ბევრი; rein

სუფთა – Rhein მდ. რაინი; Laib დიდი პურის კერი – Leib სხეული; mein ჩემი – Main მდ. მაინი; malen ხატვა – mahlen დაფქვა; war იყო – wahr ჭეშმარიტი; Sole მარილწყალი – Sohle ლანჩა; Stil სტილი – Stiel სახელური, ტარი; Aale გველთევზები – Ahle მახათი; Meer ზღვა – mehr მეტი; Moor ჭაობი – Mohr მავრი; wider წინააღმდეგ – wieder კვლავ და მრავალი სხვა (ПАУЛЬ, 1960:454).

ბ) სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს მაიუსკულური და მინუსკულური ასო-ნიშნების ოპოზიცია. ეს კარგად ჩანს შემდეგ ნიმუშებში: (das) Singen – singen; (die) Zwei – zwei; Sie – sie; Ihr – ihr; Recht – recht; Schuld – schuld, Angst – angst.

იგივე ოპოზიცია საკუთარი სახელების დაწერილობაში შემდეგ ნიუანსებს გამოხატავს: მინუსკულებით დაწერილი საკუთარი სახელები აღნიშნავენ საზღვრული სახელის თვისებას (პასუხობენ კითხვას was für ein?), მაშინ როცა მაიუსკულებით დაწერილები კუთვნილებას გამოხატავენ (პასუხობენ კითხვას wessen?). მაგალითად, homerisches Gelächter – Homerische Gedichte; solomonische Weisheit – Solomonische Gesetzgebung; Verse von schiller[i]schem Pathos – Schiller[i]sche Balladen; Verse von goethescher/goethischer Klarheit – Goethesche/Goethische Dramen; arianische Auffassung – der Arianische Streit და სხვა (DUDEN 1980).

გ) სემანტიკურ დიფერენციას ემსახურება აგრეთვე რთული გრაფიკული სიტყვების შერწყმულად და ცალ-ცალკე დაწერა, ასეთებია მაგ.,

frei lassen (einen Platz) – freilassen (Gefangene);
frei machen (einen Platz) – freimachen (Briefe);
frei sprechen (ohne Hilfe) – freisprechen (einen Verurteilten);
frei stehen (ohne Stütze) – freistehen (erlaubt sein);
gleich machen (sofort machen) – gleichmachen (angleichen);
hoch schätzen (die Kosten) – hochschätzen (ehren);
sitzen bleiben (nicht aufstehen) – sitzenbleiben (in einer Klasse);
stehen bleiben (sich nicht setzen) – stehenbleiben (nicht weitergehen);
klar werden (das Wetter) – klarwerden (sich über etwas)

და სხვა (იქვე, 1980).

დ) ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის გამოყენება სიტყვების სემანტიკური განსხვავების მიზნით დაწერილობაში აისახება, სიმოკლე ორი გრაფემით აღინიშნება: kam – Kamm; Kahn – kann; fahl – Fall; las – laß; rate – Ratte; Wahn – wann; Staat – Stadt; Staat – statt, den – denn და სხვა.

ორთოგრაფიული ნორმები ტექსტში დაცული უნდა იყოს, რათა გაგება-გაგებინება არ დაბრკოლდეს. მომცრო თავშესაქცევ ტექსტებში ხშირად გამოიყენება მათი გამიზნული დარღვევა, რაც ტექსტის შექმნას შეიძლება დაედოს საფუძვლად. ამ ტიპის ტექსტები ინტერპრეტირებული იყო წინამდებარე მონოგრაფიის მეთერთმეტე პარაგრაფში როგორც სემანტიკურად პუანტირებუ-

ლი, მაგრამ გრაფემულად ორდინარული ტექსტები. ახლა მხოლოდ გრაფემულად პუანტირებულ ტექსტზე იქნება მსჯელობა.

გრაფემების აღრევა აბნელებს ტექსტის გაგებას და კომიკურობის ეფექტს ქმნის. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია s გრაფემისა და ß ლიგატურის აღრევა. გერმანული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში შეხვდებით ამ ორთოგრაფიული ნორმის დარღვევის გასაცნობიერებელ თავშესაქცევ ტექსტებს. მაგალითად: კურტი და ანა ერთ მერხზე სხედან. კურტმა ცუდად იცის მართლწერის წესები, ამიტომ თვალს აპარებს ანას რვეულისაკენ და იმის შიშით, რომ მასწავლებელმა არ შენიშნოს გაფაციცებით იწერს გოგონას რვეულიდან Peter ißt Schüler. პეტერი ჭამს მოსწავლეს. Monika ist Kuchen მონიკა არის ნამცხვარი.

შემდგომ ტექსტებს მთლიანად ორიგინალში მოვიყვანთ, რადგანაც თარგმანში იკარგება დომინანტური გრაფემის ფუნქცია.

Die Familie ist mit dem Auto unterwegs. „Aufgepaßt, jetzt kommt gleich eine S-Kurve", sagt der Vater. „Gibt es auch Trink-Kurven?" erkundigt sich Klein-Doreen. ABC-Zeitung 16/1988

ტექსტი აგებულია s გრაფემაზე, რომლის, როგორც ასო-ნიშნის სახელწოდება ემთხვევა essen (ჭამა) ზმნის ძირს.

Torsten mag drei Jahre alt gewesen sein, als seine Eltern ihm erzälten, daß früher mit Gänsefedern geschrieben wurde. Erstaunt fragte der kleine Sachse: „Nur mit Gänsevädern! Warum nicht Gänsemüddern?" Sprachpraxis. Beilage der Zeitschrift DaF 1/1987

საქსონელებზე ბევრი ანეკდოტი არსებობს, განსაკთრებით პატარა საქსონელებზე. ეს ტექსტი აგებულია სალიტერატურო და დიალექტური ფორმების მქონე სიტყვების თამაშზე. ტექსტის დომინანტის ორაზროვნება სწორედ გრაფიკული საშუალებებით მიიღწევა. წარმოთქმაში არავითარი განსხვავება არ არის federn და vädern სიტყვებს შორის. მხოლოდ დაწერილობაში ჩანს, რომ Feder (ბატის) „ფრთაა", ხოლო Väder დიალექტური ფორმაა სიტყვისა Vater „მამა". ასევე: Müttern – Müddern.

Tierfreundlich

„Habt ihr schon in der Zeitung gelesen?" ruft Moni ganz aufgeregt. „In der Stadt gibt es extra ein Haus für Katzen!" Die Freunde greifen alle gleichzeitig nach der Zeitung. Dort steht: „Großes Mietshaus zu verkaufen!" ABC-Zeitung 3/1988

ტექსტი აგებულია ts დიგრაფის და z გრაფემის აღრევაზე, რომელთა განსხვავება არ ჩანს წარმოთქმაში და ჩანს დაწერილობაში: Mietshaus „მრავალბინიანი სახლი, რომლის ბინებიც ქირავდება" – Miez, Mieze, Miezekatze, Miezekätzchen „ფისუნია".

„Essen Sie gerne Wild?" fragt der Ober. Antwortet der Gast erstaunt: „Nein, lieber ruhig, unauffällig und gesittet." (WITZPARADE, 1984:54).

ტექსტი აგებულია მაიუსკულური და მინუსკულური ასო-ნიშნების აღრევაზე. „Wild" ნიშნავს „ნანადირევს, გარეული ფრინველის ხორცს"„wild" – „გამგელებულს", „გაფაციცებულს".

Der Lehrer fragte den Schüler: „Wieviel Tage hat die Woche? Wie heißen sie?" Der Schüler antwortete: „Die Woche hat sieben Tage und ich heiße Georg." (საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდან).

აქაც „sie" და „Sie" გრაფოსიტყვების მნიშვნელობის დიფერენცირება შესაძლებელია მხოლოდ დაწერილობის მიხედვით: მინუსკულით დაწერილი „sie" ნიშნავს „მათ" (მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელი), მაიუსკულით დაწერილი „Sie" ნიშნავს „თქვენ" (თავაზიანი მიმართვის ფორმა).

In der Schule werden Fremdwörter durchgenommen. „Was ist 'analog'?" fragt der Lehrer? – „Die Vergangenheit von 'Anna lügt', Herr Lehrer." Trommel 29/1988.

ტექსტი აგებულია, ერთი მხრივ, მაიუსკულისა და მინუსკულის აღრევაზე, მეორე მხრივ, შერწყმულად და ცალ-ცალკე დაწერილობაზე: „analog" – ზედსართავი „ანალოგიური"„Anna log" „ანა ტყუოდა"„Anna log" Präteritum ზმნისა lügen.

სახალისო ტექსტი შეიძლება აიგოს საკუთარ სახელებზეც.

Ein Lehrer übernimmt zu Beginn des Schuljahres eine dritte Klasse. Am ersten Unterrichtstag fragt er die Kinder nach ihren Namen:

"Nun, wie heißt du?" – „Ich heiße Hannes" „Doch wohl Johannes?" – „Ja, aber die Eltern sagen nur Hannes."

"Und wie ist dein Name?" – „Ich heiße Achim". „Doch wohl Joachim?" – „Ja, aber alle rufen mich Achim."

"Und wie heißt du? – „Nu, da werd' ich wohl Jokurt heißen." Sprachpflege 4/1985

პირველი ორი სახელი Johannes და Joachim მართლაც არსებობს, მესამე შექმნილია მათი ანალოგიით, მაგრამ Kurt არსებობს, Jokurt – არა. ამას გარდა ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოიწვიოს Joghurt-ის ასოციაცია, რაც ნიშნავს „ხილიან მაწონს".

Wie heißt der italienische Erfinder des Schnellkochtopfes?" „Klarer Fall: Gari – Baldi" (WITZPARADE, 1984:54).

საკუთარი სახელის Garibaldi გახლეჩა ორად, თითოეული მათგანის მაიუსკულით დაწერა და დეფისით შეერთება იწვევს შემდეგ ასოციაციას: gar „მზად, მოხარშული", bald „მალე, სწრაფად", ხოლო i გრაფემა, რომელზეც ჩვეულებრივ იტალიური გვარები ბოლოვდება, კიდევ უფრო აძლიერებს სიტყვების თამაშით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. ამას გარდა იტალიური გრაფოკომპლექსების ვიზუალური (და აუდიურიც) დამთხვევა გერმანულ სიტყვებთან „gar" და „bald" მოულოდნელობის ეფექტს ქმნის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრაფემების ფუნქცია ტექსტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა რეკლამა. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც სხვა გრაფიკულ სამუალებებთან ერთად უხვად გამოიყენება სხვადასხვა ფერისა და ზომის გრაფემები და მათი ვარიანტები, რომლებიც ჩასმულია გრაფიკული სიტყვის თავში, შუასა და ბოლოში. მაგრამ უჩვეულო შეერთება გრამატიკული და გრაფემული ელემენტებისა ახალი, სპეციალურად შექმნილი სარეკლამო გრაფიკული სიტყვის შექმნისათვის, არც თუ ისე ხშირია.

An unsere LeserInnen

Sobald die Modalitäten des weiteren Erscheinens unserer Zeitschrift im Jahrgang 1991 geklärt sind, erhalten Sie Nachricht. Wir hoffen, daß Sie uns in einer schwierigen Lage weiterhin die Treue halten.

Die Redaktion

Zeitschrift für Germanistik 6/90

ამ რეკლამა-მიმართვის სათაური მკითხველის ყურადღებას იპყრობს ხელოვნურად ნაწარმოები ოკაზიური სიტყვა LeserInnen, რომელშიც მუქი შრიფტით გამოყოფილია L და I გრაფემები, რამდენიმე ინფორმაციას შეიცავს და ინტერესს აღვივებს. აუდიურად სიტყვა აღიქმება როგორც „მკითხველი ქალები". მხოლოდ ვიზუალურად შეიძლება ამოცნობა, რას გულისხმობს I მაიუსკულის ჩასმა გრაფოსიტყვის შუაში i მინუსკულის ნაცვლად. ამ ჩანაცვლებით რამდენიმე ფუნქცია რეალიზდება. ჯერ-ერთი, უჩვეულოდ დაწერილი/დაბეჭდილი სიტყვა, რომელიც გერმანული ენის სისტემის სიტყვაწარმოების დონეზე არც ერთ მოდელში არ ჯდება, მკითხველის გაოცებას იწვევს; მეორე, I გრაფემის პუანტირების საშუალებით სიტყვა ეკონომიური ხდება: LeserInnen=Leser+Leserinnen; მესამე, შინაარსით უფრო ტევადია, აღნიშნავს ორ დენოტატს; მეოთხე, ეფექტურად განახორციელებს რეკლამის ავტორთა ინტენციას. როგორც ჩანს, ეს ოკაზიონალური მოდელი უზუალური ხდება. ჩვენ მას შევხვდით ენათმეცნიერულ, არარეკლამურ ტექსტში, სადაც ერთიმეორის გვერდით იდგა ჩვეულებრივი შრიფტით დაფიქსირებული HörerInnen და LeserInnen, რომლებშიც პუანტირებულია მხოლოდ სიტყვების შუაში ჩასმული ჩვეულებრივი (არამუქად პუანტირებული) მაიუსკული I (LINKE/NUSSBAUMER/PORTMANN, 1994:279)[13].

[13] რედაქციის ამ რეკლამა-მიმართვაში ნაღვლიანი ტონიც ამოიკითხება. ეს სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ტექსტის შექმნის დროს, რომელიც დათარიღებულია 1990 წლით და 1991 წლის პერსპექტივის მიმართ უიმედობას გამოხატავს. ეს არის უშუალოდ გერმანიის გაერთიანების მომდევნო პერიოდი. ჩვენ როგორც ZfG-ის მუდმივ აბონენტს, რედაქციისაგან არავითარი ცნობა აღარ მიგვიღია.

14.3. მოკლე ექსკურსი ქართული ტექსტის სამყაროში ანბანთან მიმართებით

ქართველების როგორც დამწერლობის მქონე ხალხის ცნობიერებაში ანბანი და წიგნი ეროვნული მენტალობისა და ღირსების დამკვიდრების სიმბოლოა. ბავშვობიდან გვინერგავს ხალხური პოეზია წიგნის სიყვარულს. რომელ ქართველს დაავიწყდება ჯერ კიდევ ანბანის დაუფლებამდე ნასწავლი ლექსი:

ბიჭო ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო;
გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო.

(ჩიტო-გვრიტო 1991)

რამდენი ანდაზა, გამოცანა, ენის გასატეხი შეუქმნია ხალხურ სიტყვიერებას ბავშვს გონებას რომ უხსნის, მსჯელობას აჩვევს და წერა-კითხვას აყვარებს. მათ შორის ბევრია ისეთიც, სადაც ამოსახნელი სიტყვა/ცნება დაკავშირებულია წერასთან და მის საკუთვნელ ნივთთან.

თეთრი ხნული – შავი თესლი,
თესლი მთესველს ეუბნება.
(წიგნი)
ფეხში რომ ხელი მომკიდეს,
ზღვაში ჩამაგდეს თავითა,
რომ ამომიღეს, თეთრი გზა
მოვრწყე ცრემლითა შავითა.
(კალამი)

(ჩიტო-გვრიტო 1991)

ზოგი ანდაზური თქმა ქართული ანბანის ასო-ნიშნების სახელწოდებებზეა აგებული. მაგალითად: ანის მთქმელმა ბანიც უნდა სთქვას. ანს დახედე ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე (ქართული ლექსიკონი, 1884:965).

ანბანისადმი მოწიწება ყოველ ჩვენგანს ბავშვობიდანვე აქვს ჩანერგილი. ეს მოწიწება ქართული კულტურის სულიერი განვითარების სხვადასხვა სფეროში იჩენს თავს. იმის გახსენებაც კმარა, როგორი გავრცელება ჰქონდა ისტორიულად ქართულ პოეზიაში ანბანთქებას როგორც პოეტურ ჟანრს. დღეს ეს ჟანრი აღარ არის გავრცელებული, მაგრამ გვხვდება მცდელობა მისი აღორძინებისა, მაგალითად, სასწავლო მიზნებით. რამდენიმე წლის წინ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა ანბანთქებაზე აგებული გეომეტრიული ამოცანები. ავტორი მოსწავლეებს სთავაზობს „არა სტერეოტიპულ და გულისმოსაყირჭებელ“ ამოცანებს, არამედ ამოცანებს, რომლებიც „ჩვენი სათაყვანო ასომ-

თავრულისა და განსაცვიფრებად ჰარმონიული გეომეტრიის სახალისო შერწყმაა“ (გურამ ჩაჩანიძე „სახალხო განათლება“ N47 (4248), 13..1990). აქვე შეიძლება გავიხსენოთ ი.გრიშაშვილის ცნობილი საბავშვო ლექსი „ანბანთქება“, რომლის ტაეპების რაოდენობა ემთხვევა ასო-ნიშნების რიცხვს და თითოეული მათგანი ანბანის შესაბამისი ასო-ნიშნით იწყება.

ქართული ანბანი უნიკალური მოვლენაა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიაშიც. ბევრი რამ თქმულა ქართული ანბანის სილამაზეზე და კვლავაც ითქმება. გასაკვირი არ არის გათურქებული ქართველის აღტაცება, როცა მან ქართული ანბანის შესწავლის შემდეგ წამოიძახა, რა ლამაზი ანბანი გვქონიაო (ეს ინფორმაცია ამოვიკითხეთ ქართულ პრესაში – ვ.ფ.). საოცარი ძალით მოქმედებს იგი ქართველი კაცის ფსიქიკაზე, აზრთა მსვლელობაზე და პოეტისა თუ მწერლის მხატვრულ შემოქმედებაზე. ცნობილია კონსტანტინე გამსახურდიას ოდა ქართული ანბანისადმი:

„გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ანი, ნამგლისათვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევია „გეორგია“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

ბანი ყელმოღერებულ სურებს, დოქებს და ჭინჭლებს არა ჰგავს? ...

აჰა მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მიემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი... განუსაზღვრელად მახარებს მათი – მზერა და მათი დაწერა. და ამიტომაც მოცლილ ბალღივით ვეთამაშები ქართულ ასოებს...“ და ა.შ. (გამსახურიდია, 1958:240-243).

ანბანი პოეტის შთაგონების წყაროდ შეიძლება იქცეს. ენის წერილობითი გაცხადება მარტოოდენ ასოების გამოყვანა და წერის პროცესი კი არ არის, არამედ აზრის ჩამოყალიბებაა, სამყაროს ფილოსოფიური განაზრებაა, საკუთარ სულში ჩახედვა და შემოქმედებითი წვაა. მეორე ქართველ პოეტს პაწაწინა ასოები საპალნეაკიდებულ ჭიანჭველებად წარმოუდგენია, რომ ესევიან და არ ასვენებენ, ვიდრე ნააზრევს დაწერილს ლექსად არ ჩამოასხამს. ხოლო დაწერა საწუთროს დოლაბზე ამოკვეთას, ე.ი. მარადიულობას ნიშნავს, რადგანაც დოლაბზე ამოკვეთილი ასოების წაშლას დროის მსვლელობაც ვერ ახერხებს. აი, ის ლექსი:

ოთარ ჭელიძე

საწუთროს დოლაბზე ამოკვეთა

კალამი ლოდინით გარინდებული
ქაღალდის მინდორზე მიაჭენებს
ვეება საპალნეაკიდებულ
პაწია ასოთა ჭიანჭველებს.

და როცა დაღლილი დავეგდები,
ისინი უთქმელი ლექსებიდან
მორბიან გიჟური დაფეთებით,
ტანზე და სახეზე მესევიან.
გზა იგი – სულისაკენ გადასული –
სხვისაში აროდეს აერევათ;
მათ ჩემი სიცოცხლის დასასრული
დაშალეს მაგნიტურ არეებად.
იქ, სადაც ღმერთებსაც აწბილებენ,
შესვლისას ვერავინ გაუბედავს
არყოფილ სახეთა მაძიებელ
ქარავანს სავალის გამრუდებას,
სახადად შემყარეს ჭაპანწყვეტა
და ძველი ქართული ანბანიდან
იმ ცეცხლში ჩავვარდი განსანმენდად,
რომელშიც ცოტანი განბანილან.
ღამეში ათასჯერ წამომხტარი
წამოვყრი ასოებს სამოქმედოდ,
რომ დიდი სათქმელი – საკუთარი –
საწუთროს დოლაბზე ამოვკვეთო.
მათ უნდა აჩრდილივით ავედევნო,
გზადაგზა ვითმინო შენიშვნები,
რა მოხდა, თუ ბოლოს ამადეო
მოდელიანივით შევიშლები.

ლიტერატურული საქართველო,
პარასკევი, 15 აგვისტო, 1986

ერთი მხრივ, არსებობს ტექსტები, რომლებიც მიძღვნილია ანბანისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტები, რომლებშიც ასო-ნიშნები გამოყენებულია გრაფოესთეტიკური ფუნქციით. მაგალითად:

ოთარ ჭელიძე

მარადისობაში გადაცურვა

ვსვამდით ვალოდია ვისოცკისთან
მო(ვ)არაყებული[14] აზარფეშით,
ბოლოს, მოშხამული სიცოცხლიდან
მღვრიე მდინარეში გადავეშვით.
და ვინც მიმასპინძლა ძმაკაცურად –
აღარ შემხვედრია, ვინაიდან,

[14] ხაზი ჩვენია - ვ.ფ.

მარადისობაში გადაცურა
აწმყოს უწმინდური მდინარიდან.

ლიტერატურული საქართველო,
პარასკევი, 14
სექტემბერი, 1990

ნაღველით შეფერილ ლექსში ავტორის სინანული გამოსჭვივის იმის გამო, რომ ადამიანი და პოეტი, ვინც არაორდინარული კაცი იყო და იგი ერთხელ ძმასავით მიიღო, მერე აღარ უნახავს. მათ შეხვედრაზე იყო „მოვარაყებული“ და „მოარაყებული“ აზარფეშა, ალბათ „უწმინდურ“ აწმყოზე ლაპარაკიც. მკითხველს/ინტერპრეტატორს შეუძლია სათანადო წინარეცოდნა მოიშველიოს, ბევრი რამ ამოიკითხოს სტრიქონებს შორის და დასკვნები გამოიყვანოს. ლექსის ავტორმა ორიგინალური საშუალება მონახა „ვ“ გრაფემის ფრჩხილებში ჩასმით, რომ შეხვედრის ინტიმურობისათვის ხაზი გაესვა. მან ორი სიტყვა „ვარაყი“ და „არაყი“ ერთ გრაფოსიტყვად შეკრა, შექმნა ინდივიდუალური ოკაზიური ფორმა „მო(ვ)არაყებული“, რითაც ტექსტს ეფექტურობა შემატა. შეიძლება ითქვას, რომ ლექსის დომინანტია გრაფემა „ვ“, რომლის ფუნქციას ჭირდება ამოცნობა (დივინაცია), ხოლო შემდეგ სემანტიკური დასკვნის გამოიყვანოს (ინფერენცი).

მეთოთხმეტე ქვეთავის დასკვნები

1. ადამიანი ქმნის ანბანს, ხოლო ანბანი ადამიანს მწიგნობრად აქცევს. ანბანის მეშვეობით ყალიბდება ის საკრალური სამყარო, რომელსაც წერილობითი ენა ჰქვია. იქ შესვლას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება, არა და უამისოდ ვერ შედგება სამყაროს აღქმა და ის პროცესი, რასაც სამყაროს განსიტყვება ეწოდება. უძველესი დამწერლობის მქონე ხალხები ამაყობენ თავისი ანბანით, უფრთხილდებიან და სრულყოფენ მას. ჟამთა მსვლელობაში ყველაფერი კვდება, ქრება, მხოლოდ დაწერილი სიტყვები ცოცხლობს.
2. ასო-ნიშნებს თავისი ენის დაფიქსირების ფუნქციის გარდა სხვა ფუნქციებიც ეკისრება. მათი საშუალებით იქმნება ანდაზები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, იდიომები, კროსვორდები, თავსატეხები, რებუსები, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა ასაკის ადრესატებისა და აღმზრდელობით-შემეცნებითი მიზნებისათვის.
3. გრაფიკული ნიშანი ასრულებს ფუნქციას, რომელსაც ვერ შეასრულებს ფონემა, ამისთვის არსებობს ორთოგრაფიული შეზღუდვები, რომლებიც სავალდებულოა კოდიფიცირებულ სალიტერატურო ენაში. ორთოგრაფიული ნორმების დაცვა ხორციელდება გრაფემების მეშვეობით, ამასთანავე სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია გამოიხატება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა მაიუსკულების და მინუსკულების გამოყენება. ორი გრაფიკული სიტყვის შერწყმულად ან ცალ-ცალკე დაწერა და ა.შ.

4. ორთოგრაფიული ნორმების უნებლიე დარღვევის პრეცედენტები გამიზნულად გამოიყენება მომცრო თავშესაქცევი ტექსტების შესადგენად. ნორმების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს გრაფემების, გრაფოსიტყვების სალიტერატურო და დიალექტური ვარიანტების, მაიუსკულების და მინუსკულების აღრევით და ა.შ., რის შედეგადაც იქმნება კონტექსტები, რომლებიც აბსურდულ და კომიკურ სიტუაციებს ასახავენ.
5. ანბანი შეიძლება პოეტური შთაგონების წყაროდ იქცეს. ეს შთაგონება ორი სახისაა: ერთი მხრივ, იქმნება ოდები ანბანის განსადიდებლად, მეორე მხრივ, ანბანი თავად გამოიყენება საშუალებად, რომლის საფუძველზეც აიგება ტექსტი. პირველ შემთხვევაში ის თვითონ არის პოეტური აღმფრენის საგანი, მეორეში გრაფიკული დომინანტი, რომლის ირგვლივ იკვრება ტექსტი.

15.0. გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაცია

გრაფემულ-გრაფიკული კომპონენტების კომბინაცია საშუალებას იძლევა ტექსტის არანჟირება სხვადასხვა ხერხით განხორციელდეს და ტექსტურის მრავალფეროვანი ნახჭები შეიქმნას.

ტექსტი მკითხველისათვის პირველ რიგში საიდუმლოებით აღსავსე ვიზუალური ველია, რომლის გათიზმატური სტრუქტურა მას ხიბლავს, იზიდავს და მასში ჩაქსოვილი საიდუმლოების ამოცნობის სურვილს აღუძრავს. ყველა ტექსტს თავისი აურა აქვს, თვით ორდინალურსაც კი, მით უფრო ითქმის ეს გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებულ ტექსტებზე. ტექსტის შემთხვზელმა იცის ეს და, თუ მას აქვს სათანადო წინარეცოდნა (ენობრივი, რიტორიკული, გრაფემულ-გრაფიკული ხერხების გამოყენებისა და ა.შ.), აგრეთვე ფანტაზიის უნარი, იგი მკითხველისათვის თვალშისაცემ და მიმზიდველ ნახელავს შექმნის, ტექსტის აურა არ არის მხოლოდ გარეგნული გამოსხივება. ტექსტურის ნახჭებში ჩაქსოვილია საიდუმლოება, რომელიც მკითხველის/ინტერპრეტატორის ამოსაცნობია. აურას ასხივებს გათიზმატური ველის ყველა ფენა. ყოველ მათგანში ჩაუნჯებულია რაღაც ინფორმაცია, რომელსაც ამოკითხვა ესაჭიროება. მკითხველი ამისთვის შემზადებული უნდა იყოს, გააჩნდეს წინარეცოდნა და სათანადო კომპეტენცია. თუ ტექსტურა გრაფემულ-გრაფიკული თვალსაზრისით ტრადიციულია, მკითხველისათვის იგი გამჭირვალეა და არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის საზრისის წვდომისთვის. ხოლო, თუ გრაფემულ-გრაფიკული ფენა არატრადიციულ ფორმებს იღებს და მისი კომპონენტების პუანტირება ხდება, ტექსტის აღქმა მთლიანობაში ძნელდება. აქ უკვე საჭიროა სპეციალური წინარეცოდნა, ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის მოშველიება, დივინაციისა და ინფერენცის გამოყენება, ერთი სიტყვით ის, რასაც ჰერმენევტიკული მეთოდი ჰქვია.

გრაფემულ-გრაფიკული ფენის არანჟირება ხორციელდება ერთი გრაფემის, ერთი ან რამდენიმე გრაფიკული ნიშნის, ერთი ან რამდენიმე სიტყვის პუანტირებით; წინადადების, სიტყვათშორისი და სტრიქონთშორისი ინტერვალე-

ბის, სტრიქონების ლინეარული და ვერტიკალური წყობის არასტანდარტული განლაგებითა და დაშლით, ტოპოლოგიური ჩარჩოს დესტრუქციით. პოეტური ტექსტი წარმოადგენს ბათიზმატურ ველს, რომლის გრაფემულ-გრაფიკული ფენა თავისი ბუნებით ყველაზე უკეთ ექვემდებარება პუანტირებულ არანყირებას, მისმა ტოპლოგიურმა ჩარჩომ, ტაეპების განლაგებამ და სიგრძემ, სტროფების ვერტიკალურმა წყობამ და მოცულობამ შეიძლება სავსებით მოულოდნელი სახე მიიღოს.

გრაფემულ-გრაფიკული პუანტირება ოფიციალური, იურიდიული და საქმიანი ქაღალდების ტექსტებსაც ესაჭიროება, რადგანაც: ა)კანონები და ოფიციალური ტექსტები შინაარსითა და ფორმით ნათელი და გასაგები უნდა იყოს ადრესატისთვის; ბ)ასეთი ტექსტები წერილობითია და ვიზულაურად იოლი აღსაქმელი უნდა იყოს. ამისთვის კი აუცილებელია ტექსტის დისკრეტაცია, არქიტექტონიკული და კომპოზიციური ნაწილების იერარქიულად განლაგება, რაც გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით ხორციელდება.

გრაფემულ-გრაფიკული პუანტირება განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება რეკლამასა და პრესაში.

15.1. არამხატვრული პროზაული ტექსტები

15.1.1. იურიდიული დოკუმენტები

Vertrag

über die abschließende Regelung in bezug auf Deutschland

Die Bundesrepublik Deutschland, die Deutsche Demokratische Republik, die Französische Republik, das Vereinigte Königreich Großbritannien und Nordirland, die Union der Sozialistischen Sowjetrepubliken und die Vereinigten Staaten von Amerika – IN DEM BEWUßTSEIN, daß ihre Völker seit 1956 miteinander in Frieden leben, EINGEDENK der jüngsten historischen Veränderungen in Europa, die es ermöglichen, die Spaltung des Kontinents zu überwinden, UNTER BERÜCKSICHTIGUNG der Rechte und Verantwortlichkeiten der Vier Mächte in bezug auf Berlin und Deutschland als Ganzes und der entsprechenden Vereinbarung und Beschlüsse der Vier Mächte aus der Kriegs- und Nachkriegszeit, ENTSCHLOSSEN, in Übereinstimmung mit ihren Verpflichtungen aus der Charta der Vereinten Nationen freundschaftliche, auf der Achtung vor dem Grundsatz der Gleichberechtigung und Selbstbestimmung der Völker beruhende Beziehungen zwischen den Nationen zu entwickeln und andere geeignete Maßnahmen zur Festigung des Weltfriedens zu treffen, EINGEDENK der Prinzipien der in Helsinki unterzeichneten Schlußakte der Konferenz über Sicherheit und Zusammenarbeit in Europa, ... VERTRETEN durch ihre Außenminister, die entsprechend der Erklärung von Ottawa

vom 13. Februar 1990, am 5. Mai 1990 in Bonn, am 22. Juni 1990 in Berlin, am 17. Juli 1990 in Paris unter Beteiligung des Außenministers der Republik Polen und am 12. September 1990 in Moskau zusammengetroffen sind – SIND wie folgt ÜBEREINGEKOMMN:

Artikel 1

(1) Das vereinte Deutschland wird die Gebiete der Bundesrepublik Deutschland, der Deutschen Demokratischen Republik und ganz Berlins umfassen. Seine Außengrenzen werden die Grenzen der Deutschen Demokratischen Republik und der Bundesrepublik Deutschland sein und werden am Tage des Inkrafttretens dieses Vertrages endgültig sein. Die Bestätigung des endgültigen Charakters der Grenzen des vereinten Deutschlands ist ein wesentlicher Bestandteil der Friedensordnung in Europa.

(2) Das vereinte Deutschland und die Republik Polen bestätigen die zwischen ihnen bestehende Grenze in einem völkerrechtlich verbindlichen Vertrag.

(3) Das vereinte Deutschland hat keinerlei Gebietsansprüche gegen andere Staaten und wird solche auch nicht in Zukunft erheben...

(BULLETIN, 1990:14.09)

ხელშეკრულება, რომელიც ეძღვნება გერმანიის პრობლემების საბოლოო მოწესრიგებას, შედგება სათაურის, შესავლის, პრეამბულისა და ძირითადი ტექსტისგან. ეს ნაწილები განლაგებულია დისკრეტულად, დამორებულია ერთმანეთისგან სხვადასხვა მოცულობის სტრიქონთშორისი ინტერვალებით. სათაური- პრესიგნალი პუანტირებულია მსხვილი მუქი შრიფტით დაბეჭდილი ასო-ნიშნებით.

ტექსტის შესავალში „Die Bundesrepublik Deutschland... und die Vereinigten Staaten von Amerika" ჩამოთვლილია ხელშკრულების მონაწილე სახელმწიფოები. შესავლის ბოლოს დასმული ტირე მიუთითებს, რომ აქ ეს ნაწილი მთავრდება და შემდგომი ნაწილი მოდის, რაც მკითხველის დაძაბულობას აღძრავს.

პრეამბულის ძირითადი ნაწილი, რომელიც შესავალს მოსდევს, ამ უკანასკნელისაგან გამოყოფილია სამი სტრიქონთშორისი ინტერვალით, ხოლო თვით ძირითადი ნაწილის სეგმენტები ერთმანეთისგან დაშორებულია ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით. ყოველი სეგმენტი იწყება მაიუსკულებით (ბლოკური შრიფტით), გამოყოფილი ვითარების გარემოების ფუნქციის მქონე სიტყვით ან შესიტყვებით (წინდებულიანი არსებითი სახელით, მეორე მიმღეობით და ა.შ.), რომლებიც ამ სახის ტექსტის შტამპებს წარმოადგენენ, კერძოდ: IN DEM BEWUßTSEIN, EINGEDENK, UNTER BERÜCKSICHTIGUNG... და ა.შ. პრეამბულის ბოლო სიტყვებს „zusammengetroffen sind" მოსდევს ტირე, ხოლო შემდეგ სამი სტრიქონთშორისი ინტერვალით გამოყოფილი პრეამბულის დასრულების სიგნალი SIND wie folgt ÜBEREINGEKOMMEN, რომელშიც პირ-

ველი და ბოლო სიტყვა პუანტირებულია მაიუსკელებით როგორც სემატიკურად უმნიშვნელოვანესი ერთეულები.

ხელშეკრულების 10 მუხლი გამოყოფილია თითო სტრიქონთშორისი ინტერვალით, მათ შემდეგ დასმულია ხელმოწერები, რომლებსაც მოსდევს სხვა დანართები.

თითქმის ანალოგიურად არის შედგენილი მეორე იურიდიული დოკუმენტი, რომლის პრესიგნალია „Vertrag über die Schaffung einer Währnungs-Wirtschafts- und Sozialunion zwischen der Bundesrepublik Deutcshland und der Deutschen Demokratischen Republik".[15] ტექსტი პუანტირებულია გრაფემულ- გარფიკულად, პრეამბულა იწყება სიტყვით „Die Hohen Vertragsschließenden Seiten." ეს პირველი სტრიქონი, ისევე როგორც ზემოგანხილულ ტექსტში, გამოყოფილია პრეამბულის დანარჩენი ნაწილიდან, მაგრამ ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით და არა სამით. იგი მთვარდება ტირეთი, რომელსაც მოსდევს ხუთი პუნქტი, მეხუთის ბოლოს დასმულია ისევ ტირე. ბოლო სამ სტრიქონს შეადგენს მოლაპარაკების პროცესის ბოლო საფეხურის აღმნიშვნელი, მაიუსკელებით გამოყოფილი კლიშე „SIND ÜBEREINGEKOMMEN" და ხელშეკრულების მიზნის დაფიქსირება: „einen Vertrag über die Schaffung einer Währnungs-Wirtschafts- und Sozialunion mit den nachfolgenden Bestimmungen zu schließen". შემდეგ მოდის ხელშეკრულების მუხლები, ხელმოწერები და დანართები (BULLETIN, 1990:18.05).

პრეამბულის როგორც ნაწილობრივი ტექსტის განხილული ნიმუშები დამახასიათებელია ხელშეკრულების სახის ტექსტებისათვის. გარფემულ-გრაფიკული საშუალებების (მაიუსკელების სტრიქონთშორისი ინტერვალების, შეკვეცილი სტრიქონების, პუნქტუაციის ნიშნების) პუანტირება მიმართულია იქითკენ, რომ ყურადღება გამახვილდეს ხელშეკრულების დადების წინაპირობებზე, ფაქტობრივ ვითარებაზე, ხელშეკრულების მოტივებზე, ამოცანებსა და მიზნებზე.

15.1.2. საგაზეთო რეკლამები

თანამედროვე პრესისთვის დამახასიათებელია რეკლამების უზომო რაოდენობით განთავსება რა ფორმის, სტრუქტურისა და ფერის რეკლამას არ შეხვდება ადამიანი გაზეთებში. რეკლამის ბიზნესს იმდენი მოგება მოაქვს გაზეთის გამომცემლებისთვის, რომ რეკლამის ბუმი გაკვირვებას აღარ იწვევს.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე რეკლამას ინტერპრეტაციითურთ.

[15] ამ ტექსტის მთლიანად მოყვანა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ.

Die Vereinigten Staaten
bieten an 55.000 „Grüne Karten"

Die amerikanische Regierung wird 55. 000 ständige Aufenthaltserlaubnisse („Grüne Karten") durch eine NEUE Staatslotterie weggeben. Inhaber dürfen in den Vereinigten Staaten arbeiten und wohnen. Inklusive Gattin/Gatte, Kinder eingeschlossen. Amerikanische Staatsangehörigkeit ist später möglich, wenn erwünscht. Für KOSTENLOSE Auskünfte senden Sie ihren Namen (getippt oder deutlich geschrieben), sowie Ihre Anschrift und Ihren Geburtsort an:

DEPT. DZ-20
GREEN CARD REGISTRATION
10573 W.Pico Blvd., #833
Los Angeles, CA 90064 U.S.A.
Oder Telefax (24 Uhr) 001 (310) 558-0162
Oder Telefon 001 (310) 558-0148

„Die Zeit", N34
18. August, 1995

ამერიკის მთავრობა სთავაზობს იმათ, ვისაც სახელმწიფო ლატარიის ბილეთების შეძენა სურს, ე.წ „მწვანე საგზურებს" ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრებისა და მუშაობის პირობით (ცოლ-შვილის, ცოლ-ქმრის ჩათვლით). სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მოქალაქეობის მიღებაც. უფასო ცნობების მისაღებად რეკლამის მკითხველს სთხოვენ შეატყობინოს თავისი სახელი, მისამართი და დაბადების ადგილი ამა და ამ მისამართზე.

ამ სარეკლამო განცხადებაში შავი შრიფტით პუანტირებულია ყველაზე მნიშვნელოვანი კომპოზიციური ნაწილები სათაური და „მწვანე საგზურების" სარეგისტრაციო დაწესებულების მისამართი. თვით პირითად ტექსტში ორი სიტყვაა პუანტირებული – ერთი ჩვეულებრივი მაიუსკულებით შედგენილი NEUE და მეორე შავი შრიფტით დაბეჭდილი KOSTENLOSE. პუანტირების ხარისხი მიუთითებს ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობაზე ტექსტში. ეს ლატარია „ ახალია" თუ არა, ამას ისე დიდი მნიშვნელობა არა ქვს, როგორც იმას, რომ ცნობების მინოდება „მწვანე საგზურის" შეძენის მსურველებისათვის უფასოა.

Die Frauenhofer-Gesellschaft sucht für ihr Institut für **Lasertechnik** in Aachen eine/n

Diplom-Physiker/in

für eine zunächst auf drei Jahre befristete **Doktorandenstelle.**

Unser Institut ist eine der 46 Forschungseinrichtungen der Frauenhofer-Gesellschaft.

Ihre Aufgabe ist die Mitaarbeit in nationalen Forschungsvorhaben zur Weiterentwicklung und Anwendung laserspektroskopischer Meßverfahren (u.a. **CARS-Spektroskopie, LIF**) zur Prozeßdiagnostik und für den Umweltschutz.

Wir erwarten ein abgeschlossenes Studium der Fachrichtung Physik (Diplom, Studienabschluß 1994/95), Kenntnisse und Erfahrungen in Laserspektroskopie/nichtlinearer Optik/Lasertechnik, Selbständigkeit und Einsatzbereitschaft bei der Durchführung von Forschungsaufgaben und der Erarbeitung neuer Gebiete, experimentelles Geschick, Interesse an anwendungsorientierten **FuE-Arbeiten**, Englisch in Wort und Schrift.

Wir bieten Anstellung und Vergütung nach **BAT**, verbunden mit den Sozialleistungen wie in öffentlichen Dienst.

Bewerben Sie sich bitte schriftlich mit allen wichtigen Unterlagen bis zum 7.September 1995.

Frauenhofer-Institut
Für Lasertechnik
Steinbachstraße 15
52074 Aachen

FhG

„Die Zeit", N34
18. August, 1995

აახენის ფრაუენჰოფის საზოგადოება ეძებს თავისი ლაზერული ტექნიკის ინსტიტუტისთვის დიპლომირებულ ფიზიკოსს (მამაკაცს ან ქალს). განცხადებაში პუანტირებულია შემდეგი ადგილები: **Institut für Lasertechnik, Diplomphysikerr/in, Doktorandenstelle** დაწესებულების მისამართი განცხადების ბოლოს და აბზაცების პირველი ასო-ნიშნები. პუანტირების მიზანია კონკურსის პირობების თვალშისაცემად გამოკვეთა, კერძოდ, რა მოეთხოვება კონკურსანტს და გამარჯვების შემთხვევაში რას პირდება მას ინსტიტუტი. განცხადების ძირითადი ტექსტი (მიკროტექსტი) შედგება ხუთი შეუწყვეტელი აბზაცისგან, რომლებიც იწყება შავი შრიფტით დაბეჭდილი მაიუსკულებით. აქედან სამი აბზაცი ეხება ინსტიტუტსა და მის მიერ შემოთავაზებულ პირობებს

(Unser, Wir, Wir), ხოლო ორი მიმართულია კონკურსანტებზე (Ihre და Bewerben Sie sich).

ყურადღების ღირსია აგრეთვე eine/n პირველ სტრიქონში და Physiker/in სათაურში. როგორც ჩანს, მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებითი სახელების გრაფემულ-გრამატიკული მაჩვენებლების შერწყმა ეკონომიურობისა და პრაგმატულობის მიზნებს ემსახურება. შრწყმული ფორმები უკვე ენის გამოყენების სხვა ფუნქციონალურ სფეროებშიც შეინიშნება. კაცმა რომ თქვას, eine/n და Physiker/in ფორმების ნაწილებს შორის დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა.



მაგრამ *einen/e და *Physiker/in სიტყვებს შორის გრაფემული თანმიმდევრობა დისკომფორტს ქმნის იმის გამო, რომ einen-ის შემდეგ e გრაფემის დასმა აბსურდულია და შეუძლებელი, ისევე როგორც in-ის შემდეგ er გრაფემებისა, თუმცა რეკლამისთვის ყოველივე უჩვეულოს მხოლოდ სარგებლობა მოაქვს, რაც შეეხება ამ დისკომფორტს, მკითხველმა და ინტერპრეტატორმა მას თვითონ უნდა გაართვას თავი, ჯვარედინი მიმართებები სწორად ამოიკითხოს და მიხვდეს რომელი ფორმებია შესაწყვილებელი.

ტექსტი მესამე

Die Information Highway ist jetzt noch günstiger zu erreichen. Sie kommen ohne große Kosten auf das größte Glasfasernetz. Ob zur Vernetzung im Citybereich oder für Ihr weltweites Corporate Network, wir haben Lösung.

Mit Geschwindigkeiten bis zu 155 Mbit/s können Sie Daten austauschen, Videokonferenzen veranstalten, per Multimedia zusammenarbeiten oder ganz einfach telefonieren. Sie erreichen Ihre Partner via Monitor, verknüpfen Ihre LANs oder entwickeln gemeinsam neue Produkte auf einem zentralen Superrechner. Unsere Datendirektverbindungen und Datex M, der ATM-Breitbanddienst, bringen Sie günstig zur Information Highway. Informieren Sie sich:

Telefax: 01 30-80 1280, Telefon 01 30-80 11 80.

„Die Zeit", N34
18. August, 1995

აღარ შევუდგებით ტექსტის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემას, რომელიც შეეხება ინფორმაციის ბოჭკოვან ქსელში ჩართვას, მონაცემების გაცვლას, ვიდეოკონფერენციების მოწყობას და ა.შ., არამედ ყურადღებას შევაჩერებთ მხო-

ლოდ ტექსტურის თავისებურებებზე. ტექსტის შიდა სტრუქტურა არ არის პუანტირებული არც არქიტექტონიკურად და არც კომპოზიციური ნაწილებია გამოკვეთილი. ვიზუალაურად თვალში საცემია მხოლოდ ტექსტის მუქი შავი ტოპოლოგიური ჩარჩო, აგრეთვე მისი დასაწყისი და დასასრული. პირველი იწყება წითელი მაიუსკულით, მეორე მთავრდება ტელეფონის ნომრის წითელი ციფრებით. წითელი D შეკვეცილი სტრიქონების ხარჯზე იკავებს ადგილს ტექსტის თავში. ტექსტის ბოლოს მოცემულია ფაქსის და ტელეფონის ნომრები, მაგრამ მხოლოდ ტელეფონის ნომრებია წითელი ფერით პუანტირებული. ამ ორი გრაფემულ-გრაფიკული პუანტირებით ერთი მხრივ ვიზუალურად იკვეთება ტექსტის დასაწყისი და იკეტება ტოპოლოგიური ჩარჩო. მეორე მხრივ, ივარაუდება, რომ ტელეფონი უფრო ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვიდრე ტელეფაქსი. განმცხადებლის მისამართი არ არის ტექსტის ბოლოს მიწერილი. როგორც ჩანს, იგი თვლის, რომ ფაქსისა და ტელეფონის ნომრები სავსებით საკმარისია ადრესანტის მისაგნებად.

როგორც ითქვა, ტექსტის კომპოზიცია გრაფიკულად არ არის დისკრეტირებული, მაგრამ სემანტიკის დონეზე მაინც არსებობს კომპოზიციური სტრუქტურა. პირველი სტრქონი - „Die Information Higwhay ist jetzt noch günstiger zu erreichen" აფიქსირებს ძირითად ფაქტს, რომელმაც უნდა მიიქციოს მკითხველის ყურადღება. იგი შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის შესავალ ნაწილად (Eingangstext). შემდეგ მოდის ძირითადი ტექსტი (Mikrotext), რომელშიც ჩამოთვლილია ის უპირატესობები და ხელსაყრელი პირობები, რასაც ინფორმაციის ამ ქსელში ჩართვით მიიღებს დაინტრესებული პირი. ტელეფაქსისა და ტელეფონის ნომრების წინ ჩასმულია წინადადება, რომელიც წარმოადგენს მოწოდებას „Informieren Sie sich" (მიიღეთ ინფორმაცია") და ამავე დროს ტექსტის დასრულების სიგნალს (Schlußsignal). გარდა დასაწყისისა და დასასრულისა ტექსტი გარფიკულად არ არის პუანტირებული.

15.1.3. საცნობარო ინფორმაციის შემცველი ტექსტები

ამ სახის ტექსტები, რომლებიც პრესაში ქვეყნდება, შეიცავს რაიმე საცნობარო (პოპულარულ-მეცნიერულ, საყოფაცხოვრებო, რელიგიის, ისტორიის და მრავალ სხვა) მასალას. მოცულობის შეზღუდულობის გამო საჭიროა მკითხველისთვის ინფორმაციის მოკლედ და ზოგად ხაზებში მიწოდება.

ავტორები ცდილობენ ობიექტური იყვნენ, მიუდგომლად გადმოსცენ მათ მიერ მოპოვებული მასალა, ხოლო თვითონ ჩრდილში დარჩნენ და მხოლოდ შიგადაშიგ მცირეოდენი აუცილებელი განმარტება ჩართონ ტექსტში. გრაფემულ-გრაფიკული პუანტირება მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება.

Das Kreuz mit dem Kreuz

KREUZ, vom lateinisch *crux*, althochdeutsch *chrûci, chriuzi*, mittelhochdeutsch *kriuce, kriuze*, schwedisch, dänisch *kors*. Das *kreuz Christi*, (das *heilige kreuz*, wie es gewöhnlich heiβt, im Gotischen übrigens *galga* genannt). *kreuz* wird vielfach sinnbildlich für den glauben an Christum selbst gebraucht. – Von Christi *kreuze* bildlich für leiden, unglück, plage: „mir möchte manchmal die kniee zusammenbrechen, so schwer wird das kreuz, das man fast ganz allein trägt" (Göthe an frau von Stein).

Schon im 16. Jahrhundert (sicher schon früher) ist die vorstellung des eigentlichen kreuzes aus dem Worte gewichen: „zur hypochondrie auch noch eine frau, das wäre zu viel kreuz" (Gellert). – Das *kreuz* als christliches Wahrzeichen: „ists ein wunder hernach, wann der Jud und der Türk zum kreuz krochen und auch katholisch wirden seind" (der pater zu Karl Moor in Schillers „Räubern").

Das bild des kreuzes, als ein zeichen des segens: „der student tritt mitten in die stuben, macht *vil kribes krähäs, vil creuz* und *segen*, spricht wörter, die kein teufel in der höll verstanden" („Bacchusia"). Als schutzmittel gegen böse, teuflische einflüsse: „er musz sein lebtag dein man und du sein weib sein, da hilft kein kreuz für" (Fischart). Im Aberglauben lebt der gebrauch in allerlei formen oft wunderlich genug, wie in einem *kreuze aus pantoffeln:* „die klagt, wie manche liebe macht/ein schwerer alp sie stöhnen nacht,/wenn rückwärts nicht gestellt war/mit kreuzen ihr pantoffelpaar" (Heinrich Voss, 1825). – man warf sich beim beten in kreuzform zur erde, mit ausgebreiteten armen, das hiesz: „*an ein crütze vallen*".

Dann vielfach in nichtkirchlichem gebrauch, als merkmal oder zeichen überhaupt, und davon wird manches über die christliche in die heidnische zeit zurück reichen, die das zeichen schon kannte, nicht blosz die germanische, in der runenschrift gibt es kreuzähnliche zeichen, wie ja auch die griechische und lateinische schrifte im alphabet (*Xi, X*) das zeichen haben. das runenkreuz scheint aber auch schon religiöse bedeutung gehabt zu haben, man hat vermutet als bild von Thors hammer.

kreuz als vertreter wirklicher schrift: „er kann nicht schreiben, doch sein kreuz ist gut/und wird ihm donorirt von jud' und christ" (Isolani über Tiefenbach in Schillers „Wallenstein").

kreuz als zeichen beim rechnen: aufrecht (+) als pluszeichen, liegend (x) als multiplikationszeichen". – mit einem kreuz wird aber auch ausgestrichen: „dem armen seine schuld zu schenken und dem reichen ein kreuz über die rechnung zu streichen" (Stilling „Häusliches Leben", 1789).

am körper das unterste ende des rückgrates: „die last bricht mir das kreuz entzwei" (Göthe), aber auch für nacken und – schonend – für after und die gegend der schamtheile. – technisch: fensterkreuz, degenkreuz. – kartenspiel gleich treff.

Aus dem „Deutschen Wörterbuch" von Jacob und Wilhelm Grimm (1877)

Der Aberglaube, entstanden im Heidentum und übernommen vom Judentum, hat die christliche Kirche von Anfang an verpestet. Ausnahmslos alle Kirchenväter haben an die Macht der Magie geglaubt. Die Kirche hat die Magie immer verdammt, aber immer an sie geglaubt. Die Mohammedaner bezichtigen alle christlichen Gemeinschaften des Aberglaubens und werden selbst des Aberglaubens beschuldigt. Wer wird diesen großen Streit entscheiden? Die Vernunft? Aber jede Sekte behauptet ja, die Vernunft auf ihrer Seite zu haben. Also wird die Gewalt entscheiden."

Voltaire „Philosophisches Wörterbuch" (1764).

Reißt die Kreuze aus der Erden!/Alle sollen Schwerte werden.

Georg Herwegh

Gott am Kreuz – versteht man immer noch die fruchtbare Hintergedanklichkeit dieses Symbols nicht? – Alles was leidet, alles was am Kreuze hängt, ist göttlich... Wir alle hängen am Kreuze, folglich sind *wir* göttlich... Wir allein sind göttlich... Ist denn das Kreuz ein Argument?"

Nietzsche „Der Antichrist"

Oder die Leute sind mit einer boshaften Dienstwilligkeit bei der Hand; denn die Leute sind, wie Jean Paul sagt, stets bereit, einem das Kreuz tragen zu helfen, wenn es das Kreuz ist, an dem man selbst aufgehängt werden soll.

Kierkegaard „Tagebücher"

Unser erster Gewinn ist, daß wir die Götzen- und Bilderanbetung Christi loswerden. Damit meine ich buchstäblich die Anbetung, die Bildern und Statuen von ihm und endgültigen und unveränderlichen Geschichten über ihn gezollt wird. Der Beweis für das Vorherrschen dieser Götzenverehrung ist, daß man nur von Jesus als einer wirklich lebendigen Person oder einem noch tätigen Gotte zu sprechen braucht, um solche Anbeter bestürzter als Don Juan zu machen, als die Statue von dem Postament herniederstieg und zum Abendessen zu ihm kam.

Georg Bernard Shaw

„Aussichten des Christentums"

Dann mäße man das Lied, wie viele hätten nicht das Recht, sich *vor* Jesus als Gottes Söhne zu betrachten! Es könnte sein, daß nicht alle Gottessöhne am Kreuze, an einem geometrischen und vertikalen Tode sterben!

Cioran „Auf den Gipfeln der Verzweiflung"

Die Kirche hat viel Gutes getan, aber sie lastet auf allem, was da frei war und drehte das Rad der Zeit perpetuierlich zurück.

Kurt Tucholsky

Zusammengelesen von

Dieter Hildebrandt und Rolf Michelis

„Die Zeit", N34

18. August, 1995

სტატია შეიცავს ინფორმაციას სიტყვა „ჯვრის" მნიშვნელობის შესახებ. იგი იწყება შენეული აბზაცით, პირველი სიტყვაა მაიუსკულებით გამოყოფილი

KREUZ, რომელსაც მოსდევს ლექსიკონური განმარტება: „KREUZ, vom lateinisch *crux*, althochdeutsch *chrûci, chriuzi*, mittelhochdeutsch *kriuce, kriuze*, schwedisch, dänisch *kors*." და ა.შ. ეს აბზაცი მთავრდება გოეთეს სიტყვებით, რომელიც მიმართულია ფრაუ ფონ შტაინისადმი: „mir möchte manchmal die kniee zusammenbrechen, so schwer wird das kreuz, das man fast ganz allein trägt" (Göthe an frau von Stein).

მომდევნო აბზაცები შეიცავს გამოჩენილი ადამიანების მიერ გამოთქმულ აზრებს ჯვრის შესახებ, როგორიცაა გელერტი, შილერი, ფიშარტი, ფოსი. ერთერთი აბზაცი ეძღვნება ჯვრის არაეკლესიურ გამოყენებას, როდესაც მას მაგიური მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე მის წარმოდგნას ბერძნულ და ლათინურ ენებში (*Xi, X*). რუნულ ჯვარს, ვარაუდობენ ავტორები, უნდა ჰქონოდა რელიგიური მნიშვნელობა, კერძოდ, ყოფილიყო ტორის ჩაქუჩის სიმბოლო. შემდგომ აბზაცებში მოყვანილია ციტატები იაკობ და ვილჰელმ გრიმების „გერმანული ლექსიკონიდან", ვოლტერის „ფილოსოფიური ლექსიკონიდან", შილერის დრამებიდან, გეორგ ჰერვეგის, ფრიდრიხ ნიცშეს, კიერკეგორის და სხვათა ნათქვამებიდან.

ავტორთა ინტენციას და ტექსტის თემას შეესაბამება ტექსტის კომპოზიცია. თემა გატანილია სათაურად და მსხვილი შავი შრიფტით არის პუანტირებული. თვით ტექსტში მხოლოდ პირველ ხაზებზეა „ჯვარი" მაისუკულებით გამოყოფილი, შემდეგ კი აბზაცების თავსა და შუაში კურსივით არის ხაზგასმული. ასე ხდება პირველ ექვს აბზაცში, რომლებიც განსხვავებით დანარჩენი რვა აბზაცისაგან მხოლოდ ერთი სტრიქონთშორისი ინტერვალით არიან განლაგებული ერთმანეთის მიმართ. მომდევნო რვა აბზაცში სიტყვა „KREUZ" აღარ არის პუანტირებული, მხოლოდ ციტატებია გამოყოფილი ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით, შეწეული აბზაცებით, ავტორისა და ნაწარმოების მითითებით, საიდანაც ციტატია მოყვანილი. ტექსტის ბოლოს ასეთი მინაწერია:

Zusammengelesen von

Dieter Hildebrandt und Rolf Michelis

რა შეიძლება ითქვას ამ ტექსტზე, რომელსაც გაზეთის ერთი სვეტი უკავია? აკმაყოფილებს თუ არა იგი იმ მოთხოვნებს, რაც ტექსტს ჩვენს მონოგრაფიაში წაეყენება? გაშლილია თუ არა ის ბათიზმატურ ველში და როგორია ველის შიდა ფენების ურთიერთმიმართება?

ტოპოლოგიური ჩარჩოს პირველი ნახევარი ორდინარულია, მეორე ნახევარი დისკრეტირებული, ავტორთა გვარები და ნაშრომის სათაურები ციტატების ბოლოს შეკვეცილი სტრიქონების სახით და წვრილი შრიფტით არის გამოყოფილი. არქიტექტონიკული ფენა ფორმალურად დაცულია, არის სათაური, ძირითადი ტექსტი, დასრულების აღსანიშნავი სიგნალი. არაორდინარულია აქტუალიზებული ენის ფენა, იგი შეიცავს ლათინურ, ძველზემოგერმანულ და შუაზემოგერმანულ სიტყვებს. რაც შეეხება სემანტიკურ ფენას, შეიძლება ით-

ქვას, რომ იგი არაორდინარულია იმ მხრივ, რომ სემანტიკური ბმულობა მეტისმეტად მყიფეა, აკინძულია სიტყვაზე „KREUZ“, ხორციელდება მხოლოდ იგივეობრივი ლექსიკური რეკურენცია. ტექსტში არც პრობლემაა დასმული და თემა გამლილი, არც არაფერი მტკიცდება, არც არაფერი უარიყოფა და არც ლოგიკური დასკვნა არის გამოყვანილი. ჯვრის ირგვლივ გამოთქმული აზრები არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს არის სხვადასხვა ცნობილი პირის ცალკეული გამონათქვამი, რომელიც ინფორმაციის ნაწყვეტებს შეიცავს.

ასეთი ტექსტი თავისთავად ფუნქციას არ არის მოკლებული. დაინტერესებული მკითხველი მასში, ისევე როგორც ცნობარში, სათანადო ტექსტის ნაირსახეობაა. პაროდია ჩვენ განვსაზღვრეთ აგრეთვე როგორც მეორადი ტექსტი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ შორის აღინიშნება სხვაობა. პაროდიის ავტორის ძირითად საშუალებას საკუთარი ტექსტის შექმნისთვის წარმოადგენს ამოსავალი ტექსტის ბათიზმატური ველის (ან მისი ცალკეული ფენების) პაროდირება, ამოსავალი ტექსტის ავტორის სტილის თავისებურებების შეუსაბამო გამოყენება, პაროდირებული ტექსტის აქტანტების ჩაყენება არაადეკვატურ სიტუაციებში და კომიკურობის ეფექტის შექმნა. ყოველივე ეს საცნობარო ინფორმაციის ავტორს არ სჭირდება, რადგანაც იგი ქმნის არა ახალი მხატვრული ჟანრის ნიმუშს, რაც სათანადო შემოქმედებით ნიჭსა და მეტი გამომგონებლობის უნარს მოითხოვს, არამედ იმეორებს ერთი დენოტატის ირგვლივ არსებულ პოპულარულ-მეცნიერულ ცნობებს, ალაგებს მათ იერარქიულად საკუთარი შეხედულებისამებრ და მხოლოდ უმნიშვნელო განმარტებებს თუ ჩაურთავს. ამას კარგად გრძნობენ „Das Kreuz mit dem Kreuz“ საგაზეთო სტატიის ავტორები და ამიტომ ტექსტის დამთავრების სიგნალს გამოხატავენ სიტყვებით: „Zusammengelesen von Dieter Hildebrandt und Rolf Michelis“.

ტექსტი მეორე

In Brandenburg gibt es 126 Hunde im Dienst der Polizei

Tier in Uniform

BERLIN. – Wacker und wachsam versehen sie täglich ihren Dienst, aber immer am Rande der Legalität und ohne soziale Absicherung. Jetzt endlich erhalten sie das ihnen zustehende Recht: 126 Polizeidiensthunde in Brandenburg wissen endlich, woran sie sind. Von der Fortbildung bis zum Ruhestand – ein fünfseitiger Erlaß ihres obersten „Polizeidiensthundwesen“ regelt alle hoheitlichtierischen Rechte und Pflichten. Ein Dokument über Mensch und Tier in Uniform. Wir zitieren in Auszügen:

Der Hund und seine Aufgaben

"Der Diensthund ist wegen seiner besonderen Fähigkeiten vielseitig bei polizeilicher Aufgabenwahrnehmung einsetzbar. Insbesondere ist er hilfreich als Hilfsmittel der körperlichen Gewalt zur Durchsetzung polizeilicher Maßnahmen der Strafverfolgung und Gefahrenabwehr. (...) Der Diensthund ist Eigentum des Landes Brandenburg. Er ist einem Diensthundführer/einer Dienshundführerin zuzuteilen. (...) Einsatz, Training und Pflege des Diensthundes sind auch außerhalb der regelmäßigen Dienstzeit hoheitliche Tätigkeit. "

Der Hund und sein Preis

"Der Ankaufshöchstpreis für Diensthunde beträgt 2. 500 DM. In begründeten Ausnahmefällen darf im Rahmen der Haushaltmittel bei den Polizeipräsidien der Höchstpreis um bis zu zehn Prozent überschritten werden (...) Der Hund muß älter als zehn Monate und jünger als fünf Jahre sein. Er soll ausgewachsen ein Schultermaß zwischen 55 und 70 cm haben. Der Hund ist ggf. auf Probe – für mindestens zwei Wochen – anzukaufen."

Der Hund und sein Vorgesetzter

"Sachgerechtes Führen und Einsetzen des Diensthundes stellt besondere Anforderungen an die dafür vorgesehenen Kräfte, insbesondere müssen sie über ausgeprägtes Verantwortungsbewußtsein verfügen. (...) Beim Umgang mit Diensthunden ist die besondere Rechtstellung von Tieren zu berücksichtigen. (...) Diensthundeführer/innen müssen zum Training und zur eingeständigen Aufgabenwahrnehmung insbesondere bei Haltung und Pflege des Diensthundes – auch außerhalb der tatsächlichen Dienstzeiten – bereit sein. (...) Für die Pflege des jeweiligen Diensthundes werden täglich eine Stunde, darüber hinaus zwei Stunden wöchentlich, soweit der/die Bedienstete selbst weitere Pflegetätigkeiten (wie Futterbeschaffung, Zwingerreinigung usw. ausführt), auf die Dienstzeit angerechnet. Bei Urlaub oder Krankheit des Diensthundeführers wird keine Pflegezeit angerechnet. (...) Die Unterbringung im häuslichen Bereich des Diensthundeführers/der Diensthundeführerin ist anzustreben..."

Der Hund und seine Uniform

"Folgende Grundausstattung für die Arbeit mit dem Diensthund ist von den Polizeipräsidien zur Verfügung zu stellen: 1 Führleine (kurz), 1 Führleine (lang), 1 Läderwürger, 1 Stachelhalsband, 1 Kettenhalsband, 1 Beißkorb, 1 Suchgeschirr, 1 Suchleine, 1 Anlegekette, 1 Striegel, 1 Kartätsche, 1 Futterschüssel, 1 Wasserschüssel, 1 Untertonpfeife, 1 Bringholz, 1 Dienstvorschrift, 1 Prüfungsordnung."

Der Hund und seine Qualifikation

Für die Fortbildung sind durchschnittlich zwei Tage pro Monat vorgesehen. Alle Aus- und Fortbildungs- und Trainingsmaßnahmen orientieren sich am Ausbildungsstand des Diensthundes und an den praktischen Einsatzerfordernissen und den rechtlichen Voraussetzungen. Die Prüfungsordnung für Diensthunde ist zu beachten."

Der Hund und sein Todesfall

"Bei längerer Erkrankung des Hundes und wenn eine Gesundung in absehbarer Zeit nicht zu erwarten steht, ist die Kommission (Nr. 3.5.1.) zu unterrichten. Entscheidet der Tierarzt unter Berücksichtigung tierschützerischer Aspekte, daß eine weitere Pflege des Hundes nicht vertretbar erscheint, ist er einschläfern zu lassen. (...) Die Veräußerung an Tierversuchsanstalten oder Tierhändler ist untersagt." D.Z. „Die Zeit" Nr.34 18.August, 1995

მეორე საგაზეთო სტატია, აგრეთვე ინფორმაციული ხასიათისაა. დიდი ზომის მუქი შავი ასო-ნიშნებითაა დაბეჭდილი სათაური „Tier in Uniform" და მის თავზე მოთავსებულია ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით გამოყოფილი ინფორმაცია: „In Brandenburg gibt es 126 Hunde im Dienst der Polizei".

პირველ აბზაცში დასმულია საპოლიციო ძაღლების პრობლემა, რომლებიც აქამდე ლეგალურობისა და სოციალური დაცვის ზღვარზე იყვნენ. ახლა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულება „Über das Polizeidiensthundwesen" არეგულირებს პრობლემას. ტექსტის შესავალი ნაწილი (პირველი აბზაცი) მთავრდება სიტყვებით „Wir zitieren in Auszügen" და შემდეგ მოდის ექვსი აბზაცი, რომელთა სათაურები კურსივით არის გამოყოფილი. სათაურები ასახავენ აბზაცების თემებს: *Der Hund und seine Aufgaben |Der Hund und sein Preis|Der Hund und sein Vorgesetzter |Der Hund und seine Uniform|Der Hund und seine Qualifikation| Der Hund und sein Todesfall.*

ამ ტექსტზე დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას, რაც ზემოგანხილულ პირველ ტექსტზე. მისი ტოპოლოგიური ჩარჩო ორდინარულია, მას აქვს სათაური, შესავალი ტექსტი (რომელსაც შეიძლება პრეამბულა ეწოდოს), ძირითადი ტექსტი და დასასრულს ინფორმაციის ავტორის ინიციალები D.Z. მხოლოდ პირველი აბზაცი იძლევა მოკლე განმარტებას, რომელიც სტატიის ავტორს ეკუთვნის, დანარჩენი ექვსი აბზაცი წარმოადგენს მოცემული იურიდიული დოკუმენტიდან მოყვანილ, ბრჭყალებში ჩასმულ, შიგადაშიგ შეკვეცილ, ნაწყვეტ ციტატებს.

გრაფემულ-გრაფიკულად ტექსტში პუანტირებულია პირველი სიტყვის პირველი ასო-ნიშანი (B), რომელიც წარმოადგენს სამი სტრიქონის გასწვრივ შავი შრიფტით დაბეჭდილ მაიუსკულს. ამ პირველი სიტყვის დანარჩენი ასო-ნიშნები განლაგებულია პირველ სტრიქონზე ისევ მაიუსკულებით დაბეჭდილი ასო-ნიშნებით:

კურსივით გამოყოფილი აბზაცების სათაურები ასახელებენ იმ ძირითად საკითხებს, რომლებსაც აკანონებს ბრძანებულება. შემოკლებული ადგილები აღნიშნულია მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული სამი წერტილით (...). ამრიგად ტექსტურა გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებულია და კომპოზიციურად სტრუქტურირებული. მაგრამ ავტორის ინტენციის შესაბამისად („Wir zitieren in Auszügen") არც თემის განვითარება ხდება, არც დასკვნების გამოყვანა. სტატიის დასრულების სიგნალს წარმოადგენს ავტორის ინიციალები.

ამ ტექსტში, ისევე როგორც პირველში, არავითარი სემანტიკური ბმულობა არ ხორციელდება ტერმინის ვიწრო გაგებით. ტოპიკალურ ჯაჭვს ქმნის ლექსემა Hund, ისევე როგორც პირველ სტატიაში Kreuz. ორივე გასდევს ტექსტს და გვხვდება როგორც აბზაცების დასაწყისში, ისევე აბზაცებს შიგნით. იმის გამო, რომ განხილული სტატიები მთლიანად არ აკმაყოფილებს იდეალური ბათიზმატური ველის მოთხოვნებს და ხარვეზებიანია, არ შეიძლება გამოცხადდეს „არატექსტად". მათი ბათიზმატური ველი მაინც შეიძლება ჩაითვალოს იდეალური ველის ერთ-ერთ ვარიანტად. ასეთია ამ სახის ტექსტები და სხვანაირი არ შეიძლება იყოს.

15.2. მხატვრული ტექსტები

15.2.1. პროზაული ტექსტები

ჩვეულებრივ დიდი მოცულობის მხატვრული პროზაული ტექსტები ნაკლებად არის ხოლმე გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის არქიტექტონიკას. ტექსტის და მთლიანად წიგნის აურას შეიძლება ზოგადად განსაზღვრავდეს გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული დონე, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. საკუთრივ ტექსტის პუანტირება სულ სხვა კატეგორიას მიეკუთვნება, დამოკიდებულია ავტორის ინტენციაზე, ჩანაფიქრის განხორციელებისთვის შერჩეულ გრაფემულ-გრაფიკულ საშუალებებზე, ტექსტის ტიპზე, ჟანრზე და ა.შ. მკითხველს ვთვაზობთ ინტერპრეტაციას ფრანც ფიუმანის წიგნის „Zweiundzwanzig Tage oder die Hälfte des Lebens", რომელიც ჩვენი აზრით, ვრცელი ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების საუკეთესო ნიმუშია (FÜHMANN 1980).

ვიდრე უშუალოდ ტექსტის ინტერპრეტაციაზე გადავიდოდეთ, უნდა შევეხოთ ერთ საკითხს: რამდენად არის გამართლებული დღიურის ფორმით შექმნილი ნაწარმოები ჩაითვალოს ლიტერატურული ჟანრის ნიმუშად.

დღიური როგორც ლიტერატურული ჟანრი წარმოადგენს ყოველდღიურ ან რეგულარულ ჩანაწერებს საკუთარი ცხოვრების ფრაგმენტებზე, რეფლექსიებს ლიტერატურულ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ა.შ. თემებზე. თუმცა იგი უმეტესად შერეული სახით გვხვდება, მაინც გამოიყოფა მისი ოთხი ძირითადი ტიპი: 1)ფაქტების აღნუსხვის დღიური, რომელიც დანიშნულია პირადი მოხმარებისთვის. გამორიცხული არ არის მისი გამოქვეყნება არა ავტორის, არა-

მად სხვის მიერ postum; 2)დღიური, რომელიც წარმოადგენს ავტორის მოგონებებს ან დაგროვილ მასალას შემდგომი გადამუშავების და გამოქვეყნების მიზნით; 3)გამოქვეყნებისთვის წინასწარ გამიზნული დღიური როგორც ასახვა ავტორის ბიოგრაფიის, შინაგანი სამყაროს განვითარებისა და ა.შ. 4)ე.წ. დღიური-რომანი როგორც ლიტერატურული ფიქციის საშუალება წერილის ფორმით შეთხზული რომანის ანალოგიით. დღიურის ზოგიერთი სახე არ არის მიჩნეული ლიტერატურულ ნაწარმოებად იმ საბაბით, რომ მას თითქოს წმინდა ლიტერატურულობა (Literarizität) აკლია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ჟანრი სუბიექტური სიმართლის პრიზმაში გარდატეხილი რეალური თუ ფიქციონალური სამყაროს ასახვით, შთაბეჭდილებების, ეპიზოდების, პორტრეტების აღწერით, ტექსტში აფორიზმების, მინიატურების, ღრმა განსჯების ჩართვით იზიდავს და იპყრობს მკითხველს.

ფრანც ფიუმანის „ოცდაორი დღე ანუ ცხოვრების ნახევარი“ დღიურის ფორმის ლიტერატურული ნაწარმოებია, რადგანაც მას აქვს ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ნიშანი.

მთელ ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს მწერლის ფიქრები და განსჯები განვლილ ცხოვრებასა და მომავალზე, დაშვებულ შეცდომებსა და უკომპრომისოდ გავლილ გზაზე. წიგნი ერთი შეხედვით უნგრეთში 22 დღის მოგზაურობის შთაბეჭდილებების აღწერაა, თუმცა „აღწერა“ მეტისმეტად ზერელე შეფასება იქნებოდა იმისა, რა ინფორმაციაც ამოიკითხება ტექსტიდან. დღიურის ჟანრი ავტორს აძლევს აბსოლუტურ თავისუფლებას, თავის ნებაზე უშვებს, არ ზღუდავს არავითარი არტახებით. მას შეუძლია თავისი აზრები ისე დაალაგოს, როგორც საჭიროდ მიაჩნია, თავი მისცეს ღრმა რეფლექსიას, შეაფასოს თავისი წარსული, იფიქროს მომავალზე. იგი გამიზნულად იყენებს წერილობითი ენის პოტენციურ შესაძლებლობებს. თავის ნებაზე შეუძლია ათამაშოს გრაფემები და გრაფიკული ნიშნები, შეკვეცოს წინადადებები, ამოყაროს ზმნები, დაახვავოს არსებითი სახელები, ივარჯიშოს რიტორიკაში და კონკრეტულ პოეზიაში, შექმნას უჩვეულო გრაფემულ-გრაფიკული ნახჭები, იკირკიტოს უნგრული ენის გრამატიკაში.

ტექსტის აურას პირველ რიგში გრაფემულ-გრაფიკული ფენის არაორდინარული დისკრეტაცია ქმნის. არავითარი სათაურები და ქვესათაურები, არავითარი პარაგრაფები, არავითარი ვარსკვლავები და სხვა მეტაენობრივი გრაფიკული სიმბოლოები. ყველა აბზაცი ღიაა, არც ერთი არ მთავრდება წერტილით ან სხვა სასვენი ნიშნით, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ბოლო აბზაცი.

აბზაცებს შიგნით პუნქტუაციის ნიშნები გამოყენებულია ორთოგრაფიული წესების დაცვით, მრავლად გვხვდება სიმბოლოები და ბლოკური შრიფტით გამოყოფილი სიტყვები, არაორდინარულია მრგვალი ფრჩხილებისა და ბრჭყალების გამოყენება. ხედავ იხსნება ბრჭყალები, იხსნება მრგვალი ფრჩხილი, მისდევ სტრიქონებს, კითხულობ, ეძებ, სად იხურება ბრჭყალები ან ფრჩხილი და ბოლოს პოულობ. სხვა ადგილას ხედავ გახსნილ ბრჭყალებს ან

ფრჩხილს და დახურულს ველარ პოულობ. რას ნიშნავს ეს? შემთხვევითია გრაფიკული ნიშნებით ორმაგი თამაში, თუ კანონზომიერი? რა თქმა უნდა, კანონზომიერი. აბზაცების შიგნით იხურება გახსნილი ბრჭყალებიც და მრგვალი ფრჩხილებიც (იხ. გვ., გვ., 7,10,11,17,31,34,42,44 და ა.შ.), ხოლო აბზაცების ბოლოს ღია რჩება (იხ. გვ., გვ., 5,24,31,34,46,85,106,117 და ა.შ.). ასეთი არაორდინარული გამოყენება არაენობრივი გრაფიკული ნიშნებისა წარმოადგენს ავტორის ინტენციის გამოხატულებას ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით დაშორებული აბზაცები ღია დატოვოს, ე.ი. აბზაცის ბოლოს არ დასვას სასვენი თუ სხვა გრაფიკული ნიშანი და არც ბრჭყალები და ფრჩხილები დახუროს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გამონაკლისს წარმოადგენს ბოლო სტრიქონი – აბზაცი, რომელშიც ორი კითხვის ნიშანია დასმული (FÜHMANN, 1980:209).

ტექსტის არქიტექტონიკულ და გრაფემულ-გრაფიკული ფენის ერთეულებს ქმნიან თარიღით გამოყოფილი მონაკვეთები და ეს მოსალოდნელიცაა დღიურის ჟანრის შესაბამისად. ტექსტი იწყება თარიღით 14.10, წელი არ არის მითითებული. შემდგომი მონაკვეთები გამოყოფილია ქრონოლოგიურად: 15.10, (გვ. 7-13), 16.10 (გვ. 14-23), 17.10 (გვ. 24-28) და ასე გრძელდება ბოლო მონაკვეთამდე, რომელიც დათარიღებულია რიცხვით 4.11. (გვ.207-209). მაგრამ ამით არ ამოიწურება ტექსტის დისკრეტაცია. ყოველი მონაკვეთი გამოყოფილია ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით დაშორებული, უწყვეტი აბზაცით. აბზაცებს შორის ჩართულია არასრული, შეკვეცილი სტრიქონები, რომლებიც ერთ სიტყვას ან შესიტყვებას შეიცავს და აგრეთვე ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით გამოიყოფა. ტექსტის მთელი ბათიზმატური ველი ჰორიზონტალურად დასერილია სტრიქონთშორისი ინტერვალებით, ხოლო ვერტიკალურად – კონკრეტული პოეზიის ნიმუშებითა და ლექსებით. ვერტიკალურ დისკრეტაციას ავტორი ახორციელებს აგრეთვე კურსივით გამოყოფილი, მეტ-ნაკლები მოცულობის სიზმრების ჩართვით, რომლებიც არ არინ ორგანულად დაკავშირებული მიმდინარე მოვლენებთან. ისინი ადამიანის ქვეცნობიერი ფსიკის გამოვლინებას და ერთმანეთთან სემანტიკურად შეუთავსებადი ასოციაციების ზღაპრული თუ მითოსური წარმოდგენების ნაფლეთების ერთობლიობას წარმოადგნს...

ბათიზმატური ველის ყველა ფენის საფუძვლიან ინტერპრეტაციას თითო მონოგრაფია დასჭირდებოდა, რადგანაც არსებობს კანონზომიერება: რაც უფრო პუანტირებულია ტოპოლოგიური ჩარჩო, არქიტექტონიკული და გრაფემულ-გრაფიკული ფენა, მით უფრო ძნელია ტექსტის გაგება-გაგებინება, იზრდება დივინაციისა და ინფერენციის წვლილი და, შესაბამისად, ინტერპრეტაციის მოცულობაც.

სემანტიკური ფენის გაგება აგრეთვე არ არის იოლი, რადგანაც ტექსტი ბევრი რამის ამოცნობას სთავაზობს მკითხველს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დიდი მოცულობის წინარეცოდნა უნგრეთის და მისი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობების, ისტორიული ძეგლების, ხალხის ზნე-ჩვეულებების და, საერთოდ, უნგრული მენტალობის შესახებ. უფრო მეტიც, ავტორი ისე მოიხსენიებს

მსოფლიოში მეტ-ნაკლებად ცნობილ ისტორიულ პირებს, პოეტებს, კარგად ნაცნობ ან შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს, თავის მეგობრებს ყოველგვარი დახასიათების გარეშე, თითქოს დარწმუნებული იყოს, რომ მკითხველი ისევე კარგად ხედავს და იცნობს მათ, როგორც თვითონ. იგი უყურებს და ისე მსჯელობს ბუდასა და პეშტზე, დუნაიზე გადებულ ჰაეროვან ხიდებზე, თითქოს მკითხველი მის გვერდით იდგეს და ისიც ყველაფერს ხედავდეს (თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იგი ხანდახან მცირეოდენ დახმარებასაც უწევს მკითხველს. მაგალითად, დუნაის ხიდებს ჯერ უნგრულად, შემდეგ გერმანულად ასახელებს). ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ავტორმა პოპულარულ-მეცნიერულ ენაზე უნდა ახსნას და აღწეროს ყველაფერი, რაც მისი მსჯელობის საგანია, რათა ყველა რანგის მკითხველმა გაუგოს მას. არა! ის ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს სავსებით გააზრებულად, რომელიც მის მიერ შერჩეული ჟანრის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ფრანც ფიუმანის ეს წიგნი ისეთია, როგორიც უნდა იყოს. მან თავიდანვე იცის, რა და როგორ უნდა დაწეროს. იგი უნგრეთში მიიწვია პენკლუბმა და უნგრელ კოლეგასთან ერთად უნდა შეადგინოს პროგრამა, თუ როგორ გაატაროს დაგეგმილი 22 დღე. თვითონ პროგრამაზე არ სურს ფიქრი. „...Was mich betrifft, so habe ich keins (პროგრამა – ვ.ფ.). Ein Büchlein, Reisenotizen soll werden, irgendwas Loses, Buntes, nicht einmal auf Ungarn beschränkt, ein bißchen erweitertes Tagebuch, und das führe ich ohnehin jeden Abend. ...Ein Paar Interlinearübersetzungen der späten Gedichte Józsefs habe ich im Koffer, und eine ungarische Grammatik und ein Ungarischlehrbuch wie immer auch. Wollen will ich nur Ruhe, Dösen, Faulsein, Nichtstun, Herumschlendern, Antiquariate, eben Urlaub..." (FÜHMANN, 1980:12).

ფრანც ფიუმანის ძირითადი მიზანია, შექმნას მოგზაურობის ჩანაწერები, გაფართოებული დღიურის მსგავსი რამ, რომლის გამოქვეყნებასაც მომავალში აპირებს. ავტორის ამ ინტენციას შეესაბამება ტექსტის ბათიზმატური ველი, მისი გრაფემულ-გრაფიკული პუანტირება, არქიტექტონიკული დისკრეტაცია და ენის სისტემის ელემენტების იმგვარად აქტუალიზება, რომ ადეკვატურად გამოხატონ „რაღაც ჰრელი", ერთმანეთთან მჭიდროდ დაუკავშირებელი ფიქრები, მოგონებები, მოვლენები, უნგრეთის ხიდები, ბუდაპეშტის ეკლესიები და დუნაიზე დაკიდებული ხიდები. აქტუალიზებული ენის ფენა იმდენად არაორდინარული და თვალშისაცემად სელექციურია, რომ მკითხველის ყურადღებას ძაბავს. გრაფემულ-გრაფიკულ ენასთან ერთად ისიც პუანტირებულია და სიღრმულ ინტერპრეტაციას მოითხოვს. მაგრამ ახლა ჩვენი ძირითადი მიზანია მხოლოდ გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკული ფენების ინტერპრეტაცია და სხვა ფენებს შეიძლება მხოლოდ გაკვრით შევეხოთ.

მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან მომზირალი მწერლის შთაბეჭდილებები აუცილებლად უნდა გამოიხატოს ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი აზრებით, ელიფსური წინადადებებით, მოვლენებზე და საგნებზე წამიერი შეჩერებით, კოჰეზიისა და კოჰერენტულობის საშუალებების ძუნწი გამოყენებით, ტოპიკალური ჯაჭვების გაწყვეტით. მიუხედავად ამისა წინარეცოდნით აღჭურვილი, დივინაციისა და ინფერენცის უნარით დაჯილდოებული მკითხ-

ველი იმდენ ინფორმაციას ამოიკითხავს ამ ტექსტიდან, რეფლექსიის ისეთ სიღრმეს იგრძნობს და მხატვრულ გამომგონებლობას აღმოჩენს, რომ არ ინანებს, თუ ბევრი ადგილის გაგებისთვის თავის ტეხა მოუხდება. მთელ ტექსტში გაბნეულია ბრძნული გამონათქვამები, ანდაზები, ექსკურსები უნგრეთის ისტორიაში, უნგრეთის ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებების აღწერა, პეიზაჟების ფერადოვანი სურათები – და ყოველივე ეს ლამაზი, შთამბეჭდავი ხატოვანი გერმანული ენით გადმოცემული. ყურადღებას იპყრობს ავტორის საკმაოდ ვრცელი განსჯები მითისა და ზღაპრის მსგავსებასა და განსხვავებაზე, მისი ორიგინალური, აფორისტულად გამოთქმული შეფასებები ამ ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი სამყაროს აღქმის ფორმისა.

ფილოსოფიის, ესთეტიკის, პოეზიის ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე თუ პრობლემებზე გამოთქმული ორიგინალური მოსაზრებების გარდა ტექსტში გვეხვდება მეორე მსოფლიო ომის მომენტების გახსენება, რომელთა გააზრებას ახლა ავტორი, როგორც ომში ფაშისტების მხარეზე მეომარი პიროვნება, ბევრი მოვლენის გადაფასებამდე მიჰყავს, მრავალ საფიქრალს უჩენს მას და ახლა სხვა პოზიციაზე აყენებს.

ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველი მკითხველისა და ენის სპეციალისტებისათვის ფრანც ფიუმანის გრამატიკული ჩანართები, რომლებიც ტექსტში მოკლე პასაჟების სახით არის ჩართული. ასე მაგალითად, მსჯელობა უნგრული რიცხვითი სახელის შესახებ, რომელსაც, ისევე როგორც ქართულში, თურმე არსებითი სახელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა და არა მრავლობითში, როგორც ეს გერმანულშია. „Und warum ziehen die Zahlwörter keinen Plural nach sich? Man sagt: zwei Brot, drei Blume…" ფრანც ფიუმანის ამ შეიკითხვაზე უნგრელი ფერენცი პასუხობს: „Der Plural steckt schon in der Zahl, da braucht man nicht doppelt zu moppeln" (FÜHMANN, 1980:31).

რამდენიმე სიტყვა ტექსტის დასასრულის შესახებ.

ტექსტი იწყება აღმოსავლეთის ვაგზლით (პრესიგნალია Ostbahnhof), საიდანაც მატარებელი გადის უნგრეთში 14 ოქტომბერს და მთავრდება 4 ნოემბერს, როდესაც ავტორი შინ ბრუნდება. ბოლო ცხრა სტრიქონი ასე გამოიყურება:

Die Elbe
Rauch
Birken
Eintönig Kieferwälder. Seen und Sand
Kiefern
Vorn Schöncfeld der Teich und das Kriegerdenkmal Rummelsburg; Ostkreuz;
Warschauer Straße; Einfahrt; daheim

ფრანც ფიუმანი არც აქ ღალატობს თავისთავს. აბზაცებს შიგნით, რომლებსაც პირობითად თუ მოიხსენიებ ამ ტერმინით, მათ შეიძლება სტრიქონიც ვუწოდოთ, დასმულია პუნქტუაციის ნიშნები, ხოლო აბზაცების ბოლოს – არა. ყველა აბზაცი ღიაა, გარდა ბოლოსი, რომელშიც ორი კითხვის ნიშანია. რისი თქმა უნდა ამით ავტორს? მკითხველმა

Kälte; Nebel; geliebter Norden
Anfang? Oder: Aufhören?

(FÜHMANN, 1980:209)

ეს სასვენი ნიშანი უნდა აღიქვას როგორც დასრულების სიგნალი (და ამას დიდი ინფერენცი არ ესაჭიროება), თუ არა მარტო როგორც დასრულების სიგნალი.

რა შეიძლება ამოიკითხოს მკითხველმა და ინტერპრეტატორმა ამ სტრიქონში, რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს? რატომ მერყეობს ავტორი „დაწყებასა" და „შეწყვეტას" შორის? იგი ალბათ არ გულისხმობს ამ მოგზაურობის დღიურებს, ის უკვე დაწერილია. შესაძლოა გულისხმობს იმ ნაწარმოებს, რომელსაც ამ წიგნის შემდეგ დაწერს? იქნებ ისევ ზღაპრისა და მითოსის პრობლემას უნდა მიუბრუნდეს; ხომ წერს, რამდენჯერ გადავწყვიტე, აღარ მომეკიდებინა ხელი ზღაპრის ლირიკული კონცეფციისათვის, რომელიც ამოვწურე, მაგრამ ისევ და ისევ ვუბრუნდები მასო (იქვე, 191). იქნებ უნგრეთში ყოფნის დროს ყველაფერი ვერ ჩაინიშნა ისე, როგორც უნდოდა? იქნებ 22 დღეში განცდილს ახლა სხვანაირად შეაფასებდა და დაწერდა? იქნებ იმასაც ყოყმანობს, საერთოდ ყველაფერი თავიდან დაიწყოს, თუ ამით შეწყვიტოს თავისი სამწერლო მოღვაწეობა. კიდევ ვინ იცი, რამდენი „იქნებ" შეიძლება ამოიკითხოს კაცმა ამ კითხვის ნიშნებში. დივინაცია და ინფერენცი, სამწუხაროდ, მხოლოდ მიახლოებითი შეიძლება იყოს.

ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან ავტორის მიერ დანახული სურათები ფილმის კადრებივით გარბის მკითხველის თვალწინ: ელბა, კვამლი, არყის ხეები, ერთფეროვანი ფიჭვის ხეები, ტბები და ქვიშა... და ბოლოს კადრი ჩერდება: საყვარელი ჩრდილოეთი. აქ არის ტექსტის ქვედა ზღვარი, რომელიც მთავრდება უკანასკნელი შეკვეცილი სტრიქონით (აბზაცით).

ამრიგად, მიუხედავად თვალშისაცემი გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკული, ისევე როგორც ენობრივი, სემანტიკური და კომპოზიციური სტრუქტურების არასტანდარტულობისა და დაჭუცმაცებულობისა ტექსტი მაინც მთლიანია და მისი წაკითხვის და ინტერპრეტაციის შემდეგ ასეთად აღიქმება. სათაური მთელ ტექსტს კომპოზიციურად ჰკრავს, დაწყებისა და დამთავრების სიგნალები მეტყველებენ იმაზე, რომ ტექსტი დელიმიტირებულია და მას აქვს როგორც ზედა ისე ქვედა ზღვარი. ავტორის ინტენცია და ტექსტის ფორმა განსაზღვრულია მეორე დღის (15.10) ჩანაწერში. თუ მკითხველსა და ინტერპრეტატორს სათანადო წინარე ცოდნა აქვს და იცნობს დღიურის ჟანრს, მიხვდება, რომ ეს არის ნაწილობრივ შერეული ტიპი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით დღიურის მეორე და მესამე სახეობას.

რაც შეეხება ტექსტის სემანტიკურ ფენას, ის აგებულია სამ ძირითად კომპონენტზე. ეს არის მთხრობელი, დროისა და ადგილის ჩარჩო – სახელდობრ, ავტორის ყველგანმყოფობა, 22 დღე და ბუდაპეშტი/უნგრეთი. ტექსტის ბმულობა ხორციელდება ერთი მხრივ „მე"-ს იზოტოპიით, ხოლო მეორე მხრივ 22 დღისა და უნგრეთის სივრცობრივი დისკრეტაციით. ამ დისკრეტაციაში აისა-

ხება დროისა და ადგილის მაჩვენებლების რეკურენცი. ეს სამი კომპონენტი – მე, ადგილი, დრო – შეიძლება ჩაითვალოს კოჰერნტულობის განხორციელების ფაქტორებად.[16] მთხრობელი (ავტორი) დადის, მოძრაობს, ფიქრობს, მსჯელობს, ხვდება ადამიანებს, ათვალიერებს ქალაქს, მიდის ბუდაპეშტის განთქმულ აბანოებში, უყურებს ფილმებს, ხოლო დღის დასრულების შემდეგ ჯდება და წერს. ყველაფერი, რაც ნახა, განიცადა და შეაფასა, დანახულია საკუთარი თვალით, ყველაფერი ტრიალებს მისი პიროვნების ირგვლივ, ტექსტი „აკინძულია“ პირველ პირზე – კოჰერენციის ძირითად ღერძზე, რომლის ირგვლივაც ვითარდება დროსა და სივრცეში მიმდინარე ხდომილებები.

15.2.2. პოეტური ტექსტები


როგორც უკვე ითქვა, მაღალგანვითარებულ ენებში, რომლებსაც დამწერლობის ხანგრძლივი ტრადიციები აქვთ, შეინიშნება დიდი სიყვარული საკუთარი ანბანის, დამწერლობისა და მხატვრული შემოქმედების წერილობითი ენით გამოხატვისადმი. გერმანულ ენაში, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, მათ შორის ქართულშიც, არსებობს ტოპოლოგიური ჩარჩოს და გრაფემულ-გრაფიკულ თუ არქიტექტონიკულ საშუალებათა მხატვრული მიზნით გამოყენების წინაპირობები. ტექსტის ბათიზმატური ველის ამ ფენების შეგნებული, წინასწარ გააზრებული გამოყენება პოეტს აძლევს საშუალებას შექმნას მაღალმხატვრული გრაფოესთეტიკური ღირებულების მქონე ნაწარმოები. თუ კი რიტორიკულ ხელოვნებაში გამოყოფენ ზეპირი მეტყველებისა და წერილობითი ენის სტილს, როგორც ჩანს, წერილობითი ენის ფარგლებში შეიძლება მსჯელობა აგრეთვე **გრაფიკულ რიტორიკაზე**, რის არსებობასაც ადასტურებს წერილობითი ნიმუშების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლებიც შექმნილია ტოპოლოგიური ჩარჩოს უჩვეულო ვარიერებით, ენობრივ გრაფიკული და მეტაენობრივ-გრაფიკული ნიშნების ერთეულოვანი და ფიგურული გამოყენებით, რაც ხშირად რიტორიკულ ოსტატობაში ვარჯიშს უფრო წააგავს, ვიდრე ლექსის წერას ჩვეულებრივი გაგებით. მკითხველს აოცებს, იზიდავს და ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის ამ ხერხით შექმნილი მაღალმხატვრული პოეტური ნიმუშების ხილვა და კითხვა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკული საშუალებების გამოყენება ზოგჯერ იმ ზღვარს სცილდება, რომლის იქით პოეტური შემოქმედების შედეგი ძნელად თუ ჩაითვლება პოეტური ენის ნიმუშად. ამიტომ გრაფიკული პოეზიის ნიმუშები, მათ ვიზუალურსაც უწოდებენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზის საგანი, თუ მასში ჭარბობს ენა და არა გრაფიკული ფიგურა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება არა გრაფიკული პუანტირება, არამედ გრაფიკა. ასე მაგალითად, როგორი ინტერპრეტაცია შეიძ-

[16] ეს არ არის კომპონენტები დეიქტიკური ველისა, რომელიც ზეპირი მეტყველების სიტუაციურ მოდელს წარმოადგენს და კომუნიკაციური პარტნიორების თანამყოფობას გულისხმობს.

ლება მიეცეს ქრისტიან მორგენშტერნის „თევზის ღამის სიმღერას“ ტექსტის ლინგვისტიკის თვალთახედვით?

FISCHES NACHTGESANG



(MORGENSTERN, 1954:31)

ეს არის თევზის ფორმის ფიგურული წარმონაქმნი, რომელიც შესრულებულია ტირეებითა და ნახევარრკალებით. თავისთავად ეს გრაფიკული ფიგურა საინტერესო მიგნებაა და, თუ მკითხველმა იცის, რომ ავტორი მას „თევზის ღამის სიმღერას“ უწოდებს, გაუჩნდება თევზთან დაკავშირებული ბუნდოვანი ასოციაციები. ამას ხელს შეუწყობს ის, რომ ტოპოლოგიური ჩარჩო თევზის მოყვანილობისაა, რომ ნახევარრკალები თევზის ქერცლს მიაგავს, რომ ფიგურა სიტყვებს არ შეიცავს, რადგანაც თევზია და პირი წყლითა აქვს სავსე, რომ ნიშნები _ _ და ◡ ◡ ლექსის მეტრიკის რომელიღაც საზომს მიაგავს. ერთი სიტყვით „თევზის ღამის სიმღერა“ არ არის წერილობითი შემოქმედების ნიმუში და, რადგანაც მასში არ არის არც ერთი ენობრივი ნიშანი, ის არ შეიძლება იყოს ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის საგანი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არაფრის მთქმელია და არ ექვემდებარება ანალიზს. ის შეიძლება იყოს ინტერპრეტაციის საგანი, მაგრამ არა ტექსტის ლინგვისტიკისა იმ გაგებით, რომელიც გაზიარებულია წინამდებარე მონოგრაფიაში.

თუ ზოგადად ავიღებთ, ადამიანის ენაზე ყველაფრის ინტერპრეტაცია შეიძლება, მათ შორის ნიშნობრივი მიმართებებისაც, რა სახისაც არ უნდა იყოს ეს ნიშანი. მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ყველა ნიშნობრივი მიმართებები თავისთავად ენობრივია და ლინგვისტიკურ ანალიზს ექვემდებარება (მაგალითად, საგზაო ნიშნები არ არის ენობრივი ნიშნები და არც ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის საგანი). ტექსტის ლინგვისტიკის კომპეტენციაში შედის მხოლოდ ისეთი წარმონაქმნი, რომელიც ენობრივი ნიშნების უპირატესი გამოყენების შედეგს წარმოადგენს. ტექსტი როგორც ენობრივი „სუპერნიშანი“ ლინგვისტიკურ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, იმიტომ რომ იგი ენობრივია. გრაფიკული მეტაენობრივი საშუალებები არ უნდა სცილდებოდეს ენობრივ ზღვარს, არ უნდა თრგუნავდეს ენობრივ სტრუქტუ-

რებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ „ტექსტთან“ არაფერი ესაქმება ტექსტის ლინგვისტიკას.

მკითხველს ვთავაზობთ ენობრივი „სუპერნიშნის“ ნიმუშებს, რომლებშიც გამოყენებულია გრაფიკული საშუალებები, მაგრამ მათ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ენიჭება. ისინი ამშვენებენ ამ ენობრივ წარმონაქმნებს, მატერიალურ წარმოდგენებს ხილვადს ხდიან, თუმცა მთლიანობაში არ დომინანტობენ ენაზე.

ვიდრე უშუალოდ ტექსტის ნიმუშების ინტერპრეტაციას დავიწყებდით, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით მაინც შევეხოთ იმ სფეროებს, რომელთა წიაღშიც ჩაისახა, განვითარდა და დღესაც განაგრძობს განვითარებას გრაფორიტორიკული ტექსტები.

კონკრეტული პოეზია. ეს არის ერთ-ერთი მიმართულება თანამედროვე ლიტერატურაში, რომელიც ენას იყენებს, მაგრამ უარს ამბობს სინტაქსურ კავშირებზე და ვიზუალური ან აკუსტიკური საშუალებებით ცდილობს სათქმელის გამოსახვას.

კონკრეტული პოეზია გავრცელდა XX საუკუნის 50-იან წლებში ჯერ ევროპის ზოგიერ ქვეყანაში, შემდეგ მის ფარგებსაც გასცდა. მან თანდათან გაიფართოვა ფუნქციონირების არეალი და პროზასა და რადიოპიესებშიც გადავიდა. მისი გამოჩენა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში შეინიშნებოდა ზოგიერთი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლობის პოეზიაში (სიმბოლიზმი, ნატურალიზმი, დადაიზმი). იგი თეორიულად დაფუძნდა ნეოპოზიტივისტური ფილოსოფიის, სემიოტიკის, ინფორმაციის თეორიისა და ესთეტიკის, სახვითი ხელოვნების და უპირველესად ყოვლისა ე.წ. კონკრეტული ხელოვნების გავლენით. კონკრეტულ ხელოვნებას მისი თეორეტიკოსები განსაზღვრავენ როგორც მარტივ და რაციონალურ ზომათა მიმართებების (Maßverhältnisse) რეალიზაციასა და წარმოსახვას. ტერმინი „კონკრეტული“ პირველად მოიხმარა მხატვარმა მ.ბილმა 1944 წელს. იგი შემდეგ ლირიკაზე გადაიტანა შვეიცარელმა პოეტმა ე.გომრინგენმა და მოითხოვა „ტაეპიდან“ კონსტელაციაზე გადასვლა. პარალელურად ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული მიმდინარეობა შექმნა. „მტუტგარტის სკოლის“ მეთაურმა მ.ბენზემ თავისი წანამძღვრები გამოიყვანა „ტექნიკური ცივილიზაციის“ მიმართებებიდან და თეორიულად დაუშვა ავტორის შეცვლა კომპიუტერით (Computerlyrik). სუბიექტ-ობიექტის მიმართება მან გამოაცხადა „ცდომილი ცნობიერების“ ფორმად და ჩვეულებრივი ლექსი დაიყვანა „საკუთრივ კონკრეტულზე“ („das eigentliche Konkretum“) – ე.ი. ენაზე. ენა მიჩნეულია მასალად, რომელსაც ავტორი იყენებს ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე. იგი ახდენს სიტყვების ატომიზირებას და ცალკეულ ასო-ნიშნებამდეც კი დაჰყავს. ამავე ტენდენციებს განასახიერებს „ვენის ჯგუფიც“ (ფ.ახლაიტნერი, ნ.კ.არტმანი, ო.ვიმერი და სხვა), რომელიც უარყოფს თანამედროვე ავსტრიულ ლიტერატურას და ენას იყენებს გრაფიკული და ფონეტიკური ექსპერიმენტებისათვის (SCHUHMANN 1986).

XX საუკუნის 80-90-იან წლების კონკრეტულ პოეზიაში ახალი ნაკადი იჩრება, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს მისი ფუნქციონირების არეს. წიგნში „Anspiel. Konkrete Poesie im Unterricht Deutsch als Fremdsprache" თავმოყრილია კონკრეტული პოეზიის ნიმუშები (KRUSCH, KRECHEL 1991). ამ წიგნის შექმნის ისტორია ასეთია: 1981/82 წელს ზამთრის სემესტრში ერთ-ერთმა გამომცემელმა გამართა სემინარები კონკრეტული პოეზიის გამოყენების პერსპექტივაზე გერმანული ენის სწავლების პროცესში. სემინარის ერთ-ერთი მონაწილე წერდა სადოქტორო დისერტაციას კონკრეტულ პოეზიაზე, მეორე მონაწილეს კიდევ რაღაც მიზნები ჰქონდა და ა.შ. სემინარები ჩატარდა ანკარაში, სტამბულში, პარიზში, ნეაპოლსა და გენუაში. ამ სახის პოეტური ტექსტების შეტანამ გერმანული ენის სწავლების პროცესში დიდი მოწონება ჰპოვა. შესაძლოა ამ წარმატების მიზეზი ისიც იყო, რომ მოსაწყენი გახდა პრაგმატული ტექსტების გამოყენება სასწავლო პროცესში, ხოლო კონკრეტული პოეზიის ნიმუშები თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას ქმნის, რაც ყველგან და ყოველთვის სასურველია (იქვე, 8).

ამ კრებულის შემდგენლები დიტერ კრუშე და რუედიგერ კრეხელი ფიქრობენ, რომ ენის შესწავლა მძიმე და მოსაწყენი საქმეა, რაც იმდენად ენის არსიდან არ გამომდინარეობს, რამდენადაც სწავლების პროცესიდან. ამიტომ საჭიროა სასწავლო პროცესის გადახალისება, ახალი ნაკადის შემოყვანა. ენის სწავლებას ესაჭიროება „სათამაშო სივრცე" (Spielraum). ეს უნდა იყოს ის ძალდაუტანებელი, უშუალო, სახალისო პროცესი, რომელიც არ გადაიზრდება სერიოზულობასა და გესლიანობაში. უცხოური ენის შესწავლისათვის ასეთ „სათამაშო სივრცედ" შეიძლება იქცეს პოეზია, განსაკუთრებით კი თანამედროვე პოეზიის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა კონკრეტული პოეზია. ამ პოეზიის „კონკრეტულ" საგანს წარმოადგენს თავად ენა თავისი მრავალფეროვნებით. კონკრეტულ პოეზიას ენა მოჰყავს სათანადო ვიზუალურ ფორმაში და თვალსაჩინოდ ხდის ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებას. სიტყვების სხვადასხვა ფორმების წარმოება, უღლება, ბრუნება, მნიშვნელობის დაზუსტება ან შეცვლა, წინადადების შედგენა და ა.შ. – ყოველივე ეს ისწავლება ენობრივი თამაშის ფონზე, ამასთანავე სასწავლო დიალოგი არ კარგავს თამაშის ფორმას (იქვე, 5-8).

გარდა კონკრეტული საგნობრიობისა ამ კრებულში წარმოდგენილი პოეზიის ნიმუშებს აქვთ მეორე, ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურული განზომილებაც, რაც იმას მოწმობს, რომ „კონკრეტულის" ცნება პოეზიის ამ სახეობაში თანდათან ფართოვდება და „საგნობრიობას" სულ უფრო მეტი დენოტატები და სიგნიფიკატები ემატება.

კონკრეტული პოეზიის ნიმუშების ინტერპრეტაცია ენის შემსწავლელს აძლევს საშუალებას, შემოქმედებითად მიუდგეს სასწავლო მასალას, გერმანული ენის სტრუქტურული ელემენტების შესახებ გამოთქვას აზრი გერმანულსავე ენაზე და ტექსტში უფრო მეტი რამ დაინახოს, ვიდრე მასწავლებელი მისგან მოითხოვს. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ გრაფემუ-

ლად პუანტირებული და გრაფიკული ფიგურების სახით წარმოდგენილი ტექსტები ენის შემსწავლელისათვის უჩვეულო რამ არის და მის მოლოდინს აჭარბებს. მათ სიხალისე შეაქვთ სწავლების პროცესში და უცხოური ენის ათვისებას დიდად უწყობენ ხელს მით უფრო მაშინ, თუ ფიგურებს ანთროპომორფული თვისებებიც მიეწერება (KRUSCH/KRECHEL, 1991:6...83).

ნონსენსპოეზია. ეს სახუმარო პოეზია აგებულია თავშესაქცევ აბსურდებზე. მოულოდნელობის ეფექტს ქმნის ხატოვანი გამოთქმების ალოგიკური დაკავშირება, პარადოქსული ცნებებისა და შეუთავსებადი მსჯელობების შერწყმა-შეთავსება. მისი ფორმალური გამოხატვის სახეებია სიტყვათთამაში, ხმაბაძვა (ონომატოპეა) და ხიაზმი. ვარაუდობენ, რომ ნონსენსპოეზიის წყაროა საბავშვო ლექსები, იავნანა და დათვლაზე აგებული რითმები. გერმანულენოვან ლიტერატურაში ამ პოეზიის ნიმუშები გვხვდება ქრ. მორგენშტერნის, თ.ფიშერის, ჰ.არპის და სხვათა შემოქმედებაში (SCHELLER, 1986*:375).

ნონსენსპოეზიის განსაკუთრებული ფორმაა ე.წ. **ლიმერიკი** (der Limerick). ტერმინი წარმოდგება ირლანდიური საგრაფოსა და ქალაქის სახელწოდებიდან. ლიმერიკი ჩვეულებრივ ხუთტაეპიანი ლექსია (თუმცა ოთხტაეპიანიც შეიძლება იყოს). პირველ ტაეპში ხაზი ესმება იმას, ვიზე ან რაზეა ლაპარაკი და სად ხდება მოქმედება. შემდგომ სამ ტაეპში აღწერილია უხერხული, კომიკური ან დელიკატური სიტუაცია, ბოლო ტაეპის შინაარსი აბსურდული, უცნაური და თავშესაქცევია. იგი ხშირად პირველ ტაეპს ეხმიანება. მაგალითად:

Da war mal ein Mann aus Peru,
Der träumte, er fräß seinen Schuh.
Voll Schrecken erwacht,
Fuhr er hoch in der Nacht
und stellt fest: es traf buchstäblich zu.

(anonym)

(SCHELLER, 1986:297)

აღარ გავაგრძელებთ პოეზიის ამ მიმართულებების ჩამოთვლას, რომლებშიც გვხვდება გრაფორიტორიკული, ვიზუალური ტექსტების ნიმუშები და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ლიტერატურული მიმართულებისათვის (როგორიცაა მაგალითად, კონკრეტული პოეზია, დადაიზმი) იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია. მაგრამ არც პოეზიის ბევრი ტრადიციული მიმდევრობის წარმომადგენელი და კლასიკოსი უკადრისობს გრაფორიტორიკაში ვარჯიშს. ვიზუალური პოეზიის ნიმუშები იქმნებოდა და იქმნება ალბათ ყველა ენაზე, რომელშიც დამკვიდრებულია სამწერლო ტრადიციები, საკუთარი ანბანისა და დამწერლობისადმი დიდი მოწიწება. ასეთ ენებს მიეკუთვნება აგრეთვე გერმანული და ქართული ენები.

ქვემოთ გთავაზობთ მკითხველს იმ პოეტური ტექსტების ინტერპრეტაციას, რომელთა ავტორები თუმცა სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან და ინდივიდუალურობით გამოირჩევიან, მაგრამ

ყოველი მათგანი მოცემული ტექსტის შეთხზვისას გამიზნულად იყენებს გრაფორიტორიკული ხერხების მარაგს. რომელიც, როგორც ჩანს, თავისი არსით უნივერსალური მოვლენაა და პოტენციურად არსებობს არა მარტო გერმანულში, არამედ ყველა მაღალგანვითარებულ, დამწერლობის მქონე ენაში.

15.2.2.1. კონკრეტული პოეზიის ნიმუშები

ქვემომოყვანილ ნიმუშებში გარდა ენობრივი ნიშნებით თამაშისა თემატიზირებულია პოლიტიკური, აღმზრდელობითი, კულტურის, ომისა და მშვიდობის მოტივები.

ომის თემა

RUCKHARD GASSE

LEHR REICH

ERSTES REICH
ZWEITES REICH
DRITTES REICH
DRITTES REICH

(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 8)

როგორც ჩანს, მესამე რაიხის პრობლემა გერმანელთათვის კვლავ აქტუალური რჩება. ისმება კითხვა: პირველი რაიხი, მეორე რაიხი, მესამე რაიხი... სადამდე უნდა გაგრძელდეს? ხომ არ გვემუქრება კიდევ ერთი რაიხი? (გვინდა მკითხველს შევახსენოთ: **პირველი რაიხი**: ე.წ. „Römisches Reich" – დაარსდა XI საუკუნეში. XV საუკუნიდან იწოდებოდა „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიად", რომელმაც იარსება 1806 წლამდე (ქსე 1984, ტ.3:101; GROßES FREMDWÖRTERBUCH, 1980:109).

მეორე რაიხი: 1871 წელს ვერსალში ხელმოწერილი ხელშეკრულების შედეგად ოტო ფონ ბისმარკის თაოსნობით შექმნილი გერმანიის იმპერია, იარსება 1918 წლამდე გერმანიაში მონარქიის დამხობამდე. **მესამე რაიხი**: ჰიტლერის ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის პირობებში 1933 წელს შექმნილი სახელმწიფო წარმონაქმნია გერმანიაში, იარსება 1945 წლამდე). ამ კითხვის პასუხს სათაური იძლევა. პრესიგნალი LEHR REICH წარმოადგენს განზრახ ორად გაყოფილ ერთ რთულ გრაფოსიტყვას „Lehrreich" – „ჰკუის სასწავლებელი", რომლის საზრისი ასე შეიძლება ამოვიკითხოთ: „ჰკუა უნდა ვისწავლოთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ". Reich და reich ომონიმებია, პირველი ნიშნავს „იმპერიას", მეორე – „მდიდარს". ამ ომონიმზეა აგებული სიტყვების თამაში.

ტექსტი შესრულებულია ბლოკური შრიფტით – მაიუსკულებით. მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ ხუთ კომპონენტს შეიცავს და მისი ბათიზმატური ველი ხარვეზიანია, მაშასადამე იდეალურისაგან შორსა დგას, ტექსტის სემანტიკური ფენის დივინაციისა და ინფერენციის გამოყენებით საკმაოდ დიდი ინ-

ფორმაციის ამოკითხვა შეიძლება. სინტაქსური ფენის დესტრუქციის ხარჯზე მატულობს ენობრივი ერთეულების სემანტიკური დატვირთულობა, ხოლო მათი კონსტელაცია კომპოზიციური სტრუქტურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

პირველი სტრიქონი სათაურია, შემდგომი სამი – ბირითადი მაკროტექსტი, ხოლო ბოლო სტრიქონი ტექსტის ქვედა ზღვარს მონიშნავს, იმეორებს პრესიგნალს და ამით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის მნიშვნელობას. კომპოზიციური ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით.

ამავე თემატურ წრეში თავსდება ფრიც ფიბანის „მომავლის პრობლემა" (KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 37).

FRITZ VIEBAHN

Zukunftsproblem

ich hatte nicht geschossen
ich habe nicht geschossen
ich schoß nicht
ich schieße nicht

werde ich nicht schießen

ტექსტი შესრულებულია მინუსკულებით, სტრიქონების პირველი ასო-ნიშნებიც კი არ წარმოადგენს მაიუსკულებს. ეს კი თანამედროვე გერმანული ენის ორთოგრაფიული ნორმის დარღვევაა, რომელსაც უკვე ხშირად იყენებენ პოეტურ, და არამარტო პოეტურ, ტექსტებში. სასვენი ნიშნების უგულებელყოფა მიანიშნებს იმას, რომ პრობლემა მარადიულია და გრძელდება, არ წყდება; რომ ყველა გერმანელი არ ყოფილა მესამე რაიხის ლანდსკნეხტი და არც მომავალში იქნება. დროის ისტორიული უწყვეტი მსვლელობა გამოხატულია დროის გრამატიკული ფორმებით: პლუსქვამპერფექტით (წინარე წარსული), პერფექტით (შედეგის წარსული), პრეტერიტუმით (ნამყო უწყვეტელი), პრეზენსით (აწმყო, მომავალი).

კომპოზიცია იგივეა, რაც ზემოგანხილულ ტექსტში. ტექსტი შედგენილია სულ 10 სიტყვითა და სიტყვის ფორმით. პრესიგნალი გამოხატავს ტექსტის საზრისს. ის გამოყოფილია ბირითადი მიკროტექსტიდან ორი ინტერვალით. ტექსტის ბირითად ნაწილს შეადგენს ოთხი სტრიქონი. ბოლო, ორი ინტერვალით გამოყოფილი სტრიქონი კეტავს ტექსტს და დასმული პრობლემის გადაწყვეტასაც იძლევა: „მე არ ვისვრი".

დასახელებულ ორ ლექსს ეხმიანება ფოლკნერ ფონ ტიორნეს „მეკითხვა".

VOLKER VON TÖRNE

Frage

Mein Großvater starb
an der Westfront
mein Vater starb
an der Ostfront:

ეს ტექსტი ომებში უაზრო სიკვდილის პრობლემას ეხება: მაიუსკულით იწყება პირველი სტრიქონი. სიტყვა Mein ხაზს უსვამს პრობლემის მნიშვნელობას პირადად პოეტისთვის. ის ქვეყნის ისტორიაში ბოლო ორ ომს გამოყოფს: პირველ მსოფლიო ომს და

an was sterbe ich?

(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 50)

მეორეს. პირველს შეეწინა მისი პაპა, მეორეს მისი მამა. ეს არ არის მარტო პაპის ან მამის პრობლემა. ეს არის მისი პაპის, მისი მამისა და საკუთრივ მისი პრობლემა.

სამი თაობა ქვეყნის ისტორიის მოცემულ მონაკვეთს სწვდება. პირველ და მეორე თაობას სავალალო ბედი ერგო, როგორი იქნება მესამე თაობის ბედი? რა მოელის მას? კითხვა უპასუხოდ რჩება. ეს მესამე თაობამ თავად უნდა გადაწყვიტოს. ამ თაობის სახელით ლაპარაკობს პოეტი. ტექსტი იწყება პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით და სრულდება პირველი პირის ნაცვალსახელით. ტექსტის ხუთი ტაეპი იტევს ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც ეხება პირადად პოეტს და მის თაობას. სავალალო ბედის საშიშროება პუანტირებულია სამგზის:

an der Westfront
an der Ostfront
an was sterbe ich?

მშვიდობის თემა

IOSEF REDING

Friede

"Bloß keinen Zank
und keinen Streit!"
Das heißt auf englisch
ganz einfach
PEACE
und auf franzōsisch
PAIX
und auf russisch
MIR
und auf hebräisch
SHALOM
und auf deutsch
FRIEDE
oder:
"Du komm
laß uns
zusammen spielen
zusammen sprechen

იოზეფ რედინგის ეს ლექსი შედგება ორი ერთმანეთის მიმართ ვერტიკალურად განლაგებული ბლოკისაგან, რომლებიც გაყოფილია ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით და კავშირით „oder".

პირველ ბლოკში პირველი ორი სტრიქონი ჩასმულია ბრჭყალებში და ძახილის ნიშნით მთავრდება. ეს არის პირდაპირი თქმით გამოხატული მოწოდება მშვიდობისკენ. ეს ცნება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება, მაგრამ ყველა ენაში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ინგლისური, ფრანგული, რუსული, ებრაული და გერმანული სიტყვები, რომლებიც ამ ცნებას აღნიშნავენ, პუანტირებულია გრაფიკულად მაიუსკულებით. სასვენი ნიშნები ორსავე ბრირითად მიკროტექსტში უგულებელყოფილია, თანწყობის კავშირი und აერთიანებს ყველა ენაზე არსებულ მშვიდობის აღმნიშვნელ სიტყვას. მათ ყველა ენაში თანაბარი რანგის ფუნ-

zusammen singen
zusammen essen
zusammen trinken
und zusammen
leben
damit wir
leben."

(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 50)

ქცია ენიჭებათ. ეს ფუნქციების თანაბრობა ხაზგასმულია იმით, რომ მშვიდობის აღმნიშვნელი სიტყვები ტექსტში შეტანილია ჩამოთვლილ ენებზე – ინგლისურად PEACE, ფრანგულად PAIX და ა.შ. ყოველი მათგანი პუანტირებულია ბლოკური შრიფტით.

ტექსტის მეორე ბლოკში დეტალიზებულია მშვიდობის ცნება. პირველ ბლოკში მშვიდობის ცნება ზოგადად არის დაფიქსირებული, მეორე ბლოკში ხდება მისი დაკონკრეტება. რაში უნდა გამოიხატებოდეს იგი? ერთად თამაშში, ერთად მუსიკაში და ა.შ. მშვიდობის ცნების ზოგადობისა და კონკრეტულობის იგივეობას გამოსატავს თანწყობის კავშირი „oder". მეორე ბლოკის ბოლო ოთხი სტრიქონი კომპოზიციურად წარმოადგენს ტექსტის ფინალურ მონაკვეთს. „leben" – ბოლოდან მესამე სტრიქონი, ნიშნავს „ცხოვრებას", ხოლო იგივე გრაფოსიტყვა ბოლო სტრიქონში, ნიშნავს „სიცოცხლეს":

„და ერთად
ვიცხოვროთ
რათა ერთად
ვიცოცხლოთ."

ექვსჯერ გამეორება „zusammen" გრაფოსიტყვისა, ხაზს უსვამს სიცოცხლის აუცილებელ პირობას – მშვიდობიან თანაცხოვრებას.

აღზრდისა და სწავლებასთან დაკავშირებული თემატიკა

გერჰარდ რადემახერის ლექსში „მეშველი სიტყვები" აღმზრდელობითი მოტივი მიბმულია მოდალურ ზმნებზე, რომლებიც გამოხატავენ ვალდებულებას, აუცილებლობას, ნებართვას.

GERHARD RADEMACHER

HILFSWÖRTER

Ihr sollt
ihr müßt
ihr dürft
euch die Füße abputzen,
nicht spucken,
nicht töten,
nicht erbrechen,
st nicht trennen.

პირველი სტროფი წარმოდგენილია მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელით და სამი მოდალური ზმნით. პირის ნაცვალსახელი ხაზგასმით მეორდება სამჯერ. პარადიგმატული ფორმების სახით მოცემული სემანტიკურად უკმარი მოდალური ზმნები მკითხველის ყურადღებას იპყრობენ და დაძაბულობას აღძრავენ, რადგანაც ნორმით გათვალისწინებულ დისტრიბუციაში არ გვხვდებიან. ინფინიტივის ფორმები მათ მხოლოდ ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით დაცი-

den Zebrastreifen benutzen,
den Schmutz abstreifen,
den Hörer nehmen,
die Auskunft anrufen.
(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 50)

ლებულ ორ შემდგომ სტროფში უერთდებიან. მეორე სტროფის პირველი ტაეპი ერთგვარად კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანს იმდენად, რამდენადაც მომდევნო ოთხ ტაეპში აკრძალვებია, რაც nicht უარყოფითი ნაწილაკით არის ხაზგასმული. ის უფრო მეორე სტროფში იქნებოდა თავის ადგილზე, სადაც ჩამოთვლილია, რისი გაკეთებაა სავალდებულო, აუცილებელი და ნაბადართული. მეორე სტროფში მოულოდნელად არის ჩასმული გერმანული ენის ორთოგრაფიული ნორმის მოთხოვნა: „არ გავყოთ გრაფემების კომპლექსი!" მესამე სტროფში ყოველდღიური ნვრილმანებისკენ არის მოწოდება, როგორიცაა მაგალითად, „არ გადახვიდეთ ფეხის მოსიარულეთათვის გამოყოფილი გზის სვალი ნაწილიდან!" (Zebrastreifen – ფართო ზოლი ქუჩაზე, რომელიც ტრანსპორტის სავალი გზიდან გამოყოფს გზას ფეხით მოსიარულეთათვის). მხოლოდ პირველი ტაეპის პირველი სიტყვა იწყება მაიუსკულით, რითაც, ერთი მხრივ, ფიქსირდება შესავალი მიკროტექსტი, ხოლო, მეორე მხრივ, მრავლობითი რიცხვის მეორე პირისადმი მიმართვა. გამეორებები პირველ სტროფში ihr, ihr, ihr, მეორეში – nicht, nicht, nicht, nicht – den, den, den, die თითოქს დაჟინებით მოითხოვენ შეასრულონ ან არ ჩაიდინონ მიმართვის ობიექტებმა ის, რაც დასაშვებია ან არ არის დასაშვები. ტექსტის ბათიზმატური ველი ხარვეზიანია, აქვს პრესიგნალი, შესავალი მიკროტექსტი (პირველი სტროფი), ძირითადი მიკროტექსტი (მეორე და მესამე სტროფი), არ გააჩნია დამთავრების სიგნალი გარდა ერთი წერტილისა ბოლო სიტყვის შემდეგ.

კონკრეტულ პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა ენობრივი მოვლენების პუანტირებას თვით ენის მეშვეობით. ამ შემთხვევაში პირველი წარმოადგენს ობიექტის ენას, ხოლო მეორე – მეტაენას. პუანტირება უმეტესად გრაფემულ-გრაფიკული ნიშნების მეშვეობით ხდება და მათი უჩვეულო კონსტელაციით შედგენილი ტექსტები ყურადღებას იქცევს სწორედ ვიზუალურად აღქმადი ტექსტურის მეშვეობით. ასეთი ტექსტების გამოყენება უცხოური ენის სწავლებაში მართლაც რომ ახალისებს ენის შესწავლის მძიმე და მოსაწყენ პროცესს.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ტექსტის ნიმუშს, რომლებსაც თემად აქვთ გრამატიკის რომელიმე საკითხი. გრამატიკული კატეგორიები თავისთავად აბსტრაქტულია და ენის შემსწავლელთათვის ძნელი აღსაქმელი. მათი წარმოდგენა ვიზუალური ფიგურებითა და გრაფემულ-გრაფიკული საშუალებების უჩვეულო კონსტელაციით თითქოს ხაზს უსვამს გრამატიკული მოვლენების ახირებულობას და ჭირვეულობას და ენის შემსწავლელს სტიმულს აძლევს დასძლიოს ისინი.

INGE MEIDINGER-GEISE

LEHRE

გრამატიკის დანიშნულება მდგომარეობს გრაფომორფემებისა და სიტყვების განსაზღვრული კანონებით, წესების მიხედვით დალაგებაში. სიტყვებსა და

Grammatik
Heißt das ordentliche
Laufen der Wörter
Der Reihe nach
Dem Satz nach
Dem Sprechen nach
Heißt Grammatik
Das Bravsein der Wörter
Den Regeln nach
Der Erwartung nach
Dem Mutmaßen nach
Laufen die Wörter
Schließlich
Über
Die Grammatik
Hinaus.
(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 35)

მათ ფორმებს ენის შემსწავლელი ქაოტურ მდგომარეობაში ხედავს. მას უძნელდება სიტყვის კომპონენტების ურთიერთშეწყობა და სიტყვის შედგენა, სიტყვების დაწყობა შესიტყვებებად, შესიტყვებებისა – წინადადებად, წინადადებებისა – ტექსტად, რადგანაც ისინი ჭირვეულობენ, მას ხელიდან უსხლტებიან და ეურჩებიან, ხოლო თუ მოთვინიერდნენ, წესისამებრ დალაგდებიან („წესიერად მოიქცევიან"), გრამატიკის ზღვარს გასცდებიან და ენის შემსწავლელი მათთან ერთად გადაეშვება ენის ფუნქციონირების უსასრულობაში, სადაც ჰარმონია სუფევს.

ბევრი ტექსტი რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ თემას ეძღვნება. შეიძლება სადავოც იყოს ასეთ ტექსტს უწოდო ტექსტი, რამდენადაც ის არ აკმაყოფილებს იდეალური ტექსტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მაგრამ ამ ჟანრის ტექსტები შედგენილია კონკრეტული პოეზიის პრინციპების მიხედვით, რაც გულისხმობს ორდინარული ტექსტების მოდელების დესტრუქციას და ენობრივი ნიშნების კონსტელაციას უჩვეულო საშუალებების გამოყენებით. ამ ტექსტებს აქვთ თავისი კომპოზიცია: სათაური, ძირითადი მიკროტექსტი და არა აქვს დასკვნითი ნაწილი, რომელიც არც არის საჭირო, მკითხველმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ ყოველი ტექსტის შემდეგ შეგონება ზედმეტია, რადგანაც კონკრეტული პოეზიის პრინციპი ურჩევს: წაიკითხე, დააკვირდი, მიხვდი, დაიხსომე!

RUDOLF OTTO WIEMER

artikel

maskulin
der schlips der whisky der kontoauszug
der schrebergarten der stammtisch der fußball
der unmensch der mitmensch der massenmensch
der käfer der kapitän der Mercedes
der blutfleck der weißmacher der mannvonformat
der betrieb der bungalow der infarkt

feminin
die strumpfhose die waschmaschine die pille
და ა.შ.

არტიკლის ათვისებისა და დახსომების მიზნით არის შედგენილი რუდოლფ ოტო ვიმერის ლექსი „არტიკლი". ტექსტი შედგება სამი ექვს-ექვს ტაეპიანი სტროფისაგან: 1. maskulin, 2. feminin, 3. neutrum. თითოეული სტროფი დამორებულია ორ-ორი სტრიქონთმორისი ინტერვალით ზედა ზღვარზე სათაურისაგან, ქვედა ზღვარზე – ძირითადი მიკროტექსტისაგან. არსებითი სახელები წარმოდგენილია არტიკლებითურთ და იწყება მინუსკულებით. ტაეპები იწყება აგ-

neutrum
das gemüse das abführmittel das eigenheim
და ა.შ.
(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 47)

რეთვე მინუსკულებით, სასვენი ნიშნები უგულებელყოფილია. ტექსტს აერთიანებს თემა, რომელიც სათაურის იგივეობრივია.

ტექსტში თვალშისაცემია ბათიზმატური ველის არაორდინარული დისკრეტაცია, ტაეპებად და სტროფებად დაწყობილი არსებითი სახელების ასემანტიკური მიერთება და ოკაზიური კომპოზიტების უჩვეულო ვარიანტები.


ამავე ავტორს ეკუთვნის ქვემომოყვანილი ლექსი:

RUDOLF OTTO WIEMER
starke und schwache verben

ich trete
ich trat
ich habe getreten
ich schäme mich
ich schämte mich
ich habe mich geschämt
ich weiß gründe
ich wußte gründe
ich habe gründe gewußt
ich bereue
ich bereute
ich habe bereut
ich falle auf die füße
ich fiel auf die füße
ich bin auf die füße gefallen
ich lerne dazu
ich lernte dazu
ich habe dazu gelernt
(KRUSCH/KRECHEL 1991, ტექსტი 43)

კონკრეტული პოეზიის ეს ნიმუში მიძღვნილია ძლიერი და სუსტი ზმნებისადმი. სამ-სამ ტაეპად დალაგებულ სტროფებში ზმნის დროის ფორმების პარადიგმებიდან შეტანილია პრეზენსის, პრეტერიტუმის და პერფექტის მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმები. ტექსტში წარმოდგენილია გარდამავალი, გარდაუვალი და უკუქცევითი ზმნები, ზოგიერთი სტროფი შეიცავს მხოლოდ მშრალ პარადიგმულ ფორმებს, ზოგში კი ეს ფომები ჩასმულია კონტექსტებში, რომლებიც ხან ფამილარულია და უხეში (ich pfeif darauf „მიმიფურთხებია"), ხან მოულოდნელი (ich habe gründe gewußt „მიზეზები ვიცოდი"). სტროფები განლაგებულია ზიგზაგურად:

სტროფების ასეთი განლაგება მკითხველის ყურადღებას ძაბავს, ერთფეროვნებას ხსნის და მასალის შესწავლის პროცესში სიხალისე შეაქვს (სტროფების განლაგება ზიგზაგურად ე.წ. ბუსტროფედონს მოგვაგონებს). მთელი ტექსტი შესრულებულია მინუსკულებით, სასვენი ნიშნები უგულებელყოფილია.




და ა.შ. (დანომვრა ჩვენია - ვ.ფ.)

ახლა გვინდა ცოტა უკან დავიხიოთ საუკუნეების სიღრმისკენ და ვნახოთ, რა სახე ჰქონდა იქ კონკრეტულ პოეზიას. მკითხველს ვთავაზობთ XVII საუკუნის ნიმუშებს.

თეოდორ კორნფელდის „ქვიშის საათი" გამოქვეყნებულია 1686 წელს (KORNFELD 1968). ტექსტის ზედა მიკროტექსტი იკითხება ზევიდან ქვევით, ხოლო ქვედა მიკროტექსტში სტრიქონები (ტაეპები) დალაგებულია უკუღმა,

მათ წასაკითხად საჭიროა მთელი ტექსტის შეტრიალება. მიკროტექსტებს ისეთივე ფორმა აქვს, როგორც ქვიშის საათს. მიკროტექსტები ზევით ფართოა, ქვევით თანდათან ვიწროვდება. ტექსტის კითხვისას ხედავ, რომ სტრიქონები მოკლდება, იკვეცება და ბოლო სტრიქონი ყველაზე მოკლეა, სულ ორ გრაფოსიტყვას შეიცავს. მიკროტექსტების პირველი სტრიქონები კურსივით არის დაბეჭდილი. დააკვირდით: ტოპოლოგიური ჩარჩო რომ არ დაირღვეს, რომელსაც ძაბრის ფორმა აქვს, ნაკლული სტრიქონები შევსებულია ირიბი შტრიხებით (ზედა მიკროტექსტში სტრიქონი 1,5 და ქვედა მიკროტექსტში სტრიქონი 1,2,4,5. ბოლო სტრიქონი შევსებულია ძახილის ნიშნით).




ამ მიკროტექსტების კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს სტრიქონები ისევე ილევა, როგორც სილა ქვიშის საათში. ზედა მიკროტექსტის ჩათავების შემდეგ შეატრიალებ ტექსტს და ახლა სტრიქონები ისევე დაილევა, როგორ ქვიშის საათის შეტრიალების დროს სილა.

რაც შეეხება ტექსტის სემანტიკურ მხარეს, საზრისი ფორმულირებულია მიკროტექსტის კურსივით დაბეჭდილ სტრიქონებში. ქვიშის საათი აფრთხილებს ადამიანებს: დრო გადის, მალე დადგება განკითხვის ჟამი, ნუ დაივიწყებთ ამას. ქვედა მიკროტექსტი შეახსენებს ადამიანებს: სილა ილევა და ადგილს იცვლის, მიგვანიშნებს, რომ ჩვენც უნდა შევიცვალოთ ადგილი. შევთხოვოთ ღმერთს, გაგვიძღვეს წინ და შეგვამზადოს ამისთვის. მიკროტექსტების გვერდითი სტრიქონები გვამცნობს: იცოდე დროის ფასი. მოაგვარე შენი საქმეები, ბოლო წუთში კიდევ შეგიძლია რამე კარგად გააკეთო.

ლექსის საზრისთან მშვენიერად არის მისადაგებული გრაფემულ-გრაფიკული კონსტელაცია. ტოპოლოგიური ჩარჩო და მასში მოთავსებული ქვიშის საათის კონტურებიანი ტექსტი ქმნის ლექსის აურას. გრაფემულ-გრაფიკული კომპონენტი მკითხველის ყურადღებას იზიდავს, აიძულებს მას ამოიცნოს ტექსტის საზრისი, შეათანაზომოს შინაარსობრივი და გარეგნული მხარეები, გამოიყვანოს სათანადო სემანტიკური დასკვნა: ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, უნდა ვემზადოთ მარადიულობაში გადასასვლელად.

გარდა საკუთრივ ტოპოლოგიური ჩარჩოსი, რომელსაც ქვიშის საათის კონტურები აქვს, ტექსტი ჩასმულია მეორე, მართკუთხედის ფორმის ჩარჩოში

და სურათს მოგვაგონებს. მისი ზედა და ქვედა ჰორიზონტალური უფრო მოკლე ხაზი („თამასები") შესრულებულია ლამაზნახჭიანი ორნამენტით, ხოლო ვერტიკალური, უფრო გრძელი ხაზები წარმოადგენს ორ ფინალურ სტრიქონს. ისინი აერთებენ ზედა და ქვედა ორნამენტიან ზოლებს და ჩარჩოს კრავენ. მათ წასაკითხად საჭიროა ტექსტის შეტრიალება 180°-ით ტექსტი გარითმულია მოსაზღვრე რითმებით (aabbcc).



ზიგმუნდ ფონ ბირკენის „სკიპტრა" გამოქვეყნებულია 1645 წელს (BIRKEN 1968) იგი წარმოადგენს მონარქიულ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სიმბოლიკური საგნის ფორმის ტექსტს, რომელიც განადიდებს სამეფო კვერთხს, როგორც ქვეყნის კეთილდღეობისა და სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოს. ტოპოლოგიური ჩარჩოს მსგავსებას სკიპტრასთან ქმნის ტექსტში გამოყენებული ანჟამბემანი, სიტყვის ატომიზაცია, გაყოფა მარცვლად, სიტყვის ერთი ნაწილის დატოვება ერთ სტრიქონზე, მეორისა გადატანა სხვა სტრიქონზე (შდრ. ვერტიკალურ ბლოკში სტრიქონები 6-7, 11-12, 19-20, 26-27). რითაც ტექსტი იღებს ვიწრო წაგრძელებული საგნის ფორმას. ჰორიზონტალური ბლოკი, რომელიც სულ ორი სტრიქონისაგან შედგება, შუაზე იყოფა ვერტიკალური ბლოკით და განთავსებულია მის მარცხენა და მარჯვენა მხარეს. სიტყვები აქაც გაყოფილია: Fr= მარცხენა ფრთის პირველი სტრიქონი, omm= მეორე სტრიქონი, keit მარჯვენა ფრთის პირველი სტრიქონი, Mildig – მეორე სტრიქონი, keit გრაფომორფემის ნაწილია, ერთი მხრივ, მარცხენა ფრთაზე მოთავსებული გრაფომორფემებისა Fr= და omm=. ხოლო, მეორე მხრივ, მარჯვენა ფრთაზე მის ქვევით მოთავსებული გრაფომორფემისა Mildig. მარჯვენა ფრთაზე განლაგებული ორი გრაფომორფემა უნდა შეერთდეს ისე, რომ პირველი ადგილი დაიკავოს Mildig-მა, ხოლო მის გვერდით, მეორე -keit-მა, რათა გამოვიდეს Mildigkeit არსებითი სახელები იწყება მაიუსკულებით, სიტყვა „ღმერთი" მთლიანად დაწერილია ბლოკური შრიფტით – მაიუსკულებით.

JOHANN LENHARD FRISCH

BERLINER BÄR



იოჰან ლეონჰარდ ფრიშის მიერ შექმნილი „ბერლინის დათვი“ (1700 წ.) მკითხველს აოცებს ტექსტის სემანტიკური და გრაფემულ-გრაფიკული მხარეების ჰარმონიული შერწყმით.

ტექსტში სტრიქონები (ტაეპები), ისეა განლაგებული, რომ ტოპოლოგიურმა ჩარჩომ დათვის კონტურები მიიღოს. დააკვირდით: თითქოს გვერდიდან უყურებთ დათვს. დათვის თავის ფორმის მქონე შესავალ მიკროტექტში პრობლემაა დასმული. მეოთხე სტრიქონში ჩახატულია თვალი, ხოლო ქვედა ზღვარს, სადაც შესავალი მიკროტექსტი იმიჯნება ძირითადისგან, ქმნის საყელურო.

ძირითად მიკროტექსტს დათვის ტანის ფორმა აქვს. ზურგი, სხეულის ქვედა ნაწილი ფეხებამდე, წინ გაწვდილი ტორები მკაფიოდ არის შემოხაზული იმის წყალობით, რომ სტრიქონების მიმართულება და სიგრძე-სიმოკლე გამოყენებულია ტანის ნაწილების და წინ გაწვდილი ტორების ფორმის გამოსაკვეთად. ძირითადი მიკროტექსტის პირველი ორი სტრიქონი სწორხაზოვნად მიემართება შუამდე და ვერტიკალური შტრიხებით ორად იყოფა, სტრიქონების მეორე ნაწილი მარჯვენა მხარეს ოდნავ ძირს ქანდება, შემდეგ ისევ ზევით იწევს, მეორე სტრიქონი შეწეულია და მისდევს პირველი და მეორე სტრიქონების მიმართულებას. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სტრიქონები უფრო დაქანებულია, ვიდრე პირველი სამი, და ამასთანავე ისეა მათგან ბოლოში გამოყოფილი, რომ პირველი სამი და მეორე სამი სტრიქონი ორი გაწვდილი ტორის შთაბეჭდილებას ტოვებს, და ა.შ. მარჯვენა წინგადადგმული ფეხი მტკიცედ დგას მიწაზე ბოძის მსგავსად, რომელსაც მთელი სხეული ეყრდნობა. მარცხენა ფეხი უკან გაწეულია და წარმოადგენს ოთხი ვერტიკალური სტრიქონით შევსებულ სტროფს, რომელიც ირიბად დაქანებულია ზევიდან ქვევით და მის წასაკითხად საჭიროა ტექსტის შეტრიალება.

ტექსტის კომპოზიცია შეესაბამება სტანდარტს: თავი – შესავალი მიკროტექსტი, ტანი – ძირითადი მიკროტექსტი, ფეხები – დასკვნითი მიკროტექსტი. დათვის თავის კონტურში მოქცეულ მიკროტექსტში. როგორც ზემოთ ითქვა, დასმულია პრობლემა: შეუძლია ბერლინს თუ არა გაძლიერდეს და ამაღლდეს? როგორც ვირგილიუსი იტყოდა თავის რომზე, იგივე უნდა ითქვას

ბერლინზე: ის ისე უნდა ამაღლდეს სხვა ქალაქებზე, როგორც კიპარისი მაღლდება ბუჩქებზე. ძირითადი მიკროტექსტი მოთავსებულია ტანისა და ტორების ტოპოლოგიურ ჩარჩოში. ეს ნაწილი ყველაზე უფრო ვრცელია, რადგანაც აქ თემა იშლება და საბუთდება, რომ ბერლინს დიახაც შეუძლია იყოს ძლიერი და გამოირჩეოდეს სხვა ქალაქებისაგან ისე, როგორც გამოირჩევა სხვა ოთხფეხა თავდახრილი ცხოველებისაგან ორ ფეხზე შემდგარი, მკერდშემართული დათვი. მან უნდა დაამშვენოს ქალაქის გერბი და იქცეს მისი ძლიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ. დათვის ფეხებში მოთავსებულია დასკვნითი მიკროტექსტი, რომელიც ორ ბილიკად იყოფა. ერთში მასწავლებელთა ფენა შედარებულია იმ მტკიცე ბოძთან, რომელიც უნდა იყოს წელგამართული ბერლინის საყრდენი, მეორეში გამოთქმულია სურვილი და რწმენა, რომ დათვმა თავისი ძლიერი ტორებით გადათელოს მტერი. იბადება კითხვა: რატომ არის მაინცადამაინც მასწავლებელთა ფენა ნახსენები დასკვნით მიკროტექსტში? საქმე იმაშია, რომ „ბერლინის დათვის“ შემქმნელი არის ავტორი წიგნისა, რომელსაც ეწოდება „Schulspiel“ და, როგორც დასკვნითი მიკროტექსტის დივინაციიდან გამოყვანილი ინფერენცი მიგვანიშნებს, ის არის წარმომადგენელი მასწავლებელთა ფენისა. ლ.ჰ. ფიშერის მიერ გამოცემულ ამ წიგნში განმარტებულია, რომ ავტორს თურმე წინამდებარე გრაფემულ-გრაფიკული ტექსტები ბავშვებისთვის შეუქმნია და წიგნისთვის „Schulspiel“ უწოდებია. თავად ავტორი იოჰან ლეონჰარდ ფრიში წერს: „Wer Dichter- und Malerkunst so nah vereinigt findet. Und kennt sie Leib und Seel, der hat nicht weit gefehlt. Sonst sind sie, wenn man sie zu einer Gleichheit bindet. Ein schweigendes Gedicht, ein redendes Gemählde…“ (FRISCH 1890). მშვენიერი ნათქვამია: „მდუმარე ლექსი, მეტყველი ნახატი“.

XVII საუკუნის კონკრეტული პოეზიის ნიმუშების ინტერპრეტაციის შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით მეოცე საუკუნეს და რამდენიმე დამახასიათებელი ლექსის ანალიზის შემდეგ გადავალთ ნონსენსპოეზიაზე.

ახალი პერიოდის კონკრეტული პოეზიის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნიმუშებში მეტ-ნაკლებად მერყეობს გრაფემულ-გრაფიკული საშუალებების გამოყენების მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. ზოგი მათგანი მხოლოდ გრაფემების დონეზეა პუანტირებული და ვიზუალურად ისე თვალშისაცემი არ არის, ზოგი გამოკვეთილობას ტოპოლოგიური ჩარჩოს არაორდინარული გამოყენებით აღწევს, ზოგშიც ენობრივი ფაქტურა და გრაფიკული იერსახე თანაშეზომილია და მას შუალედური ადგილი უჭირავს ორ უკიდურესობას შორის.

მონოგრაფიის ეს მონაკვეთი გვინდა დავასრულოთ სამი ტექსტის ანალიზით, რომლებიც, ჩვენი აზრით, თვალსაჩინო მასალას იძლევა ინტერპრეტაციისათვის.

ტექსტი 1
FRANZ FÜHMANN

DIE LAUFMASCHE

(წინდის ჩავარდნილი თვალი)

ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
ST UMPF
STRUMPF
STRUMPF

(FÜHMANN, 1980:74)

ტექსტი შედგება ერთი ბლოკისაგან, რომელიც აგებულია ერთმანეთის მიმართ ვერტიკალურად განლაგებული მაიუსკულით დაწერილი 13 გრაფოსიტყვისგან. მესამე გრაფემა, კერძოდ R, გამოტოვებულია 11 გრაფოსიტყვაში. ამით ხდება ტექსტის ბათიზმატური ველის პუანტირება, რამდენადაც ერთი გრაფემის გამოტოვებით იქმნება ცარიელი ვერტიკალური ზოლი, რომელიც წინდის ჩავარდნილ თვალს განასახიერებს. მეთორმეტე და მეცამეტე გრაფოსიტყვები სრულია, რაც იმის წარმოდგენას ქმნის, რომ ჩავარდნილი თვალი გაჩერებულია და აღარ ჩადის ბოლომდე.

ტექსტი 2
TIMM ULRICHS

ordnung	-unordnung
ordnung	ordnung
ordnung	ordnung
ordnung	ordnung
ordnung	ordnung
ordnung	ordnung
ordnung	unordn g
ordnung	ordnung
ordnung	ordnung

ordnung	ordnung
ordnung	ordnung
ordnung	ordnung

(KRUSCH/KRECHEL, 1991:ტექსტი 3)

ტექსტი შედგება ორი ერთიმეორის გვერდით განლაგებული ვერტიკალური ბლოკისაგან. თითოეული მათგანი შეიცავს 11-11 სტრიქონს, რომლებიც გაწყობილია მინუსკულური ასო-ნიშნებით. პირველი ბლოკი წესრიგის სიმბოლოა. მწყობრად დალაგებული, თანაბარი გრაფოსიტყვები წესრიგისა და ჰარმონიის შთაბეჭდილებას ტოვებენ, ბათიზმატური ველი მთლიანია. მეორე ბლოკის მეექვსე სტრიქონი მკვეთრად პუანტირებულია, -un- გრაფომარცვალი ამოგდებულია თავისი ადგილიდან და გადასმულია გრაფოსიტყვის თავში. ეს პერმუტაცია ახალ სიტყვაწარმოებით ერთეულზე მიანიშნებს, რომელმაც „წესრიგი" უნდა შეცვალოს მისი ანტონიმით „უწესრიგობა", -un- გრაფომარცვლის ადგილი სიტყვაში ცარიელი რჩება. პუანტირებულ სტრიქონს ბლოკში შუა ადგილი აქვს მიჩენილი. ის მეექვსე სტრიქონია თავიდან გადათვლილ სტრიქონებს თუ ბოლოდან ავითვლით. შესაძლოა, ავტორს იმისი თქმა უნდა, რომ წესრიგში ერთი კომპონენტის გამოკლება ან მისი კუთვნილი ადგილიდან ამოგდებაც კი უწერიგობას გამოიწვევს მით უფრო, თუ ეს მის ცენტრს შეეხება. წესრიგის აღსადგენად საკმარისია -un- მარცვლის გადასმა თავისსავე ადგილზე. და თუ ეს ასე მოხდა, მეორე ბლოკის ხარვეზიანი სტრიქონი ისევ მწყობრში ჩადგება და უწესრიგობა კვლავ წესრიგად იქცევა. ტექსტის საზრისი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: წესრიგი ნიშნავს ყველა კომპონენტის ჰარმონიას მოცემულ სივრცეში (ჩარჩოში).

ტექსტი 3

TIMM ULRICHS

denk-spiel

(nach Descartes)

ich denke, also bin ich.
ich bin, also denke ich.
ich bin also, denke ich.
ich denke also: bin ich?

(KRUSCH/KRECHEL, 1991:ტექსტი 39)

კონკრეტული პოეზიის ეს ნიმუში შეიძლება ჩაითვალოს დეკარტეს ცნობილი გამონათქვამის, რომელიც მიჩნეულია მისი ფილოსოფიის ძირითად კრედოდ, cogito ergo sum პაროდიად. ტექსტი შედგება ერთი ოთხტაეპიანი სტროფისაგან. ტექსტში გამოყენებულია როგორც გრაფოსიტყვების, ისე მეტაგრაფემების (გრაფიკული ნიშნების) თამაში. ტექსტის უკეთ გაგებისათვის მკითხველს

ვთავაზობთ მის სიტყვასიტყვით თარგმანს იმ მოტივით, რომ საზრისის ამოცნობისათვის ქართულ თარგმანში სათანადო აქცენტების გაკეთებაა საჭირო.

მე ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ მე.
მე ვარსებობ, მაშასადამე ვაზროვნებ მე.
მე ვარსებობ მაშასადამე, ვაზროვნებ მე.
მე ვფიქრობ მაშასადამე: ვარსებობ მე?

ტექსტის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია დივინაციისა და ინფერენცის მოშველიება. ამასთანავე საჭიროა სამი ფაქტორის გამოკვეთა: ა)„მე" გრაფოსიტყვის ფუნქცია, 2)გრაფიკული ნიშნების ფუნქცია, 3)denken გრაფოსიტყვის პოლისემიურობა და ორაზროვნება.

გრაფოსიტყვა „მე" ჩარჩოში სვამს ყველა ტაეპს და მთელ სტროფს ერთ გლობალურ ჰკრავს. ამას გარდა იგი ხაზს უსვამს სუბიექტის თვითშემეცნებიდან სუბიექტის არსებობაზე დასკვნის გამოყვანას: არარსებული სუბიექტი ვერ იაზროვნებს. სტროფის მარჯვენა და მარცხენა ვერტიკალური ფრთები შედგენილია „მე" გრაფოსიტყვით, ცენტრს ქმნის გრაფოსიტყვა „მაშასადამე". პირველ და მეორე ტაეპში მძიმე დასმულია მის წინ, მესამე ტაეპში მის შემდეგ, ხოლო მეოთხე ტაეპში მძიმის მაგიერად ორი წერტილი ზის. მეტაგრაფემების ეს თამაში გამოხატავს გარკვეულ აზრობრივ ნიუანსებს და სხვადასხვა დასკვნის გამოყვანის შესაძლებლობაზე მიანიშნებს. პირველ და მეორე ტაეპში გამოყენებულია ხიაზმი, ხოლო მძიმეების ადგილი უცვლელია, რადგანაც აზროვნებისა და არსებობის განუყრელ კავშირში მათი ჯვარედინი გადანაცვლება არაფერს არ ცვლის (როგორც იტყვიან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება). მესამე და მეოთხე ტაეპში უკვე გრაფოსიტყვების სემანტიკური თამაშია. „denken" აქ უკვე აღარ ნიშნავს „აზროვნებას", არამედ „ფიქრს". ავტორი ეჭვქვეშ აყენებს დეკარტეს დებულებას და ერთიდაიმავე გრაფოსიტყვის ორი მნიშვნელობის დაპირისპირებით თავის დაეჭვებას დეკარტეს თვითდარწმუნებას უპირისპირებს. „მე ვარსებობ მაშასადამე, ვაზროვნებ მე" ამბობს მესამე ტაეპი, ხოლო „მე ვფიქრობ მაშასადამე: ვარსებობ მე?" – მეოთხე ტაეპი ახდენს დაეჭვების ექსპლიცირებას. ხიაზმი როგორც რიტორიკული გრაფოფიგურა ტექსტის მეორე ნახევარში ხაზს უსვამს დაეჭვების ნიუანსს. ეს ნიუანსი შემაგრებულია მეტაგრაფემებით: ტექსტის ამ მონაკვეთში (მესამე და მეოთხე ტაეპში) მძიმე და ორი წერტილი ზის „მაშასადამე" გრაფოსიტყვის შემდეგ, მაშინ როცა პირველ და მეორე ტაეპში – მის წინ არის დასმული. ტექსტიდან ინფერენცის გამოყვანას მეტაგრაფემების პერმუტაციაც უწყობს ხელს. ტექსტი გაწყობილია მინუსკულური ასო-ნიშნებით.

15.2.2.2. აბსურდისტული პოეზიის ნიმუშები

ნონსენსპოეზიის ნიმუშები ახლოს დგას კონკრეტული პოეზიის ნიმუშებთან იმ მხრივ, რომ იქაც გამოიყენება გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით პუანტირება და ტექსტს აქვს თემად კონკრეტული „საგანი" – აბსურდულობა. ამ

პოეზიის ბევრი წარმომადგენელი ერთნაირი ოსტატობით ფლობს როგორც გრაფოტექნიკას ისე აბსურდულობის პოეტურად გამოხატვის ხერხებს. ასეთია მაგალითად, ქრისტიან მორგენშტერნი. ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა მის „თევზის ღამის სიმღერაზე", რომელიც უსიტყვო, შიშველი გრაფოტექნიკაა და ძალზე საინტერესო მიგნებას წარმოადგენს, მაგრამ არ არის ტექსტი. ამ უკიდურესი პირობითობის გარდა ქრ.მორგენშტერნი თავის სხვა ლექსებს აგებს, ერთი მხრივ, სემანტიკურ აბსურდულობაზე და, მეორე მხრივ, გრაფოტექნიკის ზომიერ გამოყენებაზე. მისი ლექსი „ძაბრები" აბსურდულია იმ მხრივ, რომ საგანს ანტროპომორფული თვისებები მიეწერება პირდაპირ, უშუალოდ, ხოლო ტაეპების განლაგება ტექსტში და ტოპოლოგიური ჩარჩო ვიზუალურად ქმნის ძაბრის შთაბეჭდილებას.

CHRISTIAN MORGENSTERN

DIE TRICHTER

Zwei Trichter wandeln durch die Nacht
Durch ihres Rumpfs verengten Schacht
fließt weißes Mondlicht
still und heiter
auf ihren
Waldweg
u. s.
w.

(MORGENSTERN, 1967:14)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ლექსია. იგი შეკრულია თემატურად და სემანტიკურად. რითმები Nacht-Schacht, heiter – und so weiter ტრადიციული ლექსიდან მოდის. რაც არ ითქმის სემანტიკურ მხარეზე. მთვარიან ღამეს ორი ძაბრი მიხეტიალობს ტყეში. მთვარის თეთრი შუქი იღვრება მათი ტანის შევიწროებულ ჭრილში, მიხეტიალობენ უჩუმრად, მხიარულად. ლექსის ბოლოს დასმულ წერტილიან გრაფემებს ორი ფუნქცია აკისრია: მკითხველის გემოვნებასა და წარმოსახვის უნარს მიანდონ ძაბრების მოგზაურობის სურათების შესაძლო გაგრძელება და შევსება. ეს, ერთი მხრივ, ხოლო, ხოლო მეორე მხრივ ტექსტის ტოპოლოგიური ჩარჩოს სრულყოფა და ჩაკეტვა. ბოლოდან მეორე სტრიქონის ორი წერტილიანი გრაფემა „u. s." და ბოლო სტრიქონის ერთი წერტილიანი გრაფემა „w.". აბოლოებენ ტექსტის ტოპოლოგიურ ჩარჩოს და განასაბიერებენ ძაბრის ბოლო ვიწრო ნაწილს. მკითხველი ვიზუალურად აღიქვამს ძაბრის კონტურს, რომელიც თავში ფართოა და ბოლოსკენ თანდათან ვიწროვდება. ტექსტის შინაარსისა და მისი კონკრეტული დენოტატის აღქმა ვიზუალურად ენობრივი და

გრაფემულ-გრაფიკული სამუალებების გამოყენებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს გრაფოესთეტიკური თამაშის მოყვარულთ.

ქრისტიან მორგენშტერნის მეორე ლექსის – „ესთეტიკური სინდიოფალა" – გრაფემულ-გრაფიკული ფენა დაშლილია შეკვეცილ და გაშლილ ტაეპებად:

CHRISTIAN MORGENSTERN

DAS ÄSTHETISCHE WIESEL

Ein Wiesel
saß auf einem Kiesel
inmitten Bachgeriesel.

Weißt ihr
weshalb?
Das Mondkalb
verriet es mir
im stillen:

Das raffinier-
te Tier
tat's um des Reimes willen.

(MORGENSTERN, 1967:31)

არც ამ ლექსში იჩაგრება პოეტური ენა გრაფიკულის ხარჯზე. მშვენიერი რითმებია (Kiesel – ... geriesel, ihr – mir, halb – ... kalb, nier – Tier, stillen – willen) და მოჩუხჩუხე ნაკადულში რიყის ქვაზე დასკუპებული სინდიოფალა მკითხველის თვალს ატკბობს და წარმოსახულს თვალსაჩინოს ხდის. დასმული კითხვა: Weißt ihr weshalb? ქმნის დაძაბულობას და გამოუცნობ მოლოდინს ბადებს: ნეტავ როგორ დასრულდება ლექსი? პასუხი: თურმე სინდიოფალა ნაკადულის შუაგულში მხოლოდ რითმისთვის იჯდა. პასუხი მოლოდინის გაცრუებას იწვევს, მკითხველს აოცებს და აბსურდისტული მიგნება კმაყოფილოებით აღავსებს.

გარდა სხვადასხვა ზომის სტრიქონების მონაცვლეობისა და ერთი ან ორი ინტერვალით დაშორებული სტრიქონებისა, თვალშისაცემია ანჟამბემანი, რომელსაც პოეტი იყენებს ბოლოსწინა მეორე და მესამე ტაეპში. გრაფოსიტყვა raffinierte გახლეჩილია ორად, raffinier- დატოვებულია ზედა ტაეპში, ხოლო te გადატანილია მის ქვევით მდებარეში. შესაძლოა ეს რითმის გულისთვისაც არის, რომ nier- შეერითმოს mir, ier, Tier გრაფოსიტყვებს და მარცვალს. ყველა შემთხვევაში ამ გრაფიკული ხერხით ირღვევა ტექსტის გათიზმატური ველი და იგი არაორდინარული ხდება.

15.2.2.3. მოკლე ექსკურსი ქართული პოეტური ტექსტის სამყაროში

ანბანისა და უძველესი დამწერლობის მქონე ქართულ ენაში პოტენციურად მოიპოვება გრაფემულ-გრაფიკულ საშუალებათა გამოყენების ფართო შესაძლებლობები. ამ ასპექტით ქართული ტექსტის კვლევა აქტუალური და პერსპექტიული ჩანს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მიმართებით სისტემატური კვლევა ჯერაც არ მიმდინარეობს. ესოდენ მდიდარი სამწერლო ტრადიციების მქონე, მა-

ღალგანვითარებული ენის პოეტურ ნიმუშებს შორის შეუძლებელია არ მოიპოვებოდეს ჩვენი დიდი რიტორი პოეტების მიერ შექმნილი ვიზუალური ტექსტები.

გრაფოკომპონენტების რამდენადმე გამოყენება ყველა ტექსტისათვის არის დამახასიათებელი. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ გრაფემები და გრაფიკული ნიშნები, ტოპოლოგიური ჩარჩო, არქიტექტონიკული ფენა ყველა ორდინარული ტექსტისათვის არის დამახასიათებელი და ნორმაა. მეტ-ნაკლები გადახვევა ამ ნორმიდან, ტოპოლოგიური ჩარჩოს ვარირება, მეტაგრაფემული ნიშნების გამოყენება, არქიტექტრონიკული ფენის ერთგვარი სეგმენტაცია – ყოველივე ეს თვალშისაცემი არ არის ორდინარულ ტექსტში და მას გრაფოესთეტიკურ აურას არ უქმნის. თვალშისაცემი ხდება ტექსტი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი გრაფემულ-გრაფიკული იმიჯი ირღვევა და იგი იმდენად უჩვეულო ჩანს, რომ მკითხველის ყურადღებას იპყრობს. ამასთანავე ტექსტის ვიზუალური სახე მთლიანობაში აღიქმება. იგი შეიძლება უშუალოდ უკავშირდებოდეს მის შინაარსობრივ მხარეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი კავშირი არ არსებობდეს ან ძალიან სუსტი და ბუნდოვანი იყოს. ეს დამოკიდებულია ავტორის ინტენციაზე. მას შეიძლება მიზნად ჰქონდეს ტექსტში აქტუალიზებული შინაარსის ვიზუალური საშუალებებით ადეკვატურად წარმოსახვა, ან გრაფემულ-გრაფიკული კომპონენტების ოსტატური კონსტელაცია და გრაფორიტორიკული თამაშით დატკბობა.

თავისი პოეტური ოსტატობით აოცებს მკითხველს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის ქართული პოეზიის ერთ-ერთი უბადლო წარმომადგენლის **დავით გურამიშვილის** ლექსები. ალბათ სამართლიანია, მისთვის როგორც დიდი პოეტისა და რეფორმატორისათვის ადგილის მიჩენა რუსთაველის შემდეგ. სამშობლოს მოშორებულ პოეტს, რომელიც საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობამ მშობლიურ ენას და თავის ხალხს მოსწყვიტა, როგორც ჩანს, სანუგეშოდ ისღა დარჩენოდა, რომ ქართულ ანბანს მიჯაჭვოდა, მისი სიყვარულით მოეკლა სამშობლოსა და დედაენასთან შეხების წყურვილი. კითხულობ მის ლექსებს და გაოცებს მძიმე სულიერი განცდებისა და ღრმა ფსიქოლოგიური რეფლექსიის სიმსუბუქითა და ლაღად გადმოცემა, ლექსის შეთხზვის გააზრებული რიტორიკული ოსტატობა. მის პოეზიაში ვხვდებით ისეთ ლექსებსაც, რომლებიც გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებულია. აი, ერთ-ერთი მათგანი:

ⴈⴔ. ანბანზედ თქმული დავითისაგან

პირველი თავიდგან და მეორე ბოლოდამ

ადამ ბრმა გველით და ევა ვერ[ა] ზოგვენ ზე თმენასა,
იმ კრულმან ლახვრად მიაგნო ნებით ორ-პირი ჟღერასა;
რაც სიტყვა ტკბილად ურჩივა, ფერხთ-ქვეშ ღალატობს ყველასა,
შიგ ჩანს ცდენ ძნელ წყევლად ჭმუნვანი, ხსნილ ჴნარცვს
ჯდენ ჰე ზიებსა.

ზი ჰი ჯოჯოხეთად ჰქენ ხვედათ, ჰრა, წყვლა ძნელ ცეცხლ
ჩენით.
შიგან ყრიან ღადართ ქვეშე, ფუფქავს უყთ ტბა, სულთ
რჯის ჟენით.
პირს ოხრევდინ ნაღვლით მისთვის, ლხინი კვნესით
იწვართენით,
თაყვანს ცით, ზენარს ვედრეთ, ეს დიდ გვემით ბრმა
ახსენით.
(გურამიშვილი, 1992:162)

ანბანზე გაწყობილი ორსტროფიანი ლექსი წინასწარ გააზრებული და გათვლილია. თითოეული სტროფი შედგება 36-36 გრაფოსიტყვისაგან. პირველი სტროფის ყოველი სიტყვა მიჰყვება ანბანის რიგს ა-დან ჰ-მდე, ხოლო მეორე – პირუკუ ჰ-დან ა-მდე, როგორც თვითონ პოეტი მიანიშნებს სათაურში დამატებითი ინფორმაციის სახით, „პირველი თავიდგან და მეორე ბოლოდამ". ეს გრაფორიტორიკული თამაშის შედეგად შექმნილი პოეტური ტექსტი მკითხველს აოცებს ავტორის ოსტატობითა და მიგნებით. თითოეულ ტაეპში იგი ასო-ნიშნებს მოზაიკის კენჭებით აწყობს თავთავის ადგილას და წინასწარ იცის, რა ნახჭსაც მიიღებს. მისი კალმის წვერი თავის ნებაზე ათამაშებს 36 გრაფემასა თუ გრაფოსიტყვას და აზრის სათავსოდ იყენებს. კანონზომიერია, რომ ლექსში „ანბანზე თქმული" თავკიდური ასო-ნიშნები, რომლებითაც გრაფოსიტყვები იწყება, მაიუსკულებს წარმოადგენს. ეს საშუალებას აძლევს პოეტს მკვეთრად გამოყოს ანბანის ყოველი ასო-ნიშანი და ტექსტის კითხვა თავისი ინტენციის შესაბამისად წარმართოს. ამას გარდა ანბანის პირველ და 36-ე ასო-ნიშნებს მიკროტექსტების დელიმიტაციის ფუნქციაც აქვთ.

მეორე ლექსი:

კზ. ლოცვა, ოდეს დავითს
ტყვეობასა შიგან მოშივდა და
ღმერთს პური სთხოვა
(იამბიკო)

376

მამაო, ყოვლის მპყრობელი, ღმერთო მოწყალეო!
ჩვენო გამკაცებელო, შემქმნელ-დამბადებელო!
რომელი ხარ ცათა შინა არსის საყდარზეო,
წმინდა არსი მაგალობე შენი ეო-მეო.

377

იყავნ ჩენზედ მოწყალებით, შენ დამიფარეო;
სახელისა შენისათვის აწ მიმეხმარეო;
შენი უხვი მოწყალება შორს ანუ წამგვარეო,
მოვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარეო!

378

სუფევა წარმოავლინე, მადლი მომფინეო,
შენი განჩენილი ვარ და შენ დამარჩინეო!
იყავნ ნება შენი ჩემზე, ჩემო მეუფეო,
ვითარცა პირველ მამათა შენ უწყალობო.

379

ცათა შინა ისრაელთა საზდო უწვიმეო,
ეგრეცა ნათლის სვეტითა ღამე ავლინეო,
ქვეყანასა ვარ უცხოსა დაკარგული ტყვეო,
ზედა მთასა ავართასა, აწ მამეშველეო.

380

პური არა მაქვს, მიბოძე, მშიან, მაჭამეო!
ჩვენი შენგნით მოცემული, რად დამიმალეო?
არსობისა პურს გამყარე, შამბი მაძოეო!
მომეც, გვედრებ, შენი ვალი გარდაიხადეო!

381

ჩვენ გცოდეთ და შენ შეგვინდე სულგრძელმოწყალეო,
დღეს სადილად არა მაქვს-რა, გამომიჩინეო;
დავიკრიფე ყოვისფჩხილა და ისი ვსჭამეო!
მომიტევენ შეცოდება, თუ რამ შეგცოდეო.

382

ჩვენთანა შენი წყალობა ნუ განაქარვეო,
ნადებნი ბველნი სახმილნი ნუ განგვიახლეო,
ჩვენნი მსხვერპლი კაენისა ნუ მიამზგავსეო.
ვითარცა აბელ მართლისა შენ შეიწირეო.

383

ჩვენ მიუტევებთ თუ ძმათა, შენც მოგვიტევეო!
თანამდებთა გარდავიხდით, მივსცემთ რაცა გვძეო,
მათ ჩვენთა აღადგინებთა სხვათა ნუ აძლეო,
დამბადებელო მიბოძე, ეს რაც ვითხოვეო.

384

ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა, რომ არ დავინთქეო,
ჩვენ შენად სადიდებელად მთლად განვგვარინეო,
განსაცდელსა მოგვარიდე, კარგო მენავეო,
არამედ მიხსენ, ვით მოსეს შუა განუპეო!

385

ჩვენო მოწყალევ ეს ძღვენი გიძღვენ დავით მეო,
ბოროტისაგან დამიხსენ ყოვლად ავით მეო!

(გურამიშვილი, 1992:77-78)

ტექსტი ორგანზომილებიანია. მისი ბათიზმატური ველის მარცხენა ფლანგი პუანტირებულია ავტორის მიერ: „რომელიც რომ ზეით ხსენებული სამი საუფლო ლოცვანი არის იამბიკო, რომელიც რომ ყოველს სტრიქონს თავად წითლურით უწერია, ის არავინ შესცვალოს ამისათვისა, რომ იმას სხვა მოქმედება აქვს – ცალკე წითლის თავდაღმა ჩამოკითხვისა“ (იქვე, 80) (ხაზი ჩვენია – ვ.ფ.). თანამედროვე გამოცემებში ეს თხოვნა ნაწილობრივ არის შესრულებული, რამდენადაც ის, რაც „თავდაღმა“ „წითლურით“ უნდა „ჩამოიკითხოს“, მხოლოდ შავი შრიფტით ან კურსივით არის გამოყოფილი (იქვე, 77-78, გურამიშვილი, 1975:126-127).

ტექსტის არქიტექტონიკა ავტორს თავისი ინტენციის შესაბამისად აქვს აგებული. მარცხენა და მარჯვენა ფლანგები შერწყმულია ერთ ტექსტად. მაგრამ მიუხედავად ამ შერწყმისა ისინი ტოლფასნი არ არიან. მარცხენა პუანტირებული ფლანგი – საუფლო ლოცვა – ვერტიკალურად ჩაკითხვისას ქმნის მარჯვენა ფლანგისაგან დამოუკიდებელ აზრობრივ ბლოკს, ეს არის ტექსტი ტექსტში. მარჯვენა ფლანგი იკითხება ჰორიზონტალურად, დამოუკიდებელ აზრობრივ ბლოკს არ ქმნის და არც ავტოსემანტიკურ მიკროტექსტს წარმოადგნეს.

ტექსტში გამოყენებულია რიტორიკული ფიგურა ანჟამბემანი, რის შედეგადაც „თავდაღმა ჩამოკითხვისას“ ჰორიზონტალურად წაკითხული სტრიქონის თავკიდური გრაფოსიტყვები იხლიჩება ან ერთიანდება ნორმის საპირისპიროდ და ვერტიკალური ფლანგი სრულყოფილი, ხოლო ჰორიზონტალურად წასაკითხი სტრიქონები ვერტიკალური ფლანგის გარეშე ნაკლული ხდება. შდრ. 382-ე სტროფის პირველი სტრიქონის „ჩვენთანა“ და მეორე სტრიქონის „ნადებნი“. „ჩვენ“ აზრობრივად და სტრუქტურულად მიეკუთვნება 381-ე

სტროფის მეოთხე სტრიქონს „მომიტევენ ჩვენ“, ხოლო 382-ე სტროფის პირველი სტრიქონის „ჩვენ/თანა-ს“ მეორე ნაწილი – მეორე სტრიქონს – „თანანადებნი“. პირველ შემთხვევაში გახლეჩის შედეგად ახალი მარტივი გრაფოსიტყვა იქმნება, მეორეში – კომპოზიტი. შდრ. აგრეთვე: 377-ე სტროფში „სახელი/სა“, 381-ე სტროფში „და/ვიკრიფე“, 388-ე სტროფში „და/მდაბლეო“. რაც შეეხება ჰორიზონტალური განზომილების სტრიქონებს, ისინი მხოლოდ ვერტიკალურ ერთეულებთან შერწყმისას ხდებიან სრულყოფილი როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით.

ლექსის ზომას, როგორც თვითონ ავტორი მიგვანიშნებს სათაურის დამატებით ნაწილში, წარმოადგენს იამბიკო.

ტექსტის თემა ჩამოყალიბებულია, რომელიც შეიძლება 381-ე სტროფის პირველი ორი ტაეპის („პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“) პარაფრაზად ჩაითვალოს. თემა ლოცვა-ვედრების ციკლს განეკუთვნება, გამჭოლია, მთელ ტექსტს გასდევს თავიდან ბოლომდე და თითოეულ სტროფში ვარიანტის სახით წარმოგვიდგება სხვადასხვა ცირკუმსტანსების გარემოცვაში. პირველი 376-ე სტროფი ღმერთის განდიდებაა, 377-ე და 378-ე სტროფში ფოკუსი გადანაცვლებულია ავტორზე, 379-ე სტროფში ტყვედჩავარდნილი მშიერი პოეტი აფიქსირებს თავის ადგილსამყოფელს და გაახსენებს ღმერთს როგორ დააპურა მან მწყურვალე და მშიერი ებრაელები უდაბნოში ხეტიალის დროს. ამ ასოციაციას უშუალოდ მოსდევს თხოვნა „პური არ მაქვს, მიბოძე, მშიან, მაჭამეო“, იხ. 380-ე სტროფი. მომდევნო 381-ე სტროფი წინა სტროფის დაკონკრეტება, ხოლო მისი მომდევნო სამი სტროფი ისევ ბიბლიური ასოციაციები და თხოვნა-ვედრებაა. ბოლო 385-ე სტროფი შეკვეცილია და პოეტისათვის ტიპურ დასკვნით მიკროტექსტს წარმოადგენს. ამრიგად, ამ საოცარ ორსახა ტექსტს, რომელშიც შერწყმულია ქრისტიანული საყოველთაო საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ და პოეტის მუნყოფნით განპირობებული პირადი ლოცვა-ვედრება. აქვს გამოკვეთილი კომპოზიცია: პრესიგნალი, ძირითადი მიკროტექსტი და დასკვნითი მიკროტექსტი, რომელიც იმავდროულად ტექსტის ქვედა ზღვარს აფიქსირებს.

იამბიკო დ.გურამიშვილის საყვარელი ლექსის ზომაა. ამას მოწმობს მისი მრავალი ლექსი, მათ შორის „სამების ვედრება: გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან“ (იამბიკო“, რომლის ტექსტი აგრეთვე ორგანზომილებიანია: ვერტიკალურად (თავდაღმა) ჩასაკითხი საყოველთაო ლოცვა, ხოლო ჰორიზონტალურად – პოეტის პირადი ვედრებაა (გურამიშვილი, 1992:78-79).

დაბოლოს, გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ქართველისთვის ამ სათაყვანებელი პოეტის მემკვიდრეობა შეიცავს ბევრ საინტერესო ტექსტს, რომელიც ყურადღებას იპყრობენ წერილობითი ენისთვის დამახასიათებელი გრაფემულ-გრაფიკული პარამეტრებით. გრაფორიტორიკული ფიგურების გამოყენება უნივერსალური მოვლენაა და განსაკუთრებით ახასიათებს ხანგრძლივი ტრადიციების მქონე მაღალგანვითარებულ სამწერლობო ენებს. ამ ასპექტით კვლევა, რომელიც მოიცავს დავით გურამიშვილის წინამორბედი და მისი მემკვიდრე ქართველი პოეტების შემოქმედებას, აქტუალური და პერსპექტიული ჩანს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქართული ლექსის განვითარების ისტორიის ჩვენება და ამასთანავე ქრონოლოგიური სიზუსტის დაცვა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ დავით გურამიშვილამდე და მის შემდეგ ქართულ პოეზიას დიდი გზა აქვს გავლილი, რომლის ნაკვალევზე სიარულს არც ვაპირებთ, ვერც შევძლებთ და არც მიზნად დაგვისახავს. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ქართული პოეზიის საგანძურში მოვიძიოთ ზოგიერთი ნიშა, სადაც პოეტები თავის ხილვებისა და წარმოსახვების განსიტყვებისათვის ვიზუალურ საშუალებებს ეძებენ და მათი მოშველიებით მკითხველს საკუთარ ნააზრევს ხილული მხატვრული ხერხებით წარმოუდგენენ. ეს არ არის მარტოოდენ გრაფემულ-გრაფიკული ნიშნებით ჟონგლიორობა და თავის მოწონება, არამედ ეს მკითხველის თვალისთვის ისეთივე საამო ესთეტიკური სახილველია, როგორც ბგერაზე ორიენტირებული სმენის დამატკბობელი რითმები.

გადმოვინაცვლოთ მეოცე საუკუნეში. ათიანი წლებიდან დაიწყო ქართული ლექსის ახალი ფორმების ძიების პროცესი. იქმნებოდა სახეობრივი აზროვნების ახალი სისტემა, ფართოვდებოდა ვერსიფიკაციული არსენალი, ტრადიციული მეტრულ-რიტმული სტრუქტურა მდიდრდებოდა ინოვაციებით. ქართულ პოეზიაში ირეკლებოდა ევროპული დეკანდენტურ-მოდერნისტული მიმდინარეობების ტენდენციები (დოიაშვილი, 1982:8).

XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის **ალექსანდრე აბაშელის** შემოქმედებაში ბევრი შესანიშნავი ლექსია, რომლებშიც გაბნეულია ახალი პოეტური ფორმები და განუმეორებელი მხატვრული სახეები. შესაძლოა მოდერნისტული პოეზიით დაინტერესების გამოხატულება იყოს მის პოეზიაში შეჭრილი „ვერიფიკაციულ-ტექნიკური“ ხერხები, რომლებიც ტექსტის ბათიზმატურ ველს სერავს (პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ სტრიქონებს „კუწავს“), მაგრამ ფაქტია, რომ ამით გრაფორიტორიკის თვალსაზრისით არაორდინარული ტექსტები იქმნება. ამის ნიმუშია ლექსი „პოეტებს (თვითკრიტიკა)“, რომლის შუა მონაკვეთი ასე გამოიყურება:

რკინის რითმებში დინამიტი ჩააწყვეთ ბლომად,
მაგრამ ... სტრიქონებს ნუ აკუწავთ ჰონორარისთვის.
თორემ არა ჩანს, ლექსში ზომა არის თუ არა,
დგას რითმა ყალყზე, ან კუტივით წამოჩოქილი.
ყოველი

სიტყვა

ცალკე

გარბის

დამფრთხალ

ჯოგივით

თითქოს სტრიქონებს ორთქმავალმა გადაუარა.
რათ გინდათ განგებ აურიოთ მკითხველს გზა-კვალი

და ყასაბივით კეპოთ ლექსი გულასარევად!

(ქართული პოეზია, 1982:73)

ლექსის ქვესათაური „თვითკრიტიკა“ მიგვანიშნებს, რომ პოეტს არ მოსწონს ლექსის „კეპვა ყასაბივით“, მაგრამ იმის საჩვენებლად, რაც არ მოსწონს, თავადაც კუწავს სტრიქონებს.

ამავე პერიოდის ქართველი პოეტის და მთარგმნელის გრიგოლ ცეცხლაძის შემოქმედებაში აისახა 1910-1924 წლებით შემოფარგლული ევროპული ავანგარდისტული მოძრაობის დადაიზმის რეფლექსიები. იმ დროს, როცა ჰანს არპი თავის პროგრამულ ლექს თხზავდა (იხ. „DIE ORIGINALDADAISTEN SIND NUR SPIEGELDADAISTEN“ ARP, 1988:10), ქართველმა პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ დაწერა ლექსი „დადა“ (ქართული პოეზია, 1982:657). ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სიტყვა „დადა“ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ლექსიკონში დადაისტების მიერ. ეს სიტყვა, რომელიც ფრანგულად დაახლოებით „ჯოხის ცხენს“ (Steckenpferd) ნიშნავს, პოეტების ამ ჯგუფმა თავისი საძმოს სახელად და სიმბოლოდ აქცია. დადაისტებს ჰქონდათ კაბარე ციურიხში, სადაც მათ თავისი საძმო დაარსეს. ეს კაბარე მდეარეობდა შპიგელგასეს ქუჩის პირველ ნომერში. Spiegelgasse მოტივირებული სიტყვაა და ნიშნავს „სარკის შუკას“ (PIETRAß, 1988:179). გრ.ცეცხლაძის ლექსი დაწერილია დადაისტურ სტილში და ეს ეხება როგორც სემანტიკურ ისე ფორმალურ მხარეს.

დადა

პირველად მსოფლიო იყო მელოტი
შემდეგ მელოდია
მელოტი რგვალია როგორც კვახი
კვახი გადაგორდა და გასკდა
დაიბადა
დადა
დადა ყოველთვის იცქირება სარკეში მაგრამ ჯერ
კიდევ არ იცის თავისი სახე რადგან ვერ
ახერხებს დაიჭიროს ბუნებრივი პოზა
ყველაფრის გაზომვა შეიძლება მაგრამ არ შეიძლება
გაიზომოს დადა
დადა სუბიექტური ცხოველია რომელიც
ვერ ეტევა ობიექტურ საზღვრებში
დადა გაუსწორებელია როგორც ძაღლის კუდი

როცა სიმბოლისტების მთვარეს გაახალგაზრდავებისა მიზნით უნდა გეას სამოში დაბრუნდეს
და ა.შ.

(ქართული პოეზია, 1982:657-658)

შდრ. ასოციაციები: „დადა ყოველთვის იცქირება სარკეში" – Spiegelgasse; „დადა სუბიექტური ცხოველია" – Steckenpferd.

გრ.ცეცხლაძის ლექსი „კვირა დღე თბილისში" დადაისტურია როგორც სემანტიკური, ისე გრაფემულ-გრაფიკული ფენის მიხედვით. ამას გარდა ის ვიზუალური პოეზიის ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ატმოსფერო

იყო
ატმისფერი
პეპელა
გაეკიდა
პროპელერს
M-ლე პელო
ჰგავდა გამოფენას...
პროვინციელები
უცქეროდნენ
პროპელერის
ფრენას
და
იცინოდნენ
შუა ქუჩაში
პერპენდიკულარივით აღმართული
მილიციელის
ულვაშები ჰგავდა
ინიციალებს.

(ქართული პოეზია, 1982:655)

გრ.ცეცხლაძის ეს ლექსი პუანტირებულია გრაფემულ-გრაფიკულად, ისევე როგორც მისივე „დადა" და ალ.აბაშელის „პოეტებს". სამივე ლექსში გამოყენებულია გრაფორიტორიკული ფიგურები ანჟამბემანი და ბრახიკოლონი. ლექსში „პოეტებს", 23-ე სტრიქონი „დაკეპილია" და ცალკეულ სიტყვებად დამლილი, ხოლო სიტყვები ისეა გაბნეული ბათიზმატურ ველზე, რომ ისინი დიდ მანძილზე არიან ერთმანეთისაგან დაშორებული და წარმოსახვითი სტრიქონების თავს, ბოლო ან შუა ნაწილს აფიქსირებენ. ტექსტის ეს

მონაკვეთი ვიზუალურად დამფრთხალი ჯოგის ასოციაციას იწვევს. გრ.ცეცხლაძის „დადა“-ში მონაცვლეობენ ანჟამბემანი და ბრახიკოლონი, რომლებსაც ქმნიან თითო ან ორ-ორი გრაფომორფემები. „დადა“-ში მე-15 ტაეპი გაწყვეტილია, „გაახალგაზრდავე“ დატოვებულია იქვე, ხოლო „-ბის“ გადატანილია მე-16 სტრიქონზე. „კვირა დღე თბილისში“ მთლიანად აგებულია ბრახიკოლონზე და ვიზუალურად პერპენდიკულარის ასოციაციას იწვევს.

გრ.ცეცხლაძის ორივე ლექსში მეტაგრაფემული ნიშნების გამოყენება უჩვეულოა. „დადა“-ში არც ერთი სასვენი ნიშანი არ გვხვდება გარდა ბოლო ტაეპთან დასმული წერტილისა, რომელიც ერთადერთი მინიშნებაა ტექსტის დასრულებაზე. მეორე ლექსში „კვირა დღე თბილისში“: ოთხგან გვხვდება წერტილი და ერთგან მრავაწერტილი, რომლებიც სტროფების (მიკროტექსტების) დელიმიტაციას ახდენენ. სულ ხუთი მიკროტექსტი გამოიყოფა: პირველის თემაა „ატმოსფერო“, მეორისა - „პეპელა“, მესამისა – „M-ლე პელო“, მეოთხისა – „პროვინციელები“, მეხუთესი – „(პერპენდიკულარივით აღმართული) მილიციელი“.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ქართული პოეზიის პოეტური ტექსტების თავისებურებებზე და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებული პოეტების გარდა სხვა პოეტების შემოქმედებაშიც გვხვდება გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებული ლექსები. იხ. მაგ., გ.ქუჩიშვილის „სიმღერა“ (ქართული პოეზია, 1982:96), „საქართველო“ (იქვე, 105), ი.გრიშაშვილის „გენაცვალე“ (იქვე, 254), პ.იაშვილის „ზარის ხმა ქარში“ (იქვე, 381-387), კ.გამსახურდიას „ისლის სახლი“ (იქვე, 621-622) და მრავალი სხვა.

ჩვენ აქ მხოლოდ 20-იან/30-იანი წლების ქართული პოეზიის სამი ნიმუში განვიხილეთ, რომლებიც საინტერესო იყო ვიზუალური თვალსაზრისით. ამგვარ და ამაზე უკეთეს ლექსებს რა გამოლევს ქართულ პოეზიაში, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იპყრობენ თავისი აურით, მაგრამ მათი ყოველმხრივი ანალიზი ტექსტის ქართველი მკვლევარების შესწავლის საგანია და ჩვენი ინტერპრეტაცია მხოლოდ მოკრძალებულ მცდელობად თუ ჩაითვლება.

დღესაც გრძელდება ქართული ლექსის ინოვაციისა და გამდიდრების პროცესი, ახალი გამომსახველობითი ხერხებისა და ფორმების ძიება, მათ შორის ვიზუალურისაც. გრაფორიტორიკულ ფიგურებს მიმართავენ არა მარტო სიმბოლისტური და ავანგარდისტული პრინციპების მაღიარებელი პოეტები, არამედ ისინიც, რომელთა შემოქმედება იზომება არა -იზმების არშინით, არამედ ნაღდი პოეტურობით. მიხეილ ქვლივიძე „ლამაზი მიგნების პოეტია“, ასე აფასებს მას მისი ერთი თაყვანისმცემელი. პოეტის დახვეწილ, ლირიზმით აღსავსე ლექსებში აქა-იქ გაიკიაფებს ხოლმე ვიზუალური პასაჟები და შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი პოეტი და მხატვარია. თუმცა როგორც ერთხელ სადღაც თქვა, ის პირველ რიგში პოეტია.

ლექსი „საგარეჯოში“ პოეტის ცხოვრების იმ ფრაგმენტების გახსენებაა, როცა ის ბედნიერი იყო უშურველ მეგობრებს შორის. ამ ბედნიერებას იგი გამოხა-

ტავს არა მოქეიფისათვის ტიპური აღგზნებულობითა და მთვრალი სიტყვებით, არამედ ლირიზმით აღსავსე მხატვრული სახეებით, სევდანარევი სიხარულის თავშეკავებული განცდით. მზის გულზე აბრიალებულ თვალისმომჭრელ სურათებს პოეტი მკითხველის წარმოსახვაში აცოცხლებს არა მყვირალა ფერებით, არამედ ნახევარტონებით, და ღვინით გადარეულ თავის ხალხს თითქოს განზე მდგომი უყურებს მოთმინებით, უსაყვედუროდ, სიამოვნებით. დროის ამ აუჩქარებელ სვლას (სუფრა ხომ ორჯერ გაიშალა) ადეკვატურად ეხმიანება დინჯი გაბმული მრავალჟამიერი.

ტექსტის ტოპოლოგიური ჩარჩო თითქმის ნორმაში ჯდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დასკვნითი მიკროტექსტის სივრცეს, რომელიც გადაკვეთილია მარცხნიდან მარჯვნივ ირიბად დაწყობილი გრაფომორფემების საფეხურებით, რასაც შედეგად მოსდევს ჩარჩოს ბოლო ხაზობრივი მონაკვეთების შეკვეცა. რაც შეეხება ბათიზმატურ ველს, მისი დესტრუქცია უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სტრიქონები ერთი სრული დამლილი ტაეპის ნაწილებია და განლაგებული სამ ერთეულად, რომელთაგან ერთი აფიქსირებს ნაკლული სტრიქონის დასაწყისს, მეორე – შუა ნაწილს, მესამე – ბოლოკიდურს. მსგავსი ბრახიკოლონი გამოყენებულია მეცხრე, მეათე, მეცამეტე და მეთოთხმეტე სტრიქონებში. ბოლო ექვსი სტრიქონი წარმოადგენს ტექსტის ჩამკეტი ერთი ტაეპის „დაკეპილ“ მონაკვეთებს. ეს არის ანჟამბემანი, რომელიც იქმნება რთული გრაფოსიტყვის „მრავალჟამიერი“ პირველი კომპონენტის გამეორებით. ხუთ ირიბ საფეხურად დაწყობილ სტრიქონს მოსდევს შერწყმულად დაწერილი ბოლო გრაფოსიტყვა, რომელიც ახდენს ტექსტის ქვედა ზღვრის დელიმიტაციას. დასკვნითი მიკროტექსტი, დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავდაღმა უნდა ჩამოიკითხოს.

აი, ეს ლექსი:

საგარეჯოში

სადღეგრძელო ბევრი ითქვა, ლექსიც იყო თავის დროზე,
სახლის ჭერიც აიხადა „სუფრულით“ და „ოროველით“,
მე კი მახსოვს, რა საამოდ წკრიალებდნენ ალიონზე
ცის გუმბათში
ეკვნებივით
დაკიდული ტოროლები!
ისიც მახსოვს, შუადღისას, როცა ღვინომ გადაგვრია
და მზის გულზე ჩვენი სუფრა აბრიალდა, როგორც ჩალა,
ერთ პატარა ჩიტის ჩრდილში
(ღმერთმა უწყის, რანაირად?)
თვალუწვდენელ ტრიალ ველზე ისევ სუფრა გაიშალა!
ისევ ითქვა სადღეგრძელო და რიგ-რიგად დაილოცა
ნაცნობი თუ ნათესავი, იმიერი, ამიერი...

სუფრას ღმერთი თამადობდა და სულ გაბმით გაისმოდა:
„მრავალ-
მრავალ-
მრავალ-
მრავალ-
მრავალჟამიერი“!

ამ ზომიერად ვიზუალური ტექსტის ინტერპრეტაციის შემდეგ გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ვახტანგ ჯავახაძისა და ტარიელ ჭანტურიას გრაფემულ-გრაფიკულად მკვეთრად პუანტირებული ლექსები.

ვ.ჯავახაძის ლექსების სრულ კრებულში, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით „წეროების სამკუთხედი“, გრაფიკულ ლირიკას სულ ექვსი გვერდი აქვს დათმობილი. ეს ექვსი ლექსი სხვათაგან გამოირჩევა იმით, რომ ისინი გრაფოფიგურული ტექსტებია. გრაფემებისა და გრაფო-სიტყვების კონსტელაცია ქმნის ავტოპორტრეტის, შადრევნის, ქარ-წვიმის, პირამიდის, საფეხურების და აღმართ-დაღმართის ხილულ კონტურებს. ავიღოთ ერთი მათგანი:

შ ა დ რ ე ვ ა ნ ი

ი
ნ
ა
ვ
ე
რ
დ
ა

ამოფრინდა შ ანაზდად,
გაიყინა რომელიღაც წერტილზე
გაიფრინა, – გაინაბა, – განაზდა
და ცრემლები ჩამოვარდა ზედიზედ.

(ჯავახაძე, 1978:120)

ეს ერთსტროფიანი გრაფოფიგურული ლექსი კონკრეტული პოეზიის ნიმუშია და მის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. თუმცა ტექსტში ტრადიციული ქართული ლექსისთვის დამახასიათებელი მხატვრული სახეებია გამოყენებული და იგი ჯვარედინ რითმებზეა აგებული, მაგრამ მაინც პირველ რიგში თვალშისაცემია ტექსტის ბათიზმატური ველის ზედა მიჯნის ორად გახლეჩა, შუაში მაიუსკულების ჩასმა და ვერტიკალური გრაფემული სტრიქონის აღმართვა, რომელიც ქვევიდან ზევით იკითხება როგორც „შადრევანი“. ამ ტექსტმა

უნებურად გაგვახსენა იოჰან ჰელვიგის „შადრევანი: („Brunnen“), რომელიც ჯერ კიდევ 1650 წელს არის შექმნილი (HELWIG 1650).

ვ.ჯავახაძის დანარჩენი ხუთი ლექსის ინტერპრეტაცია იმავე მეთოდით შეიძლება, რომელსაც ეყრდნობა წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილი ტექსტების ინტერპრეტაცია. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მთელი კრებული მაინც გრაფემულ-გრაფიკული ხელწერით არის დაღდასმული. ყველა ლექსი ასე თუ ისე, დიდი თუ მცირე ზომით შეიცავს პუანტირებულ გრაფემულ-გრაფიკულ ელემენტებს. ამას მოწმობს როგორც სათაური „წეროების სამკუთხედი“, ისე ლექსების პრესიგნალებად სამ-სამი მომცრო სამკუთხედის გამოყენება, რომლებიც მეტაენობრივ ნიშნებს წარმოადგენენ.

კონკრეტული პოეზიის ნიმუშები და გრაფემულ-გრაფიკული ხერხების გამოყენება გვხვდება ტარიელ ჭანტურიას ლექსებშიც. ზოგი მათგანი სათაურიანია, ზოგსაც პრესიგნალად რომელიმე მეტაგრაფემული ნიშანი უზის. აი, ორი მათგანი.

•

გადაბრუნებული
ჟირაფებივით
მოაბოტებენ
ევ-
კა-
ლიპ-
ტე-
ბი!

(ჭანტურია, 1989:290)

სიტყვები

ამ ლექსში უარს ვამბობ
პუნქტუაციის ნიშნებზე
და ეს იმიტომ კი არა
თითქოს ავანგარდისტებს ვბაძავდე
ანრი ბრეტონს
აპოლინერს
ან კიდევ ვინმე სხვას
არამედ იმიტომ რომ
სიტყვებს ჩაჭედილებს ფრჩხილებში
წერტილებში
მძიმეებში
ენით უთქმელ მრავალწერტილებში
ავბედით კითხვის ნიშნებში და

შიშისმომგვრელ ძახით ნიშნებში
წამით მაინც ვაგრძნობინო
ნანატრი თავისუფლება.

(ჭანტურია, 1989:174-175)

პირველი ტექსტი კონკრეტული პოეზიის ნიმუშია. იგი სულ რვა სტრიქონისაგან შედგება, რომელთაგან პირველი სამი ბრახიკოლონია, დანარჩენი – ანჟამბემანი. სიტყვა „ექკალიპტი" დაშლილია მარცვლებად და გადატანის ნიშნებთან ერთად თითო სტრიქონს ქმნის. მეორე ტექსტში სასვენი ნიშნები უგულებელყოფილია, მხოლოდ ბათიზმატური ველის ქვედა ზღვარი ბოლოვდება წერტილით. ტექსტი საინტერესოა იმით, რომ თავად შეიცავს თავისსავე ინტერპრეტაციას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პუნქტუაციის ნიშნებზე უარის თქმის მოტივირებას. გარდა იმისა, რომ ტექსტი პუანტირებულია ნულოვანი მეტაგრაფემული ნიშნებით, მასში გვხვდება ბრახიკოლონი და ბათიზმატური ველი მარჯვენა ფლანგიდან დეფორმირებულია. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი გვარწმუნებს ავანგარდისტებს არ ვბაძავო (ესეც ერთგვარი ხერხია), ტექსტი, თუმცა უკიდურესად არა, მაგრამ მაინც ავანგარდისტულია. ეს ლექსი თემის (და არა ფორმის) მხრივ უნებურად იწვევს ასოციაციას ქრისტიან მორგენშტერნის ლექსთან „Im Reich der Interpunktion" (MORGENSTERN, 1967:61). იმ განსხვავებით, რომ მორგენშტერნთან პუნქტუაციის ნიშნები ებრძვიან ერთმანეთს ადგილის დამკვიდრებისათვის, ხოლო ჭანტურიასთან მიმდინარეობს ავტორის ბრძოლა სიტყვების განთავისუფლებისათვის პუნქტუაციის ნიშნების არტახებიდან და ასე განთავისუფლებული სიტყვების ნიმუშია თავად ეს ლექსი. ამ პარალელის გავლებით, ისევე როგორც ვ.ჯავახაძის ლექსზე „შადრევანი" მსჯელობისას, ჩვენ არც არაფერს ვამტკიცებთ, არც ვურყოფთ. მსგავსი მოარული თემები შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოიქმნას რამდენსამე მაღალგანვითარებულ სამწერლო ენაში. მათი შეპირისპირებითი ანალიზი საგანგებო კვლევის საგანია.

რაკი ორი განსხვავებული ენის (გერმანულისა და ქართულის) საფუძველზე შექმნილ გრაფემულ-გრაფიკულად პუანტირებულ ტექსტზე მიდგა საქმე, გავკვრით გვინდა შევეხოთ ასეთი ტექსტების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის პერსპექტივას და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. ალბათ იოლი არ იქნება ასეთი მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ადეკვატური ტექსტების შექმნა. მაგრამ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში, როგორც ჩანს, უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. გერმანულიდან ქართულად ნათარგმნი ასეთი ტექსტი ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ ინგლისურიდან ნათარგმნი შეგვხვდა და ვერ შევძელით მისი უყურადღებოდა დატოვება, იმდენად საინტერესო მოგვეჩვენა იგი. ეს არის დავით ჩიხლაძის მიერ ნათარგმნი ე.ე.კამინგსის ლექსი.

...

ეს
ჰან
აწ
ინ
ა სველი ბა
ღი მიტოვებული (ყველა
სადღაც ჩემს გარდ

ა და გა
წუწული 6 ბელურ
ა) შ
ემოდგომაა და წვ
ი
მ
ს
წვიმსწვიმს

(ჩიხლაძე/კამინგსი 1993)

როგორც მთარგმნელი გვამცნობს, ედვარდ ესტლინ კამინგსი, ამერიკელი მოდერნისტული პოეზიის კლასიკოსია და მის ლექსებში აღინიშნება ვიზუალური და კონკრეტული პოეზიის ნიშნები. დ.ჩიხლაძის თარგმანი მკითხველს მართლაც უქმნის ერთგვარ წარმოდგენას პოეტის მსოფლხედვასა და ხელწერაზე. თარგმანში გამოყენებულია ვიზუალური და კონკრეტული პოეზიისათვის დამახასიათებელი რიტორიკული ხერხები: გრაფოსიტყვების ატომიზაცია გრაფემებად, მათი ვერტიკალურად და ჰორინტალურად განლაგება ინტერვალების მეშვეობით და სტრიქონების შექმნა; ანჟამბემანი, გადატანისა და პუნქტუაციის ნიშნების უგულებელყოფა, ორი დამოუკიდებელი გრაფოსიტყვის შერწყმულად დაწერა, ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაცია და ბათიზმატური ველის დესტრუქცია, ყოველივე ეს მკითხველში იწვევს შემოდგომისა და წვიმის ხილულ ასოციაციას.

იმედია მკითხველი დაინახავს, რომ ვიზუალური და კონკრეტული პოეზიის ნიმუშების თარგმნა ქართულ ენაზე სათანადო პოეტურ მიგნებასა და გრაფორიტორიკის კარგ ცოდნას მოითხოვს. ეს კი იმდენად ძნელია, რომ შესაძლოა ყველა მოსურნეს არც ხელეწიფებოდეს. სასურველია, გერმანული ვიზუალური და კონკრეტული პოეზიის სპეციფიკას ქართველი მკითხველი თავის დედაენაზე გაეცნოს.

ქართული ტექსტის სამყაროში მეტ-ნაკლებად გრაფემულ-გრაფიკული ნიმუშების ძიების მცდელობა გვინდა დავამთავროთ გალაკტიონის ერთი კატრენით, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს გრაფორიტორიკულ შედევრად.


აი, რა მზის სიზმარია

აი, რა მზის სიზმარია:
აირევი ივერია...
აი დროშა-აშორდია,
ჰაერების სიბერეა

(ტაბიძე, 1977:275)

ლექსი შექმნილია იმ პერიოდში (1915-1927), როდესაც ევროპაში სიმბოლიზმი, დადაიზმი და მისთ. მიმდინარეობები წარმოიშვა და განვითარდა. პოეტური ქმნილებებისათვის ახალი ფორმების ძიება აქტუალური გახდა და, როგორც ზემოთ ითქვა, არც ქართულ პოეზიას აუვლია იმ მიმდინარეობებისათვის გვერდი. შესაძლოა ეს კატრენიც ამ წლების გამომახვილი იყოს მით უფრო, რომ ქართული სამწერლო ენა საკმაოდ მდიდარია გრაფორიტორიკული ხერხების მარაგით.


გალაკტიონის ამ ლექსში ჩვენ ოთხი განზომილება გამოვყავით, რომლებიც ეფუძნება დამწერლობის ისტორიაში ცნობილ წერის მიმართულებებს.



I განზომილება ორდინარულია, ტექსტი იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, სტრიქონები ერთიმეორის მიყოლებით მისდევს ერთმანეთს ვერტიკალურად (თავდაღმა) და იწყება მარცხენა ფლანგზე.

II განზომილება ქართული წერისთვის უჩვეულოა. ტექსტი იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ, სტრიქონები ერთიმეორის მიყოლებით მისდევს ერთმანეთს ვერტიკალურად (თავდაღმა) და იწყება მარჯვენა ფლანგზე.

III განზომილება: წერის მიმართულება ბუსტროფედონი (მკითხველს შევახსენებთ: „Bustrophedon, das – abwechselnd links– und rechtstabläufige Schrift“ (GROßES FREMDWÖRTERBUCH, 1980:123). ტექსტი იკითხება თავდაღმა ზიგზაგურად, სტრიქონების მიმართულება მონაცვლეობს: პირველი მიემართება მარცხნიდან მრჯვნივ და ჩამოდის მეორეზე; მეორე მიემართება მარჯვნიდან მარცხნივ და გადადის მესამეზე; მესამე მიემართება მარცხნიდან მარჯვნივ და გადადის მეოთხეზე; მეოთხე მიემართება მარჯვნიდან მარცხნივ და კეტავს მთელი ტექსტის ბათიზმატურ ველს.



IV განზომილება. წერის მიმართულება ბუსტროფედონი. ტექსტი იკითხება თავაღმა. პირველი და მესამე სტრიქონი მიემართება მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე და მეოთხე მარცხნიდან მარჯვნივ. ზიგზაგი იწყება პირველი სტრიქონიდან და მთავრდება მეოთხით.

შეიძლება სხვა განზომილებების დაძებნაც და ანალოგიურად ინტერპრეტირება, თუმცა განხილული ოთხიც საკმარისია იმისათვის, რომ გრაფემებით, სტრიქონების განლაგებით და წერის მიმართულებით ვირტუოზულ თამაშს გავადევნოთ თვალი.

რაც შეეხება კატრენის სემანტიკურ მხარეს, იგი „ნონსენსპოეზიის" ნიმუშს მოგვაგონებს. „Nonsens" აქ არ უნდა გავიგოთ როგორც „Unsinn", არამედ როგორც პოეზიის ერთ-ერთი სახის ცნების დეფინიენდი, რომელშიც არაფერია სათაკილო. აბსურდისტული პოეზიის ნიმუშს პოეტი თხზავს არა იმიტომ, ის თავად არის „უაზრო" და აზრიანს ვერაფერს დაწერს, არამედ იმიტომ, რომ ის სავსებით შეგნებულად ქმნის თავშესაქცევ აბსურდისტულ ტექსტს, რომელიც ეფუძნება პარადოქსული წარმოდგენებისა და ალოგიკური მიმართებების ურთიერთკავშირებს. და თუ ყოველივე ამას დაემატება ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული არაორდინარულობა, რასაც დიდი გამომგონებლობა და მიგნების ნიჭი ესაჭიროება, მაშინ აბსურდული მიმართებების გააზრება და ალოგიკურობაში ლოგიკის დანახვა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველს. ასეთი ტექსტი, ერთი მხრივ, ავტორის პოეტურ და გრაფორიტორიკულ ისტატობას წარმოაჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, მკითხველისათვის თამაშის საგნად იქცევა, რადგანაც მან თავი უნდა იტეხოს ავტორის ჩანაფიქრის მიხვედრაზე, რებუსივით ამოხსნას იგი და ამასთანავე სიამოვნებით შეიქციოს თავი ამ თამაშით. ერთი სიტყვით, განახორციელოს ის, რაც ჰერმენევტიკის ენაზე დივინაციად და ინფერენცად იწოდება.

მაინც რა შესაძლო „რებუსებია" მიმალული ამ ბრწყინვალე კატრენში?

სტრიქონები აგებულია პარადოქსულ მხატვრულ სახეებზე:

პირველი სტრიქონი: „მზის სიზმარი" შეუძლებელია, რადგანაც მზეს არ სძინავს, მას ყოველთვის ღვიძავს. მაშინაც კი, როდესაც დედამიწაზე ბნელა, ეს დედამიწის ერთ ნაწილს ძინავს, ცნობილი მიზეზის გამო, მზეს და დედამიწის მეორე ნაწილს მაინც ღვიძავს.

მეორე სტრიქონი: „აირევი ივერია". თუ დავუშვებთ, რომ ეს „მზის სიზმარია", მაშინ სიბნელეა, ხოლო სიბნელე დაკავშირებულია ბნელი ძალების გამოძვრომასა და არეულ-დარეულობასთან. ასეთ განმარტებას წინა, პირველი სტრიქონის ბოლოს დასმული ორი წერტილიც ამყარებს.

მესამე სტრიქონი: „აი დროშა – აშორდია". როგორც ცნობილია, აშორდია ისტორიული პიროვნებაა, თაღლითია, რომელიც აზნაურობის სიგელებს არიგებდა. „დროშა" შესაძლოა იმის სიმბოლოა, რომ თაღლითების დროშა ფრიალებს ივერიაზე როგორც გამარჯვებულთა სიმბოლო.

მეოთხე სტრიქონი: „ჰაერების სიბერეა". ჰაერი ბუნებრივად არასდროს არ „ბერდება", წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ვერ იარსებებდა. თუ ჰაერი „დაბერდა", იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა თავისი უგუნურებით გამოიწვია ეს და თავის თავს დაღუპავს.

ტექსტის ამ ერთ-ერთ შესაძლო სტრიქონ-სტრიქონ გააზრებას არა აქვს ერთადერთობის პრეტენზია. ჩვენ ასე ამოვხსენით ეს „რებუსი", სხვა ამოხსნები გამორიცხული არ არის.

რაც შეეხება მთელი კატრენის სემანტიკურ მხარეს, მის სტრიქონებს, ისინი ავტორის მიერ შეკრულია ერთ სტროფად და ერთმანეთთან ტოპიკებით უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ ყოველი ტაეპი ავტოსემანტიკურია, ტოპიკალური ჯაჭვი ტექსტს არ გააჩნია და, მაშასადამე, არც თემა. როცა გაოგნებული მკითხველი მის მრავალ განზომილებას აღმოაჩენს, ცალკეულ სტრიქონებში მხატვრულ სახეებს ამოიცნობს, შეუთავსებად ცნებებში შეთავსებადს, ხოლო ალოგიკურობაში ლოგიკურს დაინახავს, მაშინ მიხვდება, რომ კატრენის აბსურდულობა მოჩვენებითია. ის მაინც ამოიკითხავს ბუნდოვან, მინიშნებებით აღსავსე საზრისს (თუ გნებავთ პროპოზიციას), რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **ივერია არეულია და ქვეყანა თაღლითების ხელშია.**

კატრენი შედგენილია გრაფემების ფილიგრინული განლაგებით და წერის მრავალმხრივი მიმართულებების გამოყენებით.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კატრენი ზეპირად კითხვისას ფრიად მუსიკალურად ჟღერს, რადგანაც შედგენილია კეთილხმოვანი ბგერებისაგან, რომლებიც ასონანსურ რიგებს ქმნიან – პირველი სტრიქონი შედგება ა,ი ხმოვნებისა და რ, მ, ზ, ს თანხმოვნებისაგან; მეორე სტრიქონი – ა, ი, ე ხმოვნებისა და რ, ვ თანხმოვნებისაგან; მესამე სტრიქონი – ა, ი, ო ხმოვნებისა და ჰ, რ, ს, ბ თანხმოვნებისაგან. სულ გამოყენებულია 4 ხმოვანი და 8 + 3 თანხმოვანი. „ჰაე" ცალკე უნდა გამოიყოს, რადგანაც მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვის დროს სტრიქონის ბოლოს არარელევანტური ხდება და საჭიროებს სტრიქონის დასაწყისში გადმოსმას. ეს პერმუტაციის ერთადერთი შემთხვევაა.[17]

მეთხუთმეტე ქვეთავის დასკვნები

1. გრაფემულ-გრაფიკულ პუანტირებას ექვემდებარება როგორც მხატვრული (პროზაული და პოეტური), ისე არამხატვრული ტექსტები, რომელთა გაგებისა და აღქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ სახეს. ტექსტის ბათიზმატური ველის გამოკვეთილი სტრუქტურა, გრაფემულ-გრაფიკული არანჟირება, მკაფიო არქიტექტონიკული და კომპოზიციური დისკრეტაცია – ყოველივე ეს ტექსტის გაგება-გაგებინების საფუძველია.
2. იურიდიულ დოკუმენტებში გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების გამოყენებას ორი ძირითადი მიზანი აქვს: ა)დაინტერესებულმა მკითხველმა, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური იურიდიული განათლება, ისევე როგორც პრაქტიკოსმა იურისტმა, ყურადღება გაამახვილოს კანონის მნიშვნე-

---

[17] ანდრო ჭილაიას წიგნში „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები" თავსიტყვა „პალინდრომის" ქვეშ გალაკტიონის ეს კატრენი ციტირებულია „ჰაეს" გარეშე (ჭილაია, 1984:304).

ლოვან მხარეებზე, დაინახოს ლოგიკური თანმიმდევრობა დოკუმენტის სტრუქტურაში, ერთმანეთისაგან გაარჩიოს კომპოზიციური ნაწილები, გაიგოს და ირწმუნოს კანონის ძალმოსილება; ბ)კანონმდებელმა მკაფიოდ, ნათლად და დამაჯერებლად შეადგინოს და დააფიქსიროს იურიდიული დოკუმენტი, არაფერი არ დარჩეს მასში გაუგებარი და ორაზროვანი, რომ ის ურთიერთობა ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლის რეგულირებასაც ეს დოკუმენტი ემსახურება, სადავო არ გახდეს მხარეებისათვის არც აწმყოსა და არც მომავალში.

განხილული ტიპური იურიდიული ტექსტები შედგენილია გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების ისეთი საშუალებებით, როგორიცაა, შავი შრიფტის გამოყენება, ბათიზმატური ველის დისკრეტაცია, აბზაცების დაწყება შეუწეველი სტრიქონებით, აბზაცებისა და მუხლების გამოყოფა ორი და სამი სტიქონთშორისი ინტერვალით, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ნორმების დაცვა, პრეამბულის სეგმენტების გამოკვეთა შეუწეველი სტრიქონებით და ბლოკური შრიფტით დაბეჭდილი სიტყვებით (სპეციალური კლიშეებით), არქიტექტონიკული ნაწილების გამოყოფა მრგვალ ფრჩილებში ჩასმული ან უფრჩხილებო, წერტილიანი ციფრებით.

3. საგაზეთო ტექსტებიდან გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების დიდი ინტენსივობით ყურადღებას იპყრობენ სარეკლამო ტექსტები, რომლებიც უპირატესად ჩასმულია შემოხაზულ ტოპოლოგიურ ჩარჩოში. ეს გრაფიკული ხერხი გამართლებული ჩანს, რადგანაც გაზეთის გვერდზე ეკონომიურად განთავსეულ ჭრელ საგაზეთო მასალაში, თუნდაც მთელი გვერდი რეკლამას ჰქონდეს დათმობილი, შემოსაზღვრულ სივრცეში უფრო მოხერხებულია ამ სახის ტექსტის ჩასმა და მისი გრაფემულ-გრაფიკული ფენის ვიზუალურად წარმოჩენა. არსებობს აგრეთვე სარეკლამო ტექსტები, რომლებიც არ არის ტოპოლოგიურ ჩარჩოში ჩასმული და პუანტირებულია სხვა გრაფემულ-გრაფიკული საშუალებებით. მაგალითად, ტექსტი შეიძლება იწყებოდეს რამდენიმე შეკვეცილი სტრიქონის გასწვრივ მოთავსებული წითელი ფერის დიდი ასო-ნიშნებით და მთავრდებოდეს ადრესანტის ასევე წითელი ფერის ციფრებით დაბეჭდილი ტელეფონის ნომრით. ამგვარად პუანტირებული ასო-ნიშნისა და ციფრების მეშვეობით ხდება ტქსტის დასაწყისისა და დასასრულის სიგნალიზება და მისი თვალსაჩინოდ გამოყოფა გაზეთის გვერდზე განთავსებული სხვა ტექსტებიდან.
4. საცნობარო ინფორმაციის შემცველი საგაზეთო ტექსტები შეეხება პოპულარულ-მეცნიერულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ, საყოფაცხოვრებო, სახელმწიფოებრივ და სხვა საკითხებს. ავტორის მიზანია მოკლედ და მიუდგომლად, სუბიექტური ჩარევის გარეშე, გადმოსცეს სათანადო ინფორმაცია, ამიტომ თავად ჩრდილში რჩება და ტექსტის მნიშვნელოვან ადგილებს მხოლოდ გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების საშუალებებით გამოყოფს სიტყვიერი შეფასების გარეშე. პუანტირება ხდება გრაფემულ-გრაფიკული ფენის უჩვეულო დისკრეტაციით, კომპოზიციური ნაწილების გამოყოფით, მუქი შრიფტის, კურსივისა და სხვადასხვა ზომის ასო-ნიშნების ჩართვით. ეს ტექსტები კვალიფიცირდება როგორც მეორადი, რამდენადაც ავტორი

არის არა ინფორმაციის უშუალო მომპოვებელი, არამედ ახდენს სხვა ავტორების ციტირებას და თავის ტექსტს ადგენს სხვა ტექსტებიდან მოყვანილი ნაწყვეტებისგან უმნიშვნელო განმარტებების დართვით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტექსტების ბათიზმატური ველი ხარვეზიანია და არ აკმაყოფილებს იდეალური ველის მოთხოვნებს, შეუძებელია მათი გამოცხადება არატექსტებად. ისინი არსებობენ და არ შეიძლება სხვანაირი იყვნენ.

5. დიდი მოცულობის მხატვრული პროზაული ტექსტების ბათიზმატური ველი ტრადიციულად არ გამოირჩევა გრაფემულ-გრაფიკული ფენის სტრუქტურის არაორდინარულობით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის არქიტექტონიკას), მით უფრო საინტერესოა თანამედროვე გერმანული პროზის ის ნიმუშები, რომლებიც ამ ტრადიციას არღვევენ. ფრანც ფიუმანის „ოცდაორი დღე ანუ ცხოვრების ნახევარი“ გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების თვალსაჩინო ნიმუშია. ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ფენის არაორდინარული დისკრეტაცია ჰარმონიულად ეხამება დღიურის ჟანრის კომპოზიციურ სქემას. ავტორი თავის ინტენციას, შექმნას გაფართოებული დღიურის მსგავსი მოგზაურობის ჩანაწერები – „რაღაც ჰრელი“, ხორცს ასხამს გრაფემულ-გრაფიკული ხერხების გამოყენებით, კერძოდ, თავის ნებაზე ათამაშებს გრაფემებს და გრაფიკულ ნიშნებს, კვეცავს წინადადებებს, მრავლად იყენებს არსებით სახელებს, პროზაულ ტექსტში ურთავს კონკრეტული პოეზიის ნიმუშებს. ტრადიციული არქიტექტონიკული ერთეულები და მეტაენობრივი სიმბოლოები უგულებელყოფილია, პუნქტუაციის ნიშნები აბზაცებს შიგნით გამოყენებულია ნორმების დაცვით, ხოლო აბზაცების ქვედა ზღვარი ღიაა, არ მთავრდება სასვენი ნიშნით. მხოლოდ ბოლო აბზაცი წარმოადგენს გამონაკლისს, რომელსაც შეკეცილი სტრიქონის სახე აქვს და კითხვის ნიშანი უზის. ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული და არქიტექტონიკული ფენების ძირითადი ერთეულებია თარიღებით გამოყოფილი მონაკვეთები. მთელი ბათიზმატური ველი ჰორიზონტალურად დასერილია ორ-ორი სტრიქონთშორისი ინტერვალით, ხოლო ვერტიკალურად კონკრეტული პოეზიის ნიმუშებითა და ლექსებით. დისკრეტაცია ხორციელდება აგრეთვე კურსივით გამოყოფილი მეტ-ნაკლები მოცულობის სიზმრებით.
მიუხედავად ბათიზმატური ველის თვალშისაცემი არასტანდარტულობისა და დისკრეტაციისა ფრანც ფიუმანის „ოცდაორის დღე ანუ ცხოვრების ნახევარი“ არის მთლიანი ტექსტი, რომელიც დელიმიტირებულია ზედა და ქვედა საზღვრებით. შედგება ძირითადი და ფინალური მიკროტექსტებისაგან. სათაური მთელ ტექსტს თემატურად და კომპოზიციურად ჰკრავს, ტექსტის ბმულობა ხორციელდება „მე“-ს იზოტოპიით, კოჰერენტულობის კომპონენტებია აგრეთვე დრო და ადგილი.

6. დამწერლობის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ენებში არსებობს გრაფემულ-გრაფიკულ საშუალებათა მხატვრული მიზნით გამოყენების წინაპირობები. ასეთ ენებზე შექმნილი მაღალმხატვრული პოეტური ნიმუშები, რომელთა ბათიზმატური ველი ვიზუალური აღქმისათვის არის გამიზნული, გვაძლევს უფლებას შევაფასოთ ისინი როგორც გრაფორიტორიკული, და გრაფოესთეტიკური ღირებულების მქონე ენობრივი წარმონაქმნები. ამასთანავე აქვე საჭიროა იმის გამოპირობება, რომ ეს ნიმუშები მხოლოდ

მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ვერბალურ ტექსტად და ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაციის საგნად, თუ ენა დომინანტობს გრაფიკულ სიმბოლიკაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიგურული წარმონაქმნი არ იქნება არც პოეზიის ნიმუში და არც ტექსტის ლინგვისტიკის საგანი, არამედ სხვა რამ, ვთქვათ სემიოტიკური ფიგურა და სემიოტიკის საგანი. კონკრეტული და აბსურდისტული მიმდინარეობების ბევრ წარმომადგენელს შექმინილი აქვს საინტერესო ფიგურული ლექსები.

ა) კონკრეტული პოეზია უარს ამბობს ენობრივი ერთეულების გრამატიკულ კავშირებზე და წმინდა ვიზუალური და აკუსტიკური საშუალებებით ცდილობს ნაზრევი გამოხატოს. ეს ენის სწავლების პრაქტიკულ მიზნებიდან ამოზრდილი ლიტერატურული მიმდინარეობა ესწრაფვის სასწავლო პროცესის გადახალისებას „სათამაშო სივრცის" მოშველიებით, რადაც შეიძლება გადაიქცეს პოეზია. ის უხვად იყენებს გრაფემულ-გრაფიკულ საშუალებებს, უარყოფს ტრადიციულ ფორმებსა და ჟანრებს, მოითხოვს ენობრივი ნიშნების კონსტელაციის გადაქცევას ძირითად პოეტურ ფორმად. თავდაპირველად მას პოეზიის კონკრეტულ საგნად მიაჩნდა მხოლოდ ენა თავისი მრავალფეროვნებით. მაგრამ შემდგომ მასში შეიჭრა ნაკადი, რომელმაც ახალი თემატიკა მოიტანა. კერძოდ, ისტორიულ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, აღმზრდელობითი და სხვა მოტივები, ისე რომ საგნობრიობის ცნების მოცულობა გაფართოვდა. ისეთი ლექსების გვერდით, რომელთა სათაურებია „არტიკლი", „ძლიერი და სუსტი ზმნები" და მისთ., ჩნდება „მომავლის პრობლემა", „მშვიდობა" და ა.შ. ამ ლექსების ბათიზმატურ ველში საზრისის გამოხატვა ხდება ენის ერთეულების დომინანტობით, თუმცა გრაფემულ-გრაფიკული ფენის დისკრეტაცია და ტოპოლოგიური ჩარჩოს არასტანდარტული მონახაზებიც თვალშისაცემია.

კონკრეტული პოეზიის ნიმუშების ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება აღინუსხოს გრაფემულ-გრაფიკული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ვიზუალური და ფიგურული ტექსტების შესაქმნელად. ეს არის: მთელი ტექსტის გაწყობა მხოლოდ მაიუსკულებით, მხოლოდ მინუსკულებით ან მათი მონაცვლეობით; მნიშვნელოვანი აზრობრივი კომპონენტის გამოხატვა მაიუსკულებით შესრულებული სიტყვებით; პუნქტუაციის ნიშნების უარყოფა ან მხოლოოდ ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნების დასმა; ტოპოლოგიური ჩარჩოს ერთ-ერთი ფლანგის დეფორმაცია; შეკვეცილი სტრიქონები; მორფოლოგიურ პარადიგმაზე აგებული სამტაეპიანი, ოთხტაეპიანი და ა.შ. სტროფები, სტროფების ზიგზაგური განლაგება (ბუსტროფედონი).

ფიგურული ტექსტების ნიმუშები გვხვდება უფრო ადრეც, ვიდრე კონკრეტული პოეზია ლიტერატურულ მიმდინარეობად ჩამოყალიბდებოდა. ასე მაგალითად, XVII საუკუნეს განეკუთვნება „ქვიშის საათი" (1686), „სკიპტრა" (1645), „ბერლინის დათვი" (1700). ამ ტექსტების ძირითადი ნიშანი არის ტოპოლოგიური ჩარჩოს დამთხვევა იმ კონკრეტულ დენოტატზე, ობიექტურად არსებულ საგანზე, რომელიც ლექსის თემას წარმოადგენს. ტექსტის ბათიზმატური ველი ჩასმულია ტოპოლოგიურ ჩარჩოში, რომელიც იმეორებს დენოტატის, ფიზიკურად არსებული საგნის კონტუ-

რების მონახაზს. კითხულობ ტექსტს და ვიზუალურად (და არა წარმოსახვის ძალით) აღიქვამ იმ საგანს (სულიერს თუ უსულოს), ვინც (რაც) წარმოადგენს ტექსტის თემას. ტოპოლოგიურ ჩარჩოში ჩასმული ტექსტი უზადოდ ჯდება დენოტატის კონტურებში, მორჩილად მიჰყვება ავტორის ინტენციის ჭირვეულობას. შესაშური მოქნილობით ავსებს და ეთანაზომება მონახაზს. რაც შეეხება ტექსტის სემანტიკურ ფენას, ის იშლება სათაურად გატანილი თემის მიხედვით. ტექსტის მთლიანობას უზრუნველყოფს არა მარტო კოჰერენციისა და კოჰეზიის საშუალებები, არამედ გრაფორიტორიკული ფიგურები, როგორიცაა ანჟამბემანი, გრახიკოლონი, აგრეთვე გრაფოსიტყვების ატომიზაცია, სტრიქონების კლება-მატება, გრაფიკული რითმები – უმრავლეს შემთხვევაში მოსაზღვრე.

ბ)აბსურდისტული პოეზიის ნიმუშები აგებულია თავშესაქცევ აბსურდებზე, ხატოვანი გამოთქმების ალოგიკურ კავშირებზე, პარადოქსული ცნებების, შეუთავსებადი წანამძღვრებისა და მსჯელობის შერწყმა-შეთავსებაზე. მისი ფორმალური გამოხატვის სახეებია სიტყვათთამაში, გრაფორიტორიკული ფიგურები და ხიაზმი. აბსურდისტული პოეზიის მრავალი ნიმუში გამოირჩევა ტოპოლოგიური ჩარჩოს ორიგინალური მონახაზებით.

აბსურდისტული პოეზიის ბევრი წარმომადგენელი ერთნაირი ოსტატობით ფლობს გრაფემულ-გრაფიკულ ტექნიკას და აბსურდულობის გამოხატვის მხატვრულ ხერხებსაც. მათი ლექსები ჩასმულია ტოპოლოგიურ ჩარჩოში, რომელსაც იმ საგნის წარმოსახვითი შემოწერილობა აქვს, რასაც ლექსი ეძღვნება. შდრ. ქრისტიან მორგენშტერნის „ძაბრები“ და „ესთეტიკური სინდიოფალა“, ამ ლექსებში კოჰეზიის საშუალებად გამოყენებულია რითმები, ორთოგრაფია და პუნქტუაცია ნორმის ფარგლებშია, რიტმული ერთეულები ემთხვევა სინტაქსურს.

7. უძველესი დამწერლობის მქონე ქართულ ენაში პოტენციურად ასებობს გრაფემულ-გრაფიკულ საშუალებათა გამოყენების ფართო შესაძლებლობები. მხოლოდ დავით გურამიშვილიდან თუ დავიწყებთ ათვლას და ქართული პოეზიის (ასევე პროზის) ისტორიულ გზას გამოვყვებით, იმდენ გრაფორიტორიკულ ნიმუშს აღმოვაჩენთ, რომ მათ ინტერპრეტაციას ალბათ რამდენიმე მონოგრაფია დასჭირდება. ხოლო რაც გურამიშვილამდე იყო ქართულ წერილობით ძეგლებში, გამოქვეყნებულებსა თუ ხელნაწერების სახით შემონახულში, მათი შესწავლა ამ ასპექტით კიდევ უფრო თვალნათლივ დაგვანახვებს ქართული ტექსტის გრაფოესთეტიკური იერის სიმშვენიერესა და თავისთავადობას.

ისტორიის ბედუკუღმართობით თავის ხალხსა და მშობლიურ ენას მოწყვეტილ დავით გურამიშვილს სანუგეშოდ ქართული წიგნი და ანბანიღა დარჩენოდა. როგორც მისი ლექსებიდან ჩანს, იგი განსწავლული კაცი იყო. მის ლექსებში არის გრაფორიტორიკული იერსახით გამორჩეული ნიმუშები, რომლებიც მკითხველს აოცებენ პოეტის ფანტაზიის სიმდიდრით და გრაფორიტორიკული ოსტატობით. ბევრი მოტივი, რომელიც დავით გურამიშვილის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს, ბიბლიიდან, როგორც ძველი, ისე ახალი ღთქმიდან, მოდის. „ანბანზე თქმული დავითისაგან“ ორი სტროფისაგან

შედგება. ორივე გაწყობილია ანბანზე, პირველი ა-დან ჭ-მდე, ხოლო მეორე – პირუკუ, ჭ-დან ა-მდე. ყოველი სიტყვა იწყება მაიუსკულით, რითაც ხდება სტროფებში ანბანის ცალკეული ასო-ნიშნების პუანტირება და მთელი ანბანის წარმოდგენა ჰორიზონტალურად ტაეპების მიყოლებით. მეორე ლექსი „ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა“ პირველ რიგში საინტერესოა იმით, რომ ტექსტი ორგანზომილებიანია და შედგება ვერტიკალური და ჰორიზონტალური პლასტებისაგან. ვერტიკალურს ქმნის საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომელიც გამჭოლ არის პუანტირებული, ხოლო ჰორიზონტალურს – ავტორის პირადი ვედრება. პირველი ავტოსემანტიკური ნაწილია და მთლიან ტექსტში ჩასმულ დამოუკიდებელ, თავისთავად ტექსტს წარმოადგენს. მეორე სინსემანტიკურია და მხოლოდ ავტოსემანტიკურ ნაწილთან ერთად აღიქმება კოჰერენტულ და კოჰეზიურ მთელად. გრაფემულ-გრაფიკული სამუალებებით ლექსების პუანტირების ტრადიცია გრძელდება ქართულ პოეზიაში განვითარების შემდგომ საფეხურზე და არც XX საუკუნეა ამ მხრივ გამონაკლისი, როგორც ტრადიციული ორიენტაციის ისე პოეზიაში შემოჭრილი ახალი მიმდინარეობების წარმომადგენლები მეტ-ნაკლები ზომით იყენებენ გრაფემულ-გრაფიკული პუანტირების ხერხს. ტექსტის ბათიზმატური ველი იღებს ლექსის საზრისის ვიზუალურად წარმოსახულ ფორმას. გრაფიკული კონტურებით თემის გამოხატვა ხდება ბათიზმატური ველის დესტრუქციით („დაკეპვით“) და ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაციით. ეს შეიძლება შეეხოს ტექსტის ნაწილს ან მთლიან ტექსტს უკანასკნელ შემთხვევაში ტექსტი იღებს ფიგურული წარმონაქმნის სახეს (შდრ. მ.ქვლივიძის, ალ. აბაშელის, გრ.ცეცხლაძის, ვ.ჯავახაძის, ტ. ჭანტურიას ლექსები).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გალაკტიონის კატრენი ე.წ. პალინდრომი „აი, რა მშხის სიზმარია“. ტექსტი აგებულია გრაფემების ფილიგრანული განლაგებით, ყოველი სტროფი ავტოსემანტიკურია, ტექსტი იკითხება რამდენიმე განზომილებაში, წერის მიმართულება ხორციელდება მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ და ზიგზაგურად (ბუსტროფედონი).

16.0. ტექსტის სხვა შესაძლო ინტერპრეტაციები

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანს შეადგენს, ერთი მხრივ, უკვე არსებული, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ მიერ შემუშავებული თეორიული წანამძღვრებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე დავასაბუთოთ ტექსტის ლინგვისტიკის იმ ნაირსახეობის არსებობის უფლება, რომელიც ტექსტს განიხილავს როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობით გაცხადებას. ისმება კითხვა: არის თუ არა ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაცია განმარტებისა და გაგება-გაგებინების უმაღლესი ინსტანცია? შეიძლება თუ არა დაიშვას შემდგომი, იერარქიულად უფრო მაღალი დონის საფეხური ტექსტის ინტერპრეტაციისა? და საერთოდ არის კი საკითხის ასე დასმა მართებული?

ჰაიმან შტაინთალმა გამოყო ინტერპრეტაციის ექვსი საფეხური: გრამატიკული, საგნობრივი სტილისტიკური, ინდივიდუალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური (STEINTHAL 1972). ცხადია, ამ რიგში ადგილი არა აქვს მიჩნეული ტექსტოლინგვისტიკურ ინტერპრეტაციას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შტაინთალის დროს არ არსებობდა ტექსტის ლინგვისტიკა. დღეს შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ტექსტოლინგვისტიკური ინტერპრეტაცია წარმოადგენს ერთ-ერთი მაღალი დონის ანალიზს და ტექსტის ლინგვისტიკას ენათმეცნიერული დისციპლინების იერარქიულ მოდელში ასევე მაღალი ადგილი აქვს მიჩნეული.

ვნახოთ ტექსტის ინტერპრეტაციის სხვა შესაძლოა ვარიანტები და შემდეგ ვუპასუხოთ დასმულ შეკითხვებს.

16.1. ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია

ინტერპრეტაციის ამ ნაირსახეობაში დომინანტად მიჩნეულია ყოფიერების საზრისი, მაგრამ იგი ენის ფაქტორს უკავშირდება, ის კი არა, შეიძლება ითქვას, რომ ენიდან გამოსვლით ფუძნდება. ხოლო ინტერპრეტაციის პროცესში ენის ყველა დონის, ენის ისტორიის, პოეტის მთელი შემოქმედების ანალიზი იმას მოწმობს, რომ ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია გამოირჩევა პოეტური ნაწარმოების წვდომის სიღრმითა და სიფართოვით.

წინამდებარე მონოგრაფიის მეოთხე თავში გრამატიკულად პუანტირებული ტექსტების ინტერპრეტაციის დროს, ყურადღება შევაჩერეთ გეორგ თრაკლის ლექსებში უჩვეულო დერივაციულ მოდელზე, რომელიც წარმოადგენს Adj+ling უზუალური მოდელის -in კომპლემენტარული სუფიქსით გავრცობილ ვარიანტს (იხ. თავი 4.10.4). გრაფოსიტყვები, რომლებიც ამ გზით არიან ნაწარმოები, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ სიტყვაწარმოებითი პუანტირების თვალსაზრისით. ამასთანავე ვცადეთ ამ დერივატის მოტივაცია პოეტის შემოქმედებაში და ფსიქოლოგიურ განწყობაში გვეძებნა. მაგრამ გრამატიკული ინტერპრეტაცია, თუნდაც ეს ხდებოდეს ბათიზმატური ველის სხვა ფენების ანალიზის მოშველიებით, მაინც უფრო მდიდრდება ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციით მით უფრო თუ ეს მარტინ ჰაიდეგერს ეკუთვნის.

როგორ აფასებს მარტინ ჰაიდეგერი თრაკლის პოეზიას, ეს ჩანს იმ გამოკვლევიდან, რომელსაც იგი პოეტის შემოქმედებას უძღვნის. ჰაიდეგერის ინტერპრეტაცია მკითხველს აოცებს არა მარტო პოეტური ტექსტების ფილოსოფიური განაზრებით, არამედ იმ ასპექტებითაც, რომლებსაც იგი ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის ფარგლებში აქცევს. მისი ანალიზი მართლაც რომ გაგებისა და გაგებინების გვირგვინია. მხატვრული ტექსტი მოქცეულია მრავალგანზომილებიანი დაკვირვების ფოკუსში. მისი აზრით, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ლექსის ადგილის განსაზღვრა. „Jetzt gilt es, denjenigen Ort zu erörtern, der das dichtende Sagen Georg Trakls zu seinem Gedicht versammelt, den Ort seines Gedichtes" (HEIDEGGER, 1986:37). მაგრამ ლექსის ადგილის განსაზღვრისათვის არ კმარა ერთი და ორი ტაეპის ან სტროფის განხილვა. „erörtern" ნიშნავს „ადგილის მიჩენას", ხოლო ადგილის მიჩენისათვის აუცილებელია მთელი შემოქმედების განხილვა იმ ადგილის მოძებნის მიზნით, სადაც კონცენტრირებულია პოეტის მთელი შემოქმედება, საითკენაც მიემართება ან საიდანაც მოდის ყველა ლექსის გზა. „Ort" სიტყვის საწყისისეული მნიშვნელობა, წერს ჰაიდეგერი, არის „შუბის წვერი", რომლისკენაც მოედინება და რომელშიც თავს იყრის ყველაფერი. ხოლო ყოველივეს შემკრები ადგილი მსჭვალავს და ანათებს ყოველივე შეკრებილს და თავის არსებაში ხსნის. თუ როგორია ეს ადგილი და რა უნდა ეწოდოს მას, ეს პოეტისავე ენაზე უნდა გამოითქვას. გეორგ თრაკლის ყველა ლექსის მიერ თქმული თავს იყრის მოხეტიალე უცნობში. ის არსებობს და მას ჰქვია "der Abgeschiedene" („განმარტოებული", „მარტოსული", „განსვენებული"). მთელი მისი პოეტური ნათქვამი აწყობილია ამ ერთ კილოზე. და რადგანაც პოეტის ყველა ლექსი თავს იყრის ამ კილოზე შეთხზულ სიმღერაში, მისი ლექსების ადგილია "die Abgeschiedenheit" (იქვე, 53), რომლის კომპონენტებია: განსვენება, განსვენებული, განცალკევება, განმარტოება, მყუდრო ადგილი და მისთ.

თრაკლის პოეზიაში ჰაიდეგერი ორკომპონენტიან ორ ოპოზიციას გამოყოფს, რომელიც მთელ მის პოეტურ სამყაროს მსჭვალავს, სახელდობრ, Erde – Vergängliches (მიწა - წარმავალი) და Seele – Unvergängliches (სული - წარუვალი). თუ სული გრძნობადია, ის განწირულია, დაწყევლილია, უცხოა. მან უნდა დაამთავროს ხეტიალი მიწაზე და დაიღუპოს. „განწირული", „დაწყევლილი" იგივეა, რაც „geschlagen" ("კრული") სიტყვიდან "Schlag" („დარტყმა, „დაკვრა", ამავე სიტყვიდან მომდინარეობს აგრეთვე "Geschlecht" „მოდგმა"). ბეული მოდგმა დაწყევლილია, კრულია იმით, რომ გაორებულია და ორი რამ ებრძვის მასში ერთმანეთს. თუმცა გაორება კი არ არის კრულვა, არამედ ორთამტრობა (Zwietracht), რომელიც ატრიალებს გამხეცებულ მოდგმას, ორად ჰყოფს მას და განცალკევებისაკენ მიერეკაბა. ასე დაწყევლილი, ორად გაყოფილი და დაცემული მოდგმა ვერ პოულობს თავის ნამდვილ ბედს და მიჰყვება უცნობს დაღუპვისაკენ (Untergang) (იქვე, 49-51).

თრაკლის ლექსების ადგილის (Ort) დადგენის შემდეგ ჰაიდეგერი ეძებს მხარეს (Ortschaft), სადაც ეს ადგილი მდებარეობს.

"Die Ortschaft des Ortes, der Trakls Gedicht in sich versammelt, ist das verborgene Wesen der Abgeschiedenheit und heißt "**Abendland**". (ხაზი ჩვენია - ვ.ფ.). Dieses Abendland ist älter, nämlich früher und darum versprechender als das platonisch-christliche und gar als das europäisch vorgestellte. Denn die Abgeschiedenheit ist "Anbeginn" eines steigenden Weltjahrs, nicht Abgrund des Verfalls" (HEIDEGGER, 1986:77).

განსვენებაში დაფარული ჩამავალი მზის ქვეყანა არ იღუპება, ის ელოდება თავის მობინადრეებს როგორც ქვეყანა ჩასვენებისა სულიერ მწუხრში (ჰაიდეგერი არაერთხელ შენიშნავს, რომ თრაკლის პოეტურ სამყაროში სიტყვები მრავალმნიშვნელობიანია. Untergang შეიძლება ნიშნავდეს „დაღუპვას", „მწუხრს", „მზის ჩასვლას", „ჩასვენებას", „დაისს", „დასავლეთს", „დასალიერს"). მწუხრის ქვეყანა არის გადასვლა მასში დაფარულ გარიჟრაში, რომელიც დასაწყისია შემდგომი დღისა. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ თრაკლი არის „დაღუპვის პოეტი", როგორც ამას ხშირად ამბობენ, არამედ არის პოეტი ჯერ კიდევ დაფარული მწუხრის ქვეყნისა (იქვე, 81).

რაც შეეხება ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ანალიზის ფარგლებში მოქცეული ინტერპრეტაციის სხვა კომპონენტებს, მკითხველს აოცებს დიდი ფილოსოფოსის კომპეტენტურობა, სიღრმე და მრავალმხრივობა. ავიღოთ თუნდაც გრამატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ფილოსოფიური საზრისების დადგენა და ინფერენცის გამოყვანა. ჰაიდეგერი ენას იყენებს იმისთვის, რათა აჩვენოს, როგორ ხდომობს ყოფიერება; ენა ხომ ყოფიერების სახლია. ჰაიდეგერი განუწყვეტლივ მოძრაობს პოეტურ სიტყვასა და ფილოსოფიურ საზრის, საზრისა და პოეტურ სიტყვას შორის. ენობრივი მონაცემების ანალიზისას მისი ყურადღება ჩერდება თხრობითი და კავშირებითი კილოს განსხვავებულ ნიუანსებზე, გარდაუვალი ზმნების გარდამავალი მნიშვნელობით ხმარებაზე და ა.შ. უყურადღებოდ არ რჩება არც კურსივით გამოყოფილი (gesperrt) განუსაზღვრელი არტიკლი არსებითი სახელის წინ, არც ორი წერტილი. თავისი მსჯელობის ძირითადი ნანამძღვრის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც თრაკლის პოეზიის გასაღებია, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს ჰერმენევტიკულ სპირალს, პოულობს და განმარტავს ძირითად ცნებებს, სახელს არქმევს მათ. იგი სწვდება თრაკლის მთელი პოეტური სამყაროს სიღრმეს, მონიშნავს ლექსიკურ ერთეულებს, შესიტყვებებს, წინადადებებს, გრამატიკულ კატეგორიებს, ეტიმონებს, რომლებშიც ცხადდება პოეტის მსოფლგაგება. ასე ადგენს იგი ადგილს (Abgeschiedenheit) და მხარეს (Abendland), სადაც თავს იყრის პოეტის ყველა ლექსი.

ახლა მივუბრუნდეთ სიტყვებს Fremdling და Jüngling, რომლებიც არის არა უბრალო ლექსიკური ერთეულები, არამედ პოეტის მსოფლგაგებისა და შემოქმედების ორიენტირი, ჰაიდეგერის ენით რომ ვთქვათ, ეს არის "dichtende Namen" („მთხზველი სახელები", სიტყვები, თვითონ რომ კარნახობენ პოეტს ლექსის თხზვას). ეს სიმბოლოები პოეტის ენაში გვხვდება აგრეთვე "Fremdling" და "Jüngling" დერივატების სახით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ამბივალენტური

სიტყვები გამოხატავს ორთა ჭიდილს, რომელიც იწყება ზოგადად ადამიანური მოდგმიდან, გაივლის მის შემადგენელ ჯგუფებს, ცალკეულ წევრებს მათი სქესის გარჩევით, რომელთაც უხმობს უცხო/უცნობი დალუპვისაკენ (HEIDEGGER, 1986:50). მოკვდავნი მისდევენ მას, ხდებიან თავადაც უცნობნი და ეულნი, მათი სულები ამთავრებენ მიწაზე ხეტიალს და გადადიან უსასრულობის სამყაროში, რომელსაც ჰქვია "Abendland" („ჩამავალი მზის მხარე").

Fremdling და Jüngling დერივატების ადგილი ჩვენ ვერ ვნახეთ ჰაიდეგერის ინტერპრეტაციაში. ვფიქრობთ, ამ ამბივალენტური ოკაზიონალური ენობრივი ნიშნების არსებობა თრაკლის პოეტურ ენაში შეიძლება აიხსნას სწორედ ჰაიდეგერის მიერ გამოკვეთილი ფართო და ღრმა ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამ სიტყვებით გამოიხატება ორთა ჭიდილი მათ ერთიანობაში, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ადამიანური მოდგმისათვის და, კერძოდ, მამრობითი და მდედრობითი სქესის მოკვდავთათვის. სამყაროს მთლიანობაში ისინიც მთლიანი ხდებიან და ერთნაირად გაუცხოებულნი მიიწევენ დაღუპვისაკენ. ანალოგიურადვე შეიძლება აიხსნას Mönchin დერივატის არსებობა თრაკლის პოეტურ ენაში. შდრ. Mönchin ⇐ Mönch, მაშინ როცა არსებობს Nonne, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე გერმანულში შეინიშნება მსგავსი დერივაციული მოდელის მიხედვით არსებითი სახელების წარმოება, განსაკუთრებით რეკლამის ენაში. შდრ. ნიმუში ...eine/n Diplom-Physiker/in (იხ. თავი V, 15.1.2.). ეს მოვლენა დასაშვებია რეკლამის ენისათვის, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოთქმის ეკონომიურობას და უჩვეულობას. ენობრივი ნორმის თვალსაზრისით კი ასეთი დერივატები კვალიფიცირდება როგორც ოკაზიონალიზმები და მათ არ გააჩნიათ უზუალური ენობრივი ნიშნის სტატუსი, არ არიან ლექსიკალიზებული.

დაბოლოს, გვინდა დავძინოთ, რომ მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის არეალში მოქცეულია აგრეთვე შტეფან გეორგეს, ფრიდრიხ ჰოლდერლინის, ფრიდრიხ ნიცშეს ლექსები. ერთი მხრივ, იგი განიხილავს პოეტის შემოქმედებას მთლიანობაში მისი მსოფლგაგებიდან გამოსვლით როგორც ერთ ლექსს. ყველა დიდი პოეტი პოეტობს (dichtet) ერთადერთი ლექსიდანო, წერს იგი, ხოლო, მეორე მხრივ, გამოდის ცალკეული ლექსიდან, რომელიც ზედაპირზე კვალიფიცირდება როგორც „თქმული ლექსი" (gesprochene Gedichte), სიღრმულად კი როგორც „არგამოთქმული ლექსი" (ungesprochene Gedichte). ლექსის წაკითხვა და გაგება არის დიალოგი ფიქრისა და პოეტობისა. სხვათა შორის, მარტინ ჰაიდეგერი პოეტს მოაზროვნეზე მაღლა აყენებს, რადგანაც პოეტი ქმნის ლექსს, „წმინდა თქმულს", რომელშიც ენა ჰპოვებს სრულყოფას (იქვე, 16).

16.2. ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაცია

ამ სახის ინტერპრეტაცია მიზანდასახულობის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზოგჯერ ინტერპრეტატორი იფარგლება შედარებით უფრო ვიწრო ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერესებით, პოეტის შემოქმედებაში ეძიებს

მის ნიშანდობლივ საზრისს და ფილოსოფიურ ფონსაც მოხაზავს, ხოლო ენობრივ ასპექტს ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ან საერთოდ არ უთმობს. ასეთი ინტერპრეტაციის ნიმუშია ნარა გელაშვილის პუბლიკაცია „გამოცხადება და აღსასრული“ ანუ გეორგ თრაკლის სამყარო“ (გელაშვილი, 1997).

ნ. გელაშვილი თრაკლის შემოქმედებაში ეძებს ბირითად კონტურებს, რომლებიც მონიშნავენ „ძველისძველ ბილიკებს ყოფიერების საიდუმლოსაკენ“ იმ მიზნით, რომ ამის საფუძველზე შეაფასოს მისი პოეზია. მივყვეთ მის მსჯელობას.

თრაკლის პოეზიაში ყოფიერების საიდუმლოება თამაშდება სივრცეზე, რომლის ლანდშაფტის ორიენტირებია: დაბურული ტყე, ტბა, საფლავი, ცეცხლი, ცა ... საიდუმოების სიღრმეში რაღაც ხდება. მისი გაგონებისათვის საჭიროა სიჩუმე და სიღრმის მიყურადება. დაძაბული სმენა ხშირად ხილვას ემთხვევა. თრაკლის პოეზია მთლიანად ხილვადია და სიღრმიდან მოედინება. ეს არის **მომაჯადოებელი ლანდშაფტური პოეზია, რომელშიც სული ბუნების ენაზეა თარგმნილი** (ხაზი ჩვენია - ვ.ფ.). სულის სხვადასხვა მოძრაობასა და მდგომარეობაში წარმოიდგინება ტბა და ზღვა, ცა და ვარსკვლავები, თოვლი და წყარო, ბაღი და სარკე, ზემიწიერი შუქით რომ არიან განათებული. სიჩუმის სიღრმეში გამანადგურებელი პროცესი მიმდინარეობს და ბედისწერის გზაჯვარედინი იქმნება. სულმა ან სრული ჰარმონია უნდა მოიპოვოს და იცოცხლოს, ან მისი სიცოცხლე მსხვრევით დამთავრდეს.

გეორგ თრაკლის პოეტური ხილვა, განაგრძობს ნ.გელაშვილი, ვარსკვლავსა და ჯოჯოხეთს შორის წარმოიდგინება. პოეტი ამ ორ პოლუსს შორის ეხეთქება აქეთ-იქით და ბოლოს ჯოჯხეთის სიმძიმის ქვეშ მოქცეული, ბედისწერას ემორჩილება. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ბედისწერა, ეს ახალი საუკუნის ბუნებაც არის, რომლის მომავალ სიბნელეს პოეტის ზემგრძნობიარე თვალი უკვე ამჩნევს. პოეტის ხილვის არეალში თვალისმომჭრელად გაიელვებს ხოლმე ასტრალური სინათლე, მაგრამ მაშინვე შთაინთქმება ქვესკნელში. მის პოეზიაში ძალუმად გაისმის ადამიანის გოდება საუკუნის უწმინდურობის გამო, რომლის სარკედაც იგი თავის თავს აღიქვამს და შმაგი თვითშეჩვენებით გამოხატავს თავისი სულის უღმერთობის უსაშველობას. სიწმინდეს მოწყვეტილი ადამიანის გოდებამ განაპირობა თრაკლის პოეზიის გავლენა იმ საზოგადოებაზე, რომელმაც მსოფლიო ომებში შეძრწუნებით შეიცნო უწმინდურობისა და დანაშაულის უხილავი ფესვები.

თრაკლის პოეზიაში არეკლილია ავტობიოგრაფიული პერიპეტიები და დეტალები, მისი სულის განვითარებისა და პოეტად ჩამოყალიბების ფაქტორები კარგად არის დანახული ნ.გელაშვილის მიერ, რომელთაგან რამდენიმეს დასახელებაც კმარა: ექსპრესიონისტებთან სიახლოვე, ტრაგიკული სიყვარული თავისი დის მიმართ, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება, ომში წასვლა და მთელი საშინელების საკუთარ თავზე გადატანა. თრაკლის პოეზიის არსებით ნიშნად ინტერპრეტატორი მიიჩნევს სიუჟეტის განვითარებას არქეტიპულ ოჯახში, სადაც მთავარი გმირია „მე“ (თავისი ნარისახეობებით, როგორიცაა „ძმა“, „შეშლილი“, „მოხეტიალე“, „მონადირე“, „მდუმარე“ და სხვა); აგრეთვე,

მისი დანაშაულის მსხვერპლი და მსხნელი „და“ („დედაც“); სიბნელეში წასული თეთრი ბერიკაცი „მამა“.

ნ. გელაშვილის პუბლიკაციაში ჩვენ გამოვყავით და გადმოვეცით ჩვენთვის საინტერესო მომენტები. პარაფრაზირებულ ადგილებს გარდა მასში არის განხილული სხვა არანაკლებ საინტერესო პრობლემები, როგორიცაა პოეტის დამოკიდებულება ღმერთისადმი, მისი შეხების წერტილები ჰოლდერლინთან, ნიცშესთან, კაფკასთან და ზოგიერთ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და მთარგმნელი ნაირა გელაშვილი თრაკლის პოეზიის მკლევარი და დამფასებელია. მან თარგმნა მისი ლექსები ქართულად, მათ შორის "Ein Winterabend". ამ ლექსმა მისი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ სწორედ მასში ბრწყინავს თოვლივით სპეტაკი წუთი, როდესაც ბნელ გზებზე ნახეტიალები და დაღლილი მგზავრი შეაბიჯებს სინათლის სახლში და სულს მოითქვამს.

რადგანაც თარგმანიც ინტერპრეტაციის ერთ-ერთი სახეობაა, მკითხველს ვთავაზობთ გეორგ თრაკლის ამ ლექსს და მის ქართულ თარგმანს, რომელშიც, ჩვენი აზრით, ნაირა გელაშვილმა ადეკვატურად გადმოსცა ავტორის პოეტური ხილვისა და განწყობის ნიუანსები.

Ein Winterabend	ზამთრის საღამო
Wenn der Schnee ans Fenster fällt, Lang die Abendglocke läutet, Vielen ist der Tisch bereitet Und das Haus ist wolhbestellt.	როს ეფინება თოვლი ფანჯარას და გაბმით რეკავს მიმწუხრის ზარი, გაშლილი ტაბლა მოელის მრავალს და განხმულია იქ სახლის კარი.
Mancher auf der Wanderschaft Kommt ans Tor auf dunklen Pfaden. Golden blüht der Baum der Gnaden Aus der Erde kühlem Saft.	ვიღაც შორეულ გზაზე დაღლილი ჰიშკრისკენ შავფერ ბილიკს მიჰყვება, ხე წყალობისა მზისფრად გაშლილა მიწის წვენით და ტბილი სხივებით.
Wanderer tritt still herein; Schmerz versteinerte die Schwelle. Da erglänzt in seiner Helle Auf dem Tische Brot und Wein. (TRAKL, 1977:58)	მგზავრი ეხება გადახსნილ რაზას, ზღურბლს გააქვავებს ტკივილი მრუმე და გაბრწყინდება სპეტაკ ტაბლაზე წმინდა ნათელში ღვინო და პური. (გელაშვილი, 1997)[18]

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ გეორგ თრაკლის ამავე ლექსმა მარტინ ჰაიდეგერის ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1950 წელს, როდესაც მან მოხსენება გააკეთა მაქს კომერელის (1902-1944 - შტეფან გეორგეს მოწაფე, პოეტი, ესეისტი, ლიტერატურათმცოდნე) ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. აღარ

[18] სტროფებს შორის ინტერვალი არ არის დაცული, სავარაუდოა, საგაზეთო სტატიის მოცულობის შეზღუდვის გამო - ვ.ფ.

შევუდგებით ჰაიდეგერის ამ ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის პარაფრაზირებას, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია თავად გაეცნოს მას, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მოხსენება, რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა სათაურით "Die Sprache" (იქვე, 9-33), ისეთივე ღრმა ფილოსოფიური განაზრებით, ინტერპრეტაციის მრავალპლანიანობით და ენობრივი სტილის სიანკარით გამოირჩევა, როგორც მისი სხვა ნაწერები. მთელ ინტერპრეტაციას დაჰყვება ენის აჩრდილი როგორც ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. "In jedem Fall gehört die Sprahe in die Nachbarschaft des Menschenwesens. Überall begegnet Sprache", წერს იგი (HEIDEGGER, 1986:11). ხოლო ის მეტაენა, რომელსაც ჰაიდეგერი იყენებს თავისი განსჯების გადმოსაცემად, იმდენად ნათელი, გამჭვირვალე და ლოგიკურია, რომ მისი ნაწერის წაკითხვის შემდეგ მკითხველი გაოგნებული რჩება, რა კარგად გაუგო ამ დიდ ფილოსოფოსს და ჰერმენევტიკოსს, რამდენი რამ დაინახა მისი თვალით, რამდენი რამ ისწავლა მისგან.

გეორგ თრაკლის პოეტური სამყაროს ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეფასება (ფილოსოფიური და ლიტერატურათმცოდნეობითი) მოწმობს ტექსტის ინტერპრეტაციის მრავალსახეობას და უშრეტელობას, პირობითობასა და მიახლოებულობას. შესაძლოა, სწორედ ამითაც არის საინტერესო პოეტური ტექსტი, რომ იგი მკითხველის წარმოსახვაში ერთმანეთისაგან განსხვავებულ ასოციაციებს, გრძნობებსა თუ ფიქრებს აღძრავს და ყოველ მათგანს ეხმიანება პოეტის სული.

16.3. ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ფენის და ტოპოლოგიური ჩარჩოს უკიდურესი სიმბოლიზაცია

ვიზუალური და კონკრეტული პოეზიის ბევრი ნიმუში აგებულია ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ფენისა და ტოპოლოგიური ჩარჩოს უკიდურეს სიმბოლიზაციაზე. მკითხველს ვთავაზობთ ასეთი ტექსტების ანალიზს და მასვე ვანდობთ მათ შეფასებას.

ქვემოთ მოყვანილი ტექსტები მიჩნეულია კონკრეტული პოეზიის ნიმუშად, რომელსაც საფუძვლად უდევს ორი გრაფოესთეტიკური ხერხი სუბსტრაქცია (Substraktion, Abziehen, გამოკლება) და პერმუტაცია (Permutation, Vertauschung oder Umordnung von Elementen, ელემენტების გაცვლა ან გადაადგილება)

ტექსტი პირველი

ბიბია ტომის ქოხი[19] - ორიგინალის ავტორი ჰარიეტ ბიჩერ სტოუ (Hariet Beecher Stowes), ვიზუალური ტექსტის ავტორი ერნსტ იანდლი (E. Jandl), ინტერპრეტატორი ჰაინრიხ ფ. პლეტი (Heinrich F. Plett).

[19] ეს ნაწარმოები ქართველი მკითხველისათვის ცნობილია როგორც „ბიბია თომას ქოხი", მაგრამ ჩვენ დავტოვეთ „ტომი", რადგანაც ინტერპრეტაციაში სწორედ t გრაფემაა პუანტირებული.

onkel toms hütte

```
 1 onkel toms hütte
 2  nkel toms hütt
 3   kel toms hüt
 4    el toms hü
 5     l toms h
 6       toms
 7         sssssssss
 8       aaaaaaaaaaaaaaaaaaaa
 9           t
10           o
11           t
12           o
13            m
14           t
```

(ციფრები დასმულია პლეტის მიერ - ვ.ფ.)

ტექსტი შედგება სამი სტროფისაგან. პირველია ტაეპები 1-6, მეორეა ტაეპები - 7-8, მესამეა ტაეპები 9-14. პირველი და მესამე სტროფი თანაბარია, შეიცავს ექვს-ექვს ტაეპს, ხოლო შუა სტროფი მათზე უფრო პატარაა და მხოლოდ ორი ტაეპისაგან შედგება. ტრიადის პირველი სტროფის შუა ვერტიკალურ ბლოკში გრაფომორფემა toms ყველა ტაეპში იდენტური რჩება, ფლანგებზე კი გრაფომორფემები onkel და hütte თითო-თითო გრაფემით მცირდება და ბოლოს მთლიანად ქრება.

სემანტიკური თვალსაზრისით გრაფემული რედუქცია გაიაზრება როგორც ტომის მიერ ბიძიას როლისა და კერიის თანდათანობით დაკარგვა. მას შემდეგ, რაც სემიოტიკის დონეზე ორივე ნულოვან ნიშნამდე დაიცემა, მესამე სტროფში გრაფომორფემა <tom> და, შესაბამისად, სემიოტიკური ნიშნით აღნიშნული პირიც, იმლება. მესამე სტროფის კონპონენტები ისეა დალაგებული, რომ მათი ზიგზაგურად წაკითხვა (ბუსტროფედონი) იძლევა გრაფემების კომბინაციას <tot> და <tom>, ე.ი. ეგრეთ წოდებული „შრიფტების თამაშს", მეორე მხრივ, ეს რედუქცია შეიძლება ისეც იქნეს გაგებული, რომ საკუთარი სახელის მრავალზის ხაზგასმა და ბოლოს მისი დაქუცმაცება (<to>, <tom>, <t>) პერსონალური იდენტობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის დენოტირებაა.

უფრო ძნელია მაღალი სიხშირით გამეორებული <s> <a> გრაფემების ინტერპრეტაცია, რომელთა მწკრივები ტქსტის შუა ნაწილს შეადგენს. ალბათ, ისინი აღნიშნავენ გარედან შიგნით მიმართულ დესტრუქციას. განმეორებადი <s> შესაძლოა <toms> გრაფომორფემიდან მისი მოწყვეტით ვიზუალურად ათვალსაჩინოებდეს მფლობელის როლზე საბოლოოდ უარის თქმის სემანტიკურ კომპონენტს. ამ გრაფემის ფუნქცია შეიძლება იმითაც განისაზღვრებოდეს, რომ იგი 14 სტრიქონიანი ლექსის შუაში მეშვიდე ტაეპს ქმნის, ხოლო 7 ხალხური ცრურწმენით უბედურების მომტანი რიცხვია.

მეორე ტაეპში გრაფემა <a> 22-ჯერ მეორდება. მისი მნიშვნელობა ისევე ბუნდოვანია როგორც მეშვიდე ტაეპის <s> გრაფემისა. შესაძლოა ეს არის შორისეული a, რომელიც მომაკვდავი ტომის კვნესით ამოძახილს აღნიშნავს. ორივე ტაეპი (მეშვიდე და მერვე) მათი მაღალი სიხშირის წყალობით ქმნიან ჰორიზონტალურ ღერძს ორ ვერტიკალურ ბლოკს შორის. საფეხურებრივად მიმდინარე გრაფემული დეკომპოზიციის შესაძლო სემანტიკურ კორელატს ვერტიკალურ ღერძზე წარმოადგენს ადამიანის დეზინტეგრაციის პროცესი, კერ-

ბოდ, ტომის მიერ დაკარგვა ბიბის როლისა, საკუთრებისა, პიროვნებისა. თუ კი ეს ინტერპრეტაცია თავის მიზანს მიაღწევს, ე.იანდლის ლექსი ჩაითვლება ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანის გრაფოსემანტიკურ მოკლე ვერსიად (Kurzfassung) (PLETT, 1979:292-294).

ასეთია ჰაინრიხ ფ.პლეტის ინტერპრეტაცია, რომელიც ჩვენ ქართულად გადმოვეცით.

ჩვენი მხრივ ამ ინტერპრეტაციას შევავსებდით შემდეგი შენიშვნებით: საჭიროა ტექსტის კვალიფიცირება როგორც მეორადი წარმონაქმნისა; მხედველობაშია მისაღები ტოპოლოგიური ჩარჩოს დესტრუქცია და გრაფემულ-გრაფიკული ფენის სიმბოლური დისკრეტაცია; სემიოტიკური აბსტრაქცია იწვევს უკიდურეს პირობითობას; მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ორი პარალელური ჰერმენევტიკული სპირალის აგების თავისებურება და, შესაბამისად, ორიგინალისა და მისი გრაფოესთეტიკური ფიგურის თანაშეწონილობა; პირველადი და მეორადი ტექსტების ერთმანეთზე დადება იწვევს დივინაციურ და ინფერეციულ დაბრკოლებებს.

ტექსტი მეორე

დუმილი

ავტორი გ.რიუმი (G.Rühm) ინტერპრეტატორი ჰაინრიხ ფ.პლეტი

Schweigen

I	II	
1	schweigen 1	
2 sch		wiegen 2
3 schw		eigen 3
4 sch		wiegen 4
5	schweigen 5	
6 sch		wiegen 6
7 schw		eigen 7
8 sch		wiegen 8
9	schweigen 9	

ლექსი შედგება ორი გრაფემული ბლოკისგან. პირველში შევსებულია 2, 3, 4 და 6, 7, 8 სტრიქონები, ხოლო 1, 5, 9 შეუვსებელია. მეორე ბლოკი მთლიანია. ორივე ბლოკი შედგენილია შესაბამისად, 6 და 9 გრაფემულად კომბინირებული სტრიქონისაგან, რომელთა შეკრება ჰორიზონტალურად იძლევა ხუთ ინფიტივს და ოთხ პრეტერიტუმს. მეორე ბლოკში გრაფემების გამოკლებით იქმნება ორი ახალი გრაფომორფემა: wiegen მეორდება ოთხჯერ, eigen – ორჯერ. მეორე ბლოკის გრაფომორფემებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ე.ი.[20] გრაფოსიტყვებია, რაც არ ითქმის პირველი ბლოკის გრაფემებზე. Sch ტრიგრაფი და schw ტეტრაგრაფი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მოწოდება გაჩუმებისაკენ. ეს ტექსტი წარმოადგნეს დუმილის გამოხატვის მცდელობას ასოების გრაფოესთეტიკური კომბინაციის მეშვეობით.

---

[20] ისევე როგორც პირველ ტექსტში, აქაც ციფრები დასმულია პლეტის მიერ მეტი თვალსაჩინოებისათვის - ვ.ფ.

აქ სემანტიკური იმპლიკაცია მხოლოდ უფრო ბუნდოვანი და დახლოებითი შეიძლება იყოს, ვიდრე „ბიძია ტომის ქოხშიო", დასძენს ჰაინრიხ ფ. პლეტი (PLETT, 1979:294-295).

ჩვენი მხრივ დავუმატებდით: „ბიძია ტომის ქოხისგან" განსხვავებით „დუმილი" პირველადი ტექსტია; უსიუჟეტობის გამო სემანტიკურად და კომპოზიციურად ღარიბია და მარტივი; გრაფემული ფენის დისკრეტაცია ხდება ორ ერთმანეთისაგან დაშორებულ ვერტიკალურ ბლოკად; გამოყენებულია გრაფორიტორიკული ხერხი ანჟამბემანი; დივინაცია და ინფერენცი გამოირჩევა სიმატივით.

ასეთია ე.იანდლისა და ე.რიუმის ვიზუალური ტექსტების პლეტისეული ინტერპრეტაცია, რომელიც ჩვენ გადმოვეცით.

16.4. ტექსტის ინტეგრაციული ინტერპრეტაცია

ტერმინში „ინტეგრაციული" ვგულისხმობთ ტექსტის მრავალპლანიან ასპექტობრივ ანალიზს ერთი რომელიმე ასპექტის პუანტირების გარეშე. ასპექტების რაოდენობა არ არის შეზღუდული, ის შეიძლება იყოს რამდენადმე მეტი ან ნაკლები. „ინტეგრაციულის" ნაცვლად შეიძლებოდა „კომპლექსურის" ხმარება, მაგრამ ეს ტერმინი იმდენად გაცვეთილი, უფერული და არაფრის მთქმელია, რომ „ინტეგრაციული" ვარჩიეთ მით უფრო, რომ მასში ჩანს რამდენიმე ასპექტის გამაერთიანებელი სემა და გაერთიანების მოტივაცია. „კომპლექსური" არის უფრო zusammengesetzt „შედგენილი", ხოლო „ინტეგრაციული" – vereinheitlichend „გამაერთიანებელი". პირველი გულისხმობს ანალიზის ელემენტების მრავალკომპონენტიანობას, ხოლო მეორე – საანალიზო ობიექტის ფუნქციონალური ელემენტების გამოკვეთასა და გაერთიანებას. ობიექტის (ჩვენ შემთხვევაში ტექსტის) ფარგლებში სათანადო კერძო მეთოდების მოშველიებით, რომლებიც ემსახურებიან ტექსტის გაგება-გაგებინებას. ინტეგრაციული ანალიზის ელემენტები ერთმანეთთან ორგანულად არ არიან დაკავშირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მათი გამოკლება ან მიმატება. ისინი წარმოადგენენ ანალიზის ფაზებს ლინგვისტიკური დისციპლინების ფარგლებში, როგორიცაა ლექსიკოლოგია, გრამატიკა, ორთოგრაფია, აგრეთვე რიტორიკა, გრაფიკული ლინგვისტიკა, სემიოტიკა და ა.შ. ამასთანავე ყველა მათგანი ექცევა ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის ჰერქვეში და ერთიანდება ტექსტის როგორც მთლიანი ენობრივი წარმონაქმნის ცნების ირგვლივ.

ტექსტი პირველი

საანალიზოდ ვიღებთ შტეფან გეორგეს ერთ ლექსს, მისი სიღრმული სტრუქტურის ინტერპრეტატორად ვირჩევთ მარტინ ჰაიდეგერს, ხოლო ტექსტის გრაფორიტორიკული ფიგურის სახით გამოსახვას ჩვენ თვითონ შევეცდებით. იმავდროულად ზოგიერთი სტროფის ჩვენეული ტექსტოლინგვისტიკური

ინტერპრეტაცია შეიძლება ჰაიდეგერისაგან განსხვავებული იყოს. თავისთავად ცხადია, რომ ჰაიდეგერის ნაშრომს სიტყვასიტყვით არ ვთარგმნით, არამედ ჩვენთვის საინტერესო პასაჟების პარაფრაზირებას ვახდენთ. ამდენად, პირველი ინტერპრეტი თვითონ პოეტია. ტექსტის ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ეკუთვნის მარტინ ჰაიდეგერს. ჩვენ გვრჩება შტეფან გეორგეს ლექსისა და ჰაიდეგერის ინტერპრეტაციის პარაფრაზირება, ე.ი. მკითხველის წინაშე წარვდგებით როგორც ინტერპრეტისა და ინტერპრეტატორის ბოლო, მესამე რანგის ინტერპრეტატორი. ეს ხუმრობით, არსებითად კი ჩვენი მსჯელობა იქნება გეორგეს ლექსისა და ჰაიდეგერის ინტერპრეტაციის დივიდია და ინფერენცის გამოყვანა გრაფორიტორიკული ფიგურის სახით.

STEFAN GEORGE

DAS WORT

1. Wunder von ferne oder traum
   Bracht ich an meines landes saum
2. Und harrte bis die graue norn
   Den namen fand in ihrem born –
3. Drauf konnt ichs greifen dicht und stark
   Nun blüht und glänzt es durch die mark…
4. Einst langt ich an nach guter fahrt
   Mit einem kleinod reich und zart
5. Sie suchte lang und gab mir kund:
   >So schläft hier nichts auf tiefem grund<
6. Worauf es meiner hand entrann
   Und nie mein land den schatz gewann…
7. So lernt ich traurig den verzicht:
   Kein ding sei wo das wort gebricht.

(GEORGE, 1984:67)

(ციფრები დასმულია ჩვენს მიერ იმ მიზნით, რომ ანალიზის დროს გარკვევით მივუთითოთ სათანადო ადგილზე ტექსტში - ვ.ფ.)

მარტინ ჰაიდეგერის სიღრმული ინტერპრეტაციის ძირითადი ხერხი, როგორც უკვე ვთქვით, მდგომარეობს ჰერმენევტიკული სპირალის თანამიმდევრულად და დამაჯერებლად აგებაში. სპირალის აგების საფუძვლად იგი იღებს „სიტყვას", „ყურს უგდებს" მასში ჩაუნკებულ და ჩამუნკებულ რებუსს და ამოხსნის მას.

ლექსის ინტერპრეტაცია იწყება მეშვიდე სტროფიდან, რომელიც ლექსს კეტავს და იმავდროულად მის საზრისს გამოხატავს. ეს უკვე იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო სტროფში მეორდება სათაურად გამოტანილი Das Wort „სიტყვა". "Kein ding sei wo das wort gebricht" – Es gebricht ნიშნავს es fehlt. მაშასადამე: „Wo das Wort fehlt, ist kein Ding" („სადაც სიტყვა არ მოიპოვება, არც ნივთი არსებობს"). ეს გამონათქვამი სამ ძირითად კითხვას ბადებს: რა არის სიტყვა, რომ მას ასეთი უფლებამოსილება აქვს? რა არის ნივთი, რომ მას სიტყვა სჭირდება, რათა მყოფობდეს? რა არის ყოფნა (Sein), რომ ნივთს სიტყვიდან ანიჭებს ყოფიერებას?

ლექსი „სიტყვა" შედგება შვიდი ორტაეპიანი სტროფისაგან. პირველი წაკითხვისას ვიხიბლებით ექვსი სტროფით, პოეტის შეფარული გამოცდილებაზე (Erfahrung) რომ მოგვითხრობს და მაშინვე არ აღგვეძრება კითხვები. ბოლო მეშვიდე სტროფი კი ფიქრებში გვაგდებს. მხოლოდ ახლა ვიგებთ, რაც სათაუ-

რის მიხედვით მთელ ტექსტს გასდევს საზრისად. ეს არის სიტყვის ძალმოსილება. განა მოიძებნება პოეტისათვის უფრო სახიფათო რამ, ვიდრე სიტყვასთან მიმართებაა? ალბათ, არა! ეს მიმართება მხოლოდ პოეტის მეშვეობით იქმნება, თუ სიტყვას თავისი თავიდან და თავისთვის სჭირდება პოეტური თხზვა? ყოველივე ეს და კიდევ ბევრი რამ გვიჩენს საფიქრალს (HEIDEGGER, 1986:200-221).

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჰაიდეგერი იწყებს საკვანძო სიტყვების ფართო და სიღრმულ ანალიზს. ეს სიტყვებია: Fahrt, Erfahrung, Verzicht, lernen, einst, Land, Born, Kleinod, Schatz, Ding, Lied... და, რა თქმა უნდა, Wort. ამ სიტყვების სიღრმეში ჩამუნჯებული საზრისები გამოაქვს სინათლეზე, ყურს უგდებს, რას ამბობენ სიტყვები, აბამს მათ შორის კავშირებს და საბოლოოდ თავს უყრის სამ საკვანძო სიტყვაში: Wort, Ding, Verzicht.

მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ყველა საკვანძო სიტყვის ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის გადმოცემა, რადგანაც ამისათვის მთელი სტატიის თარგმნა იქნებოდა საჭირო, რაც ჩვენ მიზანს არ შეადგენს. დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია გაეცნოს სტატიას. აქედან გამომდინარე არსებითად მხოლოდ დასახელებული სამი სიტყვის ირგვლივ ვიმსჯელებთ, რომლებისკენაც მიემართება და სადაც თავს იყრის სხვა დანარჩენი სიტყვები. შტეფან გეორგეს პოეტური და მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიური ნააზრევის ჩვენეული სინოპსისის დაწყებამდე გვინდა ერთგვარი წინარეცოდნა მივაწოდოთ მკითხველს ტექსტის გაგებისათვის.

ნორნებად (ძველი ისლანდიური Nornier) სკანდინავიურ მითოლოგიაში იწოდებიან ადამიანის დაბადების დროს მისი ბედის განმსაზღვრელი ქალღმერთები. „უმცროს ედაში" დასახელებულია სამი ნორნე: ურდი (ბედისწერა), ვერდანდი (ქმნადობა) და სკულდი (მოვალეობა). ისინი ცხოვრობენ ურდის წყაროსთან, რომელიც მსოფლიოს ხის იგდრასილის ფესვებში მოსჩქეფს. ეს არის აგრეთვე ბედისწერის ხე, რომელსაც ნორნები ყოველდღე ასხურებენ წყაროდან წყალს (МИФЫ... 1982:226), გერმანულად Nornen pl: die drei Schicksalsgöttinnen der germanischen Mythologie, sg. Norne (GROßES WÖRTERBUCH... 1982:519).

ახლა მივუბრუნდეთ Wort, Ding და Verzicht სიტყვებს, რომელთა ურთიერთმიმართება თამამდება პოეტსა და ნორნეს შორის. ამ ორი აქტანტის შეჭიდება სახელისთვის, შესაბამისად, სიტყვისთვის ორ ფაზად ვითარდება. სტროფების პირველი ტრიადა ასახავს ჭიდილის პირველ ფაზას, რომელშიც პოეტი გამოდის გამარჯვებული. ნორნე აძლევს მას სახელს შორეთიდან მოტანილი საოერებისთვის. ნივთი ცოცხლობს და ჰყვავის მის ქვეყანაში. მეორე ტრიადა ასახავს ხელახალი მოგზაურობიდან დაბრუნებული პოეტის მარცხს. ნორნე ვერ პოულობს სათანადო სახელს და პოეტს ხელიდან უსხლტება ნივთი. მეშვიდე სტროფის ორი ტაეპი აჯამებს ორ ფაზად განვითარებულ ხდომილებას და გამოჰყავს ინფერენცი: ოდეს სიტყვა შემოგაკლდეს, არცა ნივთმა იარსებოს.

რატომ არის, რომ ერთ შემთხვევაში პოეტი ნორნეს მეშვეობით პოულობს სიტყვას, ახერხებს იმ საოცრების სახელდებას, რომელიც თავის ქვეყანაში შორეთიდან მოაქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ძვირფასი ნივთით ხელში თავისი ქვეყნის საზღვარს მოადგება და ნორნეს სახელს მოსთხოვს, ბედისწერის ქალღმერთი ვერ ახერხებს ამ ნივთის სახელდებას. იგი პოეტს ხელიდან უსხლტება და მისი ქვეყნისთვის სამუდამოდ იკარგება. რა ქვეყანაა ეს? ეს ქვეყანა პოეტების სამყაროა და სახელებს თხოულობს. რისთვის? იმისთვის, რაც შორეთიდან აქვს მოტანილი, რაც ოცნებად, ზმანებად გახდომია. მაგრამ ეს არსებული (Seiende) მას თავისთვის კი არ უნდა, არამედ მხოლოდ მისი გამოსახვა (Darstellung) სურს. ამას კი სახელები ესაჭიროება, ხოლო სახელები სიტყვებია, რომელთა მეშვეობითაც არსებული ასე მკაფიო, ნამდვილი და უშუალო ხდება. სახელები გამომსახავი სიტყვებია, რომლებიც არსებულს წარმოდგენილად ხდიან. გამოსახვის ძალის წყალობით სახელები აღწევენ ბატონობას ნივთებზე. პოეტი თავად აცხადებს პრეტენზიას სახელებზე, ცდილობს მათ მოხელთებას, გზების შემოვლით ესწრაფვის ადგილს, სადაც მისი პრეტენზია დაკმაყოფილდება. ეს მისი ქვეყნის საზღვარზე მოხდება, სადაც იგი შემოფარგლულ სივრცეში იმყოფება და მისი ყოფნა დაცულია. აქ არის ბინული, საიდანაც ბედისწერის ჭაღარა ქალღმერთს ნორნეს სახელები ამოაქვს. სახელებთან ერთად ის პოეტს აძლევს სიტყვებს, რომლებითაც მან უნდა გამოსახოს ის, რაც არსებულად მიაჩნია. პოეტის პრეტენზია სიტყვის ბატონობაზე აღსრულებულია. მისი პოეზიის აყვავება და გაბრწყინება სინამდვილე ხდება. პოეტი ფლობს სიტყვას და სწამს მისი.

მეორე გამოცდილებას პოეტი იძენს სხვა მოგზაურობის შემდეგ, ლექსის მეორე ტრიადა იწყება სიტყვით "einst" („ერთხელაც"), რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მოგზაურობა მრავალთაგან გამორჩეული იყო. მაგრამ პოეტს ახლა თავისი ქვეყნის საზღვართან ხელით მოაქვს ძვირფასი რამ ნივთი, და ეს არ არის არც ნაოცნებარი რამ, არც შორეთიდან მოტანილი. მაგრამ ეს განმეორებული იმავდროულად „მდიდრული და ნაზია", რის გამოც ნორნე დიდხანს ეძებს მისთვის შესაფერ სახელს, მაგრამ ბოლოს უარით ისტუმრებს პოეტს. ის, რაც წყაროშია დაფარული, მთვლემარედ არის მიჩნეული, რომელსაც გამოღვიძება სჭირდება, რათა ნივთების გამოსასახავად პოვონ გამოყენება. მაგრამ ეს წყარო, საიდანაც საოცნებო, სიზმრისეული არსებისათვის სახელი მოიძებნა, ახლა აღარაფერს იმეტებს. რა გამოცდილებას იძენს ამჟამად პოეტი? იმას, რომ ხელით მოტანილი ძვირფასეულისათვის სიტყვა არ მოეპოვება? თუ იმას, რომ თუმცა ძვირფას ნივთს სახელი აკლია, მაგრამ მაინც პოეტის ხელში რჩება? არც ერთი, არც მეორე. გასაოცარი ის კი არ არის, რომ სიტყვის უქონლობის გამო ძვირფასი ნივთი პოეტს ხელიდან უსხლტება, არამედ ის, რომ სიტყვის გარეშე ნივთი ქრება. მაშასადამე, მხოლოდ სიტყვა ანიჭებს ნივთს მუნყოფას და ინახავს მას. ამით სიტყვა აღწევს უფრო მაღალი რანგის სუფევას.

სადამდე მიჰყავს პოეტი ამ გამოცდილებას? პოეტი ხედავს სიტყვის სხვა სუფევას, მას თავისი პრეტენზიის საპასუხოდ ეძლევა სახელი იმის სახელდებისთვის, რაც მან ჭეშმარიტად არსებულად დაადგინა. მისი მისია შესრულე-

ბულია და მან უარი უნდა თქვას, რომ ბატონობდეს სიტყვაზე როგორც დადგენილი (gesetzt) არსებულის გამომსახველ სახელზე. უარის თქმა, როგორც თავისი თავისთვის უარის თქმა, არის თქმა, რომელიც თავის თავს ეუბნება: ოდეს სიტყვა შემოგაკლდეს, არცა ნივთმა იარსებოს.

ისმება კითხვა: რატომ ვერ შეძლო პოეტმა, მას შემდეგ რაც უარის თქმა ისწავლა, თქმაზე ეთქვა უარი? რატომ ამბობს უარს და იმავდროულად თხზავს ლექსს "Das Wort"? პასუხი: რადგან ეს უარი არის განსაკუთრებული უარი თქმაზე და ამით მხოლოდ დადუმება. როგორც თავისი თავისთვის უარის თქმა **ეს უარის თქმა რჩება თქმად პოეტისთვის** (ხაზი ჩვენია - ვ.ფ.). ასე ინარჩუნებს პოეტი ურთიერთობას სიტყვასთან. მაგრამ, რადგანაც სიტყვამ სხვა, უფრო მაღალი სუფევა შეიძინა, მან სიტყვებთან ურთიერთობაშიც გარდაქმნა უნდა განიცადოს, და თქმა გადაიყვანოს სხვა ტონალობაში, სიმღერაში. რომ პოეტის უარის თქმა, ამ აზრით, გამოცდილების შედეგად შეძენილი ქმედებაა, ამას თვითონ ლექსი მოწმობს. პოეტი უარს ამბობს თქმაზე და ამასთან უარის თქმას უმღერის. ეს ლექსი ხომ სიმღერაა.

თავისი უკანასკნელი ლექსები შტეფან გეორგემ გამოსცა სათაურით „სიმღერა", რითაც ის საბოლოოდ გამოვიდა წინანდელი წრიდან. და საით წავიდა? უარის თქმისკენ, რომელიც ისწავლა. სწავლა იყო მწარე გამოცდილება, როდესაც მან სიტყვის სხვა სუფევა დაინახა, მანამდელი თავდაჯერებულობა შეერყა, მოულოდნელ საშინელებას გაუსწორა თვალი და შეიცნო, რომ თურმე სიტყვა ამყოფებს ნივთს ნივთად. თქმა და ყოფნა, სიტყვა და ნივთი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ვისმენთ ლექსს და ვუფიქრდებით იმას, რომ, რაც უფრო უბრალოდ მღერის ლექსი სიმღერის კილოზე, მით უფრო მეტია შესაძლებლობა კარგად ვერ გავიგოთ იგი. ჰაიდეგერი წერს: "Das Walten des Wortes blitzt auf als die Bedingnis des Dinges zum Ding. Das Wort hebt an zu leuchten als die Versammlung, die Anwesendes erst in sein Anwesen bringt... Sagen und Sein, Wort und Ding gehören in einer verhüllten, kaum bedachten und unausdenkbaren Weise zueinander... Wir hören das Gedicht. Wir werden jetzt noch nachdenklicher im Hinblick auf die Möglichkeit, daß wir uns im Hören um so leichter verhören, je einfacher das Gedicht in der Weise des Liedes singt" (HEIDEGGER, 1986:237).

ჰაიდეგერის ინტერპრეტაციიდან გვინდა კიდევ ორ მომენტზე შევაჩეროთ ყურადღება, სახელდობრ, მეტაგრაფემული ნიშნების ფუნქციის ამოკითხვაზე და გრამატიკული ფორმების დანიშნულებაზე პოეტურ ტექსტში.

შტეფან გეორგეს ჩვეულებად ჰქონდა თავისი ლექსების წერა მინუსკულებით, რითაც გერმანული ორთოგრაფიის ნორმებს არღვევდა, ყოველი ტაეპის პირველ სიტყვას კი მაიუსკულებით იწყებდა, რითაც ხარკს უხდიდა გერმანული პოეტიკის ტრადიციებს. მართლწერის წესებს იმდენად იცავდა და იყენებდა, რამდენადაც ეს მის პოეტურ ინტენციას შეესაბამებოდა. ლექსი "Das Wort" დაწერილია მინუსკულებით, მაიუსკულები მხოლოდ ტაეპების პირველი გრაფემებია, პუნქტუაციის ნიშნებიდან გამოყენებულია: ტირე – ერთხელ, მე-

ორე სტროფის მეორე ტაეპის ბოლოს; მრავალწერტილი – ორჯერ, მესამე და მეექვსე სტროფების ბოლოს; ორწერტილი – ორჯერ, მეხუთე სტროფის პირველი ტაეპის და მეშვიდე სტროფის პირველი ტაეპის ბოლოს.

ტირეს გამოყენება მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეორე სტროფის მეორე ტაეპის ბოლოს პოეტი აკეთებს შესვენებას და ამით ამზადებს მკითველს, ძაბავს მის ინტერესს, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ მოგზაურობას.

მრავალწერტილის ფუნქციაა, ერთი მხრივ, კომპოზიციური მონაკვეთის ზღვარი დააფიქსიროს, ამიტომ ის გვხვდება ორჯერ – მესამე და მეექვე სტროფის ბოლოს. მეორე მხრივ, იგი მკითხველს მიანიშნებს, რომ თუმცა მესამე სტროფის ბოლოს ერთი ხდომილების დასასრული ფიქსირდება, მაგრამ მეორე იწყება, და ერთი მოგზაურობით მიღებული გამოცდილება არ არის საკმარისი. მეორედ მრავალწერტილი ზის მეექვსე სტროფის ბოლოს, აღნიშნავს მის ზღვარს და იმავდროულად მიანიშნებს, რომ, თუმცა მეექვსე სტროფი მეორე მოგზაურობის სამწუხარო შედეგს გამოხატავს, ის მაინც არ არის მთელი ლექსის არც სემანტიკური და არც კომპოზიციური ზღვარი. ეს ფუნქცია აკისრია მეშვიდე სტროფს, რომელიც გამოცდილებით შეძენილ ინფერენცს შეიცავს და წერტილით მთავრდება.

ორწერტილი მეხუთე სტროფის პირველი ტაეპის ბოლოს სავსებით კანონზომიერი და გასაგებია, რადგანაც ამავე სტროფის მეორე ტაეპი ბრჭალებში ჩასმული სიტყვებია ნორნესი, ე.ი. პირდაპირი თქმაა. მეშვიდე სტროფის პირველი ტაეპის ბოლოს კი იგი, ცოტა არ იყოს, ძნელი ამოსაკითხია. ის, რაც ორწერტილს მოსდევს Verzicht-ის განმარტებად უნდა ჩაითვალოს, თუ პოეტის სიტყვებად? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვის უნდა მიეწეროს Verzicht-ს თუ თავად პოეტს? ჰაიდეგერის ინტერპრეტაციის მიხედვით ის მიეწერება Verzicht-ს, და არა პოეტს, იმიტომ, რომ პოეტი საერთოდ და საბოლოოდ კი არ ამბობს უარს სიტყვაზე, არამედ განაგრძობს ურთიერთობას მასთან და თხზავს ლექსს ახალ, უფრო მაღალ ტონალობაში, რომელსაც ჰქვია სიმღერა.


ჩვენ კი იმას დავუმატებდით, რომ, რაც ორწერტილს მოსდევს, მართლაც Verzicht-ს უნდა მიეწეროს. ჰაიდეგერი ხომ სიტყვებს ალაპარაკებს. ერთგან იგი ამბობს: „der Verzicht spricht" (HEIDEGGER, 1986:232). მაშასადამე, ბოლო ტაეპი ირიბი ნათქვამია. ამას მოწმობს ისიც, რომ მეხუთე სტროფის მეორე ტაეპი, ნორნეს სიტყვები, ბრჭყალებშია ჩასმული და ზმნა ინდიკატივშია (თხრობითი კილო) – schläft ე.ი. პირდაპირი ნათქვამია, მაშინ როცა ბოლო ტაეპი არის უბრჭყალებოდ და ზმნა კონიუნქტივშია (კავშირებითი კილო) – sei. როგორც ცნობილია, კონიუნქტივის ერთ-ერთი ფუნქციაა ირიბი თქმის მარკირება. ნორმის მიხედვით, ირიბ ნათქვამს წინ უძღვის ე.წ. redeeinleitende Verben, როგორიცაა sagen, erklären, berichten, fragen და მრავალი სხვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაზმნარ სახელსაც შეუძლია იმავე ფუნქციის შესრულება. შდრ. verzichten⇒Verzicht არსებითი სახელი Verzicht აქ უნდა გავიგოთ როგორც .... lernte ich traurig den Verzicht, der (be)sagt: Kein Ding sei, wo das Wort gebricht. შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ორი წერტილი, რომელიც ირიბი ნათქვა-

მის წინ არ გამოიყენება, აქ იმიტომ არის დასმული, რომ ის სიტყვები, რომლებიც Verzicht-ს მიეწერება, ექსპლიციტურად არ უკავშირდება მას და საჭიროებს „არგამოთქმული“ სიტყვებით შევსებას, დივინაციას, ხოლო ამ „არგამოთქმული“ სიტყვების ამოკითხვის მარკირებისთვის დასმულია ორწერტილი.

ჰაიდეგერი ყურადღებას აქცევს აგრეთვე პრეზენსისა და პრეტერიტუმის ფუნქციებს. ტექსტი ძირითადად აგებულია პრეტერიტუმზე, პრეზენსი გვხვდება მხოლოდ ორჯერ – მესამე და მეშვიდე სტროფების მეორე ტაეპებში. ორ-ორი გრამატიკული ფორმით: blüht, glänzt და sei, gebricht. ჰაიდეგერის აზრით, პირველ შემთხვევაში სახეზეა აქტუქლური პრეზენსი – aktuelles Präsens, ხოლო მეორე შემთხვევაში – პანქრონული პრეზენსი, generelles oder atemporales Präsens, რომლის ფუნქციაა, ზედროული ხდომილების გამოხატვა. შდრ. Der Mensch ist sterblich. Die Erde bewegt sich um die Sonne. და Kein Ding sei, wo das Wort gebricht (HEIDEGGER, 1986:146-148).

ალბათ კიდევ შეიძლებოდა ჰაიდეგერის ღრმა ინტერპრეტაციისა და ჩვენი ორიოდე მოკრძალებული განმარტების შემდეგ მსჯელობის გაგრძელება სხვა ასპექტებში, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, ამიტომ აქ უნდა შევჩერდეთ და ჩვენი მიზნის შესაბამისად, ამ შესანიშნავი პოეტური ტექსტის გრაფორიტორიკული გამოსახვა ვცადოთ. ჩვენ მიერ შედგენილი გრაფორიტორიკული ფიგურა იყოფა ორ ძირითად ნაწილად. პირველის საყრდენია ორწევრიანი ოპოზიცია: სიტყვა-ნივთი, პოეტი-ნორნე, მეორისა – ასევე ორწევრიანი ორი ოპოზიცია: უარი-სიტყვა, პოეტი-სიმღერა. პირველი უშუალოდ ამოიკითხება თავად ლექსიდან, ხოლო მეორე – „არგამოთქმული“ – აყვანილია უმაღლეს ტონალობაში და თვისებრივად ახალ დამოკიდებულებას გამოხატავს სიტყვასა და პოეტს შორის. ამ დამოკიდებულების დივინაცია და ინფერენცი ნათელს ხდის, რომ მეორე მიმართება პირველიდან გამოიყვანება, მისი ზედნაშენია, უფრო მაღალი რანგის მიმართებაა.

გრაფორიტორიკული ფიგურა დიადურია. პირველი მონაკვეთი თავის მხრივ იყოფა ორად სამი პატარა რომბით. ზედა სეგმენტი გამოხატავს დამოკიდებულებას ოთხ აქტანტს – პოეტსა და ნორნეს, შესაბამისად, ნივთსა და სიტყვას შორის. პოეტისა და ნორნეს ჭიდილი მთავრდება პოეტის გამარჯვებით. ნივთის განივთება ხდება სახელის/სიტყვის წყალობით, რომელსაც ნორნე აძლევს პოეტს. ამიერიდან ნივთი და სახელი განუყრელად უკავშირდება ერთმანეთს, ის კი არა იდენტური ხდება (ding=wort), ნივთი ჰყვავის, ბრწყინავს და განაგრძობს არსებობას (dwdwdw...). ქვედა სეგმენტი გამოხატავს პოეტისა და ნორნეს შემდგომ შეხვედრას, რომელიც მთავრდება პოეტის დამარცხებით. ნორნე ვერ/არ აძლევს პოეტს მცირფასი ნივთისთვის სახელს და ნივთი ქრება, დაკარგულია ქვეყნისთვის. ეს მიმართება გრაფოფიგურაში გამოხატულია გრაფემების კლებით და ding-ის დაყვანით ნულამდე. არ არის სიტყვა, არ არის ნივთი. ამ მიმართებას გამოხატავს რვა ნული.



მეორე მონაკვეთის აქტანტებია verzicht/wort და dichter/lied. უარის გამო ხდება სიტყვის მოსაკლისება, ის აღარ არსებობს, რასაც გამოხატავს wort აქტანტის დაყვანა ნულამდე, მაგრამ პოეტი მას აიტაცებს, აჰყავს უფრო მაღალ რანგში. აყვანას გამოხატავს lied სიტყვის გრაფემების თანდათანობით მატება და მთელი გრაფოსიტყვის ოთხჯერ გამეორება ოთხსაფეხურიანი მატების აღსანიშნავად, ხოლო მატება ოთხსაფეხურიანი გრაფოსიტყვის ოთხი შემადგენელი კომპონენტით.

წარმოდგენილი გრაფორიტორიკული ფიგურა აგებულია გრაფემების გამოკლებაზე, მატებასა და გამრავლებაზე. გამოყენებულია გრაფოსიტყვის ატომიზაცია, სემანტიკური ფენის დეკომპოზიცია, მეტაგრაფემული ნიშნები და გრაფები.

ტექსტი მეორე

რაინის პირას ბინგენში დაბადებულ შტეფან გეორგეს, მოხეტიალე პოეტსა და ესთეტს, მთელი სიცოცხლე არ განელებია დიდი მდინარისა და მისი სანაპიროების სიყვარული. რაინისპირა ფერდობებზე შეფენილი ზვრების, მტევნებით დახუნძლული ვაზის, ხეხილის ბაღების, ცადაზიდული კოშკების ტოპოსები ხილულად აღიქმება მის ლექსებში. ერთსტროფიანი „რაინი" ნათქვამის დადასტურებაა.

RHEIN

Dies ist das land: solang die fluren strotzen
Von korn und obst am hügel trauben schwellen
Und solche türme in die wolken trotzen –
Rosen und flieder aus gemäuern quellen.

(GEORGE, 1984:46)

პოეტის მეორე ლექსი, აგრეთვე „რაინი", მშობლიური მდინარისადმი მიძღვნილი სიმღერაა.

STEFAN GEORGE
RHEIN

Blüht am hange — nicht die rebe?
Wars ein schein nicht — der verklärte?
Warst es du nicht — mein gefährte
Den ich suche — seit ich lebe?

Jagt vom flusse — feuchter schwaden
Duft des haines — licht der lande?
Dichter brodem — wirst du laden·
Folg ich dir nur — spur im sande?

"Dich zu ehren — dir zu dienen
Seid geopfert — frühere prächte·
Seid vergessen — tag und nächte!"
Summt beharrlich — lied der bienen.

Weite runde — wo sich mische
Ferne hoffnung — glück der stunde!
Nur noch droben — in der nische
Zeigt der Heilige — alte wunde...

(SCHWARZE, 1985:44-45)

(კლაკნილი ზოლი ჩვენს მიერ არის ჩამოსმული - ვ.ფ.)

გამოვყოფთ ინტერპრეტაციის შემდეგ პარამეტრებს:

- ბათიზმატური ველის დისკრეტაციას;
- სემანტიკური ფენის ამოკითხვას;
- მეტაგრაფემული ნიშნების ფუნქციას;
- მეტრიკას;

1. მკითხველის ყურადღებას უპირველესად ყოვლისა იპყრობს ტექსტის ბათიზმატური ველის აურა, რომელსაც მისი უჩვეულო დისკრეტაცია ქმნის. გრაფოსიტყვებს შორის დატოვებული ორ-ორი ინტერვალი ოთხსტროფიანი ლექსის ყოველ ტაეპს ორ-ორ მუხლად ყოფს, მთელ ტექსტს შუაში კლაკნილ ზოლად დაუყვება და მდინარის ასოციაციას იწვევს. თითქოს ზევიდან დაჰყურებ და თვალს ადევნებ, როგორ მიიკლაკნება მდინარე თავის მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში. კითხულობ ამ საოცარ ლექსს, მთლიანობაში აღიქვამ მის ბათიზმატურ ველს და შენთვის ხილული ხდება პოეტის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაჭედილი მდინარისა და ფერდობზე შეფენილი გასხივოსნებული სანახების ხატები, პოეტს ასე შთამბეჭდავად რომ განუსიტყვებია.

2. ტექსტის სემანტიკური ფენა ყველაზე ძნელად ექვემდებარება დივინაციას. ზოგიერთი სტროფი და ტაეპი შედარებით იოლად ამოიკითხება, ზოგი კი უფრო ძნელად. ტექსტის კომპოზიცია არც თუ ისე მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ მაინც შეიძლება მისი კომპონენტების გამოყოფა. პირველი

სტროფი ტექსტის შესავალ ნაწილს წარმოადგენს. მას მკითხველი შეჰყავს საოცნებო სამყაროში, რომელსაც პოეტი მთელი სიცოცხლე ეძებს. ამჯერად ეს არის ამ სამყაროს ერთ-ერთი განსახიერება, მისი ნაწილი, რომელსაც რაინის სახე აქვს. მეორე სტროფის სამი ტაეპი ეძღვნება ხატს დიდი მდინარისა, რომელსაც დასტრიალებს ნოტიო ბორიოთი მოტანილი ჭალების სურნელი, რაინის სანახებზე დაფენილი სქელი ნისლი. ყოველივე ეს იზიდავს და თავისკენ იწვევს პოეტს. მესამე სტროფი რაინის განდიდებაა, დითირამბია, თავის განწირვამდე მისული სიყვარულია, და ამ დითირამბს ზუზუნებენ ფუტკრები, ეს მათი არგამოთქმული სიმღერაა, რომელსაც პოეტი ყურს უგდებს, ისმენს და იგებს. სიმღერა ჰაიდეგერის ინტერპრეტაციით, როგორც უკვე ითქვა, პოეტისათვის გალობაა, უმაღლეს რანგში აყვანილი სიტყვაა. და პოეტი რას მიუძღვნის უკეთესს თავის თაყვანისცემის საგანს, ვიდრე სიმღერაა მით უფრო, თუ მას ფუტკრის სიმღერის სახე აქვს, რომელიც უსიტყვო თქმაა და პოეტმა უნდა განასიტყვოს.

მეოთხე სტროფი ფინალური მიკროტექსტია. პირველ ორ ტაეპში აწმყოს ბედნიერი საათისა და მომავლის იმედის გამთელება ამოიკითხება. მესამე და მეოთხე ტაეპები ცოტა ბუნდოვანი და ბნელად დასაკავშირებელია წინამეორე და მესამე ტაეპებთან. მაგრამ ერთი რამ ცხადია: nur მესამე ტაეპის დასაწყისში გამოხატავს შეზღუდვას წინა ორ ტაეპში გამოთქმული შორეული იმედისა. იმედი მომავლისაა, თუმცა ჯერ-ჯერობით ბეჭედი ჩრილობა ისევ რჩება. მაგრამ როგორ გავიგოთ ჩრილობიანი წმინდანის ხატი? აქ რამდენიმე ვარიანტია დასაშვები, მაგალითად, რაინი როგორ მიიკლაკნება, როგორ ჰყვავის ვაზის ლერწი ფერდობზე და ა.შ. შეიძლება დაინახო მაშინ, თუ ზევიდან დაჰყურება მდინარეს. იქნებ პოეტი იმყოფებოდა სადღაც დახურულ სივრცეში, ოთახში და იქიდან ტკბებოდა მშვენიერი ხედით. ამ დროს ნიშაში შენიშნა ჩრილობიანი წმინდანის ხატი. ისიც დასაშვებია, რომ ყოველივე ეს პოეტის მეხსიერებაში ჩაბეჭდილი წარუშლელი სურათების გაცოცხლებაა, ხოლო ხატი მისი განუკურნავი გულისტკივილის სიმბოლოა.

3. მეტაგრაფემული ნიშნების ფუნქცია მჭიდროდ უკავშირდება სემანტიკური ფენის სიღრმისეულ გააზრებას. განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა კითხვითი ნიშნის ხმარება, რომელიც ხუთჯერ აფიქსირებს ტაეპის ზღვარს. პირველი სტროფის ოთხი ტაეპიდან სამს უზის კითხვის ნიშანი. ეს ოთხი ტაეპი ფაქტობრივად სამ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს. პირველი ორი ავტოსემანტიკური კითხვითი წინადადებებია, მესამე და მეოთხე ქმნის ერთ რთულ ქვეწყობილ კითხვით წინადადებას. სტილისტიკური თვალსაზრისით ყველა წინადადება რიტორიკული შეკითხვაა, რომლებიც პასუხს არ მოითხოვენ არც ავტორისა და არც მკითხველისგან. განსხვავებით ნამდვილი კითხვითი წინადადებებისაგან (echte Fragesätze), რომელთა მიზანია კომუნიკანტი (დიალოგის პარტნიორი) ჩაითრიოს კომუნიკაციაში და აიძულოს პასუხის გაცემა, რიტორიკული შეკითხვა არ ესწრაფვის მკითხველის პასუხის მიღებას. ეს არსებითად შეკითხვა კი არ არის, არამედ რაიმეს დაჟინებით მტკიცება ან გრძნობით აღსავსე შეძახილია. შეკითხვის ფორმით შენიღბვა პოეტური ხერხია,

რომლის მეშვეობითაც ავტორი ფიქციონალურ დიალოგს მართავს მკითხველთან, სურს გამოაცოცხლოს და აიძულოს იგი ავტორის აზრი გაიზიაროს. Blüht am hange nicht die Rebe? არ საჭიროებს პასუხს: Nein, am Hange blüht nicht die Rebe! ან Ja, am Hange blüht die Rebe. ეს არის ავტორის მტკიცება და მოწოდება: ფერდობზე ჰყვავის ვაზის ლერწი, შეხე რა სილამაზეა! მკითხველმა უნდა გაიზიაროს ავტორის აზრი, დაეთანხმოს მას და ავტორიც წინასწარვე დარწმუნებულია ამაში. ანალოგიურად შეიძლება მეორე სტროფის ინტერპრეტაციაც, რა თქმა უნდა, სათანადო სემანტიკური გააზრებით. მხოლოდ ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება. პირველ სტროფში ყველა რიტორიკულ შეკითხვას ახლავს უარყოფა nicht, მეორე სტროფში კი არც ერთს. აქვს ამა მნიშვნელობა, თუ არა? აქვს! ორივე სახის წინადადება გრამატიკულად სწორია, მაგრამ განსხვავდება სტილისტიკურად. Nicht-იანი შეკითხვა უფრო ძლიერია ემოციურად და მასში ამოიკითხება პოეტის იმედი, რომ მისი თვალით დანახულ სიმშვენიერეს მკითხველი ისეთივე გრძნობით აღიქვამს, როგორც თვითონ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება თვალის დახუჭვა შტეფან გეორგეს ლექსებში პუნქტუაციური ნიშნების უჩვეულო ხმარებაზე. სიძნელე იმდენად იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი ამ ნიშნების უზუალური ხმარების წესებს არღვევს. ეს შეიძლება გასაგები და მისაღებიც იყოს ინდივიდუალური სტილისთვის, არამედ იმაში, რომ მას შემოაქვს ნიშნები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული თანამედროვე გერმანული ენის პუნქტუაციური ნიშნების სისტემაში. ასეთია მაგალითად, ერთი წერტილი სიტყვის ბოლოს თითქმის გრაფემის თავთან დასმული (... laden· – მეორე სტროფის მესამე ტაეპი და ... prächte· – მესამე სტროფის მეორე ტაეპი). როგორც ცნობილია, ძველ ბერძნულში კოლონი – წერტილი ზემოთ [·] ასრულებდა წერტილმძიმის ან ორი წერტილის ფუნქციას (ურუშაძე, 1969:13-14), მაგრამ აქ ეს ფუნქცია არ ჩანს. აზრობრივად თითქოს უფრო უზუალური ნიშანი მძიმე არ არის მოსალოდნელი, რომელიც ტექსტში საერთოდ არ გვხვდება.

4. მეტრიკის თვალსაზრისით „რაინი" მკაფიოდ გამოხატულ სტრუქტურებს შეიცავს. მისი ყოველი ტაეპი შედგება რვა მარცვლისგან (გამონაკლისია ორი ცხრამარცვლიანი ტაეპი მე-10 და მე-16). თითოეული ტაეპი მთავარი ცეზურით იყოფა ორ ოთხმარცვლიან მუხლად (მხოლოდ ცხრამარცვლიან ტაეპში არის 5+4). მუხლებად ასე დაყოფა და მათი დაშორიშორება ორ-ორი სიტყვათშორისი ინტერვალით ქმნის სწორედ ტექსტის შუაგულში გაწოლილ და კლაკნილ ზოლს, მდინარეს რომ წააგავს.

ლექსში გამოყენებულია მუხლების ერთგვაროვანი, ტერფების თითქმის ერთგვაროვანი ზომები და რითმების არაერთგვაროვანი სქემები.[21]

---

[21] მეტრიკის შესახებ იხ. LEVANDOWSKI, 1984-85:78-79; 113-116; WÖRTERBUCH DER LITERATURWISSENSCHAFT, 1986:549-550; ჭილაია, 1971:261-262; 383-386; VERS UND STROPHE, 1981:762.

I სტროფი. ა) ყველა ტაეპში დიდი ცეზურით გაყოფილი ორი მუხლი (Halbvers), თითოეულ მუხლში ორი ტერფი (Dipodie, Doppelfluß), თითოეულ ტერფში (Versfuß) ერთი მახვილიანი _́_ და ერთი უმახვილო ∪ მარცვალი, სალექსო ზომა ქორე (Trochhäus) სქემა _́ ∪;

ბ) რითმები: ჯვარედინი (abba).

II სტროფი. ა) იგივე, რაც პირველ სტროფში. ზომა ქორე, სქემა _́ ∪;

ბ) რითმები: ჯვარედინი (abab).

III სტროფი. ა) პირველ, მესამე და მეოთხე ტაეპში იგივე, რაც პირველ და მეორე სტროფში. ხოლო მეორე ტაეპის პირველ მუხლს ქმნის ორი ქორე _́ ∪, _́ ∪, მეორე მუხლს ერთი ქორე _́ ∪ და ერთი დაქტილი _́ ∪∪;

ბ) რითმები იგივეა, რაც პირველ სტროფში, ე.ი. ჯვარედინი (abba).

IV სტროფი. ა) პირველ, მეორე და მესამე ტაეპში იგივე, რაც პირველ და მეორე სტროფში: ზომა ქორე, სქემა _́ ∪; მეოთხე ტაეპის პირველ მუხლში ზომა ქორე+დაქტილი, სქემა _́ ∪, _́ ∪∪; მეორე მუხლს ქმნის ორტერფიანი ქორე, სქემა _́ ∪, _́ ∪;

ბ) რითმები: ჯვარედინი (abab).

ცალკეული დაქტილური ტერფების შერევა ქორეს ტერფებში გერმანული სალექსო მეტრიკის თვალსაზრისით არ ითვლება უჩვეულოდ, რადგანაც ეს მოვლენა მიჩნეულია ტრადიციულ მეტრულ ჩარჩოდ (RIESEL, 1974:57). ამ ლექსში დაქტილური ტერფების შერევა მით უფრო არ არღვევს საერთო რიტმს, რომ დაქტილის მეორე მოკლე მარცვალს რედუცირებული e [æ] ქმნის. რამდენიმე სიტყვა ტექსტის მეტაგრაფემული დისკრეტაციის შესახებ.

პოეტური ტექსტის გრაფიკული დისკრეტაცია შტეფან გეორგეს მიერ მოგონილი არ არის. უძველეს გერმანულენოვან ტექსტებში არცთუ იშვიათად დიდი ცეზურის მარკირება ხდება რამდენიმე სიტყვათშორისი ინტერვალით. სტრიქონის ასეთი გაყოფა გვხვდება სხვადასხვა სახის რითმებში, როგორიცაა გარეგანი, შინაგანი, გარეგან-შინაგანი და პანტორითმა, აგრეთვე გაურითმავ და ალიტერაციულ სტროფებში. მაგალითად:

Nu uuíll ih scríban unser héil / euangélino deil,
so uuír nu hiar bigúnnen / in frénkisga zungun,
Thaz sie in unseren éino / thes selben adeilo,
ni man in iro gizungi / Kristes lób sungi.

(GESCHICHTE DER DEUTSCHEN...1976:372)

(დიდი ცეზურის გაყოლებით ზოლი ჩვენს მიერ არის ჩამოსმული - ვ.ფ.)

გარდა ამ უძველესი ტექსტისა, რომელიც წარმოადგენს ოტფრიდ ფონ ვაისენბურგის (Orfried von Weissenburg) მიერ გალექსილ სახარებას (IX ს.), ასეთივე სახით არის პუანტირებული „ნიმელუნგების სიმღერა" („Das Nibelungenlied") და ბევრი სხვა (WORT UND SINN, 1971:3-14).

Das Nibelungenlied

1. Âventiure

2. Ez wuohs in Búrgónden / ein vil édel magedîn
daz in allen landen { niht schœnets mohte sîn,
Krímhílt geheizen: { si wart ein schœne wîp.
das umbe muosen degene } vil verlíesén den lîp.

(დიდი ცეზურის გაყოლებით ზოლი ჩვენს მიერ არის ჩამოსმული - ვ.ფ.)

პალეოგრაფები ტექსტის გამოცემისას იყენებენ დისკრეტაციის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ჰორიზონტალური შტრიხი [-], ვერტიკალური შტრიხი [|] და ირიბი (დახრილი) შტრიხი [/], აგრეთვე ორად შეკვეცილი სამი წერტილი [..] (აღნიშნავს პალეოგრაფის მიერ გამოტოვებულ ადგილს ტექსტში), წერტილი სტრიქონს ზემოთ [·](ფონეტიკოსები იყენებენ როგორც დამატებით დიაკრიტულ ნიშანს რედუცირებული ხმოვნის აღსანიშნავად, პალეოგრაფები კი – სინტაგმების/ცეზურების გამოსაყოფად). ასეთი გრაფიკული ნიშნები გვხვდება არა მარტო პალეოგრაფების მიერ გამოცემულ, არამედ პოეტების მიერ შეთხზულ ტექსტებშიც. შდრ. 1)ანგელუს სილეზიუსის, პაულ ფლემინგის, ფრიდრიხ ფონ შპეეს, ანდრეას გრიფიუსის, ბერტოლტ ბრეხტის, შტეფან გეორგესა და სხვათა ლექსები (LESEBUCH, 1969:231; 290), (LESEBUCH, 1968:138; 165), (LITERATUR...1974:7-8; 66; 71-72; 81; 94).

არსებობს ერთიდაიმავე ტექსტის გამოცემის ვარიანტები: ერთში დიდი ცეზურა გამოყოფილია ერთზე მეტი სიტყვათშორისი ინტერვალით, მეორეში – სტრიქონს ზემოთ წერტილით. შდრ. (GESCHICHTE DER DEUTSCHEN ...1976:367-369), (ÄLTESTE... 1976:78-83) და (LESEBUCH, 1969:32-34; 65-71).

ასეთ და მსგავს გრაფიკულ ნიშნებს გრაფოესთეტიკის თაყვანისმცემელი პოეტები იყენებენ თავის ლექსებში ერთი მხრივ როგორც ტექსტის საზრისის გამოხატვის ვიზუალურ საშუალებას (ე.წ. ემბლემატური გამოხატვა), ისე გრაფორიტორიკულს.

აქ არ შეგვიძლია არ ვახსენოთ ლესინგის ერთი ლექსი, რომელშიც საოცარი ჰარმონიულობით არის შერწყმული ტექსტის საზრისი (თემა) და ჰორიზონტალური შტრიხის [-] ტექსტური ფუნქცია.

GOTHOLD EPHRAIM LESSING
LOB DER FAULHEIT

Faulheit, jetzo will ich dir
auch ein kleines Loblied bringen.-
O – wie – sau – er wird es mir, --
dich -- nach Würden -- zu besingen!
Doch, ich will mein Bestes tun,
nach der Arbeit ist gut zu ruhn.

Höchstes Gut! wer dich nur hat,
dessen ungestörtes Leben --
Ach! -- ich -- gähn' – ich werde matt. --
Nun -- so -- magst du -- mir's vergeben.
daß ich dich nicht singen kann;
du verhinderst mich ja dran.
(LESEBUCH... 1966:168)

ტექსტი შედგება ორი ექვს-ექვსტაეპიანი სტროფისაგან. მიუხედავად შესავალი მიკროტექსტის ორი ტაეპისა, სადაც პოეტი თავის განზრახვას აფიქსირებს, მიუძღვნას სიზარმაცეს ქების სიმღერა, ამავე სტროფის მესამე ტაეპიდან იწყებს თავის განზრახვაში ეჭვის შეტანას. უყურებ მესამე ტაეპში სიტყვებს შორის ჩაბნეულ ჰორიზონტალურ შტრიხებს და თვალწინ წარმოგიდგება მთქნარებით შეწუხებული პოეტი. მას შიში იპყრობს, ვაითუ ღირსეულად ვერ გაიღეროს მისმა სიმღერამ, და მაინც არწმუნებს თავის თავს, რომ ყველაფერს გააკეთებს თავისი განზრახვის შესასრულებლად, და კიდევ ერთხელ მოყავს არგუმენტი, მუშაობის შემდეგ კარგია დასვენებაო. მეორე სტროფის პირველი და მეორე ტაეპები ისევ სიტყვებშუა შტრიხებითაა დასერილი. პოეტი თავს ველარ იკავებს. ყოველი სიტყვის შემდეგ ჩასმული შტრიხი მთქნარების გამოხატულებაა, მთქნარება ხელს უშლის მიზნის განხორციელებაში. ამ სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპებში ყოველი სიტყვა შტრიხებით არის გამოყოფილი: „ო – ვამთქნარებ – მოვდუნდი – ახლა – ასე – იქნებ – მაპატიო –, ამოღერღავს ის, – შენ ხომ თვითონ მიშლი ხელს – რომ – გიმღეროო –."

პოეტი ვიზუალურად მხოლოდ ერთი გრაფიკული ნიშნის (სინგრაფემის) რეკურენციით ახერხებს მთქნარების პუანტირებას. იგი მკითხველის წარმოსახვაში ძილს მოწყურებული, მთქნარებით შეწუხებული, მოდუნებული ადამიანის ხატს ქმნის. თუ დივინაციას გამოვიყენებთ და სიტყვებით ართქმულ საზრისს ვერბალურად გამოვხატავთ, ინფერენცი ასეთი იქნება: პოეტი სიზარმაცესთან ბრძოლაში მარცხდება, ძილი თავს წაართმევს და ქება-დიდების სიმღერას ველარ თხზავს. მაგრამ სტრიქონებს შორის თუ ამოვიკითხავთ საზრისს, ეს უკვე ტექსტის სიღრმულად მეორე პლანი იქნება, ლექსი მაინც დაიწერა, პოეტი არ დამარცხებულა.

მეტანიშნების გამოყენება ტექსტში გარდა ევროპულისა დამახასიათებელია აგრეთვე ამერიკული ლიტერატურისათვის. თუ გადავხედავთ, მაგალითად, ამერიკული ლიტერატურის ნორტონის ანთოლოგიას, მრავლად ვნახავთ ამ მხრივ საინტერესო ტექსტებს. ალენ გინზბერგი (Allen Ginsberg) უხვად იყენებს ტირეს (THE NORTON...1985:2422-2434) და ირიბ შტრიხს (die Virgel, der Schrägstrich). სამუელ კლემენსის/მარკ ტვენის (Samuel Clemens/Mark Twain) ერთი ტექსტი მთლიანად პუანტირებულია მეტანიშნით & (Et-Zeichen).

My First, & Oldest & Dearest Friend .....
.....
Dinner's ready. Good bye & God bless you, old friend,
& keep your heart fresh & your memory green for the
old days that will never come again.

Yrs always
Sam. Clemens

ტექსტი მესამე

DER WERWOLF

Ein Werwolf eines Nachts entwich
von Weib und Kind und sich begab
an eines Dorfschullehrers Grab
und bat ihn: "Bitte, beuge mich!"

Der Dortschulmeister stieg hinauf
auf seines Blechschilds Messingknauf
und sprach zum Wolf, der seine Pfoten
geduldig kreuzte vor dem Toten:

"Der Werwolf", sprach der gute Mann,
"Des Weswolfs", Genitiv sodann,
"Dem Wemwolf", Dativ, wie man's nennt,
"Den Wenwolf", - damit hat's ein End."

Dem Werwolf schmeichelten die Fälle,
er rollte seine Augenbälle.
"Indessen", bat et, "füge doch
zur Einzahl auch die Mehrzahl noch!"

Der Dorfschulmeister aber mußte
gestehn, daß er von ihr nichts wußte.
Zwar Wölfe gäb's in großer Schar,
doch, "Wer" gäb's nur im Singular.

Der Wolf erhob sich tränenblind –
er hatte ja doch Weib und Kind!!
Doch da er kein Glehrter eben,
so schied er dankend und ergeben.

(MORGENSTERN, 1954:90)

ლექსი ეკუთვნის პოეტსა და მისტიკოსს, როგორც მას თაყვანისმცემლები უწოდებენ, ქრისტიან მორგენშტერნს. მისი ლექსების ერთ-ერთი გამომცემელი, მარტინ ბეჰაიმ-შვარცბახი, შენიშნავს, რომ „ქრისტიან მორგენშტერნი" ნამდვილი მისტიკურ-ქრისტიანული გვარ-სახელია, და პოეტი უკეთესს ვერც აირჩევდა თავისი თავისთვის, იმდენად შეესაბამენა იგი მის არსებას. ერთი მხრივ, იგი მომღერალი და მოღიღინე მისტიკოსია, ჭეშმარიტი შთამომავალი ბიემეს, ეკჰარტის და სილეზიუსისა, ინტიმუსი და ადეპტი რუდოლფ შტაინერისა, და ამავე დროს მოძღვარი, მაგრამ, მხიარული მოძღვარი. ძნელად თუ მოიძებნება გერმანელი პოეტი, რომელიც შეედრებოდა მას ღვთის მოსაობით (Frömmigkeit) და სულიერებით, ასტრალურობითა და სიცოცხლის ძალმოსილებით. შდრ. პოტის სახელისა და გვარის მოტივაცია: „ქრისტიან" და „მორგენშტერნ" („ციკრის ვარსკვლავი").

მის პოეზიაში თანაარსებობს მისტიკური მორწმუნეობა და

ბურლესკური კომიზმი, სერიოზულობა და იუმორი. თითქოს პოეტს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სული აქვს – უკიდურესად სერიოზული და უკიდურესად მხიარული, უკიდურესად ლირიკული და უკიდურესად გროტესკული (BEHEIM-SCHWARZBACH, 1962:79).

გარდა ამ დამახასიათებელი ნიშნებისა, რომლებიც ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიაში განსახიერდება, მის პოეტურ ტექსტებში ყურადღებას იპყრობს კიდევ სხვა მომენტები, მკითხველს რომ აოცებენ ორიგინალურობითა და განუმეორებლობით. „მაქცია“ არის სწორედ ერთ-ერთი პოეტურ ტექსტთაგანი, რომელიც ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიის ტიპურ მხარეებს დაგვანახვებს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინტეგრაციული ანალიზი აგებულია შვიდ პარამეტრზე. ეს არის:

- სემანტიკური სტრუქტურა;
- კომპოზიცია;
- თემა;
- სიტყვაწარმოება;
- ცრუეტიმოლოგია;
- პუნქტუაცია;
- ორთოგრაფია.

ლექსში ორი თემა იშლება პარალელურად - ერთი სემანტიკური, რომელიც აგებულია მისტიკურ დენოტატზე, მეორე - გრამატიკული, რომლის დენოტატია არსებითი სახელი Werwolf.

ტექსტის ბათიზმატური ველი ორდინარულია. იგი შედგება 24 ტაეპისაგან, რომლებიც განლაგებულია ექვს სტროფად. ტაეპები ერთმანეთისაგან დაშორებულია თითო სტრიქონთშორისი ინტერვალით, ხოლო სტროფები ორ ორი ინტერვალით. ტოპოლოგიური ჩარჩო ჯდება ნორმის ფარგლებში, არავითარი დეფორმაცია არ შეინიშნება.

ტექსტი არ არის კომპოზიციურად მკაფიოდ დაყოფილი და მისი ნაწილები არქიტექტონიკულად მარკირებული. მაგრამ იმის გამო, რომ ლექსს აქვს მისტიკური თემა, რომელიც იწყება, ვითარდება და მთავრდება, შესაძლებელი ხდება კომპოზიციური ნაწილების გამოყოფაც. პირველი ოთხი ტაეპი შესავალი მიკროტექსტია. მასში ფიქსირდება თემა და შემოიყვანება აქტანტები მაქცია და სოფლის სკოლის მასწავლებელი. ერთ ღამეს მაქცია გაეპარა ცოლ-შვილს, მივიდა სოფლის მასწავლებლის საფლავთან და სთხოვა, მაბრუნეო (ჩემი სახელი აბრუნეო – ვ.ფ.). ამ პირველ შესავალ სტროფში ამოიკითხება პრესუპოზიცია: მაქციას ჰყავს ცოლ-შვილი, მისი ოჯახი მრავალწევრიანია და თითქოს არაფერი უნდა აწუხებდეს. მაგრამ თავის სახელში Werwolf, რაღაც ნაკლს ხედავს. თუ მას ცოლ-შვილი ჰყავს, მაშასადამე მრავლობითის ფორმაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ wer-ს მრავლობითი არა აქვს და ეს არ შეეფერება მის „სოციალურ მდგომარეობას“. მან არ იცის, რაშია საქმე და ამიტომ მიდის სოფ-

ლის მასწავლებლის საფლავზე, რომელიც სწავლული კაცი იყო, საკითხის გასარკვევად.

ტექსტის შემდგომ, შედარებით ვრცელ მონაკვეთში, რომელიც შეიძლება ძირითად მიკროტექსტად ჩაითვალოს ეს არის 2-4 სტროფები, მოთხრობილია, როგორ წამოდგება საფლავიდან სოფლის მასწავლებელი, უსრულებს მაქციას თხოვნას და აბრუნებს მის სახელს: N. der Werwolf, G. des Werwolfs, D. dem Wemwolf, A. den Wenwolf. მაქციას მოსწონს თავისი სახელის ბრუნება და სიამოვნებისაგან თვალის გუგებს გადაატრიალებს. მხოლობითს მრავლობითიც მოუმატეო, სთხოვს იგი სოფლის მასწავლებელს. მაგრამ სოფლის მასწავლებელი გამოუტყდება, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. თუმცა Wölfe მრავლად არის, wer კი მარტოოდენ მხოლობითში შეიძლება იყოსო. ტექსტის ბოლო, ფინალურ სტროფში ამოიკითხება მაქციას იმედის გაცრუება, რა უნდა უთხრას ცოლ-შვილს? თვალცრემლიანი ემშვიდობება იგი სოფლის მასწავლებელს მორჩილებითა და მადლობა-მადლობით.

ტექტის გაგებისა და გაგებინებისთვის საჭიროა წინარეცოდნის მოშველიება. მკითხველმა უნდა იცოდეს, რას ნიშნავს სიტყვა Werwolf, როგორია მისი ეტიმოლოგია, ისტორიული განვითარება და სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა, მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ბოლო სტროფის მესამე ტაეპში ავტორის შენიშვნას: „– და რადგანაც იგი არ იყო სწავლული ...“ თავად მაქცია არ იცნობს თავისი სახელის ისტორიას, მაგრამ ავტორი იცნობს, იყენებს მას და საფუძვლად უდებს ამ აბსურდისტულ ლექსს. საქმე იმაშია, რომ Werwolf რთული სიტყვის ნაწილი wer – თანამედროვე გერმანულში წარმოადგენს კითხვით ნაცვალსახელს, ძველ ზემოგერმანულში კი მას ჰქონდა wër ფორმა და ნიშნავდა „კაცს“, ე.ი. Werwolf=*Mannwolf. საუკუნეების წინ არებობდა ხალხური ცრურწმენა, რომ, თუ ადამიანი მგლის ტყავისაგან გაკეთებულ ქამარს შემოირტყამდა, მას შეეძლო დროდადრო მგლად გადაქცეულიყო. ეს ცრურწმენა დღესაც ცოცხლობს ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთ მხარეში (HALLWASS, 1979:190-191). ქრისტიან მორგენშტერნმა შესანიშნავად იცის ყოველივე ეს და თავის ლექსს სავსებით გააზრებულად აგებს ამ ცრუეტიმოლოგიაზე (Fehletymologie). კერძოდ, თანამედროვე გერმანულში wër ეტიმონი გაბუნდოვნებულია. ფორმით ემთხვევა wer ნაცვალსახელს, რომელსაც მარტოოდენ მხოლობითის ფორმები აქვს. აბსურდისტულად გაშლილი თემის სემანტიკურ ფენაზე დაშრევებულია მეორე გრამატიკული ფორმა wer ნაცვალსახელის ბრუნება. მკითხველს, ერთი მხრივ, შესაძლებლობა აქვს გააცნობიეროს wer გრაფოსიტყვის მორფოლოგიური პარადიგმა, ხოლო, მეორე მხრივ, თავი შეიქციოს ავტორის ორიგინალური მიგნებით, რომელიც სერიოზულად ამოქმედებს და ალაპარაკებს ორივე აქტანტს, და ასეთივე სერიოზულობით გამოხატავს თანაგრძნობას მათ მიმართ. ამ დივინაციის შემდეგ მკითხველი ხედავს აღწერილი მისტიკური სიტუაციის მთელ აბსურდულობას და გროტესკულობას, გაოცებულია ავტორის წარმოსახვის ძალით, პოეტური მიგნებით, მხატვრული ოსტატობით და მის თაყვანისმცემელთა რიგებს ავსებს.

ტექსტს გასდევს ორი ტოპიკალური ჯაჭვი ორი აქტანტის შესაბამისად: ერთია Werwolf ... mich ... zum Wolf ... der ... seine ... dem Werwolf ... er ... er ... der Wolf... er ... er ... er; მეორეა - eines Dorfschullehrers ... ihn ... der Dorfschulmeister ... seine ... vor dem Toten ... der gute Mann ... der Dorfschulmeister ... er ... ტოპიკალურ ჯაჭვებს ქმნიან არსებითი სახელები, პირის, კუთვნილებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები. Werwolf არსებითი სახელის ბრუნვები, ჩვენი აზრით, არ უნდა ჩაითვალოს ტოპიკალურ ელემენტებად, რადგანაც ისინი არ არიან ტოპიკალური ჯაჭვის უშუალო რგოლები.

გრამატიკული ფორმების გამოყენება არ უხვევს ნორმიდან, თუ არ ჩავთვლით Werwolf-ის ბრუნებას. ავტორისეულ ენაში გამოყენებულია პრეტერიტუმი როგორც თხრობის წარსული. პრეზენსი გვხვდება პირდაპირ თქმაში. ყველა დროის ფორმა წარმოდგენილია თხრობით კილოში, მხოლოდ gäb's არის პრეტერიტუმ კონიუნქტივი, რომელიც ორჯერ გვხვდება ირიბი თქმის გადმოსაცემად (მეხუთე სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპი).

თანამედროვე გერმანული ენის ნორმების მიხედვით რთული სიტყვის მორფოლოგიური სტატუსი დგინდება არა მსაზღვრელი კომპონენტის, არამედ ბირითადის მიხედვით. რთული არსებითი სახელის ბრუნების, ბრუნვის, რიცხვისა და სქესის მატარებელია მეორე – მარჯვენა კომპონენტი. ამიტომაც Wer როგორც რთული სიტყვის პირველი კომპონენტი საერთოდ არ იბრუნვის არც მხოლობითში და არც მრავლობითში. ამ ნორმის დარღვევას იყენებს პოეტი დომინანტად და თხზავს შესანიშნავ ლექსს.

Sg.	Pl.
N. der Werwolf	die Werwölfe
G. des Werwolfs	der Werwölfe
D. dem Werwolf	den Werwölfen
A. den Werwolf	die Werwölfe

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ ენაში მაინც არსებობს შემთხვევები რთული სიტყვის დერივაციულ სტრუქტურაში მორფოლოგიური ინფიქსების ჩართვისა. დუდენის მართლწერის ლექსიკონში დაფიქსირებულია შერწყმული სიტყვის ასეთი ნიმუში:

Heilige[n]dreikönigstag
Heilige[n]dreikönigstag[e]s
Heilige[n]dreikönigstage
ein Heilige[r]dreikönigstag

(DUDEN, 1980:320)

არსებობს აგრეთვე არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის პერმუტაციის შემთხვევები, როდესაც მრავლობითი რიცხვის მორფემა გადატანილია დერივაციული სუფიქსის წინ: das Kindchen – die Kind[er]chen, das Kindlein – die Kind[er]lein (იქვე, 320).

კომპოზიტის პირველი კომპონენტის ბრუნების შემთხვევები გვხვდება ჩვენებით ნაცვალსახელებში: derjenige, desjenigen, demjenigen, denjenigen ... აგრეთვე ორ- და სამკომპონენტიან თხზულ სიტყვებში, რომელთა პირველი კომპონენტი ბრუნებადი ზედსართავი სახელია, მაგალითად,

N. die Langeweile	als Langeweile
G. der Lange[n]weile	wegen ihrer Lange[n]weile
D. der Lange[n]weile	aus Lange[r]weile
A. die Langeweile	für seine Langeweile

კომპოზიტების ამავე რიგს განეკუთვნება Dummenjungenstreich და Hoheslied (HALLWASS, 1979:620). ქრისტიან მორგენშტერნი ოსტატურად იყენებს ამ არაორდინარულ დერივაციულ მოდელს და მისი ჩართვით აბსურდულ მისტიკურ სიტუაციაში ქმნის აბსურდისტული პოეზიის განუმეორებლ ნიმუშს.

რაც შეეხება ტექსტის მეტრიკასა და ორთოგრაფიას უნდა ითქვას შემდეგი:

ტაეპების სტრუქტურა და სიგრძე ემთხვევა სინტაქსურ დაყოფას. პირველი სტროფის სამტაეპნახევარი ერთი რთული თანწყობილი წინადადებაა, რომლის ნაწილები ერთმანეთს უკავშირდება und კონექტორით. მეორე სტროფიც რთული წინადადებაა, მაგრამ ქვეწყობილი და, შესაბამისად, შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისგან. კონექტორებად გამოყენებულია und და der გრაფოსიტყვები და ა.შ.

ტექსტში გამოყენებული მეტაგრაფემული ნიშნები ნორმის ფარგლებში ჯდება. ბრჭყალებით მარკირებულია პირდაპირი თქმა და გრაფომარცვალი wer, რომელიც ჩასმულია ბრჭყალებში, რადგან ენობრივ ნიშანს აღნიშნავს და არა დენოტატს, ხოლო - wolf მარცვალს ეს არ სჭირდება, რადგან ის თავის დენოტატს აღნიშნავს (მეხუთე სტროფი). ტირე გვხვდება ორჯერ: ერთხელ მესამე სტროფის მეოთხე ტაეპში, სადაც მისი ფუნქციაა პარადიგმული ფორმების გამოყოფა და დასრულების აღნიშვნა, ასევე პაუზის მარკირება პირდაპირი თქმის საზღვრის წინ, მეორედ – მეექვსე სტროფის პირველი ტაეპის ბოლოს ჩართული წინადადების წინ, რომელიც სტილისტიკურად რიტორიკულ შეძახებას წარმოადგენს. ეს რიტორიკული ფიგურა გაძლიერებულია ორი ძახილის ნიშნით: "er hatte doch Weib und Kind!!"

დაბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ მაიუსკულებისა და მინუსკულების გამოყენება ექვემდებარება ორთოგრაფიულ ნორმებს და სინტაქსური ერთეულების გამოყოფის წესებს. მაიუსკულებით იწერება არსებითი სახელები, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილები მინუსკულებით. მაიუსკულებით იწერება ყველა გრაფემა წერტილის შემდეგ ახალი წინადადების დაწყებისას და ყველა სტროფის პირველი გრაფემა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ტაეპისა და სინტაქსური ერთეულების დამთხვევას. მხოლოდ ერთი გამონაკლისი შეინიშნება, კერძოდ, მეხუთე სტროფში გაწყვეტილია პირველი სალექსო სტრიქონი და სიტყვა გადატანილია მეორე სტრიქონზე:

V სტროფი. Der Dorfschulmeister aber **mußte**
gestehen, daß er von ihr nichts wußte.
(ბაზი ჩვენია - ვ.ფ.)

ეს გრაფოფიგურა იწოდება ტაეპურ ანჟამბემანად.

რითმების სქემები ლექსში ასეა განაწილებული: I სტროფი – რკალური რითმები (abba); II, III, IV, V, VI სტროფი - მოსაზღვრე/პარალელური რითმები (aabb).

ქრისტიან მორგენშტერნის „მაქციას" წაკითხვა და გაგება ისევე საინტერესო და სასიამოვნო იქნება მკითხველისათვის, როგორ ჩვენ მიერ ზემოთ უკვე განხილული სხვა ლექსები. მიუხედავად იმისა, რომ „მაქციას" ბათიზმატური ველი უფრო გამჭვირვალეა ამავე ავტორის ზოგიერთ ლექსთან შედარებით, მასში მაინც ბევრი რამ არის ამოსაკითხი და ამოსაცნობი, რაც მას მომხიბვლელობას მატებს, ამიტომ დივინაციისა და ინფერენცის პროცესი მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს.

მეთექვსმეტე ქვეთავის დასკვნები

1. ტექსტის ინტერპრეტაციას ბათიზმატური ველის ცალკეული ფენების პუანტირებით არა აქვს ერთადერთობის პრეტენზია და არც შეიძლება ჰქონდეს. ის არ უარყოფს სხვა შესაძლო ინტერპრეტაციებს, რომლებიც ფაქტობრივად არსებობენ, თეორიულად არიან შემაგრებული და ტექსტის ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენებიან. საკითხის დასმა, რომელ ინტერპრეტაციას უნდა მიეცეს უპირატესობა და რომელი რომელს სჯობია, უმართებულოა. შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს: როგორია, რა ხარისხისაა ინტერპრეტაცია და არა რომელია.
2. ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ნიშნავს მხატვრულ ტექსტში ყოფიერების საზრისის დადგენას და მის ენობრივ დაფუძნებას. მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია გამოირჩევა პოეტური ტექსტის სიღრმული გააზრებით და ენოებრივი მასალის მრავალასპექტობრივი ანალიზით. გეორგ თრაკლის პოეტურ სამყაროში იგი ეძებს და პოულობს ძირითად ორიენტირებს, რომელთა მეშვეობითაც მიემართება პოეტის ინდივიდუალური შემოქმედების შინაგანი არსებისაკენ და ავლენს მის სიმპტომებს, ცალკეულ ლექსებში რომ არის გაფანტული. მოაზროვნე და პოეტი, აზრი და სიტყვა - ურთიერთგანმაპირობებელი კომპონენტებია. ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის განუყოფელი ნაწილია ენის ფაქტორი.
3. მხატვრული ტექსტის ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაცია შეიძლება სხვადასხვა ასპექტში განხორციელდეს იმის მიხედვით, თუ რომელი პოეტის რა ნაწარმოების განხილვა ხდება, და რა მიზანს ისახავს მკლევარი. ნაირა გელაშვილის ინტერპრეტაცია, რომელიც ორი საგაზეთო სტა-

ტიით არის წარმოდგენილი და, იმდენად, ვიწრო ფაგლებშია მოქცეული, საინტერესოა იმით, რომ იგი ეხება იმავე პოეტს, ვისაც მარტინ ჰაიდეგერი, და დანახულია ლიტერატურათმცოდნის თვალით. ის ფიქრობს, რომ გეორგ თრაკლის შემოქმედების წყარო არის ყოფიერების საიდუმლოება, რომლის სიღრმიდანაც მოედინება მისი ხილვადი და ლანდშაფტური პოეზია. თრაკლის პოეტური ხილვა ორ პოლუსს - ვარსკვლავსა და ჯოჯოხეთს შორის წარმოიდგინება. პოეტი გოდებს თავისი სულის უკუღმართობის გამო, რომლის სარკედაც მას თავისი თავი მიაჩნია.

4. ტექსტის გრაფემულ-გრაფიკული ფენის და ტოპოლოგიური ჩარჩოს უკიდურესი სიმბოლიზაცია დამახასიათებელია განსაკუთრებით კონკრეტული და ვიზუალური პოეზიის წარმომადგენლებისთვის. ეს სიმბოლიზაცია ხორციელდება სხვადასხვა გრაფოესთეტიკური ხერხით, მათ შორის გრაფემების გამოკლებით (Substraktion), მიმატებით (Addition), გამრავლებით (Multiplikation), გაყოფით (Division) და გაცვლით, ან გადაადგილებით (Permutation).

   უკიდურესად ფორმალიზებული ტექსტები ორგვარია: პირველადი და მეორადი. პირველადი იქმნება უშუალოდ პოეტის მიერ საკუთარ თემაზე, მეორადი - რომელიმე სხვა ავტორის ნაწარმოების სიუჟეტზე ან თემაზე. ამ ტექსტებისთვის დამახასიათებელია სემიოტიკური აბსტრაქციის მაღალი ხარისხი, გაგება-გაგებინების დივინაციური და ინფერენციული სიმნელეები.

5. ინტეგრაციული ინტერპრეტაცია მოიაზრება როგორც ანალიზის კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც მიეყენება ტექსტს რამდენიმე ან მრავალკომპონენტიანი ფაზების სახით. თუ ბათიზმატური ინტერპრეტაციის გამოსავალი ველის ხუთი ფენა ტექსტის შინაგანი სტრუქტურული ელემენტებიდან მოემართება ტექსტის მთლიანობისაკენ, ასე ვთქვათ, შიგნიდან გარეთ, ინტეგრაციული ინტერპრეტაცია მიმართულია ტექსტის სტრუქტურისაკენ გარედან შიგნით. აქედან გამომდინარე, მასში შეიძლება ხდებოდეს ხუთზე მეტი ან ნაკლები კრიტერიუმის ინტეგრაცია. გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ბათიზმატური ველის რომელი ფენაა პუანტირებული ან, საერთოდ, არის თუ არა პუანტირებული. ინტეგრაციული კრიტერიუმების და ფაზების შერჩევა თუ პუანტირება ხდება თავად ინტერპრეტატორის მიერ, რა თქმა უნდა, ტექსტის შინაგანი სტრუქტურის გათვალისწინებით. ორივე შემთხვევაში ინტერპრეტაციის საგანი არის ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება.

   ტექსტის კვლევისა და ანალიზის პრობლემებისადმი მიდგომა, რომელიც მონოგრაფიაშია გაზიარებული ახალ პერსპექტივებს უშლის ტექსტის მკვლევარებსა და ინტერპრეტატორებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კომუნიკაციური მოდელის ახალი პარადიგმა, რომელსაც აქცენტი ავტორიდან ტექსტსა და მკითხველზე გადააქვს, აგრეთვე ტექსტის გაგება როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი მანიფესტაციისა და ჰერმენევტიკული მეთოდის ინტენსიფიკაცია ტექსტის კვლევასა და ინტერპრეტაციაში.

რეზიუმე

ტექსტის ლინგვისტიკის რაობა ორგანულად არის დაკავშირებული ტექსტის ცნებასთან. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიაზრება ტექსტი კომუნიკაციის ძირითად ერთეულად კომუნიკაციის არხის სპეციფიკის გათვალისწინებით თუ უმისოდ, ჩამოყალიბებულია ორი თვალსაზრისი: ერთი ტექსტად თვლის ყოველგვარ ენობრივ ფენომენს განურჩევლად იმისა, წერილობითი წარმონაქმნია ის, თუ ზეპირი გამონათქვამი, მწერლის მთელი შემოქმედება, საგაზეთო სტატია, პოლილოგი თუ შორისდებული, ხოლო მეორე – ზღვარს ავლებს მათ შორის და ახდენს დიფერენციაციას კომუნიკაციის არხის სუბსტანციური განსხვავებულობის მიხედვით. მეორე თვალსაზრისის წარმომადგენლები წერილობით წარმონაქმნს აღნიშნავენ ტერმინით ,,ტექსტი", ზეპირ გამონათქვამს ტერმინით ,,დისკურსი", შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკა გაიგება როგორც წერილობითი ერთეულების შემსწავლელი დისციპლინა, ხოლო დისკურსული ლინგვისტიკა როგორც ზეპირი გამონათქვამისა.

ამრიგად, ტექსტის ლინგვისტიკის მრავალსახეობა შეიძლება ასე დაკონკრეტდეს: არსებობს ტექსტის ლინგვისტიკა ფართო გაგებით - მას შეიძლება ეწოდოს ზოგადი ტექსტის ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა ვიწრო გაგებით – მას შეიძლება ეწოდოს საკუთრივ ტექსტის ლინგვისტიკა, და დისკურსული ანალიზი (ლინგვისტიკა). სამივე სახე განაგრძობს განვითარებას ერთმანეთის პარალელურად, ამასთანავე ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსული ანალიზის დამოუკიდებელ დისციპლინებად ცნობის ტენდენცია სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება.

მონოგრაფიაში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა ხდება ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში, მაგრამ ზოგადი ტექსტის ლინგვისტიკის ფონზე და დისკურსთან შეპირისპირებით. მონოგრაფია იყოფა ორ ნაწილად. პირველში განხილულია პრობლემები ტექსტის სპეციფიკაციის გარეშე, მეორეში მისი გათვალისწინებით.

ტექსტის ლინგვისტიკაში თანაარსებობენ თეორიული და ინტერპრეტაციული ასპექტები. თეორიულ ასპექტში მკვლევარი განსაზღვრავს ტექსტის არსებით ნიშნებს, ადგენს მათი არსებობის წესს და აცნობიერებს მის ონტიურ არსს, ხოლო ინტერპრეტაციულ ასპექტში განმმარტებელი აანალიზებს ტექსტის ნიმუშებს მათი გაგება-გაგებინების მიზნით. ტექსტის თეორია იკვლევს, რა არის ტექსტი, ინტერპრეტაცია ათვალსაჩინოებს როგორ ხდება ტექსტის საზრისის ამოცნობა და მისი გამოხატვის საშუალებების მიზანშეწონილად განლაგება (არანჟირება).

ტექსტის ლინგვისტიკის სტატუსის დადგენისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი დამოკიდებულების გარკვევას მომიჯნავე დისციპლინებთან, რაც ხორციელდება ერთი მხრივ, რეტროსპექციულად მემკვიდრეობითი კავშირების გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, პერსპექტიულად ამ კავშირების განვითარებისა და ახალი კავშირების ძიების გზით.

ენათმეცნიერული დისციპლინების მოდელში ტექსტის ლინგვისტიკა იკავებს ადგილს სისტემური დონეებისა და სტილისტიკის ზევით, შესაბამისად, მასში აისახება მის ქვევით მდებარე დონეების რეფლექსები, რომელთა ექსრაპოლირება ხდება ტექსტის ლინგვისტიკის დონეზე ენობრივი ერთეულების სათანადო ტრანსპონირებით. ტექსტის ლინგვისტიკის საბაზისო ერთეულად მიჩნეულია **ტექსტემა**, რომელსაც ამ ერთეულების იერარქიაში ყველაზე მაღალი ადგილი მიეკუთვნება (შდრ. გრაფემა⇒მორფემა⇒ლექსემა⇒სტილემა⇒ტექსტემა).

შედარებით გარკვეულია ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთობა გრამატიკასთან, ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკასთან. ნაკლებად გამოკვეთილია მისი კავშირი ტექსტით დაინტერესებულ სხვა დისციპლინებთან. სამომავლო კვლევაძიება უნდა წარიმართოს პირველ რიგში გრაფემულ ლინგვისტიკასთან და წერისმცოდნეობასთან მისი კავშირების დადგენის მიმართულებით. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს იმ პოსტულატიდან, რომელიც ტექსტს მიიჩნევს ენობრივი მოღვაწეობის **წერილობით** მანიფესტაციად.

რამდენადმე მოინიშნა ტექსტის ლინგვისტიკის ინტერესები გრაფემულ-გრაფიკული საშუალებების ფუნქციონირებისადმი ტექსტში. როგორც ჩანს, აქტუალური ხდება ტექსტის აზრობრივი დანაწევრებისა და გმულობის გამოხატვის გრაფიკული საშუალებების იდენტიფიკაცია/კლასიფიკაცია, რაც შეიძლება განხორციელდეს ტექსტში მეტაგრაფემული ნიშნების ინვენტარის აღწერით და მათი ფუნქციონირების წესების დადგენით. ტრადიციული პუნქტუაციისაგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს მეტაგრაფემული ნიშნების ფუნქციონირებას წინადადების ფარგლებში, ამ უფრო მაღალი დონის სისტემას შეიძლება ეწოდოს „ტექსტის პუნქტუაცია", „კოჰეზიის გამოხატვის გრაფიკული საშუალებები" ან სხვა რამ.

ტექსტის ლინგვისტიკამ რიტორიკისაგან მემკვიდრეობით მიიღო კომუნიკატორის (ორატორის, ავტორის) როლის წინ წამოწევა, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის ნიმუშების შედგენის მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვა, ორატორული ხელოვნების საფეხურებრივი დაუფლების რეკომენდაციები. ყოველივე ამას დღესაც არ დაუკარგავს ძალა, მაგრამ კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ახლა აქცენტს აკეთებენ კომუნიკაციის პროცესის პარტნიორების თანასწორუფლებიანობაზე, უფრო მეტიც, შეინიშნება კომუნიკაციის მედიუმისა და კომუნიკანტის მნიშვნელობის გათანაბრება.

კომუნიკაციის მედიუმის ორი სახის ფიზიკალური სხვაობა მოითხოვს შემდგომ სპეციფიკაციას, ზეპირი და წერილობითი არხების გაცალკევებას. ზეპირი კომუნიკაციისგან განსხვავებით, სადაც კომუნიკაციის პროცესი მთლიანია. წერილობითში ეს მთლიანობა ირღვევა და მოდელი ორად იყოფა. გაყოფას იწვევს, ერთი მხრივ, ტექსტისა და დისკურსის სუბსტანციური განსხვავებულობა, მეორე მხრივ კი, ტექსტის აქტიურობა კომუნიკაციის პროცესში, რასაც განაპირობებს ტექსტის არსებობის წესი ალიენაცია. ტექსტი იკავებს კომუნიკატორის ადგილს, კომუნიკაცია მიმდინარეობს უშუალოდ ტექსტსა და კომუნიკანტს შორის კომუნიკატორის გვერდის ავლით:

სემიოლოგები და ჰერმენევტიკოსები ამ მოვლენას „ავტორის სიკვდილს“ უწოდებენ.

ფოკუსის გადანაცვლება კომუნიკატორიდან ტექსტსა და კომუნიკანტზე თანამედროვე სემიოტიკისა და ლინგვისტიკის მონაპოვარია. წერილობითი ენის ფუნქციის ზრდა და წერისმცოდნეობის ახალი პარადიგმა წერილობითი მოღვაწეობის რამდენადმე გადაჭარბებულ შეფასებასაც კი იწვევს. „წერა არის უმაღლესი კომუნიკაცია“. ასე გამოხატავს თავის სიმპათიას ზოგი თაყვანისმცემელი წერილობითი მოღვაწეობისადმი. ტექსტის აღზევება იწვევს მკვლევართა ინტერესის გაძლიერებას ტექსტისადმი და განსხვავებული მიდგომების სიმრავლეს. ტექსტის ონტიური არსის გაუთვალისწინებლად კომუნიკაციის ძირითად ერთეულად მოიაზრება ბივალენტური წარმონაქმნი, ზეპირი და წერილობითი ფორმების ამალგამა. ხოლო ტექსტის ცნების სპეციფიკაციას ლოგიკურად მოსდევს ტექსტის დახასიათება სამ რაკურსში, კერძოდ, იგი განიხილება როგორც:

= სუპერნიშანი - სემიოტიკური პლანი;

= სალიტერატურო ენის ნიმუში;

ა) მხატვრული (ფიქციონარული) ნაწარმოები – ლიტერატურათმცოდნეობითი პლანი;

ბ) დარგობრივი ტექსტი - ფუნქციონალური პლანი

= ენობრივი წარმონაქმნი - ტექსტოლინგვისტიკური პლანი;

სამივე რაკურსში თანამდევი მნიშვნელობაა „წერილობითი“.

მონოგრაფიაში წინ წამოწეულია მესამე პლანი, დანარჩენი ორი კი მოიშველიება სათანადო შემთხვევაში.

ტექსტის მოდელირების ცდები ძირითადად ორ კრიტერიუმს ეყრდნობა – ინტერნულს და ექსტერნულს. ერთი არ არსებობს მეორის გარეშე, მაგრამ მოდელის აგებაში მოქმედებს არსებითობის პრინციპი. თუ ინტერნული მოდელი აიგება, ყურადღება ტექსტის შინაგან სტრუქტურაზე გამახვილდება, თუ ექსტერნული – კომუნიკაციის პირობებსა და პარტნიორების ურთიერთმიმართებაზე.


ტექსტის ინტერნული მოდელის საფუძველია ასოციაცია სივრცეში გამლილ ველთან. ტექსტის სივრცობრივი გააზრება სავსებით ბუნებრივია და მისი ონტიური არსიდან გამომდინარეობს. ამიტომ არის, რომ იგი წარმოიდგინება ხან **ზადედ** ინდივიდსა და რეალობას შორის, საიდანაც კომუნიკატორი იღებს მისთვის საჭირო რეგლამენტირებულ წერილობით ფორმებს (როლან ბარტი), ხან **ადგილად**, სადაც ფოკუსირებულია ინდივიდის (პოეტის) მთელი ნააზრევი და ნათქვამი (მარტინ ჰაიდეგერი).

ტექსტის სივრცობრივი წარმოდგენა მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას. რადგანაც სივრცეც არის და სივრცეც. მონოგრაფიაში ტექსტი მოიაზრება ბათიზმატური ველის სახით, რომელიც გამლილია **ხუთფენოვან** სტრუქტურირებულ სივრცეში. ეს ფენებია ტოპოლოგიური ჩარჩო, გრაფემულ-გრაფიკული ფენა, არქიტექტონიკული ფენა, (აქტუალიზებული) ენობრივი და სემანტიკური ფენები. იდეალიზირებული ველის სტრუქტურა აქვთ ტექსტების დიდ ნაწილს. ზოგი სტრუქტურა ხარვეზიანია იმის გამო, რომ რომელიმე ფენა არ გააჩნია. ეს არ ეხება აქტუალიზებული ენის ფენას. ის ყველა ტექსტში მყოფობს.

ბათიზმატური ველის ფენები მეტ-ნაკლები აქტივობით გამოირჩევიან **ორდინარულ** ტექსტებში თითქოს მთვლემარე მდგომარეობაში არიანო, ისინი თანაბრად და მშვიდად ფუნქციონირებენ. **პუანტირებულ** ტექსტებში რომელიმე მათგანი აქტივობას იჩენს, თვალშისაცემია და ტექსტს თავისებურ აურას უქმნის.

ბათიზმატური ველის კომპონენტების მიხედვით ინტერპრეტატორს შეუძლია გამოყოს ტექსტის ანალიზის ასპექტები: ლექსიკური, სემანტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური), სიტყვაწარმოებითი და ბოლოს, გრაფემულ-გრაფიკული. ყველა ასპექტი ემსახურება საზრისის გაცნობიერებას. ტექსტის ლინგვისტიკა ხომ „საზრისის ლინგვისტიკაა“. ხაზი უნდა გაესვას ტოპოლოგიური ჩარჩოსა და გრაფემულ-გრაფიკული ფენის წვლილს ტექსტის ფორმირებაში. ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაცია და გრაფიკულ-გრაფემული ფენის დესტრუქცია ტექსტის მრავალფეროვანი ნიმუშების, მათ შორის ფიგურულის, შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ტექსტები ბევრ თავსატეხს უჩენს მკითხველს და ინტერპრეტატორს. მათ უნდა ამოხსნან ტექსტში ჩადებული გრაფორიტორიკული რებუსები, თუ სურთ, ვიზუალური ნახშები გაარჩიონ, საზრისი ამოიკითხონ და ესთეტიკური სიამოვნება მიიღონ.

ბათიზმატური ველი უპირისპირდება დეიქტიკურს როგორც ინტერნული სტრუქტურა ექსტერნულს. ეს დაპირისპირება გამომდინარეობს კომუნიკაციის არხის სუბსტანციური არსიდან და კომუნიკაციის მონაწილეების დისტანცირების ფაქტორიდან. ამასთანავე ეს ველები ერთმანეთის მიმართ ასიმეტრიულ სიბრტყეზეა განლაგებული, სახელდობრ,



დეიქტიკური ველი (ა)არსებითად ზეპირი კომუნიკაციის ექსტერნული მოდელია და განუყოფელია. კომპონენტების ფუნქციონირებას განსაზღვრავს მათი თანაობა (Anwesenheit). ამის საპირისპიროდ წერილობით კომუნიკაციაში (ბ)კომუნიკაციის პროსცესი ორად იყოფა. თუმცა ტექსტი ორივეგან მყოფობს. ის პირველ ფაზაში წერილობითი მოღვაწეობის შედეგია, მეორეში – კომუნიკატორის სუბსტიტუტი, რომელიც ართმევს მას ფუნქციას და მისსავე რანგში აღზევდება. პირველ შემთხვევაში ის პასიური პარტნიორია და დამოკიდებულია კომუნიკატორზე, მეორე შემთხვევაში, როდესაც ხდება მისი ალიენაცია და ავტორის ნებისაგან გათავისუფლება, იგი უშუალოდ შედის კავშირში კომუნიკანტთან. ამრიგად, ახლა ურთიერთობა მყარდება ტექსტსა და კომუნიკანტს შორის. მკითხველი არ იმყოფება დეიქტიკურ ველში. მას უშუალო შეხება აქვს მხოლოდ ტექსტის ბათიზმატურ ველთან.

კომუნიკატორის მიერ ვერბალიზებული აზრი, შესაბამისად, ტექსტში ჩადებული საზრისი, და კომუნიკანტის მიერ მისი აღქმა, არ ფარავს ერთმანეთს. მიჩნეულია, რომ ტექსტის საზრისის გაგება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, არამედ არის მხოლოდ მიახლოებითი. ამ პოსტულატის აღიარება ათავისუფლებს როგორც კომუნიკატორს ისე კომუნიკანტს დისკომფორტისა და შიშისაგან, ვაითუ ტექსტი გასაგებად ვერ შევთხზა ან სწორად ვერ გავიგოო, აძლევს მათ საშუალებას შექმნან საკუთარი ტექსტი და გაიგონ სხვისი თავისი შესაძლებლობისა და მიზნის შესაბამისად.

ის თეორია და ინტერპრეტაცია, რომელიც ამ თავისუფლებას იძლევა, მაგრამ აუცილებელი წინაპირობებით ზღუდავს, არის ჰერმენევტიკა – გაგებისა და გაგებინების მეცნიერება, თეორია და პრაქტიკა. მისი მეთოდი წარმოიდგინება წრის ან სპირალის სახით, რომლის შემოხაზვა გულისხმობს მკვლევრის/ინტერპრეტატორის წინასწარ გააზრებულ მიდგომას საკვლევი/საანალიზო ობიექტისადმი, მიზნის შესაბამისად წინა პირობების ჩამოყალიბებას, წინარეცოდნის დაგროვებას და ამ გზით ტექსტის საზრისის ნაბიჯ-ნაბიჯ აღქმას. იგი იწყებს ტექსტიდან და ტექსტსავე უბრუნდება, წრიულობა გარდაუვალია. გაგება ამ პროცესის ყველა რგოლში დევს, თანდათანობით სრულიყოფა და უახლოვდება აბსოლუტურ ზღვარს, მაგრამ ბოლომდე ვერ აღწევს, მაინც მიახლოებითი რჩება. კომუნიკატორი პირველი ინტერპრეტატორია, რადგანაც ტექსტს თავისი გაგების შესაბამისად აგებს; მკითხველი მეორე ინტერპრეტატორია, ვინც ტექსტს იგებს; ხოლო მესამე, საკუთრივ ინტერპრეტატორია, ის, ვინც ტექსტს აანალიზებს, ჯერ თავად იგებს და მერე სხვას აგებინებს.

ჰერმენევტიკის განვითარება განსხვავებული გზებით მიდის და სხვადასხვა სახეს იღებს. ტექსტის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია უპირველეს ყოვლისა ენობრივი ინტერპრეტაციაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია სემიოტიკასთან, ფილოსოფიურ და ლიტერატურათმცოდნეობით ჰერმენევტიკასთან. ტექსტის ენა არის უშუალო ენათმეცნიერული დაკვირვების საგანი, ხოლო სხვა ასპექტები ქმნიან ინტერპრეტაციის ფონს. რადგანაც ენა ყველაზე სრულყოფილად

პოეტურ და ფიქციონალურ ტექსტებში ვლინდება, სწორედ ის ითვლება საუკეთესო ნიმუშად ინტერპრეტაციისთვის.

ტექსტის ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება დაფუძნდეს შლაიერმახერის, შტაინთალისა და ბირეს ნააზრევის სინთეზზე, რომელიც უნდა განხორციელდეს საფეხურებრივად დივინაციისა და ინფერენცის ხერხების გამოყენებით. ამასთანავე ძირითადი მიზანია არა ავტორის ინდივიდუალობის ჩვენება, არამედ ტექსტში ჩაუნჯებული საზრისის წვდომა (ავტორის ინდივიდუალურობის გათვალისწინება მხოლოდ დამხმარე ფაქტორია). ფოკუსის გადანაცვლება ავტორიდან ტექსტზე იწვევს ფსიქოლოგიური მომენტის უკანა პლანზე გადაწევას და ინტერპრეტატორის ინტერესს მიმართავს პირველ რიგში ტექსტის სტრუქტურის ენობრივი ფენისკენ. ტექსტის საზრისი ამოკითხვის უპირველესი საშუალებაა ენა. ენის გარეშე ტექსტი არ არსებობს და არც ლინგვისტიკური კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

ტექსტის ინტერპრეტაციის ასპექტების გამოყოფა საზრისის ძიებას ემსახურება. ბათიზმატური ველის ფენების თვალსაჩინოდ წარმოდგენა ტექსტის ინტერნულ სტრუქტურას გამჭვირვალეს ხდის. ხუთი ფენიდან აქტუალიზებულ ენის ფენას ყველაზე მეტი დატვირთვა მოუდის. პუანტირებული იქნება ის თუ არა, საზრისის კოდირების და დეკოდირების გასაღები მაინც ის არის, სხვა ფენები მას ექვემდებარებიან და წარმოადგენენ ექსტრალინგვისტურ მოცემულობებს, მაგრამ გავლენას ახდენენ საზრისის გაცნობიერების პროცესზე. ამასთანავე შეინიშნება ასეთი კანონზომიერება: რაც უფრო ძლიერია ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაცია და გრაფემულ-გრაფიკული სუბსტრატის დესტრუქცია, მით უფრო ძნელი მოსახელთებელია საზრისი და, შესაბამისად, იზრდება დივინაციისა და ინფერენცის როლი.

ტექსტის ინტერპრეტაციის კრიტერიუმად ხუთფენიანი ბათიზმატური ველის მოდელის აგებას არა აქვს აბსოლუტურობის პრეტენზია. არსებობს სხვა, აგრეთვე საინტერესო (და შესაძლოა უფრო საინტერესო მიდგომები, რომლებიც სხვა კრიტერიუმებს იყენებენ. ასეთია მაგალითად, ტექსტის ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაციები, აგრეთვე ტოპოლოგიური ჩარჩოსა და გრაფემულ-გრაფიკული ფენის უკიდურესი სიმბოლიზაცია. მონოგრაფიაში ეს ასპექტები დანახულია ლინგვისტის თვალით, ძირითადი ყურადღება მიპყრობილია ენობრივ მხარეზე, ხოლო ინტერპრეტაციის ფილოსოფიური, ლიტერატურათმცოდნეობითი და სემიოტიკური ელემენტები ამ შემთხვევაში მიჩნეულია მეორად ფაქტორებად.

არანაკლებად საინტერესოა ინტეგრაციული ინტერპრეტაცია, რომელიც არ იზღუდება ტექსტის ხუთფენიანი ბათიზმატური მოდელით და კრიტერიუმების შერჩევის თავისუფლებას სთავაზობს ინტერპრეტატორს.

ტექსტის როგორც უნივერსალური მოვლენის პოსტულირება ტექსტის მკვლევარს საშუალებას აძლევს ორ ან რამდენიმე ენაზე შექმნილი ტექსტები ერთი უნივერსალური მეთოდით გაანალიზოს. ტოპოლოგიური ჩარჩოსა და გრაფე-

მულ-გრაფიკული ფენის დივინაცია ვიზუალური ტექსტების შექმნის საშუალებაა, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი სამწერლო ტრადიციების მქონე ენები, მათ შორის ქართულიც. ამ მაღალგანვითარებულ სამწერლო ენის ნიმუშებში უხვად არის გაბნეული ტექსტები, რომლებიც აგებულია ტოპოლოგიური ჩარჩოს დეფორმაციასა და გრაფემულ-გრაფიკული ფენის არაორდინარულ დესტრუქციაზე. ქართული ფიგურული ტექსტები, ისევე როგორც პოეტური ტექსტები საერთოდ, ჯდება ევროპული კულტურის ზოგად ჩარჩოში.

ქართულენოვანი ტექსტების ინტერპრეტაცია მონოგრაფიაში მოკლე ექსკურსებად არის ჩართული და მიზნად არ ისახავს ტიპოლოგიურ შეპირისპირებას. ორივე ენის ემპირიული მასალა მხოლოდ ერთი უნივერსალური კრიტერიუმის საფუძველზეა წარმოდგენილი. ეს არის ტექსტის ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება.

ტექსტის კვლევისა და ანალიზის პრობლემებისადმი მიდგომა, რომელიც მონოგრაფიაშია გაზიარებული ახალ პერსპექტივებს უშლის ტექსტის მკვლევრებსა და ინტერპრეტატორებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კომუნიკაციური მოდელის ახალი პარადიგმა, რომელსაც აქცენტი ავტორიდან ტექსტსა და მკითხველზე გადააქვს, იგი ტექსტის გაგებას უკავშირებს ენობრივი მოღვაწეობის წერილობით მანიფესტაციასა და ჰერმენევტიკული მეთოდის ინტენსიფიკაციას.

In memoriam meines Sohnes

Kacha Kazitadse

Die zweite ergänzte Auflage

Viola Purzeladse

Text als schriftliche Manifestation der sprachlichen Tätigkeit

Kurzfassung

Einleitung

Die germanistische Sprachwissenschaft spiegelt alle Etappen der Entwicklung der allgemeinen Linguistik wider, hält mit den neuentstandenen Theorien und Methoden Schritt, behandelt aktuelle Probleme und sucht die Wege nach ihrer Lösung. Textlinguistik, die sich in 60er Jahren des 20. Jahrhunderts intensiv zu entwickeln begann, erklärt im Gegensatz zu der satzzentrierten Systemlinguistik den Text für originäres sprachliches Zeichen. Zum gängigen Slogan wurde: Der Mensch spricht nicht mit den Sätzen, sondern mit den Texten.

Ungeachtet der umfangreichen textlinguistischen Publikationen wurde die Eigenständigkeit als einer wissenschaftlichen Disziplin in Zweifel gezogen. In dieser Entwicklungsphase hörte man manche Textforscher ausrufen: Quo vadis Textlinguistik? Dieser Ausruf ist zum einen pessimistisch zu verstehen und zum anderen optimistisch, d.h. die Textlinguistik hat ihren höchsten Entwicklungsstand noch nicht erreicht, aber zweifelsohne wird sie sich als eine eigenständige linguistische Disziplin etablieren. Wir teilen diesen Optimismus und sind überzeugt, dass ihr noch immer neue ungeahnte Perspektiven bevorstehen.

In Gebrauch sind zwei Termini "Text" und "Diskurs" bzw. "Textlinguistik" und "Diskursanalyse" genommen worden. Da in beiden Fällen ohne Spezifikation wie das schriftliche Gebilde so auch die mündliche Äußerung postuliert wurden, traten die Ansätze für die Lösung von Problemen in Erscheinung "Text" und "Diskurs" voneinander abzugrenzen. Die Andeutungen, die auf die Unterscheidung von schriftlichen und mündlichen Formen der sprachlichen Tätigkeit gerichtet waren, wurden von vielen Textforschern für beachtenswert angesehen und die Textlinguistik gewann mit der Zeit einen sicheren Platz in der Hierarchie der linguistischen Disziplinen.

Die Hervorhebung des substanziellen Wesens der beiden Medien der Kommunikation – von graphemischen und phonemischen – schafft die Möglich-

keit, für die Lösung der textlinguistischen Probleme einen adäquaten Zugang zu finden. Die Einfügung des Textes in den Kommunikationsprozess und seine Betrachtung als schriftliche Manifestation der sprachlichen Tätigkeit bedeutet, an das Problem mit neuen Ansätzen heranzugehen, dynamische und statistische Stellungnahmen zu integrieren, dem neuen Paradigma die Anerkennung einzuräumen, dessen Grundkomponenten als "Text-Leser/Interpretator" zu denken sind.

Die Probleme der Textlinguistik haben weite Interessenkreise der Forscher umfasst. Es lässt sich sagen, dass diese Disziplin zur Reife gelangt ist, wovon zahlreiche Veröffentlichungen in vielen Sprachen zeugen. Es sind genügend Erfahrungen gesammelt, Klassifikationen der Texte vorgenommen, Interpretationsverfahren entwickelt, und doch entzünden sich angeregte Diskussionen über die ungelösten Hauptprobleme. Daraus folgt, dass die strittigen Fragen nicht gelöst sind und es gerechtfertigt scheint, manche Gesichtspunkte einer kritischen Wertung zu unterziehen und den noch lückenhaften Kenntnisstand zu bessern, zumal neue Ansätze der Textforschung und – interpretation erarbeitet worden sind. Die zweite Hälfte des 20. Jahrhunderts erwies sich besonders fruchtbar für die Entwicklung der Textlinguistik. Die Phasen der linguistischen Forschung wurden über die Syntaxebene hinaus ausgedehnt und die Grenzen des Satzes gesprengt. Für diese Periode ist charakteristisch die Suche nach dem Urquell der Textlinguistik, die Festellung der interdisziplinären Beziehungen, das holistische Herangehen an den Text, die Einfügung des Textes in den Kommunikationsprozess, die Modellierung der Textstruktur und a.m. Es zeichneten sich makro- und mikrolinguistische, strukturalistische, kommunikative und pragmatische, semiotische und hermeneutische Stellungnahmen aus.

Die vorliegende Monographie basiert auf den Ergebnissen der theoretischen und methodologischen Forschungen der bekannten, vorwiegend deutschen Linguisten und ihren Anhänger. Von den Sprachwissenschaftlern, die zu den verschiedenen linguistischen Schulen gehören und auf die Entwicklung der Textlinguistik maßgebenden Einfluss ausgeübt haben, möchte ich die jenigen nennen, die ich bei der Erarbeitung unserer Stellungnahme besonders berücksichtigt habe: Wilhelm von Humboldt, Heimann Steinthal, Hermann Paul, Ferdinand de Saussure, Leo Spitzer, Hans-Georg Gadamer, Hennig Brinkmann, Emil Benveniste, Hans Glinz, Roland Barthes, Eugenio Coseriu, Peter Hartmann, Harald Weinrich, Wolfdietrich Hartung, Dieter Wunderlich, Wolfgang Dressler, Robert Alain de Beaugrande, Horst Isenberg, Wolfgang Motsch, Teun van Dijk, Heinrich F. Plett, Bernd Ulrich Biere, Gerd

Antos, sowie Friedrich Schleiermacher, der an den Anfängen der neuen Hermeneutik steht, und der größte Philosoph des 20. Jahrhunderts, Grundleger der existentialen Analytik Martin Heidegger, dessen hermeneutisch-philosophische Textinterpretationen den Gipfel des Textverstehens bilden.

Die Schwerpunkte der Untersuchung dürfte man folgendermaßen skizzieren:

1. Spezifikation des Textes als Ergebnis der schriftlichen Manifestation der sprachlichen Tätigkeit;
2. Darstellung des Textes als eines im Raum ausgedehnten graphemisch-graphischen Gebildes und Modelierung seiner internen Struktur;
3. Einfügung des Textes in den Kommunikationsprozess, die Gegenüberstellung der schriftlichen und mündlichen Kommunikationsarten;
4. Betrachtung der schriftlichen Sprache als einer der Hypostasen der Gemeinsprache;
5. Hervorhebung der Grundaspekte der Textanalyse, insbesondere der graphemisch-graphischen Interpretation;
6. Hauptparameter der Interpretation **den Sinn** des Textes mittels der hermeneutischen Methode zu bewahrheiten;
7. Verwendung der deutschsprachigen poetischen und prosaischen Texte unterschiedlicher Genres und Typs als Interpretationsbasis.
8. Interpretation georgischer figurativer poetischer Texte ohne sie den deutschen Texten vergleichend oder kontrastiv gegenüberzustellen, sondern unter Bezug auf tertium comparationis nur der graphemisch-graphischen Pointierung die Priorität einzuräumen.

Die fundamentale Methodologie der Textlinguistik ist Hermeneutik. Es findet sich die Behauptung, dass die Entwicklung des Verfahrens, das auf alle Arten der Texte universell anwendbar wäre, ausgeschlossen sei. Wenn wir zugeben, dass die Hauptfunktion des Textes darin besteht, Medium der Interaktion zu sein, und die sprachliche Kommunikation für den Austausch der Informationen da ist, so hat der Interpretator im Text vor allem **nach dem Sinn** zu suchen, ihn selbst zu dekodieren und ihn dann für andere verständlich zu machen. Die universelle Methode des Verstehens und Verständlich-Machens ist aber die Hermeneutik. In dieser Monographie sind ihre Prinzipien weiter entwickelt, an die empirische Basis angepasst und für die Hauptmethode der Interpretation erklärt.

Mündliche und schriftliche Arten der Kommunikation sind auseinanderzuhalten, der Diskurs ist als Grundeinheit der mündlichen Kommunikation anzusehen und der Text als die der schriftlichen Kommunikation. Der

Untersuchungsgegenstand der diskursiven Analyse ist der Diskurs, der schriftlichen Kommunikation aber – der Text.

Die Entwicklung der Textlinguistik ist in der vorliegenden Monographie in zwei Etappen eingeteilt: in der ersten Etappe dominiert die weite Auffassung des Textes. Er wird zum Untersuchungsgegenstand eines ambiguen sprachlichen Gebildes erklärt. In der zweiten Etappe erfolgt die Spezifikation des Textbegriffes und die Einschränkung der Grenzen der Textlinguistik.

Nach der Sprezifikation des Textes als Manifestation der schriftlichen Tätigkeit werden die mündliche Äußerung und das schriftliche Gebilde unter Hervorhebung der ontischen Parameter des Textes als zwei oppositionelle Einheiten dargestellt. Es wird dabei unter "Text" nur der "Ganztext" gemeint.

Der Text ist einerseits in das Kommunikationsmodell eingefügt, wo er den Kommunikationsprozess entzweibricht und die Stelle des Kommunikators einnimmt, andererseits wird er als ein internes Modell entwickelt, mit dem der Leser/Interpretator in die unmittelbare Beziehung tritt. Die interne Struktur des Textes ist als ein im Raum ausgedehntes bathysmatisches Feld dargestellt, dessen fünf Komponenten – topologischer Rahmen, graphemisch-graphisches Substrat, architektonische, sprachliche und semantische Schichten – mit unterschiedlicher Intensivität fungieren und die Möglichkeit schaffen, vielfältige Texte zu konstruieren. Die Unterscheidung zwischen ordinären und pointierten Texten erleichtert die anschauliche Darstellung der Textstruktur, macht die Integration der paradigmatischen und syntagmatischen Achsen in die bathysmatische Fläche, die räumliche Wahrnehmung des Textes sichtbar. Die Annahme des Textes als schriftlicher Manifestation der sprachlichen Tätigkeit ist die Grundlage der **Alienation**, die als eigenständige Existenz des Textes und Aufrückung desselben in den Rang des Kommunikators zu denken ist.

Die Konkretisierung der hermeneutischen Methode, die Interpretation der deutschsprachigen poetischen und prosaischen Texte nach der bathysmatischen Struktur, Divination und Inferenz bestätigen die Zweckmäßigkeit der Verwendung dieser universalen Methode.

Die Prinzipien und Methoden, die in der Monographie erarbeitet sind, eröffnen weite Aussichten in der Textforschung. Besondere Aufmerksamkeit zieht auf sich das **neue Paradigma**, in dem die active Position des Textes und die unmittelbare Beziehung des Lesers zu ihm hervorgehoben sind.

Erster Teil

Die Textlinguistik vor der Spezifikation des Textbegriffs

Ein Überblick über die Entwicklungsetappen der Textlinguistik: Vier Vorläufer der Textlinguistik – Rhetorik, Interpretationsschule, Stilistik, Hermeneutik

Rhetorik ist die älteste Theorie der Redekunst und die Anleitung zur praktischen Beredsamkeit. Anfänglich wurde sie zunächst auf die mündliche Rede bezogen, später aber auch auf die geschriebene Sprache ausgedehnt. Im Mittelalter erscheint die Rherotik als eine der s.g. freien Künste des Bildungssystems und wird zum Hauptbestandteil des höheren Schulunterrichts. Die Entfaltung der Rhetorik vollzog sich in zwei Richtungen. Sie entwickelte sich als die Kunst der Beredsamkeit und schuf die Grundlage für die gegenwärtigen rhetorischen Disziplinen, und später sonderte sich von ihr die Stilistik ab.

Das Interesse für Rhetorik wächst in der ganzen Welt. Man spricht über die Renaissance der Rhetorik. Es werden Symposien veranstaltet, Schriften veröffentlicht, man diskutiert über die Stränge und Entwicklungstendenzen der Rhetorik.

Anschließend ist in der Monographie ganz kurz der Entwicklungsweg der Rhetorik in der früheren Sowjetunion und DDR gestreift, kurzer Exkurs in die Geschichte der georgischen Rhetorik eingefügt.

Stilistik. Der Begriff "Stil" ist zu umfangreich, um ihn in enge Rahmen zu zwängen. Das gibt Anlass, Stilistik als einen vielgestaltigen Bereich zu kennzeichnen, die in verschiedenen Schulen unterschiedlich verstanden wird. In der 2. Hälfte des 20. Jahrhunderts blieb die Forschung auf dem Gebiete der Stilistik in alten Grenzen, aber dabei entstanden neue Richtungen. Eine Reihe von wissenschaflichen Publikationen sind veröffentlicht worden, in denen die Stilistik zu den sprachwissenschaftlichen Disziplinen zählte, der Stil aber für einen Komplex der auffälligen sprachlichen Ausdrucksmittel gehalten wurde. Der Begriff "Stil" wird zum einen als Einheit der expressiven Ausdrucksweise und zum anderen als Eigenart des Sprachgebrauchs in bestimmten Sphären der menschlichen Tätigkeit verstanden.

Der Fachausdruck "Textinterpretation" etabliert sich allmählich in dieser Periode, was darauf hinweist, dass die Stilistik auf eine neue Stufe überge-

gangen ist. Man spricht schon nicht nur über die Spezifik der Sprachkunstwerke, sondern auch über die der Texte. Die Interpretation erfolgt in linguistischen und linguostilistischen Aspekten. Der erstere ist die Domäne der Mikrostilistik (Man untersucht stilistische Potenzen des Phonems, Wortes, Satzes, sowie stilistische Mittel und Figuren), der andere – die der Makrostilistik (Man untersucht die Mittel der stilistischen Ausdrukksmittel in den satzübergreifenden Einheiten).

Die Interpretationsschule kann als die nächste höhere Stufe der Textanalyse angesehen werden, die Anfang des 20. Jahrhunderts entstanden ist. Das ist eine qualitativ neue Etappe der Entwicklung der Textinterpretation. Für den eigentlichen Begründer dieser Schule gilt der **österreichische** Romanist Leo Spitzer. Er akzeptiert die soziale Natur der Sprache und unterschtreicht dabei, dass sich in der Sprache auch das vorfindet, was zum Ausdruck der Individualität dient. Der Verdienst der Interpretationsschule besteht in der Betrachtung der literarischen Texte als Ganzheit auf Stil gründend. Der Stil ist das auf die Kunstebene erhobene Muster des Sprachgebrauchs. "Sprache als Kunst verwendet, heißt Stil", schreibt Leo Spitzer.

Hermeneutik. Das Wort "Hermeneutik" wird mit Hermes verbunden, der in der griechischen Mythologie Bote zwischen Göttern und einfachen Sterblichen ist. Seine Bestimmung besteht darin, den Willen der Götter den Menschen auszulegen und die Wünsche der Menschen den Göttern zu überbringen. Schon in alten Zeiten erläuterte man die Prophezeihungen der Orakel, interpretierte alte Texte, gab die Inhalte der Texte einer Sprache in einer anderen Sprache wieder. So entstand die Lehre vom Verstehen.

Einer der ersten Forscher, der die philosophischen Probleme der Hermeneutik hervorhob, war der protestantische Theologe **Friedrich Schleiermacher.** Er hielt die Hermeneutik "für Wissenschaft der Wissenschaften. Er rückte das individuelle Moment in den Vordergrund und extrapolierte sie in die Kunstsphäre. Nach seiner Meinung ist die Sprache als Medium eine gesellschaftliche Erscheinung, aber wie sie als Kunst gestaltet wird, hängt schon von der Psyche des Künstlers ab. Als Grundlage der Rekonstruktion des poetischen Schaffens sah Fr. Schleiermacher die Methode an, die als hermeneutischer Zirkel bekannt ist. Diese Methode lässt annehmen, dass das Sprachkunstwerk nicht aus sich selbst verstanden werden muss, sondern aus der individuellen Psyche des Schöpfers. Sie gibt dem Interpretator die Möglichkeit, die Seele der Autoren von den alten Texten zu ergründen, historische Begebenheiten wiederherzustellen und sie zu bewerten. Die Bewer-

tung des Interpretators kann tiefer sein, als die der Zeugen der Geschehnisse und des Verfassers selbst.

In der Existenzphilosophie **Martin Heideggers** ist die Hermeneutik das Mittel der Überwindung der Individualität. Der hermeneutische Zirkel wird geschlagen nicht zwischen der Person und der Außenwelt, sondern in der Sprache, die ein Mittel der Verwahrung der ideologischen Werte ist. Die Sprache als historischer Horizont bestimmt das Geschick des Seins. Nicht der Mensch spricht mit der Sprache, sondern die Sprache – mit dem Menschen. Die Sprache ist das Haus des Seins. Das Sein erreicht seine sprachliche Vollkommenheit in der Sprache der Dichter. Die Sprache ist vieldeutig, ihre Auslegung ist die Domäne der Philosophie.

Der bekannte Hermeneutiker unserer Zeit **Hans-Georg-Gadamer** nennt die Hermeneutik "universale Philosophie unserer Zeit", die das Verstehen der Außenwelt und der Wahrheit des Seins zu lösen hat. Die Kunst ist eine Art des Seins. Der Text gilt als Kunstwerk ebenso wie ein Gemälde und ein Standbild. "Die klassische Disziplin, die die Kunst des Verstehens erforscht, ist die Hermeneutik", schreibt Hans-Georg Gadamer. Das Verstehen ist nicht in dem Sinne zu begreifen, dass ein Partner sich an der Stelle des anderen vergegenwärtigt und dasselbe erlebt wie er, sondern das Wesen des Moments ergründet. Der Prozess des Wechselverständnisses ist sprachlich, deshalb gehört das Verstehen traditionell zu den Sphären der Grammatik und Phonetik. Die Sprache ist eine Außenwelt, in der der Prozess des Wechselverständnisses vor sich geht und der Konsens erreicht wird. Jedes Verstehen ist die Auslegung, und die Auslegung entfaltet sich in der sprachlichen Außenwelt.

Hermeneutik ist vielgestaltig, so wie Rhetorik. Man spricht von der forensischen, literaturwissenschaftlichen und u.a. Hermeneutik. H.-G. Gadamer hält für den Begründer der sprachwissenschaftlichen Hermeneutik Wilhelm von Humboldt, der das sprachliche Wesen des Verständnisses mit der Weltansicht der Sprache verbindet.

Um sich als eine wissenschaftliche Disziplin im Hierarchiemodell zu etablieren, muss die Textlinguistik einigen Vorbedingungen genügen. Der Begriff "Ebene" ist traditionell mit dem Sprachsystem (der Langue) verbunden und wird als eine Schicht desselben angesehen. Eine jede Basiseinheit geht in die höhere Ebene über und verwandelt sich in ihren Integranten. Als die höchste Ebene galt die syntaktische Ebene und als Basiseinheit der Satz, der das Sprachsystem schließt. Die Sprachwissenschaftler, die die Ebene im engen Sinne verstehen, halten für unmöglich den Text als Basiseinheit und die

Textlinguistik als eigenständige sprachwissenschaftliche Disziplin anzusehen unter dem Vorwand, dass im Text diesselben semantischen und grammatischen Beziehungen herrschen wie im Satz. Die Forscher aber, die die Ebene im weiten Sinne verstehen und sie für eine interne Schicht der natürlichen Sprache halten, vertreten die Meinung, dass es möglich sei, ein Stratifikationsmodell der Sprache auf Grund der anderen Kriterien zu entwickeln, das vom Untersuchungszweck und Standpunkt des Forschers abhängt, so dass die Postulierung der Ebenen außerhalb des Systemrahmens auch zuzulassen ist.

Für die Klärung der Struktur des Textes und der Bestandteile der Textlinguistik im Kontext des Stratifikationsmodells sind folgende Faktoren zu nennen: die Korrelation der linguistischen Diziplinen und Basiseinheiten; Wechselbeziehung von Langue, Parole und Language; die Zahl der Ebenen und das Prinzip ihrer Verteilung; Aufeinanderbezogenheit des Sprachzeichens und der sprachlichen Einheit.

Wir vertreten die Meinung, dass die sprachliche Ebene nicht als eine seinsmäßige Schicht der natürlichen Sprache, sondern als eine Phase der linguistischen Beschreibung und die Schicht des strukturellen Sprachmodells anzusehen ist.

Indem wir von dem weiten Begriff der Ebene ausgehen, halten wir es für möglich oberhalb der Systemebenen die stilistische Ebene (die Basiseinheit Stilem) und darüber die textlinguistische Ebene (die Basiseinheit Textem) unterzubringen. Dabei halten wir für zweckmäßig, gemäß der Unterscheidung zwischen den mündlichen und schriftlichen Arten der Sprache das Hierarchiemodell mit der monolateralen, graphemischen Ebene zu schließen.

Das idealisierte Hierarchiemodell der linguistischen Disziplinen in Bezug auf die Schriftsprache sieht so aus:

Disziplinen	Basiseinheiten
= Textlinguistik	Textem
= Stilistik	Stilem
= Grammatik	Gramem
Morphologie	Morphem
Syntax	Syntaxem
= Phonologie	Phonem
= Graphem(at)ik	Graphem

Anschließend ist die Frage nach dem Verständnis der Textlinguistik und ihrem Untersuchungsobjekt zu entwerfen.

In der ersten Entwicklungsetappe der Textlinguistik galt als Untersuchungsgegenstand das ambigue sprachliche Gebilde, das bald Text bald Diskurs genannt und dementsprechend die beiden Arten der sprachlichen Tätigkeit – schriftliche und mündliche – nicht unterschieden wurden. Außer Acht gelassen wurde dabei arteigene Eigentümlichkeit des Kommunikationskanals, sein ontisches Wesen. In der Monographie ist Textlinguistik als Teildisziplin wie der Systemlinguistik, so auch der kommunikativen Linguistik angesehen. Sie erforscht die Texte als Mittel und Ergebnis der schriftlichen Tätigkeit im Unterschied zu der diskurssiven Analyse, die der Sprechakttheorie und der mündlichen Äußerung das Gewicht beimisst.

Interdiziplinäre Beziehungen der Textlinguistik

Textlinguistik und Grammatik behandeln die sprachlichen Erscheinungen aus unterschiedlicher Sicht. Die Morphologie interessiert sich für Wörter vom paradigmatischen Standpunkt aus, die Textlinguistik beschreibt die Haupteigenschaften der übersatzmäßigen Gebilde auf der bathysmatischen Fläche. Hervorzuheben ist die Rolle der aktuellen Syntax in der Herausbildung der Textlinguistik. Im Gegensatz zu der traditionellen (logischen) Syntax rückt die aktuelle Syntax die kommunikative Belastung der sprachlichen Einheiten in den Vordergrund. Sie sprengt die Fesseln der Syntax und integriert den Satz in die übersatzmäßigen Einheiten, die die obere Grenze der Syntax überschreiten und in den Bereich des Textes gelangen.

Bei der Erörterung **der textlinguistischen und lexikologischen Beziehungen** messen wir besondere Aufmerksamkeit den lexikalischen Einheiten bei, die fähig sind, textkonstruirende Funktion auszuüben. Solche sind beispielweise polyseme Lexeme, die den Status der Dominante erhalten, distanzionelle Kohärenz zustande bringen und den Text zu einer Ganzheit machen.

Die Interessen der **Textlinguistik und Stilistik** sind fest ineinander verflochten. Sie haben viel Gemeinsames. Der Unterschied zwischen den beiden Disziplinen aber besteht darin, dass für das Untersuchungsobjekt der Stilistik der Stil als Eigenschaft des Textes gehalten wird, für das der Textlinguistik jedoch der Text selbst.

In der Auseinandersetzung **der Textlinguistik und Textologie** sind folgende Momente hervorzuheben: die Textologie (die Textktirik) hält für den Gegenstand ihrer Untersuchungen die Erforschung der Änderungen im schriftlichen Denkmal auf allen Etappen der Entwicklung und ist untren-

nbar mit der editorischen Arbeit verbunden. Der Textologe-Editor sucht nicht nur nach Handschriften und druckschriftlichen Quellen, sondern stellt den Grundtext fest, attribuiert, datiert und macht ihn für die Veröffentlichung bereit. Die Textlinguistik aber hat kein Interesse an der Geschichte und Entwicklung des Textes. Sie untersucht den Ganztext als höchste kommunikative Einheit, seine Funktionen im Kommunikationprezess, seine interne Struktur.

Textlinguistik und Grammatologie haben manche Berührungspunkte. Insofern die Grammatologie das Schrifttum erforscht, die Funktion der Sprache aber mittels der schriftlichen Zeichen manifetiert wird, liegt ihre wechselseitige Beziehung auf der Hand. Das Inventar der Schriftzeichen, das in ihre Untersuchungsspähre gehört, kann für die Pointierung der sprachlichen Gebilde gebraucht warden. Minuskeln, Majuskeln, Schriftrichtung, Paradigmatik und Syntagmatik der Buchstaben schaffen die Möglichkeit für die Konstruirung vielfältiger Texte, darunter figurative.

Zwischen Textlinguistik und Graphemik besteht auch eine Wechselbeziehung. Die Graphemik erforscht funktionale Leistung der graphemischen Einheiten, identifiziert linguitisch relevante graphische Zeichen. Sie geht von der Tatsache aus, dass gesprochene und geschriebene Sprachen unterschiedliche substanzielle Grundlagen haben. Sie extrapoliert phonologische Methoden auf die graphematische Ebene und unterstreicht den Unterschied zwischen phonematischer und graphematischer Einheiten und ihrer Kombinatorik. Sie dürfen nicht gleichgesetzt werden, das Graphem ist die kleinste Einheit der Schreibsprache, ebenso wie das Phonem die der Sprechsprache.

Die zwei Arten der mündlichen und schriftlichen Formen der Sprache unterscheiden sich voneinander durch ihr physikalisches Wesen, funktionieren als selbstregulierende Systeme und beeinflussen die Sprachentwicklung. Die erstere lockert das Sprachsystem auf, die andere stabilisiert die Normelemente. Das Vorkommen zweier Arten der sprachlichen Tätigkeit fordert zwangsläufig die Auseinanderhaltung der höchsten Einheiten der Kommunikation – des Textes und des Diskurses. Die im Strukturmodell der Sprache postulierten Basiseinheiten – Phonem, Morphem, Lexem, Stilem – und entsprechenden linguistischen Disziplinen sind mit Textem und Textlinguistik zu ergänzen.

Es gibt einen weiten und einen engen Begriff des Textes. Der erste beinhaltet jegliche sprachliche und averbale Ausdrucksformen. Wir sind der Mei-

nung, dass soch eine grenzenlose Auffassung des Textes, wenn darunter völlig unterschiedliche Erscheinungen – das Bild, die Verkehrszeichen, Sprichwort, Roman, Interjektion, das gesamte Schaffen des Schriftstellers, Gespräch, Geste, Mimik und a.m. – verstanden werden, ist die Vermischung der Untersuchungsebenen und -gegenstände unterschiedlichen Ranges unvermeidlich.

Wir akzeptieren den zweiten, engeren Begriff des Textes und definieren den Text als höchste, schriftlich fixierte Einheit der Kommunikation.

Für die Explikation der Textfunktionen werden einige teils allgemeine, teils weniger bekannte Sprachmodelle beschrieben. Die Modelle von Karl Bühler, Roman Jakobson, Wolfdietrich Hartung und W.S. Panfilow sind zu allgemein und werden entweder an die mündliche Rede angepasst, oder sie spiegeln den Unterschied zwischen mündlicher und schriftlicher Sprache nicht wider. Wir stellen die Funktionen des Textes fest, indem wir zum einen die Funktionen der Sprache und zum anderen die Spezifik des Textes berücksichtigen.

Alle Funktionen, die der Sprache zugeschrieben werden, sind sowieso auch für den Ganztext charakteristisch, der absolute Zusammenfall ist aber ausgeschlossen. Die Existenzweise des Ganztextes nennen wir die **Alienation**, deren Grundlage das Alphabet und das Schrifttum bilden. Die Standhaftigkeit und Haltbarkeit, die der Sprache eigen sind, gründen sich auf die graphischen Zeichen. Der Kommunikator ist als Alienator anzusehen, der das eigene Produkt – den Ganztext – herstellt, ihn entfremdet, selbst aber sein nominaler Besitzer bleibt. Nach der Entfremdung beginnt der Ganztext ein neues Leben. Er knüpft unmitellbar Beziehung mit dem Leser an und wird zum Substitut des Autors. Dank seiner ontischen Natur ist der Text im panchronischen Raum und bewahrt die in ihm befindliche Information. Die allgemeine Definition des Ganztextes kann wie folgt ergänzt werden: der Ganztext ist eine universale kommunikative Einheit, ein einheitlich strukturiertes Gebilde, eine im Raum ausgedehnte graphemisch-graphische Konstruktion, die ein von der mündlichen Rede emanzipiertes, eigenständiges Wesen darstellt (hat eigene Intention, teilt etwas mit, spricht den Leser an).

Eugenio Coseriu nennt die Textlinguistik "die Linguistik des Sinnens". Das ist die wahre Textlinguistik, Linguistik der Interpretation, die Hermeneutik und wie jede Hermeneutik muss sie auch ihre Heuristik haben, welche die zu erwartenden Ergebnisse der Untersuchung einigermaßen im voraus bestimmt. Das heuristische Verfahren stellt unbeweisbare Prinzipien und

Regeln auf, um neue Erkenntnisse zu gewinnen. Die Liste der aufgestellten Regeln ist offen und kann nach und nach durch gesammelte Erfahrungen ergänzt werden. Der eigentliche Vorläufer der Textlinguistik ist die integrale Stilistik von Leo Spitzer. Sie ist in drei Aspekten zu entwickeln. Der erste ist die Aufstellung der den Sinn konstruierenden Regeln, die zweite – die Zergliederung des Sinnes, die dritte – die Erweiterung des Sinnesraumes. Die Texte einzelner Sprachen, die sich auf vier grundlegende Parameter – Superordination, Subordination, Koordination und Substitution – stützen, sind der Gegenstand der transphrastischen Grammatik. "Die Vereinigung der beiden Arten der Textlinguistik als Inhalts- und Ausdruckspläne ist auch möglich", schreibt Coseriu.

